

ლილი ხეხუაშვილი

ცხოვრების ისტორია და
ტრანსფორმაციული
გამოცდილებები

დროში განფენილი

ჩემი ამბავი:

მე, შენ და სხვები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლილი ხერუაშვილი

ცხოვრების ისტორია და ტრანსფორმაციული გამოცდილებები

დროში განფენილი ჩემი აზრები:
მე, შენ და სხვები



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წინამდებარე ნაშრომი დაწერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტის „მე და საზოგადოება: პერსონალური და მასტერნარატივები და სოციალური ადაპტაცია“ ფარგლებში შესრულებული კვლევის საფუძველზე (გრანტი N YS-2016-8).

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტის ბაზაზე.

ავტორი – ლილი ხეჩუაშვილი

სამეცნიერო რედაქტორები – ლალი სურმანიძე, მარინე ჩიტაშვილი

ენობრივი რედაქტორი – გრიგოლ ჯოხაძე

ყდის დიზაინერი – თინათინ ჩირინაშვილი

ყდაზე გამოყენებული ნახატის ავტორი – აბესალომ ხეჩუაშვილი

© ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISBN 978-9941-13-976-5 (PDF)

For my One and Only Level Five

სარჩევი

სარჩევი.....	I
ცხრილები.....	V
სურათები.....	VII
წინასიტყვაობა.....	IX
მადლობა	X

სივრცე, როგორც ვიზუალური..... 1

1. პიროვნება და იდენტობა 1

1.1. პიროვნება: სამმაგი „ა“-ს მოდელი	1
1.1.1. I ა(ქტორი) – ნიშნები.....	6
1.1.2. II ა(გენტი) – დამახასიათებელი ადაპტაციები	7
1.1.3. III ა(ვტორი) – ინტეგრირებული ცხოვრების ისტორია	8
1.2. იდენტობა: თეორია და განვითარება	9
1.2.1. რატომ არის იდენტობა მნიშვნელოვანი	11
1.2.2. იდენტობა, როგორც კონსტრუქცია	13
1.2.3. იდენტობის თეორიის სათავეები: ერიკ ერიკსონი და განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში	14

2. ნარატივი: დროში განვითარებული ცხოვრება..... 20

2.1. რა არის ნარატივი	23
2.1.1. ნარატივის ტიპები.....	24
2.1.2. კარგი ნარატივის კრიტერიუმები	26
2.2. ნარატივი, როგორც ადამიანის ცხოვრების მათემატიკური პრინციპი	28
2.3. ნარატივი, როგორც სოციოკულტურული პრაქტიკა	32
2.4. მასტერნარატივი	33

3. ნარატიული კვლევის მეთოდოლოგია: ცხოვრების ისტორიის თხრობა, როგორც ემპირიული მონაცემების შეგროვების მეთოდი..... 36

3.1. ნარატივი, როგორც კვლევის ობიექტი	36
3.1.1. სელფი (Self).....	37
3.1.2. იდენტობის განვითარება.....	37
3.1.3. კონსულტირება და თერაპია.....	38
3.1.4. ადამიანის ცხოვრების ნარატიული კვლევა.....	39
3.2. ნარატიული კვლევის პროცესი	39
3.2.1. ნარატიული კვლევის ფაზები.....	41
3.2.2. ნარატიული კვლევის პროექტის/ანგარიშის კონცეპტუალური ჩარჩო ..	42
3.3. მონაცემების გენერირება ცხოვრების ისტორიებიდან	47

3.3.1. ნარატიული კითხვების დასმა.....	49
3.3.2. ნარატიული ინსტრუქციების შექმნა.....	54
3.3.3. ნარატივების შეგროვება და ტრანსკრიპტის დაწერა	59
3.4. ნარატიული მონაცემების ანალიზი: თვისებრივი თუ რაოდენობრივი?.....	63
3.4.1. ნარატივის თვისებრივი ანალიზი: მთელი და ნაწილი – და მთელი	64
3.5. ნარატივის რაოდენობრივი ანალიზი: კოდირება.....	76
3.6. ქვემოდან ზემოთ: პერსონალური ნარატივების მიღმა	80
3.7. ნარატიული კვლევის ეთიკა	85
3.7.1. ფორმალური ინფორმირებული თანხმობა	85
3.7.2. კვლევის ეთიკა და ინტერპრეტაციები.....	86
3.7.3. ნარატიული კვლევა და ფსიქოთერაპია	87
3.7.4. დამშვიდობება.....	88
ავტორი – მე, შენ, სხვები	90
4. ამბავი, რომელითაც ვხსოვრობთ	92
4.1. ნარატიული ეკოლოგია.....	93
4.2. ავტორის დაბადება: თხრობა, როგორც საკუთარი თავის, ანუ ნარატიული იდენტობის, შექმნის პროცესი.....	95
4.2.1. სხელი: ფიზიკური განვითარება	97
4.2.2. გონება: კოგნიტური განვითარება.....	98
4.2.3. საზოგადოება: კულტურის დაკვეთა	100
4.3. ცხოვრების ისტორიის შინა მხარე: როდესაც $2 + 2 > 4$	103
4.3.1. ნარატივის თხრობის პროცესთან დაკავშირებული ცვლადები	104
4.3.2. ნარატივის სტრუქტურასთან დაკავშირებული ცვლადები.....	114
4.3.3. ნარატივის თემასთან დაკავშირებული ცვლადები	123
5. ნარატიული იდენტობა: ცვალებადობა და სტაბილურობა.....	126
5.1. ცხოვრების ისტორიის სტაბილურობა და ცვალებადობა	129
5.2. რა და როგორ შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების ისტორიაში	130
5.3. მოვლენის ტიპი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროში	132
5.3.1. კვლევის მეთოდოლოგია.....	132
5.3.2. შედეგები და ინტერპრეტაცია	134
6. ნარატიული იდენტობა და ტრანსფორმაციული გამოცდილება.....	140
6.1. ომი და იძულებითი ადგილმონაცვლეობა: პერსონალური ნარატივის სტრუქტურა და პოსტტრავმული ზრდა	144
6.1.1. პოზიტიური ტრანსფორმაცია: პოსტტრავმული ზრდა.....	145
6.1.2. კვლევის მეთოდოლოგია.....	149

6.1.3. შედეგები და ინტერპრეტაცია	152
6.2. იატაკქვეშეთიდან გამოსვლა: სექსუალური იდენტობა, სტიგმა და ცხოვრების ისტორია	163
6.2.1. რა ვიცით დღეს: ქამინგაუთი, სექსუალური იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია.....	164
6.2.2. კვლევის მეთოდოლოგია.....	169
6.2.3. შედეგები და ინტერპრეტაცია	169
6.3. თავისუფლების აღკვეთა: განყვებილი ცხოვრება, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და გენერაციულობა.....	186
6.3.1. პენიტენციალურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება და ცხოვრების ისტორია.....	187
6.3.2. კვლევის მეთოდოლოგია.....	191
6.3.3. შედეგები და ინტერპრეტაცია	191
6.4. თეორიული მოდელი.....	208
თანაპროტი, დამკვეთი – გე, შენ, სხვაბი.....	211
7. მასტერნარატივის ინტერპრეტაციული ჩარჩო	213
7.1. თეორიული მოდელი.....	213
7.1.1. როგორ ამოვიცნოთ მასტერნარატივი: ხუთი პრინციპი.....	215
7.2. მასტერნარატივის ტიპები.....	220
7.2.1. ბიოგრაფიული მასტერნარატივი – ცხოვრების გზა	220
7.2.2. სტრუქტურული მასტერნარატივები (მიმდევრობები)	228
7.2.3. ეპიზოდური მასტერნარატივები (მოვლენები).....	232
8. წინააღმდეგობის ამბავი: ალტერნატიული მასტერნარატივი და ალტერნატივის ალტერნატივაბი.....	236
8.1. ალტერნატიული მასტერნარატივი.....	237
8.2. ალტერნატივა და ალტერნატივის ალტერნატივები.....	240
8.2.1. მასტერნარატივის ინტეგრაცია პერსონალურ ნარატივში	241
8.2.2. მასტერნარატივის ალტერნატიული მიმდევრობები.....	242
8.2.3. მრავლობითი ალტერნატივა და ალტერნატივის ალტერნატივები	245
8.3. ალტერნატივა, როგორც მიკუთვნებულობის არქონა და ალტერნატივის მოთხოვნილება	247
8.4. საზოგადოებისთვის მისაღები ალტერნატივით ცხოვრება.....	249
9. მასტერ და ალტერნატიული ნარატივაბი და გენერაციული	252
9.1. გენერაციული მოზრდილი.....	252
9.1.1. როგორ ყვებიან გენერაციული მოზრდილები თავიანთ ცხოვრებას ...	257

9.2. რუმინაციიდან გენერაციულობისაკენ: პოსტტრავმული ზრდის გამაშუალბელი ეფექტი.....	261
9.2.1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია	266
9.2.2. შედეგები და ინტერპრეტაცია	268
9.3. ალტერნატიული მასტერნარატივი – გზა გენერაციულობისაკენ.....	271
9.3.1. კვლევის მეთოდოლოგია.....	271
9.3.2. შედეგები და ინტერპრეტაცია	272
ეპილოგის ნახვლად	279
გამოყენებული ლიტერატურა	281
დანართები.....	314
დანართი N1. ინტერვიუს ოქმი.....	314
დანართი N2. კვლევის მონაწილის ინფორმირებული თანხმობის ფორმის ნიმუში.....	321
LIFE STORY AND TRANSFORMATIVE EXPERIENCES.....	323

ცხრილები

ცხრილი N 1.1. ფსიქოლოგიური „მე“-ს მახასიათებლები მაკადამსის მოდელის მიხედვით	4
ცხრილი N 3.1. ნარატიული კვლევის პროცესი.....	43
ცხრილი N3.2. ყველაზე ხშირად შეფასებული ნარატიული ცვლადები	51
ცხრილი N 3.3. მაკადამსის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს სტანდარტული ოქმი.....	56
ცხრილი N 3.4. კონკრეტული საკითხის საკვლევად შექმნილი ნარატიული ინსტრუქციის ნიმუში და ინტერვიუერისათვის თანდართული ინსტრუქციები.....	58
ცხრილი N 3.5. ამონარიდი მაკადამსის ოქმის მიხედვით ჩატარებული ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან	61
ცხრილი N 3.6. აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემები მნიშვნელოვან ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებში	68
ცხრილი N 4.1. ნარატიული იდენტობის განვითარების ძირითადი ეტაპები.....	101
ცხრილი N 5.1. მოვლენის ტიპის, მნიშვნელობის, გავლენისა და დადებითი გადანყვეტის განაწილება ცხოვრების ისტორიის თხრობის ორივე მომენტისთვის	135
ცხრილი N 5.2. ანალიზში ჩართული ცვლადების განაწილება მოგონების ტიპის მიხედვით: T1 და T2	135
ცხრილი N 5.3. საკვლევ ცვლადების ინტერკორელაციები: T1 და T2	136
ცხრილი N 5.4. მრავლობითი რეგრესიის მოდელი მეორედ თხრობისას საზრისის დახვეწილობის წინასწარმეტყველებისთვის	137
ცხრილი N 6.1. კვლევის სამიზნე ტრანსფორმაციული გამოცდილებები ...	143
ცხრილი N 6.2. პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის და შინაარსობრივი მხარის მიხედვით კოდირების სიხშირეები (N=90).....	153
ცხრილი N 6.3. პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები სკალების მიხედვით (N=90)	153
ცხრილი N 6.4. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები და შინაარსობრივი მხარე იძლებით ადგილნაცვალ პირთა და სხვა მოქალაქეთა ჯგუფებში.....	157
ცხრილი N 6.5. იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება და მოგონების ტიპი, როგორც ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის პრედიქტორები.....	158

ცხრილი N 6.6. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და პოსტტრავმული ზრდის ჯამური და ქვეკალების მაჩვენებლების ურთიერთკორელაცია.....	161
ცხრილი N 6.7. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის ქვეკალების მაჩვენებლების პრედიქტორი.....	162
ცხრილი N 6.8. ქამინგაუთის სტადიური მოდელი.....	165
ცხრილი N 6.9. პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობის სიხშირეები 6 ინტერვიუში გადაკოდირებული მოგონებების მიხედვით.....	170
ცხრილი N 6.10. პერსონალური ნარატივების შინაარსობრივი ასპექტები მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობით დალაგებულ 16 ინტერვიუში	170
ცხრილი N 6.11. პოზიტიური გადაწყვეტის კომპონენტების სიხშირეები (N=159)	194
ცხრილი N 6.12. გენერაციულობის კომპონენტების სიხშირეები (N = 207)	198
ცხრილი N 6.13. ავტობიოგრაფიული მსჯელობის კომპონენტების სიხშირეები (N =159).....	199
ცხრილი N 6.14. კოჰერენტულობის კომპონენტების სიხშირე (N = 159)	200
ცხრილი N 6.15. მოტივების სიხშირეები (N = 54).....	201
ცხრილი N 7.1. ქართული ბიოგრაფიული მასტერნარატივის ანუ კულტურული სკრიპტის შემადგენელი მოვლენები	222
ცხრილი N 7.2. კვლევის მონაწილეები ასაკისა და სქესის მიხედვით.....	226
ცხრილი N 8.1. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები.....	240
ცხრილი N 8.2. სხვადასხვა შერჩევის ბიოგრაფიული ალტერნატიული მასტერნარატივები.....	243
ცხრილი N 9.1. გენერაციული მოზრდილის მახასიათებლები.....	255
ცხრილი N 9.2. ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც გენერაციულობის პრედიქტორები.....	256
ცხრილი N 9.3. მაკომპენსირებელი სელფის (Self) შემადგენელი ექვსი თემა: ჩვეული სცენარი უაღრესად გენერაციული მოზრდილების მიერ მოთხრობილი ცხოვრების ნარატივისათვის	262
ცხრილი N 9.4. საშუალო მაჩვენებლები, სტანდარტული გადახრები და კორელაციები (მატრავმირებელი მოვლენის ტიპის გაკონტროლების პირობებში): ბაზისური რწმენებისადმი გამონვევა, ინტრუზიული	

რუმინაცია, მიზანმიმართული რუმინაცია, პოსტტრავმული ზრდა და გენერაციულობა.....	269
ცხრილი N 9.5. Bias-Corrected Bootstrap მედიაციური ეფექტისათვის: ბაზისური რწმენებისადმი გამოწვევა, ინტრუზიული რუმინაცია, მიზანმიმართული რუმინაცია, პოსტტრავმული ზრდა და გენერაციულობა.....	270
ცხრილი N 9.6. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები.....	272

სურათები

სურათი N 1.1. „მე“-ს სამი შრე დროში განვითარების მიხედვით	3
სურათი N 3.1. ნარატივის ანალიზის ფორმები.....	63
სურათი N 4.1. სელფის (Self) ნარატიული ეკოლოგია.....	93
სურათი N 4.2. კვლევაში გამოყენებული ნარატიული ცვლადები.....	103
სურათი N 4.3. თხრობის პროცესთან დაკავშირებული ნარატიული ცვლადები.....	104
სურათი N 4.4. გენერაციულობის მოდელი მაკადამსის მიხედვით.....	111
სურათი N 4.5. თხრობის სტრუქტურასთან დაკავშირებული ნარატიული ცვლადები.....	114
სურათი N 4.6. მაკომპენსირებული და კონტამინაციის თანმიმდევრობა ნარატივში.....	115
სურათი N 4.7. ნარატივის თემასთან დაკავშირებული ცვლადები	123
სურათი N 5.1. განმეორებითი თხრობისას საზრისის წინასწარმეტყველება	138
სურათი N 6.1. რეფორმირების პროტოტიპული ნარატივი მარუნას (1997) მიხედვით	189
სურათი N 6.2. ტრანსფორმაციული გამოცდილებიდან პერსონალური უწყვეტობის აღდგენილ განცდამდე	208
სურათი N 7.1. მასტერ ნარატივის მოდელი (წყაროდან McLean & Syed, 2016).....	214
სურათი N 7.2. დადებითი და უარყოფითი მოვლენების განაწილება ასაკის მიხედვით ცხოვრების ქართულ კულტურულ სკრიპტში	227
სურათი N 9.1. მრავლობითი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები მოდელში.....	263

წინასიტყვაობა

ადამიანის ცხოვრების ისტორიის კვლევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ნარატივის მკვლევრებს გვანტერესებს, ცხოვრებაში მომხდარი გარდამტეხი მოვლენაა. ეს ის გამოცდილებაა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის ჩვეული ქცევა, მოსაზრებები, ღირებულებები, ცხოვრების მიზნები თუ მიმართულება. სწორედ ასეთი გარდამტეხი მოვლენები იყო ჩემს პროფესიულ ცხოვრებაში ნარატიული ფსიქოლოგიის აღმოჩენა და ქეით მაკლინთან შეხვედრა.

როდესაც ათი წლის წინ ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჯონ ადლერისა და დენ მაკადამის ერთ-ერთ ნაშრომს წავაწყდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამ ორ (და კიდევ რამდენიმე სხვა) ადამიანთან ერთად ამერიკის ერთ-ერთი ქალაქის პატარა კაფეში პირველწყაროდან მოვისმენდი დენის ცხოვრების ისტორიასა და ჯონის ოჯახურ თავგადასავალს. მაშინ არც ქეით მაკლინს ვიცნობდი. თუმცა დანამდვილებით ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა შემდეგი ათი წლის განმავლობაში.

ასე აღმოვაჩინე ჩემთვის სრულიად ახალი სფერო ფსიქოლოგიაში თხრობაზე, ამბებსა და მონათხრობში საკუთარი თავის შექმნაზე. ისიც აღმოვაჩინე, რომ ჩვენთან, საქართველოში, არავის არაფერი დაენერა და გაეკეთებინა ამ მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით. ცნებები, თეორიები და ავტორები, ფაქტობრივად, ახალი და უცნობი იყო ქართველი ფსიქოლოგებისათვის. ასე დავინწყე ძებნა, კითხვა, და ნელ-ნელა გაჩნდა და განვითარდა კვლევის საკმაოდ ამბიციური გეგმა, რომელსაც დღემდე მივყავი. ამ გეგმის განხორციელებაში სამი დიდი კვლევითი გრანტი დამეხმარა – ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდის დოქტორანტურის შემდგომი ორწლიანი კვლევითი გრანტი, რომლის ფარგლებშიც პირველი ნარატიული კვლევა ჩატარდა და ქეით მაკლინი გავიცანი; ფულბრაიტის კვლევითი გრანტი, რომელმაც ქეითთან თანამშრომლობის გაგრძელების საშუალება მომცა, და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერის კვლევითი გრანტი, რომლის ფარგლებშიც და ფინანსური მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა კვლევის რამდენიმე შემდგომი სერიის ჩატარება და ამ ნაშრომის შექმნა.

მადლობა

ამ ნაშრომის იდეა დღეს და გუშინ არ გაჩენილა. ის სტუდენტებთან, ქართველ და უცხოელ კოლეგებთან და კვლევის მონაწილეებთან რვანლიანი ურთიერთობისა და ნარატიულ ფსიქოლოგიაში მუშაობის შედეგია. ამიტომ მინდა, მადლობა ვუთხრა უკლებლივ ყველა სტუდენტს, რომლებიც საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ლექციებისა და სემინარების მსვლელობისას, ღიად გადმოსცემდნენ საკუთარ პოზიციას; კოლეგებს, რომლებთან საუბარშიც დაბადებულა იდეები და მოსაზრებები კვლევის შესახებ; კვლევის მონაწილეებს, რომლებმაც თავიანთი დრო, ენერგია და ემოცია დაუთმეს ჩემსა და ჩემი კვლევის ასისტენტებთან ურთიერთობას, და უანგაროდ, გულწრფელად გაგვიზიარეს თავიანთი ცხოვრების ისტორია; ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც მოთმინებით ეკიდებიან ჩემს საქმიანობას და ყველანაირად მეხმარებიან. თუმცა არის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ჩემი ნარატიული ეკოლოგიისა და იდენტობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, რომელთაც განსაკუთრებულად ვემადლიერები.

პირველ ყოვლისა, გამორჩეული მადლობა და უღრმესი პატივისცემა ქალბატონ მარინე ჩიტაშვილს, ჩემს მასწავლებელს და ამ ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორს, რომელმაც ყველაზე დიდი ნვლილი შეიტანა ჩემი, როგორც ფსიქოლოგისა და პიროვნების, ჩამოყალიბებაში; მასწავლა მასშტაბური აზროვნება, „საკუთარ თავში ყურება“ და ნებისმიერი ავტორიტეტის ეჭვქვეშ დაყენება საკუთარი არგუმენტირებული ნააზრევის სასარგებლოდ.

ჩემი ღრმა პატივისცემა და მადლობა ჩემს კოლეგასა და ამ ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორს, ქალბატონ ლალი სურმანიძეს, რომლის უკიდევანო და სიღრმისეული ცოდნა მუდმივი შთაგონების წყაროა ჩემთვის, მისი კომენტარები, შენიშვნები და მოსაზრებები კი მუდმივი გაუმჯობესებისა და სწავლისკენ მიბიძგებს.

დიდი მადლობა ჩემს ქართულის მასწავლებელს, ქალბატონ ლია ბიგვავას: მან ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ჩამინერგა თავის რწმენა, რომ ნამდვილად შემეძლო წერა და აუცილებლად უნდა გამომეყენებინა ეს უნარი მომავალში. ასევე, განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება ქალბატონ ლიკა კაჭარავას, რომელიც წლების განმავლობაში ასწორებდა ჩემს ნაწერებს. მან ნელ-ნელა მასწავლა ის გზები, რომლებიც შესაძლებლობას მაძლევს, ჩემი დანერგილი ტექსტი კარგად იკითხებოდეს.

უდიდესი მადლობა ჩემს კოლეგასა და მეგობარს, ქეით მაკლინს იმისათვის, რომ პირადად გამაცნო „ნარატივისტთა მთელი გუნდი“. ბელინგემის (ვაშინგტონის შტატი, აშშ) **Woods Coffee**-სა და **Adagio**-ში მასთან ერთად გატარებულმა უამრავმა საათმა ჩამომაყალიბა ნარატივის მკვლევრად და საკუთარი თავი მაპოვნინა კვლევის უკიდევანო სივრცეში. ასევე, უდიდესი მადლობა დენ მაკადამსს უშუალო, ღია, კეთილგანწყობილი და ხალისიანი საუბრებისთვის, იდეებისა და ნახალისებისთვის, რადგან მისგან მიღებული უკუკავშირი უდიდესი მოტივატორი იყო ჩემთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს – სხვადასხვა დროს წლების განმავლობაში ჩემს შეუცვლელ ასისტენტებსა და დამხმარეებს: ანა შავგულიძეს, ჩემს უკონკურენტო და ერთგულ ინტერვიუერსა და ასისტენტს; ნინო გუგუშვილს სხარტი, დროული და უაღრესად კრეატიული კომენტარებისათვის; ნინი გენძეხაძესა და ნუცა კუპრავას პრაქტიკულად იდეალურად შესრულებული კოდირებებისა და საინტერესო იდეებისათვის კვლევის მასალაზე მუშაობისას. გამორჩეული მადლობა თანამოაზრეობისთვის ამჟამინდელ ასისტენტებს, კოლეგებს, მეგობრებსა და უბრალოდ საინტერესო ადამიანებს – გიორგი ჭუმბურიძეს, თამარ ჯანანაშვილსა და მარიამ გოგიჩაიშვილს ცხარე კამათში გატარებული მრავალი საათისათვის, მხარდაჭერისათვის, კრიტიკისა და დახმარებისათვის. მათ გარეშე უბრალოდ ვერ შევძლებდი წლების განმავლობაში ზღვა მოცულობის სამუშაოს შესრულებასა და ამ ნაშრომისთვის დასრულებული სახის მიცემას.

ძლიერი ფსიქიკით არ იბადებიან. ყველა თავის თავს ქმნის. ალბათ, მე ესეთი შევქმენი ჩემი თავი იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გადავიტანე (მამაკაცი, 35)

როგორც ტილმან ჰაბერმასი (2019) წერს, ნარატივი კომპლექსური ლინგვისტური პროდუქტი და კომუნიკაციის პროცესია და მისი კვანტიფიკაცია არ არის ადვილი ამოცანა. ამიტომ ფსიქოლოგია ნელ-ნელა აღიარებს მის ინტეგრაციულ პოტენციალს. ამის ერთ-ერთ დასტურს ნარატიული ფსიქოლოგიის არსებობა წარმოადგენს, რომელიც ჰერმენევტიკულ და იდეოგრაფიულ პოზიციას ეფუძნება (Habermas, 2019).

ადამიანები ამბებს ვყვებით და, ამავდროულად, ის ამბები ვართ, რომლებსაც ვყვებით. კლასიკური ფსიქოლოგიის კორიფემ, უილიამ ჯემსმა (1890) თავის ყველაზე ცნობილ ნაშრომში ორი „მე“ (I და me) განასხვავა ერთმანეთისგან. ჯემსი რომ ნარატივის მკვლევარი ყოფილიყო, პირველი „მე“ მისთვის *მთხრობელი* იქნებოდა, მეორეკი – *მთხრობილი ამბავი*, ცნობიერების ნაკადი. რა არის ცნობიერება, თუ არა გამოცდილების შინაგანი თხრობა?

სწორედ ეს შინაგანი თხრობის პროცესი და ამ პროცესის წარმმართველი ძალა აინტერესებს ნარატიულ ფსიქოლოგიას. ნარატივის მკვლევარი ფსიქოლოგები სწავლობენ, როგორ ახერხებენ ადამიანები საკუთარი ცხოვრების თხრობაში განლაგებას, ლოგიკური კავშირების დანახვასა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის იმგვარად ინტეგრირებას თხრობის პროცესში, რომ, ერთი მხრივ, პერსონალური უწყვეტობის განცდა შეინარჩუნონ და, მეორე მხრივ, მუდმივად განვითარდნენ და მოერგონ ცვალებად რეალობას, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ცხოვრობენ, და თან ცხოვრების მიზანი და საზრისიც არ დაკარგონ.

შესაბამისად, ჩემი შეხედულება ასე შეიძლება წარმოვადგინო:

- მე, როგორც პიროვნება, თხრობაში ვიქმნები ანუ ჩემი ამბის თხრობისას ვქმნი საკუთარ თავს;
- ტრანფორმაციული გამოცდილება მნიშვნელოვანი წყვეტის საფრთხეს უქმნის ჩემს ამბავს, და ჩემი ამოცანა ამ დროს უწყვეტობის განცდის შენარჩუნებაა;
- ჩემი ამბის მოყოლისას მხოლოდ „ჩემს“ ამბავს არ ვყვები. ჩემი ენით „ჩემი“ ხალხი ლაპარაკობს;

- ეს „ჩემი“ ხალხი შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს „ჩემი“ და მივხვდეთ, რომ ახალი „ჩემი“ უნდა შევქმნა ან ვიპოვო იმისათვის, რომ შევთანხმდე როგორც საკუთარ თავთან, ისე – იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ვცხოვრობ.

ნაშრომი სამ ნაწილად გაერთიანებული ცხრა თავისგან შედგება. პირველი ნაწილი თეორიულ ჩარჩოს ეთმობა და ჩემ მიერ გამოყენებულ ყველა ძირითად ცნებას, კონსტრუქტსა და მიდგომას მოიცავს. პირველ თავში ორ ძირითად ცნებას მიმოვიხილავ. ესაა პიროვნება, როგორც მას მაკადამისი ხედავს სამმაგი ა-ს მოდელის სახით, და იდენტობა, როგორც ინდივიდის მიერ სოციო-კულტურულ გარემოსთან ინტერაქციის პროცესში კონსტრუირებული ერთიანობა. მეორე თავში მოკლედ არის მიმოხილული ნარატივი, როგორც იდენტობისა და პიროვნების განვითარების პროცესი და პროდუქტი. მესამე თავი ნარატიული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა და განხილულია ნარატივის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, კვლევაში გამოყენების საკითხები. კერძოდ, გამოყოფილი და აღწერილია ოთხი ძირითადი ასპექტი: ნარატიული კითხვების დასმა, ნარატივის მისაღებად მონოდებული ინსტრუქციების შექმნა, ნარატივების შეგროვება და ნარატივების კოდირება. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომის ეს თავი ერთგვარი პრაქტიკული გზამკვლევიცაა დამწყები მკვლევრებისთვის.

მეორე ნაწილში გაერთიანებულ სამ თავში ცხოვრების ისტორიების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. მიმოვიხილავთ, როგორ, როდის და რატომ ვინცებთ საკუთარი თავის შესახებ ამბის თხრობას და როგორ ვახერხებთ იმას, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში ვიზრდებოდეთ, ვვითარდებოდეთ, ვიცვლებოდეთ და, ამავდროულად, უწყვეტობისა და უცვლელობის განცდას ვინარჩუნებდეთ. მეოთხე თავში მოკლედ აღვწერთ იმ გარემოს, რომელშიც ინდივიდის იდენტობა ვითარდება. შემდეგ განვიხილავთ თხრობის, როგორც საკუთარი თავის ანუ ნარატიული იდენტობის, შექმნის პროცესს, რომელიც სხეულის, გონებისა და საზოგადოების დონეზე მიმდინარეობს. ასევე, მიმოვიხილავთ ნარატივის თხრობის პროცესსა და სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცვლადებს. მეხუთე თავი ნარატიული იდენტობის სტაბილობისა და ცვალებადობის საკითხს ეძღვნება. მასში მოკლედ არის ასახული ნარატივის კომპონენტების ცვლილების დინამიკა. მეექვსე თავი ნარატიული იდენტობისა და ისეთი ტრანსფორმაციული გამოცდილებების ურთიერთმიმართე-

ბას შეეხება, როგორებიცაა იძულებით ადგილნაცვალობა საომარი მოქმედებების შემდეგ, ქამინგაუთი¹ არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების ცხოვრებაში და პენიტენციალურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება ყოფილი პატიმრებისთვის.

მესამე ნაწილი პიროვნებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების კონტექსტში ტრანსფორმაციების ამბებს შეეხება. შესაბამისად, მეშვიდე და მერვე თავში მაკლინისა და საიედის (2016) მასტერნარატივის ინტეგრაციულ ჩარჩოს მიმოვიხილავთ. გავეცნობით მის განმსაზღვრელ კრიტიკრიუმებსა და ნაირსახეობებს, შემდეგ კი ალტერნატიული ნარატივის ცნებასა და ალტერნატიული ნარატივის მრავალფეროვნების საკითხს შევეხებით. მეცხრე თავი მასტერ და ალტერნატიული ნარატივებისა და გენერაციულობის, როგორც სოციუმში ინტეგრირებული პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების, ურთიერთმიმართებას ეძღვნება. კერძოდ, ჯერ გენერაციულობის ცნებასა და გენერაციული მოზრდილისთვის დამახასიათებელი თხრობის კრიტიკრიუმებს შევეხებით, შემდეგ კი ტრანსფორმაციული გამოცდილების შედეგად მიღწეული პოსტტრავმული ზრდის, ალტერნატიული მასტერნარატივისა და გენერაციულობის ურთიერთმიმართებაზე ვისაუბრებთ.

¹ **Coming out of closet** (ინგლ.) – ქამინგაუთი ნიშნავს როგორც საკუთარი თავის წინაშე აღიარებას და იდენტიფიცირებას არაჰეტეროსექსუალად და/ან ტრანსსექსუალად, ისე ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას (გაბუნია & ვაჭარაძე, 2013).

სივრცე, რომელშიც ვმოძრაობთ

1. პიროვნება და იდენტობა

თითოეული ადამიანი გარკვეული ასპექტებით ჰგავს ყველა სხვა ადამიანს, ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგავს არც ერთ სხვა ადამიანს (Kluckhohn & Murray, 1953).

ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ პიროვნებაზე საუბრისას, ასეთია: რა განსხვავებაა პიროვნებასა და იდენტობას შორის? ეს ორი განსხვავებული რამ არის, თუ ერთსა და იმავეს აღნიშნავს? პიროვნება იდენტობის ნაწილია, თუ პირიქით? უცნაურია, მაგრამ ამ კითხვებზე ჯერ კიდევ არავის გაუცია პასუხი (Syed, 2017) იმის მიუხედავად, რომ პიროვნება და იდენტობა ყოველთვის წარმოადგენდა ყველაზე გავლენიანი ფსიქოლოგების ინტერესის საგანს (მაგალითად, იხ. Erikson, 1968; James, 1890).

1.1. პიროვნება: სამმაგი „ა“-ს მოდელი

პიროვნებისა და იდენტობის ცნებების განხილვას პიროვნებაზე საუბრით დავიწყებთ. სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა *პიროვნების* მხოლოდ *პიროვნულ ნიშნებთან* გაიგივება. მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ შეუფასებელი წვლილი შეიტანა დიდი ხუთეულის მოდელის განვითარებამ ნიშნების ფსიქოლოგიურ კვლევაში (Caspi, Roberts & Shiner, 2005), პიროვნება ყოველთვის იყო, არის და იქნება მრავალშრიანი სისტემა, გაცილებით მეტი, ვიდრე რაიმე ნიშანთა კრებული (McAdams & Olson, 2010).

პიროვნების ნიშნებთან გაიგივების ტენდენციის საპირისპიროდ, მაკადამსმა (1995) პიროვნების გაგების სამდონიანი სამუშაო ჩარჩო შემოგვთავაზა: ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები და ცხოვრების მაინტეგრირებელი ისტორია. ეს სამი დონე სრულად შეესაბამება პიროვნების ფსიქოლოგიაში უკვე კლასიკად ქცეულ გამონათქვამს, რომ თითოეული პიროვნება ჰგავს ყველა სხვა პიროვნებას, ზოგიერთ სხვა პიროვნებას და არ გავს არც ერთ სხვა პიროვნებას (Kluckhohn & Murray, 1953).

ნარატიულ კვლევებზე, დიდი ხუთეულის ნიშნებსა და დარგის უახლეს ტენდენციებზე დაყრდნობით, მაკადამსმა და პალსმა (McAdams & Pals, 2006) გააფართოვეს მოდელი და პიროვნების ფსიქოლოგიისთვის ინტეგრაციული კონცე-

პტუალური ჩარჩო შემოგვთავაზებს, რომელიც ხუთი ფართო და ურთიერთდაკავშირებული ცნებით აღიწერება. ეს არის: ევოლუცია, ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები, ცხოვრების ნარატივები და კულტურა. მაკადამსს და პალსს პიროვნება ესმით, როგორც (ა) ადამიანის ბუნების ზოგადი ევოლუციური წყობის უნიკალური ინდივიდუალური ვარიაცია, რომელიც მოიცავს (ბ) დისპოზიციურ ნიშნებს, (გ) დამახასიათებელ ადაპტაციებსა და (დ) „მე“-ს განმსაზღვრელ ცხოვრების ნარატივებს, რომლებიც კომპლექსურად და სიტუაციურად მოთავსებულია (ე) კულტურასა და სოციალურ კონტექსტში (McAdams & Pals, 2006, გვ. 204).²


მიუხედავად ვრცელი ხუთდონიანი მოდელის მრავალმრიანობისა და სიფართოვისა, პიროვნების თანამედროვე კვლევები, უპირატესად, მაინც თავდაპირველ სამდონიან მოდელს ეყრდნობა, და ამიტომ ჩვენც სწორედ ამ მოდელზე ვისაუბრებთ.

მას შემდეგ, რაც მაკადამსმა მოდელი პირველად შემოგვთავაზა, 25 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი კვლევა განხორციელდა და სოლიდური მოცულობის ემპირიული მასალა დაუგროვდათ თეორიის ავტორს, მის თანამშრომლებსა და თანამოაზრეებს. სამშრიანი მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი პირველად 2010 წელს გამოჩნდა (McAdams & Olson, 2010; McAdams, 2013), რომელსაც *სამმაგი „ა“-ს* მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ.

მაკადამსი ნიშნების, მიზნებისა და ცხოვრების ისტორიის შრეებს განვითარების ქრილში ათავსებს და უფრო თანამიმდევრულად და ინტეგრირებულად წარმოადგენს (**სურათი N 1.1**). მას მიაჩნია, რომ „მე“ (self), სულ მცირე, სამი განსხვავებული ფსიქოლოგიური მასალისგან ანუ შინაარსისგან შედგება, რომელთაგან თითოეული აკონკრეტებს, რა შეიძლება დავინახოთ და გავიგოთ, როცა „საკუთარ თავში ვიყურებით“. ადამიანის პიროვნების შესწავლის სამკომპონენტიან თეორიულ ჩარჩოზე (McAdams, 2019; McAdams & Olson, 2010; McAdams & Pals, 2006) დაყრდნობით, თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანები საკუთარ თავს სამი განსხვავებული ფსიქოლოგიური პოზიციიდან აღიქვამენ და ხედავენ. ისინი არიან აქტორები, აგენტები და ავტორები (იხ.

² დანვრილებით იხ. ხეჩუაშვილი, 2021.

ხსრილი N 1.1). ამასთან, თითოეული მათგანი ფსიქოლოგიური „მე“-ს თითო



სურათი N 1.1. „მე“-ს სამი შრე დროში განვითარების მიხედვით

კომპონენტს ან შრეს (ზოგადად, დისპოზიციურ ნიშნებს, მიზნებს და ცხოვრების ისტორიებს) შეესაბამება, რომლებიც განვითარების პროცესში სხვადასხვა დროს აღმოცენდებიან და განვითარების საკუთარ ტრაექტორიას მიჰყვებიან ადამიანის ცხოვრების განმავლობაში.

პირველი შრე (A-I) შეესაბამება „მე“-ს, როგორც სოციალურ აქტორს. ეს არის ნიშნების, სოციალური როლებისა და „მე“-ს სხვა მახასიათებლების სემანტიკური რეპრეზენტაციები, რომლებიც ცხოვრების სოციალურ სცენაზე მრავალჯერ განმეორებადი მოქმედებების შედეგად წარმოიქმნება და ვითარდება. „მე“-ს, როგორც აქტორს, ზემოდან ეფინება „მე“, როგორც მოტივირებული აგენტი. ეს შრე მოიცავს პიროვნულ მიზნებს, მოტივებს, ღირებულებებს, იმედებს, შიშებსა და სხვა მახასიათებლებს, რომლებიც პიროვნების მიერ ცხოვრებისეულ მიზნებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და არჩევანს აერთიანებენ. „მე“ თავდაპირველად წარმოიქმნება, როგორც სოციალური აქტორი, მაგრამ შემდგომ, როცა ადამიანი შუა ან გვიანი ბავშვობის ხანას აღწევს, მოტივირებული აგენტიც (A-II) ჩნდება. მოგვიანებით პირველ ორ შრეს – სოციალურ აქტორსა და მოტივირებულ აგენტს – ეფინება მესამე, ავტობიოგრაფიული ავტორი (A-III). ეს არის „მე“, როგორც მთხრობელი, რომლის საბოლოო მიზანიც „მე“-ს შესახებ ეპიზოდური ინფორმაციის დახვეწა და სინთეზირებაა, რათა თანამიმდევრული და ინტეგრაციული ცხოვრების ისტორია მივიღოთ (McAdams, 2013).

ხსრილი N 1.1. ფსიქოლოგიური „მე“-ს მახასიათებლები მაკადამსის მოდელის მიხედვით

მახასიათებელი	„მე“ როგორც...		
	აქტორი	აგენტი	ავტორი
„მე“-ს შინაარსები	სოციალური როლები, უნარები, ნიშნები, სოციალური რეპუტაცია	პიროვნული მიზნები, გეგმები, ღირებულებები, იმედები და შიში	ცხოვრების ნარატივი
„მე“-ს განსაზღვრის მექანიზმები	„მე“-ს ატრიბუცია და კატეგორიზაცია, რომელიც სოციალურ აქტივობაზე დაკვირვებებს ეყრდნობა	ცხოვრების მიზნების ძიება და ერთგულება, დაგეგმვა, სამომავლო ინვესტიციების პრიორიტეტების შერჩევა	ავტობიოგრაფიული მსჯელობა, ცხოვრების ინტეგრაციული ისტორიის აგება
დროის მომენტი	ანმყო	ანმყო და მომავალი	წარსული, ანმყო და მომავალი
ფსიქოსოციალური პრობლემა	თვითრეგულაცია	თვითპატივისცემა	„მე“-ს უწყვეტობა
განვითარების პერიოდი	2-3 წელი, ადრეული ბავშვობა	7-9 წელი, შუა და გვიანი ბავშვობა	15-25 წელი, მოზარდობა და ფორმირებადი/განვითარებადი მოზრდილობა
კულტურის მიერ უზრუნველყოფილია	შესრულების ნორმები, თავის გამოვლენის წესები, ქცევის შეზღუდვები	მიზნის შინაარსის სკრიპტები, დროის განრიგი და მიზნის მიდევნება/უარის თქმა მიზანზე, მოტივაციური შეზღუდვები	ხატების, მეტაფორებისა და ცხოვრებისთვის სკრიპტების მენიუ, ³ ნარატიული შეზღუდვები

წყარო: ადაპტირებულია McAdams, 2013.

³ ეს პირადად მაკადამსის მოსაზრებაა. ნარატივის ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს მას.

ფორმირებადი მოზრდილობის⁴ ასაკიდან (McLean, 2016; Arnett, 2000) ავტობიოგრაფიული ავტორი ცხოვრებისთვის საზრისის მქონე ნარატივს ქმნის, ახდენს რა რეკონსტრუირებული წარსულისა და წარმოსახული მომავლის ეპიზოდების იმგვარ ინტეგრაციას, რომ საკუთარ თავსა და სხვებს აუხსნას, რატომ აკეთებს აქტორი იმას, რასაც აკეთებს, რატომ სურს აგენტს ის, რაც სურს, და ვინ იყო, არის და იქნება სელფი (Self)⁵, როგორც დროში განვითარებადი პიროვნება (McAdams & Cox, 2010).

განვითარების თვალსაზრისით, მოდელი (სურათი N 1.1) ასე გამოიყურება: „მე“ ცხოვრებას იწყებს, როგორც სოციალური აქტორი, რომელიც ცდილობს, თავი ისე დაარეგულიროს, რომ ცხოვრების სოციალურ სცენაზე ეფექტურად ფუნქციონირებდეს „აქ და ამჟამად“. მას არასოდეს ავინყება, რომ სოციალური აქტორია, თუმცა, პიროვნების ზრდასთან ერთად, შუა და გვიან ბავშვობაში „მე“ თანდათანობით საკუთარ თავს მოტივირებულ აგენტადაც აღიქვამს, რომელიც წინ იყურება, მომავალზეა ორიენტირებული და, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრავს პიროვნულ მიზნებს, ღირებულებებსა და სხვა წინასწარ განჭვრეტილ საბოლოო დანიშნულების პუნქტებს. მიზნისკენ წარმატებული სვლა საფუძვლად ედება თვითპატივისცემას, როგორც ჯერ კიდევ ჯემსი (1890) ამბობდა. გვიანი მოზარდობისა და მოზრდილობის ხანაში აქტორსა და აგენტს ავტობიოგრაფიული ავტორიც უერთდება. ამ პერიოდში „მე“ (I) მიზნად ისახავს საკუთარი თავის (Me)

⁴ **Emerging adulthood** – არნეტის (2000) მიერ ოცი წლის წინ შემოთავაზებული ახალი კონცეფცია ადამიანის განვითარებისა, რომელიც მოიცავს 16-29 წლის პერიოდს და, განსაკუთრებით, 18-25 წლის ასაკზე ამახვილებს ყურადღებას. მოდელის ავტორის მტკიცებით, ფორმირებადი მოზრდილობა (განსაკუთრებით, დასავლურ კულტურებში), დემოგრაფიულად, სუბიექტურად და იდენტობის ძიების თვალსაზრისით, გამორჩეული პერიოდია ადამიანის განვითარებაში და ეს ემპირიულადაც დასტურდება. მოდელში აღწერილია, როგორ განსხვავდებიან ფორმირებადი მოზრდილები მოზარდებისა და ახალგაზრდა მოზრდილებისგან და რა კულტურალური მახასიათებლები მონაწილეობენ მათ განვითარებასა და ფორმირებაში (დანვრილებით იხ. Arnett, 2000).

⁵ **სელფი (Self)** – (საკუთარი პიროვნება) ადამიანის მიერ თავისი თავის გარემოდან გამოყოფის უნარი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, თავი განიცადოს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობების, ქცევისა და პროცესების სუბიექტად წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ. ტერმინი აქტიურად გამოიყენება სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. სელფი (Self) მოიცავს (ა) წარმოდგენას, „როგორი ვეჩვენები სხვა ადამიანს“, (ბ) წარმოდგენას, „როგორ აფასებს სხვა ჩემს ხატს“, აქედან გამომდინარე, (გ) სპეციფიკურ განცდას – „თვითპატივისცემას“ (სიამაყე ან დამცირება). სელფი (Self) არის ადამიანში სოციალურისა და ინდივიდუალურის სინთეზი, საზოგადოებასთან მისი ინტერაქციის გარანტიცა და შედეგიც (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, გვ. 272).

შესახებ ისტორიის შექმნას, რათა პიროვნული წარსულის, ანმეოსა და მომავლის ინტეგრაცია მოახდინოს (Habermas & Bluck, 2000; McAdams, 1985). ამ ეტაპზე ცენტრალური პრობლემა „მე“-ს უწყებობა ხდება: გუშინდელი „მე“ როგორ იქცა დღევანდელ „მე“-დ და როგორ მიგვიყვანს ყველაფერი ეს ხვალინდელ წინასწარ წარმოსახულ „მე“-სთან (Addis & Tippett, 2008).

1.1.1. I ა(ქტორი) – ნიშნები

პიროვნების ყველაზე ბაზისურ შრეს ნიშნები (A-I) ქმნის. ეს შედარებით სტაბილური ინდივიდუალური განსხვავებების კონტექსტისგან დამოუკიდებელი აღწერაა და, როგორც წესი, დიდი ხუთეულის ტაქსონომიას (ნევროტიზმი ანუ ემოციური სტაბილურობა, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კეთილგანწყობა და პატიოსნება) მოიაზრებს. ეს სწორედ ის უაღრესად განზოგადებული მოდელია, რომელიც კარგად ხსნის დიდი რაოდენობით ინდივიდუალური განსხვავებების კოვარიაციას (Caspi, Roberts, & Shiner, 2005; DeYoung, 2015). ნიშნები შედარებით სტაბილურია, თუმცა, ფაქტობრივად, მაინც იცვლებიან ცხოვრების განმავლობაში და სხვადასხვა ზემოქმედების საპასუხოდ (Roberts, Luo, Briley, Chow, Su, & Hill, 2017; Roberts & Mroczek, 2008).

ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ დიდ ხუთეულს ნიშნების ტაქსონომიას ვუწოდებთ, თუმცა, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ეს ნიშნების იერარქიული ტაქსონომიაა, რადგან დიდი ხუთეული მრავალდონიანი იერარქიული საკლასიფიკაციო სისტემის მხოლოდ ერთი დონეა (Costa & McCrae, 1995; DeYoung, Quilty & Peterson, 2007). იერარქიაში ერთი დონით ზემოთ თუ გადავინაცვლებთ, ორი მეტანიშანი – სტაბილურობა და პლასტიკურობა – გვექნება (DeYoung, 2010). *სტაბილურობა* კონსისტენტურობის, სანდობისა და ნორმატიულობის ტენდენციას გამოხატავს და განისაზღვრება, როგორც ნევროტიზმის/ემოციური სტაბილურობის, კეთილგანწყობისა და პატიოსნების ერთობლივი ცვალებადობა, *პლასტიკურობა* კი ექსტრავერსიისა და გამოცდილებისადმი ღიაობის ერთობლივი ცვალებადობაა და დინამიკურობისკენ, სიახლისა და ადაპტაციურობისაკენ მიდრეკილებას გამოხატავს. ეს ორი მეტანიშანი წარმართავს ინდივიდის მიზანზე ორიენტირებულ ქცევას: სტაბილურობა ხელს უწყობს ერთიანი ფუნქციონალური სისტემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას, პლასტიკურობა კი მიზნებისკენ სვლის პროცესში გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარს განამტკიცებს (DeYoung, 2010; Kunnen & Metz, 2015).

იერარქიის მესამე დონეზე, უშუალოდ დიდი ხუთეულის ნიშნების ქვემოთ, *ათი ასპექტია* განლაგებული (DeYoung, et. al., 2007). თითოეულ ნიშანს ორ-ორი, ერთმანეთისაგან პოტენციურად განსხვავებული ასპექტი შეესაბამება და გარკ-

ვეულნილად არბილებს ხისტ ხუთფაქტორიან მოდელს. იერარქიის მეოთხე დონეს *მახასიათებლები*⁶ ქმნიან (Costa & McCrae, 1995). მახასიათებლები ძალზე სპეციფიკური ნიშნებია, ამიტომ უცნობია, რამდენ მახასიათებელს აერთიანებს თითოეული ასპექტი. ამასთან, თითოეული მახასიათებელი, თავის მხრივ, შეიძლება ვარირებდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ვიწრო და სპეციფიკურია ის, რაც იერარქიის მეხუთე დონეს ქმნის (Syed, 2017). მაგალითად, დისციპლინირებულობა, რომელიც შრომისმოყვარეობის ასპექტია, მეხუთე დონის ნიშანია, პატიოსნების სფეროს განეკუთვნება და სტაბილურობის მეტანიშანს შეესატყვისება, თუმცა დისციპლინირებულობა კიდევ შეიძლება დავინროვდეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მიხედვით, მაგალითად, შეგვიძლია ვისაუბროთ აკადემიურ დისციპლინირებულობაზე, რაც საკმაოდ განსხვავდება დისციპლინირებულობის სხვა ისეთი ფორმებისაგან, როგორებიცაა ფინანსური ან რომანტიკული (Jung, 2013).

ნიშნების იერარქიაზე რაც უფრო ქვემოთ ჩავინაცვლებთ, მით მეტად მიუახლოვდებით მაკადამსის (1995) მოდელის მეორე შრეს, რომელსაც მან თავდაპირველ მოდელში დამახასიათებელი ადაპტაციები უწოდა.

1.1.2. II ა(გენტი) – დამახასიათებელი ადაპტაციები

თუ დისპოზიციური ნიშნები პიროვნების ზოგად მონახაზს იძლევიან, დამახასიათებელი ადაპტაციები (A-II) ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტიკაზე მიგვითითებენ: კონკრეტულ სიტუაციებში ქცევის რა ტენდენციებით ხასიათდება პიროვნება; როგორ უმკლავდება გარკვეული სახის სტრესს; ყველაზე მეტად რაზე ფიქრობს ცხოვრების მოცემულ ეტაპზე. დამახასიათებელი ადაპტაციები ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის მრავალი დეტალის შესახებ გვანვდიან ინფორმაციას და სიტუაციურ კონტექსტსა და იდეოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებულ, პიროვნების უფრო კონკრეტულ ასპექტებს წარმოადგენენ. ეს გულისხმობს მოტივაციურ, სოციალურ-კოგნიტიურ და განვითარების საკითხებს (McAdams & Pals, 2006), შესაბამისად, მათ რიცხვში შედის დამახასიათებელი მოტივები, მიზნები, მისწრაფებები, ინტერესები, დამოკიდებულებები, ღირებულებები, დაძლევის უნარები, დაცვის მექანიზმები, ურთიერთობის სტილ(ებ)ი, სოციალური სქემები, განვითარების ეტაპებისთვის დამახასიათებელი ნუხილ(ებ)ი და სფეროსთვის სპეციფიკური რეაქციის პატერნები.

დამახასიათებელი ადაპტაციები მიგვითითებენ, თუ რა სურთ ან არ სურთ ადამიანებს, როგორ აპირებენ ამ სასურველის მიღწევას ან არასასურველისთვის

⁶ Facets.

თავის არიდებას კონკრეტულ სიტუაციებში, ცხოვრების კონკრეტულ დროს და/ან კონკრეტული სოციალური როლის ფარგლებში (ხეჩუაშვილი, 2021). მართალია, ამ შრის ანალიზს, პიროვნების გაგების მიზნით, ცენტრალური ადგილი უკავია, მაინც გარკვეულწილად ბუნდოვანია და შეიძლება იმასაც მოიცავდეს, რაც „არ არის ნიშნები“.

დამახასიათებელი ადაპტაციების კვლევის მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია დეიანგის (2015) შრომა, რომელმაც დაუშვა, რომ დამახასიათებელი ადაპტაციები შეიძლება ვუნოდოთ მიზნებს, ინტერპრეტაციებსა და სტრატეგიებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იგი ამტკიცებს, რომ, ნიშნებისგან განსხვავებით, დამახასიათებელი ადაპტაციები კულტურულად ინვარიანტული ანუ უნივერსალური კი არ არიან, არამედ მოცემული კულტურის სპეციფიკურ მოთხოვნებზე რეაქციებს წარმოადგენენ.

1.1.3. III ა(ვტორი) – ინტეგრირებული ცხოვრების ისტორია

დისპოზიციური ნიშნები და დამახასიათებელი ადაპტაციები ვერაფერს გვამცნობს ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობის/შინაარსის/საზრისის შესახებ. ეს ინტეგრირებული ცხოვრების ისტორიის (A-III) საქმეა. ეს არის ერთიანი ნარატივი, რომელიც პირადი წარსულის შესახებ მოყოლილი ამბებისაგან შედგება. ნარატიულ ფსიქოლოგიას აინტერესებს, როგორ მსჯელობენ ადამიანები წარსული გამოცდილების შესახებ და როგორ მიემართებიან ეს ამბები გარკვევის მიზნებისკენ (McAdams, 2013). ინტეგრირებული ცხოვრების ისტორია ის ინტერნალიზებული და მუდმივად განვითარებადი საავტორო ნარატივია, რომელსაც ადამიანი საკუთარი დროში განფენილი ცხოვრებისთვის საზრისისა და მიზნის მისანიჭებლად აგებს.

ნიშნებისა და დამახასიათებელი ადაპტაციებისაგან განსხვავებით, ინტეგრირებული ცხოვრების ისტორია კარგად გამოკვეთს ინდივიდის მიერ განვლილ გზას. მასში ისეა ჩაშენებული პიროვნული ნიშნები და დამახასიათებელი ადაპტაციები, რომ ეს უნიკალურ ერთიანობას ქმნის, თუმცა მაინც მნიშვნელოვნად პროგნოზირებადია მთელი ცხოვრების განმავლობაში (Josselson & Flum, 2015). ამრიგად, მესამე დონე პიროვნების უაღრესად იდეოგრაფიული დონეა და მის უნიკალურობაში გარკვევას ესწრაფვის.

სწორედ ინტეგრირებული ცხოვრების ნარატივის დონეა ის სივრცე, რომელიც ნარატიული ფსიქოლოგიის უპირველეს ინტერესსა და წარმოდგენილი ნაშრომის ფართო თეორიულ სივრცეს ქმნის. ყველა ცნება, კონსტრუქტი, ცვლადი თუ ინტერპრეტაცია, რომელიც ამ ნაშრომშია მოცემული, პიროვნების ნარატიული ხედვის სამდონიან სოციალურ-კონსტრუქციულ ჩარჩოშია მოქცეული. აქვე თავსდება კვლევის მეთოდოლოგიაცა და მონაცემების დამუშავებისადმი მიდგომა.

1.2. იდენტობა: თეორია და განვითარება

სამდონიანი თეორიული ჩარჩო უკიდურესად მოხერხებულია პიროვნების ბუნებასა და სტრუქტურაზე საუბრისას, და უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა მისი ამ მიზნით გამოყენება (Syed, 2017), თუმცა, სად არის იდენტობა ამ სისტემაში? ერთი შეხედვით, მასში არ უნდა იძებნებოდეს იდენტობის ადგილი, თუმცა, თუ პიროვნების მაკადამსისა და პალსისეულ (2006) განმარტებას მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ იდენტობა „მე“-ს (self) გაცილებით სპეციფიკური ასპექტია და, მაშასადამე, შესაძლებელია მისთვის პიროვნების მრავალდონიან სისტემაში ადგილის პოვნა. იდენტობის თითქმის ნებისმიერი ფსიქოლოგიური განმარტება გვეუბნება, რომ ეს საკუთარი „მე“-ს ცხადად გაცნობიერებულობაა, საკუთარ თავში გარკვეული რეფლექსია და ერთგვარი პიროვნული სიცხადე იმის შესახებ, თუ ვინ ვართ, ვიყავით, ვიქნებით და უნდა ვიყოთ (მაგალითისთვის, იხ. Ashmore, Deaux, & McLaughlin-Volpe, 2004; Umaña-Taylor et al., 2014; Verkuyten, 2016; Way, Santos, Niwa, & Kim-Gervey, 2008). გარდა ამისა, იდენტობის ნებისმიერ განმარტებაში ცენტრალურ კომპონენტს ცვლილება ანუ სიტუაციური ცვალებადობა წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ იდენტობა არ არის იგივე, რაც შედარებით სტაბილური პიროვნული ნიშნები.

ამრიგად, ცხადია, რომ იდენტობა მაკადამსის სისტემის პირველ დონეზე არ თავსდება, მაგრამ სად ვხედავთ მის ადგილს — მეორე თუ მესამე დონეზე? ამ კითხვაზე პასუხის ძიებას პიროვნების ჩარჩოში იდენტობის ინტეგრირებასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევამდე მივყავართ, რადგან იდენტობა სხვანაირად და ანალიზის სხვადასხვა დონეზე განსაზღვრული (Lilgendahl, 2015; McAdams, 2013). დგას რა პიროვნებისა და ცხოვრების მთლიანობითობის პოზიციაზე, მაკადამსი იდენტობას მესამე დონეზე ათავსებს. ინტეგრირებული ცხოვრების ისტორიის შექმნის უნარში აისახება ინდივიდის იდენტობა, რომელიც მიზანსა და საზრისს სძენს მას. ასეთი შეხედულება სრულიად ლეგიტიმურია პიროვნების გადმოსახედიდან, თუმცა ნაკლებად გამოდგება იდენტობისადმი განვითარების მიდგომისათვის.

იდენტობის კვლევის უდიდესი ნაწილი დროში განფენილ ინტეგრირებულ საზრისზე კი არ ფოკუსირდება, არამედ კონკრეტული სფეროებისა და სიტუაციებისათვის სპეციფიკური იდენტობებით ინტერესდება (ვრცელი მიმოხილვისათვის იხ. McLean & Syed, 2015). ასეთი იდენტობები კი კარგად ერგება მეორე დონის დამახასიათებელ ადაპტაციებს. განვითარების კვლევა, უპირატესად, იდენტობის სტატუსის მოდელს (Marcia, 1966) იყენებს, რომელიც ისეთი კონკრეტული სფეროების ფარგლებში იდენტობების კვლევა-ძიებასა და ვალდებულების აღე-

ბის შეწყვილებულ პროცესებს მოიცავს, როგორებიცაა სამუშაო, მეგობრობა, რელიგია, იდეოლოგია, ეთნიკურობა და ა. შ. (McLean, Syed, & Shucard, 2016). ასეთი კვლევები ან კროსსექციურია და დროის მოცემულ მომენტში იდენტობის სტრუქტურის შესწავლას ისახავს მიზნად, ანდა განმეორებითი დიზაინით იგეგმება და 2-5 წლიან შუალედში ცვლილებებისათვის თვალის მიდევნებაზე ამახვილებს ყურადღებას. ანალოგიურად, იდენტობისადმი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომებიც სიტუაციური თავისებურებისაკენაა მიმართული და საინტერესო ისაა, რამდენად უწყობს ხელს კონკრეტული კონტექსტი სოციალური ჯგუფის წევრობის გაცნობიერებას და ამ გაცნობიერების თანმდევი ქცევების განხორციელებას (Verkuyten, 2016). ასეთი კვლევები ინტეგრირებულ საზრისს კი არ ეძიებენ, არამედ სიტუაციურ მნიშვნელობას. მათ აინტერესებთ, როგორ იქმნება წარმავალი, დროებითი აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების შესატყვისი იდენტობა. ყველაფერი ეს კი ნამდვილად არ არის პიროვნების მესამე (A-III), ავტორის დონე.

ნარატიული იდენტობის კვლევა აერთიანებს იდენტობის პიროვნულ, განვითარებისა და სოციალურ ასპექტებს (McAdams, 2013). მესამე დონე (A-III) ინტეგრირებული ცხოვრების ისტორიაა, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია ნარატიული იდენტობის კვლევების მესამე დონისთვის მიკუთვნება (მაგალითისათვის, იხ. Dunlop, Walker, & Wiens, 2013), თუმცა ნარატიული იდენტობის კვლევის უდიდესი ნაწილი სულაც არ გულისხმობს ინტეგრირებული ცხოვრების ისტორიების შესწავლას. ნარატივის მკვლევრებს, ძირითადად, აინტერესებთ, როგორ ახერხებენ ინდივიდები ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენიდან აზრის გამოტანას. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდები ნარატივებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ინტეგრაციისათვის იყენებენ, ნარატიული კვლევები წარსულისა და აწმყოს კავშირებზე ამახვილებენ ყურადღებას და ვერ ვნახავთ ბევრ კვლევას, რომელშიც მომავლით ინტერესდებიან (გამონაკლისისათვის იხ. McLean & Pasupathi, 2012). ფაქტობრივად, ასეთი კვლევების ყურადღების ველში ადამიანების განვლილი ცხოვრებიდან კონკრეტული მოვლენების შესახებ ნარატივები ხვდებიან (Thorne & McLean, 2003), რომლებსაც მკვლევრები აკოდირებენ (ა) სტრუქტურული ელემენტების (მაგალითად, კოჰერენტულობის), (ბ) აფექტური (მაგალითად, დადებითი ემოციის), მოტივაციური თემების (მაგალითად, აგენტობისა და ურთიერთკავშირის) და (გ) ავტობიოგრაფიული მსჯელობის (მაგალითად, მნიშვნელობის შექმნის, „მე“-სა და მოვლენათა ურთიერთკავშირის) მიხედვით (ხეჩუაშვილი, 2017a; Syed, 2017).

ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრებიდან აღებული ამბავი ერთი ცალკეული მოვლენის შესახებ ნამდვილად ვერ იქნება მესამე (ავტორის, A-III) დონე, რადგან ის ბევრს არაფერს გვეუბნება ინტეგრირებული ცხოვრების ისტორიის შესახებ. ამ

დროს მეორე (აგენტის, A-II) დონეზე უფრო შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან ცალკეული ამბავი დროსა და კონტექსტში მოცემულ მიზნებზე, ინტერპრეტაციებსა თუ ქცევის სტრატეგიებზე მიგვითითებს. ამის საპირისპიროდ, მესამე დონე უფრო ხანგრძლივი დროის შუალედში განფენილ, ავტობიოგრაფიული ცხოვრების ისტორიის კონსტრუქციას მოიაზრებს, რომელშიც ინდივიდი წარსული გამოცდილებების მნიშვნელობას აგებს, რათა პიროვნული უწყვეტობის განცდა ჰქონდეს (მაგალითისათვის, იხ. Josselson, 2009). ასე რომ, მესამე დონის მთავარი მსაზღვრელი „ინტეგრირებულია“ და არა – „ნარატივი“.

ამრიგად, იდენტობა ნამდვილად ერგება პიროვნების მაკადამისიულ სამდონიან ფართო სისტემას, თუმცა, კონკრეტულად რომელ დონეზე მოვათავსებთ მას, დამოკიდებულია იმაზე, თუ იდენტობის რომელ კონკრეტულ დონეზე ვსაუბრობთ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

1.2.1. რატომ არის იდენტობა მნიშვნელოვანი

იდენტობა, ერთი შეხედვით, აბსტრაქტულ კონსტრუქტად შეიძლება მოგვეჩვენოს. შესაძლოა, ისიც კი ვიფიქროთ, რა დროს იდენტობაა, როცა საჭმელ-სასმელზე გვაქვს საზრუნავი. ზოგი ადამიანისათვის იდენტობა მეორეული და არამატერიალურია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ადამიანები რეალურად აკეთებენ და როგორც აკეთებენ ამ სამყაროში. თუმცა, თუ კარგად დავფიქრდებით, სწორედ ის, რასაც და როგორც აკეთებენ ადამიანები ამ სამყაროში, მყარი და თანამიმდევრული იდენტობიდან მომდინარეობს. იდენტობის მოთხოვნილება, შიმშილისა და წყურვილის მსგავსად, ჩვენი გადარჩენის ინსტიქტის ნაწილია და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ქცევის მძლავრი მამოძრავებელი (McLean, 2016).

2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ ადამიანებთან ვმუშაობდი. კვირაში ხუთი დღე, თვეების განმავლობაში ვხვდებოდი, ვუსმენდი და ვაკვირდებოდი ადამიანებს, რომლებსაც ძალიან უჭირდათ საკუთარი ცხოვრების ისტორიების მოყოლა. უფრო კონკრეტულად, მათთვის ძალიან ძნელი იყო აგვისტოს დღეებში მიღებული გამოცდილების დროში თანამიმდევრულად განლაგება; განცდილი ემოციებისა და თავში მოსული აზრების ხმამაღლა გამოხატვა და იმ რამდენიმე დღიანი ეპიზოდის საკუთარი ცხოვრების უფრო ფართო კონტექსტში ჩართვა. სხვა სიტყვებით, მათ უჭირდათ საკუთარი თავის ერთიანად დანახვა; უჭირდათ ომამდელი „მე“-სა და სახლ-კარ-მინადაკარგული „მე“-ს ერთმანეთთან დაკავშირება. და მაინც, ისინი ყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების ამბებს, ზოგი უფრო ადვილად, ზოგი – უფრო ძნელად, ზოგს სიტყვები არ ჰყოფნიდა გამოცდილების აღსაწერად, ზოგისგან კი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა სიტყვები. მა-

თთან, ვინც მოინდომა და ასე თუ ისე შეძლო საკუთარი ამბის თხრობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, მხოლოდ მაშინ ხდებოდა შესაძლებელი არსებულ რეალობასა და სამომავლო გეგმებზე საუბარი, როცა მოვლენებს დროში თანამიმდევრულად განალაგებდნენ და ყოველ თავიანთ მოქმედებას შესატყვის ემოციასა და აზრს დაუკავშირებდნენ, რადგან მხოლოდ ასე ახერხებდნენ საკუთარი „მე“-ს მთლიანობის, დროში განფენილობის განცდისა და ინტეგრირებული იდენტობის მეტ-ნაკლებად დაბრუნებას თუ ახლის ძიების დაწყებას.

ერიკ ერიკსონს, იდენტობის განვითარების თეორიის ავტორს (1968), მოდელის შექმნისკენ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გარდა, ომის ვეტერანებთან პრაქტიკულმა მუშაობამ უბიძგა. ის ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) მქონე ინდივიდებთან, როდესაც ასეთი დიაგნოზი უბრალოდ არც კი არსებობდა. ერიკსონი ფიქრობდა, რომ ამ ადამიანების მძიმე მდგომარეობა და სატანჯველი დამსხვრეულ „მე“-ში იღებდა სათავეს, და ამტკიცებდა, რომ ვეტერანებს იდენტობის პრობლემები ჰქონდათ. ის ხედავდა დაკარგულ და დაბნეულ ადამიანებს, რომლებისთვისაც გაუგებარი იყო საკუთარი მოქმედებები, მათ არ იცოდნენ, ველარ არჩევდნენ, ვინ იყვნენ და არ ჰქონდათ დროში საკუთარი „მე“-ს უწყვეტობის განცდა. ერთმანეთთან ვერ აკავშირებდნენ წარსულსა და აწმყოს. მეტიც, მომავალში ვერ ხედავდნენ საკუთარ თავს. იდენტობის პრობლემებს ხშირად ვხვდებით ალკოჰოლიკებთან (Dunlop & Tracey, 2013), ახალგაზრდა მოძალადეებთან (Wainryb, Komolova, & Flotsheim, 2010), დეპრესიულ ან ფსიქიკურად აშლილ ადამიანებთან (Singer & Kasmark, 2015), ყოფილ პატიმრებთან (ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი და გოგიჩაიშვილი, 2018), იძულებით ადგილნაცვალ პირებთანაც კი (ხეჩუაშვილი, 2016c). აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ერთი ადამიანის იდენტობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური სირთულეები მხოლოდ მისი სირთულეები არ არის. ისინი ცდება ერთი პიროვნების ფარგლებს და მის ოჯახზე, მეგობრებზე, თემსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე აისახება. ფაქტობრივად, სამყაროში აღმოცენებული ბევრი კონფლიქტი — უბრალოდ შემხვედრი მანქანის მძღოლზე წარმართული აგრესიიდან დაწყებული და ხელჩართული ბრძოლით დამთავრებული — ხშირად გამოფიტული, დამსხვრეული იდენტობიდან შეიძლება მომდინარეობდეს (Erikson, 1968; Hammack, 2011). ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდენტობა უბრალოდ აბსტრაქტული კონსტრუქტი არ არის. ის რეალურ, ხელშესახებ შედეგებს უკავშირდება.

1.2.2. იდენტობა, როგორც კონსტრუქცია

იდენტობა დაბადებიდან არ დაგვეყვება. მშობლებისგან ნამდვილად მემკვიდრეობით ვიღებთ თვალისა და კანის ფერს, „მე“-ს გარკვეულ ასპექტებს, რომლებიც ჩვენი იდენტობის ცენტრალურ მდგენელებად შეიძლება იქცნენ, თუმცა ამისათვის გარკვეული ძალისხმევა უნდა გავწიოთ. იმის გასარკვევად, თუ ვინ ვართ და რანი ვართ, მნიშვნელობის შექმნის სუბიექტური პროცესი უნდა გავიაროთ (Bruner, 1990; Cohler, 1993; McAdams, 2015). როგორც საკუთარ თავში ვამჩნევთ რაღაც დეტალებს უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენებს, ისევე ვარჩევთ ჩვენი წარსულიდან ზოგიერთ ამბავს, დანარჩენებს კი უბრალოდ უგულებელვყოფთ და ვივიწყებთ (McAdams, 2001). იდეა, რომ იდენტობა კონსტრუირებულია ანუ სელფი (Self), გარკვეულწილად, ფიქციურია, შეიძლება შემაშინებელი იყოს. ამან შესაძლოა დაგვაფრთხოს კიდევ. თუ ჩვენ თავად ვაგებთ საკუთარ „მე“-ს, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს ამ კონსტრუქციის ყოველი ახალი გამოცდილების მიღების შემდეგ შეცვლა, რაც წარმავლობის, მომენტალურობის, არასტაბილურობისა და სხვების გავლენაზე ადვილად დამყოლობისკენ გვიბიძგებს. თუმცა, როგორც კვლევიდან ირკვევა (მაგალითისთვის, იხ. McLean, 2016), უბრალო, ყოველდღიური მოვლენების გამო ნამდვილად არ ვიცვლებით. ადამიანები კარგად გრძნობენ, რომ იციან, ვინ არიან; იმასაც აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა დროსა და კონტექსტში მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე პიროვნებები არიან (James, 1890; Schechtman, 2005) და იმის ახსნასაც ახერხებენ, რომ ეს განცდა არ გააჩნიათ (Pasupathi, Mansour, & Brubaker, 2007). როცა ვიცით, ვინ ვართ, პროგნოზისუნარიანობის განცდაც გვაქვს ანუ ვიცით, რას გავაკეთებთ იმიტომ, რომ ვიცით, რა გავაკეთებთ. ჩვენ ვიცით, რა გავაკეთებთ და რას გავაკეთებთ, მაშასადამე, ვიცით, ვინ ვართ. მხოლოდ ადამიანის გონებას შეუძლია იდენტობის შექმნა, ბუნდოვან სამყაროში სტაბილურობის განცდის შენარჩუნება და რეფლექსიისა და წარმოსახვის გამოყენებით საკუთარი თავის არსებობის გაცნობიერება.

როგორ ვახერხებთ იდენტობის კონსტრუირებას? ნარატიული ჩარჩოს ფარგლებში ვამბობთ, რომ საკუთარ იდენტობას თხრობაში ვაგებთ (McAdams, 2013; McLean & Syed, 2015). ჩვენ ვიყენებთ ადამიანებისათვის უნივერსალურ უნარს – თანამიმდევრულ ისტორიად დავალაგოთ საკუთარი ცხოვრება და ასე მივაგნოთ მიზანსა და საზრისს. ჩვენ ვყვებით საკუთარ ამბავს, წარსულიდან ვარჩევთ ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეულ, სუბიექტურად მნიშვნელოვან გამოცდილებებს და საკუთარი თავის შესახებ ერთიან ამბად ვაქცევთ; წარსული ამბების წყობას აწმყობს, მიმდინარე ვითარებას ვუკავშირებთ და მომავალშიც ვიყურებით. თხრობაში ვქმნით საკუთარ იდენტობას, ვიქმნით უწყვეტობის განცდას და ამით ნეოსრიგი შეგვაქვს ქაოსურ სამყაროში.

1.2.3. იდენტობის თეორიის სათავეები: ერიკ ერიკსონი და განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში

1.2.3.1. იდენტობის გამოწვევები და ერიკ ერიკსონი

სტუდენტებთან ლექციებზე, განსაკუთრებით, პიროვნების ფსიქოლოგიის კურსის ფარგლებში, ხშირად ვამბობ (და ბევრი ადამიანი ფიქრობს ასე), რომ პიროვნების თითოეული თეორია, რომელიც კი დღემდე შექმნილა, ნაწილობრივ მაინც, მისივე ავტორის ანარეკლია. არაფერი იწყება არარასგან და იქმნება არაფერიდან. ადამიანი ვერ შექმნის ვერაფერს, თუ საკუთარი თავიდან არ აიღო რაღაც ანუ საკუთარი თავი არ „ჩადო“ მასში. საკუთარი თავი კი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი გამოცდილებები, დამოკიდებულებები და მოსაზრებები, გადატანილი სტრესები და ბედნიერი მომენტები, გაცნობილი ადამიანები და განვლილი ცხოვრება. ამიტომ ყოველთვის, როდესაც მორიგ თეორიაზე ვინცე საუბარს, ეს საუბარი ავტორის ბიოგრაფიულ, უფრო სწორად, ფსიქობიოგრაფიულ ექსკურსსაც გულისხმობს.

ახლაც სწორედ ერიკ ერიკსონის ცხოვრების ზოგადი სურათით მინდა დავიწყო ცხოვრების განმავლობაში განვითარების მისეული თეორიის მოკლე მიმოხილვა.

ერიკ ჰომბურგერ ერიკსონი, დანიელი მამისა და ებრაელი დედის ვაჟიშვილი, 1902 წელს დაიბადა გერმანიაში, ფრანკფურტის მახლობლად. პროტესტანტ-მა მამამ მისი დაბადების შემდეგ მალევე მიატოვა ოჯახი და დედა ებრაელ პედიატრს, დოქტორ თეოდორ ჰომბურგერს გაჰყვა ცოლად. ერიკსონი ჰომბურგერის გვართ იზრდებოდა. მაღალი, ქერათმიანი და ცისფერთვალება სკანდინავიელი ბიჭი სულაც არ ჰგავდა ებრაელს. არც მისი ებრაელი მეგობრები აღიქვამდნენ მას ასეთად, თუმცა, არც არაებრაელი თანატოლები მიიჩნევდნენ თანასწორად. ამრიგად, ერიკსონს ადრეული ასაკიდანვე ჩამოუყალიბდა საკუთარი თავის, როგორც აუტსაიდერის, ხატი, რამაც აიძულა, ნათლად განესაზღვრა, თუ რითი განსხვავდებოდა და ემსგავსებოდა იგი მის გარშემო მყოფ ადამიანებს (ხეჩუაშვილი, 2021).

არც პროფესიული ადგილის პოვნა იყო ადვილი ერიკსონისათვის. მან ბევრი იმოგზაურა და არტისტულ ცხოვრებასაც გაუსინჯა გემო. შემდეგ, ყოველგვარი ფორმალური განათლების გარეშე, ფსიქონალიზი აღმოაჩინა და იმუშავა ანა ფროიდთან, თუმცა აუტსაიდერობის განცდას არც აქ მიუტოვებია, რადგან ფროიდიანული ფსიქონალიტიკოსების ვინრო წრეში მისი ადგილი არ აღმოჩნდა, გარკვეულ საკითხებზე მათთან შეუთანხმებლობის გამო. მართალია, მისთვის ორგანული და ახლობელი იყო ფსიქონალიტიკური თეორია, თუმცა ბოლომდე

მაინც ვერ ახერხებდა ისეთი მოდელის მიღებას, რომელიც განვითარების სოციალურ კონტექსტზე არაფერს ამბობდა (McLean, 2016). საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ერიკსონი ნათლად ხედავდა, რომ, ოჯახისა და ადრეული ბავშვობის გამოცდილებების მიღმა, არსებობდა უკიდევანო სამყარო, რელიგიის, კულტურული ნორმებისა და ეპოქაში მიღებული მორალის ჩათვლით, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მისი იდენტობისათვის.

ეს მოკლე ბიოგრაფიული ჩანახატი სრულიად საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ საიდან მოვიდა ერიკსონი, ვინ იყო და რა გამოცდილება ჰქონდა და, იმის დასაფასებლად, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ყველაფერი ეს იმაში, რომ მისი თეორია ასე განსხვავდება ადამიანის განვითარების ყველა სხვა თანამედროვე თეორიისგან. მას თავად მოუწია საკუთარ თავსა და იდენტობაში გარკვევა და ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ კონტექსტში ადგილის დასამკვიდრებლად. ამიტომ ერიკსონი საკუთარ თეორიაშიც განვითარებაზე, როგორც ფსიქოსოციალურ პროცესზე, ისე საუბრობს. მას კარგად ესმოდა ინტრაფსიქიკური პროცესები, აღიარებდა და არ აკნინებდა მათ, თუმცა, თავისი თანამედროვე ფსიქოლოგი მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, მიიჩნევდა, რომ კულტურა და სოციალური კონტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო განვითარებისათვის. ამ ნაშრომში კულტურისა და კონტექსტის მნიშვნელობა განსაკუთრებითაა გამოკვეთილი ერიკსონის იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ განვითარება სხვებთან ურთიერთქმედების ცოცხალ, სოციალური და კულტურული ცხოვრების დინამიკურ კონტექსტში მიმდინარეობს.

იდენტობის ნარატიულ ხედვასთან ერთად სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მოცემულ ნაშრომს: ჩვენ ვქმნით საკუთარ იდენტობას საკუთარი ცხოვრების ისტორიის კონსტრუირებით, და ამას სხვებთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში, კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში ვაკეთებთ. ამიტომ ლოგიკურია, რომ განვითარებისა და იდენტობის ფორმირების პროცესისა და შედეგის გასაგებად ამ სასიცოცხლო კონტექსტებსაც უნდა ვიცნობდეთ.

სავარაუდოდ, მიკუთვნებულობის განცდის ძიების საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ერიკსონს (1968) მიაჩნდა, რომ იდენტობის განვითარება ინდივიდის მიერ *ინტეგრაციის* შეგრძნების მიღწევის გზების ძიების ირგვლივ მიმდინარეობს. ადამიანი „მე“-ს ისეთი „კონფიგურაციის“ მიღწევის მიმართულებით მოძრაობს, რომელიც მას სხვადასხვა დროს, კონტექსტებსა და ფართო კულტურის პირობებში თანმიმდევრობის განცდას გაუჩენს (McLean, Syed, Yoder, & Greenhoot, 2014). ეს ინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საჭირო და გამონევევებით აღსავსეა თანამედროვე პოსტმოდერნულ სამყაროში მცხოვრები ადამიანებისათვის (მათ შორის, თავად ერიკსონისთვის). თანამედროვე ცხოვრე-

ბისტვის ჩვეული ხშირი მოგზაურობა, იმიგრაცია, სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის მოსინჯვისა და ოჯახის რელიგიური მრწამსის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების შესაძლებლობები ძალზე ცვალებადი არსებობის წყაროა, რაც ამბავრებს და აღრმავებს პიროვნული უწყვეტობის მოთხოვნილებას (Gergen, 1991; Giddens, 1991). საიდან უნდა იცოდეს ადამიანი, ვინ არის, თუ მჭიდროდ არ არის მიბმული ერთ კონკრეტულ ადგილზე, ოჯახსა თუ სამსახურზე? ერიკსონი ცალსახად ამბობს, რომ იდენტობის „პრობლემა“ თანამედროვეობის მოტანილი თემაა. მოგზაურობის, კითხვების დასმისა და არჩეული ცხოვრების გზაში ეჭვების შეტანის სოციალური და კულტურული შესაძლებლობები ქმნის სივრცეს, რომელშიც იდენტობა პრობლემად იქცევა და განვითარების ცენტრალური ამოცანის ადგილს იკავებს.

ცხადია, ერიკსონი ერთადერთი მეცნიერი როდია, ვინც იმაზე საუბრობს, თუ რა მნიშვნელოვან საკითხად აქცია იდენტობა თანამედროვე საზოგადოების სწრაფმა ტრანსფორმაციამ. მაგალითად, კუშმენი (1990) ამტკიცებს, რომ თანამედროვე კულტურულმა რეალობებმა, როგორცაა თემისა და ტრადიციების დაკარგვა, წარმოქმნა „ცარიელი სელფი (Self)“, რომელიც ავსებას, შევსებას საჭიროებს. იგი თვლის, რომ ფსიქოთერაპია და კონსუმერიზმი⁷ სწორედ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აღმოცენდა, თუმცა ბევრს ვერაფერს გახდა. ანალოგიურად, გიდენსის (1991) მიხედვით, პოსტმოდერნულმა რეალობამ შექმნა ცვალებადი სელფი (Self), რომელიც არც რომელიმე ადგილზეა მიჯაჭვული, არც – ურთიერთობებზე, და ეს შფოთვის, მარტოობისა და კავშირების ძიების საჭიროების წყაროს წარმოადგენს.

ამრიგად, ეგზისტენციალური შფოთვა, რომელიც სიცარიელეში, უაზრობაში, განყვეტილ კავშირებსა და თანამედროვე საზოგადოების ფლუიდურობაში იღებს სათავეს,⁸ „იდენტობის სამუშაოს“ საჭიროებას ქმნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც იდენტობის მოთხოვნილება, ისე მისი კონსტრუირების გზები, სიღრმისეულად უკავშირდება კონკრეტულ კულტურულ ცვლილებებს, კულტურისთვის ჩვეულ ინსტიტუტებსა და ღირებული კულტურული პრაქტიკების ცვლილებებს (McLean, 2016).

⁷ კონსუმერიზმი სოციალურ-ეკონომიკური წესრიგი და იდეოლოგიაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლისა და პროდუქციის შეძენისაკენ, მეტი სერვისის მიღებისაკენ უბიძგებს. კონსუმერიზმმა, რომელიც XX საუკუნის II ნახევარში ჩაისახა და მალე ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა, გარდაქმნა როგორც პოლიტიკა, ისე ეკონომიკა და კულტურა (James & Szeman, 2010).

⁸ სხვა თვალსაზრისით განიხილავს ამ პრობლემას ერის ფრომი (Fromm, 1965).

1.2.3.2. ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია

ერიკსონის თეორია (1968) ადამიანის განვითარების სტადიურ მოდელს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ინდივიდები თითოეულ სტადიაზე კონკრეტული, განვითარების ქრილში თვისებრივად განსხვავებულად დანახული საკითხის, როგორც ავტორი უწოდებს, კრიზისის, გადაჭრას ცდილობს (ხეჩუაშვილი, 2021). თითოეული ამოცანა, რომელიც ინდივიდის წინაშე დგება მოცემულ სტადიაზე, ინტრაფსიქიკურ დინამიკასაც ითვალისწინებს და სოციალურ და კულტურულ ზეწოლასაც. მაგალითად, შემთხვევითი არ არის, რომ შუახნის ბავშვობის (6-12 წელი) პერიოდის ფსიქოსოციალური ამოცანა შრომისმოყვარეობა-არასრულფასოვნებას შორის არჩევანის გაკეთებაა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ბავშვები სკოლაში იწყებენ სიარულს და კომპეტენცია და, განსაკუთრებით, სხვებისთვის საკუთარი თავის შედარება დიდ მნიშვნელობას იძენს (ხეჩუაშვილი, 2021; McLean, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ განვითარების რვავე სტადიას დეტალურად აღწერს, ერიკსონისთვის განვითარების ადრეული სტადიები მხოლოდ პრელუდიაა გვიანი მოზარდობისა და ადრეული მოზრდილობის ძირითადი განვითარებისთვის. ცხოვრების ამ ეტაპზე პიროვნება სერიოზულად სვამს კითხვას იდენტობის შესახებ: „ვინ ვარ მე?“ ბავშვობაში გავლილი ოთხი სტადია (ხეჩუაშვილი, 2021) პიროვნებას რესურსებისა და საშუალებების, ძლიერი და სუსტი მხარეების უნიკალურ მარაგს აძლევს, რომელსაც მოგვიანებით იდენტობის ფორმირებისას გამოიყენებს. ამ თვალსაზრისით, წარსული (ანუ ადრეული სტადიები) ნაწილობრივ განაპირობებს მომავალს (გვიანდელ სტადიებს), თუმცა, გარკვეულწილად, პირიქითაც მართებულია. მოზარდი ან ახალგაზრდა მოზრდილი როდესაც უკან, ბავშვობაში იყურება, წყვეტს, რას ნიშნავდა ბავშვობა მისთვის. ის, თუ როგორი იქნება ეს გადაწყვეტილება, ცხადია, მეტ-ნაკლებად წარსულით არის განპირობებული. ჩვენ უბრალოდ ვერ შევცვლით იმას, რაც უკვე მოხდა, მაგრამ შეგვიძლია მომხდარის მნიშვნელობის, მისი შინაარსის შეცვლა. ეს ახალი შინაარსი ფორმირებადი იდენტობის ახალ ნაწილად იქცევა და გავლენას მოახდენს მასზე. იდენტობის საკითხზე მსჯელობისას იმისთვის ვიყურებით წარსულში, რომ დამაჯერებელი ახსნა მოვუძებნოთ იმას, თუ როგორ გავხდით ისეთი, როგორებიც ვართ ახლა, და რას ვაპირებთ მომავალში, როგორები შეიძლება გავხდეთ ხვალ (McAdams, 2006).

ერიკსონის (1963) მიხედვით, მოზრდილად ყოფნა, ბევრ სხვა რამესთან ერთად საკუთარი ცხოვრების უწყვეტ პერსპექტივაში, რეტროსპექტულად და პროსპექტულად, დანახვას ნიშნავს. ერიკსონისეულ მოზრდილს შეუძლია სელექციურად მოახდინოს საკუთარი წარსულის რეკონსტრუქცია, რათა ისე ჩანდეს, თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა ცხოვრება დაგეგმილი. სწორედ ეს უწყვეტობაა ის,

რასაც ინტეგრირებული დათანამიმდევრული იდენტობა იძლევა და ადამიანი იგივეობრიობისა და მთლიანობის განცდამდე მიჰყავს.

ერიკსონი (1968) თვლის, რომ სელფის (Self) რეკონფიგურაცია მოზარდობასა და ადრეულ მოზრდილობაში საზოგადოებისათვისაც მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისათვის. საზოგადოებები ითხოვენ, რომ ადამიანები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოების ცხოვრებაში, ამის მიღწევა კი შეუძლებელია დამკვიდრებული, ადგილნაპოვნი და თანამიმდევრული იდენტობის გარეშე. როდესაც ადამიანი საკუთარ თავს დროში სტაბილურად და უწყვეტად ვერ აღიქვამს (Pasupathi, et. al., 2007), ისეთი პრობლემების წინაშე შეიძლება დადგეს, როგორებიცაა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (Erikson, 1963), ძალადობრივი ქცევა (Wainryb, et. al., 2010), ფსიქიკური აშლილობა (Singer & Kasmark, 2015) და სუიციდიც კი (Chandler, Lalonde, Sokok & Hallett, 2003). ამის შედეგად კი, ინდივიდიც იტანჯება და საზოგადოებაც. პიროვნული იდენტობის განვითარების შეფერხების გავლენა მნიშვნელოვნად სცილდება ინდივიდის ფსიქოლოგიურ გამოცდილებას.

იდენტობის განვითარების სოციალურ და კულტურულ ბუნებაზე ხაზგასმა გულისხმობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმას, ეს კონტექსტები როგორ აყალიბებენ, ამძიმებენ თუ ხელს უწყობენ ადამიანს საკუთარი თავის განსაზღვრაში (Cote, 1996). ამ ფართო კონტექსტების – ინდივიდის რეფერენტული ჯგუფების, თანატოლების, ოჯახისა და კულტურის მასტერნარატივის (იხ. ქვემოთ) – გაგება აუცილებელია იმ ინტრაფსიქიკური პროცესების შესაცნობად, რომელთა გამოყენებითაც იაზრებს ადამიანი საკუთარ ვინაობას (Hammack, 2008). ინტრაფსიქიკური გამოცდილებები და სოციალური და კულტურული პროცესები მჭიდროდ უკავშირდება და ერწყმის ერთმანეთს ადამიანის განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ერიკსონმა დიდი ენერგია და რესურსი მოახმარა ამ მჭიდრო ურთიერთკავშირის კვლევასა და აღწერას, იდენტობის განვითარების ემპირიული კვლევის დიდი და ტრადიციული ნაწილი იდენტობის სტატუსის პარადიგმაზე (ხერუაშვილი, 2021; McLean, 2016; Marcia, 1966) დგას. ის კითხვაზე „ვინ ვარ მე?“ პასუხის გაცემისას მნიშვნელოვნად სცილდება კულტურასა და კონტექსტს და კვლევისადმი ნომოთეტურ მიდგომას ირჩევს, რომელშიც უპირატესობა განზოგადებას ენიჭება და არა უნიკალური ინდივიდების შესწავლას, რისკენაც მიგვიითიბებდა ერიკსონი.

აქ ვრცლად არ ვისაუბრებთ იდენტობის სტატუსის პარადიგმაზე (მიმოხილვისთვის იხ. ხერუაშვილი, 2021 და Schwartz, Luyckx & Crocetti, 2015), რადგან იდენტობის, მის ფორმირებაში პიროვნება-კულტურის ურთიერთქმედებისა და ამ პროცესში ინდივიდის სოციალური ადაპტაციის კვლევისთვის სხვა თეორიული

ჩარჩო შევარჩიე. როგორც პიროვნების ფსიქოლოგს, მაინტერესებს, რეალურად რას აკეთებენ ადამიანები ცხოვრებაში იდენტობის ძიებისა და ინტეგრაციის მისაღწევად (Thorne & Shapiro, 2011). მეტიც, როგორც ფსიქოდინამიურ ტრადიციაზე გაზრდილი, ნარატიულ ფსიქოლოგიაში მომუშავე პიროვნების ფსიქოლოგს, ადამიანის უნიკალობა და სიღრმეები მაინტერესებს, ამიტომ ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და ემპირიული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ცალკეული, კონკრეტული ადამიანების უნიკალური სათქმელის (Josselson, & Flum, 2015) იდეოგრაფიული რეპრეზენტაციების ძიებას ვარჩევ. კიდევ უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ვცდილობ გავარკვიო, როგორია, ერთი მხრივ, პიროვნებისა და, მეორე მხრივ, სოციალური და კულტურული შრეების თანაკვეთა. ყოველივე ეს კი ერიკსონის ნაშრომებიდან იღებს სათავეს.⁹

⁹ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ერიკსონი იყო ის პერსონოლოგი, რომელსაც ინდივიდუალური განსხვავებებიც აინტერესებდა და კონკრეტულ კონტექსტში ამოთქმული ინდივიდუალური სათქმელიც.

2. ნარატივი: დროში განფენილი ცხოვრება

„მე“ ისტორიის გარეშე მხოლოდ პირის აღმნიშვნელი ნა-
ცვალსახელია და სხვა არაფერი
(Crites, 1986)

ამბების მოყოლა ადამიანური ურთიერთობების ძირითადი ფორმაა და მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ ბუნებით მთხრობელები ვართ. ხშირად ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ისტორიების/ამბების ფორმით და საკუთარ ცხოვრებასაც ამბების მეშვეობით ვძენთ აზრს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამბების მოყოლა მოვლენის, გამოცდილების ან ნებისმიერი სხვა ხდომილების ნარატიულ ანგარიშს იძლევა. ჩვენ შეგვიძლია ამ მოვლენების შესახებ საუბარი, რადგან ვიცით, რა მოხდა. სწორედ მოვლენის საფუძვლიანი ცოდნა გვაძლევს მოყოლის საშუალებას და გვიბიძგებს მისკენ.

ზოგადად, როდესაც საკუთარი ცხოვრების შესახებ ვყვებით, საკუთარ თავზე ვმუშაობთ, რადგან საკუთარი ცხოვრების უფრო სიღრმისეულ მნიშვნელობას ვაგნებთ რეფლექსიისა და მოვლენების, გამოცდილებებისა და განცდილი გრძნობების ვერბალიზაციით. ეს ყოველთვის ასე იყო (Atkinson, 1998). გადმოცემის ბევრი ფორმა, როგორებიცაა ხალხური ზღაპრები, ლეგენდები, მითები, ეპიკური ისტორიები, ისტორია, პანტომიმა, ფილმები და სალამოს ახალი ამბების გამოშვებებიც კი, რომელთაც „მონათხრობს“, „ისტორიას“ ვუწოდებთ, ყველა ცნობილ ადამიანურ კულტურაში იჩენს თავს (Sarbin, 1986). ალბათ, სწორედ ამიტომ მუდმივად გვაქვს მოთხოვნილება, ჩვენი ცხოვრება თანამიმდევრული, გასაგები და აზრიანი გავხადოთ (Atkinson, 1998). შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონათხრობი არის ბუნებრივი პაკეტი, რომელიც სხვადასხვაგვარი ინფორმაციის ორგანიზებაში გვეხმარება. თხრობა, როგორც ჩანს, ჩვენი თავისა და ჩვენი სამყაროს სხვებისთვის გამოხატვის ფუნდამენტური საშუალებაა (Vitz, 1990). გაიხსენეთ ბოლო შემთხვევა, როდესაც შეეცადეთ, რომ თქვენი თავის შესახებ რაღაც მართლაც მნიშვნელოვანი გეცნობებინათ მეორე ადამიანისთვის. დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ ამოცანას ამბის მოყოლით გაართვით თავი; ანდა განსაკუთრებით ინტიმური საუბარი მოიგონეთ თქვენი წარსულიდან. ამ საუბარს, სავარაუდოდ, ასეთად ის ამბები და მათი გადმოცემის სტილი აქცევს, რომლებიც თქვენ და თქვენთან მოსაუბრემ ერთმანეთს გაუზიარეთ. ფაქტობრივად, ადამიანთა ყოველდღიური კომუნიკაციის დიდი წილი ამა თუ იმ ფორმის თხრობაა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ჩვენ ამბების მოსაყოლად ვართ გაჩენილნი. სწორედ ეს უნარი განგვასხვავებს ცხოველებისა და კომპიუტერებისგან.

დღის ბოლოს მოთხრობილი ამბები ადამიანების საერთო, საზიარო ისტორიას ქმნის: ის აკავშირებს ერთმანეთთან აქტორებს, მთხრობელსა და აუდიტორიას დროსა და მოვლენებში. ასეთი ამბები არ არის წარსულის უბრალო ობიექტური გამეორება. მათში ფაქტები უფრო ნაკლებად არის გადმოცემული, ვიდრე ამ ფაქტების მნიშვნელობები. წარსულის სუბიექტური და შელამაზებული თხრობისას მისი კონსტრუირება ხდება ანუ იქმნება ისტორია. ისტორიის სიმართლემცდარობის შესახებ მხოლოდ ემპირიული ფაქტების სიზუსტით კი არ მსჯელობენ, არამედ ისეთი ნარატიული კრიტერიუმებითაც, როგორებიცაა „დამაჯერებლობა“ და „თანამიმდევრულობა.“ ცხოვრებაში არსებობს ნარატიული სიმართლე, რომელიც საკმაოდ შორს დგას ლოგიკისგან, მეცნიერებისა და ემპირიული დემონსტრირებისგან. ეს „კარგი ნარატივის“ სიმართლეა (Spence, 1982).

კოგნიტურ მეცნიერებაში წარმოებული თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანის ტვინი მიმართულია გამოცდილების ნარატიული ტერმინებით კონსტრუირებისკენ. „ცნობიერება მაშინ იწყება, როდესაც ტვინი ამბის უსიტყვოდ მოყოლის ძალას იძენს; ამბისა იმის შესახებ, რომ ორგანიზმში სიცოცხლე ჩქეფს“ (Damasio, 1999, გვ. 30). ავტორის აზრით, ადამიანის ცნობიერება იმის შედეგია, რომ ინდივიდი მენტალურად ნარატორის პოზიციის დაკავების უნარს იძენს. ცნობიერება გამოცდილების უწყვეტ თხრობას მოიცავს. ეს არის გარკვეული სახის მიმდინარე ნარატივის ნაკადი, რომელიც ადამიანის გონებაში მიედინება. ამბის მოყოლას, პირველ ყოვლისა, სიტყვები სჭირდება, მაგრამ მეტყველების/ენის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცნობიერებაზე. თავის ტვინს შეუძლია, მრავალ განსხვავებულ მოდულს მოიცავდეს, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს. ინტეგრაცია ამ მრავალფეროვნების პირობებში პიროვნული გამოცდილების შესახებ მოყოლილი ამბების მეშვეობით კონსტრუირებისა და ინტერპრეტაციის უნარით მიიღწევა. ეს უნარი კი თავის ტვინს ახასიათებს. როსერი და გაზანიგა (2004) თავიანთ ნაშრომში „ავტომატური ტვინი, ინტერპრეტაციული გონება“ წერენ, რომ ცნობიერების უმაღლეს დონეზე პიროვნული ნარატივი კონსტრუირდება. ნარატივი ტვინის ქცევასაც გასაგებს ხდის და ერთიანი “მე”-ს განცდის საფუძველსაც შეიძლება წარმოადგენდეს.

ჯერომ ბრუნერი (1986) თვლის, რომ ადამიანები სამყაროს ორი განსხვავებული გზით იმეცნებენ. პირველს ის აზროვნების პარადიგმულ მეთოდს უწოდებს. ამ მეთოდის ფარგლებში საკუთარი გამოცდილების წვდომას უაღრესად რაციონალური ანალიზის, ლოგიკური დასაბუთებისა და ემპირიული დაკვირვების მეშვეობით ვცდილობთ. სამყაროში წესრიგს იმ ლოგიკური თეორიების პრიზმაში ვეძებთ, რომლებიც მოვლენების ახსნაში, რეალობის პროგნოზირებასა და

გაკონტროლებაში გვეხმარება. პარადიგმულ მეთოდში მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიებით ვართ დაკავებული. როდესაც ვარკვევთ, როგორ მუშაობს ავტომობილის ძრავა ან როგორ წარმოიქმნება წყლის მოლეკულა ერთი ატომი ჟანგბადისა და ორი ატომი წყალბადის შეერთებით, ვთვლით, რომ წარმატებით გავართვით თავი ლოგიკურ მიზეზშედეგობრივ მსჯელობას და შედეგიც მივიღეთ. ფორმალური განათლების სისტემა, უპირატესად, სწორედ პარადიგმულ მეთოდს წაახალისებს. კარგი ლოგიკოსები და მეცნიერები განსაკუთრებით განაფულნი არიან ამ ფორმის აზროვნებაში.

ამის საპირისპიროდ, აზროვნების ნარატიული მეთოდი „ადამიანის განზრახვებისა და მისწრაფებების დროში ცვალებადობის“ შესახებ ამბავს შეეხება. ასეთ მონათხრობებში მოვლენები არ აიხსნება ლოგიკური ან ფიზიკური მიზეზებით. ნარატიული მეთოდი, ზოგადად, არ ოპერირებს ავტომობილის ძრავის ან მოლეკულური ქიმიის რეალობაში. ამის ნაცვლად, ის ეხება ადამიანის სურვილებს, მოთხოვნილებებსა და მიზნებს. ნარატიულ მეთოდში მოვლენები იმ აქტორების ტერმინებით აიხსნება, რომლებიც რომელიღაც დროის განმავლობაში რაიმეს გაკეთებისკენ ისწრაფვიან. მე თუ რაიმეს შესახებ კარგი ამბის მოყოლა მსურს, დამაჯერებელი ნარატივი უნდა წარმოვადგინო, რომელიც მოტივირებულ ქმედებებსა და ადამიანის ქცევის შინაარსიან შედეგებს შეეხება. ჩემი მონათხრობი დროში უნდა იყოს განფენილი თავისი დასაწყისით, ძირითადი ნაწილითა და დასასრულით. მაგალითად, ჩემი მეგობრის გუშინდელი უცნაური ქცევა შესაძლოა იმის მიხედვით ავხსნა, რა სურს მას ცხოვრებაში, რატომ ვერასოდეს იღებს იმას, რაც სურს, და ამ ახსნისას სამი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენო, როდესაც მან ბევრი უსიამოვნება გადაიტანა მეუღლესთან ურთიერთობისას. მისი და მისი ქცევის გასაგებად შესაძლოა ჩემი მონათხრობის მოსმენა მოგიხდეთ.

კარგი მეცნიერი ან ლოგიკოსი სიზუსტესა და მკაფიოობაზე მუშაობს. მეცნიერული და ლოგიკური ახსნები ისეა აგებული, რომ ხელი შეუშალოს ალტერნატიული ვარიანტების დაშვებას. ისინი თავისთავად არ გვიბიძგებს სხვა ახსნების ან განსხვავებული მოსაზრებების გენერირებისკენ. თუ ისინი მაინც აკეთებენ ამას, ვიტყვით, რომ ფორმულირებები ბუნდოვანი ან ამბიციურია, რაც ხელს უშლის ობიექტური ჭეშმარიტების ასახვას. კარგი ნოველისტები და პოეტები, პირიქით, ნარატიული მეთოდის ოსტატებად გვევლინებიან. ისინი განსაკუთრებით ეფექტურნი მაშინ არიან, როდესაც, როგორც ბრუნერი (1986) ამბობს, „უფრო მეტს გულისხმობენ, ვიდრე ამბობენ“. სხვა სიტყვებით, კარგი მონათხრობი ბევრ განსხვავებულ შინაარსს ბადებს და მკითხველს ვარაუდების გამოთქმისაკენ უბიძგებს. ამის საპირისპიროდ, პარადიგმული მეთოდის ოსტატები ცდილობენ, „უფრო მეტი თქვან, ვიდრე გულისხმობენ“ (Bruner 1986).

2.1. რა არის ნარატივი

ნარატივის განსაზღვრის მრავალი გზა არსებობს. ლინგვისტური და სემიოტიკური პარადიგმების ჩარჩოში მომუშავე მეცნიერთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ცენტრალური ამოცანაა ნარატივის განსაზღვრა და იმის გარკვევა, რა შეიძლება ჩაითვალოს ნარატივად და რა – არა. ზოგიერთი ტრადიციის ფარგლებში, განსაკუთრებით იქ, სადაც დიდია სტრუქტურალისტური ლიტერატურული თეორიის გავლენა, თვლიან, რომ „ნარატივი“ და „მონათხრობი“ სხვადასხვა რამაა. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი ზოგიერთი მეცნიერი კი, განსაკუთრებით მოქმედებაზე ორიენტირებული ანთროპოლოგები, თვლის, რომ სულაც არ არის საჭირო დროის კარგვა ნარატივის, როგორც ასეთის, განსაზღვრაზე. საინტერესო ის კი არ არის, თუ რა არის მონათხრობი, როგორც გარკვეული სახის ტექსტი, არამედ ის, თავად ამბის თხრობის ეპიზოდს რა მნიშვნელობა აქვს, როგორც გარკვეული სახის სოციალურ აქტს (Mattingly, 2002).

როგორც მეტინგლი (2002) წერს, მონათხრობები მოქმედებასა და გამოცდილებას შეეხება. მარტივად რომ ვთქვათ, ნარატივები ანუ მონათხრობები შეეხება იმას, რომ ვიღაც რაღაცის გაკეთებას ცდილობს, რა ემართება ამ ვიღაცას და სხვებს ამ მოქმედებების შედეგად. ეს განსაზღვრება დასავლური (კერძოდ, არისტოტელესეული) ლიტერატურული ტრადიციიდან იღებს სათავეს. ის მოიაზრებს სტრუქტურალისტურ ფოკუსს ფორმაზე და ტრადიციულ მიმეტიკურ ფოკუსს ნარატივზე, როგორც მოვლენის რეპრეზენტაციაზე, სადაც „მოვლენას“ მოქმედება და გამოცდილება ქმნის (Aristotle, 1970, ციტირებულია წყაროში Mattingly, 2002). მეტინგლი ხაზს უსვამს ნარატივის „მოვლენურ“ ხასიათს, მის მიერ ადამიანის მოქმედებების ასახვასა და ამ მოქმედებების ქარგაში გაერთიანებას, რომელსაც თავისი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული აქვს. თუმცა ის ფაქტი, რომ ნარატივი მოქმედებასაც მოიცავს და გამოცდილებასაც, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ როგორ ზემოქმედებენ მასში ასახული მოვლენები მთხრობელზე და რა მნიშვნელობის (შინაარსის) მატარებლები არიან ისინი მისთვის. ადამიანის მოქმედებებსა და გამოცდილებაზე ყურადღების მიპყრობით ნარატივი ადამიანის ხასიათის კვლევა-ძიებაა. ნარატივი გვიჩვენებს ხასიათს, რომელიც ერთდროულად კიდევ ვლინდება და კიდევ აიგება მასში გადმოცემული მოვლენების მეშვეობით (Polkinghorne, 1991).

მეტინგლი (2002) თვლის, რომ ნარატივი არ განისაზღვრება მხოლოდ მისი შინაარსით. ის გადმოცემის სტილითაც ხასიათდება. ნარმატებული ნარატივი მსმენელის გულს სწვდება და გადმოცემული მოვლენებისადმი ინტერესს აღვიძებს.

კროსლის (2011) განმარტებით, პერსონალური ნარატივი არის კონკრეტული სახის მონათხრობი/ისტორია/ამბავი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი „მე“-ს

მიზანმიმართულ და დამაჯერებელ მთელში განსხვავებული ნაწილების გასაერთიანებლად აგებს. ყველა სხვა ნარატივის მსგავსად, პერსონალურ ნარატივს აქვს თავისი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ის, ასევე, განისაზღვრება ქარგისა და ხასიათის განვითარების მიხედვით. სარბინი (1986) წერს:

ამბავი ადამიანის ქმედებების სიმბოლიზებული ანგარიშია, რომელსაც აქვს დროის განზომილება: დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ... ამბავი აერთიანებს მოვლენების ცნობად პატერნებს, რომლებსაც ქარგას ანუ სიუჟეტს უწოდებენ. სიუჟეტის სტრუქტურის ცენტრალურ ნაწილს ადამიანური სირთულეები და მათი მოგვარების მცდელობები შეადგენს (გვ. 3).

როგორც მაკადამსი (2013) აღწერს, ნარატივს აქვს ემოციური ტონი, ქარგა, იდეოლოგიური პირობები და დამახასიათებელი სტრუქტურა, რომელიც იცვლება ინდივიდების მიხედვით, მაგრამ ზოგადი კანონზომიერებებითაც ხასიათდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ არ „აღმოვაჩინებ“ საკუთარ თავს ნარატივში, არამედ ნარატივის მეშვეობით ვქმნით მას (McAdams, 1993; 2013). ჩვენ იმგვარად ვქმნით ნარატივს, რომ „საკუთარი ცხოვრება და სხვების ცხოვრება აზრს იძენს“ (გვ. 92). ნარატივის მეშვეობით განვსაზღვრავთ, ვინ ვართ, ვინ ვიყავით და ვინ შეიძლება გავხდეთ მომავალში.

2.1.1. ნარატივის ტიპები

მეცნიერები არისტოტელეს დროიდან მსჯელობენ, რამდენად არის შესაძლებელი მსოფლიოში არსებული ისტორიების სასრული რაოდენობის ტიპებზე დაყვანა. არისტოტელემ ოთხი მითოლოგიური არქეტიპი ანუ თხრობის ბაზისური ფორმა გამოყო: კომედია, ტრაგედია, რომანტიკა და ირონია. ზოგიერთმა მკვლევარმა წარმოადგინა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ცხოვრების ისტორიები ოთხივე არქეტიპის გარკვეულ ელემენტს შეიძლება შეიცავდეს (Crewe, 1997; McAdams, 1985).

ამბის მთავარი პერსონაჟის განვითარების მიხედვით, გერგენმა და გერგენმა (1986) ერთმანეთისგან სტაბილურობის, პროგრესული და რეგრესული ცხოვრებისეული ნარატივები განარჩიეს. სტაბილურობის ნარატივებში მთავარი მოქმედი პირი დიდად არ ვითარდება ან იცვლება, პროგრესის ნარატივში იზრდება და ფართოვდება/ვითარდება დროის მსვლელობასთან ერთად, რეგრესულ ნარატივში კი უკან-უკან მიდის, ან კარგავს განვითარების ბაზისს ნარატივის განვითარებასთან ერთად. ბევრ სხვა ავტორთან ერთად, მათ გამოყვეს ის, რასაც ჯოზეფ კემპბელმა (1949, ციტირებულია წყაროში McAdams, 2015) *გმირის მითი* უწოდა, რომელიც იდენტობის დამკვიდრების გავრცელებულ ნარატიულ ფორმას წარმოადგენს დასავლურ კულტურებში და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მამაკაცებში. სხვადასხვა კულტურაში მოცემულ უამრავ ნარატივსა და ისტორიაში

გმირის მითი განშორების, ინიციაციისა და დაბრუნების ამბავია. ზოგადი ფორმა, დაახლოებით, ასეთია: „გმირი გადაწყვეტს ჩამოშორდეს ყოველდღიურ ჩვეულ ცხოვრებას და ზებუნებრივ სასწაულში გადაეშვება. ის ზღაპრულ ძალებს ეჯახება და გადამწყვეტ ბრძოლას იგებს. გმირი თანამოძმეებისთვის კეთილდღეობის მინიჭების (საჩუქრების, უპირატესობების) ძალაუფლების მფლობელი ბრუნდება უკან საოცარი თავგადასავლების შემდეგ” (Campbell, 1949, გვ. 30, ციტირებულია წყაროში McAdams, 2009).

კემპბელის მითი გამოკვეთილად სწორხაზოვანი ნარატივია. მთავარი პერსონაჟი წინ მიიწევს დროთა განმავლობაში და აგრძელებს ზრდას, განვრცობასა და პროგრესს. გერგენი და გერგენი (1993) თვლიან, რომ ასეთმა წრფივმა სტრუქტურამ შეიძლება კარგად იმუშაოს ზოგიერთი მამაკაცის ცხოვრების აღსაწერად, მაგრამ ქალების ცხოვრება გაცილებით კომპლექსური და არანრფივია. მათ მეტად მრავალშრიანი და წინააღმდეგობრივი სიუჟეტით შეუძლიათ ისეთი ცხოვრების აგება, რომელშიც უხვად არის წარმოდგენილი რეკურსიული ანუ ციკლური მოძრაობა და ამბივალენტური ემოციური მდგომარეობები. გარდა ამისა, ავტორებს მიაჩნიათ, რომ ქალების ცხოვრების ისტორიები, შესაძლოა, უფრო მეტად უკავშირდებოდეს საკუთარი სხეულის გაგებასა და განცდებს, ვიდრე მამაკაცებისა. სხვა ავტორები თვლიან, რომ ქალების ისევე, როგორც ეკონომიკურად და კულტურულად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების, ისტორიების სტრუქტურა მეტწილად ისევ გამოცანად რჩება ფსიქოლოგებისთვის. ეს ისტორიები ხშირად მიჩუმათებულია ან ძალზე ტრივიალურად არის წარმოდგენილი პატრიარქალურ საზოგადოებებში (Heilbrun, 1988; Stewart, 1994, წყაროში McAdams, 2009).

თუ ზოგიერთმა ავტორმა ისტორიების ტიპების ზოგადი ტაქსონომიების შექმნა სცადა, სხვებმა ქვემოდან ზემოთ დაიწყეს სვლა და კონკრეტულ კვლევებში პატერნების იდენტიფიცირებით დაკავდნენ, როგორებიცაა, მაგალითად, „სამუშაოს” (იხ. Ochberd, 1993) თუ „მშობლობის” ისტორიები. მაგალითად, უოლკოვერმა (1992, ციტირებულია წყაროში McAdams, 2009) აღმოაჩინა, რომ დაქორწინებული წყვილები, რომლებიც შვილის გაჩენას აპირებენ, მომავლის წარმოსახვისას მომავალი შვილების რომანტიზებასა და იდეალიზაციას ახდენენ და ამით გამოხატავენ ბავშვობის სრულყოფილების იმპლიციტურ (თუმცა, ირაციონალურ) რწმენას. ლინმა (1997) გამოავლინა ნარატივის ზოგადი ტიპები ისრაელის ჯარისკაცებში, რომლებიც უარს ამბობენ, როგორც თვითონ უწოდებენ, აგრესიის ამორალური აქტების განხორციელებაზე.

2.1.2. კარგი ნარატივის კრიტერიუმები

როგორც უკვე ვიცით, ადამიანები ცნობიერად თუ არაცნობიერად მთელი თავიანთი მოზრდილი ცხოვრების განმავლობაში მუშაობენ საკუთარი ცხოვრების ისტორიებზე. ზოგჯერ ეს სწრაფად და ენერგიულად ხდება. იდენტობის ძირითადი ცვლილებების პერიოდებს შეიძლება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებები სდევდეს თან, როგორებიცაა დაქორწინება ან განქორწინება, პირველი შვილის დაბადება, სამსახურის შეცვლა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მშობლის გარდაცვალება, მენოპაუზა ან პენსიაზე გასვლა. ისინი ცხოვრების ისეთ სიმბოლურ წყალგამყოფებსაც შეიძლება შეესაბამებოდნენ, როგორებიცაა მეორმოცე დაბადების დღე, უმცროსი ვაჟიშვილის ქორწილი, პენსიაზე გასვლა და თმაში პირველი ჭაღარის გამოჩენაც კი. ასეთ პერიოდებში მოზრდილებმა შეიძლება ეჭვი შეიტანონ სამყაროს შესახებ იმ დაშვებებში, რომლებითაც მანამდე ცხოვრობდნენ. მათ შეიძლება ახალი თემებისა და პერსონაჟების ჩართვით გადაახალისონ თავიანთი ისტორია, სხვა სცენები გამოკვეთონ წარსულიდან და მომავლის სხვა მოლოდინი გაუჩნდეთ. ისტორიის დასასრულის ცვლილების განცდამ, შესაძლოა, არსებითად შეცვალოს მთელი ისტორია და მთელმა ნარატივმა სულ სხვა ორიენტაცია აიღოს. ზოგჯერ მოზრდილების ცხოვრებაში შედარებითი სტაბილურობის პერიოდები დგება. ამ დროს ისტორიები ნელა ვითარდება და მცირედით თუ იცვლება. ადამიანებმა შეიძლება მხოლოდ ოდნავ დახვეწონ ცხოვრების თემები. ასეთ პერიოდებში არ აღინიშნება იდენტობის მძაფრი ცვლილებები (McAdams, 2015).

მიუხედავად მეტ-ნაკლებად სწრაფი თუ ნელი განვითარებისა, გარკვეული თვალსაზრისით, ყველა ცხოვრება განსხვავებულია, და თითოეული მათგანი განვითარების უნიკალურ კურსს მიჰყვება. და მაინც, შესაძლებელია, რომ ადამიანების მიერ ისტორიების თხრობაში განვითარების გარკვეული ტენდენციები დავინახოთ, როდესაც ისინი შუა მოზრდილობას უახლოვდებიან. ამ დროს ჩნდება განცდა, რომ იდენტობის განვითარება იდეალურად უნდა მიუახლოვდეს გაუმჯობესებულ ნარატიულ ფორმას (McAdams, 1993, 2013).

მაკადამსი (2006) ცხოვრების კარგი ისტორიის ექვს სტანდარტს გამოყოფს. ესენია: თანამიმდევრულობა, ღიაობა, სანდოობა, დიფერენციაცია, რეკონსოლიდაცია და გენერაციული ინტეგრაცია. ადამიანის იდენტობის „კარგი ისტორია“ (ანუ ნარატივი, რომელიც ერთიან და მიზანმიმართულ ცხოვრებაში ადამიანის მნიშვნელოვან მონიფულობას მოიაზრებს) არის ის, რომელიც მაღალ შეფასებას იღებს, ამ ექვსი კრიტერიუმის მიხედვით.

თანამიმდევრულობა შეეხება იმას, თუ რამდენად აზრიანია თავისთავად მოცემული მონათხრობი. აკეთებენ პერსონაჟები ისეთ რამეს, რაც ადეკვატურია

მოცემული ნარატივის კონტექსტში? გასაგებია მათი ქცევის მოტივაცია იმის კონტექსტში, რაც ვიცით, ზოგადად, ადამიანების მოქმედების შესახებ? ენინაალმდეგებიან ერთმანეთს ისტორიის ნაწილები? თანმიმდევრობას მოკლებულია ამბავი, რომელიც მკითხველს შეფიქრიანებულს ტოვებს იმის თაობაზე, თუ რატომ განვითარდა ამბავი ასეთი უცნაური, დამაბნეველი მიმართულებით. თუმცა ზოგიერთი მონათხრობი ზედმეტად თანამიმდევრულია. ისინი იმდენად კარგად ერგებიან ერთმანეთს, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ სიმართლეს მოგვითხრობენ. არ არის აუცილებელი, რომ ცხოვრების ისტორიაში ყველაფერი ზუსტად იმეორებდეს ინდივიდის ცხოვრებას. ჩვენ არ გვჭირდება იდეალური თანამიმდევრულობა, რათა მთლიანობასა და მიზნობრიობას მივალნიოთ ცხოვრებაში.

გარდა ამისა, კარგია ცხოვრების ის ისტორია, რომელიც მნიშვნელოვნად ღიაა ცვლილებებისადმი და ტოლერანტულია ბუნდოვანებისადმი. ასეთი ისტორიები პიროვნებას მომავლისკენ მიმართავენ იმით, რომ ღიად ტოვებენ მრავალ განსხვავებულ ალტერნატივას სამომავლო მოქმედებისა და აზრებისთვის. ცხოვრების ისტორიები მოქნილი უნდა იყოს. მათ უნდა შეეძლოთ შეცვლა, გაზრდა და განვითარება ისევე, როგორც თავად ჩვენ. თუმცა, ღიაობის კრიტერიუმის მიხედვით, ძნელად თუ ვიმსჯელებთ ცხოვრების ნარატივზე: ყოველთვის არის შეცდომის დაშვების საშიშროება, რადგან ჭარბი ღიაობა ვალდებულებისა და გადაწყვეტის არარსებობას ასახავს.

მესამე სტანდარტია **სანდობა**. ადამიანის კარგი, მონიფული და ადაპტიური ისტორია ვერ დაეფუძნება ბევრ დამახინჯებას. იდენტობა ფანტაზია არ არის. ადამიანები ნამდვილად ქმნიან თავიანთ იდენტობებს, მაგრამ მათ ისინი ჰაერიდან როდი მოაქვთ, როგორც, მაგალითად, ლექსი ან რომანი.¹⁰ იდენტობის შემთხვევაში კარგი ისტორია იმ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს და მათით აიხსნებოდეს, რომელთაც შეგვიძლია გავეცნოთ ან რომლებიც შეგვიძლია მოვიძიოთ. მიუხედავად იმისა, რომ იდენტობა წარმოსახვის კრეატიული სამუშაოა, ის მაინც იმ რეალურ სამყაროს ეყრდნობა, რომელშიც ყველამ უნდა ვიცხოვროთ.

კარგი ისტორია მდიდარია პერსონაჟებით, სიუჟეტითა და თემით. მკითხველი ჩახლართული ტექსტურის სამყაროში შედის, რომელიც სავსეა თავისი დამაინტრიგებელი გზებით განვითარებადი სისხლ-ხორციით სავსე პერსონაჟებით. მათი ქმედებები და ურთიერთქმედებები განსაზღვრავენ დამაჯერებელ სიუჟეტებს და ქვესიუჟეტებს. სხვა სიტყვებით, კარგი ისტორია კარგად **დიფერენცირებული** უნდა იყოს და სულ უფრო მეტი დიფერენციაციის მიმართულებით ვითარდებოდეს. მოზრდილის მონიფულობასთან და ახალი გამოცდილების შექენასთან

¹⁰ თუმცა, მგონია, რომ ვერც ლექსსა და რომანს მოიტანს ადამიანი ჰაერიდან. მათშიც მეტ-ნაკლებად საკუთარ გამოცდილებას, ემოციებს, მოსაზრებებსა და ღირებულებებს ასახავს.

ერთად მისი ნარატიული იდენტობა უფრო და უფრო მეტ მახასიათებელსა და ასპექტს იძენს. ის უფრო მდიდარი, ღრმა და კომპლექსური ხდება.

დიფერენციაციის მატებასთან ერთად მოზრდილი მონათხრობში კონფლიქტურ ძალებს შორის რეკონსოლიდაციასა და მრავალშრიანი „მე“-ს ჰარმონიზაციასაც უნდა ესწრაფოდეს. კარგი ისტორია მძიმე საკითხებსა და დინამიკურ წინააღმდეგობებს ნამოჭრის. ის, ასევე, ნარატიულ გადანყვებებს გვთავაზობს, რომელიც „მე“-ს ჰარმონიასა და ინტეგრაციას ამყარებს. რეკონსოლიდაცია ერთ-ერთი რთული საკითხია ცხოვრების ისტორიების აგებისას, განსაკუთრებით, შუა წლებსა და შემდგომ პერიოდში (McAdams, 2009).

კარგი ისტორიის მეექვსე სტანდარტი არის ის, რასაც შეგვიძლია გენერაციული ინტეგრაცია ვუნოდოთ. ამ კრიტერიუმის გასაგებად კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ცხოვრების ისტორია კონკრეტული ადამიანის ცხოვრებას შეეხება. ეს არ არის უბრალოდ ამბავი, რომელიც სადღაც ჟურნალში ამოვიკითხეთ. ეს ისტორიის კონკრეტულ მომენტში კონკრეტულ საზოგადოებაში მცხოვრები რეალური პიროვნების ცხოვრების მითური გარდასახვაა. ცხოვრების ისტორია უფრო მეტად ესწრაფვის თანამიმდევრულობას, სანდოობასა და რეკონსოლიდაციას, ვიდრე რომელიმე წმინდად მხატვრული ნაწარმოები. გარდა ამისა, ადამიანის ცხოვრება სოციალურ და ეთიკურ კონტექსტში არსებობს, რომელიც, ზოგადად, ისევე მიესადაგება ან არ მიესადაგება სხვა სახის მონათხრობებს (Booth, 1988, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006).

მონიფული იდენტობის შემთხვევაში მოზრდილ ადამიანს შეუძლია პროდუქტული და საზოგადოებაში წვლილის შემტანი წევრობა. მას შეუძლია მოზრდილის როლების აღება სამსახურსა და ოჯახში; მომავალი თაობის აღზრდა, ხელშეწყობა და ინსტრუქტირება, რათა თავისი მცირე თუ დიდი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის გადარჩენაში, გაუმჯობესებასა და პროგრესულ განვითარებაში. მონიფული იდენტობა სოციალურ სამყაროში კრეატიულ ჩართულობას საჭიროებს, რომელიც უფრო დიდი და მუდმივია, ვიდრე თავად „მე“. სწორედ სამყაროსა და საკუთარ „მე“-ზე უნდა იყოს ნარატივი/ისტორია ორიენტირებული. იდეალურ შემთხვევაში მთხრობელის მიერ ერთიანობისა და ცხოვრების მიზნების ძიებამ სარგებელი უნდა მოუტანოს როგორც ისტორიის შემქმნელ პიროვნებას, ისე – საზოგადოებას, რომელშიც ეს ისტორია იქმნება (McAdams, 2009).

2.2. ნარატივი, როგორც ადამიანის ცხოვრების მაორგანიზებელი პრინციპი

2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ ადამიანებთან მუშაობისას ყოველი მათგანისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ვცდილობდი, რომელშიც შეძლებდნენ საკუთარ თავთან შეხვედრას. ასეთ გარემოში ყურაადღებით,

ემპათიით, ყოველგვარი კრიტიკისა და პოზიციის გარეშე ვუსმენდი, საშუალებას ვაძლევდი, მშვიდად ეფიქრათ საკუთარ თავზე და ნელ-ნელა დაელაგებინათ მეტნაკლებად თანამიმდევრული ამბავი საკუთარი თავის შესახებ. მათ სხვა გზა არ გააჩნდათ. შექმნილი ვითარება აიძულებდათ, ელაპარაკათ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იჭედებოდნენ დროსა და სივრცეში, ერთ ადგილს ტკეპნიდნენ და, მომავლის უპერსპექტივობის გარდა, ვერაფერს ხედავდნენ.

თუმცა ყველამ ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, რომ არ არის აუცილებელი რაიმე საშინელი და მძიმე მოხდეს, რომ საკუთარი ისტორიის მოყოლა მოგვინდეს. რას ვაკეთებთ, როდესაც ახალ ადამიანს ვიცნობთ? ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს ვხვდებით? რას ვამბობთ, როცა დაწვრილებით გვთხოვენ პასუხის გაცემას დასმულ კითხვაზე? დიდი ალბათობით, ვამბობთ: „ოოო, ეს გრძელი ამბავია!“ როგორ იწყება თქვენი ნებისმიერი დღე, როდესაც იმ ადამიანებს ხვდებით, ვისთანაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებთ? ცხადია, ყვებით და ისმენთ ამბებს. ამბების მოყოლა ხომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია!

ბევრმა ავტორმა, როგორებიც არიან მაკინტირი (MacIntery, 1981), ქარრი (Carr, 1986) და სარბინი (1986), წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანის ფსიქოლოგიას არსებითად ნარატიული სტრუქტურა აქვს. მაგალითად, სარბინმა (1986) შემოგვთავაზა ის, რასაც იგი „ნარატორის პრინციპს“ უწოდებს. ეს არის იდეა, რომ ადამიანები ნარატიული სტრუქტურების მიხედვით ფიქრობენ, აღიქვამენ, წარმოისახავენ, ურთიერთქმედებენ და ახორციელებენ მორალურ არჩევანს. ამ თეორიის მხარდასაჭერად სარბინი ამტკიცებს, რომ თუ პიროვნებას ორსამ სურათს ან აღწერით ფრაზას წარვუდგენთ, ის მათ ავტომატურად დააკავშირებს ერთმანეთთან „ამბის“ ანუ ანგარიშის ასაწყობად, რომელიც სურათებს ან ფრაზების მნიშვნელობებს გარკვეული მოდელის/სისტემის მიხედვით დაალაგებს. თუ დავაკვირდებით და გავიაზრებთ, ვნახავთ, რომ სურათების ან ფრაზების მნიშვნელობების გაერთიანება ქარგის/სიუჟეტის იმპლიციტური გამოყენების შედეგია. თუ წარმოდგენილ სურათებსა და ფრაზებში ადამიანებია გამოსახული, ამბავში ადამიანური სენტიმენტები, მიზნები, ღირებულებები და მსჯელობები აისახება. სიუჟეტი გავლენას მოახდენს ამბავის ნარატივში წარმოჩენილი ფიგურების მოქმედებების მიმდევრობაზე (Sarbin, 1986, გვ. 9).

სარბინისთვის (1986) ნარატივი „ადამიანის ქმედების ორგანიზების პრინციპია.“ ავტორი იმას გულისხმობს, რომ ნარატივის ცნების დახმარებით შეგვიძლია ავხსნათ გამოცდილების ნაკადში სტრუქტურის შეტანის ადამიანისეული

სწრაფვა. თუმცა ნარატივის პრინციპი, ტრადიციული მიდგომისგან¹¹ განსხვავებით, ინდივიდის ძალიან განსხვავებულ პორტრეტს გვაძლევს. ნარატივის პრინციპი სელფის (Self), როგორც ამბების მთხრობლის, უფრო ჰუმანისტურ ხატს ქმნის, თავისი გმირებითა და ანტიგმირებით, სიუჟეტებითა და სხვა აქტორებთან მოუბარ აქტორთა ხატებით. სარბინის მიხედვით, იმის კარგად გასაცნობიერებლად და დასანახად, რომ ნარატივის პრინციპები მართავს ადამიანის გონებასა და ქცევას, საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრება და რეფლექსია გვმართებს. ჩვენს იმედებს, ოცნებებს, შიშს, ფანტაზიას, გეგმებს, მოგონებებს, სიყვარულს, სიძულვილს, ყოველდღიური ცხოვრების რიტუალებს (მაგალითად, საღამოს ერთობლივ ოჯახურ ვახშამს), წარმართობიდან შემორჩენილ რიტუალებს (ქორწინებას, ნათლობას, დაკრძალვას), რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში ცვლილებების აღსანიშნად სრულდებოდა – ყველაფერს ნარატივის სიუჟეტი/ქარგა მართავს და მათში ჩართული ინდივიდების ამბის მოსათხრობად არის ორგანიზებული.

ამბებს სხვადასხვა მიზეზით ვყვებით. ამბები გვართობს, გვაცინებს და გვატირებს, მოთმინებით აგვაკვებს და ზემოქმედებს, ჭკუას გვარიგებს. მოქმედებასა და ცხოვრებას ამბებით ვსწავლობთ; ამბებით ვიგებთ სხვა ადამიანების, სიტუაციებისა და იდეების შესახებ. ამბებმა მორალური გაკვეთილიც შეიძლება მოგვცეს. ეზოპესა და იესოს იგავეები სხვადასხვა სიღრმის სიბრძნის მატარებელია კარგისა და ცუდის, მორალურისა და ამორალურის, ცხოვრებისეული დილემების შესახებ. გართობისა და განათლების ფუნქციის გარდა, ამბებს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ინტეგრაციის ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ინტეგრაცია და განკურნება ნარატივებისა და თხრობის ძირითადი ფსიქოლოგიური ფუნქციაა. მონათხრობმა შეიძლება თავი მოუყაროს ჩვენს ცხოვრებას, როდესაც განადგურებულად, დაშლილად და დამსხვრეულად ვგრძნობთ თავს; განგკურნოს, როდესაც ავად ვართ; სტრესებთან გამკლავებაში დაგვეხმაროს და ფსიქოლოგიური კმაყოფილებისა და მონიფულობისკენაც კი გვიბიძგოს. დაკვირვებისხართ, რომ ცუდ ამბებს უფრო ხშირად და უფრო ემოციურად ვყვებით? საინტერესოა, რომ კვლევებიც აჩვენებს (McLean & Lilgendahl, 2008), რომ ადამიანები პირად ცხოვრებაში მომხდარ უარყოფით მოვლენებს უფრო ხშირად, ბევრჯერ და მოხდენიდან უფრო მალე ყვებიან, ვიდრე დადებით ამბებს. ცხადია, ამას თავისი მიზეზები აქვს, რომლებზეც ქვემოთ უფრო მეტს ვისაუბრებთ.

¹¹ რომელიც ინდივიდს მანქანას ან კომპიუტერის მსგავს ინფორმაციის გადამამუშავებელ მექანიზმად მიიჩნევს და მას აბსტრაქტული ხატების ან „მკვდარი მეტაფორების“ სახით წარმოგვიდგენს.

ნარატივის განმკურნებელი ძალა ძირითად თემად იქცევა ფსიქოთერაპიის გარკვეულ ფორმებში, როდესაც მკურნალობის ექსპლიციტურ მიზანს ცხოვრების დეპათოლოგიზაცია წარმოადგენს. მაგალითად, ფსიქოანალიზი ამტკიცებს, რომ ცხოვრების თანამიმდევრული ისტორიის დალაგება თერაპიის ძირითადი მიზანია. ფსიქოანალიზი მოიცავს თანამიმდევრული ნარატივის შექმნის პროცესს, რომლითაც ანალიტიკოსი და კლიენტი მისი ცხოვრების შესახებ მეტად ადეკვატური და სიცოცხლისუნარიანი ისტორიების შექმნით არიან დაკავებულნი (Schafer, 1981). „აშლილობას, ნაწილობრივ მაინც, საფუძვლად უდევს ის, რომ კლიენტი ვერ ახერხებს თანამიმდევრული ისტორიის მოყოლას, ან საკუთარი თავის არაადეკვატური ნარატიული ახსნით ოპერირებს.“ თერაპევტი და კლიენტი ერთად მუშაობენ განმკურნებელი ნარატივის შექმნაზე (White & Epston, 1990). ამ პროცესში ტრიუმფალური ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს კლიენტმა ანდა პროგრესი ნელი და ნაკლებად თვალსაჩინო იყოს.

მკვლევრებმა შეისწავლეს, რამდენად დადებითად მოქმედებს ამბების მოყოლა დაძლევისა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ყველაზე ცნობილია ჯეიმს პენბაკერისა და მისი კოლეგების (1988, 1993, 1997, 2003) კვლევები, რომლებიც პიროვნული ტრავმის შესახებ თხრობის განმკურნებელ ეფექტს შეეხებოდა. კვლევათა სერიებმა აჩვენა, რომ პიროვნული ტრავმების სიტყვებში გამოტანის ნარატიული აქტი ხანგრძლივ დადებით ეფექტს ახდენდა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ამასთან, ჯანმრთელი ფსიქიკური მდგომარეობისთვის როგორც უარყოფითი ემოციების გამოხატვა, ისე ნათელი კოგნიტური მონათხრობის წარმოდგენა, მნიშვნელოვანი კომპონენტებია (McLean & Lilgendahl, 2008). საინტერესოა, რომ, განურჩევლად იმისა, რა მიზანს ემსახურება ამა თუ იმ ამბის თხრობა, მას თითქმის ყოველთვის თან სდევს თერაპიული ეფექტი. წლების განმავლობაში კლინიკურ გარემოში თუ კვლევითი ინტერვიუს დროს მოსმენილი ამბები მუდმივად მიმტკიცებს ამ მოსაზრებას. სტანდარტული ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს დასასრულს (ხეჩუაშვილი, 2021) კვლევის მონაწილეებს აუცილებლად ვეკითხები, როგორ გრძნობენ თავს ახლა, როგორ შეაჯამებენ ინტერვიუს (იხ. ქვემოთ, **თავი 3**). ადამიანები ხშირად საუბრობენ ინტერვიუს მსვლელობისას „განათებული გონების“ და „საკუთარი თავის შესახებ მეტის გაგების“ შესახებ და ამბობენ, რომ „ფსიქოთერაპიასავით იყო ეს ყველაფერი“ (კვლევითი ინტერვიუს თერაპიული ეფექტის შესახებ იხ. Vajda, 2007).

მეტინგლი (2002) თვლის, რომ ნარატივისთვის დამახასიათებელი სამი თვისება განსაკუთრებით სასარგებლოდ აქცევს მას განკურნების მიზნებისთვის. უწინარესად, ეს ნარატივის მოვლენაზე „ცენტრირებულობაა“. ის მოქმედებას, კერძოდ, ადამიანის მიერ განხორციელებულ მოქმედებას და, კიდევ უფრო კონკრეტულად, ადამიანების ურთიერთქმედებას შეეხება. ის სოციალურ ქმედებას გულისხმობს. მეორე თვისება ნარატივის გამოცდილებაზე „ცენტრირებულობაა“. ის

უბრალოდ კი არ აღწერს ვილაცის ქმედებას სამყაროში, არამედ იმასაც გვიჩვენებს, თუ სამყარო როგორ მოქმედებს ამ ვილაცაზე. ნარატივი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რას ნიშნავს (რა განცდაა) კონკრეტული მონათხრობის სამყაროში ყოფნა. ნარატივი ისეთ მოვლენებსაც მოიცავს, რომლებიც აქტორის სურვილისგან დამოუკიდებლად, მოულოდნელად ხდება; ხშირად არასასურველიცაა, და ეს მაშინაც კი ხდება, როდესაც აქტორი თხრობისას სწორედ ამ მოვლენებს აყენებს პირველ ადგილზე. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნარატივი მოქმედების არანინასწარგანზრახული თანმიმდევრობის შესახებ მოგვითხრობს. მესამე, ნარატივი უბრალოდ წარსულ გამოცდილებას კი არ შეეხება, არამედ ქმნის კიდევ ამ გამოცდილებას მსმენელისათვის. ნარატივი ორიენტირებულია პროვოკაციულობაზე. ის მსმენელისგან დენოტაციური¹² პროზისგან განსხვავებულ რეაქციას მოითხოვს. ნარატივი მეხსიერებაში მოგონებების გაცოცხლების, ხატებისა (იმიჯების) და უთქმელი საიდუმლოების ამოთქმით გვთავაზობს მოყოლილი ამბის მნიშვნელობას/აზრს.

2.3. ნარატივი, როგორც სოციოკულტურული პრაქტიკა

შეამჩნევდით, რომ ნარატივზე საუბარი შეუძლებელია მეორე ადამიანის, იქნება ეს მეგობარი, თერაპევტი თუ მკვლევარი, გარეშე; ერთი სიტყვით, ჩვენ ვყვებით და ვილაც ყოველთვის გვისმენს. მართალია, მაკადამსი თელის,¹³ რომ ჩვენ მსმენელის გარეშეც მშვენივრად შეგვიძლია საკუთარი ამბის მოყოლა, ნარატივის ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საკუთარი ამბის სათანადოდ მოსაყოლად და იმისათვის, რომ ამ თხრობამ თავისი მაინტეგრირებელი ფუნქცია შეასრულოს, აუცილებლად გვესაჭიროება მეორე ადამიანი. საინტერესოა, რომ ეს მეორე ადამიანი შეიძლება სულაც არ იყოს რეალური პიროვნება და მხოლოდ წარმოსახული აუდიტორიის სახით არსებობდეს (Hermans & Gieser, 2012; Pasupathi & Wainryb, 2018). ჩვენი ამბის თხრობისათვის მეორე ადამიანის საჭიროებას მივყავართ მოსაზრებამდე (და, შესაბამისად, თეორიულ ჩარჩომდე), რომელზეც დგას მთელი

¹² **დენოტატი** — ნიშნის, სახელის (სიმბოლოს) მატერიალური მხარე. ენობრივი ნიშნები აუცილებლად მატერიალური სახით უნდა იყვნენ გამოხატულნი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი საშუალებით კომუნიკაცია. სხვა გზა ადამიანებს უბრალოდ არ გააჩნიათ. აღმნიშვნელი შეიძლება იყოს დანერილი, გამოთქმული, წაკითხული ან მოსმენილი. ყველა შემთხვევაში ფიგურირებს ნიშნის მატერიალური გარსი. აღმნიშვნელი არის ის, რაც წარმოადგენს ენობრივ ნიშანს და ახორციელებს ამა თუ იმ ობიექტის აღნიშვნას (ბიჭაშვილი, 2006).

¹³ პერსონალური კომუნიკაცია (2019 წლის თებერვალი, პორტლანდი, ორეგონი, აშშ).

ჩემი კვლევა – ამბები საკუთარი თავის შესახებ ფსიქოსოციალური კონსტრუქცი-
აა (McAdams, 1993, 2013), ნარატივის კონსტრუირება კი – სოციოკულტურული
პრაქტიკა.

რას ნიშნავს „ნარატივის კონსტრუირება სოციოკულტურული პრაქტი-
კაა?“ ამ კითხვაზე პასუხისათვის ისევ ერიკსონს უნდა მივუბრუნდეთ. ის საუბ-
რობს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ განვითარებაზე და მის მიერ და-
მკვიდრებული ტრადიციის ფარგლებში, ნარატივის მკვლევრებიც ისევე ახდენენ
ფოკუსირებას ინტრაფსიქიკურ ნარატიულ პროცესებზე, როგორც სოციალურსა
და კულტურულზე (McLean, 2016). მაკლინი და კოლეგები (2007) თვლიან, რომ
ამბები კონკრეტულ კონტექსტებზეა „მიბმული“. ამიტომ იდენტობის ფორმირე-
ბის პროცესის შესახებ გაცილებით მეტი გვეცოდინება, თუ მხოლოდ ამ ამბებს კი
არ შევისწავლით, არამედ იმ კონტექსტებსაც მივაპყრობთ ყურადღებას, რომლე-
ბშიც ყვებიან ადამიანები მათ. ამ კონტექსტების კვლევა კი მასტერნარატივის
ცნების შემოტანით იწყება.

2.4. მასტერნარატივი

დღესაც ნათლად მახსოვს ის კვირა დღე. უცნაური კვირა დღე გათენდა.
ტელევიზორი დუმდა. ქუჩებში სიცარიელე იყო. იმ კვირა დღის შემდეგ 30 წელი
გავიდა. იმ დილას 1989 წლის 9 აპრილი გათენდა. ადამიანები დაილუპნენ. ადამი-
ანები დაშავდნენ. იმ დილას დაილუპა 16 წლის გოგო, რომელსაც სკოლიდან ვიც-
ნობდი.

40-55 წლის ქართველი რესპონდენტების ნარატივები 1989 წლის 9 აპრი-
ლის შესახებ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ
მათი პირადი გამოცდილება სრულიად უნიკალური და განუმეორებელია, ადამი-
ანებისთვის ეს დღე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ერის გაერთიანების
ოფიციალურ დასაწყისს წარმოადგენს („ადამიანები გაერთიანდნენ და ერთად და-
დგნენ“, „ეროვნული თვითგამორკვევა დაიწყო“, „უკეთესი მომავლის იმედი გაჩნ-
და“). ეს არის ქართველების მასტერნარატივი 1989 წლის 9 აპრილის შესახებ.

ცნება *მასტერნარატივი* ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთკვეთისა
და ურთიერთქმედების პროცესის აღსაწერად და ასახსნელად გაჩნდა ნარატიულ
ფსიქოლოგიაში. ეს არის კულტურაში ფორმირებული ისტორიები, რომლებიც მო-
ცემული კულტურის შესახებ მოგვითხრობს და მიგვითითებს, რას ნიშნავს მოცე-
მული კულტურის „კარგ“ წევრად ყოფნა. ეს მონათხრობები საზოგადოების სტ-
რუქტურის ნაწილს წარმოადგენს. პერსონალური ნარატივის აგების პროცესში
ინდივიდები ერგებიან მასტერნარატივებს და მათ ინტერნალიზაციას ახორციე-
ლებენ; შესაბამისად, ეს ნარატივები ქმნიან საფუძველს, სამუშაო მასალას იმის

გასაგებად, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი კარგად ანუ რას ნიშნავს კარგი ცხოვრება მოცემული კულტურის ფარგლებში. ამა თუ იმ კულტურაში მცხოვრები ბევრი ადამიანისთვის ეს მასტერნარატივები რეალურ ფუნქციებს ემსახურება და პრობლემას არ ქმნის, თუმცა ზოგ ადამიანს, შესაძლოა, ალტერნატიული ნარატივის აგება ან მიღება მოუხდეს, რომელიც, სულ მცირე, განსხვავდება მასტერნარატივისგან, მისი უკიდურესი ფორმა კი ეწინააღმდეგება კიდევ მას. მასტერნარატივისა და მის ალტერნატიულ ნარატივებზე მოგვიანებით კიდევ ბევრს ვისაუბრებთ.

მასტერნარატივის ცნება (Thorne & McLean, 2003) გარკვეული დროის განმავლობაში გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა — სხვადასხვა შინაარსითა და ემპირიული გამოვლინებებით (მაგალითად, იხ. Bamberg, 2004; Hammack, 2008; Hammack & Cohler, 2009; Thorne & McLean, 2003; Weststrate & McLean, 2010). ეს ტერმინი ისეთ ცნებებს ეთავსება, როგორცაა სოციალურ მეცნიერებებში მიღებული ტერმინი „დომინანტური დისკურსი“ (Hammack, 2008), ცხოვრების სცენარი ანუ სკრიპტი (Berntsen & Rubin, 2004; Rubin, Berntsen, & Hutson, 2009; Hatiboğlu, & Habermas, 2016), დომინანტური კულტურული სკრიპტი (McAdams, 2013) და ცხოვრების გზა (Runyan, 1984). პიროვნული ნარატივისგან განსხვავებით, მასტერნარატივი არ ეკუთვნის ერთ კონკრეტულ ადამიანს, ის კულტურაში ფორმირებული განზოგადებული ისტორიაა (McLean & Syed, 2016; McLean, Syed, & Shucard, 2016), რომელიც დომინირებს მოცემულ კულტურაში და „კარგი, მისაღები“ ცხოვრების იდეალიზებულ ვარიანტს აღწერს. ამასთან, მასტერნარატივი მოცემული კულტურის წევრებს პერსონალური ისტორიისთვის თემებს, შინაარსებსა და ხატებს სთავაზობს. შესაბამისად, როგორც ჰამაკი (2008) ამბობს, პირადისა და კულტურულის ურთიერთქმედება უაღრესად განპირობებულია კულტურული კონტექსტით. შესაბამისად, ეს გვაფიქრებინებს, რომ მასტერნარატივები (ა) კულტურაში მოცემული და კულტურაზე მიბმული კონსტრუქტებია და (ბ) მათი ზოგიერთი ასპექტი იცვლება კულტურების შესაბამისად, ხოლო სხვა ასპექტები კი კულტურულად ინვარიანტული რჩება (Khechuashvili & McLean, in prep.; Khechuashvili, 2015). წარმოდგენილი ნაშრომი მასტერნარატივის მაკლინისა და საიედის (2016) მიერ შემოთავაზებული მოდელის ფარგლებშია შესრულებული, რომლის შესახებაც დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად, მასტერნარატივები კულტურაში გაზიარებული ამბებია, რომლებიც მოცემული საზოგადოების წევრისთვის სავალდებულო სტანდარტებსა და მოლოდინს გადმოგვცემს (Boje, 1991; Thorne & McLean, 2003; McLean & Syed, 2016; ხეჩუაშვილი, 2016d) და რომელსაც მოცემული კულტურის ყველა წევრი იყენებს ან აღიარებს მაინც მასტერნარატივებს საკუთარი ამბის თხრობისას. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ თუ უნიკალური პიროვნება და მისი იდენტობა გვან-

ტერესებს, ბევრს ვერაფერს გავარკვევთ იმ კულტურის მასტერნარატივების ცოდნის გარეშე, რომლის ფარგლებშიც იქმნება, ვითარდება და ცოცხლობს ეს იდენტობა ანუ პერსონალური ნარატივი.

3. ნარატიული კვლევის მეთოდოლოგია: ცხოვრების ისტორიის თხრობა, როგორც ემპირიული მონაცემების შეგროვების მეთოდი

ცნობიერება მაშინ იწყება, როდესაც ტვინი ამბის უსიტყვოდ მოყოლის ძალას იძენს; ამბისა იმის შესახებ, რომ ორგანიზმში სიცოცხლე ჩქეფს (Damasio, 1999).

3.1. ნარატივი, როგორც კვლევის ობიექტი

როგორც ამბობენ (Atkinson, 1998), ამბები ისტორიულად ოთხ კლასიკურ ფუნქციას ასრულებს. ამბის მოყოლისას ადამიანი მეტ ჰარმონიაში მოდის საკუთარ თავთან, სხვებთან, სიცოცხლის მისტერიასა და მის ირგვლივ არსებულ სამყაროსთან (Campbell, 1970). ჩვენთვის ცნობილი ყველანაირი მითოლოგია სიმბოლოებს, მოტივებსა და არქეტიპებს მოიცავს, რომლებიც ყველაზე ფუნდამენტურ ადამიანურ დონეზე გადმოგვცემენ შეტყობინებებს. ისინი პიროვნული გამოცდილების მიღმა ვერბალიზებული გამოცდილებებია და კოლექტიურ რეალობაში ძევს. მათ აქვთ ძალა, რომელიც საკუთარი თავის ყველაზე სიღრმისეულ ნაწილებთან გვაკავშირებს. საკრალური ან ტრადიციული ამბები ცხოვრების გულსა და არსს ეხება, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია. ცხოვრების ამბებსაც შეუძლიათ კლასიკური ფუნქციების შესრულება იმიტომ, რომ მათში დროის მიღმა¹⁴ არსებული თემებისა და მოტივების შესახებ მოგვითხრობენ, რომლებსაც მითოლოგიაში ვხვდებით.

ტრადიციულად ამბობენ (Atkinson, 1998), რომ ცხოვრების ისტორია ამ ოთხ კლასიკურ ფუნქციას მისტიკურ-რელიგიურ, კოსმოლოგიურ-ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სფეროებში ასრულებს. ამ მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრების ისტორია, თავისი ბუნებით, იმთავითვე ინტერდისციპლინურია, თუმცა ფსიქოლოგიაში ნარატიული კვლევის კონტექსტში მხოლოდ მისი ფსიქოლოგიური გამოყენება გვინტერესებს.

ნარატივის მკვლევრები თვლიან (მაგალითისთვის იხ. Atkinson, 1998), რომ, რადგან ფსიქოლოგიური განვითარების მთელი პროცესი კონფლიქტისა და გადაწყვეტის, ცვლილებისა და ზრდის დიალექტიკის ირგვლივ ფოკუსირდება,

¹⁴ სოციოლოგიური, მისტიკურ-რელიგიური და კოსმოლოგიურ-ფილოსოფიური გამოყენების შესახებ იხ. Atkinson, 1998.

ცხოვრების იმ ისტორიის გახსენება, ფორმირება და გაზიარება, რომელიც წარსულში განცდილი ღირებულებებისგან, რწმენებისა და მისწრაფებებისგან და, ასევე, მომხდარი რეალური მოვლენებისა და გამოცდილებებისგან აიგება, ნებისმიერი ჩვენგანის განვითარების უპირველესი ამოცანაა, თუმცა თავად ამბავიც შეიძლება ღირებული ტექსტი იყოს ადამიანის საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ მეტის გასაგებად. ცხოვრების ამბის თხრობისას მთხრობელს არაერთხელ უნევს იმ კონფლიქტებთან დაპირისპირება, რომლებიც, შესაძლოა, მომხდარიყო. ამ დროს გამოცდილებები და გრძნობები უფრო ნათელი და მკაფიო ხდება და მკვლევარი უკეთ იგებს, თუ ვინ არის ეს პიროვნება. ცხოვრების ისტორია კვლევის სასარგებლო ინსტრუმენტიცაა ფსიქოლოგიის ბევრ სფეროში. მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო და რელევანტური ზოგი მათგანი.

3.1.1. სელფი (Self)

ცხოვრების ნარატივი ყველაზე ეფექტური საშუალებაა იმის გასაგებად, თუ როგორ ვითარდება სელფი (Self) დროთა განმავლობაში, ანდა ამ პროცესის სუბიექტური თვალსაზრისის საკვლევად მაინც. ნარატიულ მიდგომაში სელფი (Self) მიმდინარე ამბავი ან კრეატიული ინტერპრეტაციაა. თუ მონაცემებს გულდასმით დავაკვირდებით და ნარატივში შესაძლო არათანამიმდევრულობის შემჩნევას განვიზრახავთ, მაშინ სელფის (Self) შესახებ თხრობის პროცესის საშუალებით ნამდვილად მივიღებთ კვლევისათვის სასარგებლო ინფორმაციას და საბოლოოდ მივალთ სელფის (Self), როგორც საზოგადოებაში, კულტურასა და ისტორიაში ლოკალიზებული საზრისის მიმცემი ერთეულის, შესახებ საძიებელ, ჩვენთვის სასურველ გაგებამდე (Freeman, 1992).

3.1.2. იდენტობის განვითარება

ცხოვრების ისტორია თავად ცხოვრებისეული გამოცდილება კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი რეპრეზენტაციაა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრების ისტორიის მოყოლა გამოცდილების ორგანიზებისა და იდენტობის ფორმირების ან განმტკიცების გზაა (McRae, 1994; Ochberg, 1994). ცხოვრების ნარატივის კონსტრუირების აქტი შეიძლება სულაც ის საშუალება იყოს, რომლითაც ცხოვრებას ერთად ვუყრით თავს; რომლითაც ცხოვრება შეუფერხებლად და რბილად მიედინება ერთი თემიდან მეორისკენ და მას საზრისის მქონე ერთობლიობად აღვიქვამთ. ზოგი ადამიანისთვის ამბის მოყოლა შესაძლოა იმად გახდომის საშუალება იყოს, ვინც არის რეალურად. ეს შეიძლება იყოს ყველა იმ ღირებულებისა და დამოკიდებულების გაერთიანების, ერთობლივად წარმოჩენის საშუალება, რომელიც ადამიანმა მთელი ცხოვრების განმავლობაში შეიძინა ოჯახიდან ან სხვა წყაროებიდან. ცხოვრების ისტორიის მოყოლა ზოგიერთი ადამიანისთვის

ერთ-ერთი ყველაზე ემპათიური პასუხი შეიძლება იყოს კითხვაზე: „ვინ ვარ მე?“ ზოგმა შეიძლება ცხოვრების ამბის თხრობისას საკუთარი „მე“-ს ხატი და თვით-შეფასება დააზუსტოს და განამტკიცოს, სხვებმა კი მხოლოდ ნაწილობრივ ან დროებით უპასუხოს ამ დიდ კითხვას.

მკვლევრისთვის ცხოვრების ისტორიის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულება შესაძლოა იმის განსაზღვრა იყოს, როგორ მიემართება მოყოლილი ისტორია მთხრობელს. გვეუბნება კი ის იმას, თუ ვინ არის სინამდვილეში მთხრობელი? იგრძნობა თუ არა გამოცდილებების ერთიანობა მოყოლილ ამბავში? როგორ განისაზღვრება იდენტობა? იდენტობის რომელი სტატუსებია აღწერილი? ნათქვამი შინაგანად და გარეგანად თანმიმდევრულია თუ არა და როგორ შეესაბამება ინდივიდის მონათხრობი იდენტობის ფორმირების მოდელებს (Erikson, 1968; Kroger, 1993; Marcia, 1966; Widdershoven, 1993)?

3.1.3. კონსულტირება და თერაპია

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს (იხ. ქვემოთ) გამოყენება, ალბათ, თანმდევი თერაპიული ეფექტების გამოა ყველაზე მნიშვნელოვანი. ცხოვრების ამბის თხრობა აუცილებლად თერაპიული არ არის, მაგრამ ადამიანს რაღაც ისეთის დაზუსტებაში ან გაგებაში ეხმარება, რაც მოყოლამდე არც თუ ისე კარგად ესმოდა. ჩვენ ხომ ფსიქოთერაპიას „საუბრით მკურნალობას“ ვუნდობთ! რას ვაკეთებთ თერაპიის დროს? ჩვენს ისტორიას ვუყვებით ვიღაცას, ვისაც ნასწავლი აქვს, როგორ დაგვეხმაროს საკუთარი ამბის უკეთ ორგანიზებაში, გაგებაში, ინტერპრეტაციასა და ახლებურად დალაგების სწავლაში, რადგან მარტონი ვერ ვართმევთ თავს ამ ამოცანას. თავად ეს პროცესი – ჩვენი ამბის ნათლად, უშუალოდ და გულწრფელად თხრობა – შეიძლება იყოს თერაპიული, გააჩნია, თხრობის მომენტში რა ვითარებაში ვართ.

აქ ის ანტიკური გამონათქვამი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელიც კარგად ასახავს ცხოვრების ნარატივის ამ ფუნქციას: „სიმართლე ათავისუფლებს“, და უკიდურესი, რადიკალური გულწრფელობა ვიგულისხმობთ (Blanton, 1996). გაბედვა სჭირდება სიმართლის თქმას, ყველანაირ სიცრუესა და დაცულობაზე უარის თქმას და საკუთარი თავისა და სხვებისადმი ღიაობისა და გულწრფელობის პირობებში თხრობას, რაც სტრესისა და ემოციური პრობლემების დაძლევის საშუალებაა.

როდესაც თერაპევტები, კონსულტანტები ან სხვა მსგავსი პროფესიის წარმომადგენლები ნარატიულ მიდგომას იყენებენ, ჩვენ წინაშეა უცილოდ „თხრობის“, „ხელმეორედ თხრობის“ ან ორივე პროცესი ერთად. თერაპიის კონტექსტში ნარატიული მიდგომის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალები ეხმარე-

ბიან კლიენტებს თავიანთი ცხოვრების დეტალების გარკვევაში, რაც, თავის მხრივ, უკეთ წარმოაჩენს დროში მდგრად პატერნებს, საკითხებს, კონფლიქტურ სიტუაციებსა თუ დილემებს, რომლებთან გამკლავებაც უწევთ ცხოვრებაში (White & Epston, 1990). ეს პროცესი საკმაოდ ბევრს სძენს კვლევასაც და თერაპიულ კონტექსტსაც. ინდივიდის ცხოვრების თხრობა და განმეორებით თხრობა ახალი და პოტენციურად განმათავისუფლებელი ნარატივების შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. მკვლევარს შეუძლია ამ პროცესისა და ტექსტის შესწავლა შესაძლო ინსაიტებისა და ახალი მნიშვნელობების მოძიების მიზნით, რათა განსაზღვროს, რამდენად ეხმარება ადამიანს თხრობის მეშვეობით ადრეული ცხოვრების მოვლენების გახსენება და მათზე რეფლექსია/მათი გააზრება ამ საკითხებში გასარკვევად ან მეტი მთლიანობის/ინტეგრირებულობის განცდის მისაღწევად.

3.1.4. ადამიანის ცხოვრების ნარატიული კვლევა

ცხოვრების კვლევისას ერთიანი ცხოვრება ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილები გვანტიერესებს. ნებისმიერ შემთხვევაში, პერსონალური ნარატივი ყველაზე სასარგებლო კვლევითი მიდგომაა, რომელიც სუბიექტური პერსპექტივისა და გაგების შესწავლის საშუალებას გვაძლევს, განურჩევლად საკვლევი თემისა თუ საკითხისა. ცხოვრების ისტორიები ცხოვრებისეული მოვლენებისა და ვითარებების მონესრიგების ბუნებრივ ანუ თანამიმდევრულად დალაგების ტენდენციას მიჰყვება (Cohler, 1988).

თუ ცხოვრების „ინსაიდერის“ პოზიციიდან გაგება გვსურს, ცხოვრების ისტორიის სუბიექტურ ნარატივზე უკეთეს მეთოდს ვერ ვიპოვით, რომელიც, თავის მხრივ, საზრისის ძიებისა და პოვნის, ცხოვრებისეული გავლენებისა და გამოცდილების ინტერპრეტაციის საშუალებაა.

3.2. ნარატიული კვლევის პროცესი

კვლევისას ცხოვრების ნარატივის გამოყენებას თავისი თეორიული საფუძვლები აქვს (Adler et al., 2017; Habermas & Reese, 2015; McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, 2015). აქ მხოლოდ ამ ორ გავრცელებულ კრიტიკულ მოსაზრებას შემოგთავაზებთ: (ა) ამბები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი ცხოვრების შესახებ ყვებიან, აუცილებლად მართალი ან ზუსტი როდია, და (ბ) ნარატიული მეთოდები უბრალოდ ინტენსიური, შრომატევადი თვითანგარიშის ინსტრუმენტებია. ორივე კრიტიკული მოსაზრების ავტორებსა და მომხრეებს ყურადღების მიღმა რჩებათ ნარატივთა შესახებ ცნობილ მოსაზრებათაგან ყველაზე არსებითი.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ყველა ავტობიოგრაფიული მოგონება, პიროვნული გამოცდილების ნარატივები მოვლენების დინამი-

კურად რეკონსტრუირებული რეპრეზენტაციებია. რამდენჯერაც ვიხსენებთ/ვიგონებთ ამბავს, გახსენების ეს პროცესი იმდენჯერ წარმოაჩენს შინაგანი სუბიექტური კონტექსტისა და გარეგანი სოციოკულტურული კონტექსტის კომპლექსურ ურთიერთქმედებას. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, იმ ფუნქციით წარმართავს, რომელსაც გახსენების მოცემული კონკრეტული აქტი ემსახურება მოცემულ მომენტში. ამგვარად, ნარატივები უაღრესად იდეოგრაფიული, დინამიკური რეფლექსიაა იმაზე, თუ როგორ იხსენებენ ადამიანები საკუთარ გამოცდილებას. ისინი კონტექსტისთვის სპეციფიკურ ფუნქციებს ემსახურებიან. ნარატიული კვლევის მიზანი ამ ფუნქციებისა და იმის გაგებაა, როგორ ურთიერთქმედებენ ეს ფუნქციები სხვა ცვლადებსა და შედეგებთან, და არა იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მოგონება სინამდვილეს. ნარატივები სუბიექტური რეკონსტრუქციებია, რომლებიც ობიექტურად ზემოქმედებენ ადამიანებზე. მაგალითად, ავტობიოგრაფიული ნარატივების მიხედვით, ალკოჰოლიკთა ინდივიდუალური განსხვავებები სიფხიზლის წარმატებულად შენარჩუნებასთან ასოცირდება (Dunlop & Tracy, 2013), ყოფილ დამნაშავეთა კი – დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავებასთან (ჯანანაშვილი და სხვ., 2018; Maruna, 2001). ასევე, ნარატივის განვითარების ტრაექტორიის მიხედვით, ინდივიდუალური განსხვავებები წინ უსწრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ფსიქოთერაპიაზე მისულ კლიენტებში (Adler, 2012).

მეორე: ნარატივები იდენტობის საზომთა უბრალო ნაკრები როდია. ისინი ქმნიან იდენტობას იმით, რომ მათში რეციპროკულად უკავშირდება ერთმანეთს, ერთი მხრივ, ის, თუ როგორ ვპოულობთ საზრისს საკუთარ გამოცდილებებში და, მეორე მხრივ, ის, თუ როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს, ანუ ვინ ვართ ჩვენ (McAdams & Pals, 2006; McLean, Pasupathi, & Pals, 2007). მეტიც: ნარატივები ადამიანის ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე სოციოკულტურული ურთიერთქმედებების წიაღში იღებენ სათავეს, ამიტომ ინდივიდების მიერ საკუთარი ცხოვრების ისტორიის თხრობის ფორმაში/სტილში აისახება როგორც საზრისის პოვნის ექსპლიციტური მცდელობები, ისე – სამყაროში არსებობის/ყოფნის იმპლიციტური ფორმები (Fivush & Merrill, 2016). ამგვარად, ნარატიული მიდგომები იდენტობისადმი თვითანგარიშის საზომებზე კი არ დაიყვანება, არამედ ანალიზის სხვა/განსხვავებულ დონეს წარმოადგენენ, რომელზეც უნიკალური გზებით ფასდება სუბიექტურობა (Adler et al., 2017).

დაბოლოს: ნარატივები ადამიანების მიერ გადატანილი გამოცდილებების მათსავე კონტექსტში ეთიკურად და შინაარსიანად გაგების საშუალებას გვაძლევს (Fivush, 2010). კვლევის მონაწილეების ხმებისა და გამოცდილების გათვალისწინება და სათანადოდ დაფასება ისტორიების დინამიკური და კონტექსტუალური ბუნების შესწავლით ხდება შესაძლებელი, რაც ხშირად თვისებრივი

კვლევის (მაგალითად, იხ. Josselson, 2009; Hammack, 2008) და, ასევე, ნომოთეტური, ჰიპოთეზების შემოწმების ან ძიებითი რაოდენობრივი მიდგომების მეშვეობით ხორციელდება.

ჩემი კვლევა მთლიანად სოციალური კონსტრუქტივიზმის ჩარჩოშია შესრულებული და ნარატიული კვლევის სტრატეგიას ვიყენებ. კვლევის ნარატიულ სტრატეგიაზე რამდენიმე მოსაზრებით შევჩერდი: პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ვიცით, ადამიანები ბუნებით მთხრობელები ვართ, იმთავითვე გვახასიათებს გამოცდილების ნარატივის სახით სტრუქტურირება (Bruner, 1990) და ჩვენი არსებობა თხრობის გარეშე წარმოდგენილია. გარდა ამისა, იდენტობის სხვა კონსტრუქტებისა და თეორიული ჩარჩოებისგან განსხვავებით, ნარატიული მიდგომა საშუალებას გვაძლევს, მოვლენები დროში თანმიმდევრულად განფენილად წარმოვიდგინოთ ისე, როგორც არის კიდეც სინამდვილეში (McLean & Syed, 2015). ასევე, ნარატივში ერთობლივად და ერთდროულად არის წარმოდგენილი ინდივიდი და ის სტრუქტურა, რომელშიც ის ცხოვრობს და ვითარდება; შესაბამისად, ორივე კომპონენტი ერთი და იმავე ერთეულით (ნარატივით) იზომება ანუ გაზომვის ერთ სკალაზეა და კარგად მოიხელთებს მათი ურთიერთქმედების დინამიკას. ბოლოს, ნარატივით კარგად შეიძლება შინაარსობრივი ასპექტების შევსება და საკვლევი ფენომენის უფრო დასრულებული სურათის შექმნა, ვიდრე ეს მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდებით წარმოებული კვლევის შემთხვევაში ხერხდება.

3.2.1. ნარატიული კვლევის ფაზები

ნარატიული კვლევა მრავალფაზიანი საქმიანობაა, რომელიც მთელ რიგ თანმიმდევრულ, კარგად გააზრებულ და განერილ აქტივობებს მოიცავს.

ხსრილი N 3.1 აჯამებს ნარატიული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ყველა შესაძლო ეტაპს. ამასთან, გარკვეულწილად, განსხვავებულია მიდგომები მონაცემებთან ურთიერთობის, მათი მონესრიგება-დანყოფის, დამუშავებისა და ინტერპრეტაციისადმი იმისდა მიხედვით, ნარატიული მეთოდით მოპოვებულ ნედლ მონაცემებს რაოდენობრივად ვამუშავებთ თუ თვისებრივად.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარატიული მეთოდით წარმოებულ კვლევებში უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება შერეული დიზაინი, როდესაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები დროის ერთ მომენტში ერთსა და იმავე შერჩევაში გროვდება, შემდეგ ერთობლივად ანალიზდება და მიღებული შედეგები ინტერპრეტირდება (მაგალითად, იხ. ხეჩუაშვილი, 2016c).

სწორედ ამგვარ მიდგომას ვიყენებ ჩემს კვლევაში. ამიტომ კვლევის შედეგების აღწერა და ინტერპრეტაცია შერეული ხასიათისაა, არც ტრადიციულ პოზიტივისტურ ჩარჩოში შესრულებული კვლევის ანგარიშის ფორმა აქვს, არც წმი-

ნდა ინტერპრეტაციული (თვისებრივი) ანგარიშისა: მასში წარმოდგენილია როგორც თვისებრივი (ნარატივი და ამონარიდები ინტერვიუებიდან), ისე რაოდენობრივი (სტატისტიკური) მონაცემები.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ნარატიული კვლევის პროცესს თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომის შემთხვევაში, რომელსაც ვიყენებ ჩემს კვლევაში, და კონკრეტული შემთხვევების შედარებით ანალიზის ნიმუშსაც წარმოგიდგინებ.

3.2.2. ნარატიული კვლევის პროექტის/ანგარიშის კონცეპტუალური ჩარჩო

როგორც ვიცით, პარადიგმული მოდუსისგან განსხვავებით, აზროვნების ნარატიულ მოდუსში (Bruner, 1986) ოპერირებისას მიზანი ისტორიული და პიროვნული მოვლენების მნიშვნელობების მდიდარი და მრავალშრიანი ინტერპრეტირებული აღწერების შექმნაა. აქ აქცენტი კონკრეტული შემთხვევისთვის უნიკალურ სიმართლეზე (ერთეულ „ჭეშმარიტებაზე“) დაისმის, რაც ხელს უწყობს კონცეპტუალიზაციას ან ეხმარება პრაქტიკოსებს, უკეთ გაიგონ ეს მოვლენები. აქცენტირებულია შინაარსი და მისი მნიშვნელობა, რომელიც ზოგჯერ სტრუქტურული ფორმით ვლინდება. ამ ჩარჩოში წინასწარ არ გვეცოდინება, რას მივიღებთ.

ნარატიული კვლევის პროექტი ექვსი აუცილებელი და საკმარისი ნაწილისგან შედგება. ესენია: კვლევის კონტექსტი, კვლევის კითხვა და მისი მნიშვნელობა, კვლევის გეგმა, მონაცემების ანალიზისადმი მიდგომა, შედეგების მნიშვნელობა და მკვლევრის პოზიციის ამსახველი რეფლექსიური დებულება შესრულებული სამუშაოს შესახებ (Josselson & Lieblich, 2003; Crossley, 2011).

მოცემულ ტექსტში კომბინირებულად არის წარმოდგენილი კვლევის პროექტისა და უკვე შესრულებული კვლევის ანგარიშის სტრუქტურა. ამიტომ თითოეულ მათგანში ყველა მდგენელის შეტანა აუცილებელი არ არის. მაგალითად, ანალიზს/დისკუსიის ნაწილს მხოლოდ კვლევის ანგარიშში ჩავრთავთ, მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობას კი მხოლოდ კვლევის პროექტში განვიხილავთ.

3.2.2.1. კვლევის კონტექსტი

ნარატიული კვლევის პროექტისა თუ ანგარიშის შესავალი ორ ძირითად ნაწილს მოიცავს: (ა) კვლევის კონტექსტის აღწერასა და (ბ) კვლევის მნიშვნელობასა და კითხვას.

ხსრილი N 3.1. ნარატიული კვლევის პროცესი

N	ნარატიული კვლევის ფაზები	ძირითადი განსახილველი საკითხები
1	ნარატიული კითხვების დასმა	<ul style="list-style-type: none"> • ნარატიული კითხვების შემცველი შემონმებადი ჰიპოთეზების ფორმულირება; • ძიებითი კვლევის კითხვების ფორმულირება.
2	ნარატიული ინსტრუქცი(ებ)ის დანერა ან იდენტიფიცირება	<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს მონაწილეები; • წერილობითი ან ზეპირი (აუდიოჩანაწერის სახით) ნარატივები.
3	მონაცემების შეგროვების კონტექსტის განსაზღვრა	<ul style="list-style-type: none"> • არსებული ინსტრუქცი(ებ)ის გამოყენება; • ახალი ინსტრუქცი(ებ)ის შექმნა; • ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ, როგორც ნიმუში.
4*	ნარატივების მომზადება კოდირებისთვის	<ul style="list-style-type: none"> • აუდიო/ვიდეო ან ხელით ჩანერილი ნარატივების ტრანსკრიპტების გაკეთება; • საჭიროების შემთხვევაში, მონაცემების დეიდენტიფიცირება; • ანალიზის ერთეულის განსაზღვრა (მაგალითად, სცენა, პიროვნება, ფრაზები).
5*	კოდების წიგნის ანუ კოდირების სახელმძღვანელოს მომზადება	<ul style="list-style-type: none"> • კოდირების არსებული სახელმძღვანელოს ადაპტირება; თავსებადობის შეფასება; • კოდირების ახალი სახელმძღვანელოს შექმნა.
6*	კოდირების პროცესი	<ul style="list-style-type: none"> • შემფასებელთა/კოდების მიმნიჭებელთა ტრენინგი, რომლებმაც არაფერი იციან კვლევის ჰიპოთეზების შესახებ; • საჭიროების შემთხვევაში, კოდების წიგნის გადასინჯვა; • მონაცემთა მთელი ბაზის კოდირებამდე შემფასებელთა შორის სანდოობის საწყისი დონის დადგენა სათანადო სტატისტიკური კრიტერიუმის გამოყენებით; • ყველა მონაცემის კოდირება, შემფასებელთა მიერ კოდების წიგნიდან გადახვევის/აცდენის შეფასება.
7	მონაცემების ანალიზი, ინტერპრეტაცია და წარდგენა	<ul style="list-style-type: none"> • აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა, სადაც ეს მართებული და საჭიროა; • საილუსტრაციო და ნეგატიური შემთხვევების ჩართვა.

შენიშვნა: ცხრილი ადაპტირებულია სურათიდან N1 წყაროში Adler, et al., 2017.

*-ით აღნიშნულია მხოლოდ რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო ფაზები.

კვლევის კონტექსტის აღწერა. ამ ნაწილში კარგად უნდა წარმოვაჩინოთ ჩვენი ნარატიული ფსიქოლოგიური პროექტის რაციონალური საფუძველი. ამისათვის უნდა განვიხილოთ ის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები და კითხვები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს მიდგომას. მაგალითად, თუ კვლევა სამეტყველო ენით თხრობისას სელფის (Self) ცენტრალური ასპექტების კვლევას ეხება, სავარაუდოდ, მოგვინევს ვისაუბროთ სელფის (Self), იდენტობის, ისტორიებისა და ენის ურთიერთმიმართებაზე. ამასთან, აუცილებლად უნდა მივუთითოთ მოცემულ სფეროში უკვე არსებულ კვლევებზე.

სხვა სიტყვებით, უნდა ვთქვათ: აი, ეს არის ფენომენი, რომელიც მაინტერესებს. აი, ეს არის ისტორია (ან თეორიები), რომელიც არსებობს ამ ფენომენის აღსაწერად და გასაგებად, მაგრამ მათ რაღაც მნიშვნელოვანი აკლია. აი, ზოგიერთი შესაძლო ემპირიული გზა, რომლითაც ადამიანები ეცადნენ, რომ გაეგოთ ეს ფენომენი და, აი, დღეისათვის რისი აღმოჩენა შეძლეს მათ.

კვლევის კითხვა და მნიშვნელობა. კვლევის მიზანი ანუ „როგორ“ — ის დინამიკური პროცესია, რომელიც დეტალურად და ვრცლად შეიძლება აღინეროს. არ არის აუცილებელი, ე. წ. კვლევის კითხვა ერთი კითხვითი წინადადებით გადმოიცეს. ეს შეიძლება იყოს მთელი აზრის, თუმცა გარკვევით უნდა ითქვას, რისი აღმოჩენის იმედი გვაქვს.

ნარატიული კვლევის „კარგი კითხვები“ ღიაა, მაგრამ კონკრეტულ გამოცდილებაზე ან სოციალურ ჯგუფზე ფოკუსირებული, შემოსაზღვრული თეორიული/კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში დასმული და მასზე მიბმული უნდა იყოს.

3.2.2.2. მეთოდი

მეთოდის ნაწილი ორი კომპონენტისგან შედგება და კვლევის გეგმასა და მონაცემთა ანალიზისადმი მიდგომას აერთიანებს.

კვლევის გეგმა. ამ ნაწილში პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: „როგორ ვაპირებ იმის აღმოჩენას, რაც მაინტერესებს?“ აქ აუცილებლად უნდა ავხსნათ, რატომ არის საჭირო მოცემული კვლევის კითხვაზე პასუხის გასაცემად ნარატიული მიდგომის გამოყენება. მაგალითად, იმიტომ, რომ ის ფენომენის სუბიექტურ გამოცდილებას ეხება და არა — მის მიზეზებს ან კორელატებს; ან იმიტომ, რომ ნარსული გამოცდილების პიროვნულ კონსტრუქციებს სწავლობს.

ძირითადი ყურადღება მახვილდება იმაზე, როგორ გენერირდება მონაცემები:

- ვინ არიან მონაწილეები და რატომ;
- სად, როგორ და როდის ჩატარდება ინტერვიუ;

- როგორ წარუდგება მკვლევარი მონაწილეებს და როგორ გააცნობს კვლევას;
- როგორ შეირჩევიან მონაწილეები;
- რა შეუძლიათ მოყვნიენ საკუთარი გამოცდილებიდან და ეთიკის რომელ მოთხოვნებს გაითვალისწინებენ.

როდესაც ნარატიული კვლევის მონაწილეებზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყოველთვის დაისმის, არის: „რამდენი მონაწილე უნდა იყოს?“ ზოგადი რეკომენდაციაა, რომ მუშაობა „სისავსის“ მიღწევამდე გრძელდება იმ მომენტამდე, როცა ვიგრძნობთ, რომ გვეყოფა ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია, თუმცა გასათვალისწინებელია შეგროვილი მონაცემების დამუშავების სპეციფიკა. თუ ჩანერილი ინტერვიუების მხოლოდ თვისებრივ ანალიზს ვაპირებთ (იხ. ქვემოთ), მაშინ 14-22 მონაწილე სრულიად საკმარისი იქნება, მაგრამ თუ რაოდენობრივი ან შერეული ანალიზი გვაქვს დაგეგმილი, ეს რაოდენობა ნამდვილად არ იკმარებს და გაცილებით დიდი შერჩევა დაგვჭირდება. ზოგადად, თვისებრივი ნარატიული კვლევისთვის მონაწილეთა საკმარისი რაოდენობაა $5 < n < 30$.

მონაცემთა ანალიზისადმი მიდგომა. აქ პასუხს ვცემთ კითხვას: „როგორ ვაპირებ იმაში გარკვევას და იმის ჩვენებას, რაც შევისწავლე და დავადგინე?“ ამიტომ უპირველესი ამოცანა მასალის აზრის/მნიშვნელობის ამოცნობა, „დეციფრაცია“ და კვლევის კითხვის შესატყვისის ფორმით წარმოდგენაა.

როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? წინასწარ შეუძლებელია ამის თქმა. ეს დამოკიდებულია სამუშაოს თავისებურებასა და პროცესზე, თუმცა კვლევის დაგეგმვისას წინასწარ განვსაზღვრავთ, რა ტიპის ანალიზის განხორციელებას ვაპირებთ: იქნება მასალის თემატური (თვისებრივი) ანალიზი, სტრუქტურის ანალიზი, კოდირება (რაოდენობრივი ანალიზი), ერთზე მეტი წამკითხველი თუ რამდენიმე მიდგომის კომბინაცია.

უკვე შესრულებული კვლევის ანგარიშის ამ ნაწილში დეტალურად უნდა აღინეროს, ანალიზის რომელ ერთეულზე ვიმუშავებთ, რა მიდგომა გამოვიყენებთ და როგორ დავამუშავებთ მიღებული ტრანსკრიპტები. თუ რაოდენობრივი ანალიზი გამოვიყენებთ, დეტალურად უნდა აღინეროს თითოეული კოდი (თავისი ილუსტრაციებით) და კოდების მინიჭების პროცესი (დეტალურად კოდირების შესახებ იხ. ქვემოთ).

3.2.2.3. შედეგები

კვლევის პროექტის შედეგები ანუ „ნედლი მონაცემები“ შედგება ინტერვიუს აუდიოჩანაწერისგან და მისი ტრანსკრიპტისგან, რომლებიც თან უნდა დაერთოს კვლევის ანგარიშს, სათაურით — „დანართი.“ თავად კვლევის პროექტსა თუ

ანგარიშში ეს ნაწილი ცალკე შეიძლება არც იყოს გამოყოფილი და პირდაპირ შედეგების მნიშვნელობაზე გადახვიდეთ.

უკვე განხორციელებული კვლევის ანგარიშში, თუ მიღებული მონაცემები შერეული ან რაოდენობრივი მეთოდით დაამუშავეთ, ამ ნაწილს ერქმევა „შედეგების აღწერა“ და მასში წარმოდგენილი იქნება აღწერითი (და, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნითი) სტატისტიკა.

ნარატიულ კვლევაში არ არსებობს „უარყოფითი შედეგები“. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რა მნიშვნელობა აქვს, რა ადგილი უკავია მოსალოდნელ თუ უკვე მიღებულ შედეგებს როგორც აკადემიურ სამყაროში, ისე – საკვლევი თემის, ჯგუფის თუ კონკრეტული ინდივიდისათვის.

3.2.2.4. ანალიზი/დისკუსია

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კვლევის ანგარიშის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც ცხადვყოფთ, რომ შეგვიძლია ინტერვიუს პროცესში მიღებული მასალის გაანალიზება და თანამიმდევრულ ერთიანობად ჩამოყალიბება. ამ ნაწილს სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს იმისდა მიხედვით, შერეულ კვლევას ვახორციელებთ, მხოლოდ თვისებრივს, თუ მხოლოდ რაოდენობრივს. რაოდენობრივი ანალიზის შემთხვევაში შედეგების აღწერის ნაწილში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება და ინტერპრეტირება ხორციელდება ისე, როგორც ეს რაოდენობრივი კვლევის ფარგლებშია მიღებული. თვისებრივი ანალიზის შემთხვევაში წარმოდგენილია გასაანალიზებელი თემები თუ საკითხები, მოცემულია ინტერპრეტაცია და მსჯელობა, რომელიც ინტერვიუების ტრანსკრიპტებიდან ამონარიდებით არის ილუსტრირებული. რაც შეეხება შერეული სქემით წარმოებულ კვლევას, ეს ნაწილი იდეალურ შემთხვევაში სამი ნაწილისგან შეიძლება შედგებოდეს: რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი/ინტერპრეტაცია, თვისებრივი ნაწილის ინტერპრეტაცია და ორივე სახის მონაცემის ერთობლივი, მთლიანობითი ინტერპრეტაცია (მაგალითად, იხ. Khechuashvili, Gogichashvili & Jananashvili, 2019).

ანალიზის პროცესი ხშირად წერის პროცესში ვითარდება. წერისას მუდმივად უნდა ვიფიქროთ, რადგან ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციები გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი გამოდის.

3.2.2.5. რეფლექსია

აქ პასუხს ვცემთ კითხვას: „ვინ ვარ მე და ამჟამად უკვე რას ვფიქრობ ყოველივე ამის შესახებ?“

ნარატიული მონაცემები შეიძლება თავად მეტყველებდეს საკუთარ თავზე, მაგრამ თავად ტრანსკრიპტებში არ არის გამოთქმული კონკრეტული მოსაზრებები. ამ ნაწილში უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენ, მკვლევრები, თავად ვართ ნარატორები იმისა, რასაც რესპონდენტები ან კვლევის მონაწილეები გვიყვებიან. უნდა ვაცნობიერებდეთ ამას და, ასევე, ვაცნობიერებდეთ იმ გამოცდილების, კონტექსტისა და პოზიციების მნიშვნელობას ინტერპრეტაციისთვის, რომელიც ჩვენ თავად შეგვაქვს ჯერ ნარატივის კონსტრუირებაში, შემდეგ კი ინტერპრეტაციასა და წერის პროცესში. ამიტომ იმასაც უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ეს, რასაც ვაკეთებთ და როგორც ვაკეთებთ, ამის კეთების ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ვარიანტია.

აქვე უნდა შევხედოთ იმას, რის მიღწევას ვცდილობდით პროექტის განხორციელების პროცესში. უკვე შეგროვილი და გაანალიზებული მასალის კონტექსტში უნდა შეგვეძლოს იმ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრება, რომელიც ნარატიული ფსიქოლოგიური კვლევის პროცესში წამოიჭრა ზოგიერთ მეთოდოლოგიურ და თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს საკითხები შეიძლება იყოს პიროვნულ და კულტურულ ნარატივთა ურთიერთკავშირი, ნარატიული ფსიქოლოგიური კვლევის ვალიდობის დადგენა და ინტერვიუს სიტუაციის ინტერაქციული დინამიკა.

3.2.2.6. გამოყენებული ლიტერატურა

კვლევის პროექტის/ანგარიშის ამ ბოლო ნაწილში მოცემულია ყველა იმ ტექსტისა და წყაროს ჩამონათვალი, რომელიც მისი შექმნისას გამოიყენეთ. ეს ნაწილი (ისევე, როგორც ტექსტში ციტირება) ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) სტანდარტების მიხედვით უნდა დაიწეროს.

3.3. მონაცემების გენერირება ცხოვრების ისტორიებიდან

ცხოვრების ისტორიის როლი, უპირველესად, პიროვნების ცხოვრების ცენტრალური ელემენტების, მოვლენებისა და რწმენების თავმოყრა და ინტეგრირება, მათში აზრის დანახვა, ახლის სწავლა, მომავალი თაობისთვის სწავლება და ამ პიროვნების ირგვლივ მყოფი საზოგადოებისთვის იმის ჩვენებაა, თუ რა არის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი. როდესაც ცხოვრების ისტორიას ამგვარად ყვებიან, ნარატიულ ფორმას არა მარტო მთხრობლისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების სერია იძენს, არამედ ქარგის მქონე ამბავიც, რომელიც გვიჩვენებს, რად ჩამოყალიბდა მთხრობელი, როგორ დაძლია სიტუაციები, მოყოლილი ამბავი დრამაა, კომედია, ტრაგედია, თავგადასავალი თუ ქარგის ამ დასახელებული ზოგიერთი სტ-

რუქტურის კომბინაცია. ამგვარ ქარგას არსებითი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისეული მოვლენებისა და ვითარების მონესრიგებასა და მათი საზრისის დანახვაში (Ochberg, 1994). თითოეული ნაამბობი ცხოვრების ისტორია იმეორებს ძველი და საკრალური ამბებისთვის დამახასიათებელ პატერნს: თითოეულს აქვს დასაწყისი, განვითარება და გადაწყვეტა. ცხოვრების პატერნი ან ქარგა აძლევს მას რეალურად იდენტობას და, ასევე, საზრისსა და მიზანს.

ადამიანის გამოცდილების სხვადასხვა ასპექტისა და ცხოვრების ისტორიის ინტეგრაციული ფუნქციების უკეთ გასაგებად მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ პერსონალურ ნარატივებს. ინდივიდის მიერ ცხოვრების ისტორიის მოყოლა, როგორც წესი, ადამიანის განვითარების ზოგიერთი მუდმივი საკითხის განხილვას მაინც გულისხმობს: რა მოხდა ისეთი, რომ ეს ცვლილება მოჰყოლოდა თან? აქვს თუ არა მოცემულ ცხოვრებას ერთიანი თემა? როგორ ინარჩუნებს ადამიანი უწყვეტობის განცდას ცვლილების პირობებში?¹⁵

პერსონალური ნარატივების ჩანერისა და შესწავლისთვის უნიფიცირებულ კვლევით აქტივობას ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს უწოდებენ (იხ. ქვემოთ დეტალურად). ჩეისი (Chase, 1995) გვიჩვენებს, ცხოვრების ისტორიებში ჩამალული თემები ანუ ის ელემენტები ვეძებოთ, რომლებსაც მეტის თქმა შეუძლიათ მოცემული ინდივიდის შესახებ; ეს შეიძლება იყოს გენდერთან, სოციალურ კლასსა და კულტურასთან დაკავშირებული კონკრეტული, სპეციფიკური თემები ან საკითხები (მაგალითად, იხ. გოგიჩაიშვილი, ხეჩუაშვილი და მესტვირიშვილი, 2016).

ცხოვრების ისტორიაში შეიძლება უაღრესად საინტერესო იყოს ის, თუ როგორ ხედავენ ადამიანები საკუთარ თავს და როგორ სურთ, რომ სხვები ხედავდნენ მათ. ცხოვრების ისტორია პიროვნული სიმართლის მკაფიო და მონესრიგებულ ანგარიშს გვაძლევს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში „ფაქტსაც“ მოიცავს და „ფიქციასაც.“

ცხოვრებაში მიღებული ძირითადი გამოცდილებების აღწერისას, კონფლიქტების, გარდამავალი პერიოდებისა და მიღწევების ჩათვლით, უფრო მეტს ვიღებთ, ვიდრე მხოლოდ ფაქტს ან ფიქციას; ჩვენ ვიღებთ პერსონალურ განსაზღვრებას იმისას, თუ რას ნიშნავს მორალურ ბრძოლაში ყოფნა, ნარმატების მიღწევა თუ დამარცხება, როგორ განიცდება საკუთარი ბედის განვითარებისთვის თვალყურის მიდევნება. ცხოვრების ამბის თხრობის მეშვეობით, ნათლად ვხედავთ, როგორ და რატომ უკავშირდება მისი სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს და რა სძენს აზრსა და საზრისს პიროვნების ცხოვრებას. შესაძლოა, არც კი არსებობს ცხოვრების ნარატივზე უკეთესი საშუალება იმის გასარკვევად, როგორ მოახერხეს

¹⁵ ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ნარატივის სტაბილურობა-ცვალებადობის შესახებ იხ. ქვემოთ.

ადამიანებმა ცხოვრების საწყისი წერტილიდან იქამდე მისვლა, სადაც ახლა არიან. ცხოვრების ისტორიას არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრების სრულად გაგებისთვის, განსაკუთრებით — ინდივიდუალური ცხოვრების სხვებთან მიმართების კონტექსტში; ასევე, მაშინაც, როდესაც ვარკვევთ, რა არის ადამიანებისთვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და როგორ უკავშირდება ერთი თაობა მეორეს (მაგალითად, იხ. Khechushvili & McLean, მომზადების პროცესში).

ცხოვრების ისტორიას უფრო დიდი მნიშვნელობის/საზრისის გამოვლენა შეუძლია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ცხოვრების ამბის თხრობა იმ მოვლენებსა და გამოცდილებებზე რეფლექსიას მოითხოვს, რომლებზეც მთხრობელს, შესაძლოა, სრულად არც არასოდეს უფიქრია. ისინი სიტყვებში აქცევენ მანამდე უსიტყვოდ, უფორმოდ არსებულ აზრებსა თუ გრძნობებს. მკვლევრები, რომლებიც ცხოვრების ისტორიებს იყენებენ, აცნობიერებენ, რომ ყოველ ამბავს აქვს მნიშვნელობა-/საზრისი, ყველა ისტორია სავსეა პიროვნულად საკრალური ელემენტებით, ვალიდურია, ღირებულია და, რაც მთავარია, უაღრესად საინტერესო.

3.3.1. ნარატიული კითხვების დასმა

კვლევები, რომლებშიც ნარატიული მონაცემები გამოიყენება, ისეთი კითხვების დასასმელად უნდა დავეგემოთ, რომლებზეც საუკეთესო პასუხებს სწორედ ნარატივებით მივიღებთ. შესაბამისად, თუ კვლევისას ნარატიულ მეთოდებს ვიყენებთ, დიდი ალბათობით, საზრისის/მნიშვნელობის ძიება გვინტერესებს. აქედან გამომდინარე, ნარატივის ემპირიული შესწავლა სუბიექტურობის შესახებ მეცნიერებას წარმოადგენს, რომელიც პიროვნული საზრისის საკითხების შესწავლისთვის მეცნიერულ მეთოდს იყენებს. ნარატიული კითხვები შეიძლება შეეხებოდეს ამბის ექსპლიციტურ (თვალსაჩინო) შინაარსს (მაგალითად, ემოციურ ენას), იმპლიციტურ (ფარულ) შინაარსს (მაგალითად, თემებს) და/ან სტრუქტურულ ასპექტებს (მაგალითად, თანმიმდევრობას). ნარატიული მეთოდები განსაკუთრებით ეფექტურია სელფთან (Self) დაკავშირებული საზრისის ძიების პროცესის საკვლევადა. საზრისისა და იდენტობის შესწავლისადმი სხვა მიდგომები შეიძლება იკვლევდნენ იმას, თუ რამდენად შეიგრძნობენ ადამიანები, რომ მათ ცხოვრებას აზრი აქვს, თუმცა პერსონალური ნარატივების შექმნით ისინი თვალნათლივ გვიჩვენებენ ამას. მაშასადამე, ნარატიული მეთოდები საზრისის ქონის აღქმის უბრალო ანგარიშს კი არ გვთავაზობს, არამედ მისი ქმედებით გამოხატვის, ერთგვარი „გათამაშების“ საშუალებას იძლევა.

რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც დარგი მრავალფეროვანია და ფართო დიაპაზონი აქვს, თუმცა ამას გარკვეულ დაბნეულობამდე და აღრევამდე მიყვართ. ბოლო პერიოდში ნარატივის მკვლევრებმა პიროვნების შესახებ ნაკვლევი

ნარატიული ცვლადების რანჟირებისა და სტრუქტურირების მიმართულებით დაინყეს მუშაობა. მაკადამსმა და მაკლინმა (2013) ექვსი ფართოდ ნაკვლევითი ნარატიული კონსტრუქტი გამოყვეს და ის ცვლადები გამოკვეთეს, რომლებსაც ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა. ადლერმა და მისმა კოლეგებმა (2017) ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდასთან დაკავშირებული ნარატიული ცვლადებისთვის ორგანიზაციული ჩარჩო შეიმუშავეს და ისინი ოთხ კატეგორიად დაახარისხეს. ესენია: მოტივაციური, აფექტური დაინტეგრირებული საზრისის თემები და ნარატივის სტრუქტურული ასპექტები. **სხრილი N3.2** წარმოგვიდგენს ამ ურთიერთგადამფარავი სისტემების მოკლე მიმოხილვას. აქვე უნდა ითქვას, რომ ცხრილში ოპერაციონალიზებული ცვლადები რაოდენობრივი ანალიზისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ და ნარატივების თვისებრივი ინტერპრეტაციის მიზნითაც.

ცხადია, სტრუქტურები, რომელსაც **სხრილი N3.2** გვთავაზობს, არ არის საბოლოო ტაქსონომია და კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი მათ სრულყოფამდე. ჯერჯერობით არ არსებობს რაოდენობრივი ანალიზისათვის საჭირო კოდირების უნივერსალური, ერთიანი სისტემა, თუმცა ყველაზე გავრცელებული და ხშირად გამოყენებადი სისტემები კარგად არის აღწერილი მაკადამსისა და მაკლინის (2013) და ადლერისა და კოლეგების (2017) მიერ შემოთავაზებულ მიმოხილვაში. ეს სისტემები სხვადასხვა გამოქვეყნებულ ნაშრომშიც თვალნათლივ შეჯამდა. ნაშრომები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნარატივის ბაზისური/ძირითადი ელემენტების იდენტიფიცირების საქმეში, მყარ საფუძველს ქმნის კვლევების დამადასტურებელი ჰიპოთეზების გენერირებისთვის. ამასთანავე, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით, რაც ძიებითი კვლევების საჭიროებაზე მიგვითითებს. ასევე, ცხადია, რომ ამ ორი ტიპის კვლევის კომბინირებაც საკმაოდ შედეგიანი იქნება. მაგალითად, მაკადამსმა (2006a) უაღრესად გენერაციული ამერიკელი მოზრდილების ცხოვრების ისტორიების კვლევა ძირითადი თემების გამოსაყოფად გამოიყენა, რომელთა ერთობლიობასაც „მაკომპენსირებელი სელფი (Self)“ უწოდა.

დაეყრდნენ რა აღწერითი ხასიათის სამუშაოს, მაკადამსმა და გუომ (2015) ემპირიულად შეამოწმეს ამ ძირითადი თემებისა და ფსიქოსოციალურ შედეგთა ურთიერთკავშირი და წარმოაჩინეს, როგორ იყენებენ ინდივიდები ნარატიული იდენტობის განსხვავებულ კონფიგურაციებს საზრისის წყაროდ. ამგვარად, ნარატიული კვლევის სქემაში ძირითადი ელემენტი ნარატიული მონაცემების შესაბამისი ძიებითი შეკითხვების ან ჰიპოთეზების გენერირებაა.

ცხრილი N3.2. ყველაზე ხშირად შეფასებული ნარატიული ცვლადები

კატეგორია	ცვლადი	განსაზღვრება
მოტივაციური თემები	აგენტობა*	რამდენად შეუძლია პროტაგონისტს საკუთარი ინიციატივით ცვლილების გამოწვევა, საკუთარი გამოცდილების მიმდინარეობის გარკვეული ხარისხით გაკონტროლება და საკუთარ ცხოვრებაზე ზემოქმედება. ხშირად წარმოდგენილია საკუთარი თავის ფლობისა და კონტროლის ასპექტებით, სტატუსისთვის ბრძოლით/სწრაფვით, მიღწევითა და ძალაუფლებით.
	ურთიერთ-კავშირი*	რამდენად ისახავს პროტაგონისტი მიზნად სხვა ადამიანებთან ან თავის გარემოსთან ერთიანობის, ერთად ყოფნისა და ჰარმონიის შეგრძნების მიღწევას; რამდენად ესწრაფვის იმას, რომ გაუზიაროს, დაეხმაროს, დაუკავშირდეს და იზრუნოს სხვა ადამიანებზე.
	ზრდის მიზნები	რამდენად შეგნებულად ცდილობს პროტაგონისტი საკუთარი თავის, „მე“-ს განვითარებას პიროვნულად ღირებული მიმართულებით და პიროვნული ზრდისთვის.
აფექტური თემები	კონტამინაცია*	პროტაგონისტი აღწერს მოვლენას, რომელიც კარგი, ემოციურად დადებითი სცენიდან ცუდ, ემოციურად უარყოფით სცენად ვითარდება, რომელშიც კარგი ამბები ცუდი შედეგებით მთავრდება.
	მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა*	პროტაგონისტი აღწერს მოვლენას, რომელიც ცუდი, ემოციურად უარყოფითი სცენიდან თანმიმდევ კარგი, ემოციურად დადებით სცენად ვითარდება. ცუდი გამოისყიდება, კომპენსირდება, წონასწორდება ან უმჯობესდება არსებული კარგით.
	დადებითი გადანწყვტა*	პროტაგონისტს შეუძლია გამოწვევის შემცველ მოვლენასთან მშვიდობიანად თანაარსებობა, ან მისი წარსულში გადასროლა და ცხოვრების გაგრძელება.
ინტეგრაციული საზრისის თემები	აკომოდაციური გადამუშავება	რამდენად იძულებულია პროტაგონისტი, ცენტრალურად და თვისებრივად შეიცვალოს შეხედულებები საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ პარადიგმული ძვრების აქტიური გამოცდილების პროცესში, რაც სტრუქტურების გადასინჯვასა და/ან გარემოს საპასუხოდ მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელებას მოითხოვს.

ცხრილი 3.2. გაგრძელება

	ძიებითი გადამუ- შავება*	რამდენად აქტიურად ცდილობს პროტაგონისტი რთული გამოცდილების შესწავლას, მასზე რეფლექსიასა თუ გაანალიზებას; რამდენად ღიაა ამ გამოცდილები-სადმი, რომ რაღაც ახალი ისწავლოს და ცვლილების-გან ცდა შეიტანოს საკუთარ ცხოვრების ისტორიაში.
	საზრისის ძიება/ პოვნა*	რამდენად სწავლობს პროტაგონისტი რაღაცას ან იღებს შეტყობინებას მომხდარი მოვლენიდან (მაგალი-თად, უსაზრისობა, ბუნდოვანი საზრისი, სწავლობს კონკრეტულ გაკვეთილს, მრავლისმომცველ ინსაიტს აღწევს).
ნარატივე- ბის სტრუქტუ- რული ელე- მენტები	კოჰერენ- ტულობა	რამდენად ათავსებს მთხრობელი საკუთარი ისტორიის მახასიათებლებსა და საკუთარ მოქმედებებს კონკრე-ტულ კონტექსტში, რამდენად შეესაბამება ისტორია მიზანმიმართული ქმედებების დროით ხაზს/მიმდევ-რობას, რომელიც აღიარებულია მოცემულ კულტურა-ში, ემოციებიანთლად არის გამოხატული ნარატივის აზრის შესატყვისად და მხარდასაჭერად და ნარატივი ინტეგრირებულია უფრო ფართო ცხოვრებისეულ თე-მებსა და საზრისებში/მნიშვნელობებში.
	კომპლექ- სურობა	რამდენად არის მთხრობელი ჩართული ნარატიულ ანუ თხრობის პროცესში, რაც გამოიხატება აზრისა და ნი-უანსების სიღრმით, მაგალითად, შეხედულებებისა და ემოციების მრავალფეროვნების დანახვა.

შენიშვნა: ცხრილი ადაპტირებულია ცხრილიდან N2 ნაშრომში Adler, Lodi-Smith, Philippe, & Houle (2016) და ცხრილიდან N1 ნაშრომში McAdams & McLean (2013). ვარსკვლავებით აღ-ნიშნულია ის ცვლადები, რომლებიც ორივე ნაშრომში გვხვდება.

საინტერესოა, რომ ნარატიული იდენტობის კვლევა ისეთი მონაცემებითაც შესაძლებელია, რომლებიც კონკრეტულად, მიზანმიმართულად არ შეგროვილა ნარატიულ კითხვებზე პასუხების მიღების განზრახვით. ბევრი კვლევა მოიცავს ღია კითხვებზე მიღებული პასუხებით შემდგარ თვისებრივ მონაცემებს, რომლებზეც შე-იძლება აიგოს ნარატიული კვლევა-ძიება. მაგალითად, სილვერმა და მისმა კოლეგე-ბმა (2002) შეაგროვეს მონაცემები და შექმნეს მონაცემთა ბაზა, რომელიც აშშ-ში 2001 წლის 9 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ფსიქოლოგიური ადაპტა-ციის შესწავლის მიზანს ემსახურებოდა. კვლევის მონაწილეებს სამი ინსტრუქცია ეძლეოდათ, რომელთა მიხედვითაც, მათ საკუთარი გამოცდილების შესახებ უნდა

დაენერათ. ადლერმა და პოულინმა (2009) ეს პასუხები ნარატივების ემოციური თანმიმდევრობისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდასთან მისი კავშირის სანახავად გამოიყენეს.

2014 წლის აგვისტო მე და ჩემმა კვლევის ოთხმა ასისტენტმა გორის რაიონის ახლადგაჩენილ სოფლებში გავატარეთ, სადაც იძულებით ადგილნაცვალ პირთა ცხოვრების ისტორიებს ვინერდით (ხეჩუაშვილი, 2015; 2016c; Khechuashvili, 2016d; Khechuashvili, & Tsilosani, 2015).¹⁶ მაშინ კონკრეტულად ომისდროინდელი გამოცდილება, შემდგომი ადაპტაციის პროცესები და ნარატიული იდენტობის ტრანსფორმაციის თავისებურებები გვანტერესებდა, თუმცა მოგვიანებით იმავე ინტერვიუების ტრანსკრიპტები მასტერნარატივის მახასიათებლებისა (Khechuashvili & McLean, მზადების პროცესში, ხეჩუაშვილი, 2016d) და გენერაციულობის (Khechuashvili, et. a., 2019) საკვლევად გამოვიყენეთ

შეკითხვა, რომელიც უკვე არსებული, ე. წ. მეორადი მონაცემების შესახებ ჩნდება, ასეთია: რამდენად ნარატიულია ამგვარი მონაცემები? სხვა სიტყვებით, კვლევის მონაწილეები ამბებს ყვებიან თუ უბრალოდ საკუთარი აზრების, გრძნობების, იდეებისა და ა. შ. შესახებ საუბრობენ? მართალია, არ არსებობს „ნარატივის“ საზოგადოდ მიღებული განმარტება, მაგრამ თუ მონაწილეთა დიდი ნაწილი არ ჰყვება ამბავს ანუ კონკრეტული ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ იმ გამოცდილებას არ გვიზიარებს, რომელიც დროშია განფენილი ანუ დროში ვითარდება, მაშინ მონაცემები არ გამოგვადგება პროდუქტული ნარატიული კვლევისთვის.

ამ თვალსაზრისით, რელევანტური და არსებითია, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ ნარატიული და ლინგვისტური მეთოდები (მაგალითად, იხ. Pennebaker, Mehl, & Neiderhoffer, 2003). მიუხედავად იმისა, რომ ნარატივები სიტყვებისგან შედგება, მათი მნიშვნელობა წარმოებულს, განვითარებადი თვისებაა, რომელიც არ დაიყვანება ამბის თხრობისთვის შერჩეულ სიტყვებზე, თუმცა თხრობისთვის შერჩეული სიტყვები, თავის მხრივ, ზემოქმედებს ნარატივის მნიშვნელობაზე. ფაქტობრივად, კვლევებმა, რომლებშიც ერთსა და იმავე მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით ემპირიულად ერთმანეთს შეადარეს ნარატიული და ლინგ-

¹⁶ კვლევის ეს ნაწილი განხორციელდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევრის კვლევითი გრანტის ფარგლებში (CARTI). გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი, გრანტი N:IN2013-11481).

ვისტური მიდგომები, ვერ გამოავლინა გავრცელებული ნარატიული თემების ლინგვისტური სუბსტრატი¹⁷ (Weston et al., 2015), ხოლო სიტყვების რაოდენობა მნიშვნელოვნად და აზრინად იშვიათად კორელირებდა ბევრ ნარატიულ თემასთან (Adler et al., 2017). ლინგვისტური მეთოდები გვანვდის ინფორმაციას, რომლებიც შეიძლება ავსებდეს ნარატიული მიდგომებით მიღებულ მონაცემებს (როგორცაა ემოციური ტონი, რომელიც ხშირად კარგად ჩანს შერჩეულ სიტყვებში), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი ურთიერთშემნაცვლებელია (Weston et al., 2015).

3.3.2. ნარატიული ინსტრუქციების შექმნა

ნარატიული მონაცემების მიღება ნარატიული ინსტრუქციების შექმნაზეა დამოკიდებული, რომლებიც ყოველთვის, პირველ ყოვლისა, კვლევის კითხვების შესაბამისად უნდა აიგოს და მათგან მომდინარეობდეს. ექსტენსიური ნარატიული მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი, რომელსაც პიროვნების შესახებ ლიტერატურაში ვხვდებით და ჩემს კვლევაში სხვადასხვა მოდიფიკაციით ვიყენებ, მაკადამსის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუა (McAdams, 2008; ხეჩუაშვილი, 2016c). ეს ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ოქმი უკვე ათობით კვლევაშია გამოყენებული, და ემპირიულად დადასტურებულია, რომ პერსონალური ისტორიების შეგროვების ეფექტური საშუალებაა. ის ხელს უწყობს საკუთარი თავის შესახებ თხრობას იმით, რომ ინდივიდს მიზანმიმართულად მიუთითებს ავტობიოგრაფიული მეხსიერების ძირითად კომპონენტებზე, ცხოვრების პერიოდებსა (თავებზე) და შედარებით უფრო კონკრეტულ ეპიზოდებზე (სცენებზე). ამასთან, რესპონდენტის ცხოვრების მომავალში პროეცირებასაც ახდენს და პიროვნული ღირებულებებისა და იდეოლოგიის შესახებ ინფორმაციის კონცეპტუალიზაციასაც გვთავაზობს (მაგალითად, იხ. Conway & Pleydell-Pearce, 2000; ქართულენოვანი მაგალითებია ხეჩუაშვილი, 2016c; გოგიჩაიშვილი, ხეჩუაშვილი და მესტვირიშვილი, 2016).

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ რამდენიმე ნარატიული ინსტრუქციისგან შემდგარი ბატარეაა (**ხრილი N 3.3**, დეტალურად იხ. **დანართი N1. ინტერვიუს ოქმი**). ის საშუალებას აძლევს ინდივიდს, საკუთარი ცხოვრების ისეთი სპეციფიკური სფეროების შესახებ მოგვითხროს, როგორებიცაა კონკრეტული გამონკვევები და „ძირითადი სცენები“ ანუ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოგონებები, რომლებიც ინტერვიუს ბირთვს ქმნის. ნარატიული იდენტობის კვლე-

¹⁷ სხვა სიტყვებით, ნარატივში გადმოცემული თემის გამოსავლენად არასაკმარისია თხრობაში გამოყენებული სიტყვებისა თუ ფრაზების სიხშირეთა თუ შინაარსობრივი ანალიზი.

ვაში განსაკუთრებული ყურადღებითა და პოპულარობით სარგებლობს სამი ინსტრუქცია, რომლებიც ცხოვრების პიკური, ნეგატიური და გარდამტეხი გამოცდილების შესახებ ამბების თხრობას ეძღვნება საფუძვლად (მაგალითად, იხ. Cox & McAdams, 2014; McLean & Pratt, 2006). ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს სრული ვერსიის ჩატარებას დაახლოებით ორი საათი სჭირდება და დიდი რაოდენობით ტექსტურ მასალას იძლევა. თუ ნარატიული მონაცემების მიღება გვსურს, მაგრამ არ გვინტერესებს ცხოვრების ვრცელი ისტორია, მაშინ ამ სამი სცენის შესახებ მონათხრობი სრულიად საკმარისი იქნება, ცხადია, იმ პირობით, რომ მიღებულ მასალას მართებულად და ადეკვატურად მივყავართ კვლევის კითხვებისკენ.

ზოგ მკვლევარს კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილება (ვთქვათ, გადამწყვეტი მომენტები) შეიძლება უფრო აინტერესებდეს, ვიდრე ინდივიდის ცხოვრების შედარებით ხანგრძლივი პერიოდები ან მონაკვეთები (მაგალითად, სტუდენტობის წლები, ცხოვრება დაოჯახებამდე). ასეთ შემთხვევებში ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ კარგ სქემას იძლევა ახალი ინსტრუქციების შესაქმნელად. მაგალითად, ისეთი მრავალფეროვანი საკითხების კვლევისას გამოყენებულ ინსტრუქციებში, როგორებიცაა პერსონალური ტრანსგრესიები (Mansfield, Pasupathi, & McLean, 2015), იდენტობის შინაარსები (მაგალითად, პოლიტიკა, გენდერი, ოჯახი; McLean, Syed, & Shucard, 2016), მშობლის როლში გადასვლის პროცესი (Dunlop, Walker, Grace, Hanley & Harake, 2017), კარიერული ცვლილებები და რელიგიური მოქცევები (Bauer & McAdams, 2004), კარგად ჩანს ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს მოდელი. ამ ინსტრუქციის სქემა ასეთია:

გთხოვთ აღწეროთ სცენა, ეპიზოდი ან კონკრეტული მომენტი თქვენი ცხოვრებიდან, რომელიც [ჩასვით თქვენთვის საინტერესო საკითხი/თემა] ასახავს. გთხოვთ, ეს სცენა დეტალურად აღწეროთ. რა, როდის და სად მოხდა, ვინ იყო ჩართული და რას ფიქრობდით და გრძნობდით. ასევე, გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით მითხრათ, როგორ ფიქრობთ, რატომ გაგახსენდათ ეს კონკრეტული მომენტი ახლა და რას შეიძლება ამბობდეს ეს სცენა თქვენი პიროვნების შესახებ.

ეს ინსტრუქცია რამდენიმე ცენტრალურ ელემენტს მოიცავს: სპეციფიკურ, შემოსაზღვრულ სცენას, დეტალებისა და დაზუსტების მოთხოვნას, აღწერილ სცენაზე დაფიქრებას, რეფლექსიას ან მასში საზრისის პოვნას.

სრული ცხოვრების ისტორიისგან განსხვავებით, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილებების შესწავლა ცალკეული გამოცდილების მნიშვნელობის შესახებ კითხვების დასმისა და იმის საშუალებას გვაძლევს, რომ გავარკვიოთ, რამდენად განსხვავდება საზრისის/მნიშვნელობის პოვნის პროცესი სხვადასხვა გამოცდილების შემთხვევაში (მაგალითად, იხ. Mansfield, Pasupathi, & McLean, 2015).

სხრილი N 3.3. მაკადამის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს სტანდარტული ოქმი

N	საკითხები	აღწერა
1	ცხოვრების თავები	კვლევის მონაწილე ცხოვრებას ძირითად თავებად ყოფს და მოკლედ აღწერს თითოეულ მათგანს.
2	რვა ძირითადი ეპიზოდი	<p>რვა სცენიდან თითოეულს მონაწილე აღწერს, თუ რა მოხდა; ვინ მონაწილეობდა; რას ფიქრობდა და გრძნობდა თავად ამ დროს; როგორ ფიქრობს, რას ამბობს ეს სცენა იმის შესახებ, თუ ვინ არის იგი, ან ვინ შეიძლება ყოფილიყო. ეს რვა ეპიზოდია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პიკური გამოცდილება; • უარყოფითი გამოცდილება; • გარდამტეხი მომენტი; • ბავშვობის დადებითი მოგონება; • ბავშვობის უარყოფითი მოგონება; • მკაფიო მოგონება მოზრდილობის პერიოდიდან; • სიბრძნის შემცველი მოვლენა; • რელიგიური, სპირიტუალური ან მისტიკური გამოცდილება.
3	მომავლის სცენარი	<p>მონაწილე გვიხსნის, საით მიდის ამბავი, რა მოხდება შემდეგ, მომდევნო თავი როგორი იქნება, ძირითადი მიზნების, ოცნებებისა და მომავალთან დაკავშირებული შიშის ჩათვლით.</p> <ul style="list-style-type: none"> • შემდეგი თავი ცხოვრების წიგნში; • ოცნებები, იმედები და მომავლის გეგმები; • ცხოვრების პროექტი
4	ცხოვრებისეული გამოწვევები	<p>მონაწილე გამოყოფს და აღწერს გამოწვევებს ან პრობლემებს, რომლების წინაშეც მდგარა ცხოვრებაში; როგორ განვითარდა ეს გამოწვევა და რა გააკეთა მან მასთან გასამკლავებლად.</p> <ul style="list-style-type: none"> • ცხოვრების მნიშვნელოვანი გამოწვევა; • ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევა; • დანაკარგი; • მარცხი/წარუმატებლობა; • სინანული.
5	პიროვნული იდეოლოგია	<p>კითხვების სერია ფუნდამენტური ღირებულებების, რელიგიისა და პოლიტიკური რწმენის და ა. შ. შესახებ; ასევე, როგორ ჩამოყალიბდა ეს რწმენა დროთა განმავლობაში.</p> <ul style="list-style-type: none"> • რელიგიური და ეთიკური ღირებულებები; • ღირებულებათა ცვლილება და განვითარება; • ერთი ძირეული ღირებულება; • სხვა, დამატებითი რამ, რისი თქმაც სურს კვლევის მონაწილეს.
6	ცხოვრების თემა	მონაწილე ასახელებს თავისი ცხოვრებისეული ისტორიის ერთ ინტეგრაციულ თემას.
7	რეფლექსია	ინტერვიუს მსვლელობისას მიღებული გამოცდილების შეჯამება კვლევის მონაწილის მიერ.

წყარო: McAdams, 1993.

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ერთ-ერთი ღირსება ისაა, რომ, კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი მოდიფიცირება და კითხვებისა და მთელი სეგმენტების დამატება და/ან ამოღება. მოცემულია ჩემი კვლევის ფარგლებში, მასტერ და ალტერნატიული ნარატივების საკვლევად შექმნილ კითხვებს მოიცავს **ხსრილი N 3.4**.

ინსტრუქციები ცხოვრების ისტორიის ინტერვიუსგან განსხვავებულადაც შეიძლება შემუშავდეს. განურჩევლად იმისა, ამ ინტერვიუდან არის აღებული თუ არა, ინსტრუქციის სქემა/დიზაინი საკვლევ თეორიულ კითხვებს უნდა ეფუძნებოდეს და მათგან იღებდეს სათავეს. მაგალითად, სინგერის (Blagov & Singer, 2004) სელფის (Self) განმსაზღვრელი მოგონების ინსტრუქცია ალტერნატიულ პროტოტიპს გვთავაზობს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ავტობიოგრაფიული მეხსიერებისა და ნარატიული იდენტობის კვლევისას (მაგალითად, Singer, Blagov, Berry & Oost, 2013). ანალოგიურად, მიჯაჭვულობის ფიგურებთან ურთიერთობის პირადი გამოცდილების ნარატიული ორგანიზაციის გამოსავლენად მკვლევრებმა (მაგალითად, Waters, Brockmeyer, & Crowell, 2013) მოზრდილთა მიჯაჭვულობის ინტერვიუ (Main, George, & Kaplan, 1985) გამოიყენეს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ნარატივებზე მუშაობისთვის საჭიროა კარგად გვესმოდეს, როგორ გამომდინარეობს ინსტრუქცია კვლევის კითხვიდან. მაგალითად, ცხოვრების ისტორიის ინტერვიუში გადამწყვეტი/გარდამტეხი მომენტის შესახებ ინსტრუქცია მოიპოვებს დაშვებას იდენტობისთვის ცვლილების მნიშვნელობის შესახებ, ხოლო სელფის (Self) განმსაზღვრელი მოგონება უფრო მეტ სივრცეს იძლევა ცვლილებისა და სტაბილურობის შესახებ თხრობისთვის. ამის საპირისპიროდ, მოზრდილთა მიჯაჭვულობის ინტერვიუში დაშვებულია არაცნობიერი პროცესების არსებობა და, შესაბამისად, კოდირების სისტემაც ისეა აგებული, რომ ნარატივის იმპლიციტური ემოციური თანამიმდევრულობა მოიხელთოს.

ახლად შექმნილი ინსტრუქციების ან ახალ შერჩევაზე უკვე არსებული სტანდარტული ინსტრუქციების გამოყენებისას აუცილებელია საპილოტე ტესტირება, რათა დავრწმუნდეთ, რომ კვლევის მონაწილეებს კარგად ესმით, რა სურს მკვლევარს, ხოლო ინსტრუქციები სწორედ საძიებელი მონაცემების მიღებას უზრუნველყოფს (მაგალითად, Syed, 2015).

არ არსებობს ინსტრუქციების საპილოტე ტესტირების შეფასების რაოდენობრივი საზომი, მაგრამ საპილოტე მონაცემების შესწავლით შეგვიძლია ვნახოთ, ახერხებენ თუ არა კვლევის მონაწილეები ინსტრუქციებზე სათანადოდ რეაგირებას, და ვიღებთ თუ არა კოდირებისთვის ვარგის ნარატიულ მონაცემებს.

სხრილი N 3.4. კონკრეტული საკითხის საკვლევად შექმნილი ნარატიული ინსტრუქციის ნიმუში და ინტერვიუერისათვის თანდართული ინსტრუქციები

მასტერ და ალტერნატიული ნარატივები

ინტერვიუერისადმი: კვლევისას თქვენი მთავარი მიზანი ამ ორ კითხვაზე პასუხის მიღებაა. თუ რესპონდენტი დანარჩენ ინტერვიუზე არ არის თანახმა ნებისმიერი მოსაზრებით ან მოტივით, წყვეტთ ინტერვიუს. თუ რესპონდენტს სურს გაგრძელება, მაშინ განაგრძეთ. ეს ორი კითხვა აუცილებლად ნებისმიერ სხვა კითხვამდე და ამ თანმიმდევრობით უნდა დასვათ.

1. ყოველი ჩვენგანი თავისი ოჯახის, სამეზობლოსა და საზოგადოების, ასევე, თავისი დროის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენების კონტექსტში ცხოვრობს, რაც მეტ-ნაკლებად ზემოქმედებს ჩვენს ცხოვრებაზე, შეხედულებებზე და იმაზე, თუ როგორ პიროვნებად ვყალიბდებით.

გთხოვთ, აღწეროთ ერთი (ან ორი) სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ან ისტორიული მოვლენა, მოძრაობა, ცვლილება ან პერიოდი, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენზე (თქვენს იდენტობაზე). ეს თქვენი ცხოვრების ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება მომხდარიყო, ბავშვობიდან დღემდე. ეს შეიძლება იყოს თქვენი პირადი გამოცდილება ანდა რაიმე მოვლენა, ცვლილება ან პერიოდი, რომელიც პირადად თქვენ არ შეგხებიათ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად იმოქმედა თქვენზე, რაღაც კვალი დატოვა თქვენში.

გთხოვთ, რამდენადაც შესაძლებელია, დეტალურად აღწეროთ ეს მოვლენა, მოძრაობა, ცვლილება ან პერიოდი, და მითხრათ, რას ნიშნავდა ის თქვენთვის და თქვენი ცხოვრებისთვის, რა ადგილი უკავია მას თქვენს ცხოვრებაში და რა გავლენა მოახდინა თქვენზე.

2. თითოეულ ჩვენგანს თავისი პირადი ცხოვრების ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი გამოცდილებისა და ამ გამოცდილების ჩვენიული ინტერპრეტაციებისგან შედგება. ზოგჯერ ამბები ჩვენი ცხოვრებიდან ან ჩვენი ცხოვრების რაღაც ასპექტები კარგად არ ერგება/თანხვედება იმას, რასაც სხვები (იქნება ეს საზოგადოება, კულტურა, ოჯახი, მეგობრები თუ სხვა) ცხოვრების მისაღებ, ნორმალურ და მართებულ გადანყვეტილებად, ქცევად ან ამბად მიიჩნევენ. ოდესმე თუ გიგრძნიათ, რომ თქვენი ისტორია/ქმედება/გადანყვეტილება არ თანხვედება, განსხვავდება ანუ სცილდება იმას, რასაც ნორმალურად, მოსალოდნელად ან მისაღებად მიიჩნევენ საზოგადოებაში?

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად დანვრილებით აღწეროთ ეს ამბავი, მოვლენა თუ ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან. ასევე, მითხრათ, როგორ გრძნობდით თავს, რას ფიქრობდით და აკეთებდით და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ამბავს თქვენთვის (თუ ჰქონდა, ცხადია, მნიშვნელობა)? ეს შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული მოვლენა, რაღაც უფრო ზოგადი ვითარება თქვენი ან თქვენი ცხოვრების შესახებ ან ნებისმიერი სხვა რამ, რასაც თქვენ მნიშვნელოვნად და მართებულად ჩათვლით.

3.3.3. ნარატივების შეგროვება და ტრანსკრიპტის დანერა

ნარატივები ზეპირი ან წერილობითი ფორმით შეიძლება შეგროვდეს. ინტერვიუს ფორმატი დამაზუსტებელი კითხვების დასმის საშუალებას იძლევა და უფრო დახვეწილი, დაზუსტებული ნარატივების კონსტრუირებით გამოირჩევა. ასევე, გვეხმარება კვლევის მონაწილესთან რაპორტის დამყარებასა და მისთვის კომფორტის შექმნაში, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მის გახსნასა და მეტ გულწრფელობას. წერილობითი ფორმატი უფრო მოკლე და, სავარაუდოდ, მეტად თანამიმდევრულ პასუხებს უზრუნველყოფს, ამცირებს ინტერვიუერის ეფექტს და სენსიტიური ინფორმაციის ან ისტორიების გაზიარებას უწყობს ხელს, რომელთა მოსაყოლადაც კვლევის მონაწილეებს მეტი ანონიმურობა ესაჭიროებათ (იხ. Grysman & Denny, 2017; McCoy & Dunlop, 2016).

ზეპირი ნარატივების შეგროვებისას ინტერვიუერები გულდასმით უნდა შეირჩნენ პროფესიონალიზმის კრიტერიუმით, რადგან მათ ინტერვიუს მსვლელობისას რაპორტის დამყარებისა და შენარჩუნების „ბენვის ხიდზე“ სიარული და ბალანსირება მოუწევთ, და თან ისე, რომ რესპონდენტებს შთამაგონებელი კითხვები არ დაუსვან და მიმართულება არ მისცენ მათ პასუხებს. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ინტერვიუერების განვრთვას, საპილოტე ინტერვიუებისა და დეტალური უკუკავშირის მიწოდების ჩათვლით.

ინტერვიუერებს უნდა ვთხოვოთ, რომ ინტერვიუს დანყებამდე აუხსნან რესპონდენტებს, რომ წინასწარ შედგენილ კითხვებს დასვამენ, მაგრამ, ამასთანავე, ეცდებიან, რომ ინტერვიუ შეიძლებისდაგვარად დიალოგის ფორმატით წარმართონ (Josselson, 2013). იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევის ყველა მონაწილემ ერთი და იმავე ტიპის სტიმული მიიღოს, ინტერვიუერებმა თავი უნდა შეიკავონ მიღებული პასუხების კომენტარებისგან ან წინასწარ განსაზღვრულ ინსტრუქციებში გაუთვალისწინებელ თემებზე საუბრისგან. მათ მოეთხოვებათ, უბრალოდ ჩართული და აქტიური მსმენელები იყვნენ. კვლევა აჩვენებს, რომ ასე გაცილებით დეტალიზებულ და დამუშავებულ პასუხებს მიიღებენ (Bavelas, Coates, & Johnson, 2000). ინტერვიუერები უნდა ეცადონ, რომ ინსტრუქციის თითოეულ ნაწილზე მიიღონ პასუხი. მაგალითად, ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს გამოყენებით წარმოებული კვლევების მონაწილეებს ხშირად ავიწყდებათ პასუხის გაცემა ინსტრუქციის ბოლო ნაწილზე, რომელშიც მათგან მოითხოვენ რეფლექსიას იმის თაობაზე, თუ რატომ არის ეს კონკრეტული სცენა მათთვის ასე მნიშვნელოვანი და რას შეიძლება ამბობდეს ის მათი პიროვნების შესახებ. მოსთხოვს თუ არა ინტერვიუერი რესპონდენტს ამ ნაწილზე პასუხის გაცემას, კვლევის კითხვაზეა დამოკიდებული: ზოგჯერ გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტებმა ინსტრუქციის ყველა ასპექტს უპასუხონ, ზოგჯერ კი ასეთი გამოტოვებული ნაწილები თავისთავად მნიშვნელოვანი მასალაა.

თუ ამერიკულ კულტურაში, უპირატესად, წერილობით გროვდება ნარატივები (მაგალითად, იხ. McLean & Pals, 2008; Mclean, 2016, ხოლო გამონაკლისებისთვის იხ. McAdams, 2006a), ჩემი რვანლიანი ნარატიული კვლევითი გამოცდილება აჩვენებს, რომ ქართულ კულტურაში პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მეთოდით მუშაობა. კვლევის მონაწილეები ყოველთვის ზეპირ თხრობას ანიჭებენ უპირატესობას და თითქმის შეუწინააღმდეგებლად თანხმდებიან ინტერვიუს აუდიოჩანაწერის მომზადებას (ხეჩუაშვილი, 2016c, 2016d). ერთადერთ გამონაკლისს ჯერჯერობით სტუდენტები წარმოადგენენ, რომლებიც დამთანხმდნენ თავიანთი ცხოვრებიდან რამდენიმე ეპიზოდის წერილობით თხრობაზე და საკმაოდ კარგადაც გაართვეს თავი ამ ამოცანას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზეპირი პირისპირ ინტერვიუს შემთხვევაში აუცილებლად უნდა მომზადდეს სრული აუდიოჩანაწერი და შემდეგ ზედმინვენით, სიტყვასიტყვით დაინეროს ტრანსკრიპტი, რადგან შეუძლებელია ნარატივების აუდიო ან ვიდეოჩანაწერიდან ადეკვატურად კოდირება. თუ მკვლევარი ამისათვის პროფესიონალთა მომსახურებას არ მიმართავს, აუცილებელია დაწერილი ტრანსკრიპტების თავიდან შემოწმება მაინც. მაგალითად, ისეთმა, ერთი შეხედვით მცირედმა, შეცდომამ, როგორცაა სიტყვა „არ“-ის ამოგდება ტექსტიდან, შეიძლება მთლიანად შეცვალოს წინადადების შინაარსი („ეს არ იყო კარგი“ შეიძლება გახდეს „ეს იყო კარგი“).

სხრილი N 3.5 წარმოადგენს ამონარიდს ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან, რომელიც ჩემი კვლევის „პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ინდიკატორები ინდივიდუალურ ცხოვრების ისტორიებში“ ფარგლებში 2014 წლის სექტემბერში ჩაინერა.¹⁸ ტრანსკრიპტის ტექსტიდან ამოღებულია სახელები, შეცვლილია ყველა ნიშანი, რომელიც რესპონდენტის ვინაობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

ტრანსკრიპტის წერა, ერთი შეხედვით, არ არის რთული საქმიანობა, თუმცა რეალურად ბევრი ისეთი დეტალის გათვალისწინებას და გააზრებას მოითხოვს, რომლებზეც შეიძლება სულაც არ გვიფიქრია მანამდე. მაგალითად, როგორ უნდა ჩავწეროთ პაუზა? და თუ ეს პაუზა 25 წამს გრძელდება? გარდა ამისა, არ უნდა დაგვაფიქრდეს, რომ ტრანსკრიპტი არ არის ინტერვიუს სრული ვერსია და რეალურად მონათხრობის ერთგვარ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, როგორადაც უნდა ვეცადოთ ობიექტურობის შენარჩუნებასა და ინტერვიუების პროცესის დინამიკის წერილობით ზედმინვენით გადმოცემას.

¹⁸ ინტერვიუერი და ტრანსკრიპტის ავტორი ანა შავგულიძე.

ხსრილი N 3.5. ამონარიდი მაკადამის ოქმის მიხედვით ჩატარებული ინტერვიუს ტრანსკრიპტიდან

რესპონდენტი: ქალი, 50

ინტერვიუერი: შეეცადეთ გაიხსენოთ სცენა, ეპიზოდი, მოვლენა თქვენი ცხოვრებიდან, როცა იყავით ყველაზე ბედნიერი. როცა ყველაზე ამაღლებულად გრძნობდით თავს.

რესპონდენტი: ჩემს მეუღლეს უკავშირდება ეს მაინც. სიყვარულს უკავშირდება. რამდენიმე იყო ეგეთი მომენტი. მომენტები იმდენად არ მახსოვს, რამდენადაც აი, ეს განცდა, სიმძაფრე ამ ემოციების. რამდენიმე იყო.

ინტერვიუერი: რომელიმე მომიყვით, თუნდაც, რომელიც პირველი გაგახსენდებათ.

რესპონდენტი: ჰმ.. (პაუზა). ეხლა ესე ძნელია. ანუ.. მიჭირს რაღაც ეს გამოყოფა, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როცა, ანუ.. (პაუზა) აი, რომ მიჭირდა, ხო, ჩემი ცოლის საქციელის ახსნა, რატომ იქცეოდა ისე, როგორც იქცეოდა და რომ მეგონა, რომ ამას თვითონ ვერ აანალიზებდა, მერე *(ტექსტი ამოღებულია კონფიდენციალობის მოსაზრებებიდან გამომდინარე) ... ის მომენტები, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ ყოველგვარი გარეშე თვალის გარეშე ანუ, სულ.. ანუ ადამიანების გარეშე მარტო რომ ვრჩებოდით და რომ ვგრძნობდი, რომ ძაან მნიშვნელოვანი ვიყავი იმისთვის.*

ინტერვიუერი: და როგორი შეგრძნება იყო? რა აზრები და გრძნობები გქონდათ მაშინ?

რესპონდენტი: აი, მაშინ ვფიქრობდი, რომ ღირდა ცხოვრება (ეცინება) და ძაან მაგარი იყო ცხოვრება.

ინტერვიუერი: და შეგრძნებების დონეზე, აი, რა ..

რესპონდენტი: აი, აბსოლუტური განცდა ბედნიერების, აბსოლუტური და მერე ეს ბედნიერება ვრცელდებოდა სხვა ადამიანებზე, ანუ, აი.. ყველასთვის ბედნიერების მომტანი ვხდებოდი რაღაცა პერიოდის განმავლობაში, ინერციით ეს დიდი ენერჯით, მერე უკვე დიდი ენერჯია გადადიოდა სხვა ადამიანებზე და უფრო ლამაზი იყო ცხოვრება.

ინტერვიუერი: როგორ ფიქრობთ, აი, ეს მომენტები თქვენი ბედნიერების მომენტები რას ამბობს პირადად თქვენზე ან თქვენი ცხოვრების შესახებ?

რესპონდენტი: (პაუზა) ააა... ნუ, ჩემზე (პაუზა), ძაან მნიშვნელოვანია ჩემთვის ადამიანთან ურთიერთობა, ძაან მნიშვნელოვანია ჩემ პარტნიორთან ურთიერთობა კონკრეტულად და იმის დანახვა, რომ ის ჩემთან ყოფნით არის ძალიან კარგად, ეს იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი პირადი კომფორტი და კარგად ყოფნა. და.. რას ამბობს, არ ვიცი.. (პაუზა) ნუ, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ურთიერთობა, ადამიანებთან ურთიერთობა, ყველაფერზე მეტად მნიშვნელოვანი.

ტრანსკრიპტების დაწერის შემდეგ მკვლევართა უმრავლესობა კოდირებისას მხოლოდ მათ ეყრდნობა. ხმის ინტონაცია და არავერბალური ქცევა ადამიანების გამოცდილების იმ ასპექტებს ასახავს, რომლებიც სიტყვებით არ გადმოიცემა, ამიტომ მეტი სიზუსტის მისაღწევად ინფორმაციული და ბევრის მომცემია კოდირებისას აუდიო/ვიდეო ჩანაწერთან დაბრუნება (მაგალითად, „გადასარევი იყო!“ შეიძლება მართლაც ნიშნავდეს, რომ რაღაც შესანიშნავი იყო, ანდა სარკას-

ტულად იყოს ნათქვამი. ამის გარკვევა მხოლოდ აუდიოჩანაწერის მოსმენით შეიძლება). საინტერესოა, რომ არავერბალური მასალის კოდირების მეთოდებიც არსებობს (მაგალითად, იხ. **Harrigan, Rosenthal, & Scherer, 2005**) და ნარატიული კვლევა მხოლოდ მოიგებს თხრობასთან დაკავშირებული ამ კომპონენტების სისტემატური შესწავლით.

წერილობითი ნარატივების მიღება მკვლევარს გაცილებით ნაკლებ დროსა და ძალისხმევას ართმევს, მაგრამ რამდენიმე ძირითადი მომენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ შემთხვევაში. უპირველესად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი ნარატივების ინსტრუქციების პილოტირება, რადგან კვლევის მონაწილეებს ვერ დავუსვამთ დამაზუსტებელ შეკითხვებს და ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ მათ სათანადო მონაცემები მოგვანოდეს. მეორე: მნიშვნელოვანია ის გარემო, რომელშიც რესპონდენტები წერენ. სასურველია, ეს იყოს წყნარი, მყუდრო ოთახი, რომელშიც რესპონდენტი მარტო იქნება. სხვების დასწრებამ, შესაძლოა შეცვალოს მისი გამოცდილება პირადი სივრცის შეზღუდვით, სოციალური შედარების (წერის დროისა თუ პროცესის თვალსაზრისით) ვითარების შექმნით და უბრალოდ იმით, რომ სხვების იქ ყოფნა რესპონდენტებს სოციალურ და საკუთარი თავის პრეზენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შეახსენებს. ნარატივის მკვლევრების გამოცდილების მიხედვით, ლაბორატორიაში მიღებული წერილობითი ნარატივები შესაძლოა გაცილებით ხარისხიანი იყოს, ვიდრე – ონლაინ მოპოვებული.¹⁹

ნარატივებს, როგორც წესი, კითხვარებზე გაცემულ პასუხებთან ერთად იღებენ. არ არსებობს დადგენილი საუკეთესო პრაქტიკა იმისა, თუ რა თანმიმდევრობით უნდა შეგროვდეს მონაცემები. შეიძლება გონივრული იყოს ჯერ კითხვარების მიწოდება და შემდეგ ნარატივების მოპოვება, თუ მხოლოდ ნარატიული მო-


¹⁹ ნარატივის ხარისხის ოპერაციონალიზაცია კომპლექსური საკითხია და ამისათვის რამდენიმე თეორიული ჩარჩოა შემოთავაზებული. ნარატივის მკვლევართა დიდი ნაწილი გვთავაზობს, რომ ნარატივს თანამიმდევრული/კოჰერენტული ეპიზოდური სტრუქტურა უნდა ჰქონდეს (მაგალითად, **McCabe & Peterson, 1984**), მდიდარი უნდა იყოს დეტალებით (მაგალითად, **Baron & Bluck, 2009**), უნდა მოიცავდეს ემოციურ დეტალებს (**Baron & Bluck, 2011**), იპყრობდეს მსმენელის/მკითხველის ყურადღებას (**Baron & Bluck, 2011**) და სელფისთვის (**Self**) დამაჯერებელ მიზეზშედეგობრივ ახსნას გვთავაზობდეს (მაგალითად, **McAdams, 2006b**). მაკადამსი (2006b) ამატებს, რომ იმ ტიპის ისტორიები, რომლებიც ნარატიულ იდენტობას ქმნის, უნდა აუმჯობესებდეს ცხოვრებას და ზემოქმედებდეს ჩვენი ცხოვრების წესზე. ნარატივის მკვლევრების გამოცდილება ნარატიული მეთოდების გამოყენების მიმართულებით თანხვედრა კვლევას, რომელიც ცხადყოფს, რომ მოცემულ კულტურაში მცხოვრებ ინდივიდთა უმრავლესობა ამბის/ისტორიის დალაგების იმპლიციტურ თეორიებს ეყრდნობა (**Baron & Bluck, 2011**).

ნაცემების დამუშავებასა და გაანალიზებას აზრი არ ექნება კითხვარებით მოპოვებული ინფორმაციის გარეშე. ასევე, როდესაც კვლევაში მონაწილეობით გადაღდა სერიოზული საკითხია, შეიძლება ჯერ ნარატივების შეგროვება სჯობდეს. თანმიმდევრობის ეფექტის გასაკონტროლებლად მიღებული პრაქტიკაა კითხვარებისა და ნარატივის თხრობის თანმიმდევრობის ცვლა რესპონდენტებთან. სწორედ ეს მეთოდი გამოვიყენეთ კრეატიულობის, პიროვნული მახასიათებლებისა და ცხოვრების ისტორიის თავების თხრობის თავისებურებების კვლევისას. როგორც შედეგების პირველადმა ანალიზმა (ხეჩუაშვილი, გოგიჩაიშვილი და ჯანაშვილი, მომზადების პროცესში) აჩვენა, არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ორი ჯგუფის მონაცემებს შორის, რომელთაგან ერთს ჯერ კითხვარები მიეწოდა და შემდეგ ვთხოვეთ ნარატივების დაწერა, მეორემ კი ჯერ ნარატივები დაწერა და შემდეგ კითხვებს გასცა პასუხი.

ნარატივების თანმიმდევრობის ეფექტიც შეიძლება პოტენციურ საფიქრალს წარმოადგენდეს (მაგალითად, იხ. McLean & Pals, 2008; McLean et al., 2016).

3.4. ნარატიული მონაცემების ანალიზი: თვისებრივი თუ რაოდენობრივი?

ნარატივის გაანალიზება შესაძლებელია როგორც თვისებრივი, ისე – რაოდენობრივი თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში გამოიყოფა თემატური ხაზე-



სურათი N 3.1. ნარატივის ანალიზის ფორმები

ბი და წამყვანი თემა, სტრუქტურა გაანალიზდება და მასალა ამა თუ იმ თეორიული ჩარჩოს თუ ცალკეული კონსტრუქტების ქრილში განიხილება (სურათი N 3.1). მეორე შემთხვევაში ე. წ. კოდების წიგნი მუშავდება, რომელშიც დეტალურად აღინერება და ოპერაციონალიზდება სახელდების ან რიგის სკალის ის ცვლადები, რომლებსაც ვეძებთ მოცემულ ნარატივში, და მათი კოდირების წესები (მაგალითებითურთ). მას შემდეგ, რაც ყველა ჩვენს ხელთ არსებულ ნარატივს ერთნაირად მიენიჭება კოდები, დაგროვილი მონაცემები ელექტრონულ ფორმატში გადადის და რაოდენობრივ ანალიზს ექვემდებარება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა რაოდენობრივი მონაცემი, მაგალითად, კითხვარში მიღებული ქულები.

3.4.1. ნარატივის თვისებრივი ანალიზი: მთელი და ნაწილი – და მთელი

ნარატიულ ინტერვიუს ბევრი არაფერი აქვს საერთო „მონაცემების შეგროვებასთან“, როგორც ეს ნაკლებად პერსონიფიცირებულ კვლევებში ხდება. ნარატიული ინტერვიუებისას, ფაქტობრივად, ჩვენ, როგორც მკვლევრები, ვართ ინსტრუმენტი. ინტენსიური მოსმენა და მეორე ადამიანის შინაგან სამყაროზე საკუთარი თავის ემოციური გადანაცობა, რათა ემპათიურად მოვუსმინოთ მას, სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ ეფექტს ახდენს ჩვენზე. კვლევის მონაწილეებისგან რაღაცის სწავლისა და ახლის გაგების მცდელობისას მათ ჩვენზე ზემოქმედებისკენ ვუბიძგებთ, საკუთარ შეხედულებებს გამოწვევის წინაშე ვაყენებთ, ცოდნის ჩვეულ ფორმებს ვიფაროთ და ადამიანური გამოცდილების ისეთ ასპექტებს ვფენთ ნათელს, რომლებიც ახალიც კი შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის. კარგ ინტერვიუში ემოციურადაც ვერთვებით და კოგნიტურადაც. ინტერვიუს მსვლელობისას ისეთი ინტენსიური იდენტიფიკაციის მომენტებიც კი ყოფილა, როდესაც მიფიქრია, რომ თავს ვკარგავ. რესპონდენტის თხრობის პარალელურად საკუთარ მოგონებებსა თუ ასოციაციებში ზოგჯერ ისე ჩავკარგულვარ და ჩავძირულვარ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალბედა ვიყავი, რომ რესპონდენტთან კავშირის დაკარგვისაც კი შემშინებია. თუმცა ასეთი ინტერვიუების გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ნელ-ნელა მოვახერხე ბალანსის შენარჩუნების სწავლა და ამაში კლინიკური პრაქტიკის გამოცდილებაც ძალიან დამეხმარა. სხვა სიტყვებით, შეიძლება იმის სწავლაც და მოხერხებაც, რომ, ერთი მხრივ, მონოდებულ მასალაზე ვიფიქროთ და, მეორე მხრივ, ბოლომდე სრულად ვიყოთ რესპონდენტის გვერდით ისე, რომ თან საკუთარი გრძნობებიც შევამჩნიოთ და თან არ ავყვეთ მათ.

თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გამოსახულებას „ჰერმენევტიკული წრე“²⁰ წარმოადგენს (Josselson, 2013). ჰერმენევტიკის ანუ საზრისი-ს/მნიშვნელობის პოვნის ეს პრინციპი გამოხატავს იდეას, რომ *მთელი* მის იმ მდგენელებთან მიმართების კონტექსტში უნდა შევიცნოთ, რომელთა გაგებაც, თავის მხრივ, *მთელის* წვდომის ნიაღში იღებს სათავეს და ამ *მთელის* ინტერპრეტაცია, თავის მხრივ, ნაწილების უკეთ გაგებაში გვეხმარება. ამგვარად, ინტერპრეტაციის პროცესი წრიულია. ნარატიული კვლევის მიზანი – ჰოლისტური ახსნა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს და მოიცავდეს მთელისა და მისი ნაწილების იმთავითვე არსებულ ურთიერთობას და აღიარებდეს მათ ურთიერთდამაფუძნებელ ბუნებას. როდესაც ნარატიული ინტერვიუს სიტუაციაში ვხვდებით, არც მთელის შესახებ ვიცით რამე და არც – მისი ნაწილების, მაგრამ ორივეს შესახებ ერთდროულად შევიტყობთ, და ეს ცოდნა მოიმატებს, როდესაც ჩვენ ხელთ არსებულ ტექსტს დასამუშავებლად წავიღებთ და გავაანალიზებთ.

ნაწილებიდან მთელის აწყობის (და მთელთან მიმართებით ნაწილების არსის გარკვევის) პროცესი კვლევის მონაწილესთან პირველივე შეხვედრისთანავე იწყება. ვინ არის ეს პიროვნება, რა და როგორ შეგვიძლია შევიტყოთ მისი გამოცდილებებიდან? და ვინ ვართ ჩვენ, ვინც ამ შესწავლის პროცესს ახორციელებს? ნებისმიერ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ რალაცაზე დაკვირვების პროცესში თავად ამ დაკვირვებით ვცვლით ამ რალაცას. მამასადამე, საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: თავად ინტერვიუების სიტუაცია როგორ ზემოქმედებს კვლევის მონაწილეების მიერ ჩვენთვის ამბების თხრობაზე? ჩვენ ამ ჰერმენევტიკული წრის ნაწილი

²⁰ **ჰერმენევტიკა**, როგორც ფილოსოფიური გაგების მეთოდი, სიმბოლური გარემოს გაგების მიზანს ემსახურება და „დახურული“ სფეროს მონაცემების გაშიფვრას გულისხმობს. მეცნიერებაში ტექსტის ანალიზის მიზნით ჰერმენევტიკული მეთოდის შემოტანა გერმანელი ფილოსოფოსისა და ლინგვისტის, შლაიერმახერის სახელს უკავშირდება. სწორედ მას ეკუთვნის ჰერმენევტიკული წრის იდეა, რომელიც ინტერპრეტატორის მიერ მთლიანი ტექსტის გაგების მიზანს ემსახურება. ამისათვის ტექსტი ნაწილ-ნაწილ, მთელის მიმართ უნდა განვიხილოთ. ინტერპრეტატორი ჯერ ნაწილს კითხულობს, რომელზე დაყრდნობითაც გამოთქვამს გარკვეულ ვარაუდს სიტყვებისა თუ ფრაზების მნიშვნელობის შესახებ. ეს ვარაუდი ანუ ჰიპოთეზა მთლიანი ტექსტის საცდელ გაგებას გულისხმობს. შემდეგი ფრაგმენტის ნაკითხვის პროცესში ინტერპრეტატორი წინა ფრაგმენტის გაგებას აკორექტირებს და ამით მთლიანი ტექსტის მნიშვნელობასაც უკეთ სწვდება. ყოველი შემდეგი ფრაგმენტის ნაკითხვისას იგი ორი შესაძლო მიმართულებით მოძრაობს – ნაწილიდან მთელისკენ და, პირიქით, მთელიდან ნაწილებისკენ. შესაბამისად, ჰერმენევტიკული წრის იდეა ისაა, რომ მთელს ნაწილებისა და ნაწილებს მთელის მეშვეობით ვიგებთ. ჰერმენევტიკული წრისთვის თავის დაღწევის ერთადერთ გზას მთლიანი ტექსტის იმგვარი გაგების მიღწევა წარმოადგენს, რომელიც სრულად შეესაბამება ტექსტის ავტორისეულ მნიშვნელობას (სურმანიძე, 2010).

ვართ. ინტერვიუს სიტუაცია ნარატივის შექმნის კონტექსტია და ამიტომ თავად უნდა იყოს ინტერპრეტაციისა და რეფლექსიის საგანი.

ინტერვიუს მსვლელობასთან ერთად უკეთ გვესმის კვლევის მონაწილეებისა, და იმასაც უკეთ და ნათლად ვხედავთ, რატომ რეაგირებენ ისინი ინტერვიუზე ისე, როგორც რეაგირებენ. ეს, თავის მხრივ, ზემოქმედებს იმაზე, რასაც გვიყვებიან. მათთვის გაცემული ჩვენი პასუხებიც ფორმას სძენენ იმას, რის გაზიარებაც სურთ ან შეუძლიათ მათ. ეს პროცესი მით უკეთ გვესმის, რაც მეტს ვიგებთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება აღგვიქვამდნენ მონაწილეები ამ ურთიერთქმედებისას. ფაქტობრივად, ამ პროცესში ბევრი წრიული მოძრაობაა. თავად ინტერვიუ უნდა დავინახოთ კონტექსტში, იქნება ეს სოციალური კონტექსტი თუ ინტერვიუსა და რესპონდენტს შორის ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარე პროცესის დეტალები. ინტერვიუების ხელოვნება არ არის მხოლოდ „ჯერ ეს, მერე – ის“. ნაწილები ზემოქმედებს მთელზე, რომელიც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ნაწილებზე.

ნარატიული ინტერვიუ თანამშრომლობად ან პარტნიორობად განიხილება, რომელიც კვლევის მონაწილეს ძალას ჰმატებს და ობიექტად არ აქცევს (Fine, 1994). მეცნიერები ბევრს კამათობდნენ და კვლავ კამათობენ იმის თაობაზე, რამდენად არის ან არ არის შესაძლებელი ჭეშმარიტი თანამშრომლობა, მაგრამ ძირითადი იდეა ისაა, რომ მკვლევარი უნდა მიჰყვეს კვლევის მონაწილეს და არა – პირიქით ანუ არ უნდა მიუთითოს მიმართულება საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბრისას (Atkinson et al., 2001; Densin & Lincoln, 2011). ინტერვიუს, ასევე, უყურებენ, როგორც პერფორმანსს ან საუბარს (Kvale, 1996). კვალე კოლაბორაციულ (თანამშრომლობით) მეტაფორასაც კი გვთავაზობს: მკვლევარი, როგორც მოგზაური ანუ პიროვნება, რომელიც უცხო ადგილებში მოგზაურობს და მეცნიერთა საზოგადოებას იმას ამცნობს, რაც იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ შეიტყო.

3.4.1.1. თემატური ხაზების ანალიზი

ბოლო წლებში ნარატივის მკვლევრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ცხოვრების ისტორიებში ცენტრალური თემატური ხაზების იდენტიფიცირებით. თემატური ხაზები ნარატივის პერსონაჟების განმეორებად სურვილებს შეეხება (McAdams, 1985). ბევრ ნარატივში პერსონაჟები ხშირად ცდილობენ გარკვეული ფორმის ძალაუფლების, სიყვარულის ან ორივეს მოპოვებას. უფრო ზოგადად, თემატური ხაზები ხშირად ასახავს იმას, რასაც ბაკანი (1966) აგენტობასა და ურთიერთკავშირს²¹ უწოდებს და ყველა ცოცხალი ფორმის ფუნდამენტურ მოდალობად თვლის.

²¹ Agency and Communion.

აგენტობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, განავრცოს, მიიღოს, სრულყოს და დაიცვას საკუთარი თავი, გამოეყოს სხვებს და გაუმკლავდეს გარემოს, რომელშიც მისი „მე“ ბინადრობს. პიროვნულ ნიშნებთან მიმართებით აგენტობა ისეთი ცნებებით აღინერება, როგორებიცაა დომინანტობა და ექსტრავერსია, და, ასევე, აისახება მილნევისა და ძალაუფლების მოტივაციით. ურთიერთკავშირი/ერთობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, გაერთიანდეს სხვა ინდივიდებთან, დაუკავშირდეს მათ სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის კავშირებით. ნიშნებთან მიმართებით ურთიერთკავშირი აისახება ისეთი ცნებებით, როგორებიცაა კეთილგანწყობა და ზრუნვა და, ასევე, ვლინდება ინტიმურობისა და აფილაციის მოტივაციით (McAdams, 2013).

ცხოვრების ისტორიები ერთმანეთს აგენტური და ურთიერთკავშირის თემატური ხაზების სიძლიერისა და გამოკვეთილობის მიხედვით შეიძლება შედარდეს. ცხოვრების აგენტურ ისტორიაში პერსონაჟი ძალაუფლებისკენ, წარმატებისკენ, დამოუკიდებლობისკენ, ოსტატობისკენ და ა. შ. ისწრაფვის. ურთიერთკავშირის ანუ კომუნალური თემების დომინირებით შექმნილ ცხოვრების ისტორიებში პერსონაჟები მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, ინტიმურობისთვის, ერთიანობისთვის და ა. შ. იბრძვიან. ცხოვრების ზოგიერთი ისტორია ორივე თემას მოიცავს, ზოგიერთში კი ნაკლებად არის გამოხატული.

მკვლევრები სხვადასხვაგვარად ახორციელებენ აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემების მიხედვით ისტორიების კოდირებას. მაკადამსმა და მისმა კოლეგებმა შექმნეს და შეამოწმეს სისტემა, რომელიც აგენტობასა და ურთიერთკავშირს ოთხ ძირითად ქვეთემად ყოფს (**ხსრილი N 3.6**) (McAdams, 1996). თითოეული ამ ქვეთემათაგანი შეიძლება სანდოდ გადაკოდირდეს ცხოვრების ისტორიებიდან აღებული ძირითადი ეპიზოდების ნარატიულ ანგარიშებში, როგორც არის, მაგალითად, პიკური გამოცდილებისა და უარყოფითი მოგონების შესახებ ანგარიშები.

სხრილი N 3.6. აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემები მნიშვნელოვან ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებში

ქვეთემები	აღწერა
აგენტობა	
<ul style="list-style-type: none"> საკუთარი თავის ფლობა 	პროტაგონისტი საკუთარი, „მე“-ს წარმატებული ბატონობისკენ, კონტროლისკენ, გაფართოებისკენ ან სრულყოფისკენ ისწრაფვის. მძლავრი და ეფექტური ქმედებების მეშვეობით, პროტაგონისტს შეუძლია „მე“-ს გაძლიერება, გაფართოება, დაბრძნება, ან მსოფლიოში ყველაზე ძალაუფლებიან აგენტად ქცევა.
<ul style="list-style-type: none"> სტატუსი/ გამარჯვება 	პროტაგონისტი მაღალ სტატუსს ან პრესტიჟულ მდგომარეობას აღწევს თანატოლებში განსაკუთრებული აღიარების ან შეფასების/კონკურსის მოგების გზით.
<ul style="list-style-type: none"> მიღწევა/ პასუხისმგებლობა 	პროტაგონისტი წარმატებას აღწევს ამოცანების, სამუშაოს ან ინსტრუმენტული მიზნების მიღწევაში, ან მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობების აღებაში.
<ul style="list-style-type: none"> უფლებამოსილება 	პროტაგონისტი ვითარდება და მეტად დახვეწილი ხდება, მეტ ძალაუფლებას იძენს მასზე დიდთან ან მძლავრთან დაკავშირების მეშვეობით.
ურთიერთკავშირი	
<ul style="list-style-type: none"> სიყვარული/ მეგობრობა 	პროტაგონისტი მეორე ადამიანის მიმართ ეროტიკული სიყვარულის ან მეგობრობის გაუმჯობესებას განიცდის.
<ul style="list-style-type: none"> დიალოგი 	პროტაგონისტი რეციპროკულ და არაინსტრუმენტული ფორმის კომუნიკაციაში ან დიალოგშია ჩართული სხვა ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან.
<ul style="list-style-type: none"> ზრუნვა/ დახმარება 	პროტაგონისტი ზრუნავს, ეხმარება, მფარველობს, მხარს უჭერს ან კურნავს სხვებს და ამით ხელს უწყობს მეორე ადამიანის ფიზიკურ, მატერიალურ, სოციალურ ან ემოციურ კეთილდღეობას ან კარგად ყოფნას.
<ul style="list-style-type: none"> ერთიანობა/ ერთად ყოფნა 	პროტაგონისტი განიცდის ერთიანობას, მთლიანობას, ჰარმონიას, სინქრონულობას, ერთად ყოფნას, მიკუთვნებულობას, ერთგულებას ან სოლიდარობას ადამიანთა ჯგუფთან, თემთან და კაცობრიობასთანაც კი.

წყარო: McAdams, et. al., 1996, გვ. 339-377.

3.4.1.1. სტრუქტურის ანალიზი

თუ აგენტობა და ურთიერთკავშირი ავტობიოგრაფიული მოგონებების შინაარსობრივ თემებს შეეხება, დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ცნებები ნარატივის სტრუქტურაზე ან სტილზე მიგვითითებენ. სტრუქტურის თვალსაზრისით, ცხოვრებისეული ისტორიები ფართოდ იცვლება ნარატივის სირთულის მიხედვით. უაღრესად კომპლექსური ნარატივები მრავალ განსხვავებულ იდეასა და ფაბულას მოიცავს და ამ ელემენტებს შორის მრავალ განსხვავებულ კავშირს გამოხატავს. ამის საპირისპიროდ, შედარებით მარტივი ისტორიები რამდენიმე ქარგას ეფუძნება და ელემენტებს შორის მხოლოდ რამდენიმე ურთიერთკავშირს ავითარებს. ვერ ვიტყვით, რომ კომპლექსური ისტორიები უკეთესი ან უარესია, ვიდრე – შედარებით მარტივი ამბები. ისინი, უბრალოდ, განსხვავებულია. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ჩარლზ დიკენსის ან ფიოდორ დოსტოევსკის მრავალპერსონაჟიანი და ჩახლართული ფაბულის ტიპური რომანები (მაგალითად, „დავიდ კოპერფილდი“ ან „ძმები კარამაზოვები“) სკოტ ფიცჯერალდის „დიდი გეტსბის“ ან ერნსტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ თავშეკავებულ მინიმალიზმს. ეს ოთხივე რომანი კლასიკაა. იმ ფაქტით, რომ ორი მათგანი სტრუქტურულად უფრო კომპლექსურია, ვიდრე დანარჩენი ორი, ნამდვილად ვერ განისაზღვრება ლიტერატურული ნაწარმოების საერთო ღირებულება (McAdams, 2009).

პიროვნების პირველი (ნიშნები) და მეორე (მიზნები) დონის ზოგიერთი ცვლადი შეიძლება ცხოვრების ნარატივის კომპლექსურობასთან ასოცირდებოდეს. მაგალითად, სტუდენტებისა და შუა ხნის მოზრდილების მიერ დაწერილი ნარატივების ანგარიშთა ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, რომ გამოცდილებისადმი ღიაობის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები უფრო კომპლექსური ავტობიოგრაფიული მოგონებების გახსენებისა და კონსტრუირებისკენ არიან მიდრეკილნი (McAdams, Anyidoho, Brown, Huang, Kaplan & Machado, 2004). კვლევა, ასევე, აჩვენებს, რომ ლოვინგერის (1976) ეგოს განვითარების ცნებაც კორელირებს ადამიანების ცხოვრების ისტორიების კომპლექსურობასთან. ორმოცდაათი ასეთი ისტორიის შესწავლის შედეგად მაკადამსმა (1985, 1988) აღმოაჩინა, რომ ეგოს განვითარების მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები უფრო მიდრეკილნი იყვნენ თავიანთ მონათხრობებში განსხვავებული ფაბულების ჩართვისკენ, ვიდრე – დაბალი მაჩვენებლის მქონენი. უფრო კომპლექსური ნარატივები, შესაძლოა, მეტად გულისხმობდეს პერსონაჟების ცვლილებას. კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, როგორ ყვებიან კოლეჯის სტუდენტები თავიანთი რელიგიური განვითარების შესახებ, მაკადამსმა და მისმა კოლეგებმა (2004) ნახეს, რომ ეგოს განვითარების (კეთილსინდისიერი ანუ I-4 და მეტი ლოვინგერის სქემით) მაღალი მაჩვენებლის მქონე სტუდენტები უფრო იყვნენ მიდრეკილნი

ტრანსფორმაციისა და ზრდის ისტორიის მოყოლისკენ, რაკი თვლიდნენ, რომ მათ მნიშვნელოვანი რელიგიური ეჭვებისა და დაურწმუნებლობის პერიოდი განვლეს და ახალი და მეტად პერსონალიზებული რელიგიური პოზიცია ჩამოუყალიბდათ. ამის საპირისპიროდ, შედარებით დაბალი მაჩვენებლის მქონე სტუდენტები (უპირატესად, კონფორმისტები ანუ 1-3 სტადია) უარყოფდნენ, რომ მათ ოდესმე განუცდიათ რწმენის კრიზისი ან ჰქონიათ კითხვებით აღსავსე პერიოდი ცხოვრებაში, რომელიც სანყის რწმენასთან დაბრუნებით დასრულდებოდა. მაშასადამე, ეგოს განვითარების დაბალი მაჩვენებლის მქონე სტუდენტები სტაბილურობისა და კონსისტენტურობის ნარატივის აგებისაკენ იყვნენ მიდრეკილნი. გარდა ამისა, ისინი ჯგუფის სტანდარტებისა და სხვების რწმენის როლის გამოკვეთის ტენდენციით გამოირჩეოდნენ, ავლენდნენ რა აზროვნების კონფორმისტულ წყობას, რომელიც ლოვინგერის²² დაბალ და შუათანა სტადიებთან ასოცირდება.

3.4.1.2. ერთი ან ორი ძირითადი ცალკეული ეპიზოდის ანალიზი

ზოგჯერ შეიძლება პიროვნების ცხოვრების ერთი ან ორი ძირითადი ეპიზოდის ნარატიული ანგარიში გვინტერესებდეს და არა – მთლიანი ცხოვრების ისტორია (Thorne, Cutting, & Skaw, 1998). მაგალითად, ზოგ მკვლევარს ადამიანების ცხოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების მოგონებები აინტერესებს. პირადი მოვლენების ეს მოგონებები ცხოვრების ერთ სცენას ან მომენტს ასახავს, რომელიც იმდენად მდიდარი სენსორული წარმოსახვითა და დეტალიზაციით გამოირჩევა, რომ პიროვნება იმახსოვრებს მას. პილემერი (1998, წყაროში McAdams, 2009) ნათლად დახსომებული ოთხი სახეობის მოვლენის მნიშვნელობაზე საუბრობს: (ა) დამწყები მოვლენები, რომლებიც ისტორიის ფაბულის ხაზის დასაწყისს აღნიშნავენ; (ბ) გადამწყვეტი მომენტები, რომლებიც ერთი ფაბულის ხაზიდან მეორისკენ მნიშვნელოვან ცვლილებას აღნიშნავენ; (გ) მოტივტივე მოვლენები, რომლებიც მოცემული ფაბულის ხაზის სტაბილურობას ან უწყვეტობას

²² ჯენ ლოვინგერის მოდელის თეორიულ საფუძველს კოგნიტური განვითარების პარადიგმა ქმნის. განვითარება განიხილება, როგორც იერარქიული სტადიების თანმიმდევრულად გავლის პროცესი. ლოვინგერი აღწერს რვა სტადიას. თითოეული სტადია წინმსწრებზე აიგება და, საბოლოოდ, მოიცავს ყველა ეტაპს, რომლებიც წინ უძღოდა მას. ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა შინაგანი მომნიშვნელობისა და გარეგანი ძალების ზემოქმედების კომპლექსური შედეგია. განვითარების უფრო მაღალი სტადიები „სჯობს“ დაბალ სტადიებს და სამყაროს ინტეგრირების უფრო დიფერენცირებულ, ინტეგრირებულ და ადეკვატურ შესაძლებლობას იძლევა. ადამიანები გარკვეულ სტადიას აღწევენ და შემდეგ წყვეტენ წინსვლას. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა სტადიაზე ჩერდება. მოცემული ჯგუფის ინდივიდუალური განსხვავებები სწორედ სტადიების ტერმინებით გაიგება (დანვრილებით იხ. ხეჩუაშვილი, 2021).

აღნიშნავენ; (დ) ანალოგური მოვლენები, რომლებიც აქტივობის პატერნს გვიჩვენებენ: ეს ძალზე ჰგავს იმას, რისი ნახვაც ცხოვრების ისტორიის სხვა მოვლენების ჯგუფშიც შეგვიძლია.

3.4.1.3. თვისებრივი ანალიზის მაგალითი

ნარატივის გაანალიზების საჭიროება, როგორც წესი, თვისებრივი კვლევის ფარგლებში მიღებული ვერბალური მასალის შემთხვევაში ჩნდება. ეს შეიძლება იყოს წერილობითი ანგარიში კონკრეტული მოვლენის შესახებ, ან მრავლისმომცველი და სიღრმისეული ცხოვრების ისტორია, რომელსაც კვლევის მონაწილე პირისპირ ინტერვიუებისას ჰყვება.

ცხადია, ნარატივის გაანალიზება მხოლოდ თემების მოძიებას, სტრუქტურის აღწერას ანდა მნიშვნელოვანი ეპიზოდების გამოყოფას არ გულისხმობს. ეს მხოლოდ ერთი ეტაპია. შემდგომი და არანაკლებ მნიშვნელოვანი (თუ უფრო მნიშვნელოვანი არა) ეტაპი მიღებული შედეგების ერთი ან მეტი თეორიის ქრილში დანახვა და ინტერპრეტაციაა. აღსანიშნავია, რომ როგორც მკვლევრები, არ ვართ შეზღუდულნი ერთი კონკრეტული თეორიით. სხვა სიტყვებით, თუნდაც ერთი ნარატივის ანალიზისას არ არსებობს მოთხოვნა, რომ ავირჩიოთ ერთი თეორიული ჩარჩო და მხოლოდ მისი ცნებების კონტექსტში გავიაზროთ მოცემული მასალა. პირიქით, ნარატიული მკვლევრები (მაგალითად, იხ. Schultz, 2005) თვლიან, რომ ერთი თეორიის ჩარჩოში დარჩენა ინტერპრეტაციას ხშირად სიხისტეს და რიგიდულობას სძენს, ზოგჯერ კი შემთხვევის პათოლოგიზაციამდეც მიყვავართ, რაც, თავის მხრივ, შესრულებული ნაშრომის დაბალი ხარისხის ან მკვლევრის არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია (იხ. ხეჩუაშვილი, 2021, XX თავი). ამიტომ მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას მოქნილად და კრეატიულად უნდა ავირჩიოთ ის თეორიული ჩარჩო(ები) და კონსტრუქტები, რომლებსაც დავეყრდნობით შედეგების განხილვისას.

ყოველივე ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ნარატივის გაანალიზების ერთ-ერთ ვარიანტს. წარმოდგენილი შემთხვევები ჩემი კვლევის ფარგლებში ჩანერილი ინტერვიუებიდან შევარჩიე. ეს იმ ორი ადამიანის მიერ მოთხრობილი ცხოვრების ისტორიაა, რომლებსაც პირობითად მარი და ნინო დავარქვი.²³ ინტერვიუები მაკადამსის ზემოთ აღწერილი მოდელით ჩატარდა. თავდაპირველად ინტერვიუების აუდიოჩანაწერების მიხედვით დაიწერა ტრანსკრიპტები,²⁴ შემდეგ – თითოეული ისტორიის შეჯამება და ინტერპრეტაცია, ბოლოს კი –

²³ ამ შემთხვევებს კიდევ მივუბრუნდებით მასტერნარატივზე საუბრისას III ნაწილში.

²⁴ ამ შემთხვევაში მომზადდა სრული ტრანსკრიპტი ანუ სიტყვასიტყვით ჩაიწერა ინტერვიუს პროცესში გამართული ყველა დიალოგი, პაუზებისა და რესპონ-დენტის

მათი შედარებითი ანალიზი. საილუსტრაციოდ მხოლოდ სამ ცვლადზე ანუ ნარატივის მახასიათებელზე შევჩერდებით. კერძოდ, შედარების კონტექსტში შევაჯამებთ და გავაანალიზებთ ორივე ნარატივის თემებს, სტრუქტურასა და თხრობის მოდულს. ის ფაქტი, რომ ეს თვისებრივი ანალიზია, არ გამორიცხავს ცვლადების ოპერაციონალიზაციისა და შეძლებისდაგვარად ზუსტად აღწერის საჭიროებას. ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში თემები ცხოვრების ისტორიებში აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემატურ ხაზებს გულისხმობს (Bakan, 1966; McAdams, 1988). სტრუქტურა ნარატივში მოვლენების დალაგების თანმიმდევრობას შეეხება. მოცემულ შემთხვევაში მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობა (იხ. ქვემოთ) გვანტერესებს (McAdams, 2013b). თხრობის მოდულში ინდივიდის ცხოვრების ისტორიაში ასახული გენერაციულობის (იხ. ხეჩუაშვილი, 2021; Khechuashvili, et. al. 2019; McAdams, 1993, 2013b) ხარისხი იგულისხმება.

მარი და ნინო

ცხადია, ამ ორი ადამიანის ისტორიის თხრობას არ შევუდგები. მოკლედ ვიტყვი, რომ მარი 50 წლის დაოჯახებული ქალია, რომელსაც არ ჰყავს შვილები, და ქორწინებიდან 22 წლის შემდეგაც ძალიან უყვარს მეუღლე. მან მეუღლის ვაჟიშვილი (პირველი ქორწინებიდან) გაზარდა და ახლა შვილიშვილებით არის დაკავებული. ამასთან, მთელი ცხოვრება მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციაში (უმალღესი განათლება აქვს; მეუღლეს სამსახურში გაიცნო). ცხოვრებაში ბევრი ტკივილი გადაუტანია. 19 წლისას ორი მეგობარი დაეღუპა, შემდეგ იყო აფხაზეთის ომი და ისევ ბევრი დაკარგული მეგობარი თუ ახლობელი. 30 წლის ასაკში 40 დღის შუალედით გარდაეცვალა ჯერ მამა, შემდეგ – დედა. მარი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც მოზრდილად გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა. მის წარმომადგენლებს ზოგჯერ „დაკარგულ თაობას“ უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს მსვლელობისას იგი თავადაც ასე მოიხსენიებს საკუთარ თავსა და თაობას.

ნინოს ისტორია სრულიად განსხვავებულია. ის 38 წლისაა, უკვე ხუთი წელიწადია, რაც ქმარს გაშორდა, და უკვე ორი მოზრდილი შვილი ჰყავს. 16 წლის ნინო თავისი ბავშვობის სიყვარულს გაჰყვა ცოლად და თვლიდა, რომ უბედნიერესი იყო, თუმცა წლების განმავლობაში თანდათანობით დარწმუნდა, რომ ეს არ იყო ის ადამიანი, ვის გვერდითაც უნდა გაეტარებინა მთელი ცხოვრება, და ერთ-ერთი კრიტიკული მომენტის (ავტოავარიის) დროს დაშორების გადაწყვეტილე-

არავერბალური ქცევების ჩათვლით. არსებობს ტრანსკრიპტის წერის სხვა ტექნიკაც, რომელიც არ მოითხოვს ასეთ სიზუსტეს. ის, თუ რომელ ვარიანტს აირჩევთ, მთლიანად კვლევის მიზანსა და ამოცანებზეა დამოკიდებული.

ბაც მიიღო. თუმცა მაინც მიიჩნევს, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ მეტწილად განაპირობა მისი „მე“-სა და იდენტობის ფორმირება.²⁵ ყველა ისტორია, რომელსაც ნინო ჰყვება, ასე თუ ისე ყოფილ მეუღლეს უკავშირდება, იქნება ეს ყველაზე ბედნიერი, უბედური თუ გადამწყვეტი მომენტები. მეუღლესთან დაშორების შემდეგ ნინო აქტიურად დაუბრუნდა პროფესიულ საქმიანობას (ექიმია) და დღეს საკუთარ პროფესიაში რეალიზებული და წარმატებული ქალია. თვლის, რომ ის ასევე ცხოვრებით ცხოვრობს და ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, სხვების ცხოვრებასაც შემატოს „ფერები და სიხალისე“.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ორი ადამიანის მიერ მოყოლილი ცხოვრების ისტორიების თემები, სტრუქტურა და თხრობის მოდუსი.

თემები ანუ თემატური ხაზები ის ლეიტმოტივია, რომელიც ცხოვრების ისტორიას გასდევს და სხვადასხვა ეპიზოდში ისევ და ისევ მეორდება. პიროვნებისა და საზოგადოების ზოგი მკვლევარი (მაგალითად, იხ. McAdams, 2015) ადამიანთა ცხოვრებაში თემატურ დუალიზმს ხედავს. დევიდ ბაკანის (1966) წყალობით, ამ დუალიზმს აგენტობისა და ურთიერთკავშირის ტერმინებით აღწერენ. ბაკანის მიხედვით, ყველა ადამიანის ცხოვრებაში ორი ფუნდამენტური „მოდალობა“ არსებობს. პირველი, აგენტობა, ინდივიდის სხვებისა და კონტექსტისგან გამიჯვნას, გამოცალკევებას გულისხმობს, მეორე, ურთიერთკავშირი კი – ინდივიდებთან ყოფნას და კონტექსტთან შერწყმას. მაკადამსის (1988) რეფორმულირების მიხედვით, ადამიანები სხვა ადამიანების წინ და გვერდით ყოფნისკენ ისწრაფვიან, რაც აგენტობას, გარშემომყოფებთან ინტეგრაციისა და საკუთარი თავის იმედად ყოფნას, გარემოსთან საკუთარი ძალებით გამკლავებას გულისხმობს. თუმცა, როგორც მაკადამსი ამბობს, ურთიერთკავშირი არბილებს და ანონასწორებს სრული დამოუკიდებლობისკენ აგენტობისთვის დამახასიათებელ სწრაფვას. შესაბამისად, ურთიერთკავშირში ხაზგასმულია კონტაქტი, ლიაობა, ერთიანობა, თანამშრომლობა და სხვის გვერდით ყოფნის განცდა ანუ სხვა ადამიან(ებ)თან ახლო და სტაბილური ურთიერთობა.

ამ ორი ცხოვრების ისტორიას აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემატური დუალიზმის ჭრილში თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მარის ურთიერთკავშირის მოტივები ამოძრავებს: იგი ბევრს საუბრობს ადამიანთა ურთიერთკავშირის

²⁵ ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 14-16 წელი ყველაზე მნიშვნელოვანი ასაკია იდენტობის ფორმირებისთვის. ამაზე მიუთითებს არამარტო ერიკსონისეული თეორიული მოსაზრებები, არამედ თანამედროვე მკვლევრების მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი კვლევა და დაგროვილი ემპირიული მონაცემები (მაგალითად, იხ. McLean, 2005; McLean & Lilgendahl, 2008; Mclean & Syed, 2015; Pals, 2006b; Pasupathi, 2001, 2007).

რის მნიშვნელობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს მის პირად ცხოვრებაში პიროვნებათშორისი ურთიერთობების როლს, იქნება ეს მჭიდრო ემოციური მიჯაჭვულობა მეუღლესთან, თბილი გრძნობები, მშობლების გარდაცვალებით გაჩენილი ტკივილი თუ წუხილი და ნერვიულობა, სიკვდილს გადარჩენილი ბიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მის ისტორიაში არ ჩანს პროფესიულ ასპარეზზე საკუთარი თავის განვრცობის ან თვითგამოხატვისკენ სწრაფვა. იგი არაფერს ამბობს სამსახურით კმაყოფილების შესახებ. მეტიც, მარი საერთოდ არაფერს ჰყვება სამსახურის შესახებ, რაც ასე დიამეტრულად განასხვავებს მას ნინოსგან, რომელსაც უამრავი რამ აქვს სათქმელი საკუთარი პროფესიის, საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ნინო პირდაპირ ამბობს, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი ქორწინებისა (17 წლის ასაკში გათხოვდა და 34 წლისა დაშორდა მეუღლეს) და ორი მშვენიერი შვილისა, მან მხოლოდ მას შემდეგ იგრძნო თავი კმაყოფილად და ბედნიერად, როცა პროფესიულ წარმატებას მიაღწია. ამგვარად, ნინოსთან უფრო გამოკვეთილია აგენტობა. მის ისტორიებში კარგად ჩანს ურთიერთკავშირისა და აგენტობის თემების დაბალანსების მცდელობა ანუ, როგორც მაკადამსი იტყოდა, მის ცხოვრებისეულ ისტორიაში კარგად შეიძლება ინტიმურობისა და ძალაუფლების მოტივებისთვის თვალის გადავლება. ნინო თავის ცხოვრებაში ამ ორ თემატურ ხაზს ანუ მოტივს შორის გარკვეულ დაძაბულობაზეც საუბრობს, რაც, მაკადამსის (2013) თეორიული მოდელის მიხედვით, გენერაციული ორიენტაციის ანა-რეკლია, და ეს ასეც უნდა იყოს მის ასაკში (Erikson, 1963, McAdams, 2009, 2013).

წამყვან თემებში არსებული განსხვავებები თვალსაჩინოა ცხოვრების ორ ისტორიაში: მარის ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანებთან ახლო, სტაბილური და მჭიდრო ემოციური კავშირის დამყარებასა და მათთან ახლო ურთიერთობებს. ის ბევრ საუბრობს მეუღლის, შვილიშვილების, მშობლების, ნათესავების, მეგობრებისა და სამშობლოს სიყვარულზე. ამის საპირისპიროდ, ნინო პროფესიულ საქმიანობაზე, თვითრეალიზაციაზე, თვითგამოხატვაზე, სამსახურში წინსვლასა და, ასევე, მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ პიროვნებასთან ურთიერთობაზე საუბრისას უღრმავდება დეტალებს. თუმცა პიროვნებათშორისი ურთიერთობებზე საუბრის დროსაც საკუთარ თავს აღწერს, როგორც ადამიანს, რომელიც ზრუნავს სხვებზე, მათი საყრდენი, მრჩეველი და წინამძღოლია. ამრიგად, თუ მარი სხვა ადამიანებთან კავშირების დამყარებისკენ ისწრაფვის, ნინოს მთავარი საფიქრალი მის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე ზრუნვა, მათი მოვლა და მხარდაჭერაა („ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები ოდნავ მაინც მეტად გავაბედნიერო“).

სტრუქტურა. როგორც ორი ქალის ნარატივიდან ჩანს, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულად იხსენებენ ბავშვობის წლებს და, ზოგადად, წარსულს. მარის გაიდელელებული აქვს საკუთარი ბავშვობა და ამბობს, რომ ბავშვობაში „სამყაროს ცენტრი იყო“. ნინო საერთოდ უფრო ნაკლებს საუბრობს ამ წლებზე და ამბობს, რომ ბავშვობაშიც კი სულ უნდოდა და ცდილობდა, რომ დიდი ყოფილიყო ან დიდივით მოქცეულიყო მაინც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარი თავისი ისტორიების უმრავლესობას გადაფარვის ანუ კონტამინაციის თანმიმდევრობის მიხედვით ალაგებს ანუ მის ცხოვრებაში რაღაც კარგს ყოველთვის ცვლის რაღაც ცუდი (საყვარელ ადამიანს შეხვდა, მაგრამ მან ბევრი პრობლემა შემოიტანა მის ცხოვრებაში; სრულიად ბედნიერი და იდეალური ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ეს ერთ წამში გაქრა, როცა მისი ორი მეგობარი თბილისის ზღვაში დაიხრჩო). რაც შეეხება ნინოს, ის ამის სრულიად საპირისპიროდ, ე. წ. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით, აგებს თავის ნარატივს: ცუდ მოვლენებს ყოველთვის კარგი ამბები ცვლის; როგორი მძიმე და ცუდიც უნდა იყოს მიმდინარე ვითარება, მას აუცილებლად მოსდევს რაღაც კარგი (ქმარს გაშორდა, მაგრამ ორი მშვენიერი შვილი ჰყავს; ოჯახი დაენგრა, მაგრამ წარმატებული ექიმი გახდა).

მოდული. თუ მარის და ნინოს ყველა მონათხრობს შევაჯამებთ, ცხადად დავინახავთ, რამდენად განსხვავებულად ჰყვება თითოეული მათგანი საკუთარ ისტორიას. ნინოს ცხოვრების ისტორიაში სამყაროსადმი და, ზოგადად, ცხოვრებისადმი უფრო გენერაციული დამოკიდებულება ირეკლება.

მარისა და ნინოს ცხოვრების ისტორიების შედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ მარის მიერ კონსტრუირებული ცხოვრების ისტორია ნაკლებად გენერაციულია. როგორც ის თავად ამბობს: „ჩემი ცხოვრება ცარიელი, უაზრო და უმიზნოა. რატომ? იმიტომ, რომ შვილი ვერ გავაჩინე.“ მის მონათხრობში არ გვხვდება გენერაციული მოზრდილის არც ერთი (ზემოთ ჩამოთვლილი) მახასიათებელი. მხოლოდ ერთხელ, ერთადერთ წინადადებაში გამოჩნდა გენერაციულობის ელემენტი, როცა მას ცხოვრების ისტორიის შემდგომი, მომავლის თავის შესახებ ჰკითხა ინტერვიუერმა და მარიმ შვილიშვილები (გერის შვილები) ახსენა: „ალბათ, მათ განათლებაზე ზრუნვა იქნება ჩემი ცხოვრების შემდეგი თავი“. მარისგან განსხვავებით, ნინოს ისტორიები გაჯერებულია გენერაციული მისწრაფებებით. იგი თავად ასე აჯამებს საკუთარ ცხოვრებას: „ვზრუნავ სხვებზე, მაინტერესებს სხვები, ყველას – ბავშვებს, მათ მშობლებს, ახლობლებს, ყველას ვჭირდები და ეს ხომ ჩემი სამსახურის ნაწილიცაა. ეს სამსახურიცაა ჩემი და თავად მეც ვარ. ჩემი განუყოფელი ნაწილია სხვების დახმარება და მათ გვერდზე დგომა... შევიტანო ფერები.. და ვცდილობ, ადამიანები ოდნავ მეტად გავაბედნიერო, ვიდრე არიან.“

3.5. ნარატივის რაოდენობრივი ანალიზი: კოდირება

კოდების მიმნიჭებლებისთვის²⁶ ნარატივების მიწოდებამდე უნდა განხორციელდეს მათი დეიდენტიფიცირება და რანდომიზაცია მონაწილეების მიხედვით (გრძელი ტრანსკრიპტები, როგორც წესი, ერთიანად აღირიცხება და არა – ცალკეული ინსტრუქციების მიხედვით). თავად დეიდენტიფიკაცია, შესაძლოა, ნიუანსირებული პროცესი იყოს და დეტალების გამოყოფაც მოხერხდეს (ნარატივის შინაარსი ხშირად მოიცავს დეტალების იდენტიფიცირებას), მაგრამ მნიშვნელოვანია, დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ შემფასებლები (კოდების მიმნიჭებლები) ვერ შეძლებენ მონაცემების შესახებ რაიმე სახის მნიშვნელოვანი (შინაარსიანი) ინფორმაციის შემჩნევას, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კოდირებაზე. მაგალითად, თუ კვლევა გენდერულ განსხვავებებზე ფოკუსირდება, მკვლევრებმა, თუ შესაძლებელია, კოდირებისთვის მთელი მასალა უნდა დაწმინდონ დემოგრაფიული ინფორმაციისგან.

კვლევისთვის ნარატიული ცვლადების შერჩევის პროცესს კონკრეტული კვლევის ჰიპოთეზები უნდა წარმართავდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეისათვის უკვე შექმნილია კოდირების ბევრი სისტემა და მზა სახით არის ხელმისაწვდომი მონაცემთა ახალი ბაზა წარმოდგენილი იმ საკვლევი თემების ოპერაციონალიზაციისთვის, რომლებსაც აჯამებს **ხსრილი N3.2**. ზოგ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი იყოს კოდირების ახალი სისტემის შექმნა ისეთი კონსტრუქტების მოსახელთებლად, რომლებიც მანამდე არავის უკვლევია. ეს ინტენსიური პროცესი კარგად არის აღწერილი საიედისა და ნელსონის ნაშრომში (**Syed & Nelson, 2015**; ასევე, იხ. **McAdams et al., 2008**). გარდა ამისა, არსებული კოდირების სისტემის ახალ მონაცემთა ბაზაზე გამოყენება ყოველთვის არ არის სწორხაზოვანი და ცალსახა პროცესი. მაგალითად, თუ კვლევის მონაწილეები განვითარების არსებითად განსხვავებულ ეტაპზე იმყოფებიან ან სრულიად განსხვავებული წარსული და კონტექსტი აქვთ, ან ინსტრუქციები არსებითად განსხვავებულია, შეიძლება აუცილებელი გახდეს კოდირების არსებული სისტემის გადასინჯვა. მაგალითად, ქართულ კულტურაში ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში (ხეჩუაშვილი, **2016c**), რომელიც მიზნად ისახავდა **2008** წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ პირთა და საქართველოს სხვა მოქალაქეთა ცხოვრების ისტორიების სტრუქტურისა და პოსტტრავმული ზრდის კვლევას, ნარატივის შინაარსების კოდირების არსებულ სისტემაში (**McAdams & McLean, 2013**) გარდაუვალი გახდა ერთი კოდის დამატება (კერძოდ, შეგუება-ადაპტაციის შინაარსობრივი ასპექტის), რაც

²⁶ ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებულია ტერმინები **rater** და **coder**, რაც ქართულად პირდაპირ არ ითარგმნება. შესაბამისად, აქ პირობითად გამოყენებულია ტერმინები „შემფასებელი“ და „კოდების მიმნიჭებელი“.

იძულებით ადგილნაცვალ პირთა უნიკალური გამოცდილებით იყო განპირობებული.

ნარატივის მკვლევართა გამოცდილება ადასტურებს, რომ ახალი ნარატიული ცვლადების შესწავლისა და მათი გამოყენებისთვის მონოდებულ კოდირების სისტემების განვითარების პარალელურად, აუცილებელია, მკვლევარმა ექსპლიციტურად დაუკავშიროს ახალი სისტემები უკვე არსებულს როგორც თეორიული, ისე – ემპირიული თვალსაზრისით (ანუ აჩვენოს მათი კონვერგენციული, დივერგენციული და დამატებითი (incremental) ვალიდობა), როდესაც ისეთ თემებს იკვლევს, რომლებიც ემპირიული ყურადღების ცენტრშია.

მიუხედავად ნარატიული კვლევის სფეროს მრავალფეროვნებისა, კოდირების ანალიზის ყველაზე გავრცელებულ ერთეულს სცენა წარმოადგენს. მაგალითად, ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ ბევრ ძირითად სცენას მოიცავს და, როგორც წესი, თითოეული მათგანი ერთ ქულას იღებს თითოეული ნარატიული ცვლადის მიხედვით. კვლევებში, რომლებშიც არ იყენებენ ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს, მაინც შესაძლებელია მონაცემების სცენებად დაყოფა, და ხშირად ერთი ინსტრუქციის საპასუხოდ მოყოლილ ამბავს ერთი ქულა ენიჭება. ეს მიდგომა მკვლევრებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ: (ა) პიროვნებათაშორისი ანალიზი კონკრეტული სცენის (ანუ სხვადასხვა ინდივიდის ისტორიაში მძიმე გამოცდილების შესწავლა, მაგალითად, იხ. Pals, 2006) ან ინდივიდის (ანუ გაასაშუალოონ ყველა სცენის მიხედვით მიღებული ქულები მოცემული ინდივიდისთვის და ინდივიდების შესა-დარებლად დააჯამონ ქულები, მაგალითად, McAdams et al., 2008) დონეზე, ანდა (ბ) პიროვნების ანალიზი (ანუ, ვთქვათ, პიკური გამოცდილება ნეგა-ტიურ გამოცდილებას შეადარონ, მაგალითად, McLean & Pals, 2008).

კოდირების პირველ ნაბიჯს შემფასებელთა ტრენინგი წარმოადგენს, რომელიც მათ შორის სანდოობის მაღალი სტანდარტის მიღწევას უნდა ისახავდეს მიზნად. მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილის კოდირების დაწყებამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ შემფასებლები (კოდების მიმნიჭებლები) ნამდვილად მართებულიად, სანდოდ და კონსისტენტურად იყენებენ კოდირების სისტემ(ებ)ას. ტრენინგის ამ ეტაპს არსებითი მნიშვნელობა აქვს კოდირების მეცნიერული გამართულობისა და მართებულობისთვის, რადგან კოდირების პროცესის შედეგად, საბოლოოდ, ნარატიული მონაცემების რაოდენობრივი რეპრეზენტაცია მიიღება. როგორც საიედი და ნელსონი (2015) მიუთითებენ, უმჯობესია, შემფასებელთა შორის სანდოობას შევხედოთ, როგორც პროცესს და არა – საბოლოო შედეგს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ დროს მიღებული ბევრი გადაწყვეტილება მიუთითებს ამ პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ნებისმიერ ანგარიშში ეს

პროცედურა სტატისტიკური კრიტერიუმების ერთობლიობით არის წარმოდგენილი, შემფასებელთა შორის სანდოობა კოდირების პროცესის თითოეული ნაბიჯის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის.

შემფასებელთა (კოდების მიმნიჭებელთა) ტრენინგი, ჩვეულებრივ, გული-სხმობს ორი შემფასებლის მომზადებას თითოეული შესაფასებელი ნარატიული ცვლადის მიხედვით. ნარატივის კოდირებას მთლიანად ვერ შეძლებს/განახორციელებს ერთი შემფასებელი: ასე შეუძლებელი იქნება შემფასებელთა შორის სანდოობის ხარისხის განსაზღვრა. რაც შეეხება ორზე მეტ შემფასებელს ან შემფასებელთა ჯგუფს, ესეც შეიძლება გამოწვევად იქცეს შემფასებელთა შორის სანდოობის მიღწევისთვის.

ტრენინგი, როგორც წესი, კოდირების სისტემის ნაკითხვით იწყება, რათა კარგად გაიგონ ლოგიკა, რომელსაც ის ეფუძნება, რაციონალიზაცია და ის, თუ რის მოხელთებას ისახავს მიზნად ეს კონკრეტული სისტემა. შემდეგ შემფასებლები ერთად კითხულობენ რამდენიმე ნარატივს და არჩევენ, როგორ შეიძლება კოდირების სისტემის მათთვის მისადაგება. ეს გარჩევა და დისკუსია გრძელდება კოდირების პროცესზე მაქსიმალურ შეთანხმებამდე. ამ ფაზაზე კოდირების სისტემა შეიძლება დაიხვეწოს, დაემატოს შენიშვნები, კომენტარები და კომპონენტები, რომლებიც კონკრეტული კოდირების სისტემისა და მონაცემთა კონკრეტული ბაზის ურთიერთშესაბამისობის პროცესში აღმოცენდება.

ამის შემდეგ შემფასებლები დამოუკიდებლად ახორციელებენ ნარატივების ახალი ნაკრების კოდირებას (მკვლევრის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზის მხოლოდ ნაწილს). მინიჭებული ქულები სტატისტიკურად დარდება ერთმანეთს, რათა განისაზღვროს, მიაღწიეს თუ არა შემფასებელთა სანდოობის საჭირო დონეს.

შემფასებელთა სანდოობის გამოთვლისადმი რამდენიმე განსხვავებული მიდგომა არსებობს და ის, თუ რომელს შევარჩევთ, კოდირების სისტემების ბუნებაზეა დამოკიდებული (დეტალებისთვის იხ. **Syed & Nelson, 2015**). შემფასებლები პირველივე ცდით იშვიათად თუ აღწევენ სანდოობის საჭირო დონეს. ამიტომ ნარატივების პირველი ნაწილის კოდირების შემდეგ აუცილებელია მათ შორის განსვლების განხილვა, კონსენსუსის მიღწევა, საჭიროების შემთხვევაში კოდირების სისტემის დახვეწა და შემდეგ ნარატივების კიდევ ერთი ნაწილის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კოდირება. ამას ხშირად მონაცემთა ბაზის დაახლოებით 10-25% სჭირდება, იმისდა მიხედვით, თუ რამხელა ბაზა გვაქვს და რა სიხშირით გვხვდება მოცემული კოდები (მაგალითად, დაბალი საბაზისო სიხშირის მქონე კოდების შემთხვევაში უფრო მეტი ნარატივი შეიძლება გახდეს საჭირო სათანადო სანდოობის მისაღწევად).

შემფასებელთა შორის სანდოობის ადეკვატური დონის მიღწევის შემდეგ ორი ვარიანტი გვაქვს: შემფასებლები იყოფენ დარჩენილ მონაცემებს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აკოდირებენ, ან ორი შემფასებელი ერთდროულად აკოდირებს დარჩენილ მონაცემებს (განსვლების შემთხვევაში ან კონსენსუსამდე მიდიან, ან საშუალო მაჩვენებელს იღებენ). კოდირების ეს ფაზა უპირატესად დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ამ დროს მნიშვნელოვანია შემფასებლებთან რეგულარული დისკუსიები და განხილვა, რათა თავიდან ავიცილოთ კოდირების სისტემიდან გადახრები (რასაც „თვითდინებით გადაადგილებას, გადახრას“ (drift) უწოდებენ, Wolfe, Moulder, & Myford, 2000). დამოუკიდებელი კოდირების ადრეულ ეტაპზე შემფასებლებს სთხოვენ, რომ სამუშაო შეხვედრებზე განსახილველად მოიტანონ ნებისმიერი მაგალითი, რომელშიც ეჭვი ეპარებათ და ჯგუფში განიხილონ და მივიდნენ კონსენსუსამდე (ან გასაშუალოებამდე).

როგორც წესი, ასეთი მაგალითების რაოდენობა მკვეთრად მცირდება კოდირების პროცესის მსვლელობასთან ერთად. ოპტიმალურია, რომ კოდირების სანდოობის გადამოწმების ფორმალური ფაზა რამდენჯერმე გავიმეოროთ, რათა დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ შემფასებელთა შორის სანდოობა²⁷ სათანადო დონეზე ნარჩუნდება კოდირების მთელი პროცესის განმავლობაში, თუმცა ის მაინც შეიძლება, პერიოდულად გადავამოწმოთ პროცესი კოდების მიმნიჭებელთა კოდირების სისტემიდან აცდენის თავიდან აცილების მიზნით.

თუ ერთმა და იმავე შემფასებლებმა რამდენიმე ნარატიული ცვლადი უნდა გადააკოდირონ, მართებული იქნება, რომ მონაცემთა მთელი ბაზა ჯერ ერთი ცვლადის მიხედვით გადააკოდირდეს და შემდეგ – სხვა ცვლადების მიხედვით. ეს საშუალებას აძლევს შემფასებლებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოავლინონ ტრანსკრიპტების კითხვისას, რადგან ამ შემთხვევაში კოდირება ნარატივის კონკრეტულ პრიზმაში, კონკრეტული კუთხით ხედვას ჰგავს, როდესაც კომპლექსური მასალა მხოლოდ კონკრეტული ასპექტების გამოსავლენად იფილტრება. ერთსა და იმავე ნარატივებში განსხვავებული თემების გამოსავლენად კოდირების მიმნიჭებელთა რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოვიყენოთ, რადგან შემფასებელთა შორის სანდოობა თითოეულ წყვილში დგინდება და ნარჩუნდება. სხვა სიტყვებით, შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე ნარატივებში ერთი ცვლადი ერთმა წყვილმა გადააკოდიროს, მეორე – სხვა წყვილმა და ა. შ.

კოდირების პროცესში რეკომენდებულია, რომ შემფასებლები ყურადღებით იყვნენ და ცალკე ინიშნავდნენ სიმბოლურ, კარგ საილუსტრაციო მაგალითებს მონაცემებიდან, რომლებიც მოცემული ცვლადის კოდირების სისტემისთვის გამოდგება (თითოეული სისტემის საუკეთესო/უარესი პოლუსები, ან ციტატები,

²⁷ რომლის საზომსაც, ძირითადად, კონენის K (კაპა) ან ICC (ინტერკლასური კორელაციის კოეფიციენტი) წარმოადგენს.

რომლებიც შემთხვევაზე დაფუძნებული/კატეგორიული სისტემის ილუსტრაციას წარმოადგენენ). ასეთი მიდგომა ორმხრივად სასარგებლოა: ჯერ ერთი, როდესაც სტატის/ნაშრომის მეთოდების ნაწილის მომზადებაზე ვინცებთ მუშაობას, არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ამონარიდების ჩართვას, რომლებიც კარგად აჩვენებენ, როგორ გამოვიყენეთ კოდირების სისტემა მონაცემთა ბაზაზე, როგორც დიდაქტიკური (სისტემის მუშაობის მხარის ასახსნელად), ისე – ილუსტრაციული (რეალური ამონარიდების გაზიარების) თვალსაზრისით. მეორეც: თეორიული თვალსაზრისით, მთავარია, კვლევის წარმოდგენისას ძალიან არ დავშორდეთ კვლევის მონაწილეების რეალურ ხმებს. ამაში საილუსტრაციო ამონარიდების მოტანა გვეხმარება. ასე სტატისტიკურ მონაცემებს სწორედ იმ ისტორიებში/ამბებში დავაფუძნებთ, რომელთა ახსნასა თუ აღწერასაც ემსახურებიან ისინი.

განურჩევლად იმისა, რამდენად საინტერესო და „ჩამთრევია“ ნარატივების კონკრეტული შერჩევა, შემფასებელთა „გამოფიტვის“ საკითხი მაინც შეიძლება დაგვიდგეს. ხარისხიანი კოდირება უაღრესად მობილიზებულ ყურადღებასა და გულდასმით კითხვას საჭიროებს, რაც, ნარატივების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ემოციურად დატვირთული საქმიანობა იყოს. ნარატივის მკვლევრების (Adler et al., 2017) რეკომენდაციას, რომ კოდირების პროცესში შემფასებლები (კოდების მიმნიჭებლები) პერიოდულად სხვა საქმიანობა დაკავდნენ, რათა არ მოადუნონ ყურადღება და ფოკუსირებულნი იყვნენ ნარატივების ანალიზისას. ასევე, აუცილებლად უნდა დაწესდეს დროის სტანდარტი: დადგინდეს, რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს კოდირების ერთი სესია. კოდირების დასრულების შემდეგ შესაძლებელია ნარატიული მონაცემების კვლევის მონაწილეთაგან მიღებულ სხვა მონაცემებთან კომბინირება და კვლევის ცენტრალურ კითხვაზე პასუხის გასაცემად დასკვნითი სტატისტიკის გამოყენება, რაც, ჩვეულებრივ, ნარატიული და მკვლევრისთვის საინტერესო სხვა ცვლადების ურთიერთმიმართების დადგენას გულისხმობს.

3.6. ქვემოთან ზემოთ: პერსონალური ნარატივების მიღმა

როგორც უკვე ვთქვით, მასტერნარატივი კულტურაში არსებული, მიღებული და დომინანტური პროტოტიპული ნარატივია, რომელიც ამ კულტურის წევრებს ცხოვრების ისტორიის კონსტრუირების ჩარჩოს, ხატებსა და შინაარსს სთავაზობს. ასევე, ქვემოთ ვნახავთ (III ნაწილი), რომ ადამიანები მოლაპარაკებისა და ინტერნალიზაციის გზით იღებენ და საკუთარი იდენტობის ნაწილად აქცევენ ამ ჩარჩოს, ანდა უპირისპირდებიან მას და ალტერნატიულ ნარატივს ქმნიან,

რომელსაც მიჰყვებიან კიდევ. დაბოლოს, ეს პროცესი რამდენიმე დონეზე შეიძლება მიმდინარეობდეს: ცალკეული ინდივიდების, ჯგუფებისა და მთელი საზოგადოებების მასშტაბით.

აქედან გამომდინარე, როდესაც მასტერნარატივის გამოვლენასა და შესწავლაზე მიდგება საქმე, ლოგიკურია, რომ სწორედ ეს ინდივიდები, ჯგუფები და მთელი საზოგადოებები შევისწავლოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით (და, ზოგადად, ნარატიულ ფსიქოლოგიაში) წარმოებული კვლევებისას, ემპირიულად დასაბუთებული სარგებლიანობიდან და მოხერხებულობიდან გამომდინარე, უფრო და უფრო პოპულარული ხდება შერეული მეთოდოლოგია. ასეთ კვლევებში რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებიც ავსებენ ერთმანეთს და მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვა თეორიული მოდელი თუ მიდგომაც. სწორედ შერეული მეთოდოლოგიით სწავლობენ მკვლევრები მასტერნარატივებს (მაგალითად, იხ. ხეჩუაშვილი, გოგიჩაიშვილი და ჯანანაშვილი, მომზადების პროცესში; გოგიჩაიშვილი და სხვ., 2016; Weststrate & McLean, 2010).

ამრიგად, მასტერნარატივის შესწავლის რამდენიმე გზა შეიძლება გამოიყოს:

პირველ ყოვლისა, ეს არის არტეფაქტების ანალიზი: იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, სატელევიზიო პროგრამები, ფილმები და წიგნები, რომლებიც მოცემულ კულტურაში მთავარი თემების გამოკვეთის საშუალებას იძლევა, როგორც ეს მაკადამსმა გააკეთა (2013) აშშ-ში მაკომპენსირებელი „მე“-ს მოდელზე მუშაობისას.

შეგვიძლია გამოვიყენოთ ყოველდღიური დიალოგების ანალიზი, რომელიც კარგად აჩვენებს პერსონალურ და მასტერნარატივებს შორის მოლაპარაკება-შეთანხმების პროცესსა და შედეგს (McLean et al., 2017; ასევე, იხ. Andrews, 2002; Bamberg, 2004; Thorne & McLean, 2003).

გარდა ამისა, ვიყენებთ მარგინალიზებული ან რაიმე ნიშნით გამორჩეული ჯგუფების მიზნობრივ კვლევას, განსაკუთრებით მათი, რომელთა ცხოვრებაც და, შესაბამისად, პერსონალური ნარატივებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება (ხეჩუაშვილი, 2016d; Cohler & Hammack, 2006; Weststrate & McLean, 2010). ასეთი კვლევები კარგად აჩვენებს იმ ალტერნატიულ ნარატივს, რომლითაც ეს ჯგუფები ცხოვრობენ. მაგალითად, ქართულ რეალობაში ეს შეიძლება იყოს აფხაზეთიდან პირველი თაობის დევნილები და აფხაზეთის დაკარგვა; 2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალი პირები და თავად ეს ომი (ხეჩუაშვილი, 2016c); ის ინდივიდები, ვინც ლგბტ თემს მიაკუთვნებენ თავს (გოგიჩაიშვილი და სხვ., 2016) და 2013 წლის 17 მაისის მოვლენები. ემიგრანტების კვლევა, როგორც უმრავლესობისთვის უჩინარი მასტერნარატივის გამოვლენის საშუალება (ხეჩუაშვილი, 2016d; Syed & Frisén, 2015). მაგალითად, აშშ-ში, კერძოდ,

ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მცირე ჯგუფის კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე განსხვავება მათსა და საქართველოში მცხოვრები მათივე ასაკის ქართველების ცხოვრების ისტორიებში, რამაც სწორედ უჩინარი მასტერნარატივის თვალსაჩინოდ დანახვის შესაძლებლობა მოგვცა. საქართველოში მცხოვრები მათი თანატოლებისთვის ბიოგრაფიის ხაზი ასეთია: სკოლა-უმაღლესი განათლება-ოჯახი/სამსახური. ემიგრანტთა ამ ჯგუფისთვის თანმიმდევრობა შეცვლილი იყო: სკოლა-ოჯახი/სამსახური-უმაღლესი განათლება. ამასთან, ეს ადამიანები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათ დაკარგეს წლები ცხოვრების აწყობაში, რომელიც, წესით, სწავლისთვის უნდა დაეთმოთ. აი, ეს „წესით“ არის ის სიტყვა-გასაღები, რომელიც მათში იმპლიციტურად ინტერნალიზებულ ბიოგრაფიულ ნარატივს აჩენს. მათთვის მოვლენათა ჩვეული მიმდევრობა დაირღვა: მათ უმაღლესი განათლების მიღებამდე მოუწიათ ინტენსიურად მუშაობა (და უმრავლეს შემთხვევაში – ოჯახის შექმნა).

შეგვიძლია კვლევის მონაწილეებისთვის განსხვავებული, დევიაციური მომენტების შესახებ კითხვების დასმა (Alpert, Marsden, Szymanowski, & Lilgendahl, 2013). როდესაც კვლევის მონაწილეებს (N=30, ასაკი 25-55 წელი) კულტურაში მიღებული გზიდან გადახვევების შესახებ ვკითხეთ, მრავალფეროვანი პასუხები მივიღეთ, თუმცა ამ პასუხების თემატურად დალაგებამ ცხადყო, რომ ამ შერჩევაში ასეთი მოგონებები, ძირითადად, გარეგნობასა და ურთიერთობებს უკავშირდებოდა. კერძოდ, გარეგნობაში განსხვავებული ელემენტების შესახებ მოგონებები შეეხებოდა პირსინგის, ჯაჭვებისა და სხვა მსგავსი აქსესუარების გამოყენებასა და მამაკაცებში გრძელი და ქალებში მოკლე თმის ტარებას; ურთიერთობის თემა ექსკლუზიურად მდებარეობით სქესის მონაწილეებთან გამოიკვეთა: იყო ისტორიები ტრადიციებისა და წესების გვერდის ავლით გათხოვების, ბიჭისთვის სიყვარულში გამოტყდომის, ქორწინებამდე სექსისა და გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცთან ოჯახის შექმნის შესახებ. რას გვეუბნება ყოველივე ეს მასტერნარატივის შესახებ? თუ ამ პასუხებს მეორე მხრიდან შევხედავთ და ე. წ. დევიაციის მიღმა გავიხედავთ, მედლის მეორე მხარეს ანუ იმას დავინახავთ, თუ რა იყო მიღებული იმ საზოგადოებაში, რომელშიც აღნიშნულ ქცევებსა და ფაქტებს თავად მათი ავტორებიც განსხვავებულად აღიქვამდნენ. მაგალითად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გოგონებისგან გრძელი, ხოლო ვაჟებისთვის მოკლე თმის ტარებას მოითხოვდნენ; ოჯახი ტრადიციებისა და წესების დაცვით უნდა შექმნილიყო („შეთანხმების და სტანდარტული პროცედურების გარეშე გავთხოვდი. ეს იყო ჩემი ოჯახისთვის უდიდესი ტრაგედია,“ ქალი, 34) და ინიციატივა ამ საქმეში მამაკაცს უნდა აელო და არა ქალს და, ასევე, ის, რომ ქალს სქესობრივი ცხოვრება ქორწინების შემდეგ უნდა დაეწყო და არა – მანამდე.

სხვადასხვა ტიპის მასტერნარატივის გამოსავლენად და საკვლევად შეგვიძლია მრავალგზის მოვუსმინოთ კვლევის მონაწილეებს (და, ზოგადად, ადამიანებს) და/ან წავიკითხოთ ინტერვიუების ტრანსკრიპტები. ეს პროცესი სპირალზე უკუმოდრაობას შეგვიძლია შევადაროთ, როდესაც ყოველ შემდგომ მოსმენას ან/და წაკითხვას უფრო ღრმა და ზოგად დონეზე გადავყავართ. თუმცა, მასტერნარატივის დანახვის მიზნით, ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიის შესწავლის პროცესის აღსაწერად მეტაფორულად არქეოლოგიურ კვლევაში ნიადაგის ფენა-ფენა აცლის, ამრევეების მეტაფორა უფრო გამოსადეგია. აქვე უნდა ითქვას, რომ ნარატივის გამოცდილი მკვლევარი ამ „შრეებს“ ერთდროულად ანუ ერთი წაკითხვისას შეიძლება ხედავდეს, თუმცა, როდესაც წაკითხულის გააზრებასა და ინტერპრეტაციაზე მიდგება საქმე, მაინც ისე ნაბიჯ-ნაბიჯ უნევს ამ პროცესის გავლა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. ამასთან, იმას, თუ რომელ ნაბიჯზე შეჩერდება და დაასრულებს მუშაობას, მისი კვლევის კითხვა, კონკრეტული მიზანი და ამოცანები (ანუ ანალიზის რა დონეზე მუშაობს ანუ რა არის მისი ანალიზის ერთეული) განაპირობებს.

(პირველი შრე) ცხოვრების ნარატივის პირველი წაკითხვისას ვამჩნევთ და ვხედავთ იმ კონკრეტულ ისტორიებს, რომელსაც მთხრობელი დასმული კითხვების საპასუხოდ ჰყვება: იგი კონკრეტულ დროს, ადგილს, ადამიანებს, მოქმედებებს, აზრებსა და ემოციებს აღწერს; მოგვითხრობს ამბავს თავისი დასაწყისით, განვითარებითა და დასასრულით. თუ კვლევის მონაწილე ენაწყლიანი და რეფლექსიური აღმოჩნდა, ნარატივის მისეული ინტერპრეტაციისა და მის პირად ნარატიულ იდენტობაში ამ ამბის ადგილის ანუ მისი თვითგანმსაზღვრელი როლის (McLean & Pasupathi, 2011) შესახებაც შევიტყობთ.

(მეორე შრე) მეორე და ყოველი შემდგომი წაკითხვა შრეებად ანანევრებს და შლის მონათხრობს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, სათითაოდ შეიძლება აეცალოს ამბავს თითო ფენა და უფრო ღრმად და ფართოდ გავიხედოთ მის მიღმა. მეორე წაკითხვისას უკვე პატერნების დანახვა უნდა შევძლოთ: რას გვეუბნება პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. ამბავი ერთი ადამიანის ცხოვრებიდან? რას ჰყვება (თემა) (გოგინიაშვილი და სხვ., 2016; ჯანანაშვილი და სხვ., 2018; McAdams, 2013), როგორ ჰყვება (სტრუქტურა) (ხეჩუაშვილი, 2016c; McAdams, 2013), რამდენად დეტალიზებულია მისი ნარატივი (სპეციფიკურობა) (Blagov & Singer, 2004), რა მოტივები ამოძრავებს მას (აგენტობა/ურთიერთკავშირი) (McAdams, 1988) და საით მიდის (საზრისის ძიება და პოვნა) (Lilgendahl & McAdams, 2011). ვამჩნევთ იმასაც, რამდენად გააზრებული აქვს მთხრობელს ის, რასაც ჰყვება. პირველად ჰყვება თუ ბევრჯერ აქვს მოთხრობილი. თუ ეს პირველი თხრობა არ არის, სავარაუდოდ, უკეთ ექნება გააზრებული (Lilgendahl, McLean, Mansfield, 2013) და ნაფიქრი. ვინცებთ იმის დანახვას, რამდენად ცენტრალურია ან არ არის

ეს ამბავი მისი იდენტობისთვის (McAdams, 2009). რას ცვლის და რას ტოვებს უცვლელად ყოველი შემდგომი მოყოლისას (Josselson, 2009). ერთი სიტყვით, ვხედავთ და ვარჩევთ თხრობის პატერნს.

(მესამე შრე) მესამე წაკითხვით კიდევ უფრო შორს მივდივართ, და არა მხოლოდ ცალკეულ ამბებს და ამბების გამაერთიანებელ პატერნს ვხედავთ, იმ ხატების ამოცნობასაც ვინცებთ ნარატივში, რომელიც ჩვენთვისაც ჩვეულია და ბევრი სხვა ნარატორისთვისაც. ვინცებთ კულტურაში გავრცელებული, პოპულარული და მონონებული/მისაღები ხატების, ქცევებისა თუ ღირებულებების ამოცნობას. ამ ეტაპზე უკვე გავდივართ ინტრაინდივიდუალური სივრციდან და ინტერინდივიდუალურ, ჯგუფურ/სოციალურ სივრცეში გადავდივართ. ასე გავდივართ კულტურაში, რომელიც ჩვენს ამბავს იმ სქემებით, ხატებით, მიმართულებით და ჩონჩხით ასაზრდოებს, რომელზეც ვაგებთ ჩვენს, ერთი შეხედვით, უნიკალურ ისტორიას. ცხადია, ისტორია ნამდვილად უნიკალურია ისევე, როგორც არ არსებობს ორი იდენტური ინდივიდი (Allport, 1937), მაგრამ მაქსიმალური უნიკალობის ფონზეც კი ვერ გავცდებით იმ კულტურის ჩარჩოს, რომელშიც დავიბადეთ, გავიზარდეთ და ჩვენდა უნებურად ავითვისეთ ამბის თხრობის ხელოვნება.

სწორედ აქ ვადგებით პირადისა და კულტურულის ურთიერთქმედების საკითხს. სწორედ ესაა ის შრე, როცა ვხვდებით, რომ არ არსებობს განყენებული „მე“ და რომ ნებისმიერ ასეთ „მე“-ს კონკრეტული „ჩვენ“ უდგას უკან და უდევს საფუძვლად. ეს „ჩვენ“ არის ჩვენს კულტურაში დომინირებული ღირებულებები, ქცევის ნორმები, ტრადიციები, ადათ-წესები, „კარგი-ცუდი“-ის კატეგორიები და მისაღები პროტოტიპული ცხოვრების გზა (ბიოგრაფიული მასტერნარატივი); ასევე, ეს „ჩვენ“ არის ის მასშტაბური და დიდი ამბები, რომლებიც თითოეული „მე“-ს მაკროკონტექსტში ანუ კულტურაში თუ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში ხდება დროთა განმავლობაში (ეპიზოდური მასტერნარატივები). ეს ის განზომილებაა, რომელიც ბევრ, ერთად შეკრებილ „მე“-ში საერთოს დაგვანახებს და ამ ინდივიდუალურ „მე“-ებს ჯგუფად ანუ „ჩვენ“-ად აქცევს. ეს არის ის, რასაც ნარატივის მკვლევრების ნაწილი კულტურულ სკრიპტს (Berntsen & Rubin, 2004) უწოდებს, ნაწილი – ცხოვრების გზას (Bruner, 2004), მაკლინისა და სიდის (2016) მოდელში კი მასტერნარატივი ჰქვია. ფაქტობრივად, მასტერნარატივის ზემოთ განხილული, ახლახან შემოთავაზებული მოდელი, ყველაფერ ამას აერთიანებს და დეტალურად აღწერს კიდევ.

ასე რომ, ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების ისტორიის ნარატივის „აშრევებით“ და გულდასმით მოსმენით/წაკითხვით, მთელი კულტურა შეგვიძლია დავინახოთ მასში. როგორც თანხმდებიან მკვლევართა საკმაოდ ფართო წრეში (მაგალითად, იხ. Gregg, 2007; Hammack & Pilecki, 2012; McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, 2015; McLean, Shucard, & Syed, 2017) თითოეული ჩვენგანის სელფი (Self)), თითოეული ჩვენგანის იდენტობა ხომ ფსიქოსოციალუ-

რი კონსტრუქცია (McAdams, 2009), რომლის ფორმირებაშიც თითქმის თანაბრად მონაწილეობს ადამიანიც და მასში ჩაჯონილი კულტურაც (Hammack, 2008, Hammack & Pilecki, 2012). აქედან გამომდინარე, კულტურისა და ამ შემთხვევაში მასტერნარატივის შესწავლის ერთ-ერთი გზა ცალკეული ადამიანების ცხოვრების ისტორიების მოსმენა და გაანალიზებაა.

3.7. ნარატიული კვლევის ეტიკა

აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა კვლევის ეტიკის შესახებ. ნარატიული მონაცემები უნიკალურ ეთიკურ საკითხებს სვამენ მკვლევრების წინაშე. პირველ ყოვლისა, პერსონალური ნარატივების გადმოცემა, როგორც წესი, ემოციური გამოცდილებაა, განსაკუთრებით, კონკრეტული ტიპის მოვლენების (მაგალითად, უარყოფითი მომენტების, ტრავმების, ტრანსგრესიების) შემთხვევაში. ამიტომ ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ინფორმირებული თანხმობის ფორმის შემუშავების, მონაცემების შეგროვებისა და დებრიფინგის პროცედურების დაგეგმვისას. მეორე: ნარატივების გაანონიმურება შეუძლებელია ისე, როგორც — სხვა ტიპის მონაცემების შემთხვევაში. ეს საკითხები კვლევის მონაწილეებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებისას უნდა მოვავგაროთ (უნდა ავუხსნათ, როგორ გამოვიყენებთ მათ მონაცემებს), კოდირების შემსრულებელთა ტრენინგით (უნდა დავეუნესოთ პროფესიონალიზმის სტანდარტი და ვასწავლოთ, რომ მონაცემებს პატივისცემით მოუპყრონ), მონაცემების გამოყენების წესების შემოღებით (მონაცემებზე წვდომის შესახებ მკაფიო გზამკვლევისა და რეგულაციების დანერგვით) და შემდეგების წარდგენის ფორმით (კონკრეტული ინდივიდების იდენტობის შენიღბვის მცდელობით იმის ფონზე, რომ ავთენტურმა ხმებმა მაინც შეძლონ ზოგადი, ფართო ტენდენციების ილუსტრირება). უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ნარატიული კვლევისას ეთიკური საკითხები სერიოზულ გამოწვევაა, მონაცემთა გაზიარების თვალსაზრისით.

3.7.1. ფორმალური ინფორმირებული თანხმობა

საველე სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია კვლევის მონაწილის ფორმალური თანხმობის ფორმის მომზადება. ასეთი ფორმალობით რესპონდენტთან ურთიერთობის დაწყება არც თუ ისე კარგია, მაგრამ ეს აუცილებლად გასავლელი ეტაპია. ამიტომ, უნდა შევეცადოთ, რომ მაქსიმალურად შევარბილოთ სიტუაციის ფორმალურობა, ერთდროულად „დავმორდეთ“ მას და, ამასთანავე, მაქსიმალურად „მივუახლოვდეთ“. ამ დროს ჩვენთვის კომფორტული სიტყვები შეგვიძლია გამოვიყენოთ. რესპონდენტს, დაახლოებით, ასეთ რამეს ვეუბნებით:

სანამ რაიმეს დავინწყებდეთ, ერთი ფორმალური საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი. როგორც მოგეხსენებათ, კვლევის ჩატარებამდე აუცილებლად გვთხოვენ კვლევის მონაწილეებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას. ამიტომ,

ვალდებული ვარ, გაგაცნოთ ეს ფორმა და ხელიც მოგანერინოთ. აქ ბევრი რამე წერია, მაგრამ ძირითადი აზრი ისაა, რომ თანახმა ხართ კვლევაში/ინტერვიუში მონაწილეობაზე; გესმით, რომ, რასაც მეტყვით, კონფიდენციალური დარჩება, და რასაც დავწერ ამ საუბრის მასალაზე დაყრდნობით, არ მოვიხსენიებ თქვენს სახელს, რაიმე ისეთ ნიშანს, რომლითაც ვინმემ შეიძლება ამოგიცნოთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემთან საუბარი ნებისმიერ მომენტში შეგიძლიათ შეწყვიტოთ და კვლევაში მონაწილეობაზე უარი თქვათ.

ამის შემდეგ კვლევის მონაწილე ნახულობს ფორმას და ხელს აწერს (იხ. **დანართი N2. კვლევის მონაწილის ინფორმირებული თანხმობის ფორმის ნიმუში**). ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელიც მონაწილეს ამ ფორმასთან დაკავშირებით შეიძლება გაუჩნდეს, და უნდა დარწმუნდეთ, რომ მას კარგად ესმის ძირითადი საკითხები. ხელმოწერის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ: „კარგი, ახლა კი ინტერვიუ დავიწყოთ.“ ამით, იმედია, მივანიშნებთ რესპონდენტს, რომ ჩვენი ურთიერთობის ნაკლებად ფორმალურ და უფრო სპონტანურ ნაწილზე გადავდივართ.

3.7.2. კვლევის ეთიკა და ინტერპრეტაციები

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული კვლევით ვარ დაკავებული, ადამიანურ ურთიერთობებში ვერთვები და მსურს, რომ კვლევის მონაწილეებს ღირებულების განცდა ჰქონდეთ. და მაინც, ნარატიული კვლევის ეთიკა, ზოგადად, ზიანის კონტროლის, ზიანის არმიყენების ტერმინებით ოპერირებს და არა – ლაპარაკისა და ყურადღებიანი, მიმღები მეორე ადამიანის მიერ მოსმენის შესაძლებლობის ეთიკური ღირებულებისა.

როდესაც ყურადღებით ვუსმენთ ადამიანებს, ისინი „იხსენებან“ და საკუთარი ცხოვრების უაღრესად პირადულ ასპექტებზე საუბრობენ; სავარაუდოდ, ისეთ რამეებს მოყვებიან, რაც მანამდე არავისთვის უთქვამთ. შესაბამისად, როგორც მკვლევარს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრება, რომ ყველაფერი ისე მივიღოთ, როგორც გვითხრეს, და არაფერი შევცვალოთ. კვლევის მონაწილეებმა შეიძლება ახალი მნიშვნელობა მიანიჭონ საკუთარ გამოცდილებას, უკეთ გაერკვნენ საკუთარ თავში, მაგრამ ჩვენ არ უნდა შევთავაზოთ მათ საკუთარი ინტერპრეტაციები, თუმცა, შესაძლოა, ამის დიდი ცდუნება გავგიჩნდეს, განსაკუთრებით ინტერვიუს დასასრულს, როდესაც მათთან დამშვიდობებას ვცდილობთ. მაგალითად, კვლევის მონაწილემ შეიძლება იკითხოვს: „აბა, რას ფიქრობთ, ნორმალური ვარ?“

ეს ცუდად ფორმულირებული კითხვაა და, მართლაც, ბევრნაირად, სხვადასხვა სიტყვით შეიძლება შეინიღბოს. და მაინც, ეს ერთ-ერთი ძირითადი კითხვაა, რომელსაც კვლევის მონაწილე სვამს ინტერვიუს დასასრულს. მან ახლახან ძალიან პირადული ამბები გაგვანდო და ის შეიძლება წუხდეს იმის გამო, რომ რა-

ლაც უნიკალური და უცნაური სჭირს. ამ დროს ჩვენმა პასუხმა ნორმალიზება უნდა მოახდინოს და, ფაქტობრივად, უნდა ვუთხრათ მას: „მსგავსი გამოცდილება სხვასაც ჰქონია. თქვენ ერთადერთი არა ხართ. ეს ახასიათებს ადამიანებს — თქვენც და მეც“. უფრო კონკრეტულად, დაახლოებით, ასეთ რამეს ვეუბნებით:

კარგი, მართლა არ ვიცი, რა არის „ნორმალური“, მაგრამ ნამდვილად შემიძლია თქვენი გამოცდილების გაგება და ვიცი, სხვებსაც ჰქონიათ ასეთი რეაქციები ასეთ ცხოვრებისეულ ამბებზე და ბევრი საერთო დავინახე მათსა და თქვენს შორის. ძალიან მომხვდა გულზე თქვენი ნაამბობი და იმედი მაქვს, სხვებისთვისაც რამენაირად სასარგებლო იქნება ის, რაც მომიყვით.

ინტერვიუებისას დიდია ცდუნება, რომ კვლევის მონაწილეს საკუთარი ინსაიტები და მოსაზრებები გავუზიაროთ, რომლებიც ამბის თხრობის პარალელურად გვიჩნდება და რომლებსაც იგი თავად ვერ ამჩნევს. აი, მაგალითად (Josselson, 2013):

რესპონდენტი: [თავის მასწავლებელზე საუბრობს, რომელთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა] ის ბრწყინვალე მამაკაცი იყო, ბევრი ნიგნი ჰქონდა დაწერილი და ნათელი გონება ჰქონდა და მართლა ვცდილობდი, ახლოს ვყოფილიყავი მასთან და შემეყვარდა და ...

ინტერვიუერი: როგორც ჩანს, ის მამას გაგონებდათ.

ეს ინტერპრეტაცია, შესაძლოა, სრულიად მართებული იყოს, მაგრამ დაუსაბუთებელია. მეტიც, ეს არაეთიკური პასუხია. ამგვარი ინსაიტები ანალიზის ფაზისთვის უნდა შემოვიწინოთ, როცა დარწმუნებული ვიქნებით, რომ შეგვიძლიათ მათი დოკუმენტირება ინტერვიუს ტრანსკრიპტის ტექსტიდან, თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ თავად მთხრობელსაც გავუზიაროთ. ეს მისი ცხოვრების ინტერპრეტაციას მოახდენს და ყოველგვარ საზღვარს სცილდება, განურჩევლად იმისა, რამდენად ჭკვიანურია ჩვენი ინტერპრეტაცია. ნარატიული კვლევისას მიზანია, დაწვრილებით აღწეროთ და გავიგოთ, როგორ ესმის და ხედავს რესპონდენტი საკუთარ თავს. ემპათიურ მოდუსში დარჩენა დაგვიცავს ასეთი ინტერპრეტაციების მიმართულებით სვლისგან.

3.7.3. ნარატიული კვლევა და ფსიქოთერაპია

ნარატივის ზოგიერთი მკვლევარი თერაპევტიც არის, მაგრამ ეს ორი როლი მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან. ფსიქოთერაპიაში პაციენტი/კლიენტი მიდის თერაპევტთან დახმარების მისაღებად, კვლევისას კი, პირიქით, მკვლევარი მიდის კვლევის მონაწილესთან. ეს არსებითი განსხვავებაა, და როგორც მკვლევრები, ცნობიერად უნდა ვმიჯნავდეთ მათ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ, თუ ინტერვიუს მსვლელობისას პიროვნების სენსიტიური ან მტკივნეული მხარეები აშკარავდება, რესპონდენტს იმის სურვილი და მოლოდინი უჩნდება, გარკვეულად

ჩვენ ჩავერიოთ და დავეხმაროთ. ამ დროს ეთიკურად ჩაითვლება ადამიანური რეაქცია, მაგრამ თერაპიული პასუხის გაცემა ეთიკურად საეჭვო იქნება. თუ კვლევის მონაწილე დაბეჯითებით ითხოვს თერაპიულ რეაგირებას, ინტერვიუს დასასრულს შეგვიძლია ვკითხოთ მას, ხომ არ უფიქრია, თერაპიისთვის მიემართა. ასევე, შეგვიძლია დავამატოთ: „არა, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, როგორც ვხედავ, თქვენს ცხოვრებაში არის თემები და საკითხები, რომლებზეც მეტი საუბარი გასურთ, რომლების უკეთ გარკვევაც გინდათ“.

3.7.4. დამშვიდობება

ნარატიული კვლევის ინტერვიუს სიტუაცია, როგორც წესი, ძალზე ინტიმურია, და ამას ჩვენც ვგრძნობთ და რესპონდენტიც. ამიტომ დამშვიდობება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. ინტერვიუს დასრულება იმას არ ნიშნავს, რომ აკრძალული აღარ არის კარგი ან ცუდი შეფასების გაკეთება, მაგრამ, როგორც ინტერვიუერს, შეგვიძლია იმაზე ვისაუბროთ, როგორ შეგვძრა ან რაღაც ახალი გვასწავლა კვლევის მონაწილის ცხოვრების ისტორიამ, როგორ დავასევედიანა მისმა გამოცდილებამ. ამასთან, ყოველთვის უნდა გამოვხატოთ მადლიერება მისი გულწრფელობისგამო. დამშვიდობებამდე შეგვიძლია რესპონდენტს შევთავაზოთ, დაგვისვას ნებისმიერი კითხვა, რაც აინტერესებს, და უნდა შევეცადოთ, მაქსიმალურად გულწრფელად ვუპასუხოთ. არც ინტერვიუს შესახებ რეფლექსია უნდა დაგვაინყდეს: „როგორ გრძნობდით თავს, როცა ასე მესაუბრებოდით?“ ეს კითხვა ზოგჯერ იმ ფარულ დისკომფორტს გამოავლენს ხოლმე, რომელსაც მათ ინტერვიუერის შესაძლო შეფასებები შეიძლება უჩენდეს.

როგორც მკვლევრები, ვალდებულები ვართ, თითოეულ რესპონდენტს ადამიანური სიტყვებით დავემშვიდობოთ. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ინტერვიუ საკუთარ თავზე მცირე საუბრით დავასრულოთ, თუ ეს რესპონდენტს უფრო თანასწორად ან ნაკლებად „სცენაზე გამოჭენებულად“ აგრძნობინებს თავს. ამ ბოლო ეტაპზე რაღაც ადამიანური და გულწრფელი უნდა ვთქვათ იმის შესახებ, თვითონ რამხელა გამოცდილება შეგვძინა მათთან ინტერვიუმ, მაგრამ აუცილებლად ხაზგასმით უნდა გამოვკვეთოთ ჩვენი, როგორც მკვლევრის, როლი: „ვაფასებ თქვენს გულწრფელობას და მზაობას, ჩემთვის გაგვიხიარებინათ თქვენი გამოცდილება. ვგრძნობ, რომ ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან, რაც ჩემს საქმეში დამეხმარება.“ თუ განსაკუთრებულად აგვიჩუყა გული ინტერვიუმ, ამის პირდაპირ თქმაც შეგვიძლია. არციმის დამატებაა პრობლემა, რომ ეს რესპონდენტი დაგვამახსოვრდება. აი, ამ დროს ნამდვილად შეგვიძლია გულწრფელი და გულთადი საუბარი.

ზოგჯერ კვლევის მონაწილეს ურთიერთობის გაგრძელება სურს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტოსულ ან მონყვლად ადამიანებთან ვმუშაობთ: ინტერვიუს კონტექსტში გამოვლენილი განსაკუთრებული ყურადღება იმდენად სასიამოვნო და შვების მომგვრელია, რომ რესპონდენტს სურს მისი შენარჩუნება (Booth, 1999). ასეთ სიტუაციებში კიდევ ერთხელ რბილად, მაგრამ ცხადად, უნდა შევახსენოთ ჩვენი, როგორც მკვლევრის, როლი; უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული მონაწილისთვის სათანადო დროა გამოყოფილი. როდესაც ასეთ რესპონდენტს რამდენჯერმე ვხვდებით, უმჯობესია, ეს ერთსა და იმავე გარემოში გავაკეთოთ. როდესაც მათ რამდენჯერმე ვიბარებთ, უფრო მოსალოდნელია, რომ განგრძობითი ურთიერთობის ილუზია გავუჩინოთ.

ეთიკური, კარგად სტრუქტურირებული კვლევითი ურთიერთობა, რომლის მონაწილეს კითხვაზე პასუხის გაცემითაა დაკავებული და მას იმავე ტალღაზე მყოფი მსმენელი ჰყავს, ისეთი ინტერვიუს პლატფორმას ქმნის, რომელიც მართლაც ახალ ცოდნას შემატებს კვლევას.

ავტორი – მე, შენ, სხვები

სამყარო ამბებისგან შედგება და არა
ატომებისგან
(Rukeyser, 1968).

დაახლოებით, 300 წლის წინ დასავლეთ ევროპაში ახალი ლიტერატურული ფორმა გაჩნდა, რომელსაც *რომანი* უწოდეს (McAdams, 2015). რომანი ვრცელი პროზაული ნაწარმოებია, რომლის ავტორიც გარკვეული თანმიმდევრობით განვითარებული მოვლენების თხრობასთან ერთად ამ მოვლენებში მონაწილე, გარკვეულ დროსა და ადგილზე მცხოვრები ადამიანების გრძნობების, აზრების, სურვილებისა და ქცევების შესახებ გვიამბობს. რომანში, როგორც წესი, სუბიექტური ადამიანური გამოცდილება გასაოცარი სიღრმითა და ავთენტურობით გადმოიცემა. მეტიც, თანამედროვე რომანი იმის ასახვას ესწრაფვის, რასაც უილიამ ჯემსი (1890) ადამიანის ცნობიერების დროში განფენილ ნაკადს უწოდებს. თანამედროვე ნოველისტს აინტერესებს, როგორ ახერხებენ ადამიანები თვითცნობიერების შენარჩუნებას დროთა განმავლობაში, საკუთარი სოციალური ქმედებების მნიშვნელობის შექმნასა და მათი საზრისის წვდომას; როგორ იცვლებიან, ვითარდებიან და ურთიერთქმედებენ ეს მნიშვნელობები ადამიანის ცხოვრების შემადგენელი მომენტების, ეპიზოდების, თავებისა და ეპოქების უწყვეტ მიმდევრობაში.

ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ რომანის განვითარების პარალელურად შეიცვალა თანამედროვე ადამიანების მიერ საკუთარი თავის ხედვისა და გააზრებისადმი მიდგომა, და ეს მხატვრულ ნაწარმოებებშიც კარგად ჩანს (Taylor, 1989). ინდუსტრიულმა რევოლუციამ, დემოკრატიის გავრცელებამ, მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა, თავისუფალი ბაზრისა და კაპიტალიზმის პროლიფერაციამ, მზარდმა ურბანიზაციამ და გლობალიზაციამ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ და სოციალურმა და კულტურულმა განვითარებამ ბოლო ორიოდე საუკუნის განმავლობაში *სელფის (Self) თანამედროვე შეგრძნების* აღმოცენება მოიტანა (McAdams, 2015). თანამედროვე ადამიანი საკუთარ თავს მრავალშრიან, კომპლექსურ არსებად აღიქვამს, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება და თავად არის პასუხისმგებელი ამ განვითარებაზე. მისთვის საკუთარი თავი და ცხოვრება პროექტია, რომელზეც თავადვე უნდა იმუშაოს; უნდა იკვლიოს, განავითაროს, განახორციელოს, გააკონტროლოს, დაარეგულიროს, გააუმჯობესოს და გაერკვეს მის ბუნებაში. მეტიც, არსებული რეალობა თანამედროვე ადამიანისაგან მრავალგვარი როლის შესრულებას, სხვადასხვაგვარი მიზნისკენ სწრაფვასა და სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში უამრავ განსხვავებულ ადამიანთან ურთიერთობას მოითხოვს. ასე რომ, თანამედროვე ადამიანად ყოფნა

მრავალგვარ სიტუაციაში ბევრ რამედ ყოფნას და, ამასთანავე, ინტეგრირებულ, მთლიან პიროვნებად დარჩენას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, იდენტობის საკითხი განსაკუთრებით მძაფრად დგას თანამედროვე ადამიანის წინაშე, და ერიკსონისეული შეკითხვა – „ვინ ვარ მე?“ განსაკუთრებულ ელფერს იძენს.

ერთ-ერთი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: *შენ ხარ რომანი*. შენ ხარ მოთხრობილი ამბავი და მისი მთავარი პერსონაჟი. შენ, როგორც სოციალური აქტორი (McAdams, 2013), ამ ნარატივში ბევრ სხვადასხვა როლს ასრულებ და სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში სხვადასხვა პიროვნულ ნიშანს ავლენ. როგორც მოტივირებული აგენტი, დროთა განმავლობაში ნელ-ნელა მიიწევ შენი მიზნებისაკენ და ამ დროს ღირებულებები, მოტივები და აუცილებლობა გამოძრავებს, იცვლები და თან რალაცნაირად იგივე რჩები დროში განფენილი ცნობიერების გზაზე. რომანიც შენ ხარ და ავტორიც, იმ ამბით ცხოვრობ, რომელსაც თავადვე წერ ცხოვრების პროცესში.

თანამედროვე საზოგადოებებში მცხოვრები ბევრი ადამიანი მოზარდობის წლებიდან, როგორც მაკადამსი (2013) უწოდებს, საკუთარი თავის შესახებ ამბის მთხრობლად ანუ *ავტობიოგრაფიულ ავტორად* ჩამოყალიბებას იწყებს (იხ. **სურათი N 1.1**). თანამედროვე ეპოქაში საკუთარი იდენტობის გარკვევის სირთულეების შესახებ გიდენსი (1991) წერს: „პიროვნების იდენტობა არც მის ქცევაში უნდა ვეძებოთ და არც სხვების ქცევაზე მის რეაქციებში. იდენტობა უნდა ვეძიოთ მის უნარში, *მუდმივად მოგვითხრობდეს კონკრეტულ ამბავს*“ (გვ. 54, ავტორის კურსივი).

ამ ნაწილში სწორედ ამ ამბების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. ჩვენ გვინტერესებს, როგორ, როდის და რატომ ვინწყებთ ადამიანები საკუთარი თავის შესახებ თხრობას (**თავი 4**); როგორ ვახერხებთ, თან მუდმივად ცვალებად გარემოში გავიზარდოთ, განვვითარდეთ და შევიცვალოთ კიდევ ტრანსფორმაციული გამოცდილებების შემდეგ, თან უწყვეტობისა და უცვლელობის განცდაც შევინარჩუნოთ (**თავი 5** და **6**).

4. ამბები, რომლებითაც ვცხოვრობთ

იმისათვის, რომ ვიცხოვროთ, საკუთარ თავს ამბებს ვუყვებით (Didion, 1979).

ამბები, რომლებსაც ვყვებით, უნივერსალურია, თუმცა მაინც *რა არის ამბავი?* მე რომ გითხრათ: „ორს მივუმატოთ ორი ოთხია“ ან ფსიქონალიზური თერაპიის ძირითადი ტექნიკები აღგინეროთ, შემიძლია ვამტკიცო, რომ ამბავს გიყვებით? შიდაწვის ძრავის მუშაობის პრინციპი რომ ავიხსნათ? დარწმუნებული ვარ, ადვილად შევთანხმდებით, რომ ეს არ არის ამბები. აქ ისევ ბრუნერს (1986) უნდა მივუბრუნდეთ და გავიხსენოთ, რომ ადამიანის აზროვნების ამგვარ ფორმას იგი *პარადიგმულ* გამოხატულებას უწოდებდა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პარადიგმული მსჯელობა *ჭეშმარიტების* გამოვლინებას ესწრაფვის, რასაც ვერ ვიტყვით ამბების შესახებ.

ამბები სულ სხვა ამბავია და ამბებით ოპერირებას, როგორც ვიცით, ბრუნერი (1986) ადამიანის აზრის განვითარების *ნარატიულ* მეთოდს უწოდებს, როდესაც ადამიანები მიზანმიმართული აგენტების მოქმედებებისა და მიზნების შესახებ მოგვითხრობენ. ადამიანები ნარატიულ მეთოდს, უმეტესწილად, იმის ასახსნელად მიმართავენ, თუ რატომ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ. თუ აფხაზეთის ომის დაწყების მიზეზების გაანალიზება მსურს, პარადიგმულ მსჯელობას უნდა მივმართო, მაგრამ თუ იმის ახსნას მოვისურვებ, რატომ ჩავაბარე ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ, ნარატიული მსჯელობა უნდა ვამჯობინო და ჩემი ამბავი მოგიყვებ. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამბები, ფაქტობრივად, მოტივაციას ეხება და მიზანმიმართული აგენტის შესახებ მოგვითხრობენ, რომელიც დროთა განმავლობაში დასახული მიზნებისაკენ ისწრაფვის (Bruner, 1986). ამიტომ, თუ ადამიანის გაცნობა და გაგება გვსურს, მისი ამბავი უნდა მოვისმინოთ.

აქ ორი მნიშვნელოვანი საკითხია ამბებისა და თხრობის შესახებ: პირველი, როდესაც ადამიანი საკუთარ ამბავს გვიყვება, მხოლოდ საკუთარ ამბავს არ გვიყვება. მის ამბავში სხვა ადამიანების ამბებიც არის ინტეგრირებული და კულტურულად მისაღები თუ მოთხოვნილი ამბებიც. შესაბამისად, იგი გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად საკუთარი ნარატივის აგებისას ბევრ რამეს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ის გარკვეულ მოსაზრებებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით ირჩევს კონკრეტულ ამბებს და შეგნებულად არაფერს ამბობს დანარჩენებზე, ანუ მიზანმიმართულად აგებს საკუთარ ნარატიულ იდენტობას თხრობის მიზნების, კონტექსტისა და მსმენელის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე,

კონკრეტული ადამიანის ამბის გასაგებად, ერთი მხრივ, მისი, როგორც ქვეით მაკლინი (2016) უნოდებს, ნარატიული ეკოლოგია უნდა ვიცოდეთ და, მეორე მხრივ, თვალის უნდა გავადევნოთ მისი პერსონალური ნარატივის ანუ ნარატიული იდენტობის (McAdams, 1993, 2015) ფორმირების პროცესსა და დინამიკას, დროის მოცემულ მომენტში კი მონოდებული ნარატივის თავისებურებებითაც დავინტერესდეთ.


შესაბამისად, ამ თავში ჯერ ნარატიული ეკოლოგიის შესახებ ვისაუბრებთ, შემდეგ ნარატიული იდენტობის ფორმირების პროცესს გავადევნებთ თვალს, ბოლოს კი ნარატივის ძირითად მახასიათებლებსაც მიმოვიხილავთ.

4.1. ნარატიული ეკოლოგია

სოციალურ მეცნიერებაში ეკოლოგიის მეტაფორის შემოტანა არახალია (მაგალითად, იხ. Bronfenbrenner, 1977; 1994). ბრონფენბრენერი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი პიროვნების განვითარების შესასწავლად მხოლოდ ამ პიროვნებას კი არ უნდა მივაპყროთ ყურადღება, არამედ მის ირგვლივ არსებული სიტუაციით, ვითარებითა და ადამიანებითაც დავინტერესდეთ. სოციალური ეკოლოგიის ანალოგიურად, ანდრეა ბრინი და ქვეით მაკლინი (2017) თვლიან, რომ ინდივიდს ამბების ეკოლოგია აყალიბებს, რადგან იგი სელფის (Self) ნარატიული ეკოლოგიის კონტექსტში ვითარდება (McLean, & Breen, 2015). მარტივად რომ ვთქვათ, ნარატიული ეკოლოგია იმ ამბების ერთიანობაა, რომლებზეც ხელი მიუწვდება პიროვნებას განვითარების პროცესში. ეს ის ამბებია, რომლებიც თითოეული პიროვნების კონკრეტულ ნარატიულ ლანდშაფტს ქმნის.

ნარატიული ეკოლოგიის ბაზისური დონე და ცენტრი ინდივიდის პერსონალური ამბებისგან შედგება (McLean, 2016) (სურათი N 4.1). უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვითგანმსაზღვრელი მოგონებები, გარდამტეხი მოვლენების შესახებ მოგონებები, პიკური და ნეგატიური გამოცდილება. ცხადია, ჩვენი საკუთარი ამბები ანუ ამბები, რომლებშიც იმის შესახებ ვყვებით, რაც პირადად გაგვიკეთებია ანდა თავს გადაგვხდენია, უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ისევე ჩემს ერთ-ერთ საყრდენ დებულებას მივუბრუნდები: ჩვენი ამბები მხოლოდ ჩვენი ამბები არ არის და ჩვენი ამბები სრული ამბის მხოლოდ ნაწილია.

ნარატიული ეკოლოგია, ჩვენი პირადი გამოცდილებების გარდა, ჩვენი მეგობრების,



სურათი N 4.1. სელფის (Self) ნარატიული ეკოლოგია

რომანტიკული პარტნიორებისა და მასწავლებლების ამბებით არის გაჟღენთილი. მაგალითად, როდესაც კვლევის მონაწილეებს საკუთარი ცხოვრებიდან სიბრძნის შემცველი მოვლენის შესახებ ვეკითხები (იხ. **დანართი N1. ინტერვიუს ოქმი**), ისინი ხშირად სხვისი ამბის მოყოლას ამჯობინებენ, ვიდრე საკუთარისას, და ეს ამბავი იმდენად არის ხოლმე მათი, რამდენადაც სხვის ამბავში საკუთარ როლზე საუბრობენ; ანდა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ თხრობისას ანალოგიისთვის, ილუსტრაციისა და არგუმენტირებისათვის სხვების (მშობლების, მეგობრებისა თუ ახლობლების) ამბებსაც რთავენ. სხვების ამბებზე საუბრისას არ უნდა დაგვაავიწყდეს ოჯახური ამბები. ეს შეიძლება იყოს ამბები, რომელთაც ოჯახის წევრები ჩვენს შესახებ ყვებიან („გახსოვს, ექვსი წლის რომ იყავი და საბავშვო ბაღის მასწავლებელმა რომ მითხრა, ეს ბავშვი ან დაგლუპავთ ან აგაშენებთ?“ „ერთი წლის იყავი, მაგიდაზე რომ დაგაყენეთ და ლექსი გათქმევინეთ“), ანდა ოჯახის წევრების მიერ მოთხრობილი საკუთარი ამბები (მაგალითად, ამბავი იმაზე, თუ სტუდენტობის დროს ობსერვატორიაში პრაქტიკაზე მყოფმა დედამ ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად როგორ მონია ერთდროულად სამი ღერი სიგარეტი კოლოების დასაფრთხობად და გული წაუვიდა; ან მამას ამბავი, როდესაც ჯარში პირველად გასინჯა სიგარეტი და მყარად გადაწყვიტა, რომ არაფერში სჭირდებოდა მოწვევის ჩვევა). ასეთი მონათხრობები, ბავშვობიდან მოყოლებული, შეუმჩნეველად, ჩვენდაუნებურად ღრმად იდგამენ ფესვებს ჩვენს ცნობიერებაში და მოზრდილობაში ჩვენი იდენტობის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან.

დაბოლოს, ნარატიული ეკოლოგია გულისხმობს კულტურაში ფესვგადგმულ და დამკვიდრებულ ამბებს, როგორებიცაა კარგად ცნობილი ზღაპრები („ნიქარა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „კომბლე“), რელიგიური თქმულებები („კაენი და აბელი“) და ისტორიული ამბები (დიდგორის ბრძოლის მოგება, ცოტნე დადიანის გამირობა, წინამურში ილიას მკვლელობა). ასეთი ამბები ლიტერატურაში კულტურული სკრიპტის, დომინანტური სკრიპტის ანდა მასტერნარატივის სახელით არის ცნობილი (იხ. **თავი 7**). კვლევის მონაწილეების რეფლექსია აფზახეთის ომის, გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და 2008 წლის ომის შესახებ კარგად გვიჩვენებს, რამდენად არის პირადი და სხვების ნარატივები ასეთი კულტურული ამბებით გაჯერებული. პირად ამბებში ჩაქსოვილი სხვების ამბები ისევე, როგორც კულტურაში გავრცელებული ამბები, ნარატიული ეკოლოგიის დონეებს შორის საზღვრების პირობითობისა და ამბების დონიდან დონეზე გადადინების შესაძლებლობის კარგი ილუსტრაციაა (McLean, 2016).

4.2. ავტორის დაბადება: თხრობა, როგორც საკუთარი თავის ანუ ნარატიული იდენტობის, შექმნის პროცესი

ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, რომელსაც საკუთარ თავს ვუყვებით, საკუთარი ცხოვრების ისტორიაა (McAdams, 2015).

ერიკსონის (1963) მიხედვით, მოზრდილი პიროვნების ფორმირების საუკეთესო მანიშნებელი იდენტობის ჩამოყალიბებაა. თუ ვიცი ვინ ვარ, ე. ი. გავიზარდე.

გასული საუკუნის 1980-იანი წლებიდან სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში პოპულარული გახდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იდენტობა, ნაწილობრივ, *ინტეგრირებული ცხოვრების* ისტორიაა (მაგალითად, იხ. Gregg, 1991; McAdams, 1985).

თანამედროვე ფსიქოლოგიაში მკვლევრები იყენებენ ტერმინს „ნარატიული იდენტობა“, რომლითაც აღნიშნავენ ერთი კონკრეტული ინდივიდის სუბიექტურ, კონსტრუირებულ და განვითარებად ამბავს იმის შესახებ, როგორ ჩამოყალიბდა იგი ისეთად, როგორც ამჟამად არის. ნარატიული იდენტობა აერთიანებს და ინტეგრაციულ მთელად აქცევს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, და მისი მეშვეობით ინდივიდი საკუთარ ცხოვრებას მიზანს, აზრს/საზრისს, საკუთარ თავს კი პიროვნული უწყვეტობის განცდას სძენს (McAdams, 2015; McAdams & McLean, 2013).

ეს განსაზღვრება ეგოს იდენტობის ერიკსონისეული (1963) დეფინიციიდან მომდინარეობს, თუმცა, პიროვნული იდენტობის ცნებასაც უკავშირდება, რომელიც „მე“-ს არამარტო დროში ერთიანობის განცდას სძენს, არამედ – სხვადასხვა კონტექსტს, და დროთა განმავლობაში იგივეობის შეგრძნებითაც უზრუნველყოფს (McLean, Syed, Yoder, & Greenhoot, 2014; Syed, 2010). ამრიგად, სუბიექტურად კონსტრუირებულ იდენტობას „მე“-ს დროსა და სივრცეში (სხვადასხვა სიტუაციაში) თანამიმდევრულობის, კოჰერენტულობის განცდის წარმოქმნა შეუძლია, და ამას ის იმ ისტორიების, ამბების შექმნით/ თხრობით ახერხებს, რომლებიც ამ უწყვეტობის, თანამიმდევრულობის ახსნასა და ილუსტრაციას უზრუნველყოფენ.

თეორეტიკოსთა და მკვლევართა სულ უფრო მზარდი რაოდენობა თანხმდება, რომ ადამიანები ნარატიული იდენტობების აგებას მოზარდობისას და ადრეული მოზრდილობისას იწყებენ და მათზე მუშაობას მთელი ცხოვრების განმავლობაში აგრძელებენ (McLean & Syed, 2015).

ერიკსონის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთარი ამბის თხრობისას შერჩევითად ვახდენთ წარსულის იმგვარად რეკონსტრუირებას, რომ ცხოვრება წინასწარ დაგეგმილად გამოიყურება, არადა, ობიექტური თუ ვიქნებით, უნდა ვალიაროთ, რომ ცხოვრება იშვიათად ვითარდება რაიმე გეგმის მიხედვით, თუმცა ჩვენ სულაც არ ვართ ობიექტურები. ჩვენ პატერნებს ვეძებთ. ამიტომ გვჭირდება ნარატივი, რომლითაც ავხსნით, როგორ მოვედით აქამდე და საით შეიძლება გვეჭიროს გეზი. ჩვენ ვაგებთ ცხოვრების ისტორიებს ანუ ნარატიულ იდენტობებს, რომლებიც დროში უწყვეტობის განცდას გვანიჭებენ და გვიჩვენებენ, როგორ ბადებს ჩვენ მიერ შერჩევითად გახსენებული წარსული ან-მყოს, რომელსაც, საბოლოოდ, ჩვენ მიერ წარმოსახული მომავალისაკენ მივყავართ.

ასეთი პერსონალური ნარატივები თანამედროვე ადამიანების ორი ფუნდამენტური პრობლემის – თვითფრაგმენტაციისა და პერსონალური უწყვეტობის საკითხის – მოგვარების მიზანს ემსახურება (McAdams, 1993; McLean, 2016). ვარ თუ არა ერთი და იგივე პიროვნება მეგობრებთან და სამსახურში? ახლაც იგივე ადამიანი ვარ, ვინც სტუდენტობის დროს ვიყავი? შესაძლო „მე“-ების, ნარატივებისა და დისკურსების სიმრავლე თანამედროვე საზოგადოებაში ნარატიულ გადამუშავებას აუცილებლობად აქცევს, როდესაც საქმე „ვინ ვარ მე?“ კითხვაზე პასუხის ძიებას შეეხება.

მას შემდეგ, რაც ინდივიდი წინააღმდეგობების შემჩნევის უნარს შეიძენს, მან უნდა მოახერხოს ამ წინააღმდეგობებში აზრის დანახვა როგორც სინქრონულად (ანუ სხვადასხვა კონტექსტში), ისე დიაქრონიულად (ანუ დროის ქრილში). მხოლოდ ასე მიაღწევს იგი საკუთარი თავის ერთიანობისა და ინტეგრირებულობის განცდას. პერსონალური უწყვეტობის პრობლემის მოსაგვარებლად ისეთი ამბების მოყოლა შეგვიძლია, რომლებიც დროში სელფის (Self) სტაბილურობის პატერნზე მიგვიითიებებს („ყოველთვის მიყვარდა სამზარეულოში ყოფნა. ჩემმა მეგობარმა იცოდა, რომ საკმაოდ კარგი მზარეული ვარ და კერძების მოსამზადებლად მიმიწვია“). ნარატივის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა დროს წინააღმდეგობების ასახვად ან მოსაგვარებლად შეგვიძლია („მეგონა, არ შემეძლო თანაგრძნობა, მაგრამ წერის პროცესში აღმოვაჩინე, რომ მეტად თანავუგრძნობ იმ ადამიანებს, ვისაც ჩემი ცხოვრების ფორმირებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით“), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან წინააღმდეგობებს მეტი ახსნა-განმარტება ესაჭიროება (Pasupathi, et. al., 2007). არასაკმარისია, თუ უბრალოდ ვიტყვით, ვინ ვართ ან რომ შევიცვალეთ. ამის მტკიცებულება გვჭირდება. გვჭირდება ამბავი, რომელიც გვეტყვის, *რატომ* ვართ ასეთი, როგორიც ვართ, ან *რატომ* შევიცვალეთ (McLean, 2016).

ფაქტობრივად, ნარატიული იდენტობა *პერსონალური მითია* (McAdams, 2015), რომელიც საზრისისა და სიმართლისმაგვარობის განცდას უფრო ბადებს,

ვიდრე ობიექტურ ჭეშმარიტებას. ჩვენ, ადამიანებს კი, იმის ცოდნა უფრო გვჭირდება, რომ ცხოვრებას რაღაც აზრი აქვს და ის ამოცნობადი პატერნის მიხედვით მიედინება. შესაბამისად, ჩვენ, როგორც *ავტობიოგრაფიული ავტორები*, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე საკუთარი თავის შესახებ მიმდინარე ნარატივის შექმნას ვინყებთ.

მიუხედავად იმისა, რომ იდენტობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება (მაგალითად, იხ. Kroger, 2000; 2015), მოზარდობაა ის პერიოდი, როდესაც ინდივიდი პირველად იწყებს იდენტობის საკითხებზე *დაფიქრებას* (Erikson, 1968), და ამას ძალიან მარტივი მიზეზი აქვს: მას *სჭირდება* ეს. იგი იძულებულია, მიაღწიოს სტაბილურობის განცდას სწრაფად და დრამატულად ცვალებადი რეალობის ქაოსურ პირობებში. სწორედ მოზარდობაში იყრის ერთად თავს ის კოგნიტიური უნარები და პერსონალური გამოცდილება, რომლებიც ნარატიული იდენტობის ფორმირებას ესაჭიროება.

ოჯახში, ზოგადად, უნდათ, რომ ერთ-ერთი შვილი ბიჭი იყოს, ხომ? მე მე-სამე გოგო ვიყავი. რა თქმა უნდა, ამას არავინ მაგრძნობინებდა, მაგრამ თითქოს თვითონ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ ჩემი, ასე ვთქვათ, სქესის გამო. ეს რაღაც, ალბათ, ზოგადად საზოგადოების და ზოგადად გარემოს ბრალი იყო, მაგრამ ეს იყო ჩემი ბავშვობის ერთგვარი ტრამვა; რაღაც ისეთი, რამაც ჩემს განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. გარდატეხის ასაკში უფრო მეტად გამიმძაფრდა ეს... შეგრძნებები ანუ უფრო მეტს ვფიქრობდი ამასთან დაკავშირებით, თუმცა შემდეგ დაახლოებით მეათე კლასში შევეგუე... არა, უბრალოდ, პირიქით, მომწონდა კიდევაც, რომ გოგო ვიყავი და საერთოდ აღარ განვიცდიდი დისკომფორტს ამის გამო... უბრალოდ მნიშვნელობას იმიტომ ვანიჭებ ამ მომენტს, რომ ეს იყო პირველი რაღაც, რომელმაც ჩემს თავზე დამანყებინა ფიქრი. მანამდე იყო, რომ ადამიანებთან ურთიერთობა დავინყე და შემდეგ ამ ურთიერთობამ მიბიძგა, რომ ჩემს თავზე დამენყო ფიქრი იმიტომ, რომ ესე ხდება ზოგადად (ქალი, 21).

როგორც ეს ახალგაზრდა ქალი ამბობს, გარდატეხის ასაკში დაფიქრდა სერიოზულად საკუთარი თავის შესახებ. მისთვის მოზარდობის ხანაში შესვლა მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი იყო და სერიოზულ ყურადღებასა და *მუშაობას* მოითხოვდა მისგან. საინტერესოა, რომ ცვლილებები, რომლებსაც თითქოსდა ქაოსი მოაქვთ მოზარდის ცხოვრებაში, თავადვე ეხმარებიან მას ამ ქაოსის მონესრიგებაში, თუმცა ამ პროცესში არ არსებობს შემოვლითი გზები (McLean, 2016).

4.2.1. სხეული: ფიზიკური განვითარება

ბევრი ადამიანი, ზემოთ მოცემული ციტატის ავტორის მსგავსად, მნიშვნელოვან სერიოზულ ცვლილებებს გარდატეხის ასაკს უკავშირებს. თანამედროვე

მოზარდებისათვის გარდატეხის ასაკი გვიანი ბავშვობიდან იწყება და მოზარდობის შუა წლებამდე მაინც გრძელდება. ეს ნელა მიმდინარე ცვლილებებია (Dorn & Biro, 2011), რომლებსაც ენდოკრინული პროცესი აღძრავს, პირველადი (რეპროდუქციის ფუნქციისთვის არსებითი ნიშნების, როგორებიცაა საკვერცხეებისა და სათესლეების განვითარება, მენარქე გოგობში) და მეორადი სასქესო ნიშნების (მაგალითად, სხეულის გათმოვანება) განვითარებით გამოიხატება და რეპროდუქციისთვის მზადყოფნის მდგომარეობის მიღწევით სრულდება.

მოზარდებისათვის ფიზიკური ცვლილებებიც კი საკმაოდ რთული მოსაწელებელი და მისაღებია, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ცვლილებების მრავალშრიან და ჩახლართულ კულტურულ და ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაზე. ზოგიერთი ავტორის მიხედვით (იხ. Natsuaki, Samuels, & Leve, 2015), ნაწილობრივ, სწორედ ეს აქცევს ამ ასაკს დიდი ქართველებისა და რყევის პერიოდად. კულტურაში მიღებული რეაქციები, დამოკიდებულებები და ტაბუები მოზარდებს რთული ამოცანის წინაშე აყენებს: მათ ახალი სხეულიც უნდა მიიღონ და თავიანთ კულტურაში ამ ახალი სხეულის მნიშვნელობაც უნდა გაიაზრონ. ისინი პიროვნულ რეალიტეტსაც უნდა მიესადაგოს და კულტურულსაც. მაგალითად, გოგომ უნდა გააცნობიეროს, რომ ახალ სხეულს სექსუალური სურვილი მოჰყვება და ისიც კარგად უნდა გაარკვიოს, მის საზოგადოებაში/თემში რა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს ამ სექსუალურ სურვილს. სხეულებრივ ცვლილებებს უამრავი რღვევა და სირთულე მოაქვს, და ეს მხოლოდ დასაწყისია.

4.2.2. გონება: კოგნიტური განვითარება

მოზარდობის პერიოდის ერთ-ერთი პარადოქსი და მწარე ირონია ისაა, რომ ფიზიკური ცვლილებები, სქესობრივი მომწიფება და ბიოლოგიურ დონეზე მოზრდილად ჩამოყალიბება წინ უსწრებს მოზრდილისთვის დამახასიათებელი და აუცილებელი კოგნიტური უნარების განვითარებას. ფიზიკური მომწიფების მსგავსად, კოგნიტური განვითარებაც საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. როგორც პიაჟესა (Inhelder & Piaget, 1958) და მისი მიმდევრების (Case, 1992) კოგნიტური განვითარების სტადიური მოდელი აღწერს, ინდივიდი კონკრეტული ოპერაციების სტადიიდან (ხელშესახები, კონკრეტული საგნების შესახებ ფიქრიდან) ფორმალური ოპერაციების აბსტრაქტულ სტადიაზე (არახელშესახები, აბსტრაქტული ცნებების, ვთქვათ, რწმენის, შესახებ ფიქრზე) გადადის. ფორმალური ოპერაციების სტადია ბაზისურ დონეზე დედუქციურ ლოგიკასა და აბსტრაქტულად აზროვნების უნარს გულისხმობს, რაც ხშირად რამდენიმე ცვლადზე ერთდროულად ფიქრსა და მათი ურთიერთმიმართების გათვალისწინებაში გამოიხატება.

ფიზიკური განვითარების მსგავსად, კოგნიტურ განვითარებასაც დრო სჭირდება. არც ის უნდა დაგვაინწყდეს, რომ ფორმალური ოპერაციების სტადია

რამდენიმე ქვესტადიას მოიცავს (Fischer, 1980), და თითოეული მათგანი სამყაროს გააზრებისა და გადამუშავების უფრო და უფრო კომპლექსურ გზებს სთავაზობს ინდივიდს. მაგალითად, ადრეული მოზარდობის პერიოდში ინდივიდს (Harter, 2012) ერთდროულად ორ ურთიერთსაპირისპირო ცვლადზე შეუძლია ფიქრი („მეგობრებთან მხიარული და გახსნილი ვარ, მშობლებთან – ბუზლუნა და მუდამ უკმაყოფილო“). შუა ხნის მოზარდობიდან ადამიანები უფრო ნათლად ხედავენ ამგვარ წინააღმდეგობებს და მეტი დისკომფორტი აქვთ („რატომ ვიქცევი ასე განსხვავებულად მეგობრებთან და მშობლებთან?“), რაც შფოთვას იწვევს. გვიან მოზარდობაში მათ უკვე ხელენიფებათ ამ წინააღმდეგობების უფრო მაღალი რანგის აბსტრაქციაში ინტეგრირება („ხასიათის ადამიანი ვარ“ ან „ადამიანები სხვადასხვანაირად იქცევიან სხვადასხვა ადამიანთან“).

ამრიგად, საკუთარ თავში ცვალებადობისა და წინააღმდეგობების გაცნობიერებას მოზარდი თავდაპირველად შფოთვამდე მიჰყავს. შემდეგ იწყებს ამ ცვალებადობასა და წინააღმდეგობებში თანამიმდევრულობის დანახვას და ბოლოს აბსტრაქტული რთული სისტემების გააზრებასაც ახერხებს (McLean, 2016). კვლევა ცხადყოფს (Labouvie-Vief, 2006), რომ ფორმირებადი მოზრდილობის ეტაპზე ადამიანი მეტად ნიუანსირებულად აზროვნებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შედარებით მარტივი, დუალისტული აზროვნებიდან რელატივისტურ აზროვნებაზე გადადის. შესაბამისად, იმის გაცნობიერებასაც იწყებს, რომ ცხოვრებაში გაჩენილ კითხვებზე ერთზე მეტი და ხშირად თანაბრად მართებული პასუხები შეიძლება მოიძიოს და არ არსებობს ერთადერთი და განუმეორებელი „ჭეშმარიტება“.

4.2.2.1. ავტობიოგრაფიული მსჯელობის უნარი

როდესაც მოზარდობის ასაკში კოგნიტურ განვითარებასა და ნარატიული იდენტობის ფორმირებისათვის მნიშვნელოვან უნარებზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს, *ავტობიოგრაფიული მსჯელობის* გაჩენაა.²⁸ მოკლედ რომ ვთქვათ (Habermas & Bluck, 2000), ეს მრავალგვარი ინტერპრეტაციული ოპერაციების ნაკრებია, რომელთა მეშვეობითაც, ადამიანები საკუთარ ავტობიოგრაფიულ მოგონებებში პირად მნიშვნელობას პოულობენ. მაგალითად, წარსულში მომხდარი რომელიღაც კონკრეტული მოვლენა გარდამტეხ მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ, რის შემდეგაც „ალარასოდეს ვყოფილვართ ისეთი, როგორც მანამდე.“ ავტობიოგრაფიული მსჯელობის ერთ-ერთ ვარიანტში ინდივიდი შეიძლება მოგვიყვეს, როგორ ისწავლა ჭკუა კონ-

²⁸ დანვრილებით იხ. ქვემოთ.

კრეტული გამოცდილების შემდეგ (McLean & Pratt, 2006). ამ თვალსაზრისით, ნარატიული იდენტობის კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანები განსაკუთრებით ბევრს სწავლობენ უარყოფითი ემოციური გამოცდილებიდან (McAdams, 2013c).

ავტობიოგრაფიული მსჯელობით მთხრობელი სხვადასხვა მოვლენას აერთიანებს. იგი ასე მიდის საკუთარი თავის შესახებ დასკვნამდე.

როგორც **ხსრილი N 4.1** გვიჩვენებს, ავტობიოგრაფიული მსჯელობის უნარები ადრეული მოზარდობის პერიოდში იწყებს განვითარებას და ეს პროცესი, დაახლოებით, 25 წლის ასაკამდე გრძელდება.

4.2.3. საზოგადოება: კულტურის დაკვეთა

როდესაც იდენტობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ფიზიკურ და კოგნიტურ ცვლილებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის კულტურული კონტექსტი, რომელშიც ვითარდება და ყალიბდება იდენტობა (Erikson, 1968, (McLean, Boggs, Haraldsson, Lowe, Fordham, Byers, & Syed, 2019).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურა უნესებს ინდივიდს იმ ჩარჩოს,²⁹ რომლის ფარგლებშიც უნდა დაამუშავოს მან საკუთარი პერსონალური ნარატივი შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით, და თანამიმდევრული და დამაჯერებელი ცხოვრების ისტორია ააგოს. ამასთან, ნებისმიერ კულტურაში არსებობს იმის გარკვეული მოლოდინი, თუ როდის უნდა დაიწყოს ადამიანი ეს პროცესი. ლოგიკურია, რომ ყველა ფიზიკური შესაძლებლობისა და კოგნიტური უნარის განვითარების გათვალისწინებით, ინდივიდები ცხოვრების ისტორიის თხრობის მოთხოვნის წინაშე სწორედ გარდატეხის ასაკში დგებიან. ასე რომ, მოზარდსა და ფორმირებად მოზრდილს, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით, ყველა წინაპირობა აქვს, რათა ავტობიოგრაფიულ ავტორად ჩამოყალიბება და საკუთარი ცხოვრების ისტორიის ძირითადი ქარგისა და მიმართულების აწყობა დაიწყოს, რომლის განვითარება-დახვეწაზეც მთელი შემდგომი ცხოვრება იმუშავებს.

²⁹ პერსონალური და მასტერნარატივის ურთიერთქმედებისა და კულტურის მოლოდინის შესახებ დანვრილებით ვისაუბრებთ ქვემოთ.

ცხრილი N 4.1. ნარატიული იდენტობის განვითარების ძირითადი ეტაპები

ასაკი	ეტაპები
2-3	ავტობიოგრაფიული მეხსიერება. პატარები ნელ-ნელა იმახსოვრებენ პერსონალურ მოვლენებს, როგორც რალაცას, რაც თავს გადახდათ ან თავად მოიმოქმედეს. ეს ეპიზოდური მოგონებები სელფს (Self) უკავშირდება, როგორც „ჩემი“ (my) პატარა მოგონებები „ჩემ“ (me) შესახებ. მშობლები ხშირად წაახალისებენ ამ მოგონებებზე საუბარს. ამგვარი საუბრებით შეიძლება გამყარდეს ან დაიხვეწოს ეს მოგონებები.
3-4	გონების თეორია. ბავშვები იწყებენ იმის გააზრებას, რომ ადამიანები მოტივირებული აგენტები არიან, რომლებსაც აქვთ სურვილებისა და რწმენების შემცველი გონება და რომლებიც ამ სურვილებისა და რწმენების მიხედვით მოქმედებენ. ამბები, ფაქტობრივად, მოტივირებული აგენტების (პერსონაჟების) გმირული ქმედებების შესახებ არის, რომლებიც დროში ვითარდება. მაშასადამე, მოტივაციის ხალხური ფსიქოლოგია, რომელსაც გონების თეორია გვთავაზობს, კოგნიტურ ნიადაგს უმზადებს გასაგები და აზრიანი ამბების თხრობას.
5-6	ამბის გრამატიკა. დაწყებით კლასებში ბავშვებს უკვე ნათლად, თუმცა იმპლიციტურად, ესმით ამბის აგების პრინციპები. ამბავი მოტივირებული აგენტით უნდა იწყებოდეს, რომელიც დასახული მიზნებისკენ ისწრაფვის. მიზნისკენ სვლას რალაც აფერხებს ან ართულებს, ამას კონფლიქტი და მოლოდინი მოჰყვება, რაც კულმინაციას აღწევს, და ბოლოს გვაქვს გადაწყვეტა. ამბებს მკაფიოდ გამოკვეთილი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული უნდა ჰქონდეთ.
10-14	კულტურული სკრიპტი. ბავშვები და მოზარდები სწავლობენ, რას უნდა მოიცავდეს ტიპური ადამიანის ცხოვრება და რა თანმიმდევრობითა და სტრუქტურით უნდა ვითარდებოდეს ის. ისინი ხვდებიან, რომ ცხოვრება ისეთი პერიოდებისგან ანუ ეტაპებისგან შედგება, როგორებიცაა დაბადება, სკოლის წლები, სახლიდან წასვლა, სამსახურის დაწყება, დაოჯახება, შვილების შექმნა, პენსიაზე გასვლა და ა. შ. სხვადასხვა კულტურა ცხოვრების სხვადასხვა სცენარს გვთავაზობს.
12-25	ავტობიოგრაფიული მსჯელობა და თხრობის დახვეწილი უნარები. მოზარდები და ფორმირებადი მოზრდილები კარგად იწაფებიან ავტობიოგრაფიული მოვლენებიდან პერსონალური მნიშვნელობების გამოტანაში. მაგალითად, მათ შეუძლიათ მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება საკუთარ ცხოვრებაში განვითარების ასახსნელად (<i>მი ზეზმედევობრივი თანამიმდევრულობა</i> ; Habermas & Bluck, 2000), ანდა შეუძლიათ მთავარი თემის გამოყოფა, რომელიც მათ ცხოვრებას მთლიანობად აქცევს (<i>თემატური თანამიმდევრულობა</i>). გარდა ამისა, საკუთარი ცხოვრების ისტორიის კონკრეტული სცენების გააზრებამ ისინი გარკვეულ <i>გაკვეთილამდე</i> ან <i>ინსაიტამდე</i> შეიძლება მიიყვანოს (McLean & Pratt, 2006). დროთა განმავლობაში მათ ისეთი დახვეწილი ნარატიული საშუალებები შეიძლება გამოიყენონ საკუთარი ცხოვრებისათვის მნიშვნელობის მისანიჭებლად, როგორებიცაა წინასწარ განჭვრეტა და ფლეშბექი.

შენიშვნა: ცხრილი ადაპტირებულია წყაროდან McAdams, 2015.

ამრიგად, ცხოვრების თვითგანმსაზღვრელი ნარატივის შექმნა ყოველდღიური ცხოვრების ეკოლოგიაში მიმდინარე პროცესია, რომელიც მოზარდობიდან იწყება და მოვლენების განცდას, ამ გამოცდილებების სხვებისთვის (მაგალითად, მეგობრებისა და მშობლებისთვის) თხრობას, მონათხრობებზე სხვების რეაქციებზე დაკვირვებას, ამ რეაქციების მიხედვით თხრობისა და ნარატივის მოდიფიცირებას, ახალი მოვლენების განცდას, წარსული ამბების ქრილში ახალი გამოცდილებების თხრობასა და. ა.შ. მოიცავს. როგორც ქეით მაკლინი (McLean, Pasupathi, & Pals, 2007) აღწერს, სელფი (Self) ქმნის ამბებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან ახალს სელფს (Self), და ყველაფერი ეს მნიშვნელოვანი ინტერპერსონალური ურთიერთობებისა³⁰ და ჯგუფთან კუთვნილების კონტექსტში ხდება.

ნარატიული იდენტობა თანდათანობით ვითარდება (McAdams, 2015) ყოველდღიური საუბრებისა და სოციალური ინტერაქციების, ინტროსპექციის, სამსახურისა და სიყვარულის თაობაზე ახალგაზრდა ადამიანების მიერ მიღებული გადანყვეტილებების, ნორმატიული მოვლენებისა და ისეთი ბედნიერი ცხოვრებისეული შემთხვევების მეშვეობით, როდესაც ადამიანს პროფესიონალებთან საკუთარ თავზე, მომავალსა და მიზნებზე საუბრის საშუალება ეძლევა.

ამრიგად, სწორედ ნარატიული იდენტობის რეალიებში გვიჩვენებს პიროვნება საკუთარ ყველაზე მნიშვნელოვან და ჩახლართულ ურთიერთობებს კულტურასა და საზოგადოებასთან (McAdams, 2009). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ნარატივებს, არსებითად, იმის შესახებ ვქმნით, როგორ ვიბრძვით, რომ მოვანესრიგოთ ის, ვინ ვიყავით ჩვენს წარმოსახვით წარსულში, ვინ ვართ ახლა და ვინ შეიძლება ვიყოთ მომავალში ჩვენი გონებითა და სხეულით ჩვენი ოჯახის, თემის, სამსახურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასისა და კულტურის სოციალურ კონტექსტში. სელფი (Self) საზოგადოების პირობებთან შეგუებას ნარატიული იდენტობის მეშვეობით ახერხებს (McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, 2016).

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ავტობიოგრაფიული ავტორობა იშვიათად ასოცირდება სრულ თავისუფლებასთან. ჩვენ არ შეგვიძლია უბრალოდ ავიღოთ რომელიმე ძველი ამბავი და საკუთარ ამბად გავასალოთ. ნარატიული იდენტობის შექმნა, როგორც წესი, იმ ამბების ერთად და თანამიმდევრულად დალაგებას გულისხმობს, რომლებიც აქ და ამჟამად გვერგება ჩვენ და საზოგადოებას ჩვენ ირგვლივ, ყველა იმ შეზღუდვისა თუ შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომელთაც ცხოვრება გვახვედრებს.


³⁰ ნარატივის თანაკონსტრუირების, მსმენელისა და რეფერენტული ჯგუფის გათვალისწინების შესახებ იხ. ქვემოთ.

4.3. ცხოვრების ისტორიის შინა მხარე: როდესაც 2 + 2 > 4

ცხოვრების ისტორია ანუ პერსონალური ნარატივი მთელი რიგი ძირითადი მახასიათებლებით აღინერება (მაგალითად, McLean, Pasupathi, Greenhoot, & Fivush, 2016; McLean, 2008) და, ტრადიციულ პოზიტივისტურ ჩარჩოში დაგეგმილი რაოდენობრივი კვლევის მსგავსად, ნარატიულ კვლევაშიც გვჭირდება ცვლადების ოპერაციონალიზაცია განურჩევლად იმისა, თემატურ ანალიზს ვეგეგმავთ თუ რაოდენობრივი ანალიზისათვის ვაკოდირებთ ტრანსკრიპტებს.

როდესაც ნარატიული კვლევის პროცესზე ვსაუბრობდით, ვთქვით, რომ ნარატივის მკვლევრებმა პიროვნების მიმართ შესწავლილი ნარატიული ცვლადების სისტემატიზაცია დაიწყეს (McAdams & McLean, 2013; Adler, et. al., 2017). ავტორები აღნიშნავენ, რომ უახლესი კლასიფიკაცია (იხ. **ხსრილი N3.2**) არასრულია და არც ამ ტაქსონომიას აქვს საბოლოო სახე. ადლერისა და კოლეგების (2017) კლასიფიკაციაში ექვსი ნარატიული ცვლადი თემატურ და სტრუქტურულ ასპექტებად არის გაერთიანებული, თუმცა, ვფიქრობ, ამ და დამატებით სხვა ნარატიული ცვლადების დალაგება განსხვავებულადაც არის შესაძლებელი.

ჩემთვის საინტერესო ძირითადი ნარატიული ცვლადები სქემატურად სამ ჯგუფად გავაერთიანე (**სურათი N 4.2**): თხრობის პროცესთან, მონათხრობის სტრუქტურასთან და მასში გადმოცემულ თემებთან დაკავშირებული ცვლადები. როგორც ადლერი და მისი კოლეგები (2017) ამბობენ, ნარატიული ცვლადების კლასიფიკაციის ნებისმიერი მცდელობა არასრულყოფილი და ურთიერთგადამფარავი კატეგორიების შემცველი იქნება, რადგან პრაქტიკულად ყველა ცვლადი სხვადასხვა მხრიდან შეგვიძლია დავინახოთ. ხედვის კუთხე კი კლასიფიკაციაში



სურათი N 4.2. კვლევაში გამოყენებული ნარატიული ცვლადები

მის ადგილს განსაზღვრავს. მაგალითად, ნარატივში ამბების დალაგების მაკომპენსირებელ და კონტამინაციის თანმიმდევრობას მაკადამსი (1993, 2015, 2019) ნარატივის სტრუქტურულ მახასიათებელს უწოდებს, თუმცა იგივე ცვლადი ნარატივის თემის კატეგორიაშიც შეიძლება გაერთიანდეს (**ხსრილი N3.2**), რადგან აქცენტი მონათხრობის აფექტური ფონის ცვლილებაზე დაისმის და არა – ამ აფექტის შემცველი ამბების თანმიმდევრობაზე.

აქვე ვიტყვი, რომ ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში მაკლინი და ნარატივის მკვლევართა ჯგუფი (2019), ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ ნარატიული იდენტობის ემპირიული სტრუქტურა (განსაკუთრებით, კარგად ყოფნის განცდასთან მიმართებით) სამი ფაქტორით აღინერება. ესენია მოტივაციური და აფექტური თემები, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და სტრუქტურული ასპექტები, რაც, ფაქტობრივად, თანხვდება ნარატიული ცვლადების ჩემ მიერ ზემოთ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას.

4.3.1. ნარატივის თხრობის პროცესთან დაკავშირებული ცვლადები

თხრობის პროცესთან დაკავშირებულ ცვლადებში ავტობიოგრაფიული მსჯელობა და გენერაციული თხრობა გავაერთიანე (**სურათი N 4.3**) იმ მოსაზრებით, რომ ორივე თხრობის მოდუსს განსაზღვრავს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გენერაციულია მთხრობელი ან რამდენად მიდრეკილია თხრობისას ავტობიოგრაფიული მსჯელობისკენ, იცვლება თხრობის პროცესი და ამბავსაც სხვანაირს ვიღებთ.



სურათი N 4.3. თხრობის პროცესთან დაკავშირებული ნარატიული ცვლადები

4.3.1.1. ავტობიოგრაფიული მსჯელობა

როგორც მაკადამსი (1996, 2013) ამბობს, შერჩევითი ავტობიოგრაფიის ანუ ცხოვრების ისტორიის შექმნით ადამიანები იდენტობის პრობლემას წყვეტენ. ვიცით, რომ ცხოვრების კარგი ისტორია გვეუბნება, როგორ გახდა ადამიანი ისეთი, როგორიც ამჟამად არის, მის ცხოვრებას საზრისსა და მიზანს სძენს და მოქმედების მიმართულებასაც აძლევს. ამგვარი ამბავი საკმაოდ კარგად უნდა აგვარებდეს იდენტობის პრობლემას, რადგან გვიხსნის, როგორ უკავშირდება წარსული სელფი (Self) აწმყოს და იმასაც გვეუბნება, როგორ რჩება ადამიანი ისეთივე, როგორიც არის და/ან იცვლება დროთა განმავლობაში.

თეორიული თვალსაზრისით, ცხოვრების ისტორია იდენტობის ფუნქციას მხოლოდ მაშინ იძენს, თუ ის იმას გულისხმობს, რასაც მკვლევრები *ავტობიოგრაფიულ მსჯელობას* უწოდებენ (Habermas & Kober, 2016; Dunlop & Walker, 2013). ავტობიოგრაფიული მსჯელობა ის პროცესია, რომლის დროსაც ვარკვევ, როგორ ჩამომაყალიბეს ჩემს ცხოვრებაში მომხდარმა მოვლენებმა ისეთად, როგორიც ვარ, ხოლო ის, თუ როგორიც ვარ, რამდენად განაპირობებს ამ მოვლენების ჩემეულ, ჩემთვის უნიკალურ აღქმას (Habermas & Bluck, 2000). ავტობიოგრაფიული მსჯელობა შეიძლება სამყაროს ან ცხოვრების შესახებ ექსპლიციტურ დასკვნებასაც შეიცავდეს („ცხოვრება ტანჯვაა“ ან „ყოველ დაღმართს აღმართი მოჰყვება“). ამგვარი დასკვნები ინდივიდის ცნობიერების ცალკეული ელემენტებია და მისი ცხოვრების შესახებ ნარატივში გაერთიანებით უწყვეტობის განცდას ედება საფუძვლად. სწორედ ავტობიოგრაფიული მსჯელობა აქცევს ცხოვრების ისტორიას იდენტობად (Habermas & Bluck, 2000; McAdams, 1996) და არა უბრალოდ თანამიმდევრულად დალაგებული ცალკეული მოვლენები.

ჰაბერმასი და ბლაკი (2000) ცხოვრების ისტორიის ცნების განსაზღვრისას ერთმანეთისგან განასხვავებენ ორ ძირითად მანიფესტაციას: ცხოვრების ნარატივებს ანუ ცხოვრების ისტორიის სრულ პროდუქტებს და ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ანუ პროცესს, რომლითაც ფორმირდება და გამოიყენება ცხოვრების ისტორია. ცხოვრების ისტორიის თხრობისას ავტობიოგრაფიული მსჯელობა ინდივიდს საკუთარი წარსულის აწმყოსთან და აწმყოს მომავალთან დაკავშირებაში ეხმარება. ამ პროცესში იბადება უნიკალური და დროში უწყვეტი ავტორი (Habermas & Kober, 2016).

როგორც ვთქვით, ჰაბერმასისა და ბლაკის (2000) მიხედვით, ავტობიოგრაფიული მსჯელობა მოიცავს კავშირების გაბმას ორ ელემენტს – პიროვნების ცხოვრებასა და სელფს (Self) – შორის. სელფსა (Self) და მოვლენებს შორის კავშირების დამყარებისას ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ორი ძირითადი მიმართულება აქვს. პირველი, რომელიც აძლიერებს სელფის (Self) სტაბილურობას (ამის

შედეგად მიიღება სტაბილურობის ამსახველი ამბები) და მეორე, რომელიც ემსახურება სელფის (Self) ცვლილებას (ამ დროს ინდივიდი ცვლილების ამსახველ ამბავს ჰყვება) (Pasupathi, et al., 2007). სელფ-სტაბილურობის კავშირები ადამიანს სელფის (Self) უწყვეტობის განცდის შენარჩუნებასა და მოვლენების სელფის (Self) რომელიმე მახასიათებლის მიხედვით ახსნაში ეხმარება. ამის საპირისპიროდ, სელფ-ცვლილების კავშირები გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამს მთხრობელი მის ცხოვრებაზე ამა თუ იმ მოვლენის გავლენას და ამ გავლენით მიღებულ ცვლილებას დინამიკურ პროცესში (Pasupathi, et al., 2007). სტაბილურობისა და ცვლილების კავშირები ფუნდამენტურია უწყვეტობისა და კოჰერენტულობის მისაღწევად მოზრდილ ცხოვრებაში.

ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში მოვლენა-მოვლენა კავშირებსაც განარჩევენ. ეს არის მოვლენებს შორის ექსპლიციტური კავშირები, რომლებიც იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ როგორ მიყვავართ ერთ მოვლენას მეორემდე, ან როგორ ქმნიან მოვლენები საერთო თემას (McLean, 2008).

ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში წარსულ მოვლენებზე რეფლექსიური ფიქრი და ცხოვრების გამოცდილებებიდან ახლის სწავლა ამ გამოცდილებაში მნიშვნელობის შექმნის³¹ პროცესია და აღინერება „საზრისის დახვეწილობის“³² ცვლილებით. საზრისის კომპლექსურობა ასაკთან ერთად იმატებს (მაგალითად, იხ. Habermas & Paha, 2001; McLean, 2005; Pratt et al., 1999). საზრისის დახვეწილობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ მაშინ, როცა ნარატივში ცხადად, ექსპლიციტურად არის ნათქვამი, რომ მთხრობელმა კონკრეტულ ინსაიტს მიაგნო აღწერილი მოვლენის კონტექსტში, რომელიც მისი ცხოვრების უფრო ფართო სფეროებზე ვრცელდება, ვიდრე ეს კონკრეტული სიტუაციაა.

მკვლევრები თვლიან, რომ იმ ამბების კონსტრუირებისას, რომლებიც იმის გარკვევაში ეხმარება ადამიანებს, თუ ვინ არიან ისინი და, ასევე, სხვებისთვის საკუთარი თავის ახსნაში, ნარატივები გაჯერებული უნდა იყოს ექსპლიციტური ახსნებით – რას ნიშნავს ეს მოვლენები მათთვის ანუ მთხრობელი უნდა გაცდეს წარსულში მომხდარი მოვლენის დეტალებს და ახსნას, რა ისწავლა, რა შეიტყო ახალი საკუთარი თავის შესახებ (Lilgendahl & McAdams, 2011; McLean & Thorne, 2003; Pasupathi et al., 2007). ცხადია, ავტობიოგრაფიული მსჯელობის ეს რეფლექსიური პროცესი დროს მოითხოვს: სელფისა (Self) და წარსული მოვლენების ურთიერთკავშირის დანახვა და გაგება შეუძლებელია მომხდარისგან დისტანცირებისა და პერსპექტივაში დასახვის გარეშე (McLean, 2008).

³¹ Meaning making.

³² Sophistication of meaning.

კვლევა აჩვენებს, რომ ცხოვრების ისტორია და თხრობაში ავტობიოგრაფიული მსჯელობის გამოყენება ცხოვრებისეული ცვლილებების ხანაში პიროვნული უწყვეტობის შენარჩუნების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს (Habermas & Kober, 2016). ემპირიულ ნარატიულ ლიტერატურაში მკაფიოდ იკვეთება დაშვება, რომ კარგად ყოფნის განცდა მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრების კარგად ინტეგრირებულ და თანამიმდევრულ ისტორიას და, შესაძლოა, მის შედეგსაც წარმოადგენდეს (მაგალითად, იხ. Baerger & McAdams, 1999; Bauer & Bonanno, 2001; King, Scollon, Ramsay, & Williams, 2000; Lilgendahl & McAdams, 2011).³³

ავტობიოგრაფიული მსჯელობის კოდირება. კვლევის სხვადასხვა სერიისათვის ავტობიოგრაფიული მსჯელობის სხვადასხვა კომპონენტის კოდირება მოხდა. ესენია მნიშვნელობის შექმნა (საზრისის დახვეწილობა), სელფ-მოვლენა და მოვლენა-მოვლენა კავშირები, გავლენის დებულებები.

მნიშვნელობის შექმნის ანუ რეფლექსიური გადამუშავების აღმნიშვნელი კოდები თავდაპირველად ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიულ სისტემას წარმოადგენდა და მოიცავდა კატეგორიებს: მნიშვნელობის უქონლობა, გაკვეთილი ან ინსაიტი (McLean, 2005; McLean & Thorne, 2003; Thorne et al., 2004). გამოცდილებამ აჩვენა, რომ მნიშვნელობის წრფივი კოდირების სისტემა უფრო ეფექტურია (McLean & Pratt, 2006). შესაბამისად, მაკლინისა და თორნის მიერ შემუშავებული სისტემა წრფივად (0-3) გარდაიქმნა, რომელშიც უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ქულა ავტობიოგრაფიული მსჯელობის მზარდ კომპლექსურობაზე მიუთითებს.³⁴ ასევე, ითვალისწინებს მნიშვნელობის იმგვარ ოპერაციონალიზაციას, რომ „გაკვეთილი“ მნიშვნელობის შექმნის ნაკლებად დახვეწილი ფორმაა, ვიდრე „ინსაიტი“ (McLean & Thorne, 2003). მოცემულ კვლევაში სწორედ ეს წრფივი სისტემა გამოვიყენეთ მნიშვნელობის კოდირებისთვის (.69 <k<.89).

³³ თუმცა ბოლო პერიოდში ეს დაშვება საეჭვო გახდა (McLean & Mansfield, 2011). მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში ავტორებმა (Sales, Merrill, & Fivush, 2013) მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი გამოავლინეს 16 და 21 წლის კვლევის მონაწილეების ყველაზე ცუდი გამოცდილების ნარატივებში, ერთი მხრივ, გაკვეთილსა და ინსაიტს და, მეორე მხრივ, დეპრესიულობას შორის. აქ დაისმის საკითხი: რომელი ცხოვრებისეული სიტუაციები რომელ ასაკობრივ პერიოდში და ავტობიოგრაფიული მსჯელობის რომელი ფორმები განაპირობებენ პიროვნული უწყვეტობისა და კარგად ყოფნის განცდას.

³⁴ ამასთან, მნიშვნელობის კომპლექსურობა იმატებს ასაკთან ერთად (მაგალითად, იხ. Habermas & Paha, 2001; McCabe et al., 1991; McLean, 2005; Pratt et al., 1999).

მოგონებას ენიჭებოდა კოდი „0“ (მნიშვნელობის უქონლობა), თუ მთხრობელი უბრალოდ ყვებოდა ამბავს და ნარატივში საერთოდ არ იყო საუბარი მოვლენის აზრზე/მნიშვნელობაზე; მთხრობელი არ გვიხსნიდა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ამბავს მისთვის. კოდი „1“-ის შემთხვევაში ნარატივში ნათქვამი იყო, რომ მთხრობელმა მომხდარიდან რაღაც ისწავლა, ეს გაკვეთილი იყო მისთვის. გაკვეთილი (კოდირების თავდაპირველი სისტემის მსგავსად) განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობა/საზრისი, რომელიც ხშირად ქცევითია და არ სცილდება თავდაპირველად მოყოლილ კონკრეტულ ამბავს. ამ დროს მთხრობელი მიუთითებს აზრებსა და განხორციელებულ ქმედებებზე, მაგრამ მისი მსჯელობა არ არის კომპლექსური. მონათხრობს ენიჭებოდა კოდი „2“, თუ ნარატივი შეიცავდა მნიშვნელობას/საზრისს, რომელიც ოდნავ უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე გაკვეთილი, მაგრამ არც ისე ექსპლიციტური ანუ ცხადად გამოკვეთილი, როგორც ინსაიტი. გაკვეთილის შემთხვევაში ნარატივში აღწერილია გარკვეული ზრდა ან ცვლილება სელფში, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რა ცვლილებაზეა საუბარი. დაბოლოს, კოდი „3“ ენიჭებოდა ნარატივს, რომელშიც ექსპლიციტურად იყო ნათქვამი, რომ მთხრობელმა კონკრეტულ ინსაიტს მიაგნო აღწერილი მოვლენის კონტექსტში, რომელიც მისი ცხოვრების უფრო ფართო სფეროებზე ვრცელდება, ვიდრე ეს კონკრეტული სიტუაციაა. სხვა სიტყვებით, ინსაიტი სცილდება ნარატივში აღწერილ კონკრეტულ მოვლენას და ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, სამყაროს ან ურთიერთობის გაგებაში ექსპლიციტურ ტრანსფორმაციას გვიჩვენებს.

ნარატივში ფიქსირდებოდა *სელფ-მოვლენა კავშირის* არსებობა, როდესაც მთხრობელი ექსპლიციტურად აღნიშნავდა რაიმე სახის კავშირის არსებობას მოგონებასა და სელფს (Self) შორის. ამრიგად, ჯერ ფიქსირდებოდა, იყო თუ არა (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან) რომელიმე სახის კავშირი ნარატივში და შემდეგ ენიჭებოდა შესაბამისი კოდი: „0“ – არავითარი კავშირი არ არსებობს, „1“ – არის ერთგვარი კავშირი. თუ კავშირი არ იყო, აქ სრულდებოდა მოცემული სცენის/ეპიზოდის კოდირება. თუ იყო კავშირი, მაშინ ეპიზოდი ფასდებოდა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: (1) ნარატივში ფიქსირდებოდა სტაბილობის მაჩვენებელი ანუ ახსნითი კავშირი, თუ ის სელფის (Self) სტაბილური ასპექტის ახსნას გვთავაზობდა („რას ამბობს ეს ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაზე [...] ალბათ, უფრო იმას ამბობს, რომ რაღაც პასუხისმგებლობის აღება შემიძლია, ანუ ჩემს გადაწყვეტილებაზე პასუხი ვაგო.“) ($k=.85$); (2) ნარატივში ფიქსირდებოდა ცვლილების შემცველი კავშირი, როდესაც მოთხრობილი მოვლენა რაიმე სახის ცვლილებას იწვევდა მთხრობელში („უფრო მეტი სიფრთხილისკენ მიბიძგა, ან იქნებ მანამდე მომეფიქრებინა, რომ ის ადამიანი არ გადამიხდიდა, მანამდე შემეფასებინა და რაღაცნაირად, ასე ვთქვათ, თავი დამეცვა, სანამ ის ფაქტი მოხდებოდა. აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო მეტი ყურადღება, დაკვირვება, სიფრთხილე გამომიმუშავა.“) ($k=.85$).

მოვლენა-მოვლენა კავშირები განისაზღვრება, როგორც მოვლენებს შორის ექსპლიციტური კავშირები. ეს კავშირები ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ მივყავართ ერთ მოვლენას მეორემდე, ან როგორ ქმნიან მოვლენები საერთო თემას. ნარატივში მოვლენა-მოვლენა კავშირს ენიჭებოდა შესაბამისი კოდი: „0“ – არავითარი კავშირი არ არსებობს, „1“ – არის ერთგვარი კავშირი. ($k = .89$).

გავლენის ცვლადი გულისხმობს ნარატივში იმის ნახვას, აღწერილმა მოვლენამ როგორი ფსიქოლოგიური ან რელაციური (ურთიერთობითი) გავლენა მოახდინა მასზე. ეს შეიძლება იყოს გაუმჯობესება (დადებითი გავლენა) ან გაუარესება (უარყოფითი გავლენა). გავლენის დებულებებში აღწერილია არა ის, რამაც თავად მოვლენის შემადგენელი მოქმედებები გამოიწვია ან აღძრა, არამედ ამ მოვლენის შედეგები, რომლებიც მოვლენის დასრულების შემდეგაც დარჩა. ემოციური მიმართულების არმქონე დებულებები ძალიან იშვიათად გვხვდება და თუ არის, ისინი დადებით/ ნეიტრალურ კატეგორიას მიეკუთვნება. საბოლოოდ, გავლენა დიქტომიური ცვლადია³⁵ და სახელდების სკალაზე გადაკოდირდა.

4.3.1.2. გენერაციული თხრობა

გენერაციულობა ერიკსონის (1963; Khechuashvili, Gogichashvili, & Jananashvili, 2019; ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი & გოგიჩაიშვილი, 2018) ფსიქოსოციალური განვითარების მოდელში მეშვიდე სტადიაა და, ზოგადად, ცხოვრების იმ ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რომელიც ადრეულ მოზრდილობას მოსდევს და გვიან ხანშიშესულობამდე გრძელდება.

გენერაციულობას უფრო დეტალურად თანამედროვე მეცნიერები აღწერენ: „გენერაციული ინდივიდები უალრესად ჩართულნი არიან თავიანთ სამუშაოსა და ახალი თაობის აღზრდაში. ასევე, მათ უფრო ფართო საზოგადოებრივი საკითხებიც აინტერესებთ. ისინი ტოლერანტულები არიან სხვადასხვა იდეისა და ტრადიციებისადმი და შეუძლიათ საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვასა და ანგარიშის განევას შორის ბალანსის შენარჩუნება“ (Kroger & Marcia, 2011). ამ სტადიაზე ოპტიმალური განვითარების მიუღწევლობა პიროვნებას სტაგნაციის შეგრძნებით ტოვებს, როცა მას არ ხელენიფება, სრულად ჩაერთოს სხვებზე ზრუნვასა და მათ აღზრდაში (Cloninger, 2004).

გენერაციულობა ხშირად, მაგრამ არა – ყოველთვის, მშობლის როლით გამოიხატება. მასწავლებლობა და მენტორობა ამის ჩანაცვლებად შეგვიძლია მივი-

³⁵ წარმოდგენილ კვლევაში გავლენის კოდირების გამარტივებული სისტემა გამოყენებული. ორიგინალური სისტემისთვის იხ. Greenhoot et al, 2013; McLean et al, 2016.


ჩნით. როგორც ერიკსონი (1963) წერს, კარგი მშობლის როლის მორგება ინდივიდს უკმაყოფილებს ბაზისურ „მოთხოვნილებას, რათა იყოს მოთხოვნადი“³⁶. გენერაციულობის გამოხატვის მრავალი გზა არსებობს, თუმცა მათ შორის გამოკვეთილად აღსანიშნია პროფესიული ცხოვრება, შემოქმედებითი საქმიანობა და საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობა, როგორცაა ქველმოქმედება, საეკლესიო საქმეები და ა. შ. გენერაციული მოზრდილი საკუთარ თავს ისეთ აქტივობას უძღვნის, რომელიც უფრო მეტია და დიდია, ვიდრე მისი საკუთარი ცხოვრება და მნიშვნელოვან დროსა და ენერჯიას ახმარს ისეთ ნამოწყებებს, რომლებიც „თაობებს დარჩება.“

ჩემს კვლევაში გენერაციულობის მაკადამისიულ (2013) მოდელს ვეყრდნობი (სურათი N 4.4), რომლის მიხედვითაც, გენერაციულობა შვიდკომპონენტის კონსტრუქტს წარმოადგენს. თითოეული კომპონენტი მომავალ თაობაზე ზრუნვის პიროვნულ და საზოგადოებრივ მიზანზეა ორიენტირებული. მას უნდა შეეხედოთ, როგორც რალაცას, რაც პიროვნებაშიც არსებობს და მის სამყაროშიც. ეს გარემოს თვისებაც ისევეა, როგორც – ადამიანის. იმით, რომ პიროვნებასა და სოციალურ სამყაროს აკავშირებს ერთმანეთთან, გენერაციულობა მხოლოდ ფსიქოსოციალურ კონტექსტში შეიძლება „ხდებოდეს“, როდესაც გარკვეულ პიროვნებასა და მის სამყაროში არსებული ცვლადები ერთად იყრის თავს მომავალი თაობის უზრუნველსაყოფად (Khechuashvili, et. al., 2019).

ადამიანთა პრაქტიკულად ყველა კულტურა ითხოვს, რომ მოზრდილებმა შექმნან მომავალი თაობა. ეს მოთხოვნები განსხვავებულია მოცემულ საზოგადოებაში ასაკისთვის შესატყვისი ქცევის მიმართ საზოგადოებრივ მოლოდინებში (Berntsen & Rubin, 2004); თუმცა, გენერაციულობა მხოლოდ იმიტომ არ ჩნდება, რომ საზოგადოება ითხოვს ამას. ბევრი თეორეტიკოსი ფიქრობს, რომ გენერაციულობა ისევე იღებს სათავეს ღრმად ფესვგამდგარ შინაგან სურვილში, როგორც კულტურის მოთხოვნაში. გენერაციულობის შემთხვევაში მოზრდილი ავითარებს, ზრუნავს ან ქმნის რალაცას ან ვილაცას „თავის ხატად და სახედ“, როგორც საკუთარი თავის გაგრძელებას.

კულტურის მოთხოვნა და შინაგანი სურვილი ერთობლივად ქმნიან ცნობიერ ფიქრს მომავალ თაობაზე. ამრიგად, ერთი მხრივ, განვითარების თანმხლები მომავალ თაობაში წვლილის შეტანის მოლოდინი და, მეორე მხრივ, უკვდავობისა და ზრუნვის შინაგანი სურვილი, მოზრდილობაში ერთად იყრის თავს და ხელს უწყობს პიროვნების მიერ მომავალი თაობის განვითარებაზე ზრუნვას. ამასთან, მოზრდილს, შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს ის, რასაც ერიკსონი (1963) კაცობრიობის რწმენას უწოდებდა. ეს არის ბაზისური და ზოგადი რწმენა ადამიანის ცხოვრების

³⁶ Need to be needed.



სურათი N 4.4. გენერაციულობის მოდელი მაკადამსის მიხედვით

ფუნდამენტურ სიკარგესა და ღირებულებაში, განსაკუთრებით მომავლის პერსპექტივაში. კაცობრიობის ძლიერი რწმენა შეიძლება დაეხმაროს მოზრდილს, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვა გენერაციულ ვალდებულებებად აქციოს ანუ თვითონ იკისროს მომავალ თაობაზე პასუხისმგებლობა და მიიღოს გადანყვეტილებები, რომლებიც გენერაციული ქცევის შესატყვისი მიზნებისა და მისწრაფებების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ასეთი რწმენის უქონლობის შემთხვევაში მოზრდილს შეიძლება გაუძნელდეს მძლავრი გენერაციული ვალდებულებების აღება, რადგან ფიქრობს, რომ გენერაციული მცდელობა მაინც ვერ იქნება დიდი სარგებლის მომტანი. იგი, დაახლოებით, ასე ფიქრობს: რატომ უნდა მივუძღვნა თავი მომავალი

თაობის წინსვლას, თუ ვფიქრობ, რომ სამყარო მაინც დაილუპება და ბევრს ვერაფერს გავხდები (McAdams, 2009).

ვალდებულებით მართულმა ადამიანმა, რაც, თავის მხრივ, მოთხოვნის, სურვილის, ფიქრისა და რწმენის შედეგს წარმოადგენს, რეალურად შეიძლება რაღაც მოიმოქმედოს მომავალი თაობის სასიკეთოდ. გენერაციული ქმედება სამიდან ნებისმიერი სახით შეიძლება გამოვლინდეს, ესენია: შექმნა, შენარჩუნება ან შეთავაზება.

გენერაციული ქმედება ადამიანებისთვის, საგნებისთვის და შედეგებისთვის სიცოცხლის მინიჭებას შეიძლება მოიცავდეს. ეს შეიძლება იყოს იმის კეთება, გენერირება, შექმნა, ფორმულირება ან აღმოჩენა, რაც ადამიანს მიაჩნია, რომ „კარგია“. მეორე, გენერაციული ქმედება ამ „კარგის“ გადაცემას შეიძლება მოიაზრებდეს, იქნება ეს შენარჩუნება, შენახვა, დაცვა, მოფრთხილება, კულტივირება, ზრუნვა იმაზე, რაც ასეთი ქცევის განხორციელებად ღირს, იქნება ეს ბავშების აღზრდა, კარგი ტრადიციების შენარჩუნება, გარემოს დაცვა და რიტუალების შესრულება (სკოლაში, სახლსა თუ ეკლესიაში), რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ თაობებს და დროში უწყვეტობას უზრუნველყოფენ (Erikson, 1982). მესამე, გენერაციული ქმედება შეიძლება მოიცავდეს იმის დაუნახებლად შეთავაზებას, რაც შეიქმნა.

მოცემულ კვლევაში გენერაციულობის გასაზომად სწორედ გენერაციული ქმედების კომპონენტია აღებული, რადგან გენერაციულ ქმედებას ან გენერაციულობის ინტენციას მიჰყავს ნარატორი გენერაციულ თხრობამდე. სხვა სიტყვებით, გენერაციულობის ისეთ მოდელს, როცა მოზრდილებს ესმით კულტურის მოთხოვნა, ემორჩილებიან შინაგან სურვილს, ფიქრობენ მომავალ თაობაზე, სწამთ კაცობრიობის, იღებენ გენერაციულ ვალდებულებებს, და ყველაფერი ეს საკუთარ ნარატივში გადააქვთ, მიყვავართ გენერაციულ თხრობამდე. გენერაციული თხრობისას მოზრდილები ცნობიერად ან გაუცნობიერებლად უყვებიან საკუთარ თავს და სხვებს გენერაციულ სკრიპტს (სცენარს). ეს არის მოზრდილი ადამიანის შინაგანი ამბავი, რომელიც იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ სად არის გენერაციული ძალისხმევის ადგილი მის პიროვნულ ისტორიაში, თანამედროვე საზოგადოებასა და სოციალურ სამყაროში, რომელშიც ის ცხოვრობს და, ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საზოგადოების ისტორიაშიც კი.


ერიკსონი თვლიდა, რომ გენერაციულობა კარგია როგორც საზოგადოებისთვის, ისე – ინდივიდისთვის. მისგან მიღებული სარგებელი, ერთი მხრივ, სოციალური ინსტიტუტების გაძლიერებასა და, მეორე მხრივ, კეთილშობილურ კულტურულ ტრადიციებსა და პროგრესულ სოციალურ ცვლილებასთან ინდივიდის დაკავშირებაში უნდა დავინახოთ. ამასთან, გენერაციულობამ თავად გენერაციულ ინდივიდსაც უნდა მოუტანოს სარგებელი. ერიკსონისთვის გენერაციულობა

მოზრდილ წლებში ფსიქოსოციალური მონიფულობისა და ფსიქოლოგიური სიჯანსაღის მანიშნებელს წარმოადგენდა. ამას ემპირიული კვლევის მონაცემებიც ადასტურებს. ვაილანტის (1977) განმეორებითმა კვლევამ ცხადყო, რომ გენერაციულობის მაჩვენებლები დადებითად კორელირებს სტრესისას კონსტრუქციული დაძლევის სტრატეგიების გამოყენებასა და ფსიქოსოციალური ადაპტაციის კლინიკურად მიღებულ ჯამურ მაჩვენებლებთან. ლოიოლას გენერაციულობის სკალისა და გენერაციული ქცევის ნუსხის გამოყენებით წარმოებულმა კვლევებმა (მაგალითად, იხ. De St. Aubin & McAdams, 1995) დაადასტურა, რომ ეს საზომები ზომიერად დადებითად კორელირებს ცხოვრებით კმაყოფილების, ბედნიერების, თვითპატივისცემისა და ცხოვრებაში თანამიმდევრულობის განცდის თვითანგარიშის მაჩვენებლებთან და უარყოფითად – დეპრესიასთან.

გენერაციულობის კოდირება. გენერაციულობა სამი ძირითადი თემის მიხედვით შეფასდა: შექმნა, შენახვა და შეთავაზება. ვთვლიდით, რომ ნარატივში იყო შექმნის თემა და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ ექსპლიციტურად იყო გადმოცემული მთხრობლის გენერაციული ინტენცია ან ქმედება ადამიანებისთვის, საგნებისა და შედეგებისთვის სიცოცხლე მიენიჭებინა („ან ღმერთი მომცემს ბავშვს, ან ვიშვილებ... რაც კარგია, დაინახავს იმას ჩემში და იმას გადაიღებს ის ბავშვი და ისწავლის“) (k=.88). კოდი „2“ ენიჭებოდა ნარატივს, რომელშიც აღწერილი იყო გენერაციული ინტენცია ან ქმედება შენარჩუნების, შენახვის, დაცვის, მოფრთხილებისა და კულტივირების თემებში. იქნებოდა ეს ბავშვების აღზრდა, კარგი ტრადიციების შენარჩუნება, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ თაობებს და დროში უწყვეტობას უზრუნველყოფენ (Erikson, 1982) (k=.92); შეთავაზების კოდი „3“ იწერებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეპიზოდში გენერაციული ინტენცია ან ქმედება მოიცავდა იმის დაუნახებლად შეთავაზებას, რაც შეიქმნა და შენარჩუნდა, ანუ მომავალი თაობისთვის რაიმეს ან ვინმეს საჩუქრად გადაცემას იმ პირობით, რომ ეს საჩუქარი საკუთარ ავტონომიასა და თავისუფლებას შეინარჩუნებდა (McAdams, 1985). („მე ყველანაირად ხელს შევუწყობ, მაგრამ მინდა, თავისით მიაღწიოს, დამოუკიდებელი ბიჭი რომ იყოს და თავისით მიაღწიოს ყველაფერს. მაგისტრისთვის ყველანაირი პირობის შექმნაზე ვოცნებობ“) (k = .85).

4.3.2. ნარატივის სტრუქტურასთან დაკავშირებული ცვლადები

ნარატიულ იდენტობას, რომელიც პერსონალური ნარატივის სახით აღიწერება, გააჩნია როგორც შინაარსი (რომელსაც თემატური ანალიზის მეშვეობით ვიკვლევთ), ისე – სტრუქტურა (McAdams, 2015; ხეჩუაშვილი, 2016c; 2020). სტრუქტურის თვალსაზრისით (სურათი N 4.5), ცხოვრების ისტორიები ფართოდ ცვალებადობს ნარატივში ამბების დალაგების პრინციპის, თანამიმდევრულობის, მოყოლილი ამბების დეტალიზაციისა და სირთულის მიხედვით. უაღრესად კომპლექსური ნარატივები მრავალ განსხვავებულ იდეასა და ფაბულას მოიცავენ და ამ ელემენტებს შორის მრავალ განსხვავებულ კავშირს გამოხატავენ. ამის საპირისპიროდ, შედარებით მარტივი ისტორიები რამდენიმე ქარგას მოიცავენ და ელემენტებს შორის მხოლოდ რამდენიმე ურთიერთკავშირს აღწერენ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ კომპლექსური ისტორიები უკეთესი ან უარესია, ვიდრე შედარებით მარტივი ამბები. ისინი უბრალოდ განსხვავებულია.



სურათი N 4.5. თხრობის სტრუქტურასთან დაკავშირებული ნარატიული ცვლადები

4.3.2.1. თხრობის თანმიმდევრობა

ჩემს კვლევაში ნარატივის სტრუქტურის ანალიზის მაკადამსისეულ (McAdams, 2015; McLean, 2015) მიდგომას ვიყენებ (სურათი N 4.6), რომლისთვისაც ნიშანდობლივია ნარატივში ამბების დალაგების ორგვარი სტრუქტურა. ესენია მაკომპენსირებელი³⁷ და კონტამინაციის თანმიმდევრობა, რომელიც წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ ფოკუსს წარმოადგენდა.



სურათი N 4.6. მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობა ნარატივში

4.3.2.1.1. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ანუ დადებითი გადაწყვეტა

მაკომპენსირებელი ნარატივი ანუ სკრიპტი ახლოს დგას სილვან ტომკინსის (1981) ვალდებულების სკრიპტთან. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ისტორიის დალაგების ისეთ სტრუქტურას გულისხმობს, რომელშიც უარყოფით მოვლენას რაიმე სახის დადებითი შედეგი მოჰყვება, თუნდაც ეს დადებითი შედეგი გაცილებით ნაკლებად ინტენსიური იყოს, ვიდრე საწყისი ნეგატიური მოვლენა. ამასთან, ნარატივის ავტორი ექსპლიციტურად უნდა აღწერდეს მდგომარეობას, რომელიც მოიცავს დადებითი ემოციური ან კოგნიტური გამოსავლისკენ მოძრაობას, ან თავად ეს მოვლენა უნდა იყოს იმდენად დადებითი, რომ ადამიანთა უმრავლესობაში ასეთ შედეგს იძლეოდეს. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის თემა მთელ მსოფლიოში შეგვიძლია ვნახოთ მითებსა და ფოლკლორში. ის განსაკუთრებით მძლავრ იდეას წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან რელიგიებში (James, 1902/1958; Miller & C'deBaca, 1994, წყაროში McAdams, 2009).

³⁷ Redemptive sequence.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა გულისხმობს იმედს, რომ შიში, დანაკარგი, სევდა, დანაშაული და ა. შ. ისეთ შედეგებამდე მიგვიყვანს, რომელიც სინხარულს, აგზნებასა და სხვა დადებით ემოციურ მდგომარეობებს შეესაბამება, მაგალითად, პროტაგონისტი ქმარს გაშორდა, მაგრამ ორი მშვენიერი შვილი ჰყავს; ოჯახი დაენგრა, მაგრამ წარმატებული ექიმი გახდა (Khechuashvili, 2015a).

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის კოდირება. ნარატივი მიიჩნეოდა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონედ (ხეჩუაშვილი, 2016c; McAdams, 2008) და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ მასში ექსპლიციტურად იყო წარმოდგენილი უარყოფითი მდგომარეობიდან დადებითზე გადასვლა ორიდან ერთ-ერთი ფორმით ($.72 < k < .92$): (ა) რესპონდენტის აზრით, უარყოფითი მოვლენა, სცენა, ეპიზოდი იწვევდა დადებით მოვლენას, სცენას, ეპიზოდს („მშობიარობა თითქმის 24 საათს გაგრძელდა, ძალიან დავიტანჯე, სამაგიეროდ, ისეთი სინხარული გაჩნდა, რომ მის პირველივე ყვირილზე სულში სითბო ჩამელვარა და ყველა ტკივილი დამავინყა“) ან (ბ) უარყოფითი მოვლენა უშუალოდ დროში უსწრებდა დადებით მოვლენას („ფეხი მოვიტეხე და ტკივილისაგან გონება დავკარგე. შემდეგ მახსოვს, რომ მთელი ოჯახი თავს დამტრიალებდა და ყველანი სიყვარულით სავსე თვალებით მიყურებდნენ“). ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნარატივს სტრუქტურის მიხედვით მიენიჭა კოდი „0“. მაკომპენსირებელ თანმიმდევრობად არ ჩაითვალა მოვლენების ისეთი დალაგება, როდესაც, მაგალითად, მთხრობელი ჯერ ჰყვება 30 წლის ასაკში მიღებული მძიმე გამოცდილების შესახებ და შემდეგ ბავშვობის ნათელ მოგონებას მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივში უარყოფითი მოვლენა წინ უსწრებს დადებითს, რეალურად ერთი მეორეს შემდეგ დიდი დროის გასვლის შემდეგ მოხდა. ამიტომ ეს ვერ იქნება მაკომპენსირებელი.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები – მოტივაციური ასპექტები. თუ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ბაზისური სტრუქტურის (უარყოფითი → დადებითი) მიხედვით, ნარატივს ენიჭებოდა კოდი „1“, კონკრეტდებოდა, წარმოდგენილი იყო თუ არა მონათხრობში მისი რომელიმე ქვეკატეგორია, კერძოდ, გამოკვეთილი გაუმჯობესება მოტივაციური ასპექტების – აგენტობის, ურთიერთკავშირის და მასშტაბური საფიქრალის მიხედვით. ამისათვის საჭირო იყო, რომ მთხრობელს ექსპლიციტურად, ნათლად ეთქვა, რომ გაუმჯობესებული მოტივაციური ასპექტი სწორედ მოვლენათა ასეთი მიმდევრობის შედეგს წარმოადგენდა.

კოდები შემუშავდა სამივე ქვეკატეგორიისთვის (McAdams, 2013) და თითოეული მათგანის არსებობის შემთხვევაში ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „1“. უფრო კონკრეტულად: (1) გაუმჯობესებული აგენტობა (12%, $k = .85$), როდესაც ეპიზოდში უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმაციის შედეგად უმჯობესდება

პროტაგონისტის პირადი ძალაუფლება ან აგენტობა; საკუთარ თავში (მეტად) და-
რწმუნებული ხდება; პირად გადანყვეტილებამდე, გამოსავლამდე მიდის; პიროვ-
ნული იდენტობის შესახებ ინსაიტს აღწევს; (2) გაუმჯობესებული ურთიერთკავ-
შირი (5.5%, $k = .78$), როდესაც ეპიზოდში უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანს-
ფორმაციის შედეგად უმჯობესდება პროტაგონისტის პირადი სასიყვარულო ურ-
თიერთობები, მეგობრობა, ოჯახური კავშირები და ა. შ. მაგალითად, ისეთი ეპი-
ზოდი იღებს „1“ ქულას, რომელშიც აღწერილია, რომ ახალგაზრდა მამაკაცი ნა-
მალდამოკიდებული მდგომარეობის შემდეგ (უარყოფითი მოვლენა) გამოჯანმრ-
თელდა (დადებითი მოვლენა). აქ „კარგი“ შედეგია გამოჯანმრთელება. თუ ამ კა-
რგ შედეგთან ერთად ამ ადამიანს მეგობრებიც დაუბრუნდნენ ან შეყვარებული
გაუჩნდა, მაშინ ეპიზოდი დამატებით ქულას იღებს, „გაუმჯობესებული ურთიერ-
თკავშირის“ ქვეკატეგორიის მიხედვით; (3) მასშტაბური საფიქრალი (4%, $k = .73$),
როდესაც უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმაცია მოიცავს ან მოიაზ-
რებს ფუნდამენტური ეგზისტენციალური საკითხების ან მასშტაბური საფიქრა-
ლის მნიშვნელოვან ჩართულობას ან მათ სერიოზულ (ხელახალ) გააზრებას. აღ-
წერილი მოვლენა პროტაგონისტს სიკვდილის, ღმერთის ან ცხოვრების რელიგი-
ური/სპირიტუალური განზომილებების პირისპირ აყენებს („მშობლების გარდაც-
ვლების შემდეგ დაფიქრდი ცხოვრებაზე, პასუხისმგებლობებზე, რომელიც და-
მეკისრა და მივხვდი, რომ ახლა ჩემი საკეთებელი იყო ბევრი რამ, რაც მანამდე
მშობლებს ებარათ“).

ამრიგად, თითოეული ეპიზოდისთვის პირველადი შეფასებისა და ამ სამი
ქვეკატეგორიის ქულების შეკრებით მიიღება მოცემული ეპიზოდის მაკომპენსი-
რებელი თანმიმდევრობის ჯამური ინდექსი, რომლის მნიშვნელობაც 0-დან 4-მდე
ვარიირებს.

ნარატივების შინაარსობრივი მხარე. მაკომპენსირებელი თანმიმდევრო-
ბის გარდა, 540 შერჩეულ ნარატივში გადაკოდირდა მათი შინაარსობრივი მხარე
($k = .73$). თითოეული ნარატივი შეფასდა იმის მიხედვით, წარმოდგენილი იყო თუ
არა მასში ჩამოთვლილთაგან რომელიმე შინაარსობრივი ასპექტი. ამისთვის გა-
მოვიყენეთ მაკადამსის (2013) მოდელიდან აღებული შინაარსობრივი განზომი-
ლებები: (1) მსხვერპლშენივრა, მსხვერპლის გაღება („მშობიარობის ტკივილის გა-
ვლით მშვენიერი, ჯანმრთელი პატარა მოევლინა ქვეყანას“), (2) გამოჯანმრთე-
ლება, გამოკეთება („ინსულტი დაემართა, მაგრამ ნელ-ნელა სრულად დაუბრუნ-
და ძველებულ მდგომარეობას“), (3) ზრდა-განვითარება („ქიმიის რამდენიმე კურ-
სი გავიარე და საათობით ნვეთოვანით ჯდომისას მივხვდი, რომ თურმე სულ სხვა
რამ ყოფილა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი“), (4) სწავლა („ყოველთვის გვიჭირდა
ოჯახში და ამან ხელმომჭირნეობა და შრომით მოპოვებული ფულის ფასი მასწა-

ვლა“), (5) გაუმჯობესება, აღმავალი მოძრაობა („ათ წელზე მეტი უშედეგოდ ვცდილობდი შვილის გაჩენას და შემდეგ, როცა უკვე აღარ ვფიქრობდი ამაზე, აღმოვაჩინე, რომ ორსულად ვიყავი“), (6) გათავისუფლება, ემანსიპაცია („ოჯახი დამენგრა, მაგრამ ამით იმდენი თავისუფლება მოვიპოვე, რომ კარიერაში მივალწიე წარმატებას“).

წარატივების შინაარსიდან გამომდინარე, ამ ჩამონათვალს იძულებით ადგილნაცვალი პირების შემთხვევაში დაემატა კიდევ ერთი კატეგორია – „შეგუება, ადაპტაცია“, რომელიც მხოლოდ მათ ისტორიებში იყო წარმოდგენილი („მეტი რა გზა მქონდა, შევეგუე. ავეწყვე აქაურ ცხოვრებაზე“).

4.3.2.1.2. კონტამინაციის თანმიმდევრობა

კონტამინაციის სცენის ცნება ახლოს დგას იმასთან, რასაც ტომკინსი (1981) „ნუკლეარულ სცენას“ უწოდებს, როდესაც დადებითი აფექტის ეპიზოდი სწრაფად გარდაიქმნება მძლავრ ნეგატიურ აფექტად, ამბივალენტობის კვალს ტოვებს, რაც, თავის მხრივ, ცხოვრების სრულმასშტაბიან ნუკლეარულ სკრიპტად (ასევე, იხ. Carlson, 1988) შეიძლება ჩამოყალიბდეს. ტომკინსი ამტკიცებს, რომ ასეთი სცენები განსაკუთრებით და ყველაზე მეტად გავლენიანია, თუ ბავშვობაში ხდება და უკიდურესად ინტენსიურად და დამაბნეველად განიცდება პროტაგონისტის მიერ. მეი (1980, ციტირებულია წყაროში McAdams, 2009) სიზმრად ნანახ გაუმჯობესება/დეპრივაციის ეპიზოდებს აღწერს, როდესაც გმირი ჯერ უკიდურესად წარმატებული და ცნობილი ხდება (კარგი მოვლენა) და შემდეგ მწარედ ენარცხება მიწას (ცუდი მოვლენა), როგორც ეს სიტყვასიტყვით, პირდაპირ არის აღწერილი იკარუსის მითში. როგორც მეი ამბობს, ფანტაზიის ასეთი პატერნი თემატური აპერცეფციის ტესტში (თატ-ში) მამაკაცების მიერ მოყოლილ ამბებს ახასიათებს, ხოლო ქალების მონათხრობები და ფანტაზიები საპირისპირო პატერნით – დეპრივაცია/გაუმჯობესება (ცუდს მივყავართ კარგისკენ) – უფრო გამოირჩევა. იკარუსის გმირულ მოღვაწეობასა და ძალისხმევას ტრაგიკული შედეგები მოყვება. თუმცა მზესთან ძალიან ახლოს მიფრენის „შეცდომა“, რომელსაც იკარუსი უშვებს, შესაძლო პოზიტიურ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს და ახალგაზრდობის ასაკისთვის დამახასიათებელი მიზანსწრაფულობით შეიძლება აიხსნას, ანდა იმით, რომ დიადი მიზნისკენ ისწრაფვის ადამიანი. და მაინც, ამგვარი ოპტიმისტური ხაზი დიდად არ პრევალირებს კონტამინაციის სცენების ავტობიოგრაფიულ რეკონსტრუქციებში. ამის ნაცვლად, კონტამინაციის თანმიმდევრობაში შედეგები იმდენად უარყოფითია, რომ ზოგჯერ ადამიანებს ურჩევნიათ, რომ ის წინ უსწრებდეს დადებით მოვლენას. ხშირად ისე ჩანს, რომ გაფუჭება ან კონტამინაცია მდგრადია და ყველაფერს სწვდება ისევე, როგორც გაფუჭებული

საკვები აფუჭებს ყველაფერს, რასაც შეეხება, ანდა როგორც მძიმე ბარგი, რომელსაც ვერ ტოვებს ადამიანი, თან დაათრევს და ყველა მის გამოცდილებაზე ახდენს გავლენას.

კონტამინაციის სცენა, გარკვეულწილად, მაკომპენსირებელი სცენის საპირისპიროა, თუმცა სრულიად საპირისპირო მაინც ვერ არის. მაკომპენსირებელ სცენაში სანყის ცუდ მდგომარეობას ან მოვლენას კარგ მდგომარეობამდე ან მოვლენამდე მიყვავართ, მაგრამ კარგი, როგორც წესი, ვერ აბათილებს და აქრობს ცუდს. მაგალითად, ნარატორი დედის გარდაცვალების შესახებ ჰყვება, და გარდაცვალება მაინც ცუდია, დედა ისევ გარდაცვლილია იმისდა მიუხედავად, რომ ოჯახი ამ ტრაგედიის შემდეგ ემოციურად უფრო იკვრება. დედის სიკვდილს თან სდევს ან სიკვდილი იწვევს კიდევ ოჯახის ემოციურ სიახლოვეს, მაგრამ ეს სიახლოვე ვერ აბათილებს/აქრობს დედის გარდაცვალების ფაქტს. ამის საპირისპიროდ, კონტამინაციის სცენებში შემდგომ განვითარებული ცუდი მოვლენა ხშირად აბათილებს, აქრობს, ძირს უთხრის წინმსწრებ კარგ ამბავს. კარგი მოვლენა ფუჭდება ან ბათილდება. კარგის გახსენება შეუძლებელია ცუდ შედეგთან შეწყვილების გარეშე. კარგის თავდაპირველი სიკარგე შეიძლება დაიკარგოს ცუდის ფონზე. მაგალითად (მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გახსენების გარეშე), მთხრობელი იხსენებს, როგორ სცემა ქმარმა და ახლა ამბობს, რომ მისი წარსულში კარგი ქორწინება რეალურად არასოდეს ყოფილა ისე კარგი, როგორც დასაწყისში ეგონა. მთელი ქორწინება რეტროსპექტულად გაფუჭებულია.

კონტამინაციის თანმიმდევრობის კოდირება. როდესაც ნარატივში ექსპლიციტურად იყო გამოხატული დადებითი ან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობიდან უარყოფითზე გადასვლა, კონკრეტული მოგონება ითვლებოდა კონტამინაციის თანამიმდევრობის მქონედ და მას ენიჭებოდა კოდი „1“. კონტამინაციის თანამიმდევრობა კოდირდებოდა, თუ ნარატივში მოთხრობილი კარგიდან ან დამაკმაყოფილებელიდან ცუდ მდგომარეობაზე გადასვლა ქრონოლოგიური დროის შესაბამისი იყო („მყავდა ბევრი მეგობარი, მქონდა ძალაუფლება, „ქამინგ აუთის“ შემდეგ დავრჩი მარტო, დავკარგე ყველაფერი“). თუ, მაგალითად, კვლევის მონაწილე იხსენებდა ჯერ მოზრდილობის დადებით ეპიზოდს, ხოლო შემდეგ ბავშვობის უარყოფით მოგონებას, ეს ნარატივი არ კოდირდებოდა კონტამინაციის თანამიმდევრობით.

კონტამინაციის თანმიმდევრობის შინაარსობრივი მხარე. კონტამინაციის თანამიმდევრობის მქონე მოგონებებს შინაარსობრივი მხარის მიხედვითაც ენიჭებოდა კოდი. კოდირება ხდებოდა მაკადამსის მოდელიდან აღებული შინაარსობრივი განზომილებების მიხედვით: მსხვერპლის როლი („სკოლაში არავის დაუცინია ჩემთვის, შემდეგ გადმოვიდა ახალი მოსწავლე და ყოველ დღე აბუჩად მიგდებდა, ბოლო წელი აღარ მინდოდა სკოლაში სიარული), ღალატი („მეგობარს ყველა

საიდუმლოს ვეუბნებოდი, გავიგე, რომ ჩემზე იჭორავა”), დანაკარგი („ბებია, რომელმაც გამზარდა და ჩემი მეორე დედა იყო, გარდაიცვალა”), მარცხი („დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდი, ყველა მინინასწარმეტყველებდა წარმატებას, მაგრამ პრიზი სხვას გადასცეს”), ფიზიკური ან ფსიქიკური ავადმყოფობა/ტრავმა („ყოველთვის ჯანმრთელი ვიყავი, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ სტრესი მივიღე და დეპრესია დამენყო”), იმედგაცრუება („ველოდებოდი, რომ დიპლომის აღება უბედნიერესი მომენტი იქნებოდა, იმედი გამიცრუვდა, იმ დღეს უბედური ვიყავი”), ილუზიის გაქრობა („ჩემი მეგობარი საუკეთესო მეგონა, აღმოჩნდა, რომ მატყუარა და ღვარძლიანი ადამიანია”), სექსი („ძალიან მიყვარდა, ის ღამე ერთად გავატარეთ, მაგრამ მეორე დღით ეს საშინელ შეცდომად მომეჩვენა და თავი დამნაშავედ ვიგრძენი”).

4.3.2.2. კოჰერენტულობა

კოჰერენტულობა მნიშვნელოვანი ცნებაა ნარატიული კვლევის ბევრ სფეროში, მათ შორის, ავტობიოგრაფიულ მსჯელობაში (Baker-Ward, Eaton, & Banks, 2005; Fivush, 2008; Kulkofsky, Wang, & Ceci, 2008), სელფისა (Self) და სხვების გაგებაში (Bird & Reese, 2006; Fivush & Nelson, 2019), კომუნიკაციასა (Hudson & Shapiro, 1991; McCabe & Bliss, 2012) და იდენტობის ფორმირებაში (Habermas & Bluck, 2000; McAdams, 1993; McLean, Pasupathi, & Pals, 2007). თეორიულად, კოჰერენტული პერსონალური ნარატივების მქონე ადამიანებს უკეთესი ავტობიოგრაფიული მეხსიერება, სელფის (Self) სიღრმისეული გაგება და უფრო სტაბილური იდენტობა აქვთ და უფრო ეფექტიანები არიან კომუნიკაციის პროცესში. ნარატივის კოჰერენტულობა თავისთავად არ გულისხმობს თხრობას კარგი „არტისტიკური” სტილით, თუმცა, კარგად დალაგებული ამბავი აუცილებლად თანამიმდევრულია. ამრიგად, კოჰერენტულობა შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ხარისხიანი მონათხრობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

ნარატივის კოჰერენტულობა გვიჩვენებს, რამდენად ათავსებს მთხრობელი საკუთარი ისტორიის მახასიათებლებსა და საკუთარ მოქმედებებს კონკრეტულ კონტექსტში, რამდენად ეთანადება ისტორია მიზანმიმართული ქმედებების დროით ხაზს/მიმდევრობას, რომელიც აღიარებულია მოცემულ კულტურაში, ემოციები ნათლად არის გამოხატული ნარატივის აზრის შესატყვისად და მხარდასაჭერად და ნარატივი ინტეგრირებულია უფრო ფართო ცხოვრებისეულ თემებსა და საზრისებში/მნიშვნელობებში.

კოჰერენტულობა სამი კომპონენტისგან შედგება: კონტექსტი, ქრონოლოგია და თემა. კონტექსტი მოიაზრებს ისეთ დეტალებს, როგორიცაა სად და როდის მოხდა ამბავი. ეს აღწერილი მოვლენების უკეთ დასანახად ძალიან მნიშვნელოვან-

ნი ინფორმაციაა. ქრონოლოგია ნარატივის დალაგების ფორმაზე მიუთითებს: შეუძლია თუ არა მსმენელს, დადგინოს, რა თანმიმდევრობით ხდებოდა მოვლენები? რომელი იყო დასაწყისი ეპიზოდი და რომელი – მომდევნო. ამასთან, არ არის აუცილებელი, ნარატივში ამბები ზუსტად იმ თანმიმდევრობით იყოს დალაგებული, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ხშირად მთხრობელი თხრობის სხვადასხვანაირ გზას ირჩევს; მაგალითად, იწყებს ყველაზე ამაღლებული მომენტიდან და შემდეგ დროში უკუსვლით ჰყვება მანამდე მომხდარ ამბებს, რამაც ამაღლებულ მომენტამდე მიიყვანა. ნარატივი ნებისმიერ შემთხვევაში ქრონოლოგიურია, თუკი მსმენელისთვის გასაგებია ქრონოლოგია. რაც შეეხება თემას, ის გვიჩვენებს ამბის განვითარებას: შესავალი, პიკური მომენტი და გადაწყვეტა, რომელიც გაჯერებულია აფექტითა და შეფასებითი დამოკიდებულებით (მაგალითად, იხ. ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი & გოგიჩაიშვილი, 2018; McAdams, 2006).

კოჰერენტურობის კოდირება სამი კომპონენტის მიხედვით ხდებოდა (Reese, et al., 2011; McLean, et al., 2016). ესენია: კონტექსტი, ქრონოლოგია და თემა. თითოეული კომპონენტი 3-ქულიან სკალაზე იზომება, სადაც „0“ ნიშნავს კომპონენტის სრულ არარსებობას და „3“ – სრულად წარმოდგენილ კომპონენტს. კონტექსტის კომპონენტი მოვლენას კონკრეტულ დროსა და ადგილზე ათავსებს ($k=.92$); ქრონოლოგია გვიჩვენებს, რამდენად არის მოცემული ნარატივი დროში ორგანიზებული (ტემპორალური გამართულობა) ($k =.83$); თემა აფასებს, რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი ნარატივის თემა ($k =.82$).

4.3.2.3. მოგონების სპეციფიკურობა

როდესაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების ისტორიას ყვებიან, ისინი, როგორც წესი, თხრობას, უპირატესად, თვითგანმსაზღვრელი მოგონებებით აგებენ. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პირადი მოგონება (Blagov & Singer, 2004), რომელიც გახსენებისას ძლიერ ემოციას იწვევს, მკაფიოდ ახსოვს ადამიანს, სენსორული დეტალებით მდიდარია, ვიდეო კლიპივით ამასსოვრდება ადამიანს და გარკვეულ სიტუაციებში კვლავ და კვლავ ჰყვება. გარდა ამისა, თვითგანმსაზღვრელი მოგონება სხვა მოგონებების რეპრეზენტაციულია ქარგის, თანმხლები ემოციებისა და თემების თვალსაზრისით და ერთ კლასტერად აერთიანებს მათ. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითგანმსაზღვრელი მოგონებები ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საფიქრალისა და კონფლიქტების ირგვლივ ვითარდება, როგორებიცაა წარმატება და მარცხი, ინსაიტისა და სასოწარკვეთის მომენტები, დედამიწვილებთან უთანხმოება, დაკარგული სიყვარული და ა. შ.

თვითგანმსაზღვრელი მოგონებების (Blagov & Singer, 2004) მახასიათებლებია: საზრისი, შინაარსი, აფექტი და სპეციფიკურობა, რომელიც კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ცვლადს წარმოადგენდა.

თვითგანმსაზღვრელი მოგონებები ავტობიოგრაფიული მსჯელობისას იერარქიული გახსენების პროცესის მეშვეობით რეკონსტრუირდება, რომელიც მოგონებას ორგანიზაციული დეტალიზაციის სამ დონეზე ალაგებს. ამასთან, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გახსენებული მოგონების სპეციფიკურობის ხარისხის მიხედვით (Blagov& Singer, 2004).

ავტობიოგრაფიული ცოდნა შეიძლება დალაგდეს: (ა) ცხოვრების ზოგადი ფაზების ან ეტაპების სახით – „ცხოვრების პერიოდები“, როდესაც მოგონება პერიოდულად განმეორებადი მოვლენებისგან შედგება („არდადეგებზე, როცა ზამთარი მოდიოდა“); (ბ) შედარებით ვიწრო და თემაზე ორიენტირებულ დროის ხაზზე, რომელიც თვეების, კვირების ან დღეებისგან შედგება – „ზოგადი მოვლენები“, როდესაც მოგონებაში აღწერილია მოვლენა ანდა იმ მოვლენათა თანამიმდევრული ერთობლიობა, რომლებიც ერთ დღეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მოიცავს დროის შედარების გრძელ პერიოდებს (პირველი კურსი, გასული ზაფხული); (გ) სპეციფიკური ხატების თვისებების ერთობლიობის სახით, რომელიც დროის მოცემულ მომენტზეა მიბმული ანუ უნიკალური ამბავი, რომელშიც იდენტიფიცირებულია დრო და ადგილი ანდა ხანმოკლე მოვლენა, რომელიც ერთ დღეს, 24 საათზე ნაკლებ პერიოდში მოხდა („კონკრეტულ მოვლენაზე მიბმული ცოდნა“).


მოგონების ძეხვისას ინდივიდები, როგორც წესი, უფრო ზოგადი, აბსტრაქტული დონიდან შედარებით კონკრეტულსკენ მოძრაობენ და, საბოლოოდ, აერთიანებენ ამ სამ დონეს სრულად რეალიზებული ავტობიოგრაფიული მოგონების შესაქმნელად.

მოგონების სპეციფიკურობის კოდირებისას განისაზღვრება, რომელი ზემოთ დასახელებული პრინციპით არის გადმოცემული ავტობიოგრაფიული ცოდნა. შესაბამისად, კოდი „0“ ენიჭება იმ მოგონებას, რომელიც საერთოდ არ არის ნარატივი ანუ რესპონდენტი არ ჰყვება არაფერს ისეთს, სადაც რაიმე სახის მოქმედება იქნება აღწერილი. ცხოვრების პერიოდებს ენიჭებათ კოდი „1“, ზოგად მოვლენებს – კოდი „2“, სპეციფიკურ მოვლენებს კი – კოდი „3“. როდესაც ერთი მოგონება ერთზე მეტ კატეგორიას მოიცავს, კოდირებისას პრიორიტეტულად უფრო ზოგადი კატეგორია ითვლება: თუ გვაქვს (1)+(2)+(3), მოგონებას მიენიჭება კოდი „3“ („ჩვეულებრივ, ზამთრის არდადეგებზე სოფელში მივდიოდით ხოლმე (1). მახსოვს, მეშვიდე კლასში რომ ვიყავი იმ ზამთარს (2), ერთხელ მამამ მეზობელთან წაგვიყვანა სტუმრად. ნათლად მახსოვს ის საღამო. შუქი არ იყო, მაგრამ იმდენი ნაცნობი ადამიანი შეიკრიბა ერთად (3).“). თუ გვაქვს (1)+(3), მოგონებას მიენიჭება კოდი „3“ („საერთოდ, მორცხვი ბავშვი ვიყავი (1), მაგრამ პირველად რომ მივედი სკოლაში, პირველი კლასის პირველ დღეს მასწავლებელმა რომ მკითხა...(3)“). თუ გვაქვს (1)+(2), მაშინ მოგონების კოდი იქნება „2“ („სოფელში ცხო-

ვრება არაფრით გამოირჩეოდა და ჩვეულებრივ მიედინებოდა (1), თუმცა ომიანობის პერიოდში, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მშვიდი ცხოვრება აღარ გვექონია (2)“).

4.3.3. ნარატივის თემასთან დაკავშირებული ცვლადები

ბოლო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში მკვლევრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ცხოვრების ისტორიებში ცენტრალური თემატური ხაზების იდენტიფიცირებით (**სურათი N 4.7**), რომლებიც ნარატივის პერსონაჟების განმეორებად სურვილებს შეეხება (McAdams, 1985).



სურათი N 4.7. ნარატივის თემასთან დაკავშირებული ცვლადები

4.3.3.1. მოტივაციური ასპექტები

ბევრ ნარატივში პერსონაჟები ხშირად ცდილობენ გარკვეული ფორმის ძალაუფლების, სიყვარულის ან ორივეს მოპოვებას. უფრო ზოგადად, თემატური ხაზები ხშირად ასახავს იმას, რასაც ბაკანი (1966) აგენტობასა და ურთერთკავშირს³⁸ უწოდებს. მისთვის ეს ორი ფუნდამენტურ მოდალობას წარმოადგენს ყველა ცოცხალი ფორმისთვის. ამ ორი მოტივის კოდირების ვალიდური და აპრობირებული კოდირების სისტემა მაკადამსს (1988) ეკუთვნის. აგენტობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, განავრცოს, მიიღოს, სრულყოს და დაიცვას საკუთარი თავი,

³⁸Agency and communion.

გამოეყოს სხვებს და გაუმკლავდეს გარემოს, რომელშიც მისი „მე“ ბინადრობს. პიროვნულ ნიშნებთან მიმართებით, აგენტობა ისეთი ცნებებით აღიწერება, როგორც არის დომინანტობა და ექსტრავერსია და, ასევე, აისახება მიღწევასა და ძალაუფლების მოტივაციაში. ურთიერთკავშირი/ერთობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, გაერთიანდეს სხვა ინდივიდებთან, დაუკავშირდეს მათ სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის ძაფებით. ნიშნებისთვალსაზრისით, ურთიერთკავშირი აისახება ისეთი ცნებებით, როგორებიც არის კეთილგანწყობა და ზრუნვა და, ასევე, ვლინდება ინტიმურობისა და აფილაციის მოტივაციაში (McAdams, 2013).

ცხოვრების ისტორიები ერთმანეთს აგენტური და ურთიერთკავშირის თემატური ხაზების სიძლიერისა და გამოკვეთილობის მიხედვით შეიძლება შედარდეს. აგენტურ ცხოვრების ისტორიაში პერსონაჟი ძალაუფლებისკენ, მიღწევისკენ, დამოუკიდებლობისკენ, ოსტატობისკენ და ა. შ. ისწრაფვის. ურთიერთკავშირის ანუ კომუნალური თემების დომინირებით შექმნილ ცხოვრების ისტორიებში პერსონაჟები მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, ინტიმურობისთვის, ერთიანობისთვის და ა. შ. იბრძვიან. ზოგიერთი ცხოვრების ისტორია ორივე თემას მოიცავს, ზოგიერთში კი ორივე ნაკლებად არის გამოხატული. მკვლევრები თვლიან, რომ აგენტობისა და ურთიერთკავშირის თემები ცხოვრების ისტორიებში კონსისტენტურად უკავშირდება ადამიანების მოტივაციურ ტენდენციებს. მაგალითად, მაკადამსმა და მისმა კოლეგებმა (McAdams, 1982; McAdams, et. al., 1996) აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, რომლებიც აგენტობის ქვეთემებით აღსავსე ამბებს ყვებიან, შედარებით მაღალ ქულებს იღებენ თემატური აპერცეპციის ტესტის (თატი) მიღწევისა და ძალაუფლების მოტივაციის სკალებზე და, ამასთან, თავს წარმატებულად და ძლიერად მიიჩნევენ. ადამიანები, რომელთა ცხოვრების ისტორიებიც ურთიერთკავშირის ქვეთემების სიმრავლით ხასიათდება, შედარებით მაღალ ქულებს იღებენ თატი-ის ინტიმურობის მოტივაციის სკალაზე და პიროვნულ მისწრაფებათა ჩამონათვალში სხვებთან თბილი და ახლო ურთიერთობების დამყარებაზე საუბრობენ.

4.3.3.2. მოვლენის ტიპი

მოვლენის ტიპი, ფაქტობრივად, გვიჩვენებს, რას ეხება მოცემული მოგონება (McLean & Pratt, 2006). მოვლენის ტიპის ანუ ნარატივის თემის კოდირებისთვის მოდიფიცირდა კოდების უკვე არსებული სისტემა (McLean & Pratt, 2006; McLean & Breen, 2009; Thorne, McLean & Lawrence, 2004). მაკლინისა და ბრინის (2009) კოდების აღწერილობიდან მხოლოდ ჩემი მონაცემებისთვის რელევანტური ნაწილი ავიღე. შესაბამისად, მოვლენის ტიპი აღიწერა ექვსი თემით: ურთიერთობების ამსახველი მოვლენები ფოკუსირდებოდა ინტერპერსონალურ შეხვედრებზე

(ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები, რომანტიკული ურთიერთობები), რომლებშიც გამოკვეთილია ურთიერთობებთან დაკავშირებული (რელაციური) საფიქრალი. საკუთარი თავისა და ღირებულებების შესახებ ამბებში გადმოცემულია საკუთარი ხასიათის და პიროვნების შესახებ რაღაც ახლის გაგების ისტორია. აქ შედის, ასევე, ამბები საკუთარი პოლიტიკური რწმენის, მორალური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ. მიღწევის ამსახველ მოვლენებში გამოკვეთილია პროფესიული, ფიზიკური, სოციალური ან სპირიტუალური/სულიერი მიზნების მიღწევისთვის გაღებული ძალისხმევა და მცდელობა, როგორებიცაა კოლეჯში ჩაბარება და სპორტში, სამსახურსა თუ ხელმძღვანელობაში მიღწეული წარმატება, გამორჩეული მიღწევები. აქ განხილული თემები შეიძლება იყოს კარიერა, ახალი იდეების მიგნება სამომავლოდ ან/და ახალი უნარების აღმოჩენა და განვითარება. ავტონომიის ამსახველ მოვლენებში ხაზგასმულია სხვებისაგან დამოუკიდებლად გახდომა. ნარატივში დაძაბულობაზე დისკომფორტის, უთანხმოების ან სირთულეების/სიძნელეების ნებისმიერი მახასიათებელი მიუთითებს. მოკვდაობის შესახებ ამბებში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზეა საუბარი. აქ შედის ამბები უბედური შემთხვევების, სიკვდილის ან სიკვდილთან მიახლოებული მდგომარეობის შესახებ.

5. ნარატიული იდენტობა: ცვალებადობა და სტაბილურობა

დროში სტაბილურობა-ცვალებადობის საკითხი ფუნდამენტურია პიროვნების ფსიქოლოგიისთვის. არსებობს მოლოდინი, რომ პიროვნების ცვლადები საკმარისად სტაბილური იქნება როგორც მოკლევადიან პერსპექტივაში, ისე – დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში (McAdams, et al., 2006). პირველს უოტსონი (Watson, 2004) ტესტ-რეტესტულ სანდოობას ანუ „საიმედოობას“ უწოდებს, მეორეს კი – „სტაბილურობას“, თუმცა, რას მივიჩნევთ „საკმარისად“, მთლიანად განსახილველი კონსტრუქტის ბუნებაზეა დამოკიდებული. კონსტრუქტში ვგულისხმობ იმას, თუ პიროვნების რომელი მახასიათებლის სტაბილურობა-ცვალებადობაზეა საუბარი. ეს შეიძლება იყოს დისპოზიციური პიროვნული ნიშნები (Costa & McCrae, 1994) ან ცხოვრების ისტორია ანუ ნარატიული იდენტობა (McAdams, et al., 2006; Singer, 2004).

პიროვნების მკვლევრებს ისტორიულად, უპირატესად, პიროვნული ნიშნების ინდივიდუალური განსხვავებების დროსა და კონტექსტში სტაბილურობა ანუ უცვლელობა აინტერესებდათ (მაგალითად, იხ. Costa & McCrae, 1994) ანუ ის, თუ როგორ განსხვავდებიან ინდივიდები ერთმანეთისგან სტაბილურად. სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული ნიშნები იცვლება სხვადასხვა კონტექსტში (მაგალითად, Mischel & Shoda, 1995), პიროვნების თეორიათა უმრავლესობის კონცეპტუალური ჩარჩო კონტექსტუალური რხევის პირობებში სტაბილური „ბირთვის“ არსებობას მოიაზრებს (Costa & McCrae, 1994). მაგალითად, დღეისათვის ცნობილია, რომ ისეთი დისპოზიციური ნიშნები, როგორებიცაა ექსტრავერსია და ნევროტიზმი, უაღრესად სტაბილური განზომილებებია (Heatherton & Nichols, 1994).

მიუხედავად სტაბილურობაზე ასეთი აქცენტისა, არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც. ერთ-ერთი მათგანი დისპოზიციური ხელნერის შესახებ ლიტერატურიდან მოდის, რომლის მიხედვითაც, კონტექსტის შესაბამისად ნიშნების ცვალებადობა პიროვნების სტაბილურობის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს (Fournier, Moskowitz, & Zuroff, 2009). ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდმა შეიძლება სანდოდ შეიცვალოს ქცევა, კონტექსტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ დებულებას მკვლევრების ყურადღება ადამიანებს შორის ცვალებადობიდან ადამიანების შიგნით ცვალებადობაზე გადააქვს.

სუთფაქტორიანი მოდელის ჩარჩოში ნიშნების პიროვნებისშიდა ცვალებადობის შესახებ ფლისანი და ჯეიუიკრიმი (Fleeson & Jayawickreme, 2015) საუბ-

რობენ. მათ გამოცდილების შერჩევის მეთოდის გამოყენებით აჩვენეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთ პიროვნებაში მართლაც მნიშვნელოვნად იცვლება ნიშნების გამოვლინება და ეს ცვალებადობა პიროვნებათა შორის ცვალებადობასაც კი აღემატება; თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცვალებადობა ისეთ დიაპაზონში ან ისეთი ფორმით გვხვდება, რომ პიროვნება გარეშე დამკვირვებლისთვის მაინც შედარებით სტაბილურად გამოიყურება (მაგალითად, **Noftle & Fleeson, 2010**). ავტორები (**Fleeson & Jayawickreme, 2015**) მიიჩნევენ, რომ ნიშნების შიდაპიროვნული ცვალებადობა იმ სოციალურ-კოგნიტური პროცესების დინამიკის შედეგია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტთან ინდივიდის მიმართების თავისებურებებს (მაგალითად, მიზნებს, გუნება-განწყობილებას, როლებს, კოდირების პროცესებს) უკავშირდება. ამგვარი ცვალებადობა ინდივიდის დასახასიათებლად ისეთივე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, როგორც – ნიშნების აღწერილობები.

დისპოზიციური ნიშნების დონიდან პერსონალური ნარატივის დონეზე თუ გადავინაცვლებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნების ეს ნაწილი უაღრესად კონტექსტუალიზებულია (**McAdams, 2013**) და პიროვნების უფრო იდეოგრაფიულ ხედვას გვთავაზობს, ვიდრე მისი ნებისმიერი სხვა დონე (**McAdams & Manczak, 2011**). დისპოზიციური ნიშნებისა და დამახასიათებელი ადაპტაციების მსგავსად, ამბები, რომლებსაც ვყვებით, და სტილი, რომლითაც ამ ამბებს ვყვებით, სტაბილურად უნდა გვინარჩუნდებოდეს სხვადასხვა ამბისა და ცხოვრების მთელი ისტორიის თხრობისას (მაგალითად, **McAdams, 2013**), თუმცა, პიროვნული ნიშნებისგან განსხვავებით, პერსონალური ნარატივები და ცხოვრების ისტორიები ვერ იქნება უცვლელი, რადგან ცხოვრება ვითარდება, ახალი ამბები ხდება, რაც გვაცვლევინებს წარსულის გაგებას, ხედვასა და ინტერპრეტაციას. როდესაც ცხოვრებაში მომხდარ ახალ მოვლენებს „მე“-კონცეფციის ცვლილების ან საკუთარი პიროვნების შესახებ ახალი ინსაიტებისაკენ მივყავართ (**Pasupathi, et. Al., 2007**), ცხოვრების ისტორიაც უნდა შეიცვალოს ამ ინფორმაციის აკომოდაციის პროცესში და აწმყო სელფს (**Self**) მიესადაგოს (**Conway, Singer, & Tagini, 2004**). ასეთი პერსპექტივა გვაფიქრებინებს, რომ ნარატიულ დონეზე პიროვნება უფრო ცვალებადი უნდა იყოს, ვიდრე სხვა დონეებზე. როგორც მაკადამსი (**McAdams, 2013, 2019; Pasupathi, et. al., 2007; McAdams, et al, 2006**) აღნიშნავს, თავად ნარატიული იდენტობა, როგორც წესი, არ მიიჩნევა იმდენად სტაბილურად, რამდენადაც ნიშნები, რადგან ის ფსიქოსოციალური კონსტრუქციაა (**McAdams, 2013**), და პიროვნებისა და მისი სოციოკულტურული კონტექსტის მუდმივი, დინამიკური ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება და ვითარდება.

ნარატიული იდენტობის ამგვარი მოქნილობა პიროვნების პოზიციიდან ერთგვარ ორლესულ მახვილს ჰგავს. ერთი მხრივ, რაკი ნარატივები მუდმივად

ვითარდება, ისინი ინდივიდუალური განსხვავებების იმ განზომილებათა მოხელ-
თების შესაძლებლობას გვიქმნიან, რომლებსაც ნიშნების გაზომვით ვერ ვაღწევთ
(მაგალითად, ექსტრავერსიის სკალაზე ერთნაირი ქულის მქონე ორი ადამიანი
ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ცხოვრების ისტორიებს მოგვითხ-
რობს), თუმცა, მეორე მხრივ, რაკი პერსონალური ნარატივი მუდმივად იცვლება,
რამდენად ასახავს ინდივიდის პიროვნებას დროის ნებისმიერ მომენტში ნებისმი-
ერი მოცემული ნარატივი?

საინტერესოა, რომ, ნიშნების კვლევების დიდი ნაწილის ანალოგიურად,
ნარატიულ დონეზე ანუ ცხოვრების ისტორიის სფეროში მიმდინარე კვლევები ბო-
ლო პერიოდამდე სხვადასხვა ტიპის ნარატივის ნაკრებში მახასიათებლების შესწა-
ვლაზე ამახვილებდა ყურადღებას, პიროვნებათშორისი ცვალებადობის თავისებუ-
რებებით ინტერესდებოდა (მაგალითად, იხ. McLean & Syed, 2015; McAdams &
McLean, 2013; Lilgendahl & McAdams, 2011) და, ფაქტობრივად, ყურადღების მიღ-
მა ტოვებდა ინფორმაციის იმ პოტენციურ მდიდარ წყაროს, რომელსაც ნარატივის
შიდაპიროვნული ცვალებადობის შესწავლა წარმოადგენს. მხოლოდ ბოლო ოთხ-
ხუთ წელიწადში გამოჩნდა პიროვნებისა და ცვალებადობის შესწავლაზე ორიენტი-
რებული კროსსექციური (მაგალითად, იხ. Kober, Facompré, Waters, & Simpson,
2019; Waters, Kober, Raby, & Habermas, 2018; McLean et al., 2016; Dunlop, 2015)
და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევითი პრო-
ექტები (მაგალითად, იხ. Kober & Habermas, 2017), რომლებიც დროთა განმავლო-
ბაში ნარატიული იდენტობის ფორმირებისა და ცვალებადობა-სტაბილურობის დი-
ნამიკის შესწავლას ისახავს მიზნად.³⁹

ცხოვრების ნარატივის ინტრაინდივიდუალური ცვალებადობის შესასწავ-
ლად მკვლევრები (Waters, et. al., 2018) სწავლობენ:

- რომელ კონკრეტულ მოვლენებს/დეტალებს ირჩევენ ან არ ირჩევენ ადამიანები განმეორებითი თხრობისას (Bauer, Tasdemir-Ozdes, & Larkina, 2014; Kober & Habermas, 2017; Mackinnon, De Pasquale, & Pratt, 2016; McAdams et al., 2006; Strauman, 1996; Thorne, Cutting, & Skaw, 1998);
- როგორ შეიძლება შეიცვალოს მოვლენების მნიშვნელობა ან ინტერპრეტაცია (Josselson, 2009);
- როგორია ნარატივის ცენტრალური თემების შერჩევის დინამიკა (Dunlop, Guo, & McAdams, 2016; McAdams et al., 2006);

³⁹ Identity Pathways Project (IPP) ერთ-ერთი ასეთი მიმდინარე პროექტია, რომელსაც ქეთი მაკლინი და ჯეინ ლილგენდაჰლი ახორციელებენ (პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი, 2017, მარტი, 2018 და თებერვალი, 2019).

- როგორ ხდება ნარატივის სტრუქტურირება/ორგანიზება, რასაც ინდივიდის ნარატიულ სტილად მიიჩნევენ (McLean, Pasupathi, Greenhoot, & Fivush, 2017).

თუ არსებული კვლევები ნარატივში მოვლენების შერჩევის მიმართულებით შედარებით ნაკლებ სტაბილურობაზე მიუთითებენ (Bauer et al., 2014; Kober & Habermas, 2017; Mackinnon et al., 2016; McAdams et al., 2006; Strauman, 1996; Thorne et al., 1998), მოვლენების მნიშვნელობის/ინტერპრეტაციისა (Josselson, 2000) და ნარატივის თემების (Dunlop et al., 2016; McAdams et al., 2006; Sengsavang, Pratt, Alisat, & Sadler, 2017) შემთხვევაში მეტად სტაბილურ პატერნებზე შეგვიძლია ვისაუბროთ.

5.1. ცხოვრების ისტორიის სტაბილურობა და ცვალებადობა

ნარატიულ კვლევაში იმპლიციტურად მოცემული და ღრმად ფესვგადგმული დაშვებაა, რომ ინდივიდები კონსისტენტური არიან საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების თხრობისას. ეს დაშვება კარგად ჩანს სხვადასხვაგვარი ნარატივის აგრეგაციისას (მაგალითად, იხ. Blagov & Singer, 2004; Mansfield, Pasupathi, & McLean, 2015; McLean, Wood, & Breen, 2013), ნარატიულ იდენტობაში „შესახედი ფანჯრის“ სახით მხოლოდ ერთი მოვლენის თხრობის მოთხოვნისა (მაგალითად, McLean & Pratt, 2006) თუ დროთა განმავლობაში ნარატივის სტაბილურობის შესახებ ჰიპოთეზების გამოთქმისას (McAdams, et al., 2006). აღნიშნული დაშვება და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სტრატეგიები პიროვნების, როგორც სტაბილური ბირთვის მქონე მთლიანობის, განსაზღვრებიდან მომდინარეობს (Fleeson & Jayawickreme, 2015).

პიროვნებისადმი ტრადიციული მიდგომებისათვის ჩვეული სტაბილურობის დაშვების პარალელურად, თავად ნარატიული იდენტობის შესახებ ლიტერატურაშიც მრავლად მოიძებნება თეორიული მიზეზები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ნარატივის სტაბილურობის შესახებ დებულების მართებულობის მტკიცება. ნარატივი ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება და, ფაქტობრივად, წარმოადგენს კიდევ იდენტობას (McAdams, & McLean, 2013; McLean & Syed, 2015). ამიტომ მაკადამსი თვლის, რომ ნარატივი ინტეგრაციის ფუნქციას ასრულებს და ინდივიდის პიროვნების ერთიანობის შესაქმნელად ანუ ნაწილების გამაერთიანებლად შეიძლება გამოვიყენოთ (მაგალითად, იხ. McAdams & Cox, 2010; McAdams, & Olson, 2010). შესაბამისად, ეს ინტეგრაციულობა ნარატივის ნაკლებად ცვალებად ბუნებას მოიაზრებს. როგორც კვლევა ცხადყოფს, (Dunlop et al.,

2013; McLean, 2008) ნარატივის მეტი ცვალებადობა სხვადასხვა (მაგალითად, პროფესიულ და პიროვნულ) სფეროში ნაკლებ შეგუებულობაზე მიუთითებს, თემატური კონსისტენტურობა კი – მეტ პოზიტიურ შეგუებაზე.

ნარატივის ინტეგრაციის (ანუ ნაკლებად ცვალებადობის) ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის მნიშვნელობაზე ფოკუსის მიმართვის საპირისპირო მოსაზრება კონტექსტუალისტური პოზიციიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, ნარატივის მეტი ცვალებადობა, შეიძლება, მოქნილობასა და ადაპტირების უნარზე მიგვანიშნებდეს (McLean, Pasupathi, Greenhoot & Fivush, 2016). მაკადამსი (მაგალითად, იხ. McAdams & Manczak, 2011; McLean & Syed, 2015), ფაქტობრივად, ნარატივის განვითარებად ბუნებაზე მიუთითებს. ასევე, დღეისათვის ცნობილია, რომ ერთსა და იმავე მოვლენებს ადამიანები განსხვავებულად ყვებიან სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე (McLean, 2005; McLean & Jennings, 2012; Weeks & Pasupathi, 2010), დროთა განმავლობაში (Josselson, 2009; McAdams et al., 2006; Thorne et al., 1998) და სხვადასხვა ტიპის მოვლენის თხრობისას (Waters, Bauer, & Fivush, 2013), რაც იმას მოწმობს, რომ ამბები არ არის ქვაში ნაკვეთი და ნამდვილად ექვემდებარება ცვლილებას.

5.2. რა და როგორ შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების ისტორიაში

როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრების ისტორიები, პიროვნების ნიშნებისგან განსხვავებით, უფრო ცვალებადია, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ახალი მოვლენები ემატება ისტორიას. ამასთან, ახალმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმა, შესაძლოა, ცვლილებები შეიტანოს როგორც ინდივიდის „მე“-კონცეფციაში, ისე მის მიერ საკუთარი პიროვნების ხედვაში, ახალი ინსაიტების წყარო გახდეს (Pasupathi et al., 2007) და, საბოლოოდ, ცხოვრების ისტორიის გადასინჯვამდე მიიყვანოს იგი. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ცხოვრების ისტორიები იმგვარად დააკავშირებენ ინდივიდის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს ერთმანეთთან, რომ მან საკუთარი თავი და განვითარება უწყვეტად და მნიშვნელობის მქონედ აღიქვას (McAdams, 2013; Kober & Habermas, 2017). ამგვარად, ახალი ცხოვრებისეული მოვლენები და ცვლილებები „მე“-კონცეფციაში ცხოვრების ისტორიის მოდიფიცირების მოტივატორი შეიძლება გახდეს და ახლებურად დალაგებული იმგვარი ამბის შექმნას ისახავდეს მიზნად, რომ სანდოდ და დამაჯერებლად მიგვიყვანოს მთხრობლის ამჟამინდელ იდენტობამდე.

ცხოვრების ისტორიები, ფაქტობრივად, ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს:

(ა) როგორ ახდენს მთხრობელი საკუთარი ცხოვრების ისტორიის ინტერპრეტაციას და როგორ აფასებს მას ანუ ყოველი შემდგომი თხრობისას რამდენად მსგავსად თუ განსხვავებულად ჰყვება ინდივიდი საკუთარი ცხოვრების ისტორიას, აფასებს მას და ახდენს ინტერპრეტაციას (მაგალითად, იხ. Dunlop, Guo, & McAdams, 2016; Josselson, 2009; McAdams et. al., 2006);

(ბ) რომელ ცენტრალურ ნარატიულ თემებს ირჩევს მთხრობელი ცხოვრების ისტორიაში ჩასართავად ანუ რამდენად სტაბილურად ნარჩუნდება ნარატივში, მაგალითად, ძალაუფლების, მიღწევის, აფილიაციისა და ინტიმურობის თემები, აფექტები და ურთიერთქმედების პატერნები (მაგალითისთვის იხ. Demorest & Alexander, 1992; McAdams et. al., 2006; Tomkins, 1987; Williams & Conway, 2009);

(გ) რომელი კონკრეტული მოვლენები შეაქვს ან არ შეაქვს მთხრობელს ცხოვრების ისტორიაში (McAdams et. al., 2006; Kober & Habermas, 2017; Mackinnon, De Pasquale, & Pratt, 2016): მასში ერთი და იმავე მოვლენების განმეორებით ჩართვა ცხოვრების ისტორიის სტაბილურობასა და ცნობადობას უზრუნველყოფს;

(დ) როგორ ცვლის მთხრობელი ნარატივის ისეთ ძირითად მახასიათებლებს, როგორებიცაა ნარატივის თანამიმდევრულობა, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, ემოციური ფონი, გადაწყვეტა, კომპლექსურობა და სტრუქტურა (მაგალითად, იხ. McAdams et. al., 2006; McLean, 2008; Reese et. al., 2011).

დასახელებული მიმართულებებით ნარატივის სტაბილურობა-ცვალებადობის გასაზომად საჭიროა განმეორებითი ცხოვრების იმ ისტორიების ურთიერთშედარება, რომლებიც ერთმანეთისაგან დროის შედარებით ვრცელი პერიოდებითაა დაშორებული.

ამრიგად, ცხოვრების ისტორიის ინტრანდივიდუალური ცვალებადობის ორ ფორმაზე შეგვიძლია ვისაუბროთ: (ა) რა და როგორ იცვლება დროის ერთ მომენტში მოყოლილ მსგავსი და/ან განსხვავებული ტიპის ისტორიებში (მაგალითად, იხ. McLean et al., 2016) და (ბ) რა და როგორ იცვლება დროის სხვადასხვა მომენტში მოყოლილ მსგავსი და/ან განსხვავებული ტიპის ისტორიებში (მაგალითად, იხ. Kober & Habermas, 2017; McAdams, et. Al., 2006).

ჩემი კვლევა ნარატივის ცვალებადობის მეორე ფორმაზე ფოკუსირდება და კვლევის საგანს ნარატივის კონკრეტული მახასიათებლების ცვალებადობა წარმოადგენს; კერძოდ, როგორ იცვლება და რა მიმართებაშია ერთმანეთთან სამწლიანი შუალედით ჩანერილ ცხოვრების ისტორიებში პერსონალური ნარატივის ისეთი ბაზისური მახასიათებლები, როგორებიცაა მოვლენის ტიპი, ნარატივის სტრუქტურა და ავტობიოგრაფიული მსჯელობა.

5.3. მოვლენის ტიპი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროში

კვლევის ამ ნაწილში მაინტერესებდა, რამდენად უკავშირდება პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროში მოვლენის ტიპსა და ავტობიოგრაფიული მსჯელობის უნარს პირადი ცხოვრებიდან მოვლენების თხრობისას. სხვა სიტყვებით, სამწლიანი შუალედით ცხოვრების ისტორიის განმეორებითი თხრობისას რამდენად იცვლება ნარატივის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორებიცაა მოვლენის ტიპი (რის შესახებ ჰყვება ადამიანი ამბავს), ავტობიოგრაფიული მსჯელობა (მნიშვნელობის ძიების/პოვნის უნარი, მომხდარი ამბის გავლენა პიროვნებაზე), დადებითი გადაწყვეტა (ის, თუ რამდენად დადებითად გადაწყდა/დასრულდა ამბავი) და რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული მახასიათებლების დროში ცვლილების წინასწარმეტყველება.

კვლევის დაწყებამდე ვივარაუდე, რომ პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროთა განმავლობაში უნდა დაჰკავშირებოდა ნარატივის მახასიათებლების ცვლილებას. ამასთან, არსებულ კვლევებზე დაყრდნობით (მაგალითად, ხეჩუაშვილი, 2016c; 2018; McAdams et al., 2006) ვივარაუდე, რომ პირველი თხრობისას (T1) მოყოლილი ამბების, სულ მცირე, მესამედი გამეორდებოდა სამი წლის შემდეგ მეორედ მოყოლისას (T2), თუმცა, შედარებით უცვლელად შენარჩუნდებოდა მოვლენის ტიპი ანუ თემა. ასევე, ვივარაუდე, რომ კონკრეტული მოგონებების გამეორების სიხშირე არ იქნებოდა დამოკიდებული მოგონების ტიპზე ანუ იმაზე, პიკურ გამოცდილებას ჰყვება რესპონდენტი, ცხოვრების უარყოფითი, გარდამტეხი ანდა მკაფიო მომენტების თუ დანაკარგისა და ცხოვრებისეული გამოწვევების შესახებ. ასევე, მოსალოდნელი იყო, რომ პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროთა განმავლობაში ნარატივის საკვლევი მახასიათებლების მაჩვენებლების ცვლილებაზე აისახებოდა და ამ პირობებში შესაძლებელი იქნებოდა პირველი თხრობისას ნარატივის საკვლევის მახასიათებლების მაჩვენებლებით ან მათი კომბინაციით მეორე თხრობისას ამავე მახასიათებლების ან მათი რომელიმე მდგენლის მაჩვენებლების წინასწარმეტყველება.

5.3.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ სერიაში გენერალური პოპულაციიდან შემთხვევითი ალბათური, ხელმისაწვდომი და თოვლის გუნდის შერჩევის პროცედურებით შერჩეული,

საქართველოში მცხოვრები 15 მოზრდილი ადამიანი მონაწილეობდა (ასაკი: დიაპაზონი 25-82 წელი ($M = 47, 6 (17)$)). მათგან 7 დასაოჯახებელი იყო და 8 დაოჯახებული. კვლევის ყველა მონაწილეს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება (მინიმუმ, ხუთწლიანი საუნივერსიტეტო განათლება ან ბაკალავრიატი). სამი მონაწილე იყო სტუდენტი, 3 – პენსიონერი და 9 დასაქმებული (საჯარო ან კერძო სექტორში).

კვლევის ორივე სერია (2014 და 2017 წლებში) მაკადამის (McAdams, 1993; ხეჩუაშვილი, 2016c) ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ოქმის მიხედვით ჩატარდა (იხ. **დანართი N1**).⁴⁰ ინტერვიუების სიტყვა-სიტყვითი ტრანსკრიპტები (Crossley, 2011) დადგენილი წესის მიხედვით გადაკოდირდა (**თაში 3**).

კოდირებისას ანალიზის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა კონკრეტული მოვლენა ანუ ეპიზოდი ცხოვრების ისტორიაში, რომელიც კონკრეტულ დროსა და ადგილას ხდება და კონკრეტულ მოქმედებებსა და მოქმედ პირებს შეიცავს; რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.⁴¹

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებთან დროის ორ მომენტში (სამწლიანი შუალედით) ვრცელი ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩაინერა, მოცემული კვლევისთვის გადასაკოდირებლად თითოეული ინტერვიუდან შეირჩა 12 მოგონება ანუ 12-12 (სულ 24) მოგონება თითოეული მონაწილის შემთხვევაში T1 და T2 ინტერვიუებიდან. სულ გადაკოდირდა $(12 \times 15) \times 2 = 360$ მოგონება. ეს მოგონებები იყო: (ა) ცხოვრების ისტორიის რვა ძირითადი სცენა: პიკური, უარყოფითი და გარდამტეხი/გადამწყვეტი მომენტები, ბავშვობის დადებითი და უარყოფითი მოგონება, ერთი მკაფიო მოგონება მოზრდილობის პერიოდიდან, სიბრძნის შემცველი მოვლენა და მოგონება, რომელიც სულიერ ანდა რელიგიურ გამოცდილებას უკავშირდება და (ბ) ცხოვრებისეული გამონკვევები: მთავარი გამონკვევა ცხოვრებაში, ჯანმრთელობის პრობლემასთან

⁴⁰ დეტალურად კვლევის შესახებ იხ. ხეჩუაშვილი, 2018.

⁴¹ ასევე, დავითვალეთ თითოეული მონაწილის მიერ დროის ორივე მომენტში თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა. არსებული კვლევები (მაგალითად, იხ. McAdams et al., 2004; 2006) აჩვენებს, რომ სხვადასხვა ტიპის მოგონების თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. შესაბამისად, მაკადამისა და მისი კოლეგების (2006) გამოცდილების შესაბამისად, გარდამტეხი მოვლენის თხრობისთვის გამოყენებული სიტყვების რაოდენობა მთელი ცხოვრების ისტორიის მოსათხრობად გამოყენებული სიტყვების რაოდენობის სანდო რეპრეზენტაციადაა ჩაითვალა. ამიტომ მხოლოდ გადაწყვეტი მოვლენის თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა დავითვალეთ და შემდგომ, ანალიზისას, გავაკონტროლეთ.

დაკავშირებული მოგონება, დანაკარგის და სინანულის/მარცხის ამბავი. დასახელებული მოგონებები ქმნიან ცვლადს „მოგონების ტიპი“. თითოეული ნარატივი გადაკოდირდა ქვემოთ წარმოდგენილი ცვლადების მიხედვით (**ხსრილი N 5.1**).

5.3.2. შედეგები და ინტერპრეტაცია

ცხოვრების ისტორიის მეორედ თხრობისას კონკრეტული მოგონებების დაახლოებით მესამედი (27% ანუ 49 ნარატივი 180-დან) გამეორდა, თუმცა, მოგონების გამეორება არ იყო დამოკიდებული მოყოლილი გამოცდილების ანუ მოგონების ტიპზე ($\chi^2(11) = 19.153, p = .058$) ანუ იმაზე, კვლევის მონაწილე საკუთარი ცხოვრების პიკურ მოგონებას ყვებოდა, უარყოფით, გადამწყვეტ, გამონწვევის შემცველ თუ რომელიმე სხვა ტიპის გამოცდილების ამსახველ მოგონებას.

ხსრილი N 5.1 წარმოგვიდგენს კვლევის მონაწილეების ცხოვრების ისტორიებში საკვლევი ცვლადების (მოვლენის ტიპის, მნიშვნელობის, გავლენისა და დადებითი გადანწყვეტის) განაწილებას პირველი და მეორე თხრობისას.

კვლევაში ჩართული ოთხივე ცვლადის – მოვლენის ტიპის, საზრისის, გავლენისა და გადანწყვეტის – განაწილება დროის ორივე მომენტში განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის მოგონებას ჰყვება კვლევის მონაწილე. ერთადერთ გამონაკლისს გადანწყვეტის ცვლადი წარმოადგენს დროის მეორე მომენტში (**ხსრილი N 5.2**). უფრო კონკრეტულად, დაძაბულობის თემა, უპირატესად, ბავშვობის უარყოფით (T1, T2) და ცხოვრებისეული გამონწვევის (T2) მოგონებებში გვხვდება, მოკვდაობის თემა – უარყოფითი გამოცდილებისა და დანაკარგის შესახებ ამბებში (T1, T2). საკუთარი სელფისა (Self) და ღირებულების შესახებ კვლევის მონაწილეები, ძირითადად, გადამწყვეტი მოვლენის თხრობისას საუბრობენ (T1, T2), მიღწევის შესახებ კი – პიკური გამოცდილების (T1, T2), გამონწვევისა (T1) და მოზრდილობის მკაფიო მოგონების (T2) გახსენებისას. ურთიერთობის თემა თითქმის თანაბრად ნაწილდება ყველა ტიპის მოგონებაში დროის ორივე მომენტში, თუმცა შედარებით გამოკვეთილად და ხშირად არის წარმოდგენილი პიკურ გამოცდილებაში, ბავშვობის დადებით მოგონებებში, დანაკარგის შესახებ ამბებსა (T1, T2) და სიბრძნის შემცველ მოვლენებში (T1). თემები, რომლებიც არც ერთ წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა და გაერთიანდა კატეგორიაში „სხვა“, უპირატესად, სპირიტუალური გამოცდილებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამონწვევის შესახებ თხრობისას იყო წარმოდგენილი.

ცხრილი N 5.1. მოვლენის ტიპის, მნიშვნელობის, გავლენისა და დადებითი გადაწყვეტის განაწილება ცხოვრების ისტორიის თხრობის ორივე მომენტისთვის

ცვლადი	სიხშირე (%)	
	T1 (N=180)	T2 (N=180)
ნარატივში ასახული მოვლენის ტიპი ანუ თემა		
ურთიერთობები	40 (22.2%)	33 (18.3%)
სელფი (Self) და ღირებულებები	10 (5.6%)	27 (15.0%)
მიღწევა	18 (10.0%)	18 (10.0%)
ავტონომია	2 (1.1%)	4 (2.2%)
მოკვდაობა	24 (13.3%)	19 (10.6%)
დაძაბულობა/დისკომფორტი	25 (13.9%)	22 (12.2%)
სხვა	61 (33.9%)	57 (31.7%)
ნარატივში გადმოცემული მნიშვნელობა		
მნიშვნელობის უქონლობა	100 (55.6%)	97 (53.9%)
გაკვეთილი	51 (28.3%)	44 (24.4%)
ბუნდოვანი მნიშვნელობა	16 (8.9%)	25 (13.9%)
ინსაიტი	13 (7.2%)	14 (7.8%)
ნარატივში გადმოცემული ამბის გავლენა მთხრობელზე		
არანაირი	100 (55.6%)	97 (53.9%)
დადებითი/ნეიტრალური	63 (35.0%)	67 (37.2%)
უარყოფითი	17 (9.4%)	16 (8.9%)
დადებითი გადაწყვეტა		
არის	46 (25.6%)	31 (17.2%)
არ არის	134 (74.4%)	149 (82.8%)

შენიშვნა: ცხრილში სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული განაწილებებია მოცემული, $p < .01$.

ცხრილი N 5.2. ანალიზში ჩართული ცვლადების განაწილება მოგონების ტიპის მიხედვით: T1 და T2

საკვლევი ცვლადები	დროის მომენტი	
	T1	T2
მოვლენის ტიპი	* $\chi^2(66)=201.362, p=.000$	* $\chi^2(66)=184.567, p=.000$
საზრისი	* $\chi^2(33)=48.143, p=.043$	* $\chi^2(33)=55.924, p=.008$
გავლენა	* $\chi^2(22)=53.823, p=.000$	* $\chi^2(22)=63.768, p=.000$
გადაწყვეტა	* $\chi^2(22)=42.862, p=.005$	-- $\chi^2(22)=24.535, p=.320$

გარდა ამისა, ოთხივე საკვლევი ცვლადი (მოვლენის ტიპი, საზრისი, გავლენა და გადაწყვეტა), ფაქტობრივად, სტაბილურად შენარჩუნდა სამი წლის შემდეგ ($-.907 < t(179) < 1.578$, $p > .116$, $CI [-.078 - .182]$). გამონაკლისი შეადგინა სელფისა (Self) და ღირებულებების შესახებ ნარატივებმა, რომელთა რაოდენობამაც იმატა ცხოვრების ისტორიის მეორედ მოყოლისას ($F(6) = 7.625$, $p = .000$).

კვლევაში ჩართული ცვლადები მოგონების ტიპის მიხედვით იცვლებოდა დროის ორივე მომენტში, ამიტომ მათ შორის კავშირი მოგონების ტიპის გაკონტროლების პირობებში შევამოწმეთ. მოვლენის ტიპი, საზრისი, გავლენა და გადაწყვეტა – დროის T1 და T2 მომენტებისთვის ცალ-ცალკე აღებული, მოგონების ტიპის გაკონტროლების ფონზე, სანდოდ დადებითად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს (ხსრილი N 5.3).

ასევე, აღმოჩნდა, რომ დროის ორ მომენტში გაზომილი სხვა ცვლადებიც ერთმანეთს უკავშირდებოდა (ხსრილი N 5.3). კერძოდ, პირველ ჯერზე დადებითი გადაწყვეტა სანდოდ დადებითად კორელირებდა საზრისსა და გავლენასთან (ანუ მთელ ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან), ხოლო მეორედ ასეთი კავშირი არ გამოვლინდა.

ხსრილი N 5.3. საკვლევი ცვლადების ინტერკორელაციები: T1 და T2

	საზ- რისი- _2	გავ- ლენა- _1	გავ- ლენა- _2	მოვლ. ტიპი- _1	მოვლ. ტიპი- _2	გადა- წყ._1	გადა- წყ._2
საზრისი_1	<u>.23*</u>	<u>.76*</u>	.16	<u>.18*</u>	<u>.16*</u>	<u>.17*</u>	<u>.15*</u>
	.002	.000	.032	.015	.035	.025	.040
საზრისი_2		.15	<u>.75*</u>	.02	.14	<u>.17*</u>	.134
		.052	.000	.713	.053	.022	.074
გავლენა_1			<u>.31*</u>	<u>.22</u>	<u>.16*</u>	<u>.21*</u>	.068
			.000	.003*	.032	.005	.364
გავლენა_2				.11	<u>.23*</u>	<u>.24*</u>	.101
				.140	.002	.001	.178
მოვლ. ტიპი1					<u>.42*</u>	<u>.29*</u>	.114
					.000	.000	.128
მოვლ. ტიპი 2						<u>.15*</u>	.150
						.045	.045
გადაწყ._1							<u>.30*</u>
							.000

პირველი თხრობისას გაზომილი რომელიმე საკვლევი ცვლადით ან ცვლადების კომბინაციით მეორე თხრობისას გაზომილი რომელიმე საკვლევი ცვლადის ან ცვლადების წინასწარმეტყველების შესაძლებლობის შესამოწმებლად განხორციელებულმა იერარქიულმა მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ

მეორედ თხრობისას საზრისის დახვეწილობის მაჩვენებელს სანდოდ წინასწარმეტყველებს პირველი თხრობისას საზრისის დახვეწილობისა და კონკრეტული ამბების გამეორების სიხშირის კომბინაცია და ხსნის მისი ცვალებადობის 70%-ს ($F(1) = 15.600, p = .000$) (ხსრილი N 5.4 და სურათი N 5.1).


ამრიგად, კვლევის ამ სერიის შერჩევაში ცხოვრების ისტორიის სამწლიანი შუალედით მეორედ თხრობისას კონკრეტული მოგონებების მხოლოდ დაახლოებით მესამედი გამეორდა ანუ პრაქტიკულად უცვლელად შენარჩუნდა ამბების თემატური ხაზები, თუმცა მოგონების გამეორება არ იყო დამოკიდებული იმაზე, კვლევის მონაწილე თავისი ცხოვრებიდან დადებით, უარყოფით, გადამწყვეტ, გამონვევის შემცველ თუ რომელიმე სხვა ტიპის გამოცდილებას ყვებოდა თუ არა, რაც თანხვდება როგორც ქართულ შერჩევებზე მიღებულ, ისე – ამერიკაში წარმოებული კვლევების მონაცემებს (ხეჩუაშვილი, 2016; ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი & გოგიჩაიშვილი, 2018; გოგიჩაიშვილი, ხეჩუაშვილი და მესტვირიშვილი, 2016; McAdams, 2006; Thorne, Cutting, & Skaw, 1998).

ხსრილი N 5.4. მრავლობითი რეგრესიის მოდელი მეორედ თხრობისას საზრისის დახვეწილობის წინასწარმეტყველებისთვის

	არასტანდარტიზებული B	SE B	სტანდარტიზებული β
ბიჯი 1			
კონსტანტა	15.552	1.840	
ამბის გამეორების სიხშირე	1.985		-.598*
ბიჯი 2			
კონსტანტა	7.882	3.398	
ამბის გამეორების სიხშირე	-1.431	.505	-.431*
საზრისის დახვეწილობა T1	.720	.278	.395*

შენიშვნა: $R^2 = .358$ | ბიჯისთვის, $\Delta R^2 = .028$ II ბიჯისთვის ($p < .001$) * $p < .001$.

გარდა ამისა, მოვლენის ტიპის, საზრისის, გავლენისა და გადანყვეტის განილება დროის პირველ მომენტში განსხვავდება იმისდა მიხედვით, რა ტიპის მოგონებას ჰყვება კვლევის მონაწილე. ამასთან, დადებითი გადანყვეტა სანდოდ დადებითად კორელირებს საზრისსა და გავლენასთან (ანუ მთელ ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან). ამასთან, მოვლენის ტიპის, საზრისისა და გავლენის განილება განსხვავდება მოგონების ტიპის მიხედვით, დადებითი გადანყვეტა კი არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე. საინტერესოა, რომ არსებული კვლევების (მაგალითად, McAdams, 2006; Pals & McAdams, 2004) მიხედვით, თხრობისას მომხდარი მოვლენის დადებითი გადანყვეტა ანუ მაკომპენსირებელი სტრუქტურით დალაგება შედარებით სტაბილური მახასიათებელია და ინვარიანტულია მოგონების ტიპის მიხედვით. ეს, ფაქტობრივად, ეხმიანება მაკადამის თეორიულ



სურათი N 5.1. განმეორებითი თხრობისას საზრისის წინასწარმეტყველება

(და ემპირიულად მრავალგზის დადასტურებულ) მოდელს (cf. McAdams, 2013). ის, თუ როგორ მოგვითხრობს ადამიანი საკუთარ გამოცდილებას (თხრობის მოდუსი და სტრუქტურა), მისი სტაბილური ინდივიდუალური მახასიათებელი უფროა და ნაკლებად არის განსაზღვრული მოგონების ტიპით ან ნარატივის რომელიმე სხვა მახასიათებლით. ამბების კარგად დასრულებისკენ მიდრეკილება კი მჭიდროდ უკავშირდება პიროვნების ისეთ პოზიტიურ მახასიათებლებს, როგორებიცაა ოპტიმიზმი, გამოცდილებისადმი ღიაობა, ექსტრავერსია და პოსტტრავმული ზრდა (ხეჩუაშვილი, 2016; Jia, Ying, Zhou, Wu, & Lin, 2015; McLean & Pratt, 2006; Pals & McAdams, 2004).

მოვლენის ტიპი, მნიშვნელობა, გავლენა და დადებითი გადაწყვეტა, ფაქტობრივად, სტაბილურად შენარჩუნდა მეორე თხრობისას ერთი გამონაკლისით: მეორედ თხრობისას, პირველთან შედარებით, ჭარბობდა ამბები სელფისა (Self) და ღირებულებების შესახებ. მაკადამსის (2006) და სხვების კვლევები აჩვენებს, რომ მოვლენის ტიპი სტაბილურად ნარჩუნდება სხვადასხვა დროს თხრობისას და მოცემული შედეგებიც ესადაგება ამ მონაცემებს. ავტობიოგრაფიული მსჯელობაც (მნიშვნელობა და გავლენა) (Kober & Habermas, 2017) შედარებით სტაბილურია არსებული კვლევების მიხედვით. ადამიანს ან შეუძლია რეფლექსია საკუთარ წარსულზე, ან – არა. ეს შეიძლება გაცნობიერებულ/ნებელობით რუმინაციას უკავშირდებოდეს, რადგან პრაქტიკულად ცნობიერი რუმინაციაა ის კოგნიტური პროცესი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს ადამიანი რეფლექსიას, ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ანუ მნიშვნელობის ძიებას, რაც შემდგომი კვლევის საგანს შეადგენს. რაც შეეხება მეორე თხრობისას საკუთარი თავისა და ღირებულებების შესახებ მოყოლილი ამბების რაოდენობის მატებას, ძნელია რაიმე ინტერპრეტაციისა თუ დასკვნების შემოთავაზება, რადგან ერთი კონკრეტული კვლევის

მონაწილე 15 ადამიანის ნარატივების გაანალიზებით მიღებული შედეგები სრულიად არასაკმარისია რაიმე სახის ინტერპრეტაციის შემოსათავაზებლად. ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

რაც შეეხება საკვლევე ცვლადების პრედიქტორულ ღირებულებას, მხოლოდ ერთი მოდელის პირობებში გამოვლინდა, რომ მეორედ თხრობისას მნიშვნელობის დახვეწილობის მაჩვენებელი სანდოდ შეიძლება იქნეს ნაწინასწარმეტყველები პირველი თხრობისას მნიშვნელობის დახვეწილობისა და კონკრეტული ამბების გამეორების სიხშირის ურთიერთქმედებით და ეს კომბინაცია მისი ცვლადობის ორ მესამედს ხსნის.

კვლევა (Pasupathi, McLean, & Weeks, 2009) ცხადყოფს, რომ რაც მეტად ჰყვება ადამიანი ამბავს (მით უმეტეს, ცუდს), მით მეტია გადამუშავების და მასში მნიშვნელობის დანახვის ალბათობა. რეფლექსიურობა ანუ მიზანმიმართული, გაცნობიერებული რუმინაცია უფრო სტაბილური მახასიათებელი თუ არის, მაშინ, სტაბილურად გამეორდება შემდგომ ჯერზე ამბების თხრობისას და, ასევე, იქნება მნიშვნელობის მინიჭების პროცესი და დიდად არ შეიცვლება დროის მსვლელობასთან ერთად. ამიტომ თუ ადამიანი ახერხებს საკუთარი გამოცდილებისთვის მნიშვნელობის მინიჭებას ავტობიოგრაფიული მსჯელობის პროცესში და თან მოცემულ ამბებს პერიოდულად ჰყვება, ეს ორივე ერთად, ლოგიკურია, რომ დიდნილად პროგნოზირებდეს, შემდგომი თხრობისას რამდენად შეძლებს ადამიანი მომხდარში მნიშვნელობის პოვნას.

6. ნარატიული იდენტობა და ტრანსფორმაციული გამოცდილებები

რაც არ გკლავს, გაძლიერებს და ასეც მოხ-
და ჩემს ცხოვრებაში
(მამაკაცი, 34).

იქნებ იმაზე ძლიერები ვართ, ვიდ-
რე გვგონია
(მარგარეტ ეტვუდი „მხევლის წიგნი“).

ირონიულია, შესაძლოა, შემთხვევითობაა, მაგრამ...

08.08.19. ეს დღევანდელი თარიღია და პიროვნული უწყვეტობისა და კარ-
გად ყოფნის განცდისათვის პოტენციურად ტრანსფორმაციული მოვლენების გა-
დამუშავების მნიშვნელოვნებაზე ვინცებ წერას. ასეთი მოვლენების ჩამონათვალი
ჩემს კვლევაში საკუთარი სახლ-კარიდან გამოძევებისა და იძულებით ადგილნაც-
ვლობის გამოცდილებით იწყება.

08.08.14. ჩემი პირველი ნარატიული კვლევის პირველი საველე სამუშაოე-
ბი დავიწყე კვლევის ჯგუფთან ერთად იძულებით ადგილნაცვალ ადამიანებით
დასახლებულ ახალ სოფლებში აგვისტოს ომიდან ზუსტად ექვსი წლის თავზე.

08.08.08. ყველამ ვიცით, რა მოხდა ამ დღეს. დიახ, ეს ის თარიღია ჩვენი
უახლესი ისტორიიდან, რომელიც საქართველოში მცხოვრები ბევრი ადამიანის
ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენად და ერთ-ერთი ეპიზოდური მასტერნარატივის
(იხ. ქვემოთ) დასაბამად იქცა.

გახსოვთ, მოგიყევით, როგორ უჭირდათ ადამიანებს აგვისტოს დღეებში
განცდილის საკუთარ ცხოვრებაში ინტეგრირება? ისიც გითხარით, რომ ვერ ახე-
რხებდნენ საკუთარი თავის მთლიანობაში დანახვას ანუ ომამდელ და სახლ-კარ-
მინადაკარგულ „მე“-ებს შორის კავშირის დამყარებასა და საკუთარი თავის უწყ-
ვეტობის აღქმას იმ მოცემულ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში, რომელ-
შიც უწევდათ ყოფნა.

სახლ-კარის იძულებით დატოვება ერთ-ერთია იმ გამოცდილებიდან, რომე-
ლიც საფრთხეს უქმნის ინდივიდის იდენტობის განცდას (Habermas, & Kober,
2016) და ადამიანს საკუთარი თავის ხელახლა გააზრებისა და პიროვნული უწყვე-
ტობის განცდის დაბრუნების რთული ამოცანის წინაშე აყენებს. როგორც ჩანს,
ცხოვრების ისტორია და თხრობაში ავტობიოგრაფიული მსჯელობის გამოყენება
ასეთი ცვლილებების ხანაში პიროვნული უწყვეტობის შენარჩუნების უმთავრეს
საშუალებას წარმოადგენს (Habermas & Kober, 2016).

კვლევა აჩვენებს (მიმოხილვისათვის იხ. **Pasupathi, 2016**), რომ თუ ცხოვრების პირობები, ვითარებები და სიტუაციები საკმაოდ სტაბილურია და ინდივიდის ცხოვრებაში ბევრი არაფერი ხდება მომნიშვნელობისა და ფსიქოლოგიური ცვლილებების თვალსაზრისით, საკუთარი თავის უწყვეტობის ბაზისური განცდის შენარჩუნებისთვის დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, იმისდა მიუხედავად, რომ ცხოვრება დინამიკურად ვითარდება, ამბები იცვლება და იდენტობაც მათთან ერთად (იხ. წინა თავი). თუმცა თუ ცხოვრება ან თავად ინდივიდი მკვეთრად იცვლება⁴² (მიდის ემიგრაციაში, ფიზიკური ტრავმის შედეგად ეტლს ეჯახება, კარგავს სახლ-კარს, სხვ.), პიროვნულმა წყვეტამ, განურჩევლად იმისა, ამის მიზეზი გარემოდან მომდინარე, იძულებითი თუ შინაგანი მოტივაციითა და სწრაფვებით გამონვეული ცვლილებებია, საფრთხე შეიძლება შეუქმნას ინდივიდის იდენტობის, პიროვნული უწყვეტობის განცდას. სწორედ ამ დროს ერთვება ისტორიის თხრობაში ავტობიოგრაფიული მსჯელობა, რომელიც ეხმარება მას მომხდარის გაანალიზებასა და ექსპლიციტურ განხილვაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდები ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ბიოგრაფიული რღვევის ანუ ტრანზიციების დროს მიმართავენ⁴³ და ასე ინარჩუნებენ/აღდგენენ უწყვეტობის განცდასა და უკეთესად/მეტად ადაპტირებულები ხდებიან ახალ რეალობასთან.

სუბიექტური უწყვეტობის განცდას სოციალური როლები და სოციალური იდენტობები ამყარებენ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება წყვეტის პერიოდებში, ვთქვათ, როლების ცვლილებისას (მაგალითად, პენსიაზე გასვლისას) ან გადაადგილების თავისუფლების დაკარგვისას (მაგალითად, ინსულტის შემდეგ)

⁴² საინტერესოა, რომ არ არის აუცილებელი, რღვევის გამომწვევი/დამანგრეველი ბიოგრაფიული ტრანზიციები მაინდამაინც ნეგატიური იყოს. თუმცა, ნეგატიური მოვლენები, როგორც წესი, უფრო დამანგრეველია, ვიდრე დადებითი. მაშასადამე, ნეგატიური მოვლენების გადამუშავება და ნარატივის სახით ვერბალიზაცია მეტ კოგნიტურ ძალისხმევას საჭიროებს. დადებითი მოვლენების შემთხვევაში არც იმის ახსნა გვჭირდება, რატომ დაგვემართა ეს, და არც მომხდარის საკუთარ პიროვნებასთან დაკავშირება. ფაქტობრივად, დადებითი მოვლენების შესახებ მსჯელობამ შეიძლება შეამციროს კიდევ ჩვენი კარგად ყოფნის განცდა (**Lyubomirsky, Sousa, & Dickerhoof, 2006**). მიუხედავად იმისა, რომ დადებითი მოვლენები ხშირად დაბეჯითებული პიროვნული მცდელობების შედეგია და ამიტომ კარგად ეთანხმება ამ ინდივიდის პიროვნებას, ნეგატიური მოვლენები მოულოდნელი, წინასწარგანუჭვრეტელი და, აქედან გამომდინარე, დამატებითი სტრესისა და გამონვევის წყაროა და, როგორც ჩანს, მათი დაძლევა პირად მიღწევად აღიქმება. შესაბამისად, მოზრდილთა შერჩევაში ავტობიოგრაფიული მსჯელობა დადებითად მხოლოდ მაშინ კორელირებს კარგად ყოფნის განცდასთან, თუ ის უარყოფით მოვლენებს შეეხება და არა – დადებითს (**Lilgendahl & McAdams, 2011**).

⁴³ მას შემდეგ, რაც სტრესული/ტრავმული, ტრანსფორმაციული გამოცდილება ცხოვრების ისტორიის სქემაში ორგანულად ინტეგრირდება, ავტობიოგრაფიული მსჯელობის საჭიროებაც იკლებს.

(Haslam et al., 2008). ეს კავშირი გაშუალებულია ინდივიდის მატერიალური გარემოს, ფინანსური საყრდენისა და სხეულის სტაბილურობის განცდით, რომლებსაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პერსონალური უწყვეტობის განცდაში. ასე მაგალითად, საკუთარ სხეულთან დისკომფორტი ინდივიდის (გარდატეხის ასაკში მომნიშვნელობის გარდა) სხეულის იძულებითმა მოდიფიკაციამ – კიდურის დაკარგვამ ან ტრავმის გამო ეტლში ჩაჯდომამ – შეიძლება შექმნას. მსგავსი წყვეტის განცდას ურთიერთობების, როლების, ადგილმდებარეობისა და ლინგვისტური და კულტურული გარემოს შეცვლა აჩენს. როგორც კვლევა აჩვენებს, სოციალური ტერიტორიული ტრანზიცია ინდივიდუალურ დონეზე ნოსტალგიური მისწრაფების ტერმინებით წარსულის იდეალიზაციითა და/ან პირადი ნივთების სუვენირებად შენახვით შეიძლება შემსუბუქდეს (Habermas, & Paha, 2002), კოლექტიურ დონეზე კი – რიტუალების შენარჩუნებითა თუ შექმნით (Van Genep, 1910/2010).

ჩემს კვლევაში სწორედ იმ ტრანსფორმაციული გამოცდილებების თანმდევი ცვლილებები მაინტერესებს, რომლებმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას პიროვნული უწყვეტობის განცდას და რომელიც პიროვნული წყვეტის თავიდან ასარიდებლად ავტობიოგრაფიული მსჯელობისკენ, რეფლექსიისა და საკუთარი ამბის ხელახლა, ახლებურად თხრობისკენ უბიძგებს ადამიანს. კერძოდ, ეს გამოცდილებაა: (ა) ფიზიკური გარემოს შეცვლა, იქნება ეს სხვა ქვეყანაში ემიგრაციაში წასვლისა თუ საომარი მოქმედებების შედეგად სახლ-კარისა და საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვება; (ბ) სოციალური როლის/სტატუსის შეცვლა, რომელიც სამღვდლოების წარმომადგენლებთან ღვთისმსახურების დაწყებას ან არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების იატაკქვეშეთიდან გამოსვლას სდევს თან და (გ) ფიზიკური გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, რაც ფიზიკური ტრავმის ან პათიმრობის შედეგს შეიძლება წარმოადგენდეს (იხ. **სხრილი N 6.1**).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განურჩევლად იმისა, რომელ კონკრეტულ ტრანსფორმაციულ გამოცდილებაზე ვსაუბრობთ, პიროვნული წყვეტის განცდის საფრთხე ორი განსხვავებული წყაროდან შეიძლება მომდინარეობდეს. ეს, შესაძლოა, თავად ინდივიდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს,⁴⁴ როგორც ქამინგაუთის, ღვთისმსახურების დაწყების ან ემიგრაციაში წასვლის დროს, სხვა შემთხვევაში კი – შექმნილი ვითარების გამო, გარედან მომდინარე, იძულებითი, გარდაუვალი ცვლილება, როგორცაა ფიზიკური ტრავმა ან შეირალებული კონფლიქტის გამო სახლ-კარის დატოვება. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ზოგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია შინაგანი და გარემოდან მომდინარე ბიძგის/მოტივის ერთმანეთისგან გამიჯვნა, როგორც ამას პათიმრობის გამოცდილების მქონე ადამიანები ან

⁴⁴ თუმცა, აქ არ ვსაუბრობთ იმ მოტივებზე, რომლებმაც ასეთი გადაწყვეტილებისკენ უბიძგა ადამიანს.

ემიგრანტები აღნიშნავენ თავიანთი ისტორიების თხრობისას. ზოგიერთი ყოფილი პატიმრის მონათხრობით ირკვევა, რომ ისინი გაუცნობიერებლად, შემთხვევით ან მათგან დამოუკიდებლად შექმნილ ვითარებაში აღმოჩნდნენ დამნაშავის როლში და არა – თავიანთი ცნობიერი არჩევანის თუ გადაწყვეტილების გამო. იგივე შეიძლება ითქვას ემიგრანტებზეც. როგორც ჩემმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: „მეტი გზა არ დამიტოვეს, იძულებული გავხდი, დაბრუნებაზე ფიქრი შემეწყვიტა და აქ ამენყო ცხოვრება, შემექმნა მომავალი“ (მამაკაცი, 39).

ხსრილი N 6.1. კვლევის სამიზნე ტრანსფორმაციული გამოცდილებები

პიროვნული უწყებობის საფრთხე	ტრანსფორმაციული გამოცდილება, რომელიც ქმნის ამ საფრთხეს	ტრანსფორმაციული გამოცდილების მქონე ადამიანები
სოციალური როლის/სტატუსის შეცვლა	<ul style="list-style-type: none"> ღვთისმსახურების დანყება* ქამინგაუთი (იატაკქვეშეთიდან გამოსვლა) 	<ul style="list-style-type: none"> მოქმედი სამღვდელოების წარმომადგენლები არაჰეტეროსექსუალი ადამიანები
ფიზიკური გარემოს შეცვლა	<ul style="list-style-type: none"> ემიგრაციაში წასვლა* შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად სახლ-კარიდან იძულებით გამოძევება/გამოქცევა 	<ul style="list-style-type: none"> ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები 2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალი პირები
გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა	<ul style="list-style-type: none"> დანაშაულის ჩადენა და თავისუფლების აღკვეთის გამოცდილება ფიზიკური ტრავმა და ეტლში ჩაჯდომა* 	<ul style="list-style-type: none"> რესოციალიზაციის პროცესში მყოფი ყოფილი პატიმრები ზურგის ტვინის ტრავმის გამო ეტლით მოსარგებლე ადამიანები

შენიშვნა: *-ით აღნიშნული ტრანსფორმაციული გამოცდილების შესახებ მონაცემები არ არის აქ წარმოდგენილი.

ამრიგად, შემდეგი სამი ქვეთავი, რომელშიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანების შესახებ მოგიტხრობთ, ერთი იდებით ერთიანდება: მიუხედავად განსხვავებული გამოცდილებისა, მოტივებისა და ცხოვრების ტრაექტორიებისა, თითოეული რესპონდენტის ცხოვრებაში ხდება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი (სახლ-კარისა თუ თავისუფლების დაკარგვა, ან, პირიქით, საკუთარი თავის პოვნა და იატაკქვეშეთიდან გამოსვლა), რაც აღქმება,

როგორც წყვეტა, გარდამტეხი მომენტი და მათ პიროვნულ ტრანსფორმაციას, რეფლექსიასა და იდენტობის რეკონსტრუირებას ედება საფუძვლად.

თავის დასასრულს შემოგთავაზებთ თეორიულ მოდელს, რომელიც უკვე მოპოვებულ, ქვემოთ აღწერილი მონაცემების განზოგადების შედეგს წარმოადგენს და შემდგომ ემპირიულ გადამონმებას საჭიროებს.

6.1. ომი და იძულებითი ადგილმონაცვლეობა: პერსონალური ნარატივის სტრუქტურა და პოსტტრავმული ზრდა

ჩვენ ვართ ხეები, რომელთაც ფესვები დაგვაჭრეს და ისე ჩავგარჭეს სხვაგან; ხე, რომელიც ეს-ესაა ჩამოყრის ფოთლებს (ქალი, 67).

იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, როცა შენი სახლ-კარიდან გამოგაძევებენ... როცა ესეთი დიდი სტრესი გადაგაქვს, ესეთი საშინელი რამე გადადის შენს თავზე, სულ რომ არ გინდოდეს და თქვა, რომ არ შევიცვალე, რაღაცა იცვლება შენში აუცილებლად. ჩემშიც რაღაც-რაღაცები შეიცვალა. რაღაცა დავივიწყე ან იძულებული ვაგზდი, დამევიწყებინა და რაღაცა განვაახლე (ქალი, 48).

უამრავი მსგავსი ამბავი მაქვს მოსმენილი 2008 წლის ომის შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებთან საუბარში როგორც ფსიქოლოგს, მკვლევარსა და, უბრალოდ, ადამიანს. 2014 წლის 8 აგვისტოს ჩემი კვლევის პირველი სავლელ სამუშაოები დავინწყე და ოთხ, კარგად მომზადებულ ასისტენტთან ერთად ჩემი მაშინდელი „გოლფით“ თბილისიდან გორამდე ახლად გაჩენილი სოფლებისკენ გავემგზავრეთ.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, თავად დასახლებები და საცხოვრებელი სახლები იყო, რომლებიც მათში მცხოვრებ ადამიანებთან შეხვედრამდე გვიყვებოდნენ თავიანთ ისტორიებს. არასოდეს დამავიწყდება წეროვანში გატარებული პირველი დღე. დავდიოდით თითქმის 40 გრადუსიან სიცხეში და სახლებს ვათვალიერებდით. ზოგ სახლს პირვანდელი სახე შეენარჩუნებინა და ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მშენებლობის დასრულების დღეს, ზოგი კი – მორთულ-მოკაზმული იდგა: ლობეებით, ყვავილებით, ბალვენახითა და მიშენებებით. ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანდა, ვინ „იჯდა ჩემოდნებზე“ და ვის უკვე დაეწყო „ყველაფერი ნულიდან და ახალი ფესვები გაედგა ახალ ადგილზე“.

ამბავი ბევრნაირი იყო. ადამიანები იმაზე მეტი მონდომებით, ხალისითა და მზაობით გვიზიარებდნენ თავიანთ ამბებს, ვიდრე მოველოდით. სასონარკვეთის ზღვარზე ყოფნის ამბებს ახალი სიცოცხლის დაბადების, შეგუების, ახალი ძალები-სა და რესურსების გამონახვის ამბები ცვლიდა.

აქ დაავადმყოფდა ხალხი, ბევრი დეპრესიული გახდა, ცხოვრებაზე იმედი საერთოდ დაკარგა, ხელი ჩაიქნია. ბევრი ხალხი, ძალიან ბევრი ხალხი, აი, ესე შეინირა ამ დევნილობამ (მამაკაცი, 52).

რომ წამოვედით, ჩემი გოგო ორსულად იყო. ბიჭი აქ, დევნილობაში, დაიბადა. ის სახლი თვალთ არ უნახავს და ვერც ველარასოდეს ნახავს. ეს ბავშვია ჩვენი მიზანი და ცხოვრების აზრი. მისთვის ვქმნით, თუ რამეს ვქმნით (ქალი, 59).

ადამიანები სხვადასხვანაირად გამკლავებოდნენ გარდაუვალ რეალობას – მათ იძულებით ადგილნაცვალნი პირები⁴⁵ ერქვათ და უნდოდნენ თუ არა, ფეხი უნდა აენწყათ ამ მოცემულობისთვის. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს“. ამ ფენომენს ფსიქოლოგიაში პოსტტრავმული ზრდა ჰქვია. ყველაზე ვრცლად მასზე ტედესკი და კალჰოუნი (2004) თავიანთ ტრანსფორმაციულ მოდელში საუბრობენ, თუმცა, ჩემი აზრით, პოსტტრავმული ზრდის ფენომენოლოგიას ნარატიული იდენტობის მოდელი (Pals & McAdams, 2004) უკეთ აღწერს. შესაბამისად, ქვემოთ ორივე მოდელს მიმოვიხილავთ.

6.1.1. პოზიტიური ტრანსფორმაცია: პოსტტრავმული ზრდა

ტრანსფორმაციული გამოცდილების შემდგომი პოზიტიური ცვლილებების საკვლევა⁴⁶ ტედესკისა და კალჰოუნს (2004) პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციულ მოდელს ვიყენებ, რომლის მიხედვითაც, პოსტტრავმულ ზრდად მოიაზრება ის დადებითი ცვლილებები, რომლებსაც ადამიანები სტრესული და ტრავმული მოვლენების შემდეგ განიცდიან (Powell, et. al., 2003). მოდელის ავტორების (Tedeschi & Calhoun, 2004) მიხედვით, ტერმინი „პოსტტრავმული ზრდა“ ისეთ ცვლილებებზე მიუთითებს, რომლებსაც ინდივიდი ადაპტაციის უფრო მაღალ დონეზე გადაჰყავს, ვიდრე ტრავმულ გამოცდილებამდე იყო. შესაბამისად, ეს თვისებრივი ცვლილებაა ფუნქციონირებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა უშუალოდ ტრავმის შედეგს არ წარმოადგენს და ის ფაქტი, რომ პიროვნება მეტ-

⁴⁵ ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს უწოდებენ იძულებით ადგილნაცვალს, თუ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ბუნებრივი კატასტროფების (მიწისძვრის, წყალდიდობის, სხვ.) ანდა ადამიანის მიერ გამოწვეული ფართომასშტაბიანი მოვლენების (შეიარაღებული კონფლიქტები, ომები, სხვ.) გამო და დასახლებულიყო სხვა ტერიტორიაზე თავისივე ქვეყნის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, იძულებით ადგილნაცვალნი პირი არ ტოვებს სახელმწიფოს აღიარებულ საზღვრებს და არ მიდის სხვა ქვეყანაში ისე, როგორც ეს ლტოლვილების შემთხვევაში ხდება (Gogishvili, 2015).

⁴⁶ კვლევის ეს ნაწილი განხორციელდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევრის კვლევითი გრანტის ფარგლებში (CARTI) გრანტის გამცემი ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი, გრანტი N:IN2013-11481.

ნაკლებად იზრდება ტრავმული გამოცდილების შემდეგ, იმას როდი ნიშნავს, ტრავმის თანმდევი უარყოფითი გამოცდილება ქრებოდეს. გარდა ამისა, ზრდის ფენომენი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავად ტრავმა წყვეტს არსებობას, როგორც დისტრესის მომტანი მოვლენა. ტედესკისა და კალჰუნის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა ფსიქოლოგიური გადარჩენის მცდელობის შედეგად მიიღწევა და უპრობლემოდ შეიძლება თანაარსებობდეს ტრავმული გამოცდილების რეზიდუალურ დისტრესთან (Jayawickreme & Blaickie, 2014).

ავტორები მიუთითებენ, რომ პოსტტრავმული ზრდა სამ სხვადასხვა სფეროში შეიძლება შეინიშნებოდეს, ესენია: (ა) თვითაღქმა ანუ ადამიანს ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, (ბ) სხვებისადმი დამოკიდებულება ანუ ადამიანი გადააფასებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და მათთან ურთიერთობას და (გ) ზოგადი ცხოვრებისეული ფილოსოფია ანუ ადამიანი ხელახლა გაიაზრებს საკუთარ სულიერ, რელიგიურ და ღირებულებით ორიენტაციებს. ეს სამი მიმართულება მათ მიერვე შექმნილი 25 დებულებიანი კითხვარით იზომება (Khechuashvili, 2018) და ისეთი ფაქტორებით აღინერება, როგორებიცაა სხვებთან ურთიერთობა, ახალი შესაძლებლობები, პიროვნული სიძლიერე, სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება (Tedeschi & Calhoun, 1996).

როდესაც 34 წლის ანას (სახელი შეცვლილია) გარდამტეხი მოვლენის შესახებ ვკითხე, არც უყოყმანია, ისე მომიყვა 2008 წლის აგვისტოს დღეების შესახებ. წლობით ნაშენები და „ნაფერები სახლ-კარის“ დატოვების ამბავი ასე დაასრულა:

2008 წლის ომი, კი... როდესაც ყველაფრის გარეშე დავრჩით. როდესაც ყველაფრის გარეშე დავრჩი, უფრო მეტად დავფიქრდი იმაზე, თუ რა ხანმოკლეა ცხოვრება. ძალიან ხანმოკლე. გრძლად გვეჩვენება ყოველი განვლილი დღე, როდის დაღამდება, როდის გათენდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ადამიანმა უფრო მეტი უნდა გააკეთო ცხოვრებაში, რაც შეგიძლია და არ შეგიძლია, რომ კვალი დატოვო, როგორც კარგმა ადამიანმა, პირველ რიგში. არ აქვს მნიშვნელობა, მდიდარი ხარ, სახლში რა გაქვს, როგორ, რანაირად; უბრალოდ კარგი ადამიანი იყო.

ეს ამონარიდი ტრავმული გამოცდილების ტრანსფორმაციული პოტენციულის სრულად გამოყენების იდეალურ ილუსტრაციას წარმოადგენს. ადამიანმა, რომელმაც დაკარგა ყველაფერი, სახლ-კარისა და საკუთარი თავის ჩათვლით, იმდენი რესურსი მოიძია საკუთარ თავში, რომ იმაზე უკეთესი და ძლიერი გახდა, ვიდრე იყო, და რადიკალურად ხელახლა გაიაზრა საკუთარი თავისადმი, სხვა ადამიანებისა და სამყაროსადმი დამოკიდებულება.

ამრიგად, პოსტტრავმული ზრდა არის როგორც ტრავმული/სტრესული გამოცდილების კოგნიტური გადამუშავების შედეგად საკუთარი თავისადმი, სხვებისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ისე –

დროში განფენილი კოგნიტური პროცესი (Calhoun & Tedeschi, 2013). ამ პროცესის აღძრას მძლავრი ბიძგი ესაჭიროება, რომელსაც საკმარისად ინტენსიური ტრავმული/სტრესული მოვლენა იძლევა (როგორც სახლიდან იძულებითი, უკანმოუხედავი გაქცევა), რათა სერიოზულად შეარყიოს და ზოგჯერ დაანგრეოს კიდევ ფუნდამენტური სქემები, მიზნები და დაშვებები სამყაროს შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, საზრისსა და მიზანს სძენენ ადამიანის ცხოვრებას. ეს ფუნდამენტური დაშვებები და სქემები ნარატიული იდენტობის საფუძველსაც ქმნიან (McAdams, 1996; 2013). შესაბამისად, როდესაც საკმარისად სტრესული მოვლენა ამ ფუნდამენტური დაშვებებისა და სქემების გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე აყენებს ინდივიდს, ეს აუცილებლად აისახება მის ცხოვრების ისტორიაში ანუ ნარატიულ იდენტობაში (Pals & McAdams, 2004; Lilgendahl & McAdams, 2011). ამიტომ პოსტტრავმული ზრდის პროცესის გაგების ერთ-ერთი (თუ საუკეთესო არა) გზა პერსონალური ნარატივების გაანალიზებაა (Pals, 2000; Pals & McAdams, 2004).

პოსტტრავმული ზრდა (Tedeschi & Calhoun, 2004), არსებითად, ძველი სქემების ნაცვლად ახლის შექმნის პროცესია, ამიტომ ნარატიული მოდელის ავტორები თვლიან, რომ, ნარატივის ანალიზის მეშვეობით, ამ პროცესისთვის თვალის გადევნებას ორი უპირატესობა მაინც აქვს, თვითანგარიშის კითხვართან შედარებით. პირველი, ვინაიდან ზრდა ახალი სქემების ფორმირების პროცესია, გაცილებით მეტის მომცემი იქნება პერსონალური ნარატივის კონტექსტში ანუ თავად ინდივიდის სუბიექტური გადმოსახედიდან ამ პროცესის ბუნებრივ განვითარებაზე დაკვირვება. წინააღმდეგ შემთხვევაში უცნობი დარჩება, რეალურად რამდენად ღირებულია ეს ცვლილებები მოცემული ინდივიდისათვის და რამდენად უკავშირდება მის იდენტობას. მაგალითად, სხვა ადამიანმა შეიძლება დაახლოებით იგივე ქულა მიიღოს პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარზე, როგორც ამ ქვეთავის დასაწყისში მოცემული ამონარიდის ავტორმა, თუმცა სტრესული მოვლენის ნარატივი აჩვენებდეს, რომ მისთვის გაცილებით პერიფერიულია ეს მოვლენა, ნაკლებად უკავშირებს ერთმანეთს სტრესულ მოვლენასა და საკუთარ „მე“-ს (McLean, 2008; McLean & Fournier, 2008; Pasupathi & Mansour, 2006) და, შესაბამისად, ზრდის შედეგები ნაკლებად განვითარებული და ჩართულია მის იდენტობაში. მეორე, პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარი, რომელიც აღნიშნული მოდელის ავტორებს ეკუთვნით (იხ. ქვემოთ), ტრანსფორმაციის შედეგად მხოლოდ რამდენიმე სფეროში მიღწეულ ცვლილებას ზომავს მაშინ, როდესაც რეალურად ზრდის გამოცდილება ადამიანს ისეთ სფეროში შეიძლება ჰქონდეს, რომელსაც არ მოიცავს კითხვარი, ანდა ის ამას მისთვის დამახასიათებელი უნიკალური გზებით ახერხებდეს, რაც, ასევე, კითხვარის ფარგლებს მიღმა დარჩება. ამრიგად, როგორც ნარატიული იდენტობის მოდელის ავტორები

თვლიან (მაგალითად, იხ. Pals & McAdams, 2004), პოსტტრავმული ზრდის ნარატიული შეფასება შესაძლებელს ხდის დადებითი თვითტრანსფორმაციის პიროვნებისეული ხედვის შესწავლას, რაც ადამიანთა ცხოვრებაში შესაძლებელი ზრდის სხვადასხვა ფორმის დიაპაზონის შეზღუდვის გარეშე ხერხდება.

პოსტტრავმული ზრდის ნარატიული კვლევა პერსონალური ნარატივის კონკრეტული სახის სტრუქტურის შესწავლას მოიაზრებს. კერძოდ, საუბარია იმ კონკრეტულ სქემაზე, რომლითაც აგებენ ადამიანები პოსტტრავმული ზრდის პროცესისა და შედეგების ამსახველ მოგონებებს. როგორც მკვლევრები (King, Scollon, Ramsey, & Williams, 2000; Pals, 2000; Pals & McAdams, 2004) მიუთითებენ, ასეთ ნარატივებში მთხრობელი ამბის დასაწყისში ნათლად გამოკვეთს უარყოფით ემოციურ მოვლენას, როგორც საწყის ნერტილსა და გამოწვევას, რომელსაც საკუთარი თავის ახლებურად ხედვის პოტენციურ წყაროდ აღიქვამს. შემდგომ თხრობას ტრანსფორმაციული და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით განაგრძობს და ამბავი აუცილებლად კარგად მთავრდება. ამასთან, კარგი, დადებითი დასასრული კიდევ ერთხელ ადასტურებს და უხსნის მსმენელს (და თავად მთხრობელს), როგორ შეიცვალა დადებითად მისი „მე“ (სელფი (Self)). მაგალითად, ამ ქვეთავის დასაწყისში მოცემული ამონარიდის ავტორი ცხადად აღწერს უაღრესად სტრესულ გამოცდილებას, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ იმ ემოციებით სავსე სიტუაციამ კარგად დაანახა გამოსავალი, სამომავლო გზა და კურსი; ეს იმასაც მიუთითებს, რომ მძიმე სიტუაცია მან სათავისოდ, სასიკეთოდ მოატრიალა და გამოიყენა: ცუდი ამბავი კარგად დაასრულა – ტანჯვის შედეგად რაღაც შეიძინა და პიროვნულად გაიზარდა/გაძლიერდა.

ნარატივის ანალიზი (თვისებრივი მიდგომა) და თვითანგარიშის კითხვარი (რაოდენობრივი მიდგომა) პოსტტრავმული ზრდის პროცესისა და შედეგების გამოვლენისა და გაზომვის ორი ალტერნატიული გზაა, მაშასადამე, ლოგიკურია, რომ ამ ორი გზით მიღებულ შედეგებს შორის კავშირი არსებობდეს. ამასთან, ნარატიული მოდელი უფრო მეტის დანახვის საშუალებას იძლევა (Pals & McAdams, 2004), ვიდრე თვითანგარიშის მეთოდი, შესაბამისად, კვლევაში მოსალოდნელი იყო, რომ ორი სხვადასხვა მეთოდით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი ზომიერად (და არა – მჭიდროდ) დადებითად დაუკავშირდებოდა ერთმანეთს.

გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო, რომ ნარატივის მაკომპენსირებელი სტრუქტურა იწინასწარმეტყველებდა ტრანსფორმაციული მოდელის ფარგლებში შემუშავებული თვითანგარიშის კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის ჯამურ ან/და მისი ერთ ან რამდენიმე ქვესკალის მაჩვენებელს, რადგან თვითანგარიშის კითხვარის დებულებებზე გაცემული პასუხები, გარკვეულწილად, ისევ

თვითრეფლექსიის შედეგად შეირჩევა და კვლევის მონაწილის მიერ ტრავმული/სტრესული მოვლენის კოგნიტური გადამუშავების, გააზრების და მის შესახებ პერსონალური ნარატივის აგების შედეგად და მის კონტექსტში ხდება.

ამასთან, ეს ვარაუდი მართებული უნდა ყოფილიყო განურჩევლად ინდივიდის სტრესული/ტრავმული გამოცდილების სახეობისა. სხვა სიტყვებით, საზიარო სტრესული გამოცდილების მქონე (კვლევის ამ ნაწილის შემთხვევაში იძულებით ადგილმონაცვლეობის გამოცდილების მქონე ინდივიდთა) ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა არ უნდა ახდენდეს გავლენას მოსალოდნელ კავშირზე, რადგან, როგორც პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელის (Calhoun & Tedeschi, 2013), ისე სტრესული მოვლენების ნარატიული გადამუშავების (Pals & McAdams, 2004) თეორიის მიხედვით, წარმატებული ზრდა პიროვნებაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებაა, რომელიც რამდენიმე ნაბიჯისგან შემდგარი კოგნიტური პროცესის შედეგად მიიღწევა და, ძირითადად, არ არის დამოკიდებული განცდილი ტრავმული მოვლენის ბუნებაზე⁴⁷.

6.1.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ სერიაში გენერალური პოპულაციიდან შემთხვევითი ალბათური და ხელმისაწვდომი შერჩევის პროცედურებით შერჩეული 100 მოხალისე მონაწილეობდა (50 იძულებით ადგილმონაცვალ და 50 სხვა მოქალაქე, საშუალო ასაკი = 49(15.9) წელი, დიაპაზონი 25 – 84 წელი), რომელთაგან 2/3 ქალი იყო. კვლევის მონაწილეთა ნახევარს ჰქონდა უმაღლესი, ხოლო თითქმის მეხუთედს – სრული საშუალო ან პროფესიული განათლება.

ყველა მონაწილე ეთნიკური ქართველი იყო. მათი უმრავლესობა (85.6%) თავს მართლმადიდებლად თვლიდა. ჯგუფის დანარჩენი წევრები არც ერთ აღმსარებლობას არ მიაკუთვნებდნენ თავს. მხოლოდ ერთმა მონაწილემ თქვა, რომ იეღოვას მოწმე იყო. მართლმადიდებელ მონაწილეთა მხოლოდ 10%-მა აღნიშნა, რომ რეგულარულად იყო ჩართული რელიგიურ რიტუალებში, დანარჩენი მონაწილეთა კი – ზოგჯერ (34%) ან იშვიათად (33%).

⁴⁷ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი კვლევისა (მაგალითად, Tedeschi & Calhoun, 2004; Taku, et al., 2007) და მოდელის ავტორის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდის კონფიგურაცია (ფაქტორების მიხედვით მიღებული მაჩვენებლების დონეზე) იცვლება ზრდის წინმსწრები სტრესული მოვლენის თავისებურების მიხედვით. მაგალითად, ზრდის განზომილებათა კომბინაცია განსხვავებულია ლტოლვილობის გამოცდილების (Powell, et. al., 2003), მკერდის სიმსივნის დიაგნოზის (Koutrouli, Anagnostopoulos, & Potamianos, 2012) და განქორწინების (Lamela, Igueiredo, Bastos, & Martins, 2013) შემთხვევაში, თუმცა კოგნიტური პროცესი, რომელსაც ადამიანები გადაიან, მსგავსია (Jayawickreme & Blaikie, 2014).

მონაწილეთა ნახევარმა აღნიშნა, რომ საშუალო ან დაბალი შემოსავალი ჰქონდა, ხოლო 1/3-მა საკუთარი თავი ღარიბის კატეგორიაში მოათავსა (თვეში 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი). მონაწილეთა მხოლოდ 10%-ს ჰქონდა შედარებით მაღალი შემოსავალი. შერჩევის თითქმის მეხუთედი უმუშევარი ან პენსიონერი იყო, მეოთხედი – დიასახლისი. დასაქმებულთა მეხუთედი კერძო სექტორში მუშაობდა და ამდენივე – კერძო სანარმოებსა და ორგანიზაციებში. მონაწილეთა ნახევარზე მეტი (60.%) ქალაქში ცხოვრობდა, დანარჩენი კი – სოფლად: მათ დიდ ნაწილს იძულებით ადგილნაცვალი პირები წარმოადგენდნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ახალ დასახლებებში ბინადრობდნენ. ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩენილ ბუფერულ ზონებში ცხოვრობდა (მეტი დეტალისთვის იხ. Khechuashvili, 2014b).

რაც შეეხება ბოლო ორი წლის განმავლობაში გადატანილ ტრავმულ გამოცდილებას, მონაწილეთა თითქმის მესამედმა (29.2%, 90) დაასახელა ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, 24%-მა – საკუთარ თავთან დაკავშირებული მოვლენები (საცხოვრებელი ადგილის ან ფინანსური მდგომარეობის შეცვლა), 18.5%-მა – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოცდილება (ტრავმა, ავადმყოფობა, ძილის დარღვევები), 15.9%-მა – ოჯახთან დაკავშირებული მოვლენები (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ოჯახის სტრუქტურის ცვლილება) და 12.3%-მა – ურთიერთობა (მეუღლესთან/ პარტნიორთან დაშორება).

შედეგების დამუშავებისას 10 კვლევის მონაწილის მონაცემები გამოირიცხა შემდგომი ანალიზიდან და მხოლოდ 90 მონაწილის შედეგები გაანალიზდა. გამორიცხვის მიზეზები იყო: (ა) ოთხი მონაწილე აფზახეთიდან დევნილიც იყო, (ბ) სამმა მონაწილემ ინტერვიუს დასრულებამდე იუარა კვლევის გაგრძელება და (გ) სამმა მონაწილემ არ შეავსო კითხვარები.

კვლევა ყველა სტანდარტული პროცედურის დაცვით (თაჰი 3), 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში ორ ეტაპად განხორციელდა: (ა) მკვლევართა ჯგუფის⁴⁸ ინტენსიური სავლელ საქმიანობა ორი კვირის განმავლობაში იძულებით ადგილნაცვალ პირთა ახალ დასახლებებში (ნეროვანი, კოდა, ხურვალეთი და ა. შ., სულ

⁴⁸ კვლევის ამ ნაწილისათვის უღრმესი მადლობა კვლევით ჯგუფს: ანა შავგულიძეს, გიორგი კვირიკაშვილს, გიო ნამჩევაძეს, ციუკა ყიფშიძეს, ლელა ლეჟავას, მაია მაზანიშვილსა და ნინო გუგუშვილს, რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე იყვნენ ჩართულნი და რომელთა გარეშეც ვერ შესრულდებოდა ასეთი მასშტაბური სამუშაო, ზაფხულის ცხელ დღეებში სოფელ-სოფელ სიარულიდან დაწყებული, კოდირების სისტემის შემუშავებითა და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შესახებ მოსაზრებებით დამთავრებული. განსაკუთრებული მადლობა და ჩემი უდიდესი პატივისცემა ანა შავგულიძეს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მონესრიგებისთვის, კოდირებისა და იდეალური მონაცემთა ბაზის შექმნისთვის.

10 დასახლებული პუნქტი), როდესაც ჩაინერა 50 ინტერვიუ კვლევის მონაწილეთა საცხოვრებელ სახლებში; (2) მეორე ეტაპი მოიცავდა დანარჩენ 50 რესპონდენტთან ინტერვიუებს მათთვის მოსახერხებელ ადგილას (ძირითადად, სახლებსა და კაფეებში). თვისებრივი ნაწილი მაკადამის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ოქმის მიხედვით ჩატარდა, რაოდენობრივი ნაწილისთვის კი ორი ინსტრუმენტი იქნა გამოყენებული:

პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია (PTGI-Geo),⁴⁹ ორიგინალურის მსგავსად, 21 დებულებისგან შედგება და, მისი ორიგინალური ხუთფაქტორიანი სტრუქტურის ნაცვლად, ოთხფაქტორიანი ინსტრუმენტია, რომელშიც უცვლელად არის შენარჩუნებული სხვებთან ურთიერთობის („სხვებთან მეტსიახლოვეს ვგრძნობ“), პიროვნული სიძლიერისა („აღმოვაჩინე, რომ იმაზე ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა“) და ახალი შესაძლებლობების („ცხოვრებაში უკეთესი საქმეების კეთება შემიძლია“) სკალები, ხოლო სპირიტუალური ცვლილებისა (IV) და ცხოვრების დაფასების (V) სკალები გაერთიანდა და ახალი IV სკალა („ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“) წარმოქმნა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლების მიხედვით, კითხვარის ქართული ვერსია უახლოვდება ორიგინალს, კერძოდ, 21 დებულების ჯამური კოეფიციენტი $\alpha = 0.92$ -ია, ხოლო ცალკეული სკალებისთვის კრონბახის ალფას (Cronbach, 1951) მნიშვნელობა 0.74-დან 0.86-ის დიაპაზონში ცვალებადობს (ხეჩუაშვილი, 2015; Khechuashvili, 2016).

ეს ინსტრუმენტი არის თვითანგარიშის კითხვარი, რომელშიც კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, დაასახელონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სტრესული გამოცდილება მათ ცხოვრებაში და მასთან მიმართებით შეაფასონ თითოეულ დებულებაში აღწერილი ცვლილების ინტენსივობა ლიკერტის ფორმატის ექვსქულიან სკალაზე, რომელზეც „0“ აღნიშნავს პასუხს „საერთოდ არ მომხდარა ეს ცვლილება“ და „5“ მიუთითებს პასუხზე „ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა“ (Jayawickreme & Blackie, 2014). თითოეული სკალის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებელი მიღებული პასუხების დაჯამებით მიიღება. ამ ინსტრუმენტის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით ცვლილებას ზომავს, მაგალითად, თუ გადატანილი ტრავმული/სტრესული მოვლენის შემდეგ მონაწილის ცხოვრება გაუფასურდა ან ნაკლებად ღირებული გახდა, დებულებაზე „ყოველი დღე უფრო ღირებულია“ პასუხის გაცემისას ამ ცვლილებას

⁴⁹ თარგმანისა და ენობრივად გამართვის პროცესის დეტალური აღწერისთვის იხ. Khechuashvili, 2014a და 2016. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კითხვარის პირველი ვერსიაა, რომელიც შემდგომში გადამუშავდა, დაიხვეწა და კვლევის შემდგომ სერიებში უკვე ახალი, 25 დებულებიანი ვერსია იქნა გამოყენებული (Khechuashvili, 2018). იხ. ქვემოთ, **ქვეთაპი 9.1.**

ვერ დააფიქსირებს, რადგან შეთავაზებული პასუხების ვარიანტები მხოლოდ დადებითი ცვლილების ჩვენებას ითვალისწინებს. ამიტომ მას მოუწევს აღნიშნოს 0 ანუ „არავითარი ცვლილება არ მომხდარა“, რაც კვლევის მონაწილეებს ერთგვარ უხერხულობას უქმნის და მათ უკმაყოფილებას იწვევს (Shakespeare-Finch, et. al., 2013).

ცხოვრებისეული სტრესის სკალა გამოვიყენეთ ბოლო ორი წლის განმავლობაში გადატანილი სტრესული/ტრავმული მოვლენის არსებობისა და შინაარსის განსასაზღვრად (Khechuashvili, 2014a; ხეჩუაშვილი, 2015). ამ სიაში შედის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მოვლენები, რომლებიც აღებულია ორიგინალური 43-დებულებიანი სიიდან (Holmes & Rahe, 1967). ქართული ვერსია 23 მოვლენის ჩამონათვალია ($\alpha = 0.76$).

რაც შეეხება ნარატივების კოდირებას, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის გადასაკოდირებლად თითოეული ინტერვიუდან შეირჩა ექვსი მოგონება (სულ გადაკოდირდა $90 \times 6 = 540$ მოგონება): პიკური გამოცდილება ანუ საუკეთესო მოგონება, ყველაზე ცუდი მოგონება, გარდამტეხი/გადამწყვეტი მოვლენა, ბავშვობის დადებითი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი მოგონება და მკაფიო მოგონება მოზრდილი ცხოვრებიდან.

6.1.3. შედეგები და ინტერპრეტაცია

6.1.3.1. ზოგადი სურათი

გადაკოდირებული 540 ნარატივიდან, რომელშიც ერთიანდებოდა ექვსი ტიპის მოგონება, მხოლოდ მესამედი აღმოჩნდა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული. ამასთან, კვლევის მონაწილეები ყველაზე ხშირად ამგვარი თანმიმდევრობით საკუთარ უარყოფით ან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გამოცდილებას ყვებოდნენ. ასევე, მოთხრობილი ამბების შინაარსის მიხედვით, წინასწარ შემუშავებული კოდებით კლასიფიცირებამ აჩვენა, რომ ნარატივების მხოლოდ მეოთხედში იყო წარმოდგენილი ისეთი თემები, როგორებიცაა მსხვერპლშენიშვნა, გამოჯანმრთელება, ზრდა, სწავლა, გაუმჯობესება და გათავისუფლება (ხსრილი N 6.2). ამასთან, მოგონების ტიპის მიხედვით გაუმჯობესებული აგენტობის, ურთიერთკავშირისა და მასშტაბური საფიქრალის განაწილება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარით მიღებულ მაჩვენებლებს მთლიანი შერჩევისთვის ასახავს ხსრილი N 6.3.

ხსრილი N 6.2. პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის და შინაარსობრივი მხარის მიხედვით კოდირების სიხშირეები (N=90)

ცვლადი	% (სიხშირე)
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა (540 ნარატივში)	
არის	33% (178)
არ არის	67% (362)
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა მოგონების ტიპის მიხედვით (178 ნარატივში)	
პიკური გამოცდილება	15% (28)
ყველაზე ცუდი მოგონება	23% (41)
გარდამტეხი მოვლენა	27% (48)
ბავშვობის დადებითი გამოცდილება	7% (13)
ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება	16% (28)
მკაფიო მოგონება მოზრდილობიდან	12% (22)
პერსონალური ნარატივის შინაარსობრივი მხარე (540 ნარატივში)	
სხვა/არც ერთი	75% (405)
მსხვერპლშენიშვნა	7% (10)
გამოჯანმრთელება	7% (10)
ზრდა	22% (29)
სწავლა	19% (25)
გაუმჯობესება	40% (54)
გათავისუფლება	5% (7)

შენიშვნა: ცხრილში სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული განაწილებაა მოცემული, $p < .01$.

6.1.3.1. ძირითადი ანალიზი და ინტერპრეტაცია

კვლევის მონაწილეები ინტერვიუებისას არც თუ ისე იშვიათად აღნიშნავდნენ, რომ ომიდან ექვსი წლის თავზე, ასე თუ ისე, შეძლეს და დაილაგეს ცხოვრება, თუმცა ეს არ არის და ვერასოდეს იქნება ის ცხოვრება, რომელიც თავიანთ „პატარა სამშობლოში“ ჰქონდათ.

ხსრილი N 6.3. პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები სკალების მიხედვით (N=90)

სკალა	M (SD)	შესაძლო დიაპაზონი
ახალი შესაძლებლობები	10.9 (7.1)	0 – 25
სხვებთან ურთიერთობა	17.2 (9.8)	0 – 35
პიროვნული სიძლიერე	12.3 (5.8)	0 – 20
სპირიტუალური ცვლილება/ცხოვრების დაფასება	14.0 (7.1)	0 – 25
პოსტტრავმული ზრდის ინდექსი	54.4 (24.7)	0 – 105

საველე სამუშაოების დროს კვლევის მონაწილეებზე დაკვირვებამ და მათთან ურთიერთობამ ნათლად დამანახა, რომ იძულებით ადგილმონაცვლეობის

გამოცდილების მქონე ადამიანები უფრო შებოჭილები და ნაკლებად სელექციურიები იყვნენ წარსულის გახსენებისას. მათ უმრავლესობას მეტ-ნაკლებად უჭირდა შორეული წარსულის, კერძოდ, ბავშვობის, დეტალების გახსენება. ასევე, სირთულეებს აწყდებოდნენ მოზრდილი ცხოვრების კონკრეტული მოვლენის გახსენებისას, რომელსაც კარგად გამოხატული დასაწყისი და დასასრული ექნებოდა. შესაბამისად, ისინი ნაკლებად დეტალიზებულ და უფრო ზოგადი ხასიათის ამბებს ყვებოდნენ, ვიდრე ადგილმონაცვლეობის გამოცდილების არმქონე მონაწილეები.

ინტერვიუს კითხვების სტანდარტული შინაარსისა და თანამიმდევრობის მიუხედავად, ინტერვიუსთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ორ ჯგუფში ($F(69)=-7.241, p=.000$): იძულებით ადგილმონაცვალ პირებთან ჩანერილი ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 48 წუთს ($SD=21$ წთ) შეადგენდა, საკონტროლო ჯგუფთან კი – 1 საათსა და 31 წუთს ($SD=34$ წთ). მეორე ჯგუფის მონაწილეები მეტად მსჯელობდნენ, ფიქრობდნენ წარსულში განცდილ მოვლენებზე და ამ გამოცდილებაში მნიშვნელობის დანახვას ცდილობდნენ. ასევე, ცდილობდნენ წარსულის გამორჩეული მოვლენების საკუთარ ანმყო „მე“-სთან დაკავშირებას (McLean & Fournier, 2008). ცხადია, ეს, უპირატესად, ის მოვლენები იყო, რომლებსაც ინდივიდის მიმდინარე იდენტობის რომელიმე ასპექტის მაფორმირებელი ფუნქცია ჰქონდა, და კვლევის მონაწილეები ამას სრულიად მკაფიოდ ამბობდნენ ამბის თხრობისას. ამასთან, ადგილმონაცვლეობის გამოცდილების არმქონე მონაწილეები უფრო გრძელ, მრავალქარგიან, მრავალშრიან და დროში შემოსაზღვრულ ამბებს ყვებოდნენ (Blagov & Singer, 2004).

რაც შეეხება 2008 წლის ომს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ფაქტობრივად, ყველა იძულებით ადგილმონაცვალ მონაწილის ($N=45$) ცხოვრების ისტორია მოიცავდა აგვისტოს დღეების დეტალურ აღწერას. ადამიანები, ძირითადად, საომარი მოქმედებების ზონიდან სამშვიდობოს გამოსვლის ამბავს ყვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ 45-ვე მონაწილე თითქმის ერთნაირად დეტალურად ყვებოდა საკუთარი გამოცდილების შესახებ. მათ ზუსტად ახსოვდათ თარიღები, ადგილები, დასახელებები და ქცევები, რომელსაც თავად და მათ გარშემო მყოფნი ახორციელებდნენ, თუმცა, საკმაოდ უჭირდათ ემოციების და, შედარებით ნაკლებად, აზრების გახსენება. აქვე უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად ასეთი დეტალიზებული მონათხრობისა, ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად ცენტრალურად (და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად) თვლიდნენ ამ გამოცდილებას საკუთარ ცხოვრებაში და, აქედან გამომდინარე, იდენტობაში. უმრავლესობამ ომის ეპიზოდს თავის ცხოვრებაში ყველაზე ცუდი ან გარდამტეხი მომენტი უწოდა.

იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, საკუთარი კარ-მიდამოდან რომ აგყრიან და მერე ისეთი ამბები გადავიტანე... იქ ჩარჩენილი ვიყავი. უკვე აღარც მეგონა თუ ცოცხალი გამოვალნევი... (ქალი, 51).

ორმა მონაწილემ აღნიშნა, რომ 2008 წლის ომი მათი ცხოვრების მთავარი გამოწვევა იყო. კვლევის 45 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა (37 წლის ქალმა) განაცხადა უარი არამარტო ომის შესახებ საუბარზე, არამედ საკუთარი ცხოვრების იმ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გახსენებაზეც კი, რომელიც საომარ მოქმედებებს უკავშირდებოდა: „უნდა ვიტყვო და დიდი ხნით მოვიშალო და არ მიინდა მთელი ის ტკივილი კიდევ ერთხელ განვიცადო“. თუმცა, პრაქტიკულად ყველა სხვა მონაწილე ინტერვიუს მსვლელობისას რამდენჯერმე დაუბრუნდა ომის თემას და განსაკუთრებით დეტალურად და მრავალჯერ გაიმეორა ამბავი იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ცხოვრობდნენ „თავიანთ სამშობლოში“ და როგორ გამოყარეს იქიდან რუსებმა.

შედარებაც არ არის. ჩვენი მხარე და ეს მხარე. ძალიან გვიჭირს აქ ცხოვრება... თითქოს იქ ბუნება გაძლევდა ბევრ რამეს (ქალი, 49).

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა: ჯგუფთაშორისი განსხვავებები. იძულებით ადგილნაცვალ და სხვა პირებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგების მიხედვით ($(t(88))=-5.569$, $p=.000$ CI -3.709 ; -1.758). ისინი ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მდგენლების ანუ ქვეკატეგორიების (მოტივაციური ასპექტების გაუმჯობესების) კონფიგურაციისა და, ასევე, ნარატივის შინაარსობრივი მხარის მიხედვითაც (**ხსრილი N 6.4**), მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, კერძოდ, იძულებით ადგილნაცვალი პირები ნაკლებად ყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების ისეთ ამბებს, რომლებიც ასახავდა აგენტობის, ურთიერთკავშირის ან/და მასშტაბური საფიქრალის გაუმჯობესებისა და განვითარების ისტორიას. ამასთან, მათ მონათხრობებში ნაკლებად იყო წარმოდგენილი მსხვერპლშენივების, ზრდის, სწავლისა და გათავისუფლების თემები, და მეტად აღნიშნავდნენ გაუმჯობესების (შეგუების), გამოჯანმრთელების ფაქტებს.

კვლევის მონაწილეების მიერ მოთხრობილი ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის, მოგონების ტიპისა (პიკური გამოცდილება, ყველაზე ცუდი მოგონება და ა. შ.) და იძულებითი ადგილნაცვალის გამოცდილების ურთიერთმიმართების დასადგენად განხორციელებულმა დისპერსიულმა ანალიზმა (2 (ჯგუფი) $\times 6$ (მოგონების ტიპი)) აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მაჩვენებელს განასხვავებს როგორც მოგონების ტიპი ($F(1)=8.110$, $p=.005$) და იძულებითი ადგილნაცვალის გამოცდილების ქონა-უქონლობა ($F(1)=39.616$, $p=.000$), ისე მათი ურთიერთქმედება ($F(6)=84.594$, $p=.000$). შესაბამისად, ეს ორი ცვლადი სანდოდ წინასწარმეტყველებს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივების გაჩენას ორივე ჯგუფში (**ხსრილი N 6.4**).

ამრიგად, ჯგუფთაშორისი შედარების დონეზე ორი ჯგუფი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც პერსონალური ნარატივის მაკომპენ-

სირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის მიხედვით, ისე ამ ნარატივების შინაარსობრივი მხარის, ხატებისა და ისეთი ქვეკატეგორიების მიხედვით, როგორებიცაა აგენტობა, ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილების არმქონე ადამიანები უფრო მეტ ამბავს ყვებიან მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის შესატყვისად, უპირატესად, ზრდის, სწავლისა და გაუმჯობესების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ იძულებით ადგილნაცვალი პირები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის შესატყვისად აგებენ საკუთარ პერსონალურ ნარატივს, მათი მოგონებების ნახევარზე მეტი გაუმჯობესებასა და ადაპტაციას გულისხმობს.

აქ რომ ჩამოგვასახლეს, ღამე ჩამოგვიყვანეს. დილით რომ გარეთ გავედი, ეს არ დამავინყდება საუკუნე რომ ვიცოცხლო. საშინელი განცდა იყო. მივიხედე, მოვიხედე, ეს უცხო ხალხი, უცხო მიდამო, უცხო გარემო, აი, ვერ აღვინერო, რა იყო... წელიწადზე მეტი დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი, რომ დევნილები ვიყავით. მერე ნელ-ნელა ჩაჯდა ყველაფერი თავის ადგილას (ქალი, 48).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ადაპტაციის, შეგუების გამოცდილების ამსახველი მონათხრობები მხოლოდ იძულებით ადგილნაცვალ პირთა ინტერვიუებში შეგვხვდა და სრულიად არ გამოჩენილა მეორე ჯგუფის მონაწილეებთან. იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილების არმქონე მონაწილეთა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ნარატივებში, ასევე, გაცილებით მეტად შეინიშნებოდა მსჯელობა და რეფლექსია გაუმჯობესებული აგენტობის, ურთიერთკავშირისა და მასშტაბური საფიქრალების შემდეგ. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მხოლოდ საკონტროლო ჯგუფის წევრთა ისტორიებში აისახა.

როგორც უკვე ვთქვი, მოგონების ტიპის მიხედვით, იცვლება ნარატივში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სიხშირე: უარყოფითი გამოცდილების ამსახველ ნარატივში მეტად არის მოსალოდნელი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის აღმოჩენა, გარდამტეხ/გადამწყვეტი მოვლენების შესახებ ამბებში კი – კიდევ უფრო მეტად. თუმცა, თუ შემდგომ ანალიზში იმასაც გავითვალისწინებთ, აქვს თუ არა მთხრობელს იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება, აღმოჩნდება, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული მონათხრობების სიხშირე ამ გამოცდილების ქონა-უქონლობის მიხედვითაც იცვლება და არამხოლოდ მოგონების ტიპის მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივის აგება დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, არის თუ არა ინდივიდი იძულებით ადგილნაცვალი, ან იმაზე, რომელი ტიპის მოგონებას ჰყვება იგი, არამედ ამ ორი ცვლადის (მოგონების ტიპი ჯგუფის მიხედვით) ურთიერთქმედებაზეც. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ინდივიდს

აქვს იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება და ჰყვება ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე მოგონებას, მეტია ალბათობა იმისა, რომ იგი ამ ამბავს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დააღაგებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგივე პიროვნება პიკურ გამოცდილებაზე საუბრობს. გარდა ამისა, კიდევ უფრო მეტია მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე გარდამტეხი მოვლენის შესახებ ამბის მოსმენის ალბათობა, თუ მთხრობელს არ გააჩნია იძულებით გადაადგილების გამოცდილება.

ხსრილი N 6.4. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები და შინაარსობრივი მხარე იძულებით ადგილნაცვალ პირთა და სხვა მოქალაქეთა ჯგუფებში

ცვლადი	ჯგუფი		ხი-კვადრატი
	იძულებით ადგილნაცვალ პირები (N=270)	სხვა მოქალაქეები (N=270)	
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები			
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა	63	116	23.474, $p = .000$, $df=1$
გაუმჯობესებული აგენტობა	15	47	18.658, $p = .000$, $df=1$
გაუმჯობესებული ურთიერთკავშირები	6	23	10.531, $p = .000$, $df=1$
მასშტაბური საფიქრალეები	1	20	17.886, $p = .000$, $df=1$
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის შინაარსობრივი მხარე			
არც ერთი	222	183	44.126, $p = .000$, $df=6$
მსხვერპლშენიღვა	0	9	
გამოჯანმრთელება	6	4	
ზრდა	5	24	
სწავლა	3	23	
გაუმჯობესება (შეგუება)	32	22	
გათავისუფლება	2	5	

ხსრილი N 6.5. იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება და მოგონების ტიპი, როგორც ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის პრედიქტორები

	B	SE B	β
ნაბიჯი 1			
კონსტანტა	-.133	.113	
ჯგუფი	.448	.072	.260*
ნაბიჯი 2			
კონსტანტა	.074	.134	
ჯგუფი	.448	.071	.260*
მოგონების ტიპი	.059	.021	-.118*

შენიშვნა: $R^2 = .068$ ნაბიჯი 1, $\Delta R^2 = .014$ ნაბიჯი 2 ($p < .001$) * $p < .001$

გარდა ამისა, დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით გამოყოფილი ქვეჯგუფების შედარებამ აჩვენა, რომ პერსონალური ნარატივის წყობის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა განსხვავებულია სხვადასხვა საფეხურის განათლების მქონე ინდივიდში ($F(6) = 3.874$, $p = .002$), კერძოდ, ასეთი სტრუქტურის მქონე ნარატივები უფრო ხშირად უმაღლესი (ბაკალავრის, მაგისტრის და მასთან გათანაბრებული) განათლების მქონე პირებს ეკუთვნის.

პოსტტრავმული ზრდა: ჯგუფთაშორისი განსხვავებები. აღმოჩნდა, რომ, პოსტტრავმული ზრდის რომელიმე კონკრეტული ასპექტის მიხედვით, იძულებით ადგილნაცვალი და სხვა პირები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდნენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საომარი მოქმედებების გამოცდილება და იძულებით ადგილმონაცვლეობა, როგორც კვლევის მონაწილე ორი ჯგუფის განმასხვავებელი თავისებურება, არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს პოსტტრავმული ზრდისა და პიროვნული განვითარების სუბიექტურ განცდაში. ასევე, არ იყო სტატისტიკურად სანდო სხვაობა პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებში გადატანილი სტრესული მოვლენის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის.

დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით გამოყოფილი ქვეჯგუფების შედარებამ რამდენიმე სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოავლინა, კერძოდ, (ა) პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იყო ($(M) = 2.198$, $p = .029$ [.795; 14.308]) ქალებთან ($M = 55.1$, $SD = 23.21$, დიაპაზონი 1 – 108), ვიდრე მამაკაცებთან ($M = 47.6$, $SD = 23.9$, დიაპაზონი 0 – 94). ამასთან, ქალებს ($M = 15.1$, $SD = 8.1$ და $M = 12.4$, $SD = 6.0$, შესაბამისად) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სხვებთან ურთიერთობებისა ($(M) = 2.292$, $p = .023$ [.403; 5.282]) და სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების ($(M) = 2.330$, $p = .020$ [.324; 3.841]) სკალებზე. (ბ) ახალი შესაძლებლობების სკალის მაჩვენებლები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული ოჯახური სტატუსის მქონე ინდივიდთა ჯგუფებში

($F(339) = 6.564, p = .000, df = 3$), კერძოდ, დასაოჯახებლები მეტ შესაძლებლობას ხედავენ, ვიდრე დაოჯახებულები.

კვლევისას მიღებული სტატისტიკურად განსხვავებული მაჩვენებლები, პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, სრულად თანხვედბა სხვა კულტურებში წარმოებული კვლევების შედეგებს. კერძოდ, ქართულ შერჩევაში ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ანალოგიური შედეგები მიიღეს ქართულ კულტურაში ჩატარებული რამდენიმე სხვა კვლევისას (ხეჩუაშვილი, 2015; Khechuashvili, 2016, 2018; Panjikidze, Beelmann, Martskvishvili & Chitashvili, 2019) და, ასევე, დასავლურ კულტურებში ჩატარებული მრავალი კვლევისას (Bellizzi, 2004; Sheikh & Marotta, 2005; Tedeschi & Calhoun, 1996) და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნული შედეგები შეესაბამება 70 კვლევის მეტაანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს (Vishnevsky, Cann, Calhoun, Tedeschi, G., & Demakis, 2010). თუმცა იაპონიაში ჩატარებული კვლევები არ აჩვენებს გენდერულ განსხვავებას (Taku, et. al., 2007).

რაც შეეხება საქართველოში წარმოებულ კვლევებს, ფანჯიკიძის (2015, 2019) კვლევის შედეგადაც ვერ იქნა მიღებული სქესთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები პოსტტრავმული ზრდის როგორც ჯამური მაჩვენებლის, ისე რომელიმე ქვესკალის მიხედვით. იაპონიის შემთხვევაში ავტორები ასეთ სურათს, უპირატესად, დასავლურ კულტურაში ქალების, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტი რელიგიურობით ხსნიან, რაც, შესაძლოა, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ამხსნელი ფაქტორი იყოს. საინტერესოა, რომ ქართულ შერჩევაში სწორედ რომ სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების სკალაზე ჰქონდათ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელი. მათ სხვებთან ურთიერთობების სკალაზეც უფრო მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდათ. ამიტომ, შესაძლებელია, პოსტტრავმული ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალებში უფრო მეტად რელიგიურობას კი არ უკავშირდებოდეს, არამედ მეტ რეფლექსიურობას, ან სულაც საკუთარ გრძნობებსა და განცდებზე მეტად კონცენტრირებულობასა და მათზე ხმამაღლა, დაუფარავად საუბრის მზაობას და უნარს. ნარატიული კვლევებით (Thorne & McLean, 2003, McLean & Pasupathi, 2011; McLean & Syed, 2015) ცნობილია, რომ, რაც მეტად საუბრობს ადამიანი მძიმე, ემოციურად დატვირთულ ან ტრავმულ გამოცდილებაზე, მით მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს მომხდარში აზრის, საზრისის დანახვის პროცესი, და, ამის შედეგად, მით მეტია პოზიტიური შენაძენი, აქედან გამომდინარე, ზრდის განცდაც. ასევე, ემპირიულად დადასტურდა (McAdams, 2009), რომ ქალებს მეტად ახასიათებთ საკუთარ განცდებზე ფოკუსირება, გამოცდილების სპირალისებრი და მეტად ანალიტიკური თხრობა, რაც, ასევე, შეიძლება ხელს უწყობდეს პიროვნული ზრდის განცდას. ასეთი სურათი კარგად შეესაბამება ქართულ კულტურაში ტრადიციულად დამკვიდრებულ ნორმას, რომ ქალებისგან უფრო მოელიან და უფრო

ტოლერანტულადაც ეკიდებიან ემოციების გამოხატვას და გამოცდილებაზე საუბარს, ვიდრე მამაკაცებისგან.

საკუთარ განცდებზე საუბარი, ცხადია, სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ამ ურთიერთობის ხელახლა გააზრების ბიძგსაც შეიძლება აძლევდეს მათ. ასეთ ჭრილში განხილვის კონტექსტში ლოგიკურად გამოიყურება ქალების შემთხვევაში უფრო მეტი ზრდის განცდა ადამიანებთან ურთიერთობებისა და სპირიტუალური ცვლილება-ცხოვრების დაფასების სკალებზე.

რაც შეეხება ახალი შესაძლებლობების ქვესკალაზე უფრო მაღალ მაჩვენებელს დასაოჯახებელ მონაწილეებთან, დაოჯახებულებთან შედარებით, აქ, სავარაუდოდ, შეიძლება ითქვას, რომ დასაოჯახებელი ადამიანები მეტ პერსპექტივას ხედავენ შესაძლო ცხოვრების გზის არჩევის თვალსაზრისით. ასევე, შესაძლებელია აქ ჩართული იყოს ასაკის ფაქტორიც, თუმცა ასაკობრივ ჭრილში მონაცემთა ანალიზმა არანაირი შედეგი არ აჩვენა. ამიტომ ამ მიმართულებით დასკვნების გამოტანა და უფრო კონკრეტული ხასიათის მსჯელობა შემდგომ კვლევას საჭიროებს.

პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებლისა და მისი ქვესკალების ურთიერთმიმართების გამოსავლენად ჯერ კორელაციური ანალიზი განხორციელდა (**ხსრილი N 6.6**), რომელმაც აჩვენა, რომ პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსი სანდოდ და ზომიერად, დადებითად კორელირებს პოსტტრავმული ზრდის ორი ქვესკალის – ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის – მაჩვენებლებთან ჯგუფის ცვლადის გაკონტროლების პირობებში ($p < .01$).

ამ მონაცემების რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული პერსონალური ნარატივი სანდოდ წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის ამ ორი ფაქტორის მაჩვენებლებს (**ხსრილი N 6.7**). ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ადამიანი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ჰყვება თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, შესაძლებელია იმის წინასწარმეტყველება, დაახლოებით, რა მაჩვენებელი ექნება მას პოსტტრავმული ზრდის მიხედვით ორ – ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული სიძლიერის – ქვესკალაზე. სხვა სიტყვებით, რაც მეტია მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ამბები მის პერსონალურ ნარატივში, მით მეტად იქნება მოსალოდნელი, რომ მან გადატანილი უარყოფითი გამოცდილებიდან რალაც დადებითი გამოიტანოს, ახალი

შესაძლებლობები დაინახოს და პიროვნულად გაძლიერდეს. ეს შედეგი შეესაბამება სხვა კვლევების შედეგებს (მაგალითად, იხ. Calhoun & Tedeschi, 2013; Pals & McAdams, 2004).

ხსრილი N 6.6. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და პოსტტრავმული ზრდის ჯამური და ქვესკალების მაჩვენებლების ურთიერთკორელაცია

	პოსტტრავმული ზრდა				
	სხვებთან მიმართება	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სპირიტ. ცვლ/ცხოვრების დაფასება	პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებელი
პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსი	-0.008 (.938)	.260* (.015)	.234* (.029)	.084 (.441)	.150 (.165)

შენიშვნა: უჯრებში მოცემულია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, $p < .01$;

ეს საკმაოდ ლოგიკურია: თუ ინდივიდი ახერხებს ცუდი გამოცდილებიდან კარგი შედეგის გამოტანას, ცხოვრებაში ცუდსა და კარგ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ან ასოციაციური კავშირის დანახვას და, ზოგადად, თავის ცხოვრებასა და საკუთარ თავს ცუდიდან კარგისკენ მოძრაობის პრიზმაში უყურებს (მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა), სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელია მისგან, რომ უკეთ შეძლოს ტრავმულ/სტრესულ გამოცდილებასთან კონსტრუქციულად გამკლავება, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად აისახება როგორც მის ნარატივში, ისე თვითნაგარიშის საზომში, რომლის კითხვებზე პასუხის გაცემაც, გარკვეულწილად, ცნობიერ რეფლექსიასა და შემოთავაზებული პასუხებიდან ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს.

მიღებული შედეგის⁵⁰ ალტერნატიული ინტერპრეტაცია შეიძლება ის იყოს, რომ მაკომპენსირებელ თანმიმდევრობასა და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს შორის კავშირი არის არა თავად ტრავმული/სტრესული (ამ შემთხვევაში იძულებით ადგილნაცვალობის) გამოცდილების ფუნქცია, არამედ იმისა, თუ

⁵⁰ ამ ორ ცვლადს შორის ზომიერი დადებითი კავშირი ჯგუფის ცვლადის გაკონტროლების პირობებში და ასევე, სანდო სხვაობის არარსებობა სტრესული მოვლენის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის.

როგორ იაზრებენ ადამიანები ამ გამოცდილებას, როგორ ინტერპრეტაციას უძებნიან, როგორ ცდილობენ მასში საზრისის პოვნას და ვერბალიზებას პერსონალური ნარატივის სახით; ასევე, კოგნიტიური გადამუშავების ემოციური ტონის მიმართულება (უარყოფითიდან დადებითისკენ) და არა – თავად სტრესული მოვლენის რაგვარობა ედება საფუძვლად მძიმე გამოცდილების შემდეგ პიროვნულ ზრდას და განვითარებას.

სხრილი N 6.7. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის ქვესკალების მაჩვენებლების პრედიქტორი

შედეგი	B	სტ. შეცდომა	ბეტა	t	p
ახალი შესაძლებლობები	8.725	1.151		7.583	.000
პიროვნული სიძლიერე	.684	.276	.260	2.482	.015
	10.717	.956		11.209	.000
	.508	.229	.234	2.215	.29

შენიშვნა: პრედიქტორი: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა.

6.1.3.2. შედეგების შეჯამება

ამრიგად, ამ კვლევის შერჩევაში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ნარატივთა მხოლოდ მესამედში აღინიშნება. ამასთან, ადამიანები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით, ძირითადად, უარყოფით გამოცდილებას (ყველაზე ცუდი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება და გარდამტეხი მოვლენა) ალაგებენ, შედარებით ნაკლებად არის ის წარმოდგენილი პიკურ გამოცდილებასა და მოზრდილობის მკაფიო მოგონებაში და ყველაზე ნაკლებად – ბავშვობის დადებით გამოცდილებაში; თუმცა არ არის განსხვავება მოგონებებს შორის იმის მიხედვით, თუ რომელი სფეროა გაუმჯობესებული. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ჩვენ წინაშეა ზრდა, ძირითადად, ყველაზე ცუდ და გარდამტეხ მომენტებში, ხოლო გაუმჯობესება – პიკურ, ყველაზე ცუდ და გარდამტეხ მომენტებში.

გამართლდა ვარაუდი, რომ ორი ჯგუფი განსხვავდება ერთმანეთისგან პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსის მიხედვით. კერძოდ, იძულებით გადაადგილების გამოცდილების არმქონე ადამიანები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე უფრო მეტ ამბავს ყვებიან, რომელიც, უპირატესად ზრდას, სწავლასა და გაუმჯობესებას შეეხება. მათთან, ასევე, მეტად იკვეთება მოტივაციური ასპექტების (აგენტობა, ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალი) გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ მასშტაბური საფიქრალის შესახებ საერთოდ არაფერს ყვებიან იძულებით ადგილნაცვალ პირები.

იმის შესახებ, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით მოყვება ადამიანი თავის ამბავს თუ არა, თავად ამ მოგონების ტიპის და მთხრობელის სტატუსის მიხედვით (აქვს თუ არა მას ადგილმონაცვლეობის გამოცდილება) შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა დადებითად ზომიერად კორელირებს პოსტტრავმული ზრდის ორ ფაქტორთან. ასევე, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ორივე ჯგუფში სანდოდ წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის ორი სკალის – ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული სიძლიერის – მაჩვენებლებს, რაც სრულად ემთხვევა უკვე არსებული კვლევების შედეგებს (მაგალითად, Calhoun & Tedeschi, 2013).

6.2. იატაკქვეშეთიდან გამოსვლა: სექსუალური იდენტობა, სტიგმა და ცხოვრების ისტორია

ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულეა ქამინგაუთი. ძალიან რთული იყო, რომ გეთქვა, „მე ვარ გეი“. ძალიან რთული იყო მეთქვა ჩემი მშობლებისთვის, რომ გეი ვარ. ძალიან დიდი ტკივილია, როდესაც ქამინგაუთს აკეთებ და შენი მშობლები არ გიღებენ. ძალიან რთული იყო ეს... და გადავლახე ზუსტად თავისუფლებით. აი, თავისუფლებამ გადამაღახინა ყველაფერი, თორემ ჩემს მდგომარეობაში ძალიან ბევრმა თავი მოიკლა.

ამ სიტყვების ავტორი 27 წლის გეი მამაკაცია, რომელიც ქამინგაუთის შემდეგ საზოგადოებისა და გარემოს მისდამი შეცვლილ დამოკიდებულებას აღწერს. ის გარიყული, გაუფასურებული და სტიგმატიზებული ხდება. მსგავსი ისტორიები ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების მონათხრობებში მრავლად გვხვდება. ისინი საუბრობენ ძირეულ ცვლილებებზე ცხოვრებაში და თანმიმდევრულ სტიგმაზე, ამ სტიგმის დაძლევის სირთულესა და საკვანძო, „მე“-ს განმსაზღვრელ მოგონებებზე, რომლებიც მათი ცხოვრების ისტორიებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ; რომლებსაც ტრანსფორმაციულ გამოცდილებებად მიიჩნევენ და საკუთარ იდენტობასაც მათ ირგვლივ აგებენ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველოში არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებთან დაკავშირებული თემები ძალზე აქტუალურად განიხილება საზოგადოების სხვადასხვა წრესა თუ მასმედიაში, მათი იდენტობის ფორმირების თავისებურებებისა და ტრადიციულ კულტურასთან მიმართების, პიროვნული თუ მოტივაციური მახასიათებლების სისტემატური კვლევა მხოლოდ ახლახან დაიწყო ქართველმა ფსიქოლოგებმა. ამიტომ ბუნებრივია,

რომ ქართული კულტურის ჭრილში არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების შესახებ კვლევები მცირეა (ურჩუხიშვილი, 2008; მესტირიშვილი, 2015; აღდგომელაშვილი, 2016; ნემანიშვილი & ჯანაშია, 2016).

კვლევის ამ ნაწილში, რომელიც, ნაწილობრივ, მარიამ გოგიჩაიშვილის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა, ქართული კულტურის კონტექსტში არაჰეტეროსექსუალური ადამიანების იდენტობის განვითარების პროცესი გვანტერესებდა.⁵¹ უფრო კონკრეტულად, გვსურდა გვეჩვენებინა, ერთი მხრივ, როგორ ახერხებენ ისინი ქამინგაუთის, როგორც ტრანსფორმაციული გამოცდილების, შემდეგ საკუთარი თავის ანუ ნარატიული იდენტობის უწყვეტობის განცდის აღდგენას/შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, ფართო კულტურულ სკრიპტთან (იხ. ქვემოთ) შეთანადებასა თუ ალტერნატიული სკრიპტის კონსტრუირებას და, საბოლოოდ, კარგად ყოფნის განცდის მიღწევას. ამასთან, მიზნად დავისახეთ, კონკრეტული ადამიანების ცხოვრების ისტორიების შესწავლის მეშვეობით, ის ძირითადი თემატური საზეები გამოგვეკვეთა და გაგვეანალიზებინა, რომლებიც ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების ნარატივებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ასევე, გვსურდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად უკავშირდება საკუთარი ცხოვრების თხრობისა და გაანალიზების ინდივიდუალური თავისებურებები საკუთარი სექსუალური ორიენტაციის თავისა და სხვებისათვის გამჟღავნებას.

6.2.1. რა ვიცით დღეს: ქამინგაუთი, სექსუალური იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია

6.2.1.1. რა არის ქამინგაუთი?

ქამინგაუთი შემოკლებული ფორმაა გამოთქმისა „coming out of the closet“ და, პირდაპირი მნიშვნელობით, კარადიდან ანუ საიდუმლო ადგილიდან, სამალავიდან გამოსვლას ნიშნავს, რაც საიდუმლო სექსუალური სურვილისა თუ ქცევის გამხელის ერთგვარ მეტაფორად იქცა.

სექსუალური ორიენტაციისა და იდენტობის კონტექსტში ეს იდიომა (coming out) საკუთარი სექსუალური იდენტობის აღიარებას ნიშნავს და ჰომოსექსუალი ან ბისექსუალი ადამიანების მიერ საკუთარი სექსუალობის გამხელის მიმართ გამოიყენებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში ტრანსგენდერი ადამიანების იდენტობის გამჟღავნების პროცესსაც ასე მოიხსენიებენ.

⁵¹ რაც ამერიკისა და ევროპის რიგ ქვეყნებში აქტიური კვლევის საგანს წარმოადგენს (იხ. Cohler & Hammack, 2006; Weststrate & McLean, 2010).

ქამინგაუთი საკუთარი სექსუალობის/გენდერული იდენტობის განსაზღვრის გზაზე აუცილებელი გარდამავალი პროცესია, რომელიც, ყველაზე გავრცელებული მოდელის (Cass, 1979) მიხედვით, ექვსი ეტაპისაგან შედგება (ხსრილი N 6.8).

ხსრილი N 6.8. ქამინგაუთის სტადიური მოდელი

ეტაპი	აღწერა
1	იდენტობის გაურკვეველობა ადამიანი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ჰომოსექსუალობა, შესაძლოა, ადეკვატურად აღწერდეს მის იდენტობას.
2	იდენტობის შედარება საკუთარი თავს ჰომოსექსუალად აღქმა, სხვების ჰეტეროსექსუალობისა და ჰომოსექსუალობის მიმართ დამოკიდებულების აღქმა გაუცხოებისა და გარიყულობის განცდას იწვევს.
3	იდენტობის მიმართ ტოლერანტობა გაცნობიერება იმისა, რომ „მარტო არ ხარ“ და საკუთარი იდენტობის სახელდება. ამ დროს იზოლაციის განცდა ძლიერდება და ადამიანი მეტად აქტიურად ეძებს სხვა ჰომოსექსუალებთან კავშირსა და ჰომოსექსუალურ სუბკულტურას.
4	იდენტობის მიღება ხშირდება და ძლიერდება სხვა ჰომოსექსუალებთან კავშირი. ადამიანისათვის ჰომოსექსუალური სოციალური გარემო — პრიორიტეტული, საკუთარი იდენტობა კი უფრო მისაღები ხდება;
5	იდენტობით სიამაყე ჰომოსექსუალურ ჯგუფებთან მიკუთვნებულობა იდენტობის ძლიერ განცდას, იდენტობის სხვებისთვის გაზიარების სურვილსა და უსამართლობასთან ბრძოლის მოტივაციას ქმნის.
6	იდენტობის სინთეზი ჰომოსექსუალური იდენტობა პიროვნების იდენტობის სხვა ასპექტების შემადგენელი ნაწილი ხდება, ის გაიაზრება, როგორც ერთ-ერთი და არა ერთადერთი იდენტობა.

შენიშვნა: ადაპტირებულია წყაროდან Cass, 1979.

6.2.1.2. სექსუალური იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია

სექსუალური იდენტობა საკუთარი თავის კონკრეტული სექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდად აღქმას გულისხმობს (გაბუნია & ვაჭარაძე, 2013), ხოლო სექსუალური ორიენტაცია ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სექსუალური მიზიდულობაა სხვა ადამიანის მიმართ. მასში მოიაზრება ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და ჰეტეროსექსუალური ორიენტაცია (აღდგომელაშვილი, 2016).

სექსუალობის შესახებ ესენციალისტური და კონსტრუქციონისტული თეორიები არსებობს: ესენციალისტური თეორიები სექსუალობას აღწერენ, როგორც შინაგან ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც ადამიანის სექსუალური გრძნობებისა და სურვილების ორგანიზებას ახდენს და მართავს

ქცევას. ეს თეორიები ეყრდნობა დაშვებას, რომ სექსუალური ორიენტაცია ბიოლოგიურად განსაზღვრული ან ცხოვრების სანყის ეტაპზე შექმნილი, მდგრადი და უცვლელი ნიშანია (გაბუნია & ვაჭარაძე, 2013). ამ მიდგომის მიხედვით, სექსუალური ორიენტაცია ადამიანის შინაგანი მახასიათებელია, რომელიც ისტორიისა და კულტურის მიღმა არსებობს ანუ არაისტორიული, უნივერსალური, კონტექსტისგან დამოუკიდებელი ფუძემდებლური მახასიათებელია (DeLamater & Hyde, 1998). ამის საპირისპიროდ, სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები ამტკიცებენ, რომ სექსუალური ორიენტაციის აღმწერი ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა „გეი“, „ლესბოსელი“, „ბისექსუალი“ და „ჰეტეროსექსუალი“, კონკრეტული ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის შედეგად წარმოიშვა (მაგალითად, იხ. Kitzinger, 1987). ამ თეორიების ფარგლებში მომუშავე მკვლევრებს აინტერესებთ, თუ როგორ ახორციელებენ ადამიანები საკუთარი იდენტობის კონსტრუირებას (Flowers & Buston, 2001; Kitzinger & Wilkinson, 1995). კონსტრუქციონისტები არ ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია სექსუალური ორიენტაციის არჩევა. მათი აზრით, ის ადამიანის სოციალური გარეგანი სახე უფროა, რომელიც ამ ინდივიდის შინაგანი სექსუალური სურვილის კატეგორიების⁵² მიხედვით აღსაწერად გამოიყენება. სხვა სიტყვებით, სექსუალური ორიენტაცია ადამიანების მიერ სურვილების აღსაწერად და გასაგებად შექმნილი სისტემაა (Hammack, 2005).

კოჰლერი და ჰამაკი (2005) არაჰეტეროსექსუალურ იდენტობას განმარტავენ, როგორც კონკრეტულ სექსუალურ ისტორიას, რომელშიც საკუთარი სქესის წარმომადგენლების ნდომა ცხოვრების ისტორიაში სოციალური პრაქტიკის მეშვეობით რეალიზდება და ინტეგრირდება. ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (Halbertal & Koren, 2006) კვლევამ ცხადყო, რომ გეი და ლესბოსური იდენტობის ფორმირება განსხვავებულობის ზოგადი/ზუნდოვანი გრძნობით იწყება, რომელსაც დისოციაცია და საკუთარი თავის წინაშე საკუთარი სექსუალური ორიენტაციის აღიარება⁵³ მოჰყვება. შემდეგ იწყება კრიზისი, რომლის დროსაც პიროვნება აცნობიერებს საკუთარ სექსუალურ იდენტობას და, საბოლოოდ, ინტეგრაციასა და იდენტობის სინთეზამდე მიდის.

კოჰლერის და ჰამაკის (2006) აზრით, არაჰეტეროსექსუალი ახალგაზრდების იდენტობის განვითარების გასაგებად ნარატივის კონსტრუირებისა და თხრობის პროცესის შესწავლაა საჭირო (Hammack, Thompson, & Pilecki, 2009). ჰამაკი მიიჩნევს, რომ სექსუალური იდენტობის განვითარება პერსონალური ნარატივის

⁵² ან განზომილებების, გააჩნია, რომელი კლასიფიკაციის ფარგლებში ვართ.

⁵³ Coming out.

კონსტრუირებას უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს სურვილებსა და ქცევას და მათ შინაარსიან/აზრიან და ადეკვატურ კონფიგურაციად აქცევს (იხ. ასევე, Hammack, 2005). ამ კონფიგურაციაში პიროვნება აზრს სძენს საკუთარ სურვილებს და იდენტობას ავტობიოგრაფიის დამკვიდრებით/მიღებით/დაკანონებით ანუ კონსტრუირებული ავტობიოგრაფიის ლეგიტიმაციით „წარმოაჩენს“.

ამერიკაში ჩატარებული ზოგიერთი კვლევის მიხედვით (მაგალითად, იხ. Herdt & Boxer 1993; Savin-Williams, 1998), თანამედროვე ამერიკელ ახალგაზრდებს განვითარების პროცესში სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებული ორიდან ერთ-ერთი სკრიპტის გამოყენება მაინც უწევთ: პირველი ბრძოლისა და წარმატების სცენარია. ბრძოლის ნაწილი საკუთარი თავის მიღებასთან ასოცირებულ შინაგან და გარეგან გამოწვევებს უკავშირდება, ხოლო წარმატების ნაწილი – ტანჯვის და კომპენსირების შესაძლებლობას საკუთარი თავის წინაშე საკუთარი სექსუალური ორიენტაციის აღიარების საშუალებით და არაჰეტეროსექსუალთა თემში განწევრიანებას (Hammack et.al.2009). მეორე სკრიპტს თავად კოჰლერი და ჰამაკი (2007) გვთავაზობენ. ეს არის ემანსიპაციის ნარატივი, რომელიც გულისხმობს სექსუალური იდენტობის რიგიდული კატეგორიებიდან გათავისუფლებასა და საზოგადოების მიერ სექსუალური სურვილის მარეგულირებელი ტიპოლოგიის შექმნის მოთხოვნილებისადმი კრიტიკულ მიდგომას (Foucault, 1978; Muehlenhard, 2000).

ამერიკაში წარმოებული კვლევები მიუთითებს, რომ გეიიდენტობის გამოვლენაზე ორიენტირებული ნარატივები განსხვავებულია სხვადასხვა თაობაში, რაც არაჰეტეროსექსუალურ ორიენტაციასთან ასოცირებულ სოციალურ და ისტორიულ ცვლილებებს უკავშირდება (Hammack, Frost, Mayer, & Pletta, 2018). გეი და ლესბოსური იდენტობის მქონე ადამიანების ცხოვრების ისტორიები მნიშვნელოვნად იცვლებოდა კულტურულ-ისტორიული კონტექსტის მიხედვით, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (Hammack & Cohler, 2006; Parks, 1999; Sadowick, 1996). ამ დროს დაიწყო მოძრაობა გეი უფლებების დაცვისთვის, შემდეგ იყო სტოუნუოლის ჯანყი 1969 წელს (Clendinen & Nagourney, 1999) და შიდსის პანდემია გეი და ლესბოსელთა საზოგადოებაში, დაახლოებით, 1981 წელს (Cohler & Hammack, 2006). ამ მოვლენებმა გეიმამაკაცების სამი თაობა შექმნა: (1) 1930-40 წლებში დაბადებულმა თაობამ საკუთარ თავზე იწვინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალური კონსერვატიზმი და სტიგმა, რომელიც ხელს უწყობდა დაფარული სექსუალური იდენტობის არსებობას. (2) 1950-იან წლებში დაბადებული ადამიანები, რომლებმაც სრულწლოვანებას 1970-იან წლებში მიაღწიეს. ეს თაობა გეიიდენტობის აღიარებისა და პოლიტიკური ცვლილებების სერიის მოწმე გახდა. სამწუხაროდ, ამ თაობის გეიკაცთა უმრავლესობა

შიდსის მსხვერპლი გახდა. (3) მესამე თაობა 1970-80-იან წლებში დაიბადა. 1990-იან წლებში სრულწლოვანები უკვე გათავისუფლდნენ შიდსის პრობლემიგან და ცხოვრობდნენ ათწლეულში, როდესაც ჰომოსექსუალური ორიენტაცია სექსუალური ცხოვრების ერთ-ერთი დაშვებული გზა იყო. 1990-იანი წლებიდან დღემდე ყალიბდება მეოთხე თაობა, რომელსაც ინტერაქციული მედიის სახით, იმ მრავალ ინტერნეტ რესურსსა და ვებგვერდზე მიუწვდება ხელი, სადაც გეი და ლესბოსელი ადამიანები ინახავენ საკუთარი ცხოვრების დეტალებს. ახალი ტექნოლოგიები აერთიანებს მარგინალიზებულ საზოგადოებებს და ხელს უწყობს არაჰეტეროსექსუალთა ცხოვრებისეული გამოცდილების ახალ ისტორიულ ცვლილებას (Cohler & Hammack, 2006).

სექსუალური ორიენტაციისა და, კერძოდ, ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირება მუდმივი კვლევის საგანია (Halbertal & Koren, 2006), მაგრამ ბევრი არაფერია ნათქვამი რელიგიურ გეი და ლესბოსელთა განვითარებაზე. აიაპმა აღმოაჩინა, რომ ბევრი ქრისტიანი არაჰეტეროსექსუალი გამოიმუშავებს დადებით იდენტობას, რომელიც სექსუალობასაც მოიცავს და რელიგიურ რწმენასაც (Yip, 1999). სხვა კვლევაში, რომელშიც იმავე ავტორმა არაჰეტეროსექსუალი კათოლიკეები იკვლია, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ჰარმონიულად აერთიანებს სექსუალობას და ქრისტიანულ რწმენას (Yip, 2002), კვლევის მიხედვით, „მე“-ს (self) ჰარმონიული სინთეზი იმიტომაც შესაძლებელია, რომ საკუთარი თავის ხედვის ძირითად ჩარჩოსა და შემადგენელ კომპონენტს ინდივიდის „მე“ (self) წარმოადგენს და არა – რელიგიური ავტორიტეტი. ამის საპირისპიროდ, ჰალბერტალის და კორენის (2006) კვლევამ ცხადყო, რომ ორთოდოქსი ებრაელი გეი და ლესბოსელები, რომლებიც საკუთარი ორმაგი იდენტობის აღიარებას ახერხებენ, მაინც მკაფიოდ შეიგრძნობენ ამ დუალისტურ იდენტობებს. ეს შედეგი ეხმიანება ჰოლმისის (1999) აღწერას, რომ არაჰეტეროსექსუალი ადამიანები კომპლექსური ჰიბრიდული ცხოვრებით⁵⁴ ცხოვრობენ. როდესაც ადამიანები სექსუალობისა და რელიგიის ურთიერთკონფლიქტს აწყდებიან, ისინი ნებდებიან სწავლებას, რომლისაც არ სწამთ, ან საერთოდ უარს ამბობენ რელიგიურ მემკვიდრეობაზე. სხვა სიტყვებით, ერთ შემთხვევაში მხოლოდ მანიფესტურ დონეზე ირჩევენ რელიგიას, აღიარებენ მას და უარს ამბობენ საკუთარი „მე“-ს ნაწილზე, მეორე შემთხვევაში კი საერთოდ უარს ამბობენ რელიგიაზე და ინარჩუნებენ მთელ „მე“-ს (Halbertal & Koren, 2006).

⁵⁴ აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც არაჰეტეროსექსუალი ადამიანი თავის თემში თავისუფლად ავლენს თავს, მას არ უწევს იდენტობის დაფარვა, თუმცა თემის გარეთ, უფრო ფართო საზოგადოებაში ჰეტეროსექსუალის შესატყვისად მოქცევა უწევს.

1970-იანი წლებიდან მკვლევრები გეი და ლესბოსელთა იდენტობის განვითარებისა და შენარჩუნების საკითხების შესწავლაზე მუშაობენ და ყურადღებას სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ სტიგმაზე ამახვილებენ (მიმოხილვისათვის იხ. Kaufman & Johnson, 2004).

6.2.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ ნაწილში არაალბათურად, „თოვლის გუნდის“ პრინციპით შერჩეულმა 16-მა ადამიანმა (საშუალო ასაკი 22,8 (4.6) წელი, დიაპაზონი 17 – 34 წელი) მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 7 ქალი იყო. ინტერვიუები მაკადამისის ცხოვრების ისტორიის სტანდარტული ოქმით (დანართი N1. ინტერვიუს ოქმი) ჩატარდა, რომელთაგან 13 ინტერვიუ „იდენტობის“ ოფისში ჩაინერა, 3 ინტერვიუ – კვლევის მონაწილეებისთვის მოსახერხებელ ადგილას (სახლსა და კაფეში).

თითოეული ინტერვიუ დადგენილი წესის მიხედვით (თაპი 3) დამუშავდა და გაანალიზდა როგორც ამბის თხრობის სტრუქტურის, ისე შინაარსის ანუ თემების მიხედვით. რაც შეეხება რაოდენობრივ კოდირებას, თითოეული ინტერვიუდან 15 მოგონება (სამი შეკითხვა სტიგმატიზაციასთან დაკავშირებით, რვა ძირითადი მომენტი და ოთხი გამონევა, სულ 240 მოგონება) ნარატივი დამუშავდა მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობის ცვლადის მიხედვით, თუმცა კვლევის მონაწილეებისა და, შესაბამისად, დასამუშავებელი ნარატივების რაოდენობის სიმცირის გამო, რაოდენობრივი მაჩვენებლები მხოლოდ აღწერიითი ხასიათისაა და ზოგად სურათზე მიგვითითებს.

6.2.3. შედეგები და ინტერპრეტაცია

6.2.3.1. ნარატივების სტრუქტურული ანალიზი

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა. თითოეულ ინტერვიუში ერთი ამბავი (დიაპაზონი 1 –11) მაინც იყო დალაგებული მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით და სიტუაციის დადებით გადაწყვეტაზე მიუთითებდა (ხსრილი N 6.9).

კვლევის მონაწილეები გვიყვებოდნენ უარყოფითი ემოციებით გაჯერებული გამოცდილების, ჯანმრთელობის პრობლემისა თუ ცხოვრებისეული გამოწვევის შესახებ, რომლებსაც დადებითი შედეგით, გამოჯანმრთელებით ან პიროვნული ზრდითა და გაუმჯობესებით აკომპენსირებდნენ (ხსრილი N 6.10).

კედელზე მიყრდნობილი ვხვდებოდი, რომ შეიძლება გული გამსკდომოდა. ფიზიკურად ასე ცუდად სტრესისგან არასოდეს ვყოფილვარ. მთლიანად მაკანკალებდა. ამ დროს მივხვდი, რას ნიშნავს ნერვიულობისგან ცუდად გახდომა. ამის მერე ძალიან შევიცვალე. მივხვდი, რომ თუ მინდა ცხოვრების გაგრძელება და ისე გაგრძელება, როგორც მე მინდა, აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი გავხდე

და დამოუკიდებელი არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, ანუ ემოციურად განცალკევდე ოჯახიდან, ჩემი ოჯახისგან. მაგ მომენტიდან მივხვდი, რომ რაც არ კვლავს, გაძლიერებს და ასეც მოხდა ჩემს ცხოვრებაში (მამაკაცი, 34).

ცხრილი N 6.9. პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობის სიხშირეები 6 ინტერვიუში გადაკოდირებული მოგონებების მიხედვით

მოგონების ტიპი	მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა	კონტამინაციის თანამიმდევრობა
არის	16	14
არ არის	0	2
პიკური გამოცდილება	4	1
უარყოფით მოგონება	3	4
გარდამტეხი მოვლენა	6	1
ბავშვობის დადებითი მოგონება	2	0
ბავშვობის უარყოფითი მოგონება	0	4
მკაფიო მოგონება მოზრდილობიდან	2	2
სიბრძნის ეპიზოდი	4	2
სპირიტუალურ/რელიგიური გამოცდილება	1	0
ცხოვრებისეული გამოწვევა	9	0
ჯანმრთელობა	5	0
დანაკარგი	3	1
სინანული	6	11
ორიენტაციის ცოდნა	1	5
თავის უღირსად გრძნობა	3	0
დამამცირებელი მოპყრობა	0	2

ცხრილი N 6.10. პერსონალური ნარატივების შინაარსობრივი ასპექტები მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობით დალაგებულ 16 ინტერვიუში

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით დალაგებული ნარატივების თემები	კონტამინაციის თანამიმდევრობით დალაგებული ნარატივების თემები		
გაუმჯობესება/აღმავალი მოძრაობა	19	დანაკარგი	13
ზრდა/განვითარება	14	ღალატის	5
გამოჯანმრთელება	5	მსხვერპლის როლი	5
გათავისუფლება	5	იმედგაცრუება	2
მსხვერპლშენიშვნა	3	მარცხი	2
სწავლა	3	ფიზიკური/ფსიქიკური ავადმყოფობა ან ტრავმა	1

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით დალაგებული ზოგიერთი ამბავი ინტერპერსონალური ურთიერთობების პრობლემებს შეეხებოდა, რომლის შემდეგაც მთხრობელები პიროვნულად იზრდებიან, უმჯობესდებიან, სწავლობენ საკუთარი თავის ფასს, უფრო ხედავენ საკუთარ ძლიერ მხარეებს და ნეგატიური გამოცდილებიდან დადებითი შედეგი გამოაქვთ.

როცა დავშორდი შეყვარებულს ...ექვსი თვის განმავლობაში ყველა სისულელე გავაკეთე, მგონი, რაც კი შეიძლებოდა გამეკეთებინა და ... ვისწავლე ის, რომ რალაცები არ უნდა დავთმო და ვისწავლე და გავიაზრე ის, რომ... უბრალოდ ბევრს არ უნდა მისცე იმის უფლება, რომ გაგაფუჭოს და თავზე გადაგიაროს. ამიტომ, შესაბამისად, ცოტა უხეში გავხდი (ქალი, 19).

კვლევის ორი მონაწილე საუბრობს წამალდამოკიდებულებაზე, რომელიც წარმატებით დაძლიეს მეგობრებისა და სხვების დახმარებით, რის შემდეგაც გაცივობიერეს არსებული პრობლემები, მიხვდნენ, რომ დროს კარგავდნენ და სუსტი ადამიანებივით იქცეოდნენ.

როგორც კი ტაბლეტებს გავანებე თავი და გადაწყვიტე, რომ რის გამოც ძალიან სუსტი ადამიანივით ვიქცეოდი და ვის გამოც ვსვამდი.. ანუ სინამდვილეში იმის გამო ვსვამდი, რომ საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი იმას, რომ ჩემი დებილური ხასიათის გამო დავკარგე ვიღაც და ვერ ვაცნობიერებდი იმას, რომ კი არ დავკარგე, რეალურად უბრალოდ მორჩა... ანუ ვაცნობიერების პრობლემა იყო. იმისთვის თუ მორჩა, შენც უნდა შეწყვიტო ყველაფერი (ქალი, 19).

კვლევის მონაწილეები საუბრობენ ქამინგაუთის სტრესულ პროცესზეც, რომელსაც საბოლოოდ მოყვება ერთგვარი გათავისუფლება, მეგობრების მიერ მათი სექსუალური ორიენტაციის მიღება, მშობლების/ნათესავების ნეგატიური დამოკიდებულების ცვლილება და/ან დამოუკიდებლობის მოპოვება.

ოჯახთან რომ მომინია ქამინგაუთი, ეგ იყო ჩემთვის ყველაზე ცუდი იმიტომ, რომ ყველაზე სტრესული იყო და ყველაზე პრობლემური საკითხი... ამ საკითხმა უფრო მეტი შინაგანი დამოუკიდებლობა მომცა და უფრო მეტად ვთვლი, რომ, პირველ რიგში, მე ვმართავ ჩემ ცხოვრებას. მე უნდა მივიღო გადაწყვეტილება და საკუთარი სურვილის მიხედვით შემიძლია ვიცხოვრო (ქალი, 22).

კვლევის მონაწილეები, რომლებიც ქამინგაუთისას ვერ იღებენ საზოგადოების მხარდაჭერას, დამოუკიდებლობისკენ დგამენ ნაბიჯს. ზოგიერთი მათგანი სხვა ქალაქში გადადის საცხოვრებლად, ზოგი მარტო იწყებს ცხოვრებას, ან ხვდება დამოუკიდებლობის ფასს და ცხოვრების წესს იცვლის.

მაშინ მივხვდი, რომ ესლა შეიძლება მოვკვდე... ისე ცუდად ვარ, რომ აი, რომ ნატრობ, აი, გასკდეს ესლა და ჩამიტანოს, აქ არ ვიყო და რა კარგი იქნებოდა, მკვდარი ვიყო... და თან ეს არ იყო ერთი წამი. დიდხანს ვლაპარაკობდით... მანდუდან მოყოლებული, ალბათ, შევიცვალე ძალიან ანუ მივხვდი, რა აუცილებელია,

რომ დამოუკიდებელი გავხდე და დამოუკიდებელი არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, ანუ ემოციურად განცალკევდე ოჯახიდან (მამაკაცი, 34).

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობითაა დალაგებული მონათხრობები, რომლებშიც კვლევის მონაწილე ან მისთვის ახლობელი ადამიანი ჯანმრთელობის პრობლემის წინაშე დგას. გამოჯანმრთელებას მეგობრების და ახლობელი ადამიანების მხარდაჭერით, თანადგომით ან დამოუკიდებელი ძალისხმევით აღწევს.

[ავადმყოფობის გამოცდილებამ] გამაძლიერა 100 %-ით იმიტომ, რომ ვიცი, უნდა ვიბრძოლო, ვიცი, რომ სიცოცხლეს ფასი აქვს, რომ არანაირად არ უნდა დავკარგო ის საჩუქარი, რაც მშობლებმა მაჩუქეს – სიცოცხლე... ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია, რომელიც არ უნდა დაკარგო (მამაკაცი, 25).

კვლევის მონაწილეები, რომლებსაც სუიციდის მცდელობა ან სურვილი ჰქონდათ, ძლევენ მას და უფრო აფასებენ საკუთარ სიცოცხლეს, უფრო ღირებულად მიიჩნევენ საკუთარ თავში.

...[მეგობარმა] ჯიბეებში ჩამიყო ხელი და ნახა, რომ წამლის „პლასტინები“ ცარიელი იყო, მე ვითიშები, შემომიღანუნა და თითებს მთხრის პირში, რომ ვარწყიო, ამასობაში მოვიდა სასწრაფო. გამიკეთეს გამორეცხვა... იმის შიშით, რომ ჰოსპიტალიზაცია არ მოეხდინათ, დავწერე განცხადება, რომ ეს იყო უბრალო ინტოქსიკაცია... მერე მივხვდი, რომ ეს სისულელეა, არავინ და არაფერი ღირს იმაზე ძვირად, ვიდრე სიცოცხლე. არავინ უნდა გიყვარდეს შენ თავზე მეტად. დღეს ჩემი თავი ძალიან მიყვარს... ეგოისტურად ჟღერს, მაგრამ მე თუ არ მიყვარება ჩემი თავი, სხვა არავინ შემეყვარებს. მე ვცხოვრობ ჩემთვის და ვიბრძვი ჩემთვის. მე თუ კარგად ვიქნები, ჩემი მეგობრებიც კარგად იქნებიან და ჩემი ოჯახი – მით უმეტეს (მამაკაცი, 25).

კვლევის მონაწილეები მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით იხსენებენ ისეთ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც, რომელიც სასწავლებელში, სამსახურში, კონკურსში წარუმატებლობას ეხება. ისინი ძლევენ წინააღმდეგობას და პოულობენ დადებით შედეგს ან გამოსავალს უარყოფითი გამოცდილებებიდან.

სამი თვის განმავლობაში ვიმუშავე ბიოლოგიის მასწავლებლად სკოლაში და.. მივხვდი, რომ ვერ შევძელი. მე მქონდა დიდ ბავშვებთან ურთიერთობა... და ეგ იყო წარუმატებლობა. არავინ არაფერი მასწავლა საერთოდ... გადამიარეს. გადამიარეს და ვიგრძენი, რომ ძალიან სუსტი ვიყავი მასწავლებლობისათვის. არა, განა იმიტომ, რომ ან ცოდნა არ მქონდა ან რაღაცის მიწოდება არ შემეძლო. უბრალოდ ვერ დავიჭირე ეს ბავშვები... ამისთვის არ ვიყავი მომზადებული... და შემდეგ უკვე მივედი იმ დონემდე, რომ ყველა ხელში მეჭირა. აბა, განძრეულიყვნენ ან გაეკეთებინათ ისეთი რამე, რაც არ მომეწონებოდა (მამაკაცი, 26).

კონტამინაციის თანამიმდევრობა. კვლევის 16 მონაწილიდან 14 საკუთარი ცხოვრების ისტორიაში ერთ ისტორიას მაინც ჰყვება კონტამინაციის თანამიმდევრობით, რომელშიც დამაკმაყოფილებელ ან დადებით სცენას უარყოფითი აფექტით დატვირთული მოვლენა მოსდევს. თუმცა კომპენსირებელი თანამიმდევრობით დალაგებულ ამბები მრავალფეროვანია შინაარსის მიხედვით, კონტამინაციის სტრუქტურით მოთხრობილი ისტორიები, ძირითადად, დანაკარგსა და ახლობელი/მნიშვნელოვანი ადამიანების გარდაცვალებას ეხება, იქნება ეს დედის, ბებიისა თუ რომელიმე ახლო ნათესავის დაკარგვა, რომლებიც პროტაგონისტის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ჩემზე იმოქმედა იმან, რომ როდესაც ვიყავი მეოთხე კლასში, დეიდაშვილი დამეღუპა. აი, ამან იმოქმედა ყველაზე ცუდად იმიტომ, რომ მის ხელში ვიყავი გაზრდილი, ერთად ვცხოვრობდით და 15 წლით უფროსი იყო და არ არსებობდა სადმე წასულიყო და არ წავყვანე. შეიძლება იმ პერიოდში ვერ ვაცნობიერებდი რა ხდებოდა, მაგრამ მერე უკვე რომ არ მიდიოდა არსად და მეც აღარსად მივყავდი, ამან იმოქმედა ჩემზე ნეგატიურად (მამაკაცი, 27).

ადამიანები კონტამინაციის თანამიმდევრობით ყვებიან ინტერპერსონალური დანაკარგის, კერძოდ, მეგობრებთან დაშორებისა და ურთიერთობის განწყვეტის შესახებ ამბებს.

მენატრება ხოლმე, ძალიან მინდა მივიღე და მოვუყვე რაღაცები იმიტომ, რომ იმას შეუძლია გამაჩეროს ხოლმე. მითხრას, გეყოფა ეხლა, გაჩერდი და.. აღარავინ მაჩერებს ეხლა რაღაცებს რომ ვყვები ხოლმე. განვიცადე ერთია, მენატრება ხოლმე... ჩემთვის ყველაზე მტკივნეული ამ შემთხვევაში, იცით რა არის? ის ბარიერი, რომელიც ამ ადამიანთან მიწევს, რომ მქონდეს (ქალი, 19).

კვლევის სამი მონაწილე კონტამინაციის თანამიმდევრობით ჰყვება ნეგატიურ სექსუალურ გამოცდილებას და სექსუალური ძალადობის სცენას. ისინი საუბრობენ ბავშვობაში გადატანილ სექსუალურ ძალადობაზე ან სექსუალურ კავშირზე, რომელიც შემდგომ ინანეს.

12 წლის ასაკში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გავხდი – ყველაზე მტკივნეული, ყველაზე საშიში და ყველაზე ემოციური... პირველად გავიგე, რა არის ტკივილი. გავიგე ის, რომ არსებობს ცუდი ხალხიც, არა მარტო კარგი ხალხია ჩემ ირგვლივ... იმ მომენტში მივხვდი, რომ ცუდი რაღაც ხდება იმიტომ, რომ როცა მტაცეს, შემომიმტვრიეს ხელები უკან, პირი მომიხურეს, რომ არ ვიყვირო, დამაგდეს ქვებზე... უკვე მივხვდი, რომ ცუდი რაღაცა ხდება. არადა... გაგებაში არ ვიყავი, რომ შეიძლება ვიღაცა... არ ვიცოდი რისთვის. პირველი მომენტი ვიფიქრე, რომ ჩემი ცემა უნდათ, ვერ ვხვდებოდი რისთვის მხდიდნენ შორტებს და ის ტკივილიც გაუგებარი იყო ჩემთვის, რა არის, რატომ არის... (მამაკაცი, 25)

კვლევის მონაწილეები ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან მიღებულ უარყოფით უკუკავშირზეც საუბრობენ.

მეცვა გახეული კეტები, ძაან გახეული იყო, თან ზამთარი იყო უკვე, თოვლი და ძაან მციოდა, ფეხები მისველდებოდა, მარა რა მექნა, ვერ ვყიდულობდი და დილას რომ მიხვიდოდი [ავტობუსის გაჩერებაზე], 7 საათზე უკვე რიგი დაწყებული იყო, წინასწარ იკავებდნენ და ვცდილობდი, ადრე მივსულიყავი, რომ ლექციაზე არ დამეგვიანა. ისე მეჩხუბნენ ქალები ერთ მისვლაზე, რა მოდაა, ეს კეტები რომ გაცვიაო, რომ ცრემლები წამსკდა, ანუ იმას რომ ეჯახები, რომ ადამიანები სოლიდარულები უნდა იყვნენ იმიტომ, რომ შენთან ერთად დგანან რიგში, შენს მსგავსად უჭირთ რაღაცა, მაშინ როცა შენ ქუსლიან ჩექმებზე დგახარ და ბენვინი ქურქი გაცვია, მე ვარ გახეული კეტებით, რომელზეც არც შეიხედება და მცია. აი, ძაან, ძაან მტკივნეული იყო (ქალი, 22).

კონტამინაციის თანამიმდევრობითაა დალაგებული სხვა ცხოვრებისეული სცენები, რომლებიც, ძირითადად, სწავლასა და სამსახურში წარუმატებლობას ეხება.

ეს იყო ჩემ პროფესიასთან დაკავშირებით. მეოთხე კურსზე ვიყავი საქართველოს პროკურატურაში, პროკურორის თანაშემწის სტაჟირების გამოცდები რომ გამოცხადდა, ერთწლიანი სტაჟირება და პარალელურად ხელფასი და ერთი წლის მერე დიდი ალბათობა, რომ უკვე პროკურორი გავმხდარიყავი. ჩავაბარე საკმაოდ წარმატებულად გამოცდები და მივდივარ გასაუბრებაზე, დაგირეკავთ და კარგი... დღესაც ველოდები იმათ ზარს. ეს მოხდა სამი წლის განმავლობაში ზედიზედ. ეს ყველაზე დიდი წარუმატებლობაა იმიტომ, რომ მივხვდი ამას და მენანება ეს დრო, რაც უკვე დავკარგე, როდესაც 4 წელი ვისწავლე იურიდიულზე (მამაკაცი, 27).

6.2.3.2. ნარატივების თემატური ანალიზი

კვლევის მონაწილეთა ნარატივების უმრავლესობაში დომინირებს რამდენიმე თემა, რომლებიც თითოეულ მონათხრობში ექსპლიციტურადაა წარმოდგენილი. ნარატივებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოჯახის წევრების, უფრო კონკრეტულად, ბებიების შესახებ ამბები. ზოგ შემთხვევაში ეს თემა მთელ ნარატივს გასდევს. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები ცალკე თემად გამოყოფენ, აღწერენ და ხსნიან სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი საკუთარ დამოკიდებულებას. ასევე, ნარატივებში ცხადად ჩანს მენტორის, ერთგვარი დამრიგებლის, *მნიშვნელოვანი სხვის* ყოლის სურვილი (და მისი ნაკლებობა).

სტიგმა. სტიგმის შემცველი მოგონებები განსხვავდება ერთმანეთისგან შინაარსით. სტიგმის ექსპლიციტური მაგალითები ისეთ სცენებში ქარბობს, რომლებშიც მოთხრობილია ქამინგაუთის პროცესი, საკუთარი აზრის დაფიქსირება

სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ჩაცმულობასთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ბუღინგის და ფიზიკური ზიანის მიყენების ამბები.

კვლევის მონაწილეები ყვებიან ოჯახის წინაშე ქამინგაუთის შესახებ, რაც მათთვის სტრესულ, ნეგატიური აფექტით დატვირთულ და მასტიგმატიზებელ მოვლენას წარმოადგენდა. სტიგმის შემცველია ის სცენებიც, რომლებშიც პროტაგონისტები აღწერენ, როგორ გამოთქვენ საკუთარი აზრი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და რა პასუხი მოჰყვა ამას გარშემომყოფებისგან.

სირთულე ყოველდღიურად გვაქვს ყველას. ალბათ, საზოგადოებასთან კონტაქტი ყოველდღიურად დაკავშირებულია სირთულესთან სხვადასხვა მიზეზის გამო. ალბათ, უნდა დავიცვა ჩემი პოზიცია, ან უბრალოდ ჩრდილში ვიყო რაღაც მომენტებში. რაღაცის კეთებას აზრი არ აქვს, ან შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. ამიტომაც არ ვაკეთებ რაღაც-რაღაცებს. ეს სირთულეები რომ არ იყოს, უფრო ადვილი იქნებოდა (მამაკაცი, 19).

ღიად დაფიქსირებულ პოზიციაზე არაკეთილგანწყობილი რეაქცია ზოგჯერ არ შემოიფარგლება ვერბალური პასუხით და ფიზიკურ ზიანად გადაიზრდება.

ყველაზე მტკივნეული იყო... მამაჩემმა მცემა იმის გამო, რომ არ ვუყურებდი ფეხბურთს. სპორტი ყველანაირად ძალიან შორს იყო ჩემგან და „ფეშენ შოუების“ ყურება უფრო მიყვარდა და ამის გამო მამაჩემმა მცემა. შენ ბიჭი ხარ და ბიჭს სპორტი უნდა უყვარდესო (მამაკაცი, 19).

სტიგმატიზების მიზეზი ხდება მთხრობელების ჩაცმულობა ან ქცევა, რომელიც გარშემომყოფებს საშუალებას აძლევს, პროტაგონისტს იარლიყი მიაკეროს და ბუღინგის მსხვერპლად აქციოს.

არასდროს დაუცინია ჩემთვის ვიღაცას სტილის გამო და ყოველთვის, როცა კლასში შევდიოდი ან დერეფანში დავდიოდი, ხმამაღლა, ჩემ გასაგონად ამბობდა, რომ ნახეთ, ვაჟკაცი მოდის. დაახლოებით იანვარში გადმოვიდა და სანამ დავამთავრებდით სწავლას, აი, ეგ მთელი ექვსი თვე იყო ძალიან ცუდი, ხანდახან სკოლაშიც არ მინდოდა წასვლა იმის გამო, რომ ის იქნებოდა და დაიწყებდა, „ვაჟკაცი მოდის“ და რაღაცებს (ქალი, 20).

კვლევის მონაწილეები სტიგმის მსხვერპლი ხდებიან სექსუალური ორიენტაციის გამოც. მათ აზურად იგდებენ, ავინრობენ ან, უარეს შემთხვევაში, ფიზიკურად ემუქრებიან.

უნივერსიტეტში საპირფარეშოში რომ შევდიოდი, დამხვდა რამდენიმე ბიჭი და მითხრეს, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო და მეორე სართულზე ავსულიყავი, გოგოების საპირფარეშოში (მამაკაცი, 19).

სტიგმატიზების ყველაზე მკაფიო შემთხვევები ნარატივებში 17 მაისის მოვლენებს უკავშირდება, როდესაც ადამიანები დაწვრილებით ყვებიან მაშინდელ ამბებს და აღნიშნავენ, რომ სტიგმა, რომელსაც ატარებენ, დღემდე შიშის, საფრთხის მოლოდინისა და ნეგატიური აფექტის წყაროა.

17 მაისი რომ იყო, ეხლაც კადრები მაქვს თვალწინ, თუნდაც იმ ადგილზე რომ გავივლი, თავისუფლების ტერიტორიაზე სულ თვალწინ მაქვს ხოლმე იმ დღის კადრები და ცუდად მახსენდება... ხალხის სახე, რეაქცია, როგორ ზიზლით სავსე იყო ხალხი და არ ინდობდნენ ერთმანეთს, არ ინდობდნენ განსხვავებულ ადამიანებს. საშინელი კადრები მახსენდება, იმ ადამიანების სახეები, რომ გეგონება შენი მტერია (ქალი, 20).

ოჯახი. კვლევის მონაწილეები იშვიათად საუბრობენ ოჯახზე, კერძოდ მშობლებზე, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტზე, დამცველზე ან *მნიშვნელოვან სხვაზე*, რასაც კონკრეტული გარემო პირობები შეიძლება იწვევდეს. ნარატივებიდან ჩანს, რომ მშობლები ემიგრაციაში არიან, სხვა ქალაქში ცხოვრობენ, უბრალოდ, დაშორებიან შვილების ცხოვრებას ან გარდაცვლილან. მშობლების როლსა და პასუხისმგებლობას ბებიები (და ერთ შემთხვევაში – დედა) იღებენ საკუთარ თავზე, რომლებსაც კვლევის მონაწილეები აღწერენ, როგორც დადებით, მისაბაძ პიროვნებებს და მესაიდუმლებს.

გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყველაზე მტკივნეულად ბებიაჩემი მახსენდება. მასთან ვიზრდებოდი, ძალიან მიყვარდა და ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო ჩემთვის და ყველაზე მტკივნეულად ეგ მახსენდება... ყოფილა სხვა დანაკარგიც, მაგრამ რაც ხშირად ვფიქრობ და ხშირად მახსენდება და გული მწყდება, ბებიაჩემის ამბავია (ქალი, 22).

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე დანაკარგის გახსენებისას თავადვე აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები გარდაეცვალა, ყველაზე მძიმე მისთვის მაინც ბებიის დაკარგვა იყო:

[დავკარგე] ბებია, მამა და დედა...[ყველაზე მტკივნეული] უფრო ბებია, უფრო მეტად, ვიდრე მამაჩემი. ყველაზე მეტად... უკვე რამდენი, მეოთხე თუ მესამე წელი გავიდა, რაც ბებია გარდაიცვალა, მაგრამ ის ყველაზე მეტად მახსენდება (მამაკაცი, 17).

კვლევის სხვა მონაწილე ყველაზე უარყოფით გამოცდილებად ბებიის გარდაცვალებას ასახელებს და ჰყვება:

ყველაზე ნეგატიური არის ჩემთვის... შემოძლია ეგრევე გიპასუხო: ეს არის ბებიაჩემის სიკვდილი. ბებიაჩემი ყოველთვის იყო ჩემთვის ავტორიტეტი... ბებიაჩემი არის/იყო უძლიერესი პიროვნება. იმან გამიწია თანადგომა, ის მასწავლიდა ბევრს, ის გვივლიდა, როცა დედა სამსახურში იყო. ისიც იყო ჩვენთვის დედა და დედაც იყო დედა. ორი დედა მყავდა მე (მამაკაცი, 25).

ბებიის თემა ინტერვიუთა უმრავლესობაში მთელ ცხოვრების ისტორიას ლეიტმოტივად გასდევს და თითქმის ყველა მოგონებასა თუ ეპიზოდში იჩენს თავს:

მისი გარდაცვალების მერე კიდეც დიდხანს დავდიოდი სასაფლაოზე, რომ მელაპარაკა ბებიასთან იმიტომ, რომ არ მყავდა გვერდით ვინმე, [ვისაც] შემიძლია, რომ ჩავეხუტო, ვაკოცო ხელზე და დაველაპარაკო (მამაკაცი, 25).

მენტორი. მიუხედავად ბებიების, როგორც მნიშვნელოვანი და ახლობელი ადამიანის არსებობისა, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თხრობისას ერთხელ მაინც აღნიშნავს, რომ ვინმე რომ ჰყოლოდა, ვინც აუხსნიდა, ასწავლიდა და დაარიგებდა, მათი ცხოვრების ისტორია სხვანაირად განვითარდებოდა. მთხრობელთა უმრავლესობა საუბრობს „მენტორზე“, რომელიც სჭირდებოდათ, მაგრამ არ ყავდათ:

ეს იყო ბავშვობა, დაახლოებით ათ წლამდე, როცა ვთვლი, რომ ძაან ისეთი რამ მაქვს გაკეთებული, სხვები რომ დამხმარებოდნენ, მაგალითად დედა, მამა ან ვინმე მეგობარი რომ დამხმარებოდა, ვინც ჭკუას დამარიგებდა, არ გავაკეთებდი ისეთ რამეებს, რომლებიც გავაკეთე (ქალი, 22).

საინტერესოა, რომ კვლევის მონაწილეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სჭირდებოდათ, მაგრამ არ ჰყავდათ მენტორი, შემდგომ თავად ხდებიან სხვათა სწორედ ისეთი მენტორები, დამრიგებლები და გზის გამკვალავები, როგორიც თავად აკლდათ. პიროვნული იდეოლოგიის, ღირებულებების, მომავლის თავების თუ ცხოვრების პროექტის შესახებ საუბრისას ისინი ყვებიან განხორციელებულ აქტივობებზე ადამიანთა, ქალთა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მიმართულებით, მიზნად ისახავენ, დაიცვან კონკრეტული ჯგუფების (ქალების, სექსუალური უმცირესობის) ან, ზოგადად, ადამიანთა უფლებები:

ჩართული ვარ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, განსაკუთრებით ქალების უფლების დაცვის სფეროსა და პატრიარქალური კულტურისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი პრობლემების კვლევაში, ანალიზსა და ამ პრობლემების გამოსწორებაში, რაღაცა სახით მაინც საქმეში ვარ და ესე გავაგრძელებ ქალის უფლებების დაცვასა და გენდერული თანასწორობის მიღწევას. ყველაზე ძალიან რაც მინდა, ...ლგბტ წევრები არ იყვნენ დისკრიმინირებულები (ქალი, 22).

ზოგიერთი მათგანი დაუფარავად საუბრობს ან აპირებს, რომ ისაუბროს სექსუალური ორიენტაციის თემაზე; ცდილობს ან სურს, აამაღლოს სხვათა/საზოგადოების ცნობიერება ამ კუთხით.

აი, ზუსტად ჩემთვის სიბრძნის მომენტად იმას ვთვლი, როცა ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავით. ძალიან ცუდი საუბრები იყო იქ. ვითხოვე მიკროფონი, რომ

სიტყვა მეთქვა და...შინაგანი ნაბიჯი იყო. ადამიანებს მოვუნოდე თავისუფლები-სკენ და ვუთხარი, რომ ჯანმრთელი ადამიანი ხარ, რომ არ ხარ ავადმყოფი, რასაც გეუბნებიან. ის, რომ მეც ძალიან მიყვარხარ... ანუ ამას ჩემთვის არ ვაკეთებ, კიდევ ერთხელ ვიტყვი. ამას ვაკეთებ იმ ადამიანებისთვის, ვინც უნდა მოვიდნენ და გაიარონ და გადიან. მე რაც გავიარე, არ მინდა, რომ სხვებმაც გაიარონ; რომ არ გაქვთ ორიენტაცია მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური ურთიერთობისთვის... ანუ ყველას სათქმელი ვთქვი... თუნდაც მე რომ იქ ბავშვი ვყოფილიყავი და ვმჯდარიყავი ასე 13-14 წლის და ვილაც დამენახა, ვინც ასეთი რაღაც თქვა, ჩემი ცხოვრება უფრო შეიცვლებოდა, მაგრამ ასეთი არავინ იყო ჩემს ცხოვრებაში (მამაკაცი, 27).

სარწმუნოება. კვლევის ხუთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ბავშვობაში რელიგიურები იყვნენ: დადიოდნენ ეკლესიაში, აღსარებას ამბობდნენ, ეზიარებოდნენ და მოძღვარიც ჰყავდათ. ზოგიერთი მათგანი დღესაც განაგრძობს ეკლესიაში და მოძღვართან სიარულს:

ბავშვობიდან ისეთ ოჯახში ვიზრდები... ტრადიციული, ეკლესიური, მოძღვარიც მყავს. ...ვარ მორწმუნე, მჯერა, რომ არსებობს [ღმერთი], კი! ეკლესიაშიც დავდიოდი თავის დროზე. ის მომენტი არ მაქვს, რომ ღმერთის არ მწამს ან ათეისტის ვარ (ქალი, 20).

მიუხედავად ბავშვობაში ჩამოყალიბებული რწმენისა და ეკლესიური ცხოვრებისა, რესპონდენტთა უმრავლესობა აღარ იზიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებებს:

მერე ცოტა რომ წამოვიზარდე... ერთი-ორი წელი, სხვანაირი დამოკიდებულება გამიჩნდა. ახლა არ ვამბობ, რომ... პირჯვარსაც ვინერ, ეკლესიაშიც დავდივარ, ყოველდღე არა, მაგრამ როცა სადღესასწაულო დღეებია, მაგრამ რაღაც სხვანაირი დამოკიდებულება გამიჩნდა, აი ღმერთის მწამს, მაგრამ რატომღაც მამაოების მიმართ რაღაცნაირი, უფრო სხვანაირი შეხედულება მაქვს, ასე ვთქვათ, ნეგატიური (ქალი, 20).

ისინი მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან ეკლესიასა და რელიგიას. გამოყოფენ ეკლესიას, რომელიც მათთვის არასიმპათიურია, და საუბრობენ რელიგიაზე ან მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებსა და სახეებზე, რომლებიც მათთვის მისაღებია და ზოგ შემთხვევაში – მისაბაძიც კი:

საქართველოში არის მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია, ანუ.. ჰმ.. იესო ქრისტე გახდა ჩემი ერთ-ერთი თანამგზავრი კიდევ იმიტომ, რომ ეს ის ადამიანი იყო, ანუ რევოლუციონერი ადამიანი იყო, რომელიც ... ჩემი, რაც ბუნება მქონდა, რა შეხედულებაც სამყაროსა და სიცოცხლეზე, ადამიანებზე ემთხვეოდა მის შეხედულებებს (მამაკაცი, 27).

კვლევის ოთხი მონაწილე მართლმადიდებლურიდან სხვა რელიგიისაკენ, სამყაროს სხვაგვარი ხედვისაკენ, ასე ვთქვათ, უფრო ზოგადი, გლობალური რწმენისაკენ ინაცვლებს, რითაც არ კარგავს ბავშვობაში ჩამოყალიბებულ ბაზისურ რწმენას, მაგრამ აღარც წმინდად მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდევარია:

არ მნამს, რომ არსებობს ღმერთი, იმან შექმნა ადამიანი და ასე შემდეგ. ბიბლიას არ მივდევი მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერზე ვარ აღზრდილი... ერთადერთი ჩემი რასაც ესმოდა, ეს იყო ჩემი სხეული და ბუნება, რაც მიგებდა და ცხოველებთან და მიწასთან და ყვავილებთან ურთიერთობა, და მიწა ხარ და მიწად იქცევი (ქალი, 19).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების ნაწილს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს რწმენისა და ეკლესიისადმი. მათ შენარჩუნებული აქვთ ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული ძირეული რწმენა, გარკვეული რელიგიური/სულიერი ღირებულებები. მათ ისევ სწამთ ღმერთის, მაგრამ აღარ მიაკუთვნებენ თავს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

მერე უკვე მესმოდა ხოლმე რომ, ისეთი რომ ხარ, რა პირით უნდა შეხვიდე ეკლესიაში და ორი წელია, რაც მამაო არ მინახავს, არც ეკლესიაში შევსულვარ, თითქოს მრცხვენია შესვლა. ეკლესიასთან რომ გავივლი ხოლმე და პირჯვარს გადავიწერ, ვერ ვუყურებ, მრცხვენია, რა ვიცი, ალბათ, განსხვავებული რომ ვარ და მიუღებელი რომაა ეკლესიისათვის. ვარ მართლმადიდებელი, მაგრამ ეკლესიაში ორი წელია არ ვყოფილვარ, სხვა რა ვქნა (ქალი, 20).

ურთიერთსაპირისპირო პოზიციები სხვა საკითხებშიც გამოიხატება და მუდმივად ჩნდება სხვადასხვა ეპიზოდის თხრობისას. კვლევის მონაწილეები საუბრობენ უფლებების დაცვასა და დისკრიმინაციის შეჩერებაზე, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ არავის უფლება ილახება და არავინაა დისკრიმინირებული:

ყველაზე ძალიან რაც მინდა,... ლგბტ წევრები არ იყვნენ დისკრიმინირებული, არც არავინ აღარაა დისკრიმინირებული, მაგრამ თუ ეს ასე იქნება... (ქალი, 22)

მქონდა სურვილი, რომ დამეცვა ჩემი უფლებები, რომელსაც, ძირითადად, არ მიზღუდავენ ხოლმე. ვერავინ ვერ მიზღუდავს (ქალი, 19).

6.2.3.3. ნარატივების მთლიანობითი ანალიზი

გეი და ლესბოსელი ადამიანების იდენტობის ფორმირების ეტაპები, რომლებსაც ჰალბერტალი და კორენი (2006) აღწერენ, ნათლად ჩანს კვლევის მონაწილეების ნარატივებში. მივყვით კვლევის ერთ-ერთი მონაწილის ისტორიას, რომელსაც პირობითად გიორგის (27 წლის) ვუწოდებ. მისი ამბავი ყველაზე გავრცელებული სცენარის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ჩემი ბავშვობიდან მახსენდება ის, რომ ბავშვობიდან ვიყავი სხვანაირი ბავშვი, განვსხვავდებოდი ყველასგან.

ეს სწორედ ის განსხვავებულობის განცდაა, რომელსაც ეს ადამიანები ღრმა ბავშვობიდან ინტუიციურად გრძნობენ, და არც გიორგი იყო გამონაკლისი. იდენტობის ფორმირების შემდეგ საფეხურს – დისოციაციას ნათლად ვხედავთ ისტორიაში, როდესაც გიორგი ჰყვება, თუ როგორც ჩამოშორდა ადამიანებს. ის ცხოვრების ამ თავს პირდაპირ „გამოყოფას“ არქმევს, რასაც მოყვება სექსუალური ორიენტაციის საკუთარი თავის წინაშე აღიარება.

„დასაწყისის“ შემდეგ იწყება „გამოყოფა“, მეორე თავს დავარქმევ „გამოყოფას“, როდესაც გამოვეყავი ადამიანებს. ეს მოხდა დაახლოებით 12-13-14 წლის ასაკში. საერთოდ გამოვყავი ჩემგან ადამიანები... აი, 14 წლის რომ გავხდი, ვიცოდი უკვე, რომ ყველას, ოჯახშიც და ჩემს გარშემოც იყო ესეთი ის, რომ ბიჭი ხარ და გოგო უნდა გიყვარდეს, მერე ცოლი უნდა მოიყვანო, ნუ მოკლედ ის გოგო მოგწონს, ეს გოგო მოგწონს... და ეს ყველაფერი იყო ჩემთვის გამაღიზიანებელი იმიტომ, რომ საერთოდ არ მომწონდა გოგოები.

ცხოვრების შემდეგ თავს იგი „ლელვას, ქარიშხალს“ არქმევს, და ზუსტად აქ ჩანს იდენტობის ჩამოყალიბების შემდეგი საფეხური – კრიზისი. ამ ეტაპზე გიორგი თავს ცოდვილად მიიჩნევდა და გამაღებით ებრძოდა საკუთარ სექსუალურ სურვილს.

სარკესთან ვდგებოდი და ვუყურებდი, რომ დამენახა ეშმაკი ჩემს თავში. ეს კარგა ხანი გრძელდებოდა, მართლა ვიყურებოდი ხოლმე სარკეში და მართლა მინტერესებდა, სად იყო ეშმაკი.

საბოლოო ეტაპზე ხდება სექსუალური იდენტობის გაცნობიერება და ინტეგრაცია (Halbertal & Koren, 2006), რომელიც ჩვენი გმირის შემთხვევაში საინტერესო სახეს იღებს. იგი იდენტობის ინტეგრაციას სიზმრად ნახულობს.

ერთ-ერთი ძილის დროს ვნახე ასეთი რაღაც, რომ ძალიან დიდ სიბნელეში დავდიოდი და მინდოდა შუქი ამენთო. ვერსად ვანთებდი შუქს, ყველგან სიბნელე იყო. შემდეგ დავინახე რაღაცა... გაიხსნა, ალბათ, კარი და სინათლემ გამოასხივა იქიდან და დაიწყო უფრო გამონათება ამ სინათლემ და რომ გამოვიდა, დავინახე, რომ ვიყავი მე. საკუთარი თავი, რომელიც ანათებდა და იყო ძალიან ნაზი... ნაზად მოძრაობდა, იყო ძალიან ჰაეროვანი და ვიყავი მე და რომ ვუყურებდი, მიკვირდა. ჩემს საკუთარ თავს ვუყურებდი, რომ იყო განათებული და რაღაც საყვარელი ვიღაცა. ამით დამანახა შემოქმედმა, რომ ის მე ესეთს მხედავდა და არა ისეთს, როგორსაც მე ვხედავდი ჩემს თავს იმიტომ, რომ მე ვხედავდი ჩემს თავს სიბნელეში... სწორად მანახა რა. რაღაცა მისტიური იყო იმიტომ, რომ ამ ყველაფრის მერე დავინწყე ფიქრი, რომ სულაც არ არსებობს ეშმაკი ჩემში.

საინტერესოა, რომ თავისი ცხოვრების შემდეგ თავს გიორგი „მეორედ დაბადებას“ არქმევს, რომელშიც მოგვითხრობს ერთგვარ სინთეზზე, გაერთიანებაზე, საკუთარი თავის პოვნასა და მიღებაზე, ცხოვრებაზე იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც მისი ესმით და უყვართ.

ზოგიერთი კვლევის მიხედვით (მაგალითად, Herdt & Boxer 1993; Savin-Williams 1998), როგორც უკვე გითხარით, თანამედროვე ახალგაზრდებს იდენტობის განვითარების პროცესში სექსუალური იდენტობის ორ მასტერნარატივთან მაინც უწევთ შეთანხმება: ბრძოლის ბრძოლისა და ნარმატივის მონათხრობია. ბრძოლის ნაწილი საკუთარი თავის მიღებასთან ასოცირებულ შინაგან და გარეგან გამოწვევებს უკავშირდება (Hammack et.al. 2009). კვლევის მონაწილეების ნარატივებში ნათლად ჩანს ბრძოლის ნარატივი. გვიანი მოზარდობის პერიოდში მყოფი ადამიანები ჯერ კიდევ განიცდიან საკუთარი თავის მიღებასთან დაკავშირებულ დისკომფორტს, რასაც ზოგ შემთხვევაში სექსუალური ორიენტაციით გამოწვეული სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა ახლავს თან. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები არაქართულ კულტურაშია ჩატარებული, ჩვენი კვლევის მონაწილეთა ნარატივებშიც ანალოგიური სურათი იკვეთება.

არც ეკლესიაში შევსულვარ, თითქოს მრცხვენია შესვლა, ეკლესიასთან რომ გავივლი ხოლმე და პირჯვარს რომ გადავინერ, ვერ ვუყურებ მრცხვენია ხოლმე, რა ვიცი, ალბათ, განსხვავებული რომ ვარ და მიუღებელი რომაა ეკლესიისთვის (მდედრობითი, 20 წლის).

ემანსიპაციის ნარატივი სექსუალური იდენტობის რიგიდული კატეგორიებიდან გათავისუფლებასა და საზოგადოების მიერ სექსუალური სურვილის მარეგულირებელი ტიპოლოგიის შექმნის მოთხოვნისადმი კრიტიკულ მიდგომას გულისხმობს (Hammack et.al. 2009). კვლევის მონაწილეებს, რომლებიც ადრეული მოზარდილობის ასაკში არიან, სრულად აქვთ მიღებული საკუთარი თავი.

ვსაუბრობ იმ ტერმინებით, რა ტერმინებიც მისაღებია სამყაროსთვის, თორემ საერთოდ არ ვფიქრობ, რომ რაღაცა თემი არსებობს, რომ რაღაც ჯგუფი არსებობს, ადამიანები არიან მრავალფეროვნები (მამაკაცი, 27).

კვლევის მონაწილეთა ცხოვრების ისტორიები ფეხდაფეხ მიჰყვება კოჰლერის და ჰამაკის (2006) კვლევაში აღწერილ არაჰეტეროსექსუალ ადამიანთა სამი თაობის განვითარებას. ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების ცხოვრების ისტორიები იმეორებს იმ მსგავს მოვლენათა ჯაჭვს, რომლებიც ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების ისტორიის განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაჰეტეროსექსუალებში სოციალური კონსერვატიზმი და სტიგმა დაფარულ სექსუალურ იდენტობას განაპირობებდა (Cohler & Hammack, 2006). მსგავს ვითარებას ვხვდებით კვლევის ქართველ მო-

ნაწილებთან: ისინი მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, რადგან იციან, რომ მათ არა მარტო საზოგადოება, არამედ საკუთარი ოჯახი და მშობლებიც კი არ მიიღებენ და, აქედან გამომდინარე, სტიგმის მსხვერპლად იქცევიან.

ისეთ ხალხთან ვმალავ, რომელიც არის „საშიში“ ანუ არ მაინტერესებს გამვლელმა რომ გაიგოს ასეთი ვარ, რას იფიქრებს, უბრალოდ, მთავარია. ჩემ ოჯახამდე არ მივიდეს ანუ დედა და... ნათესავები სიტყვაზე... ანუ გააჩნია ვისთან ვმალავ. იქ უფრო ვმალავ, სადაც ვცხოვრობდი, დედაჩემი სადაც არის ეხლა, სადაც ყველა იცნობს დედაჩემს, ჩემ ოჯახს, ნათესავებს, ძალიან ახლო წრეა და ვმალავ... მეტყობა? მეტყობა, ალბათ, მაგრამ რომც იკითხონ, ვიცი, რომ არ ვალიარებ იმიტომ, რომ მეშინია. აქეთ გახსნილად ვარ უფრო. ვიცი, რომ არც კონტაქტი აქვთ ჩემს ოჯახთან და არც არაფერი და უფრო იმიტომ ვმალავ თუ ვმალავ, რომ არ გაიგოს დედაჩემმა. უცხოსაც კი არ დავუმაღავ, ჰომოფობიც რომ აღმოჩნდეს, არ დავუმაღავ (ქალი, 20).

შესაბამისად, ამერიკელი გეებისა და ლესბოსელების პირველი (ნაკვლევი) თაობის მსგავსად, კვლევის ქართველი მონაწილეებიც უარყოფენ საკუთარ თავს. სტიგმის გამომწვევი პირობებიდან გამომდინარე, ისინი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობენ ანუ ორი ნარატივით მოქმედებენ. როგორც ამერიკელთა პირველი თაობის, ისე კვლევის ქართველი მონაწილეების ცხოვრებაზე გავლენას ახდენს სოციალური სტიგმა, რაც ამცირებს ოპტიმალური განვითარების შესაძლებლობას (მაგალითად იხ. Plummer, 1975, წყაროში Cohler & Hammack, 2006).

ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების მეორე თაობა იწყებს გვი უფლებების დაცვისთვის მოძრაობას, რასაც მოყვება სტოუნუოლის ჯანყი⁵⁵ 1969 წელს (მიმოხილვისთვის იხ. Cohler & Hammack, 2006). ამერიკაში განვითარებულ მოძრაობას საკმაოდ მიახლოებულად იმეორებს 17 მაისის მოვლენები საქართველოში. სტოუნუოლის ჯანყის შემდეგ იწყება გვი მოძრაობა სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად (Cohler & Hammack, 2006), რომელიც გეებისა და ლესბოსელების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, ალიარებისაკენ ისწრაფვის. ამერიკული მეორე თაობის წარმომადგენლების მსგავსად, კვლევის ქართველი მონაწილეების დიდი ნაწილი ჩართულია ქალების, უმცირესობების, არაჰეტეროსექსუალებისა და, ზოგადად, ადამიანთა უფლებების დაცვაში.

მეორე თაობის წარმომადგენელი მილერი⁵⁶ (Cohler & Hammack, 2006) პირველი თაობის წარმომადგენლებს განსხვავებულობის გრძნობით და სირცხვილის განცდით ჰგავს, მაგრამ მისი ისტორია მოზრდილობაში მას შემდეგ იცვლება, რაც იღებს საკუთარ სექსუალურ იდენტობას და ცხოვრებას საკუთარი ჰომო-

⁵⁵ Stonewall Riots.

⁵⁶ სახელი შეცვლილი აქვთ ავტორებს.

სექსუალობის გაცნობიერების ირგვლივ აგებს. მისი ჰომოსექსუალური იდენტობა ხდება მაორგანიზირებელი ელემენტი მის ცხოვრებაში, მთლიანად მოიცავს რა სამუშაოსა და პოლიტიკურ აქტივობას. მის მსგავსად, კვლევის ზოგიერთი ქართველი მონაწილე საკუთარ აქტივობებს საკუთარ სექსუალურ იდენტობას უკავშირებს, რომელიც განსაზღვრავს პროტაგონისტის მიზნებს. იგივე 27 წლის გიორგი მოგვითხრობს:

სტერეოტიპს ვანგრევ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გამოიყურები. მე მგონი, მათ არ უნდა შერცხვეთ, რომ მე მათ წარმოვადგენ. თუმცა ბევრი წარმოადგენს, მაგრამ ერთ-ერთი მე ვარ და, მგონი, ჩემი არ უნდა შერცხვეთ, იმიტომ რომ, რა ვიცი, მათთვის შეიძლება რაღაც დასაყრდენი ვიყო. რა ვიცი, ისეთი პიროვნება არ არის ჩემში და არა ვარ, რომ შერცხვეთ ეს ტიპი რატომ ლაპარაკობს. რატომ არ შეიძლება სხვამ... აი, ამიტომაც რა, ალბათ, მაქვს ნება მოცემული, რომ ვიყო თავისუფალი.

მესამე თაობის წარმომადგენელი რიდი⁵⁷ (Cohler & Hammack, 2006) საკუთარი ბიოგრაფიით ცდილობს დაეხმაროს მოზარდებს სექსუალური ორიენტაციის გაცნობიერებასა და გარკვევაში მაშინ, როდესაც ისინი ანტიჰომოსექსუალურ ცრურწმენებს შეხვდებიან სკოლაში ან საზოგადოებაში. რიდი თავისი ზრუნვის საფუძველს ბავშვობაში პოულობს, როცა თავად სურდა, უფროსი ძმა ჰყოლოდა, რომელიც დაეხმარებოდა დამარცხებულობის განცდის დაძლევაში (Cohler & Hammack, 2006). მსგავს პრაქტიკას ვხვდებით კვლევის ქართველი მონაწილეების ნარატივებშიც: ისინი საუბრობენ მენტორის საჭიროებაზე, რომელიც მათ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაცნობიერებასა და მიღებაში დაეხმარებოდა.

რიდის მსგავსად, კვლევის ქართველ მონაწილეებს ახლა თავად სურთ სხვა არაჰეტეროსექსუალ ადამიანებზე ზრუნვა და იმ მენტორის როლის შეთავსება, რომელიც თავად სჭირდებოდათ. ისინი მზად არიან გამოცდილების გასაზიარებლად და მასტიგმატიზებელ, სტრესულ გარემოში გზის გასაკვალად. მათთვის არ წარმოადგენს პრობლემას, თუ სხვებს ეცოდინებათ მათი ორიენტაციის შესახებ, ზოგიერთი მათგანი სწორედ ქამინგაუთში ხედავს გულწრფელი, მყარი ურთიერთობის საფუძველს.

მირჩევნია თუ არა? მირჩევნია [იცოდნენ ჩემი ორიენტაციის შესახებ გარშემომყოფებმა] ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანმა ხალხმა იცოდეს იმიტომ, რომ თუკი მე ისევ ვიქნები ნილბიანი, ე. ი. მე ვიქნები მატყუარა (მამაკაცი, 25).

მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეები საფრთხის ან სტიგმატიზების შემთხვევაში საკუთარი სექსუალური ორიენტაციის დამალვას არჩევენ. ამგვარად,

⁵⁷ სახელი შეცვლილია.

იყენებენ სტიგმის დაფარვის სტრატეგიას და თავს არიდებენ სტიგმის გამომწვევ, სტრესულ სიტუაციასა და საუბრებს.

ერთი სიტყვით გეტყვი მაშინ, მკიდეა! უნდა იცოდნენ, უნდა არ იცოდნენ იმიტომ, რომ სხვისი აზრი ჩემი ორიენტაციის შესახებ არ მაინტერესებს იმიტომ, რომ ზოგს ეს დადებითი გონია, ზოგს უარყოფითი. ვისაც უარყოფითი გონია და მექიშპება, დაველაპარაკები. ვისაც კარგი გონია და დალაპარაკება უნდა, მაინც დაველაპარაკები. გაიგებს გაიგებს, არ გაიგებს და ნუ გაიგებს. ეგ თავის პრობლემაა და არა ჩემი. ჩემი პრობლემა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, რომ მე რალაც დამიშავდეს, მაგრამ საერთოდ საქმე იქამდე არ მიმყავს, რომ რალაცა დამიშავოს იმიტომ, რომ შეიძლება რალაცა კომპრომისებზე წავიდე, შეიძლება მოვიტყუო, რომ ღმერთის მნამს და ბიბლიით წავიდე, რომ აი, ბიბლიაში ესე წერია, შეიძლება მოვიტყუო, რომ რალაცა ქართული ტრადიციები მიყვარს და ყანნები შევსვა და აეჰ... ბევრი ნილაბი მოვირგო იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი ტყავი გადავარჩინო. ასე! (ქალი, 19).

კვლევის არც ერთი მონაწილე არ იყენებს ჯგუფურ იდენტობას ყოველდღიურ ცხოვრებაში სტიგმის დასაძლევად. ისინი მხოლოდ სტიგმის დაფარვისა და გაცნობიერებული კონტროლის გზებს მიმართავენ, რაც ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების მესამე თაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეესაბამება. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სექსუალური ორიენტაცია აღარ არის ცხოვრების ცენტრალური მარგანიზირებელი ელემენტი; ის მხოლოდ იდენტობის ნაწილი ხდება. შესაბამისად, სტიგმასთან გამკლავება ნაკლებად არის დამოკიდებული საკუთარი სექსუალური იდენტობის გააზრებაზე.

მივხვდი, რომ ეგ [სექსუალური ორიენტაცია] არ არის ჩემთვის წამყვანი. ადრე იყო, ახალგაზრდობაში უფრო და ეხლა მივხვდი, რომ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე, რომ ვმუშაობ, ვიდრე ის, რომ გეი ვარ ანუ იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია საქმესთან უფრო მეტი მაქვს, მაგრამ მანამდე არ მქონდა (მამაკაცი, 34).

აიაპის (1999) მიხედვით, ზოგიერთი ქრისტიანი არაჰეტეროსექსუალი გამოიმუშავებს დადებით იდენტობას, რომელიც სექსუალობასაც მოიცავს და რელიგიურ რწმენასაც ანუ ქრისტიანული რწმენისა და სექსუალობის სინთეზს აღწევს, რომელიც მაშინ არის შესაძლებელი, როცა საკუთარი თავის ხედვის ძირითად ჩარჩოსა და შემადგენელ კომპონენტს ინდივიდის „მე“ (self) წარმოადგენს და არა – რელიგიური ავტორიტეტი. მსგავს გამოცდილებას გვიზიარებს კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, როდესაც იგი საუბრობს იესოს სიყვარულსა და საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე.

...და იესო იყო სადაც, ისევე როგორც ბუნებაში, სიმშვიდეს ვპოულობდი.. ანუ როგორც არ უნდა, ვინც არ უნდა იყო, უყვარხარ ვილაცას, უყვარხარ და ეს

იყო ძალიან დიდი.. ეს რომ არ მქონოდა, ალბათ, ვფიქრობ, რომ დღეს წესით ცოცხალი აღარ უნდა ვიყო... ერთადერთი გესმის, რომ არსებობს ვილაც, ვისაც უყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ. შეიძლება შენი არ ესმით, მაგრამ იმას ყოველთვის ესმის (მამაკაცი, 27).

მსგავს მონათხრობს ვხვდებით კვლევის ქართველ მონაწილეებში. ზოგიერთი მათგანი კვლავ მორწმუნეა, თუმცა მუდმივად განიცდის ორმაგი იდენტობით გამონეულ განსხვავებას.

ორმაგი იდენტობა ზოგიერთ შემთხვევაში არა მარტო რელიგიის საკითხებში, არამედ სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებშიც იჩენს თავს და ზოგჯერ მთელ ნარატივსაც გასდევს ლეიტმოტივად. მაშინ, როცა ზოგიერთი კვლევის მონაწილე ინარჩუნებს ბავშვობაში ჩამოყალიბებულ რელიგიურ რწმენას, სხვები უარს ამბობენ რელიგიაზე, სახეს უცვლიან მას, ან საერთოდ უარყოფენ მის არსებობას.

როდესაც ადამიანები სექსუალობასა და რელიგიას შორის კონფლიქტს აწყდებიან, ნებდებიან სწავლებას, რომლისაც არ სწამთ, ან საერთოდ უარს ამბობენ რელიგიურ მემკვიდრეობაზე. სხვა სიტყვებით, ერთ შემთხვევაში მხოლოდ მანიფესტურ დონეზე ირჩევენ რელიგიას, მიჰყვებიან მას და უარს ამბობენ საკუთარი „მე“-ს ნაწილზე, მეორე შემთხვევაში კი უარს ამბობენ რელიგიაზე და „მე“-ს მთლიანობას ინარჩუნებენ (Holmes, 1999).

ამრიგად, როდესაც კვლევის მონაწილეები არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მიმართ საზოგადოებისა და კულტურის დამოკიდებულებაზე საუბრობენ, ნათლად ვხედავთ, რომ ისინი ამერიკული არაჰეტეროსექსუალების პირველ და მეორე თაობის წარმომადგენლებს შეესაბამებიან: საზოგადოებრივი კონსერვატიზმისა და სტიგმის გამო, სირცხვილის გრძნობა დაუფლებიათ, ორმაგი ნარატივით მოქმედებენ, საკუთარი და სხვა უმცირესობების უფლებებისთვის იბრძვიან და მათი ცხოვრების ცენტრალური თემა/მიზანი არაჰეტეროსექსუალური ორიენტაცია ხდება. მაშინ, როცა კვლევის მონაწილეები საუბრობენ საკუთარი თავის მიღებაზე, საკუთარი თავის და სურვილის რეალიზებაზე, ისინი ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების მესამე თაობის წარმომადგენლებს ემსგავსებიან: სხვების მენტორები ხდებიან და უზიარებენ გამოცდილებას, და მათი ცხოვრების მთავარი მათგანნიშებელი კი აღარ არის სექსუალური ორიენტაცია.

6.3. თავისუფლების აღკვეთა: განყვეტილი ცხოვრება, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და გენერაციულობა

ჩემი შვილების თვალები და ცრემლები არასდროს დამავინწყდება... მოიხედავ და უკვე ცხოვრება მთავრდება. შვილებს საბოლოოდ შეხედავ და იმ პერიოდში მთავრდება შენი ცხოვრება და ყველაზე მეტი კიდე ის... ჭიშკარს რომ გააღებენ და რკინის კარს რომ მიაჯახუნებენ... საერთოდ ყველაფერი წაიშალა ჩემი განვლილი ცხოვრებიდან და გადადიხარ ... ჯოჯოხეთი შემიძლია ვუნოდო იქაურობას.

57 წლის ქალი სწორედ იმ ერთ-ერთ გამოცდილებაზე, ამ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთაზე, საუბრობს, რომელიც საფრთხეს უქმნის ინდივიდის პიროვნულ უწყვეტობას, იდენტობასა და მთლიანად ცხოვრების აზრს. იგი ცხოვრების ხაზის წყვეტის ვიზუალიზაციას გვთავაზობს და მის ფიზიკურ მანიფესტაციაზე გვესაუბრება: ზურგს უკან ხუთი წლით მიჯახუნებული რკინის კარი, რომელიც პირდაპირი (და გადატანითი) მნიშვნელობით საზღვრად იდება მის წარსულს და აწმყო „მე“-ებს შორის.

და მართლაც, თავისუფლების აღკვეთა ის პოტენციურად ტრანსფორმაციული გამოცდილებაა, რომელიც არსებითად მოქმედებს ადამიანების ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე.

ყოფილი მსჯავრდებულების პირად ისტორიებში ხშირად შეხვდებით გაფლანგული დროის ამგვარ განცდას. სასამართლო დარბაზში განაჩენის გამოტანას ისინი ხშირად აღარებენ ცხოვრების შეწყვეტას; მათთვის ამ დროს რაღაც დასრულდა და დაიწყო რაღაც სრულიად ახალი – ჯერ სასჯელის მოხდისა და შემდეგ კი ყოფილი მსჯავრდებულის სტატუსის ტარების ეტაპი.

სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის შემდეგ ადამიანები მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოწვევის წინაშე დგებიან: მათ უნდა მოახერხონ, რომ კვლავ დაინახონ საკუთარი ცხოვრების აზრი, და ისე აღიდგინონ პერსონალური უწყვეტობისა და მთლიანობის განცდა, რომ, ერთი მხრივ, კარგად იგრძნონ თავი და, მეორე მხრივ, კვლავ ჩაენერონ იმ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში, რომელშიც საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ უნევთ ცხოვრება. ამისათვის ყოფილმა მსჯავრდებულებმა როგორც საკუთარი თავისთვის, ისე – სხვებისთვის უნდა შეძლონ თავიანთი ქაოსური, დევიანტური წარსულიდან ახალი, გარდაქმნილი იდენტობის აგება, რომელშიც ასახული იქნება ის, თუ როგორ მოახერხეს საკუთარი ცხოვრების უკეთესად წარმართვა (Sampson & Laub, 1995). ახალი, პროსოციალური იდენტობის ასაგებად მათ, პირველ ყოვლისა, საკუთარი კრიმინალური წარსული უნდა გაიაზრონ; გაარკვიონ, რატომ ჩაიდინეს ის, რაც ჩაიდინეს, და შემდეგ დაფიქრდნენ, ახლა რით განსხვავდებიან წარსული „მე“-სგან.

6.3.1. პენიტენციალურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება და ცხოვრების ისტორია

ცხოვრების ისტორია შეუცვლელი საშუალებაა კრიმინალური, დევიაციური ქცევების შესწავლისა და გაანალიზებისათვის (Bennett, 1981). კრიმინოლოგიაში ცხოვრებისეული ისტორიების გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აქ აუცილებლად უნდა ვახსენო გასული საუკუნის დასაწყისის ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლა, როდესაც მკვლევრებმა ცხოვრების ისტორია კვლევითი მიზნებისთვის გამოიყენეს, როგორც პიროვნების შინაგანი სამყაროს შინაგანი სამყაროს შესასწავლი საუკეთესო საშუალება.⁵⁸

ავტობიოგრაფიულმა ისტორიებმა, როგორც პიროვნების შინაგანი სამყაროში შეღწევის საშუალებამ, ბიძგი მისცა ფსიქოლოგიაში ახალი პარადიგმის – ცხოვრების ნარატივების შესწავლის – დამკვიდრებას. როგორც სარბინი (1986) აღნიშნავს, ნარატივი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მთლიანად ფსიქოლოგიური სფეროს მათგანიზებული პრინციპი.

კრიმინოლოგები ცხოვრების ისტორიის ნარატივებს ტრადიციულად სოციოლოგიურ და არა – ფსიქოსოციალურ კონტექსტში იყენებდნენ, თუმცა ბოლო 30 წლის განმავლობაში თეორეტიკოსებმა სოციოლოგიაში (Giddens, 1991), კრიმინოლოგიაში (Canter, 1994), ადიქციის კვლევებში (Singer, 1997) და ფსიქოლოგიაში (Bruner, 1986 1991) გააფართოვეს ცხოვრების ისტორიის ცნების გაგება და კვლევაში მისი გამოყენებაც დაიწყეს.

თუკი პიროვნება სიტუაციას აფასებს, როგორც რეალურს, მაშინ რეალურია მას მოყოლილი შედეგიც. ავტობიოგრაფიული ისტორიები პიროვნულ პერსპექტივასა და „რეალობის შესახებ თეორიებს“ გადმოგვცემენ, და სულაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი ობიექტურადაც სრულიად რეალური იყოს (Epstein & Erskine, 1983). მაგალითად, პიროვნების მიერ განხორციელებული კონკრეტული დევიანტური ქცევა გარე დამკვირვებლისთვის ყოველგვარ აზრს მოკლებული შეიძლება იყოს, მაგრამ თავად ამ პიროვნებისთვის ავტობიოგრაფიული ისტორიის კონტექსტში უაღრესად რაციონალურ ქმედებას წარმოადგენდეს (Canter, 1994; Shover, 1996).

როგორც მაკლინი და მისი კოლეგები (McLean, et. al., 2007) წერენ, ცხოვრების ისტორიის თხრობისას ჩვენ საკუთარ თავს ვქმნით და ამ შექმნის პროცესში თავად ისტორიაც იხვეწება და ვითარდება. შესაბამისად, ასეთი ავტობიოგრაფიული ისტორიების ცვლილებით ავტორის ქცევაც იცვლება (Beck, 2000; Bush,

⁵⁸ იხ. 1930 წელს გამოქვეყნებული კლიფორდ შოუს წიგნი *The Jack-Roller: A Delinquent Boy's Own Story*.


1995). გარდა ამისა, ვიცით, რომ დისპოზიციური ნიშნებისგან განსხვავებით, რომლებიც დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებენ სტაბილობას, პიროვნების ნარატიული იდენტობა უფრო მოქნილია დაიცვლება ცხოვრების განმავლობაში. სწორედ ასეთი მოქნილობა, დინამიკურობა და კონტექსტზე მიბმულობა აქცევს ნარატივს კვლევის წამყვან მეთოდად ქცევების ისეთი ხანგრძლივი პატერნების სიღრმისეულად გაგებისა და გააზრებისათვის, როგორებიცაა კრიმინალი და დევიაცია.

ყოფილი მსჯავრდებულების კვლევებში ცხოვრების ისტორიებს თითქმის 30 წელიწადია, აქტიურად იყენებენ. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ჩატარებულმა კვლევამ (Leibrich, 1993) აჩვენა, რომ არ არსებობს მკვეთრი თვალსაჩინო განსხვავება იმ ადამიანების სოციალურ გარემოცვაში, ვინც გააგრძელა და ვინც უარი თქვა კრიმინალურ კარიერაზე, თუმცა, გამოვლინდა მნიშვნელოვანი კოგნიტური ცვლილებები. აღმოჩნდა, რომ გადამწყვეტია არა ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, არამედ ამ ცვლილებების მათეული ინტერპრეტაციები. საინტერესოა, რომ ყოფილ მსჯავრდებულებში გავრცელებული პოზიციაა: „შენი თავის რეაბილიტაციას შენვე ახდენ“ (Meisenhelder, 1977).

ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევაში ყოფილმა მსჯავრდებულებმა გამოავლინეს მომავლის მოვლენებზე გადაჭარბებული კონტროლის განცდა და ცხოვრების გენერაციული, თითქმის მისიონერული მიზანი მაშინ, როდესაც მოქმედი მსჯავრდებულები გაცილებით ადეკვატურად აფასებდნენ როგორც საკუთარ მდგომარეობას (მძიმე, აუტანელი), ისე – საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის (მორგების) საჭიროებას (Maruna, 2001). ყოფილი მსჯავრდებულების არაზუსტ შეფასებებსა და „დამახინჯებული“ კოგნიციების ფენომენს მარუნამ სარგებლის პოვნა⁵⁹ უწოდა. იპოვო რაიმე ნათელი, კარგი და სასარგებლო, ნიშნავს იპოვო მიზანი ყველაზე უფრო ბნელ ცხოვრების ისტორიაშიც კი (cf. Frankl, 1984). წარსული მოვლენების სელექციურად და კრეატიულად რეინტერპრეტაცია ყოფილ მსჯავრდებულებს საკუთარი ცხოვრების ისტორიების „ჩასწორებას“, ფსიქოლოგიური უწყვეტობის განცდისა და კოგნიტური კონგრუენტულობის დაბრუნებაში ეხმარება. საბოლოოდ, ეს ნიშნავს ცხოვრების არეული მოვლენების დალაგებასა და მოწესრიგებას, რაც ესოდენ სჭირდებათ მათ.

⁵⁹ Making good.

როგორც ნებისმიერ ნარატივს, დანაშაულისგან დისტანცირების მონათხრობს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და ის დამაჯერებელი და თანამიმდევრული უნდა იყოს. ყოფილი მსჯავრდებულების ავტობიოგრაფიების ამ კრიტერიუმების მიხედვით ანალიზის საფუძველზე მარუნამ (1997) დანაშაულისგან გათავისუფლების პროტოტიპული მოდელი შემოგვთავაზა (**სურათი N 6.1**), რომელიც დასავლური კულტურის ნარატიულ სტრუქტურას ემთხვევა. ამ მოდელის ლოგიკას მიეყვები კვლევის ამ ნაწილშიც.



სურათი N 6.1. რეფორმირების პროტოტიპული ნარატივი მარუნას (1997) მიხედვით

მარუნას (1997) მიხედვით, მსჯავრდებულების ცხოვრების ისტორია ბავშვობაში კონტამინაციით იწყება ანუ დასაწყისში რაღაც ცუდი ხდებოდა. მთხრობელი განიცდიდა პასიურ ვიქტიმიზაციას და შედეგად ჩამოუყალიბდა აგენტობისა და ურთიერთკავშირის არაჯანსაღი ფორმები, რამაც საფუძველი ჩაუყარა დელინკვენტურ ქცევას. პიროვნება საკუთარი თავის რეალიზაციას დევიანტურ, მარგინალურ ჯგუფებში ხედავს და სჩადის დანაშაულს. ამის შედეგად ხდება სასჯელალსრულების სისტემაში. იქ იწყებს ფიქრს საკუთარ ცხოვრებაზე ანუ ავტობიოგრაფიულ მსჯელობას, რასაც მიჰყავს გადანყვეტილებამდე, შეცვალოს ცხოვრების მიმართულება. მას ეძლევა მეორე შანსი და იმსახურებს გარშემომყოფების პატივისცემას. იძენს მეგობრებს და, საბოლოოდ, შორდება კრიმინალს. ეს ნარმატიული გარდასახვის სცენარია. ბუნებრივია, რომ მოვლენები ყოველთვის ამ სცენარით არ ვითარდება და შესაძლებელია, გარდასახვას რაიმე ბარიერი აფერხებდეს. ამის შედეგად, პიროვნება ბრუნდება დელინკვენტური ქცევის ეტაპზე და ჩაკეტილ წრეზე ტრიალებს. მოდელის ბოლო მდგენელია სხვების დახმარების სურვილი; გასცეს რაიმე სანაცვლოდ მათთვის, ვინც ხელი შეუწყო და დაეხმარა მას ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაში. ამ ეტაპზე მყოფი ადამიანები განსაკუთრებული ხელგამლილობითა და გენერაციულობით ხასიათდებიან. მთხრობელი

სხვებსაც ღიად მოუწოდებს პროსოციალური ქმედებებისკენ და იმედოვნებს, რომ სხვები არ გაიმეორებენ მათ მიერ ადრეულ ასაკში დაშვებულ შეცდომებს.

ჩვენს კულტურაში, ფაქტობრივად, არავის უკვლევია ყოფილი მსჯავრდებულების იდენტობის რეკონსტრუირების დინამიკა, რომელიც მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში, რომელიც, ნაწილობრივ, თამარ ჯანანაშვილის⁶⁰ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში შესრულდა, მიზნად დავისახეთ იმის გარკვევა, თუ როგორ ახერხებენ და აღწევენ ყოფილი მსჯავრდებულები პატიმრობის გამოცდილებით „განყვეტილი ცხოვრების“ გამთლიანებას, საკუთარი იდენტობის უწყვეტობის განცდის აღდგენას, ახალი იდენტობის გენერაციული თხრობის კონტექსტში კონსტრუირებას, სოციუმში რეინტეგრაციასა და საზოგადოების ფუნქციონირებად წევრად დაბრუნებას. უფრო კონკრეტულად, გვინტერესებდა, რა როლს ასრულებენ ამ პროცესში ნარატივის კონსტრუირების პროცესუალური, სტრუქტურული და შინაარსობრივი მდგენელები.

კერძოდ, ვივარაუდეთ, რომ სტრუქტურულად გამართული, კოჰერენტული ნარატივები ავტობიოგრაფიული მსჯელობის ელემენტებითაც გამორჩეული იქნებოდა. ასევე, ვივარაუდეთ, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობით გაჯერებული კოჰერენტული ნარატივები უფრო მეტად ასახავდა გენერაციულობას ან გამოავლენდა მისი რომელიმე ასპექტის შინაარსს, თუმცა, უპირატესად, იმ შემთხვევებში, თუ მოთხრობილი ამბები პიროვნული ზრდისა და სიტუაციის დადებითად გადაწყვეტას შეეხებოდა. რაც შეეხება შინაარსობრივ ასპექტს, ვივარაუდეთ, რომ ზრდაზე ორიენტირებულ ნარატივებში უფრო მეტად გამოვლინდებოდა ახალი მნიშვნელობის შექმნის კომპონენტი, მოტივაციური თემებიდან კი – ურთიერთკავშირის მოტივი.

⁶⁰ კვლევის მონაწილეების მოძიება, მათთან ურთიერთობა და ინტერვიუების ჩატარება და კვლევისათვის ძალიან ღირებული ინფორმაციის მოპოვება მთლიანად თამარ ჯანანაშვილის დამსახურებაა. პოტენციურ მონაწილეებთან დაკავშირება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. თავდაპირველად სახელმწიფო ორგანიზაცია სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ დავუკავშირდით, რომელიც უშუალოდ ახორციელებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას, თუმცა, ორგანიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, პროგრამის ბენეფიციარებთან დაკავშირება დაუშვებელია. პირადი კონტაქტებით მოვიძიეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეპა პლიუსი“, რომლის საქმიანობაც გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფისათვის სახელმწიფო სერვისების მიწოდებას. ორგანიზაციის დირექტორთან შეთანხმებით, ჩავატარეთ ფოკუსჯგუფი ორგანიზაციაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან და დაიგეგმა ბენეფიციარებთან დაკავშირებისა და ინტერვიუების პროცესი.

6.3.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ სერიის სამიზნე ჯგუფს ყოფილი მსჯავრდებულები შეადგენდნენ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო არააღბათურად, სოციალური მუშაკის რეკომენდაციით, თვითშერჩევითა და „თოვლის გუნდის“ პრინციპით შერჩეულმა 14-მა ადამიანმა (სქესი თანაბრად გადანაწილდა, ასაკი 34-57 წელი). კვლევის მონაწილეებს სასჯელი, დაახლოებით, ერთმანეთის მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის მოეხადათ (რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე): ძარცვა, ქურდობა და ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა/მოხმარება.

ამასთან, კვლევის მონაწილეების 36% იყო დაოჯახებული, 25% – დასაოჯახებელი, 29% – განქორწინებული, 14% – ქვრივი. მონაწილეთა 35%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. მონაწილეთა 30%-ს ჰქონდა საშუალო შემოსავალი, ღარიბის კატეგორიაში მოხვდა – 36%.

ინტერვიუები „ჰეპა პლიუსის“ ოფისში მაკადამის ცხოვრების ისტორიის სტანდარტული ოქმით (დანართი N1. ინტერვიუს ოქმი) ჩატარდა.

თითოეული ინტერვიუ დადგენილი წესის მიხედვით (იხ. თაში 3) დამუშავდა და გაანალიზდა ამბის თხრობის პროცესის, სტრუქტურისა და შინაარსის ანუ თემების მიხედვით. რაც შეეხება რაოდენობრივ კოდირებას, თითოეული ინტერვიუდან 12 მოგონება (რვა ძირითადი მომენტი და ოთხი გამონვევა, სულ 168 მოგონება) გადაკოდირდა. გენერაციულობის კოდირებისას დაემატა კიდევ სამი ეპიზოდი ცხოვრების ისტორიიდან: მომავლის თავი, ოცნებები და ცხოვრების გეგმა-/პროექტი. ამ ცვლადისთვის სულ (15X14) 210 მოგონება დამუშავდა.

თუმცა, კვლევის მონაწილეებისა და, შესაბამისად, დასამუშავებელი ნარატივების რაოდენობის სიმცირის გამო, რაოდენობრივი მაჩვენებლები მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა და ზოგად სურათს გვიჩვენებენ.

6.3.3. შედეგები და ინტერპრეტაცია

6.3.3.1. ზოგადი სურათი

პირველ ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას შერჩევის სპეციფიკური ხასიათის შესახებ. (ა) კვლევის მონაწილეები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, საკუთარი სურვილით ერთვებოდნენ კვლევაში, ამიტომ (ბ) კვლევაში მონაწილეობა არ ითვალისწინებდა რაიმენაირ მატერიალურ სარგებელს ანუ მონაწილეობისათვის ისინი არ იღებდნენ ანაზღაურებას და (გ) ყველა მათგანი ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციაში იყო დასაქმებული ანუ პრაქტიკულად უკვე მეტნაკლებად დაწყებული ჰქონდათ რესოციალიზაციის პროცესი. შესაბამისად, მოსალოდნელი იყო კიდევ მათგან გენერაციული თხრობის კონტექსტში წარმოდგენილი ცხოვრების ნარატივის მიღება. სხვა სიტყვებით, სხვებისთვის მაგალითის

მიცემა, საკუთარი შეცდომების გაზიარება, სხვა ადამიანების გაფრთხილების მიზნით და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ შრომა უკვე მიუთითებს გენერაციულობაზე, რის შესახებაც ისინი ექსპლიციტურად საუბრობდნენ ინტერვიუების მსვლელობისას. ამგვარად, ჩვენი საკვლევი სამიზნე ჯგუფის წევრები სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც სპეციფიკური ტრანსფორმაციული გამოცდილების შემდეგ პიროვნულ ზრდასა და რესოციალიზაციაზე ორიენტირდებოდნენ.

ასე რომ, წარმოდგენილი კვლევის შერჩევა პოტენციურად გენერაციული და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის მზად მყოფი ადამიანებისგან შედგებოდა, რაც სრულიად შეესაბამებოდა ჩვენს ინტერესს: სწორედ რესოციალიზაციის, პოზიტიური ტრანსფორმაციისა და ამ ცვლილებების თხრობაში რეალიზების დინამიკა გვინტერესებდა. მათ, ვისთვისაც ასეთი მისწრაფებები არააქტუალური იყო, ფაქტობრივად, უარი თქვეს კვლევაში მონაწილეობაზე.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების ნაწილი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, ნაწილი – არა, თუმცა განურჩევლად ამისა, ყველა მათგანისთვის სასჯელის ციხეში მოხდა ტრავმული გამოცდილება.

მოხდა გაურკვეველობა. აღმოვჩნდი საპყრობილეში. რომელმაც საერთოდ ყველაფერი ნაშალა ჩემი განვლილი ცხოვრების და გადადიხარ რაღაც... ჯოჯოხეთი შემიძლია ვუნოდო იქაურობას (ქალი, 57).

თუმცა ამ ჯოჯოხეთშიც კი შეიძლება იპოვოს ადამიანი ნათელი წერტილი, საფუძვლიანად გაიზაროს მიღებული გამოცდილება და ეცადოს, უკეთესი გახდეს მომავალში. კვლევის მონაწილეთა ნარატივების გაანალიზებისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ციხეში სასჯელის მოხდაში რაიმენაირ სარგებელს ხედავენ, გათავისუფლების შემდეგ საქმიანობაში მეტად პროდუქტიულები და ბრძოლისუნარიანები არიან. ისინი იმაზეც საუბრობენ, თუ რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი, რათა თავიდან აიცილოს საპატიმროში უკან დაბრუნება და იმ ჩაკეტილ წრეზე უსასრულოდ სიარული, რომელსაც მარუნა (1997) აღწერს თავის მოდელში.

ადამიანი როცა მორჩება იმ სასჯელს, რაც მიუსაჯეს, პირველი რაც არის, ცხოვრება უნდა დაიწყო თავიდან, უნდა დაჯდე და ყველა შენი შეცდომა გაანალიზო. ბევრ ადამიანს გარეთ გამოსვლის შემდეგ ყველაფერი ავინყდება, რაც იქ გაიარა. ნამება, ჩხუბი... ის არც მე მახსოვს, მაგრამ ძირითადი ხომ მახსოვს, არა? ანუ რატომ გავიარე, რა გავიარე და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე. ციხეში წასვლის არ მეშინია, არასდროს მშინებია, თორემ არც წავიდოდი, მაგრამ ისე უნდა წაიყვანო შენი თავი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში აღარ მოხვდე. ანუ, პირველ რიგში, ანალიზი უნდა გაკეთდეს შენი პრობლემების, შენი შეცდომების (მამაკაცი, 35).

საკუთარი პრობლემების ანალიზი კი სხვა არაფერია, თუ არა რეფლექსია გამოცდილებაზე და მომხდარის საკუთარ „მე“-სთან დაკავშირება, რასაც, თავის მხრივ, ავტობიოგრაფიულ მსჯელობასა და თხრობამდე მივყავართ.

როგორც თავად აღნიშნავდნენ, კვლევის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში ინტეგრაცია და სხვებისთვის გამოცდილების გაზიარება:

მე მაქვს საშუალება, საზოგადოებას გავაგებინო, რა დანაკარგი განვიცადე. ჩემი ხმა ვილაცისთვის შეიძლება წამალი იყოს, მე მზად ვარ, სახეც გამოვჩინო... თუ ჩემი ამ განვლილი ცხოვრების მოყოლით რალაცით, თუნდაც სიტყვიერი სიმშვიდით დავუდგები ამა თუ იმ დაცემულ ადამიანს (ქალი, 35).

უფრო იმიტომ დავთანხმდი, რომ მე კი არ.. როგორ გითხრა.. მე კი არ მჭირდებოდა, ვთქვათ, რომ ჩემი ამომელო; იმიტომ დავთანხმდი, თუ გამოადგება, ალბათ, ვინმეს. მართლა მინდა რა, ალაღად მინდა, რომ.. შეიძლება ვილაცა.. ისეთი კვლევა დაიდოს, რომ ვილაცას საერთოდ აზრი შეაცვლევინოს და საერთოდ აღარ წავიდეს იქითკენ (მამაკაცი, 34).

სოციალური გარემო და ახლობელი ადამიანები, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი როლია ინტეგრირებული ცხოვრებისეული ნარატივის აგებისას. არა მხოლოდ ყოფილი მსჯავრდებული უნდა მოერგოს ნორმატიულ სოციალურ გარემოს, არამედ ნორმატიულმა სოციალურმა გარემომაც მიიღოს ის (Meisenhelder, 1982). თუმცა ახლობელი ადამიანები ყოველთვის როდი არიან ჩართულნი ყოფილი მსჯავრდებულის რეინტეგრაცია/რესოციალიზაციის პროცესში. 14-დან 6 რესპონდენტი (43%) საუბრობს ოჯახის დანგრევაზე და ამის ძირითად მიზეზად პატიმრობას ასახელებს:

...რომ ჩავჯექი, მალევე დამენგრა ოჯახი. გარეთ რომ ვყოფილიყავი, ოჯახი არ დამენგრეოდა ანუ მაგის თქმა მინდა. ...შენ ფიქრობ, გარეთ რომ ვყოფილიყავი, რალაცას შეცვლიდი და არ დაინგრეოდა (მამაკაცი, 35).

მეუღლე... პირველი მეუღლე, დანაკარგი... ახლაც მიყვარს.. რა ვიცი... იმდენი წელია, 23 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ახლა თქვენ თვითონ თქვით, დანაკარგი არაა? 23 ცოტა არ არის. 350 ლოცვას გულში ვლაპარაკობდი ყოველ დღე 7 წლის განმავლობაში... ბოლოს გამოდიხარ და ოჯახი გენგრევა (მამაკაცი, 51).

ცოლმა ჩააბარა იურიდიულზე. ჩემი გამოსვლისას წითელი დიპლომი მაჩვენა და ფიქტიური ის უნდა გვაკეთოთო ანუ... არ შეიძლებოდა, რომ მეუღლე ჰყოლოდა ნაციხარი და გავეყარე, რა თქმა უნდა. იმის შემდეგ მორჩა ჩემი ცხოვრება. ჯერ მანამდე ხომ მორჩა იმ ციხეში და მერე ეს (მამაკაცი, 46).

6.3.3.2. ნარატივების სტრუქტურული ანალიზი

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ანუ პოზიტიური გადანწყვეტა. რესპოდენტები მომხდარზე ფიქრს, მიმდინარე სიტუაციის შეფასებასა და ახალ გარემოსთან ადაპტაციაზე ციხეში მოხვედრისთანავე იწყებენ. ეს კარგად ჩანს მონათხრობების უმრავლესობაში. რა თქმა უნდა, ყველა ასე არ იქცევა და ყველა ნარატივი არ გამოირჩევა რეფლექსიური გადამშავების მაგალითების სიუხვით, თუმცა, მათ ნარატივებში, ვინც უშუალოდ ციხეში ყოფნის გამოცდილებაზე საუბრობს, ვხვდებით მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობას (**სხრილი N 6.11**). ამასთან, ამბის დადებითად დასრულება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ამბავს გვიყვება ადამიანი – ნეგატიურ გამოცდილებას, გარდამტეხ მომენტს თუ რამე სხვას.

სხვა სიტყვებით, ეს ადამიანები ყვებიან იმ „სიკეთეებზე“, რაც ციხეში ყოფნის დროს მიიღეს, და ეს ზოგიერთი მათგანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო:

ერთი გაუბედურებული ქალი ვარ-მეთქი და რისთვის მაპატიმრებთ-მეთქი. ჰოდა არაო, მინდაო, რომ კარგად იყო. შენ მაგას ვერ გადაიტანდიო და იქო შეგინცობენო ყველანაირად ხელსო, რომ მოერიოო ამ სატკივარსო რა. და ისე.. ეგრე რომ არ ყოფილიყო, მე მართლა მოვკვდებოდი. ისე ძალიან ცუდად ვიყავი. 38 კილოდა ვიყავი დარჩენილი. [...] მე არც ბანაობა.. თან ჩემი თმა ნახე, როგორ უნდა დავივარცხნო. დამვარცხნეს, მაბანავეს გოგოებმა. ორს ვეჭირე ხელში, მესამე მაბანავებდა. რა ვიცი.. მერე უკვე გამოვედი ნელა-ნელა (ქალი, 36)

სხრილი N 6.11. პოზიტიური გადანწყვეტის კომპონენტების სიხშირეები (N=159)

ცვლადი	%(სიხშირე)
პოზიტიური გადანწყვეტა = M = 0.4 (0.7), [0 – 2]	
A → B	
არ არის	75.(120)
არის	25 (39)
გაუმჯობესებული აგენტობა	
არ არის	90 (143)
არის	10 (16)
გაუმჯობესებული ურთიერთკავშირი	
არ არის	96 (153)
არის	4 (6)
მასშტაბური საფიქრალი	
არ არის	98 (156)
არის	2 (3)

ზოგმა ადაპტაცია სწრაფად გაიარა, მთლიანად გადაერთო ციხის გარემოსა და იქ ნამოჭრილი კონფლიქტების მოგვარებაზე, რამაც, საბოლოოდ, გააძლიერა. ამიტომ მათი ამბავი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ლაგდება:

მოვწყდი ყველაფერს და იქაური ცხოვრებით დავინყე ცხოვრება. სხვანაირად ვერ გადარჩები იქ. ...ბევრი რალაც მომცა იქ ყოფნამ. მტერს არ ვუსურვებ იქაურ გამოცდილებას, მაგრამ... მაგალითად, ჩემთვის უკვე მართლა ცხოვრების აზრად იქცა ის სიტყვები: რაც არ მკლავს, მაძლიერებს. მართლა ეგრეა იმიტომ, რომ ისეთი 5 წელი გავიარე... კიდევ ვერ გადმოვცემ და პრინციპში არ არის საჭირო, რომ გადმოვცე დეტალურად. გამაძლიერა, რადგან ისეთი ენთუზიაზმით ვარ... იმიტომ ვამბობ, რომ არ არსებობს ჩემთვის პრობლემა, რომ ვერ მოვაგვარო და გადავწყვიტო. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს იმის გარდა, რომ... სიკვდილს ვერაფერს ვუზამ, თორემ... (მამაკაცი, 35)

ზოგიერთმა რესპონდენტმა ციხეში ყოფნა იმის შესაძლებლობად მიიღო, რომ სხვებთან ურთიერთობით მეტი გამოცდილება შეეძინა:

იქ მარტო მე არ ვიყავი არც კარგი და არც ცუდი. ყველა იყო იქ კარგიც იყო ცუდიც. საშუალოც იყო, თუმცა მე ყოველთვის იმას ვცდილობდი, რომ ჩემზე დიდ ადამიანებთან მქონოდა ურთიერთობა, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეებთან და კარგი განათლების ადამიანებთან, რომ იმათგან კარგი ამელოდა ის კარგი მქონოდა (ქალი, 34).

საინტერესოა, რომ, როგორც ჩანს, სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის პერიოდის ხანგრძლივობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პიროვნული ზრდის ამსახველი ნარატივის კონსტრუირებისთვის. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მხოლოდ ოთხი თვე დაჰყო ციხეში, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს დრო პიროვნული ზრდისთვის გამოეყენებინა:

ერთი მხრივ, ნამეტანი უარყოფითი ფაქტი იყო და შეიძლება ითქვას, რომ შემაფერხებელი უნდა ყოფილიყო თუნდაც ჩემი მომავალი განვითარებისათვის, თუმცა რალაც მომენტში, ალბათ, პირიქით, რალაც უფრო მეტი ნრთობაც მივიღე. იქიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევეცადე თუნდაც იგივე ჩემს თავზე მუშაობას, თუნდაც იგივე განვითარებას, სამსახურის მოძიებას და სწორედაც, აი, მას შემდეგ, რაც ერთი სამსახური ვიშოვე და მეორე ვიშოვე და არ გავჩერდი (მამაკაცი, 37).

სასჯელალსრულების სისტემაში ყოფნის შესახებ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობა ანუ პიროვნული ზრდის ნარატივი გვხვდება 6 რესპონდენტთან (43%). მათ მოახერხეს, ციხის უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, დაენახათ პიროვნული განვითარების შესაძლებლობები. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

ამდენ წიგნს გარეთ ნამდვილად ვერ წავიკითხავდი. ხარ სრულიად ჩაკეტილი დილიდან საღამომდე. ძალაუნებურად კითხულობ და ძალიან ბევრი რამე კითხვით შევიძინე. მერე იქ არის კარგად მოაზროვნე ადამიანებიც, ვისგანაც შეგიძლია, ბევრი რამე ისწავლო (ქალი, 57).

უარყოფითი გამოცდილების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობისას ჩვენი რესპონდენტები არ ახსენებენ სოციალურ გარემოს. ანალოგიური დაკვირვება გვხვდება ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევაში (Maruna, 2001), რომელშიც რესპონდენტები ნაკლებად საუბრობენ კრიმინალური კარიერისგან თავის დაღწევის პროცესში სოციალურ მექანიზმებზე. როგორც მიშკოვიცი (Mischkowitz, 1994) აღნიშნავს, სოციალური მუშაკები ხშირად მიაწერენ ყოფილი მსჯავრდებულების ქცევის ცვლილებას გარეშე ფაქტორებს (მეუღლეები, სამსახური, ან გეოგრაფიული მდებარეობა), თუმცა თავად ყოფილი მსჯავრდებულები ქცევის ცვლილების მიზეზად საკუთარ „თავისუფალ ნებას“ ასახელებენ.

გენერაციულობა წარმატებული რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ინდიკატორია, რადგან გენერაციული ინდივიდები უაღრესად ჩართულნი არიან თავიანთ სამუშაოსა და ახალი თაობის აღზრდაში. ასევე, მათ ფართო საზოგადოებრივი საკითხებიც აინტერესებთ. ისინი ტოლერანტულები არიან სხვადასხვა იდეისა და ტრადიციისადმი და შეუძლიათ საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვასა და ანგარიშის გაწევას შორის ბალანსის შენარჩუნება (Kroger & Marcia, 2011).

კვლევის მონაწილეები ციხეში ყოფნის გამოცდილებას გენერაციული თხრობის მეშვეობით გადმოგვცემენ. სხვების დაცვა, მათზე ზრუნვა და მოფრთხილება ერთ-ერთი ნამყვანი თემაა როგორც ციხეში ყოფნის პერიოდში, ისე შემდგომ მომხდარი ამბების თხრობისას:

მეც სულ რას ვფიქრობდი, იცი, ქალი რომ ყვირის და შველას ითხოვს, ყველა მამაკაცს უჩნდება განცდა, რომ დაეხმაროს და, აი, კაცი რომ კივის განწირულად, ყველა მამაკაცი ითრგუნება. დაუმორჩილებელი ვიყავი და იმით მანვალბდნენ, რომ იცოდნენ ჩემი ხასიათი. სულ სხვისი გულისთვის მომდიოდა ჩხუბი თანამშრომლებთან. ხოდა, ვილაცას გამილახავდნენ თვალნინ და რომ ვერ ვეხმარებოდი, ან სიტყვას ვერ ვანევი, მაგით ძალიან მოქმედებდნენ ჩემზე (მამაკაცი, 35)

გათავისუფლების შემდეგ რესპონდენტები ცდილობენ, იზრუნონ ახლობელ ადამიანებზე და ამით აუნაზღაურონ მათი ციხეში ყოფნით გამონვეული დანაკარგი:

ამასაც გავაკეთებ, რომ ჩემს შვილებს ავუნაზღაურო ის დანაკლისი და რაღაცით შევემსუბუქო თუნდაც ფინანსურად და წავედი მოსკოვში (ქალი, 57).

ყველანაირად ხელს შეეწყობ, მაგრამ მინდა, თავისით მიაღწიოს, დამოუკიდებელი ბიჭი იყოს და თავისით მიაღწიოს ყველაფერს და ამისთვის ყველანაირი პირობის შექმნაზე ვოცნებობ (მამაკაცი, 35).

გენერაციულ თხრობაში მომავლის გეგმებსაც ვხვდებით. რესპონდენტების ნაწილს (21%) პარტნიორთან შვილის ყოლის სურვილი აქვს, რაც გენერაციულობის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს (McAdams, Hart & Maruna, 1998):

ისევ ოჯახთან ასოცირდება რა მაინც, ბავშვი გვინდა (ქალი, 35).

ან ღმერთი მომცემს ბავშვს, ან ვიშვილებ, ყველა ვარიანტში თან მინდა გოგო ისევ. რაც კარგია, დაინახავს იმას ჩემში და იმას გადაიღებს ის ბავშვი და ისწავლის (მამაკაცი, 44)

რესპონდენტების ნაწილი კი უკვე არსებულ შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნავს და ამას ხანდახან პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადატანის ხარჯზე აკეთებს:

ნანუკას შოუში უნდოდათ, რომ გამოვსულიყავი და უარი ვთქვი მისი გულისთვის. ხოდა, შვილიშვილები. არ მინდა იმათი კლასელების მშობლების ყურამდე მივიდეს, რომ მე მაგას მოვიხმარდი; რომ პატიმარი ვიყავი (ქალი, 36).

უნდა აღინიშნოს, რომ 14 რესპონდენტიდან 5 სოციალური მუშაკის პოზიციაზე მუშაობს, ხოლო ერთი პოლიტიკურ ორგანიზაციაშია განევრიანებული და დასახლების კონკრეტულ უბანზეა პასუხისმგებელი. მის თხრობას ლეიტმოტივად გასდევს გენერაციული ზრუნვა სხვებზე:

მე თვითონ უბნის უფროსი ვარ. დავდივარ უბნებში. ვისწავლე სხვანაირი მიდგომები, გავერკვიე იმაში, რომ თურმე შეიძლება სახელმწიფო რაიმე ამბავში დაგეხმაროს, გზები ვისწავლე და იმისიც აღარ მეშინია, რომ ვენდო ამ ხელისუფლებას. ვზრუნავ სხვებისთვის. მით უმეტეს, ეთნიკური უმცირესობის უბანია ჩემი და ყველას ყველანაირად ვეხმარები. ჩემი ხელით მიმიტანია... აი, განცხადება დაწერეთ და თქვენ თუ არ შეგიძლიათ, მე ჩავიტან და ჩავაბარებ. აი, ამას ყველაფერს ვუკეთებ და ნამდვილად კმაყოფილები არიან ჩემით. იცით რა არის, ცხოვრებაში ამდენ გასაჭირს რომ გაივლი და ამდენ რაღაცას, უფრო ლმობიერი ხდები, უფრო კეთილი (ქალი, 57).

ექვსი რესპონდენტის (43%) საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება სხვა ადამიანების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც ეხმიანება ლივერპულის დანაშაულისგან დისტანცირების კვლევას (Maruna, 2001), რომელშიც რესპონდენტები საუბრობენ გენერაციულ ქმედებებსა და ინტენციებზე იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც წარსულში თავად მიიღეს რეინტეგრაციაზე მომუშავე სოციალური მუშაკების, მოხალისეებისა და სხვა ადამიანებისგან. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში რესპონდენტები პირდაპირ თითქმის არ

საუბრობენ სიამაყისა და ღირსების განცდაზე, ყოფილ მსჯავრდებულებს სხვების დახმარება საკუთარი თავის ღირებულად განცდას ანიჭებს (Braithwaite & Mugford, 1994). ერთი შეხედვით, უცნაურია, მაგრამ სხვების დახმარებით ყოფილი მსჯავრდებულები ისევ საკუთარ თავს ეხმარებიან (Brickman, 1982). თითქოს თავისუფლებიან ჩადენილი დანაშაულის განცდისგან და საზოგადოებას ვალს უბრუნებენ.

აქვე ვიტყვი, რომ გენერაციულობის მიხედვით გადაკოდირებული 207 ნარტივიდა ნთითქმის მეხუთედში გვხვდება გენერაციულობის სამი კომპონენტიდან ერთ-ერთი – შენახვა (18.4%) (ხსრილი N 6.12). შეთავაზება, ფაქტობრივად, არ გამოვლინდა (1.4%), შექმნის კომპონენტი კი ნარტივებში მცირედ არის წარმოდგენილი (16%).

ამასთან, შექმნის შესახებ ნარტივი დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(11)=19.246, p = .057$), კერძოდ, მოგონებათა მესამედში (14-დან 5) ეს არის დადებითი გამოცდილება. შექმნაზე ორიენტირება საერთოდ არ არის გადამწყვეტ მომენტებში და პრაქტიკულად არ გვხვდება არც ერთ სხვა ამბავში (14-დან 11-13-ში არ არის). შენახვის ($\chi^2(11)=20.479, p = .039$) და შეთავაზების ($\chi^2(11)=11.302, p = .418$) კომპონენტი არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე.

ხსრილი N 6.12. გენერაციულობის კომპონენტების სიხშირეები (N = 207)

ცვლადი	%(სიხშირე)
გენერაციულობა M = 0.33 (0.57), [0 – 3]	
შექმნა	
არ არის	84 (173)
არის	16 (34)
შენახვა	
არ არის	81.6 (169)
არის	18.4 (38)
შეთავაზება	
არ არის	98.5 (204)
არის	1.4 (3)

ავტობიოგრაფიული მსჯელობა. ნარტივების ანალიზმა ცხადყო, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობა საკუთარი ცხოვრების მიმართულების შესახებ ციხეში მოხვედრისთანავე იწყება. რესპონდენტები საუბრობენ სასჯელალსრულების სისტემის სირთულეებთან გამკლავების მექანიზმებზე. ბევრ შემთხვევაში დადებითად აფასებენ ამ გამოცდილებას, რაც მაკომპენსირებელი სტრუქტურით თხრობის სახით ვლინდება. ყველაზე არასასიამოვნო გამოცდილებაში პოზიტივის პოვნა მათმომავლის დაგეგმვაში ეხმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობის მიხედვით დამუშავებულ ნარტივებში სელფისა (Self) და მოვლენის ურთიერთკავშირი თითქმის

ნახევარში გვხვდება. ამასთან, მხოლოდ მეოთხედში გვხვდება სტაბილობის ანუ ახსნითი ნარატივები (**ხსრილი N 6.13**), ხოლო მოვლენა-მოვლენა კავშირი – ნარატივების 53.8%-ში.

რაც შეეხება გამოცდილებისთვის აზრის მინიჭების კომპონენტს, უმრავლეს შემთხვევაში (78.6%) რესპონდენტები არ/ვერ ხსნიდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ მოვლენას მათ ცხოვრებაში.

ხსრილი N 6.13. ავტობიოგრაფიული მსჯელობის კომპონენტების სიხშირეები (N =159)

ცვლადი	%(სიხშირე)
ავტობიოგრაფიული მსჯელობა M = 1.54 (1.6), [0 – 6]	
სელფ-მოვლენა კავშირები	
არ არის	57.2 (91)
სტაბილობის ნარატივი	24.5 (39)
ცვლილების ნარატივი	18.2 (29)
მოვლენა-მოვლენა კავშირები	
არ არის	47.2 (75)
არის	53.8 (51.8)
საზრისი	
არ არის	78.6 (125)
გაკვეთილი	8.2 (13)
ბუნდოვანი საზრისი	7.5 (12)
ინსაიტი	5.7 (9)

გარდა ამისა, სელფ-მოვლენა ურთიერთკავშირის გამოჩენა ნარატივში დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(22)=44.922, p=.003$), კერძოდ, ცვლილების ნარატივს, უპირატესად, გარდამტეხი მომენტის თხრობისას გვთავაზობენ (14-დან 9) და ნაკლებად – უარყოფით გამოცდილებაში (14-დან 5). ცვლილების ნარატივი პრაქტიკულად არ გვხვდება გამონვევის, ჯანმრთელობის, სიბრძნისა და ბავშვობის დადებით მოგონების შესახებ ამბებში. რაც შეეხება სტაბილობის ნარატივებს, ყველაზე მეტია სიბრძნის შემცველ მოვლენასა (14-დან 6) და დადებით და უარყოფით გამოცდილებაში (14-დან 5).

მოვლენა-მოვლენა კავშირის არსებობაც დამოკიდებულია ამბის ტიპზე ($\chi^2(11)=21.813, p = .026$), კერძოდ, პრაქტიკულად არ გვხვდება ბავშვობის დადებით და სინანულის შესახებ მოგონებებში (14-დან 10-ში არ არის) და, ძირითადად, ნარმოდგენილია უარყოფითი გამოცდილებისა და გადამწყვეტი მომენტების შესახებ ამბებში (14-დან 12).

საზრისის ძიების კომპონენტი ნარატივში არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე ($\chi^2(33)=42.035, p = .135$).

კოჰერენტულობის მიხედვით დამუშავებული ნარატივების მხოლოდ მესამედში (32.1%) იყო ექსპლიციტურად ნახსენები კონტექსტი ანუ დაკონკრეტებული იყო როგორც დრო, ისე ადგილი (**ხსრილი N 6.14**). ნარატივების უმრავლესობაში (43.4%) მოწოდებული იყო მოვლენებისა და მოქმედებების ჩამონათვალი და მინიმალურად ან საერთოდ არ იყო ინფორმაცია მათი დროში დალაგების შესახებ. რესპონდენტები შეთხვევათა მესამედში (34.6%) უხვევდნენ თემიდან და არ ცდილობდნენ ამბის ძირითადი თემის ნათლად წარმოჩენას.

ხსრილი N 6.14. კოჰერენტულობის კომპონენტების სიხშირე (N = 159)

ცვლადი	%(სიხშირე)
ნარატივის კოჰერენტულობა $M = 3.36 (3), [0 - 9]$	
კონტექსტი	
არ არის	47.8 (76)
დრო ან ადგილი	32.1 (51)
სრულად დრო ან ადგილი	3.8 (6)
სრულად დრო და ადგილი	16.4 (26)
ქრონოლოგია	
არ არის	43.4 (69)
<50%	17.6 (28)
50-75%	8.2 (13)
>75%	30.8 (49)
თემა	
არ არის	34.6 (55)
ნაწილობრივზე ნაკლები	30.2 (48)
ნაწილობრივზე მეტი	15.1 (24)
სრული	20.1 (32)

კონტექსტის თანამიმდევრულობა ნარატივში დამოკიდებული აღმოჩნდა მოგონების ტიპზე ($\chi^2(33)=54.830, p = .010$), კერძოდ, კონტექსტი საუკეთესოდ წარმოდგენილია უარყოფითი გამოცდილების შესახებ მოგონებებში (14-დან 7), ხოლო ყველაზე ნაკლებად – სინანულისა და მარცხის შესახებ მოგონებებში (14-დან 11-10) და ზომიერად – გამოწვევის, ჯანმრთელობისა და დანაკარგის შესახებ ამბებში (14-დან 8-9). ქრონოლოგია ($\chi^2(33)=31.669, p = .533$) და თემა ($\chi^2(33)=42.279, p = .129$) არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე.

6.3.3.3. ნარატივების თემატური ანალიზი

მოტივაცია. რესპონდენტების ნარატივებში, როგორც მოსალოდნელი იყო, წამყვანი მოტივაციური თემები მაინც სხვა ადამიანებს, მათთან ახლო კავ-

შირსა და თბილ დამოკიდებულებას უკავშირდება. მოტივაციური თემებიდან ყველაზე ხშირად ურთიერთკავშირისა და ინტიმურობის თემები გვხვდება (**ხსრილი N 6.14**). მოგონებათა ნახევარზე მეტი (57%) სხვა ადამიანებთან, უპირატესად, ოჯახის წევრებთან ანუ მშობლებთან, შვილებთან და პარტნიორებთან ურთიერთობებს შეეხება:

ვერ წარმომედგინა, თუნდაც ის ერთი წელი ციხეში ყოფნა ამ ბავშვის დაუნახავად და ყოველთვის ვცდილობდი, ის არ ჩამედინა, რომ კვლავ ციხისკენ გამეხედა (ქალი, 35).

ინტიმურობისა და ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები პრაქტიკულად ყველა მოგონებაში ჩანს: როგორც უარყოფით ეპიზოდებში, დანაკარგსა და მარცხში, ისე – დადებით და გარდამტეხ მოგონებებში. ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები ყველაზე გამოკვეთილი მომავლის თავებშია ანუ იქ, სადაც რესპონდენტები მომავლის გეგმებსა და მიზნებზე საუბრობენ. ეს ეპიზოდები ყოველთვის უკავშირდება სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებას, სხვებზე ზრუნვასა და მათთვის რაიმე ახლის შექმნას, რაც გენერაციულობასაც მოიაზრებს.

ანალოგიური სურათი გვაქვს რაოდენობრივ ჭრილშიც. გადაკოდირებულ ნარატივებში ჭარბობს ინტიმურობისა და ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები (63%) (**ხსრილი N 6.15**), ხოლო ძალაუფლების მოტივები ნარატივების მხოლოდ მეხუთედში გვხვდება. ამრიგად, რესპონდენტები უფრო ხშირად ყვებოდნენ ამბებს სიყვარულის, ინტიმურობის, სხვა ადამიანებთან მეგობრობისა და ერთიანობის შესახებ.

ხსრილი N 6.15. მოტივების სიხშირეები (N = 54)

ცვლადი	%(სიხშირე)
არ არის	17 (9)
ძალაუფლების მოტივები	20 (11)
ურთიერთკავშირის მოტივები	63 (34)

ის, თუ რომელი მოტივი იქნება წარმოდგენილი ნარატივში, დამოკიდებულია მოგონების ტიპზე ($\chi^2(6)=13.065, p=.042$). კერძოდ, ძალაუფლების ანუ აგენტობის მოტივები, უპირატესად, უარყოფით გამოცდილებაშია წარმოდგენილი, ხოლო ურთიერთკავშირის ანუ ინტიმურობის – დადებით გამოცდილებაში. თუმცა, საერთოდ, ურთიერთკავშირის მოტივების შემცველი ამბები სამჯერ აღემატება ძალაუფლების შესახებ მოგონებებს.

ოჯახი. ცხოვრების ისტორიებში რესპონდენტები საუბრობენ ოჯახსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობაზე. ძალადობა ოჯახში ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორია ქალებსა და კაცებს შორის. ინტერვიუების უმეტესობაში მამაკა-

ცები მშობლებზე, როგორც მხარდამჭერ პიროვნებებზე, ისე საუბრობენ. ადრეული ასაკიდანვე გრძნობენ მათ მხარდაჭერას: „მამაჩემი არაფერს გვაკლებდა მე და ჩემს ძმას“ (მამაკაცი, 32 წ.) მაშინ, როცა ქალები, ძირითადად, ოჯახის წევრების ძალადობაზე საუბრობენ:

სიმართლე გითხრა, არც ყოფილა ბავშვობა იმიტომ, რომ მამაჩემი იყო პათოლოგი. დედას რომ გამოვესარჩლებოდი და დავიცავდი, მერე ჩემზე გადმოდიოდა იერიშზე და მიდიოდა იქ ჩხუბი და მთელი ამბები. ორი წლის წინ ბოლო ესეთი კონფლიქტის დროს ვეღარ მოვითმინე, პატრული გამოვიძახე და ვუთხარი, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტი იყო (ქალი, 35).

საუბრობენ როგორც მამის, ისე – დედის ძალადობაზე.

მოვიდა დედაჩემი, გრძელი თმები მქონდა ხოლმე სულ და თმებში წამავლო ხელი, ეგ არ დამავინყდება არასოდეს. თმებში წამავლო ხელი და მთელი გზა თმებით წამათრია სახლში. მართლა წამათრია და სახლში რომ მივედი, მაგრად მეჩხუბა, გამლანძლა, მიწასთან გამასწორა (ქალი, 34).

მშობლების გარდა, რესპონდენტები საუბრობენ ბებიებზე, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მთხრობელს ბებიასთან განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება აქვს. ნარატივების უმრავლესობაში ბებია მთხრობელისთვის მხარდამჭერი და მზრუნველი პიროვნებაა:

ჩემი უსაყვარლესი ბებია, რომელიც ჩემთვის მფარველი ანგელოზი იყო. ჩემში თუ ბევრი კარგი დევეს დადებითი, ბებიაჩემის დამსახურებაა. იმდენად ვუყვარდი, რომ მეთქვა სანამლაზე წამალია-მეთქი, დალევდა. იმდენად თავისუფალი ვიყავი ბებიაჩემთან და იმდენად გახსნილი ვიყავი... მაგდენად არც მამაჩემთან და დედაჩემთან ვყოფილვარ გახსნილი. ჩემი მეორე კი არა, პირველი დედა იყო (მამაკაცი, 44).

ბებია მდამინახა თითზე ბეჭედი არ მეკეთა, თავის ბეჭედი მომცა და სირცხვილიაო, ხალხი რას იტყვისო. თბილისიდან სად გადაიკარგაო და ბეჭედიც არ უკეთიაო. ეს ბეჭედი გაიკეთეო და ბეჭედი ბებია მამიკეთა... კი, ბებიას გამო ჭკუა მეკეტებოდა და ძალიან მიყვარს დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის (ქალი, 35).

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენო, რომ ბებიებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ცხოვრების ისტორიებშიც ერთერთ გამორჩეულ თემას წარმოადგენდა. მთხრობელები ხშირად საუბრობენ ბებიებზე, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტზე, დამცველზე ან მნიშვნელოვან პიროვნებაზე მათ ცხოვრებაში.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები და ნარკოტიკები. ყველა რესპონდენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა, როდესაც ხანგრძლივად დასჭირდათ სამედიცინო დახმარება. საინტერესოა, რომ ფიზიკური ჯანმრთელობის დაკარგვამ თუ გაუარესებამ, მათ მოტივაცია გაუჩინა, უფრო მეტად დაეწყოთ საკუთარი თავის მოფრთხილება. ამ დროს ჩნდება საკუთარ სხეულზე ზრუნვის ტენდენცია. სხვა სიტყვებით, ჯანმრთელობის შესახებ თხრობასაც მაკომპენსირებელი სტრუქტურა აქვს:

ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოწვევაა. როცა ყველანაირ იმედს გინურავენ და იმის კიდეზე ხარ, რომ ხელი ჩაიქნისო. კარგია, რომ ამ გამოწვევას დაუპირისპირდი და არ ჩავიქნიე ხელი (ქალი, 35).

ცოტა უფრო მეტად დავუნყე მოფრთხილება ჩემს ორგანიზმს (მამაკაცი, 35)

ჯანმრთელობის პრობლემასთან ერთად უკლებლივ ყველა რესპონდენტი საუბრობს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამოცდილებაზე. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მათი ნარატივის ძირითადი, წამყვანი თემა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასჯელს სწორედ ნარკოტიკული ნივთიერებების გამო იხდინენ). ნარკოტიკულ ნივთიერებებს ახსენებენ ძირითად თემებზე საუბრისას, როგორც სიტუაციის თანმხლებ მოვლენასა და ჩვევას, რომელსაც სძლიეს. ასე რომ, ამ ამბებსაც მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ყვებიან.

13 წლისა ვარ, მოვედი სკოლიდან, მოვიტანე „პლანი“...დავჭერი, ტაფაზე გამოვაშრე და შევაკეთე.. მეთქი მოვნიოთ. მოგიკვდეს ჩემი თავიო, მითხრა ბებიამ. დედას ვფიცავ, ორივე მაგარი დავბოლდით და უკვე დიალოგი ისეთი შედგა ჩვენს შორის, რომ დავიხედეთ საათზე. უკვე ღამეა, წარმოიდგინე, ორი ადამიანი მაგარი „დაკურნულები“ ვდგავართ და ვსაუბრობთ (მამაკაცი, 44).

ამ სცენას რესპონდენტი ბავშვობის პერიოდის დადებით მოგონებად ჰყვება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად „გახსნილი“ და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ბებიასთან.

წარსული სპორტული ცხოვრება და „ქუჩაში გასვლა“. კვლევის მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ნახევარი ბავშვობის გამოცდილებიდან სპორტულ წარსულს იხსენებს. მათ სხვადასხვა ასაკში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სპორტულ სარბიელზე:

გიორგი კანდელაკთან ვვარჯიშობდი. პროფესიონალი მოკრივეები ჰყავდა ევროპის ჩემპიონატზე გაყვანილები და წარმოგიდგენია, აქ, საქართველოში რა ვარჯიში იყო. ახალი მისული ვიყავი, პროფესიონალებთან მაყენებდა წყვილებში და მავარჯიშებდა (მამაკაცი, 35).

თუმცა ადრეული მოზრდილობის პერიოდში ყველა მათგანმა, ახლობლებისა და ოჯახის წევრების დიდი წინააღმდეგობის მუხედევად, სპორტს საკუთარი გადარწმუნებით დაანება თავი. იგივე რესპონდენტი აგრძელებს თხრობას:

მერე გავანებეთ თავი. გავედით ქუჩაში. მაშინ ქუჩა ძალიან პოპულარული იყო ქურდულიდან გამომდინარე. თან მაშინ მაგრად ჭრიდა. ჰოდა, მაშინ ავირჩიეთ ეს მე და ჩემმა ძმამ და მოვყევით მერე, ერთი სიტყვით, ამ ქუჩას და ყველაზე მაგრად ეგ მიტყდება, რომ არ უნდა ვყოფილიყავი რა. 22 წლამდე ვივარჯიშე. 14 წლიდან მქონდა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა. ეგ კი არა, არავის ჰქონდა ისეთი შედეგები, როგორც მე.

ყოფილი მსჯავრდებულების ცხოვრების ისტორიებში ხშირად მეორდება ქუჩური ცხოვრების თემა. კვლავ იგივე რესპონდენტი ამბობს:

მომბეზრდა ეს ყველაფერი რა, ძან ბევრი სიბინძურე დავინახე. აღარც გვერდზე დგომა ქუჩაში.. სხვანაირი უნდა ყოფილიყავი, ხისტი, რომ ქუჩაში გეცხოვრა. ვილაცის გამო, ვილაცა უნდა დაგეჩაგრა, ვისაც არ ესმოდა და.. ეგ არ მინდოდა რა, ნათლად დავინახე ყველაფერი და გავანებე თავი (მამაკაცი, 35)

ცხადია, რესპონდენტები პირდაპირი მნიშვნელობით ქუჩაში ცხოვრებაზე არ საუბრობენ.

სიახლე იყო ციხე, მაგრამ ციხესთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა. იქ ძმაცაცები იყვნენ. მიმოსვლა გვქონდა. მაშინ 90-იანების პერიოდში არ იყო პრობლემა, რომ შესულიყავი, პაემანი გაგეკეთებინა ან რაღაც და სპორტით კი ვიყავი დაკავებული, მაგრამ... ქუჩაშიც მომიწია ყოფნა და რაღაცა ვიცოდი, ისე არ შევსულვარ (მამაკაცი, 35).

თავიდან ოჯახიდან მოგდევს ადამიანს ღირსებაც, პატიოსნებაც, პატივისცემა უფროსის მიმართ, ყოველივე ეს ზრდილობა რაც ადამიანში ჯდება, მერე და მერე ქუჩაში უფრო მეტ გამოცდილებას იღებს ადამიანი. აქ, რა თქმა უნდა, ბევრ ცუდსაც ხვდები, მაგრამ მეტ-ნაკლებად უკვე იწყებ გარჩევას კარგის და ცუდის (მამაკაცი, 44).

თუმცა ზოგ შემთხვევაში ქუჩაში ცხოვრება პირდაპირი მნიშვნელობით ქუჩაში ყოფნას ნიშნავს:

პირველად გავიქეცი, ქუჩაში გამოვიპარე, ვაგზალზე და აქ გავიცანი „ცინის“ ბავშვები და ნავიდა ჩემი ცხოვრება უფრო უკან... ქუჩაში კარგი ცხოვრებით არავინ ცხოვრობს. ქუჩაში ჯიხურებს ვტეხავდით ბავშვები (ქალი, 35).

რეინტეგრაციის სირთულეები. პრაქტიკულად ყველა რესპონდენტისთვის რთული გამოდგა სასჯელალსრულების სისტემიდან გათავისუფლების შემდეგ პირველი პერიოდი. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ გაუჭირდა ფიზიკურ გარემოსთან შეგუება, აშინებდა საზოგადოების მიერ შესაძლო სტიგმატიზება:

როცა ხუთი წელიწადი ასეთ პატარა სივრცეში გაატარე, გარეთ რომ გამოდიხარ, ჯერ მარტო სივრცის შიში გაქვს. დადიხარ და რაღაცას ფიქრობ, მთელი დღე სხვა რა უნდა აკეთო და ისე ერჩევი ამ პატარა მონაკვეთზე სიარულს, რომ მერე რომ გამოდიხარ, უკვე ქუჩაში გინდა ნასვლა და რაღაც იმ ნაბიჯებამდე ჩერდები შენ თვითონ და ვაა... აღარა ვარ იქ და აგრძელებ მერე გზას (მამაკაცი, 35).

მქონდა შემთხვევებიც, რომ ქუჩაში გამოვდიოდი და ვიკარგებოდი, მაგრამ ეგ კიდე არაფერი, როგორღაც მივაგნებდი სახლს, თუმცა მქონდა შემთხვევები, როცა მეგონა, რომ ყველამ იცოდა, ნასამართლენი რომ ვიყავი (ქალი, 34).

6.3.3.4. ნარატიულ ცვლადთა ურთიერთმიმართება

მონაცემთა რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობის შემცველი ნარატივები უფრო კოჰერენტულია ($r = .389$, $N=159$, $p < .001$), ამასთან, მოვლენა-მოვლენა კავშირი და ნარატივის თემის სიცხადე სანდოდ დადებითად უკავშირდება ერთმანეთს ($r = .444$, $N=159$, $p < .001$), რაც ძალიან ლოგიკურია. რესპონდენტები მოვლენებს აკავშირებენ ერთმანეთთან და ერთიან, ინტეგრირებულ ამბად ყვებიან. ასევე, აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტია ავტობიოგრაფიული მსჯელობა ნარატივში, მით უფრო გენერაციულია მთხრობელი ($r = .223$, $N=159$, $p < .001$).

გამართლდა ის ვარაუდიც, რომ გენერაციულობის შემცველი ნარატივები, კოჰერენტული ($r = .233$, $N=159$, $p < .001$) და ქრონოლოგიური თვალსაზრისით, გამართულია ($r = .239$, $N=159$, $p < .001$), რაც, ასევე, მოსალოდნელი იყო, რადგან ნარატივის ქრონოლოგია მიუთითებს, რომ პიროვნული ისტორია ვითარდება მიზანმიმართული ქმედებების დროის ხაზის შესაბამისად და ნარატივი ინტეგრირებულია უფრო ფართო ცხოვრებისეულ თემებსა და საზრისებში. ეს კი, თავისთავად, გენერაციულობას უკავშირდება. გარდა ამისა, ნარსული მოვლენების რეფლექსიური გადამუშავება დადებითად უკავშირდება მაკომპენსირებელი სტრუქტურით ნარატივის აგებას ($r = .387$, $N=159$, $p < .001$).

დაბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ნარატივების უმრავლესობაში (63%) ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები იკვეთება. სხვა სიტყვებით, რესპონდენტები სხვა ადამიანებზე და მათთან ახლო ურთიერთობის დამყარებაზე უფრო მეტს ყვებიან, ვიდრე ძალაუფლების მოპოვებაზე.

6.3.3.5. ნარატივების მთლიანობითი ანალიზი

ამრიგად, ავტობიოგრაფიულ მსჯელობასა და ნარატივის კოჰერენტულობას შორის ნავარაუდები კავშირი რაოდენობრივი ანალიზითაც დადასტურდა და თვისებრივითაც.

ყოფილი პატიმრების ნარატივებში უფრო ხშირად გვხვდებოდა ავტობიოგრაფიული მსჯელობის ერთი კომპონენტი: მოვლენა-მოვლენა კავშირი. როგორც

ჩანს, კვლევის მონაწილეები მათ ცხოვრებაში მომხდარ ამბებს შორის კავშირს უკეთესად ხედავენ და ნაკლებად უკავშირებენ მომხდარს საკუთარ პიროვნებას; სხვა სიტყვებით, ნაკლებად ამყარებენ და ხედავენ სელფ-მოვლენა კავშირს. ამ კავშირის დადასტურების შემდეგ ლოგიკური იყო, გვევარაუდა ძლიერი დადებითი კავშირი მოვლენა-მოვლენა კავშირსა და კოჰერენტულობის ერთ-ერთ კომპონენტს – ქრონოლოგიას შორის, და ეს ვარაუდიც გამართლდა.

რესპონდენტების უმრავლესობა ვერ ან არ ხსნის, რა მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ მოთხრობილ ამბავს მათ ცხოვრებაში, თუმცა იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც მნიშვნელობა/აზრი მიანიჭეს წარსულ ამბებს, უფრო მეტი ამბავი დააღაგეს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ანუ მათ ამბებში უფრო ხშირად ვისმენდით დადებითი ცვლილებებისკენ სვლის შესახებ. თემატურმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივებში ჩნდება გენერაციული თხრობის ტენდენციები.

კოჰერენტულობის ყველაზე გამოკვეთილი კომპონენტი ნარატივებში ქრონოლოგია იყო. მაკადამისის მიხედვით (2013, 2019), მოზრდილი ადამიანის ცხოვრებაში იდენტობის მონიფულობის შეგრძნებას კოჰერენტული ცხოვრების ისტორია უზრუნველყოფს, რომელშიც ინტეგრირებულია წარსული, აწმყო და მომავალი, და რომელიც ადამიანის ცხოვრებას საზრისითა და მიზნით ავსებს. ამიტომ სრულიად მოსალოდნელი იყო ზომიერი დადებითი კავშირის ნახვა კოჰერენტულობასა და გენერაციულობას შორის იმ ადამიანთა შემთხვევაში, რომლებმაც ტრანსფორმაციული გამოცდილების შემდეგ გადაფასებული ღირებულებებითა და ცხოვრების ფილოსოფიით საზოგადოებისა და მომავალი თაობებისთვის სიკეთის შექმნაზე დაიწყეს ზრუნვა.

ნარატივში მოტივაციური ხაზებისა და სხვა ცვლადების ურთიერთმიმართება სუსტია, გარდა ერთი შემთხვევისა. მოტივაციური თემები ძლიერად და დადებითად უკავშირდება გენერაციულობის კომპონენტებს: შენახვასა და შექმნას. ეს ძალიან ლოგიკურია. როგორც რაოდენობრივმა ანალიზმა ცხადყო, ნარატივებში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები გამოვლინდა, ურთიერთკავშირი კირესპონდენტების მონათხრობებში სხვებზე ზრუნვას მოიაზრებს. ნარატივებში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები გენერაციულობის შენახვისა და შექმნის კომპონენტებს ებმის.

ამრიგად, ნარატივში მოვლენა-მოვლენა კავშირისა და ქრონოლოგიის არსებობა მიუთითებს მაკომპენსირებელ თანმიმდევრობაზე, რაც, თავის მხრივ, გენერაციულობის მიმანიშნებელია, ხოლო ნარატივში ურთიერთკავშირის მოტივაციური თემები შექმნისა და შენახვის თემებს უკავშირდება. ამასთან, წარსულის მნიშვნელოვანი გამოცდილებების შესახებ ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხა-


რისხი, ამ მსჯელობის თანამიმდევრულობა და ამბის შინაარსის პოზიტიურ გადაწყვეტაზე ორიენტირებულობა სანდოდ წინასწარმეტყველებს ცხოვრების ისტორიებში გენერაციული სკრიპტის სახით წარმოდგენილი შენახვის, შეთავაზებისა თუ შექმნის ინტენციასა და/ან ქცევას. სხვა სიტყვებით, თუ ყოფილი მსჯავრდებულები ამა თუ იმ ხარისხით აწარსულს რეფლექსირებენ – ამყარებენ კავშირს წარსულ მოვლენებსა და საკუთარ „მე“-ს, განცდილ მოვლენებს შორის, მათში აზრს ამჩნევენ, და ამას დროის, კონტექსტისა და თემის თვალსაზრისით თანამიმდევრულად დალაგებული, ზრდაზე ორიენტირებული თხრობის პირობებში აკეთებენ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ნარატიული იდენტობის ანუ ცხოვრების ისტორიის განუყოფელი ნაწილი იქნება გენერაციული ინტენცია ან ქმედება შენახვის, შეთავაზების ან შექმნის სახით გამოხატული, რაც კვლევის ამ ნაწილში რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის ინდიკატორად არის გამოყენებული.

ამრიგად, კვლევის ამ ნაწილის შედეგები მიუთითებს, რომ ავტობიოგრაფიული მსჯელობის საშუალებით კოჰერენტული ცხოვრების ისტორიის კონსტრუირებამ წარსული შეცდომები გენერაციულ თხრობად შეიძლება აქციოს, რასაც ყოფილი მსჯავრდებულები გამთლიანებულ „მე“-მდე, პერსონალური უწყვეტობის განცდასა და უკეთ ადაპტირებულობამდე მიჰყავს, ეს კი გენერაციული ქმედების სანინდარია. ყოველივე ეს ბუნებრივად და ჰარმონიულად ეთანადება მარუნას (1997, იხ. ზემოთ) შემოთავაზებულ თეორიულ მოდელს, რომელიც დელინკვენტური ჩაკეტილი წრის გარღვევისა და „მეორე შანსის“ გამოყენების სცენარს აღწერს.

6.4. თეორიული მოდელი

არსებულ ნარატიულ ემპირიულ მასალასა და ზემოთ განხილულ სამ კვლევაზე დაყრდნობით, ვფიქრობ (სურათი N 6.2), პერსონალური უწყვეტობის განცდას ორი რამ გვანიჭებს: (ა) იმგვარად დალაგებული და მოთხრობილი ცხოვრების ამბავი, რომ აზრი და მიმართულება ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებას და (ბ) ის, რომ ეს ჩვენი აზრიანი დალაგებული ამბავი ეთანხმდებოდეს კულტურაში დომინირებულ სკრიპტს ანუ მასტერნარატივს; და თუ მას ეწინააღმდეგება, ისეთი ალტერნატივა უნდა ვიპოვოთ ან შევქმნათ, რომ მშვიდად და კომფორტულად ვიგრძნოთ თავი როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოების გარემოცვაში.

როგორ ვახერხებთ ამას? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა



სურათი N 6.2. ტრანსფორმაციული გამოცდილებიდან პერსონალური უწყვეტობის აღდგენილ განცდამდე

ჩემი კვლევა. თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, როდესაც სტრესული/ტრავმული მოვლენა ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ეს პოტენციურად ტრანსფორმაციული გამოცდილებაა ანუ ისეთი გამოცდილება, რომელიც საკუთარი თავის ხელახლა გააზრებისა და ცვლილებებისკენ გვიბიძგებს. ცვლილება, უპირველესად, სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ ბაზისური დაშვებებისა და ნარმოდგენების ნგრევას გულისხმობს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვენგრევა საკუთარი „მე“-ხატი ანუ წყდება ნარატიული იდენტობა. ეს ნიშნავს იმას, რომ (ა) ვერ ვახდენთ მომხდარი ამბის ჩვენი ცხოვრების ისტორიაში ინტეგრირებას და (ბ) ერთმანეთს ვერ ვუერთებთ იმას, რაც მანამდე იყო/ვიყავით და იმას, რაც ახლა არის/ ვართ. ეს მდგომარეობა გვიბიძგებს ავტობიოგრაფიული მსჯელობისკენ (რომელიც გულისხმობს მომხდარის რეფლექსიურ გადაამუშავებასა და მნიშვნელობის პოვნას, უნებლიე და მიზანმიმართულ რუმინაციასა და მომხდარისა და სელფის (Self) ურთიერთკავშირის დამყარებას). ავტობიოგრაფიული მსჯელობის ანუ ჩვენი ამბის ახლებურად თხრობის პროცესში და მის შედეგად აზრი უნდა დავინახოთ მომხდარში, ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ისტორიის ანუ იდენტობის ნაწილად უნდა ვაქციოთ. მხოლოდ ასე შევძლებთ პერსონალური უწყვეტობის განცდის აღდგენასა და „მანამდე“-სა და „შემდეგ“-ის ერთ ამბად შეკვრას. მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება, რომ გუშინდელი „მე“, დღევანდელი „მე“ და შესაძლო ხვალისდელი „მე“, მიუხედავად ცვალებადობისა და ვარიაციებისა, ერთი და იგივე „მე“-ა.

ამასთან, არ უნდა დაგვაფიქვინდეს, რომ ყველაფერ ამას ჩვენ იმ სოციუმის/კულტურის კონტექსტში ვაკეთებთ, რომელშიც ვცხოვრობთ, რაც კიდევ უფრო გვირთულებს ამოცანას. ჩვენ მიერ კონსტრუირებული ცხოვრების ისტორია უნდა ეთანხმებოდეს კულტურაში მიღებულ და მოწონებულ წესებსა და სცენარს, რათა ჩვენი უწყვეტობის განცდას კარგად ყოფნის განცდამდე მივყავდეთ, რადგან, თუ გარემოში ვერ ვართ კარგად, არასრული იქნება ჩვენი სიმშვიდე და საკუთარ თავთან თანხმობა.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებასთან, კულტურასთან თანხმობა უწყვეტობისა და კარგად ყოფნის განცდისათვის?

ტრანსფორმაციული გამოცდილება ხშირად ისეთი გამოცდილებაა, რომელიც ადამიანს ამოაგდებს კულტურის კონტექსტიდან ანუ მასტერნარატივიდან, და აიძულებს, რაღაც სხვა, ალტერნატიული გზა მოძებნოს. მასტერნარატივიდან ამოვარდნა თავისთავად არის ბიოგრაფიული რღვევა და პოტენციურად ტრანსფორმაციული გამოცდილება, როდესაც ინდივიდი განსხვავებულად მოქმედებს, და ამას არ იწონებს უმრავლესობა.⁶¹ ამრიგად, ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ორმაგი ფუნქცია ეკისრება: (ა) ადამიანმა ამ გამოცდილებაში აზრი უნდა იპოვოს, მომხდარი საკუთარ „მე“-ს დაუკავშიროს და (ბ) შეუთანხმოს მასტერნარატივს ან ალტერნატიული ნარატივი ააგოს და ასე მიაღწიოს უწყვეტობასა და პიროვნულ ზრდას, რასაც კარგად ყოფნის განცდა მოსდევს. ამასთან, ვფიქრობ, რომ განურჩევლად იმისა, ტრადიცი-

⁶¹ მასტერნარატივის იდეაც სწორედ ისაა, რომ ადამიანმა მოცემული კულტურის მიერ შეთავაზებული სცენარით ააგოს საკუთარი ცხოვრება და მის შესახებ ნარატივიც.

ული მასტერნარატივის კონტექსტში აღწევს ინდივიდი პიროვნული უწყვეტობის განცდას თუ ალტერნატიულ მასტერნარატივს ქმნის, გენერაციული ინდივიდები საუკეთესოდ ახერხებენ ამას.

ცხადია, წარმოდგენილი მოდელი (**სურათი N 6.2**), ნაწილობრივ, ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა და, ნაწილობრივ, თეორიული მსჯელობის შედეგია. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს და შემდგომ ემპირიულ შემოწმებას საჭიროებს.

თანავტორი, დამკვეთი – მე, შენ, სხვები

ერთმანეთისგან ვერ გააცალკევებ, რა გეკუთვნის შენ და რა ეკუთვნის ქვეყანას. ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაშიც ისევე ხდება (მამაკაცი, 48)

საბჭოთა კავშირის დაშლა ძირითადი გარდამტეხი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში (ქალი, 68)

სამსახურიც მქონდა, სახლიც და შემოსავალიც. უკვე 28 წლის ვიყავი და გათხოვებას ვაგვიანებდი (ქალი, 50)

სამი წლის წინ ერთ-ერთ კონფერენციაზე მე და ქეით მაკლინი მასტერნარატივის კულტურული კონტექსტის შესახებ ერთობლივი კვლევის შედეგებს წარვადგენდით, როდესაც აუდიტორიიდან გვკითხეს: „როგორ შეგიძლიათ ამტკიცოთ რაიმე და განაზოგადოთ მონაცემები, როცა თითოეული ადამიანის ცხოვრების ისტორია ისეთივე უნიკალურია, როგორც თავად ეს ადამიანი?“ მაშინ მე და ქეითმა (იმ მომენტისთვის უკვე ასობით ამერიკელი და ქართველი რესპონდენტის ინტერვიუ გვქონდა ერთად ნაკითხული და გარჩეული) ერთმანეთს გადავხედეთ, გაგვეღიმა და ვუპასუხეთ: „ადამიანების ცხოვრების ისტორიები იმაზე მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე გვგონია. მონაცემებიც სწორედ ამას ამბობს.“

და მართლაც, ბევრ უნიკალურ ამბავს ერთად თუ შევხედავთ, იმაზე მეტ მსგავსებას დავინახავთ მათ შორის, ვიდრე გვგონია. მართალია, თითოეული ადამიანი ნამდვილად უნიკალურ ამბავს ჰყვება, მაგრამ ეს უნიკალური ამბები, განურჩევლად იმისა, ვაცნობიერებთ ამას თუ არა, ყოველთვის იმ კულტურულ კონტექსტში მიღებული სცენარის მიხედვით ვითარდება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვვითარდებით. ამ სცენარს ნარატივის ფსიქოლოგები მასტერნარატივს (McLean & Syed, 2016) უწოდებენ. ეს ის სცენარია, რომელსაც ჩვენი ამბავი კულტურის ამბების განზომილებაში გადაჰყავს და ჩვენი ნარატიული ეკოლოგიის ბოლო წრეს კრავს.

გახსოვთ, ვთქვით, რომ ჩვენი ცხოვრების ისტორია ანუ ნარატიული იდენტობა ფსიქოსოციალური კონსტრუქციაა, რომელიც პიროვნება-კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგად ვითარდება? „ფსიქო-“ ჩვენი ამბის უნიკალურობაზე მიგვითითებს, „-სოციალური“ კი გვეუბნება, რომ ამ უნიკალური ამბის ავტორი კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტს ითვალისწინებს საკუთარი ამბის თხრობისას. ეს, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ, როგორც უნდა უნდოდეს, ინდივიდი მხოლოდ თავად არ და ვერ წარმართავს საკუთარი იდენტობის ფორმირების პროცესს (McLean & Syed, 2016) და, როდესაც კულტურისგან მოწოდებულ სცენარს ვერ ერგება მისი ამბავი, იგი ახალი სცენარის ძიებას ან შექმნას იწყებს.⁶²

საბოლოოდ, იდენტობის ღერძის ფორმირება ერიკსონისეულ ორ კითხვაზე – „ვინ ვარ მე?“ და „სად არის ჩემი ადგილი მოზრდილთა სამყაროში?“ – პასუხების პოვნამდე მიდის. ისევ ერიკსონს თუ მივუბრუნდებით, როდესაც ამ პასუხებს მივაგნებთ, საკუთარი თავის მიღმა გახედვასაც დავინწყებთ და საკუთარი თავის გარდა სხვებზე ზრუნვის მოთხოვნილებაც გაიღვიძებს ჩვენში. ერიკსონი (1968) და თანამედროვე მკვლევრები (McAdams, 2015; McAdams, & Guo, 2015) ამას გენერაციულობას უწოდებენ. საზოგადოებაში ადგილნაპოვნი, ინტეგრირებული იდენტობის მქონე პიროვნება, განურჩევლად იმისა, მიჰყვება თუ არა იგი მასტერნარატივით ნაკარნახებ გზას, როგორც წესი, უაღრესად გენერაციული ადამიანია (McAdams, 2015), რომელიც ცდილობს, სამყარო უკეთეს ადგილად აქციოს სხვა ადამიანებისათვის.

⁶² რაც ნარატიული ფსიქოლოგიაში ალტერნატიული მასტერნარატივის სახელით არის ცნობილი (იხ. ქვემოთ).


7. მასტერნარატივის ინტეგრაციული ჩარჩო

7.1. თეორიული მოდელი

მასტერნარატივები, უპირატესად, განმარტებულია, როგორც მოცემული კულტურის ფარგლებში არსებული საზიარო ისტორიები, რომლებიც წარმართავენ ამ კულტურაში მცხოვრებ ადამიანთა აზრებს, რწმენებს, ღირებულებებსა და ქცევებს (მაგალითისთვის იხ. Bamberg, 2004; Hammack, 2008; Hammack, Mayers, & Windell, 2011; Thorne & McLean, 2003). ეს ამბები ინდივიდუალური ცხოვრების შესახებ ამბები ანუ პერსონალური ნარატივი კი არ არის, არამედ ფართო კულტურულად სპეციფიკური ისტორიებია, რომლებიც ხელმისაწვდომია ინდივიდებისთვის ცნობიერად თუ არაცნობიერად პოტენციურად ინტერნალიზებისა და/ან წინააღმდეგობის განწვევისთვის. ნარატივის მკვლევრები მასტერნარატივის ცნებას მრავალი წლის განმავლობაში და შედეგიანად განიხილავდნენ (Andrews, 2002, Bamberg, 2004; Cohler & Hammack, 2006; Fivush, 2010; Hammack, 2008; Hammack & Cohler, 2009; Hammack & Pilecki, 2012; Hatiboğlu & Habermas, 2016; McAdams, 2014; McLean, 2015; Thorne & McLean, 2003; Weststrate & McLean, 2010). თუმცა ის მაინც არათანამიმდევრულად გამოიყენებოდა და ბევრ კითხვას შობდა მასტერნარატივის იდენტიფიცირებისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური გამოცდილებების ემპირიული კვლევისადმი მათი მისადაგების შესახებ.

მასტერნარატივი კულტურაში არსებული სკრიპტია, რომელიც ინდივიდუალურ ცხოვრების ისტორიებშია განფენილი, ამიტომ მათ გარეშე არ არსებობს, და ამავე ისტორიების შესწავლით არის შესაძლებელი მისი ამოცნობა და გაგება (McLean & Syed, 2016). მასტერნარატივის გამოსადეგი თეორიული მოდელი კარგად უნდა ასახავდეს ამ ურთიერთმიმართებას. შესაბამისად, მასტერნარატივის მეტ-ნაკლებად ამომწურავი მოდელი უნდა მოიცავდეს პიროვნებას, მასტერ და ალტერნატიული ნარატივების (იხ. ქვემოთ) ურთიერთმიმართების დინამიკას და ხსნიდეს მათ ურთიერთქმედებას.

რამდენიმე წლის წინ მაკლინმა და საიედმა (2016) მასტერნარატივის სწორედ ასეთი თეორიული ჩარჩო შემოგვთავაზეს (**სურათი N 7.1**), რომელიც ჯერ კიდევ დამუშავებისა და ემპირიული ვალიდაციის პროცესშია. მოდელი სამ ცნებასა (წრეები) და სამ პროცესს (ორმხრივი ისრები) მოიცავს და გვიჩვენებს, რომ ინდივიდების პერსონალური ნარატივები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული მასტერ და პოტენციური ალტერნატიული ნარატივების ბალანსთან. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული ინდივიდუალური პერსონალური ნარატივი მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად თანხვდება ის მასტერ ან ალტერნატიულ ნარატივ(ებ)ს.



სურათი N 7.1. მასტერ ნარატივის მოდელი (წყაროდან McLean & Syed, 2016)

ეს დამოკიდებულება სურათზე I და II ისრებით არის წარმოდგენილი. სურათზე მოცემული სქემა გვიჩვენებს მასტერნარატივის ძალას, რომელსაც ის I და III ისრებით გამოსხატული ურთიერთქმედების მეშვეობით ინარჩუნებს. ისინი, ვინც მასტერნარატივს მიჰყვებიან (I ისარი), არსებულ სტრუქტურას ახორციელებენ რეალურ ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ ალტერნატიული მასტერნარატივის აგება თავისთავად მოიაზრებს არსებული მასტერნარატივის აღიარებასა და, ალბათ, მის ვალიდაციასაც ახდენს (III ისარი). სხვა სიტყვებით, შეუძლებელია ალტერნატივის შექმნა დომინანტურ ნარატივზე მიუთითებლად (McLean, 2015). დისკურსიული ფსიქოლოგიის ენით თუ ვიტყვით, ალტერნატიული ნარატივის შემქმნელი ინდივიდები უპირისპირდებიან მასტერნარატივს (Andrews, 2002). ეს პროცესი, თავის მხრივ, მასტერნარატივის ლეგიტიმაციას ემსახურება. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ, უახლესი მონაცემებით (იხ. McLean, et. al 2017), ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ალტერნატიული მასტერნარატივის კონსტრუირება მასტერნარატივის სიღრმისეულად გაუაზრებლად (იხ. **თავი 8**). მაშასადამე, მასტერნარატივი უშუალოდ არაცნობიერი ინტერნალიზაციითაც მყარდება და გაშუალებულადაც ცნობიერი წინააღმდეგობის განვითარებით, მსჯელობითა და მოლაპარაკებით. როგორც მოდელის ავტორები ამტკიცებენ და აჩვენებენ კიდევ, დროთა განმავლობაში და დიდი ძალისხმევის შედეგად, ალტერნატიულ ნარატივებს მასტერნარატივის შეცვლა შეუძლიათ (III ისარი).

მასტერნარატივის თეორიულ ჩარჩოში ცენტრალური ადგილი უკავია ორ პროცესს, რომელიც ინდივიდისა და მასტერნარატივის ურთიერთმიმართების

დინამიკას ასახავს. ერთია *მოლაპარაკება*⁶³ სელფსა (Self) და საზოგადოებას შორის, მეორე კი – ინტერნალიზაცია. მასტერნარატივები სოციალურ/კულტურულ დონეზე არსებობს და, შესაბამისად, თავისთავად არ წარმოადგენენ პერსონალურ ნარატივებს. ისინი ინდივიდს ჩარჩოთი და საშენი მასალით უზრუნველყოფენ. მან თვითონ უნდა ააგოს საკუთარი იდენტობის ნარატივი. მასტერნარატივი მზა ყალიბს შეგვიძლია შევადაროთ, რომელიც პირდაპირ აწვდის ადამიანს ჩარჩოს, როგორ ააგოს საზრისის მქონე და პროდუქტული ცხოვრება მოცემული საზოგადოების ფარგლებში (Habermas, 2007). თუმცა მაკლინისა და საიედის მოდელის ფუნდამენტური კომპონენტია ის, რომ საზოგადოებრივი მასტერნარატივები სწორედ ინდივიდების პერსონალურ ნარატივებში ჩანან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერნალიზაციის პროცესის მეშვეობით მასტერნარატივები ინდივიდების იდენტობების ნაწილად იქცევიან (McLean, Shucard, & Syed, 2017).

უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები ვერც კი აცნობიერებენ, რამდენად ეყრდნობიან მასტერნარატივს საკუთარი თავის განსაზღვრისას. შესაბამისად, ინტერნალიზაციის პროცესი, როგორც წესი, არაცნობიერად მიმდინარეობს (Hammack & Cohler, 2009). თუმცა, თუ ინდივიდუალური ნარატივის ინტერპრტირებისას სერიოზულად გავითვალისწინებთ იმას, რომ მოცემულ კულტურაში მცხოვრებ ინდივიდთა უმრავლესობა არაცნობიერად ახდენს ამ კულტურის მასტერნარატივების საკუთარ პერსონალურ ნარატივში ინტერნალიზებას, შეიძლება საკმარისზე მეტად გავამახვილოთ ყურადღება ინდივიდის აგენტობაზე და დავუშვათ, რომ მას საკუთარი სურვილის მიხედვით ნებისმიერი ნარატივის აგება შეუძლია (Waterman, 2015). სხვა სიტყვებით, თუ პიროვნულ ნარატივს მასტერნარატივის გაუთვალისწინებლად წავიკითხავთ, ყურადღების მიღმა დავგრჩება ინდივიდისა და კულტურის ის ურთიერთქმედება, რომელსაც მოიცავს პერსონალური ნარატივის და სქემაზე ორმხრივი ისრებით არის გამოსახული (სურათი N 7.1). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანების შემთხვევაში, ვისი ცხოვრებაც არ ეთანადება მასტერნარატივს.⁶⁴

7.1.1. როგორ ამოვიცნოთ მასტერნარატივი: ხუთი პრინციპი

მაკლინი და საიედი (McLean & Syed, 2016, McLean et; al., 2019; Densin, & Lincoln, 2011) აღწერენ ხუთ პრინციპს (მახასიათებელს), რომლითაც შესაძლებელია მასტერნარატივის იდენტიფიცირება. ეს ურთიერთდაკავშირებული ხუთი პრინციპია: სარგებლიანობა, საყოველთაოობა (ყველგან მყოფობა), უჩინარობა,

⁶³ Negotiation.

⁶⁴ აქ ალტერნატიული მასტერ ნარატივის საკითხამდე მივდივართ, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სავალდებულო ხასიათი და რიგიდულობა.⁶⁵ მოდელის ავტორები თვლიან, რომ ეს პრინციპები აუცილებელია მასტერნარატივის გამოსავლენად, თუმცა, შესაძლოა, თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად იყოს გამოხატული ყოველი კონკრეტული მასტერნარატივისა (მაგალითად, ზოგიერთი მასტერნარატივი უფრო საყოველთაოა, ვიდრე სხვები) და იმ პიროვნების (მაგალითად, ზოგიერთი მასტერნარატივი მეტად თვალსაჩინოა, ვიდრე სხვები) შემთხვევაში, ვინც მის ინკორპორაციას ახდენს. ავტორები ამ მახასიათებლებს *პრინციპებს* იმიტომ უწოდებენ, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე არც აუცილებელი კრიტერიუმია და არც საკმარისი მასტერნარატივის ფორმირებისთვის. ისინი მასტერნარატივების მძლავრ ინდიკატორებს წარმოადგენენ და *ერთობლივად* ქმნიან მათი იდენტიფიცირებისა და ფუნქციონირების თავისებურების გაგების საფუძველს.

სარგებლიანობა. მასტერნარატივი უზრუნველყოფს იმის საფუძველს, როგორ უნდა უყურებდნენ ინდივიდები საზოგადოებაში არსებულ ჯგუფებსა და საკუთარ თავს; მზა მასალას იძლევა, რომლის ინტერნალიზებაც შეუძლიათ ინდივიდებს საკუთარი თავის განსაზღვრისას. ის გვთავაზობს ინფორმაციას მოცემული ჯგუფის ისტორიის, მიზნების, ღირებულებებისა თუ იდენტობების და იმის შესახებაც, ცხოვრების როგორი გზის გავლაა მოსალოდნელი ამ ჯგუფის წევრებისგან. გარდა ამისა, ეს ნარატივი ერთგვარი ყალიბია, მატრიცაა, რომელიც უკარნახებს ადამიანს, როგორ იცხოვროს სწორად, მართებულად, და მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ ჯგუფს. ამის კარგი ილუსტრაციაა სოციალური ნორმების, ჯგუფის წევრების მოსალოდნელი და მიღებული ქცევების კვლევები, რომელთა ფუნქციაც ეფექტური ქცევის პოპულარიზაცია, ურთიერთობების აწყობა და შენარჩუნება, „მე“-კონცეფციის მართვაა (Cialdini & Trost, 1998). ასე რომ, მასტერნარატივი, სოციალური ნორმების მსგავსად, ცხოვრების მოსაწესრიგებლად არის მონდობული.

„სამსახურიც მქონდა, სახლიც და შემოსავალიც. უკვე 28 წლის ვიყავი და, როგორც ჩემი თანამშრომლები მიმტკიცებდნენ, გათხოვება მიგვიანდებოდა,“ (50 წლის ქალი) – კვლევის მონაწილის⁶⁶ ეს ფრაზა კარგად აჩვენებს ჩვენს კულტურაში მიღებულ, ინტერნალიზებულ ცხოვრების გზას, რომელიც ინდივიდს მზა

⁶⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი ახლოს დგას დიურკემისეული კოლექტიური ცნობიერების ნიშნებთან.

⁶⁶ კვლევის ეს ნაწილი შესრულებულია ფულბრაიტის კვლევითი გრანტით (ID: 68150604) განხორციელებული პროექტის „მასტერნარატივი: ცხოვრების ისტორიების ნარატივებში განფენილი კულტურა“ ფარგლებში. დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ბელინგჰემი, ვაშინგტონის შტატი, აშშ.

სცენარს სთავაზობს საკუთარი ცხოვრების წარმართვისთვის. როგორც ქართული კულტურული სკრიპტის კვლევა (იხ. ქვემოთ) ცხადყოფს, ამ სცენარის თანახმად, საზოგადოება მოელის 25 წლამდე ასაკის ქალის დაოჯახებას.

საყოველთაობა. მასტერნარატივებმა სოციალური ნორმების მსგავსად რომ იმუშაონ, ერთ კულტურაში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფმა უნდა გაიზიაროს ისინი ანუ მათთვის საყოველთაო უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური ნორმები აღარ იქნება ეფექტური (და საერთოდ, ნორმებიც აღარ იქნება). სოციალური წეს-ჩვეულებებისა და ნორმების მსგავსად, საყოველთაოდ გაზიარებული მასტერნარატივები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი კულტურაში, მასმედიაში შემოთავაზებული ისტორიებისა და დისკურსის, ფილმების, რომანებისა და ა. შ. სახით ისინი ყველგან აღწევენ. მაგალითად, მედიის მოხმარების კვლევა აჩვენებს, რამდენად გავლენიანია მედიით საყოველთაოდ გავრცელებული შეტყობინებები, რომელთაც მყისიერად ისრუტავს მოსახლეობა: ასეთია, ვთქვათ, იდეალური სილამაზისა (Harrison, 2000) და გენდერული (Gill, 2007) ნორმები.

უჩინარობა. საყოველთაობა განაპირობებს მესამე პრინციპს – მასტერნარატივის უჩინარობას. ის ყველგანაა, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას უჭირს მისი შემჩნევა (Kitayama, Duffy, Kawamura, & Larsen, 2003; Oishi, 2004). მიჯაჭვულობის რეპრეზენტაციისა (Main, Kaplan, & Cassidy, 1985) და ისეთი კოგნიტური პროცესის კვლევები, როგორც ასიმილაცია (Block, 1982), კარგად აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია არაცნობიერი პროცესები შედეგიანი ადაპტაციისთვის. მასტერნარატივის კონტექსტში ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდებს დიდი გარჯა არ სჭირდებათ იმის სასწავლად, თუ რას ნიშნავს, იყო მოცემული კულტურის „კარგი“ წევრი. ადამიანები, მეტწილად, ავტომატურად და არაცნობიერად ისრუტავენ მასტერნარატივებს. თუმცა მათ მაშინ ამჩნევენ, როდესაც მათთან მოლაპარაკებას, შეთანხმებას იწყებენ და, სავარაუდოდ, არღვევენ კიდევ. მაგალითად, როდესაც მამაკაცი თავის ქმარზე იწყებს საუბარს, ამით არღვევს მოლოდინს ცხოვრების ჰეტეროსექსუალური კურსის შესახებ და დადგენილ წესებს. ერთ-ერთი კვლევა (Banse, Seise, & Zerbes, 2001) ავლენს, რომ გეინყვილების მიმართ უფრო მეტი უარყოფითი იმპლიციტური დამოკიდებულებაა, ვიდრე ჰეტეროსექსუალი ნყვილებისა. ეს ნიშნავს იმას, რომ მათთვის, ვინც უხვევს მასტერნარატივის გზიდან, ან უფრო მეტად ცდილობს მის გააზრებასა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას, მასტერნარატივი თვალსაჩინო, ხილული ხდება: როდესაც ინდივიდი და მისი სოციუმი/საზოგადოება ვერ თანხვდება ერთმანეთს, დისკომფორტი იგრძნობა. მნიშვნელოვანია, რომ მასტერნარატივიდან ასეთი გადახვევა ან მისი დარღვევა ალტერნატიული ნარატივების აგების შესაძლებლობას ქმნის, როგორცაა, ვთქვათ, არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ქორწინების ლეგალიზაციის მეშვეობით, გეიცხოვრების გზის ტრადიციულ კულტურაში ჩართვა.

„ხშირად მეუბნებოდნენ, ფილოლოგია რა ბიჭის საქმეაო“, – ეს ფრაზა კვლევის ერთ-ერთ მონაწილეს (34 წლის მამაკაცი) ეკუთვნის, რომელიც ცნობიერად დაუპირისპირდა კულტურაში მიღებულ კონვენციურ ნორმებს გენდერული ცხოვრების გზის შესახებ და, როგორც ეუბნებოდნენ, „ბიჭისთვის შეუფერებელი“ პროფესია აირჩია. ამით მან (ა) ცნობიერ დონეზე ამოიტანა კულტურაში არსებული გენდერული მასტერნარატივი, (ბ) გააანალიზა, გაიაზრა, მისდამი საკუთარი პოზიცია ჩამოიყალიბა და (გ) შექმნა თავისთვის მისაღები, ორიგინალური, ალტერნატიული გზა, რომელსაც მიჰყვა კიდევ ცხოვრებაში. ამ ადამიანს, ვთქვათ, იურიდიულზე ან ეკონომიურზე რომ ჩაებარებინა, შესაძლოა, არც არასოდეს დასჭირვებოდა იდენტობის ფორმირებისას ამ პროცესების გავლა.

სავალდებულო ხასიათი. მასტერნარატივიდან გადახვევა მთელ რიგ პრობლემებს იწვევს და ის უტილიტარულია იმ თვალსაზრისით, რომ გვეუბნება, როგორ უნდა „ვიყოთ“, ამიტომ მოდელის ავტორები თვლიან, რომ მასტერნარატივი, ღირებულებების თვალსაზრისით, ნეიტრალური როდია. ის იმ მორალურ კომპონენტს, იდეოლოგიურ შეტყობინებას შეიცავს, რომელიც გვეუბნება, როგორ მოვიქცეთ და ვიგრძნოთ თავი (Fivush, 2010; Fivush & Zaman, 2015; Hammack, 2008; 2011). შესაბამისად, როდესაც ინდივიდი ეთანადება მასტერნარატივს, ითვლება, რომ ის კარგია ან სწორია და ამით უკრიტიკო (და ხშირად ამ პრივილეგიის გაუცნობიერებლად ანუ უჩინრად) ცხოვრების საშუალება ეძლევა. იმპლიციტური დამოკიდებულებების ზემოთ ხსენებულ კვლევაში ინდივიდები უფრო სწრაფად აწყვილებდნენ დადებით სიტყვებსა და ჰეტეროსექსუალ წყვილებს, უარყოფით სიტყვებსა და გეინყვილებს და ამით კარგად მიუთითებდნენ, რომ „კარგია“ ჰეტეროსექსუალობის მასტერნარატივის გათვალისწინება (Banse et al., 2001). თუმცა მასტერნარატივის სავალდებულო ხასიათი იმას როდი გულისხმობს, რომ ყველა უნდა მიჰყვეს მას, როგორც ეს ზემოთაც ითქვა. ისინი, ვინც ასე იქცევიან და გადაუხვევენ დადგენილი გზიდან, სავარაუდოდ, დაქვემდებარებულები, ჩაგრულები არიან და ნაკლები ძალაუფლება აქვთ მოცემულ საზოგადოებაში, თუმცა, მასტერნარატივის სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, მისგან გადახვევა გარკვეულ რისკსაც გულისხმობს.

რიგიდულობა. მართალია, მოდელის ავტორები კულტურას დინამიკურ ნარმონაქმნად მიიჩნევენ, რომელსაც ქმნიან, ინარჩუნებენ და ცვლიან ცალკეული ინდივიდები ორმხრივი ურთიერთქმედების პროცესში (Gjerde, 2004; Hammack, 2008; 2011), კულტურის ზოგიერთი ასპექტი ნაკლებად დინამიკურია, ვიდრე სხვები. მაკლინი და საიედი (2016) თვლიან, რომ მასტერნარატივი არ არის ქვაში ნაკვეთი – ის შეიძლება შეიცვალოს და იცვლება კიდევ, თუმცა მისი ძალა და ავტორიტეტი მისი უცვლელობიდან მომდინარეობს. მასტერნარატივის შეცვლა

რომ ადვილი იყოს, მაშინ მისგან გადახვევა ასე სარისკოც არ იქნებოდა. ეს რიგიდულობა იმ სარგებლით საზრდოობს, რომელსაც მისი მიმდევრები იღებენ. მაგალითად, ცხოვრებაში ქორწინებისა და ბავშვების აღზრდის ტრადიციებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი აუცილებლობაა სახეობის დონეზე, ქორწინება კი – არა, ის ღრმად არის დამკვიდრებული და ფესვგადგმული მრავალ კულტურაში, რასაც ძალაუფლების მქონე სტრუქტურები (მაგალითად, სასამართლო, რელიგიური ავტორიტეტები) უწყობენ ხელს. ამრიგად, კულტურის რიგიდულობა მაკლინისა და საიედის მოდელის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს.

აღნიშნული მოსაზრების კარგი ილუსტრაციაა საქართველოში 2013 წლის ცნობილ 17 მაისს განვითარებული მოვლენები. განურჩევლად იმისა, რა მიზანს ემსახურებოდა ის აქცია და კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა მასში, იმ დღეს განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვება თვალსაჩინოდ აჩვენებს ტრადიციული მასტერნარატივის რიგიდულობასა და ძალაუფლების მქონეთა მიერ მისი უცვლელად შენარჩუნების მცდელობას. უფრო კონკრეტულად, მხოლოდ იმ ფაქტითაც კი, რომ ეს აქცია შესაძლებელი გახდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ტრადიციული ნარატივის მონოლითურობას, საყოველთაობას, სავალდებულო ხასიათსა და რიგიდულობას დაუპირისპირდა. ამასთან, მათ იმპლიციტურად მოცემული „კარგი“ ქცევის პატერნები ცნობიერად/ღიად გამოიტანეს სააშკარაოზე ალტერნატიული ქცევის პატერნის არსებობის შესაძლებლობის დემონსტრირებით. რა მოხდა შემდეგ? ყველასთვის ცნობილია ტაბურეტიანი მოძღვრის ხატი, რომელსაც ათასნაირი იარლიყი მიაწერეს და ინტერპრეტაცია მოუძებნეს. ერთ-ერთი შესაძლო ინტერპრეტაცია, რომელიც ტაბურეტიანი მოძღვრის ხატით სიმბოლურად წარმოდგენილი მხარის ქცევას შეიძლება მოეძებნოს, სწორედ ტრადიციული მასტერნარატივის უცვლელობის დაცვისა და შენარჩუნების მცდელობა შეიძლება იყოს. ეკლესია, როგორც ძალაუფლების მქონე ინსტიტუცია, სწორედ ცხოვრების „კარგ, მისაბაძ და მისაღებ“ გზას, სხვა სიტყვებით, ტრადიციულ (გენდერულ) მასტერნარატივს იცავდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ბევრის პერსონალური ნარატივის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, მისკენ მიმართული საფრთხე ცალკეული ადამიანების პერსონალური იდენტობისკენ მიმართულ საფრთხედ შეიძლება აღიქმებოდეს ამ ადამიანების მიერ და, ცხადია, რომ ისინი ბევრ რამეს გააკეთებენ საკუთარი იდენტობის ანუ საკუთარი თავის დასაცავად.

თუნდაც ამორფული, კარგად ცნობილი და იუმორის თემად ქცეული ფრაზა: „ქართველობას გვართმევენ!“, მასტერნარატივის ჭრილში სხვა არაფერია, თუ

არა მინიშნება საფრთხეზე, რომელიც გარკვეული ჯგუფის დონეზე ტრადიციული, ათწლეულების (თუ ასწლეულების არა) განმავლობაში დამკვიდრებული „კარგი, მისაღები“ ცხოვრების გზიდან გადახვევის შესაძლებლობიდან მომდინარეობს.

7.2. მასტერნარატივის ტიპები

მასტერნარატივის გაანალიზება სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი. ის კულტურის ფარგლებში გაზიარებული ისტორიაა, მაშასადამე, კულტურის სხვადასხვა განსაზღვრების ფარგლებში შეგვიძლია მისი განხილვა (Cohen, 2009), იქნება ეს ფართო საზოგადოებები (მაგალითად, ტრადიციული ამერიკული ან ქართული კულტურა), საზოგადოებაში არსებული ქვეჯგუფები (მაგალითად, აფრიკელი ამერიკელები, ლგბტ თემი ან იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში), თუ ისეთი ლოკალური კონტექსტი, როგორცაა ოჯახი (McLean, 2015).

მაკლინი და საიედი (2016), ითვალისწინებენ რა თავიანთ მოდელში ამ სხვადასხვა დონესა და მათ პოტენციურ ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მოლაპარაკებისა და ინტერნალიზაციის პროცესებს, მასტერნარატივის სამ ტიპს აღწერენ. ესენია: (ა) ბიოგრაფიაზე ორიენტირებული ანუ ბიოგრაფიული; (ბ) სტრუქტურაზე ორიენტირებული ანუ მიმდევრობები და (გ) კონკრეტულ ეპიზოდებზე ან მოვლენებზე ფოკუსირებული ანუ ეპიზოდური.

7.2.1. ბიოგრაფიული მასტერნარატივი – ცხოვრების გზა

სავარაუდოდ, ბიოგრაფია იმ ტიპის მასტერნარატივია, რომელიც ყველაზე კარგად თანხმდება იდენტობის განვითარებას და გვეუბნება, როგორ უნდა განვითარდეს ცხოვრება. რუბინმა და მისმა კოლეგებმა (Rubin & Bernstein, 2003) შექმნეს ტერმინი „ცხოვრების კულტურული სკრიპტი“, ხოლო ჰაბერმასმა (Habermas, 2007; Habermas & Bluck, 2000; Habermas & Reese, 2015) შემოგვთავაზა კონსტრუქტი „ბიოგრაფიის კულტურული კონფეცფია.“ ძირითადი იდეა ისაა, რომ არსებობს გავრცელებული მოვლენები, რომლებიც გარკვეულ დროსა და გარკვეული თანმიმდევრობით ვითარდება თანამედროვე, ინდუსტრიალიზებულ კულტურებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაში და რომლებსაც უმრავლესობა აღიარებს და მრავალგზის ნაახალისებს. ფაქტობრივად, ამ მოვლენებს მათი საყოველთაოობა განსაზღვრავს (Rubin, Berntsen, & Hutson, 2009) და საკმარისად გამოკვეთილია, რათა ბავშვებმა საკმაოდ ადრეული ასაკიდან იცოდნენ მათ შესახებ (Habermas, 2007; Habermas & Hatiboğlu, 2014). ამ მოვლენათა რიცხვში შედის: სკოლის დამთავრება, სამსახურის შოვნა, ოჯახის შექმნა და ბავშვის

გაჩენა. ამრიგად, ბიოგრაფიული ნარატივების სარგებელი ისაა, რომ გვიკარნახებენ, როგორ განვითარდეს ჩვენი ცხოვრება; ინდივიდები იყენებენ კიდევ მათ საკუთარი ცხოვრების ისტორიის ასაგებად (ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016; Grysman, Prabhakar, Anglin, & Hudson, 2014).

ბიოგრაფიული მასტერნარატივის ნიმუშებს მრავლად ნახავთ კვლევის მონაწილეთა ცხოვრების ისტორიის ინტერვიუებში, როდესაც მათ, ინსტრუქციის მიხედვით, თავიანთი ცხოვრების თავებად დაყოფა და დასათაურება მოეთხოვებათ. ერთ-ერთი მონაწილე ასე აღწერს თავისი ცხოვრების წიგნს: „თავიდან, რა თქმა უნდა, ჯერ ბავშვობა, მერე სტუდენტობა, სტუდენტობის მერე უკვე ოჯახის შექმნა, რა თქმა უნდა, ცხოვრების გაგრძელება ოჯახთან ერთად” (ქალი, 38). ამ ამონარიდში წარმოდგენილია როგორც კულტურაში მიღებული მოვლენები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოხდეს ადამიანის ცხოვრებაში გარკვეულ ასაკამდე, ისე — მათი თანმიმდევრობა. ამასთან, კვლევის მონაწილე რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას „რა თქმა უნდა”, რაც მის მონათხრობში ბიოგრაფიული მასტერნარატივის ნათლად დანახვის საშუალებას გვაძლევს.

ცხადია, ცხოვრების გზის განსაზღვრა მჭიდროდ უკავშირდება ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც მოცემული ჯგუფის წევრები ცხოვრობენ (Cohler, 1982). მაგალითად, ბავშვთა შრომის შესახებ კანონებისა და საშუალო სავალდებულო განათლების მოთხოვნის შემოღებამდე მოზარდობა არ ითვლებოდა ცხოვრების გზის ნაწილად (Arnett, 2006). ფორმირებადი მოზრდილობა (დაახლოებით, 18-დან 25-27 წლამდე) სრულიად დამოკიდებულია იმ სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებზე, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში მიმდინარეობს (Arnett, 2000). არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა კულტურაში მეტ-ნაკლებად იცვლება მოსალოდნელი ცხოვრებისეული მოვლენების თემები. მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახური ჩვეული მოვლენაა თურქების ბიოგრაფიაში (Erdoğan, et. al., 2008), დანიელები ასეთ მოვლენად „ხანგრძლივ მოგზაურობას” ასახელებენ (Rubin & Bernsten, et. al., 2009), ისრაელში — სავალდებულო სამხედრო სამსახური და ამ სამსახურის დასრულების შემდეგ უცხო ქვეყანაში დამოუკიდებლად მოგზაურობა,⁶⁷ ხოლო ქართველებთან ასეთ მოვლენად, ჯარში სამსახურის გარდა, ნათლობა დასახელდა (იხ. **ხსრილი N 7.1**; ასევე, ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016). ასევე, ფორმირებადი მოზრდილობა, როდესაც ინდივიდი აღარ არის მოზარდი, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთარი იდენტობის აგებისა და სოციალურ სივრცეში ადგილის ძიების პროცესშია, ზოგ კულტურაში ცხოვრების უფრო გამოკვეთილი საფეხური შეიძლება იყოს, ვიდრე სხვებში (Arnett, 2011; Syed & Mitchell, 2013; Skhirtladze, et. al., 2015).

⁶⁷ მაია ბენიშ-ვეისმანი, პირადი კომუნიკაცია, აგვისტო, 2018.

ხსრილი N 7.1. ქართული ბიოგრაფიული მასტერნარატივის ანუ კულტურული სკრიპტის შემადგენელი მოვლენები

მოვლენა	სისშირე			ასაკი		მნიშვნელოვნება		ემოცია	
	N	M	SD	M	SD	M	SD	M	SD
ქორწინება	220	78.93	16.37	22.48	3.89	6.37	0.86	2.41	0.93
სკოლის დაწყება	143	95.03	10.78	6.00	1.01	6.42	0.73	2.34	0.89
შვილის შექმნა	130	77.05	17.86	23.82	5.24	6.71	0.59	2.75	0.69
სამსახურის დაწყება	129	63.07	23.82	22.76	3.93	6.52	0.76	2.45	1.17
უნივერსიტეტში ჩაბარება	122	71.89	17.69	18.04	0.82	6.28	0.90	2.36	0.89
სკოლის დამთავრება	74	84.42	18.97	17.47	1.45	6.3	0.95	2.45	0.62
ბალში შესვლა	63	88.3	14.26	3.30	1.95	5.86	1.19	2.05	0.98
დაბადება (საკუთარი)	61	97.77	6.70	0.07	0.51	6.62	0.8	2.49	0.94
პირველი მეგობარი	45	85.2	19.09	7.67	5.23	6.58	1.01	2.42	1.31
სკოლაში სიარული	41	91.59	15.17	6.68	2.72	6.51	0.68	2.21	1.28
სიკვდილი (საკუთარი)	38	89.71	25.68	72.74	15.40	6.11	1.54	-0.56	2.02
განათლების მიღება (სკოლა და უნივერსიტეტი)	36	80.97	19.59	9.22	9.94	6.47	0.85	1.97	1.69
უნივერსიტეტის წლები	35	64.29	18.76	18.66	2.42	5.91	1.22	2.23	0.84
სიბერე	34	74.91	28.56	63.29	10.39	6.5	0.79	1.09	2.36
შვილიშვილის შექმნა	33	71.64	17.44	50.12	7.29	6.52	0.76	2.82	0.88
პირველი სიყვარული	32	89.19	18.2	11.53	3.67	6.16	1.08	2.41	0.76
წარმატება კარიერაში	29	45.69	17.84	26.76	6.13	6.59	0.50	2.66	0.48
ნათლობა	29	89.62	12.48	4.14	6.53	6.59	0.91	2.62	0.73
ახლობლის გარდაცვალება	27	93.89	14.72	27.30	21.03	6.48	0.75	-1.31	2.26
უნივერსიტეტის დამთავრება	25	69.8	17.99	21.88	1.81	6.52	0.96	2.5	1.25
შვილების გაზრდა	22	77.68	15.19	29.95	12.70	6.5	0.86	2.68	0.48
საზღვარგარეთ მოგზაურობა	22	40.45	20.05	26.14	12.51	5.77	1.38	2.27	1.12
ლაპარაკის დაწყება	21	98.9	3.16	2.52	5.41	6.71	0.46	2.48	0.81
ოჯახზე ზრუნვა	21	70.24	21.88	24.57	8.69	6.57	0.81	2.55	0.76
სიარულის დაწყება	20	98.45	3.13	1.20	0.52	6.5	0.95	2.5	0.83
პროფესიის არჩევა	18	80.67	18.56	16.06	4.26	6.61	0.69	2.33	0.84
პირველი იმედგაცრუება	17	82.24	18.19	26.35	15.38	5.88	1.11	-1.53	2.00
გაზრდა (საკუთარი)	15	84.13	13.73	3.67	5.22	6.67	0.49	2.67	0.49
პენსიაზე გასვლა	15	90.87	12.84	63.33	2.44	5.53	2.03	1.07	1.34
საზოგადოებაში თავის დამკვიდრება	12	67.67	23.31	20.42	9.53	6.5	0.67	2.17	0.94
მშობლის გარდაცვალება	12	88.58	15.99	44.25	10.02	6.67	0.49	-2.42	1.44
პირველი სექსი	11	90.64	14.33	14.27	1.35	6.27	0.91	2.00	1.16

კულტურებს ბევრი საერთოც შეიძლება ჰქონდეთ. მაგალითად, ქორწინება ან რომანტიკული ურთიერთობები და ბავშვის აღზრდა ყველა შესწავლილ კულტურაში არსებული ნარატივის ნაწილია, თუმცა მათი თანმიმდევრობა კულტურულად სპეციფიკური შეიძლება იყოს, კერძოდ, საქართველოსა და აშშ-ში, როგორც ნესი, ჯერ ქორწინებიან ადამიანები და შემდეგ აჩენენ ბავშვს (ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016), ხოლო შვედეთში თანაცხოვრება და ბავშვის აღზრდა ხშირად წინ უსწრებს ქორწინებას (Wängqvist, Carlsson, van der Lee, & Frisé, 2016).

მოლოდინი იმისა, თუ რა უნდა მოხდეს ცხოვრებაში, შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, თუმცა ეს მოლოდინი საკმაოდ ურჩია და შედარებით ძნელია მისი თავიდან მოშორება ანუ ის რიგიდული და სავალდებულო ხასიათისაა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მოლოდინისგან გადახვევის შემთხვევაში (იხ. Habermas & Köber, 2015). ასეთ „კურსიდან გადახვევას“ ადამიანები მაშინაც კი განიცდიან, როდესაც ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, როგორც, მაგალითად, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შემთხვევაში (იხ. ზემოთ, ქვეთაჟი 3.6).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდუალურ დონეზე ასეთი გადახვევა, კურსიდან გადახრა გამოწვევაა, რომელიც სტრესის სახით განიცდება, როდესაც ინდივიდუალურ ცხოვრებაში დროულად არ ხდება მოცემულ ასაკში კულტურაში მოსალოდნელი ნორმატიული გარდამავალი მოვლენები, მაგალითად, ქორწინება და ბავშვის გაჩენა. როგორც კვლევა (ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016) გვიჩვენებს, ჩვენს კულტურაში, საშუალოდ, 21-22 წლის ასაკის ქალებისგან მოელიან ოჯახის შექმნას და შვილის შექმნას.

კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ თავისი ცხოვრების გარდამტეხი მომენტის შესახებ თხრობა ასე დაიწყო: „უკვე 28 წლის ვიყავი და მთელი ჩემი განყოფილების თანამშრომლები იმაზე იყვნენ გადასულები, რომ ჩემთვის შესაფერისი საქმრო მოეძებნათ. თვლიდნენ, რომ უკვე ვიგვიანებდი გათხოვებას“ (50 წლის ქალბატონი). კიდევ ერთი მაგალითი: „17 წლისა უკვე გათხოვილი ვიყავი, შვილი მყავდა და მეორეზე ვიყავი ორსულად. ექიმი გაკვირვებული დარჩა, ეს რომ ვუთხარი. მას გაუთხოვარი სტუდენტი გოგო ვეგონე“ (37 წლის ქალბატონი). ორივე შემთხვევაში ქართულ კულტურაში მიღებული, აუცილებლად მოსახდენ მოვლენას (ოჯახის შექმნას) აღწერენ კვლევის მონაწილეები: პირველ შემთხვევაში ქალბატონს „უგვიანდებოდა“ გათხოვება, მეორემ კი მოსალოდნელ და მისაღებ დროზე გაცილებით ადრე იქორწინა.

37 წლის ქალბატონი ზემოთ მოტანილი ამონარიდით ცხოვრების გარდამტეხი მოვლენის შესახებ იწყებს თხრობას, რომელიც მეორე შვილის გაჩენის გადწყვეტილებას შეეხება. ის, საბოლოოდ, ასე ასაბუთებს მეორე შვილის გაჩენას:

„ვიფიქრე, მაინც ხომ უნდა გამეჩინა მეორე ბავშვი და ბარემ გავაჩენ-მეთქი.“ ქალბატონი თავადვე ვერ აცნობიერებს, რამდენად იმპლიციტურად მოიაზრებს მისი ეს ფრაზა და გადანყვეტილება ქართულ კულტურაში მიღებულ ბიოგრაფიულ მასტერნარატივს, და რამდენად უკრიტიკოდ („მაინც ხომ უნდა..“) ემორჩილება მას.⁶⁸

გარდა იმისა, რომ მოსალოდნელი მოვლენების უდროო გამოჩენა ითვლება მასტერნარატივისგან გადახვევად ინდივიდის ცხოვრებაში, კულტურა ასეთივე სტატუსს ანიჭებს გარკვეული ტიპის მოვლენებს. მაკლინი და საიედი (2016) თვლიან, რომ ასეთი მოვლენების წარმოჩენა მასტერნარატივის შესწავლის ერთ-ერთი გზაა. როდესაც საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული გზისგან გადახვევის შესახებ ვეკითხებოდით, ერთ-ერთმა მონაწილემ სავსებით დაუფიქრებლად ძალიან მოკლედ და სხარტად გვიპასუხა:

20 წლით უფროს კაცს გავყევი ცოლად, ეხლა ამაზე მეტი რა შეიძლება ყოფილიყო. აბსოლუტური შოკი იყო მთელი საზოგადოებისთვის. არა მარტო იმათთვის, ვინც მიცნობდა, გვიცნობდა, არამედ იმათთვისაც, ვინც არ გვიცნობდა. იყო ეს, რა თქმა უნდა, ნორმების დარღვევა (ქალი, 50).

კვლევები აჩვენებს, რომ ცხოვრების კულტურული სკრიპტის ღერძს დაახლოებით 30 წლის ასაკამდე პერიოდში მომხდარი დადებითი მოვლენები ქმნიან, ცხოვრების განმავლობაში გადანაწილებული უარყოფითი მოვლენები კი (მაგალითად, განქორწინება, ავადმყოფობა, სამსახურის დაკარგვა) მისგან გადახრად განიხილება (სურათი N 7.2) (მაგალითად, იხ. Grysmen et al., 2015; Habermas & Köber, 2015; Rubin & Bernstein, 2003; ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016). კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა: „ძალიან არ მინდოდა ოჯახის დანგრევა, ბევრი ვეცადე, ბევრი ვიბრძოლე ოჯახის შენარჩუნებისთვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაინც წავიდა“ (მამაკაცი, 52). ჰაბერმასი (2007) აღნიშნავს, რომ ცხოვრების ისტორიაში შესული პირადი მოგონებების დიდი ნაწილი არ არის ბიოგრაფიის კულტურული კონცეფციის ნაწილი, რომელშიც ხაზგასმულია განსხვავება ცხოვრების ისტორიასა და ამ მოლოდინს შორის. ცხოვრების ისტორია პერსონალური იდენტობის კონსტრუქციაა, მასტერნარატივი კი ის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ეს იდენტობა კონსტრუირდება. სწორედ ამ ჩარჩოსთან უნდა შეათანხმოს ინდივიდმა ნებისმიერი გადახვევა და, საბოლოოდ, საკუთარი იდენტობის ინტერნალიზირებულ ნაწილად აქციოს.

⁶⁸ ქართველებს გვაქვს გამონათქვამი: „ერთი შვილი – არა შვილი, ორი შვილი – ვითომ შვილი, სამი შვილი – მართლა შვილი“, რომელიც ძალიან კარგად ასახავს ტრადიციული ბიოგრაფიული მასტერნარატივის ერთ-ერთ ასპექტს, კერძოდ, კულტურის/საზოგადოების მიერ ოჯახში შვილების მოსაწონი, მისაღები და სასურველი რაოდენობის შესახებ.

7.2.1.1. როგორ მივაკვლიეთ ქართულ ბიოგრაფიულ მასტერნარატივს

სუთი წლის წინ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებელ ნაშრომში გიორგი ჭუმბურიძესთან ერთად ქართველების ცხოვრების კულტურული სკრიპტის მოძიების ამბიციური მიზანი დავისახეთ. იმ წელს ფულბრაიტის კვლევითი გრანტით აშშ-ში, ქვეთ მაკლინთან სამუშაოდ გავემგზავრე. ამიტომ ექვსი თვის განმავლობაში თბილისი-ბელინგემი⁶⁹ ონლაინრეჟიმში დაიგეგმა, განხორციელდა და დაინერა კვლევა (ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016), რომელმაც ერთი ნაბიჯით დაანინაურა ჩემი ამბიციური კვლევითი გეგმა და საქართველო ცხოვრების კულტურული სკრიპტის კროსკულტურული კვლევის კონტექსტში გადაიყვანა.

გადავწყვიტეთ, ერთი გასროლით ორი კი არა, სამი კურდღელი მოგვეკლა და სამი კვლევის (Berntsen & Rubin, 2004; Rubin, Berntsen & Hutson, 2009; Janssen, Uemiyama, & Naka, 2014) ქართულ კონტექსტში რეპლიკაცია დავისახეთ მიზნად.⁷⁰ შესაბამისად, ავიღეთ კულტურული სკრიპტის, პირადი და სქესისა და ასაკის მიხედვით მოვლენების შეფასების მეთოდები და პროცედურა, რაც ჩვენი მონაცემების სხვა (ამერიკულ, გერმანულ, დანიურ, თურქულ, იაპონურ და სხვ.) კულტურებში მიღებულ შედეგებთან შედარების საშუალებას მოგვცემდა.⁷¹

კვლევაში სულ 270-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა (ხსრილი N 7.2) თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში. მათ მიერ დასახელებული 3780 მოვლენა კოდირების შემდეგ უნიკალური კოდის მქონე 378 მოვლენამდე დავიყვანეთ ($.83 < k < .89$).

ცხოვრების ქართული კულტურული სკრიპტი 32 მოვლენისაგან შედგება (იხ. ხსრილი N 7.1). ეს ის მოვლენებია, რომლებიც კვლევის მონაწილეთა 4%-მა მაინც დაასახელა.⁷² ამ მოვლენების უმეტესობა (28) დადებითი შინაარსისაა, და-

⁶⁹ ვაშინგტონის შტატი, აშშ.

⁷⁰ ამ კვლევის დასრულებიდან თითქმის ხუთი წელი გავიდა, რაც სრულიად საკმარისი დროა შედეგების ვალიდაციის მიზნით დაგეგმილი განმეორებითი კვლევისათვის. ამჟამად პრაქტიკულად დასრულებულია სავსე სამუშაოები.


⁷¹ კვლევის მეთოდოლოგიის, პროცედურის, ინსტრუმენტებისა და მათი ადაპტაციის შესახებ დანვრილებით იხ. ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016.

⁷² სკრიპტში შესატანი მოვლენების შერჩევის სწორედ ამ ეს კრიტერიუმი გამოიყენეს ბერნტსენმა და რუბინმა (2004) ორიგინალურ კვლევაში და სხვადასხვა კულტურაში განხორციელებულ ყველა რეპლიკაციაში (მაგალითად, იხ. Rubin et al. 2009; Ottsen & Berntsen, 2013; Janssen et al. 2014).

ნარჩენი – უარყოფითი. დადებითი მოვლენების უმეტესობას კვლევის მონაწილეები 15-30 წლის ასაკში მოელიან, უარყოფითი მოვლენები კი მთელ ცხოვრებაზე თანაბრადაა განაწილებული (სურათი N 7.2). ამასთან, პირველ უარყოფით მოვლენას – საკუთარ სიკვდილს მეთერთმეტე ადგილზე ვხვდებით. ქართულ სკრიპტში კიდევ ორი სიკვდილია, რაც, ასევე, უარყოფითადაა შეფასებული. ესენია მშობლების და ახლობლის გარდაცვალება. აღსანიშნავია, რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (Berntsen & Rubin, 2004; Rubin et al. 2009, Erdogan et al. 2008, Janssen et al. 2014), ქართულ სკრიპტში ვერ მოხვდა მეუღლის გარდაცვალება, რაც სულ სამმა რესპონდენტმა დაასახელა. მეოთხე უარყოფითი მოვლენა, რომელიც ქართველებმა დაასახელეს, პირველი იმედგაცრუებაა, რომელიც დანიურ სკრიპტშიც გვხვდება.

ხსრილი N 7.2. კვლევის მონაწილეები ასაკისა და სქესის მიხედვით

მონაწილეები	სულ	ქალი (N)	ასაკი (M)	SD	კაცი (N)	ასაკი (M)	SD
I ჯგუფი: სტუდენტები (18-25 წელი)	150	75	19.96	3.07	75	20.52	2.14
• თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20	10	19.90	1.58	10	21.20	1.61
• თავისუფალი უნივერსიტეტი	20	10	18.4	0.49	10	18.4	0.49
• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	20	10	19.3	1.42	10	19.9	1.65
• გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	20	10	22	1.62	10	20.9	1.93
• თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი	10	5	21	1.17	5	21.4	1.51
• თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	20.6	1.86	10	21	2.10
• ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	19.4	0.49	10	19.8	1.40
• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	21.6	2.01	10	22	1.85
II ჯგუფი (40-45 წელი)	60	30	42.57	2.14	30	43.23	1.88
III ჯგუფი (60-65 წელი)	60	30	62.2	1.87	30	62.33	1.78



მოვლენების ასაკობრივი დაჯგუფებული

სურათი N 7.2. დადებითი და უარყოფითი მოვლენების განაწილება ასაკის მიხედვით ცხოვრების ქართულ კულტურულ სკრიპტში

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, (ა) ქართულ კულტურულ სკრიპტში დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ერთი კონკრეტული მოვლენა. ესენია სკოლის პერიოდი, უნივერსიტეტის წლები, ოჯახზე ზრუნვა, გაზრდა (საკუთარი) და სიბერე. (ბ) ჩვენთან საკმაოდ ხშირად გვხვდება მოვლენების დასასრული, მაგალითად, სკოლის დამთავრება, უნივერსიტეტის დამთავრება. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა იაპონურ (Janssen et al. 2014) და ყატარის (Ottsen & Berntsen, 2013), მაგრამ არა – დანიურ (Berntsen & Rubin, 2004), ამერიკულ (Rubin et al. 2009) და თურქულ (Erdogan et al. 2008) სკრიპტებში.

კვლევის მონაწილე სამმა ასაკობრივმა ჯგუფმა განსხვავებულად შეაფასა კულტურული სკრიპტის რამდენიმე მოვლენა. სტუდენტებმა ყველაზე ხშირად ქორწინება, სკოლაში წასვლა და უნივერსიტეტში ჩაბარება დაასახელეს, მეორე და მესამე ჯგუფმა კი – ქორწინება, შვილის შექმნა და სამსახურის დაწყება, რაც

სრულიად მოსალოდნელი იყო, ასაკიდან გამომდინარე: ეს პირდაპირ უკავშირდება მათ გამოცდილებას. პირველი იმედგაცრუების შემთხვევაში გამოჩნდა, რომ მესამე ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ნაკლებად მოსალოდნელად მიიჩნევენ მას, ვიდრე პირველი ჯგუფისა. გარდა ამისა, ქორწინებასა და პირველი შვილის გაჩენას ქალები უფრო ახალგაზრდა ასაკში მოელიან და გეგმავენ, ვიდრე – მამაკაცები.

რამდენიმე ქვეყნის ცხოვრების კულტურულ სკრიპტთან შედარების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ცხოვრების ქართულ კულტურულ სკრიპტში გვაქვს 11 ისეთი მოვლენა, რომლებიც სხვა ხუთი ქვეყნის ჩამონათვალშიც გვხვდება. ქართული სკრიპტი არ არის გამონაკლისი ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლენების (სკოლაში შესვლა, ქორწინება და შვილის შექმნა) მიხედვითაც (Berntsen & Rubin, 2004; Erdogan et al. 2008; Rubin et al, 2009; Janssen et al. 20014).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველების მიერ დასახელებული მოვლენების რაოდენობა საშუალოდ თანხვდება გერმანელებისა (Habermas, 2007) და იაპონელების (Janssen et al. 2014) მიერ დასახელებული მოვლენების ოდენობას, განსხვავებულია შინაარსობრივი თვალსაზრისით (სკოლაში სიარული, უნივერსიტეტის წლები).

ქართული სკრიპტის ერთ-ერთი მკაფიო განმასხვავებელი თავისებურება სხვა ქვეყნებისაგან ქორწინების საშუალო ასაკია. თუ სხვა ქვეყნებში ქორწინების საშუალო ასაკი 26-30 წლებს შორის მერყეობს (Berntsen & Rubin, 2004; Erdogan et al. 2008; Rubin et al, 2009; Janssen et al. 2014), ჩვენთან საშუალოდ 23 წლის ადამიანისგან უკვე მოელიან დაოჯახებას.

7.2.2. სტრუქტურული მასტერნარატივები (მიმდევრობები)

სტრუქტურული მასტერნარატივები იმაზე ფოკუსირდება, თუ როგორ უნდა დალაგდეს, აიგოს სხვადასხვა ეპიზოდური შინაარსი ან ისტორია. ის პერსონალური ნარატივის ასაგებ ფორმას გვთავაზობს, შესაბამისად, სტრუქტურული მასტერნარატივი პერსონალური ისტორიის შინაარსს კი არ უკარნახებს ადამიანს, არამედ იმას, თუ როგორ უნდა განვითარდეს კონკრეტული ისტორია. მაგალითად, მაკადამსი (2013), ამერიკული ეროვნული იდენტობის ანალიზისას ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ ისტორიებს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე მასტერნარატივის ქრილში განიხილავს და მაკომპენსირებელ მასტერნარატივს ამ კულტურისთვის ყველაზე სპეციფიკურ ნარატივად მიიჩნევს, რასაც ამერიკის მთელი ისტორიის განმავლობაში შეიძლება გავადევნოთ თვალი (Hammack, 2011; McAdams, 2013). ეს არის უარყოფითიდან დადებითისკენ, ტრაგედიიდან ტრიუმფისკენ მოძრაობის ამბავი. მაკადამსი (2013) თვლის, რომ მაკო-

მპენსირებელი ნარატივის რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს, როგორებიცაა მონანიების, აღმავალი მოძრაობის, გათავისუფლებისა და გამოჯანმრთელების ნარატივები (ასევე, იხ. Khechuashvili, 2015; 2016d; Benish-Weisman, 2009; Dunlop & Tracy, 2013). მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ყველა ნარატივის სტრუქტურა მაკომპენსირებელია. ეს არის ყალიბი, ჩარჩო იმისა, თუ როგორ უნდა მოყვეს ადამიანი ამბავს, და ეს ჩარჩო მრავალგვარი შინაარსით შეიძლება შეივსოს (მაგალითად, ავადმყოფობა, სამსახურის დაკარგვა, გარდაცვალება, გაქორწინება, ან და იძულებით ადგილმონაცვლეობა საომარი მოქმედებების შემდეგ).

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მნიშვნელოვნებას კულტურა განსაზღვრავს (McAdams, 2006; 2015; Hammack, 2008). ის არ არის უნივერსალური ყველა კულტურისთვის (მაგალითად, იხ. Arnett & Jensen, 2015 დანიელი ფორმირებადი მოზრდილების ცხოვრებაში „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის“ კონფეციფიის შესახებ). თითოეულ კულტურას საკუთარი სტრუქტურული მასტერნარატივი აქვს, რომელიც ამ კულტურის რწმენებსა და მიზნებს საზრისსა და სარგებლიანობას ანიჭებს. შესაბამისად, ამერიკულისგან განსხვავებული, სხვა კულტურაში ალტერნატიული სტრუქტურა, მაგალითად, ტრაგედია ან კიდევ რაიმე სხვა, შეიძლება მეტად მისაღები იყოს.⁷³ ამერიკულისგან დიამეტრალურად განსხვავდება, მაგალითად, პალესტინელთა მასტერნარატივი (Hammack, 2010), რომელიც დანაკარგის, ეგზისტენციალური დაუცველობისა და წინააღმდეგობის თემებით არის გაჯერებული. რაც შეეხება ქართულ რეალობას, თანამედროვე საქართველოში საკმაოდ მძლავრია ტრადიციული კულტურული ნარატივი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ლაკონიურად აღინერება ილიასეული ტრიადის „ენა, მამული, საწრმუნობა“ სახით, თუმცა კარგად იკვეთება ალტერნატიული თუ მოდერნისტული ნარატივის კონტურებიც, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, უფრო კოსმოპოლიტურ ხასიათს ატარებს და უფრო უახლოვდება ამერიკულ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე სტრუქტურას (Khechuashvili, 2015). ეს უკანასკნელი, მეტწილად, იმ ადამიანების ცხოვრების ისტორიებში ჩანს,

⁷³ როდესაც სამი ოთხი წინ ქეით მაკლინმა სტატიის მონახაზი მაჩვენა, რომელშიც მასტერნარატივის აქ განხილულ მოდელს აყალიბებდა და სტატიის გარჩევის პროცესში ნარატივის კულტურაზე ბმის შესახებ ვსაუბრობდით, ქეითს ცოტა ხნის წინ თავს გადახდენილი ამბავი გაახსენდა. მან მიაშობო, რომ მეუღლესთან ერთად კინოთეატრში „ანა კარენინას“ სანახავად წავიდა, რაღაც მომენტში ფილმის ჩვენება შეწყდა და კინოთეატრის თანამშრომელმა მაყურებელს დასასრულის ორი ვერსიიდან ერთის არჩევა შესთავაზა: ერთი ვარიანტი ორიგინალური ნაწარმოების დასასრული იყო (ანა კარენინა მატარებელს უვარდება და თავს იკლავს), მეორე კი – რუსული რომანის ამერიკული ვერსია ბედნიერი დასასრულით (ქორწილით, რომელშიც არავინ კვდება). მაყურებლებმა, ცხადია, ეს უკანასკნელი ვერსია არჩიეს (ქეით მაკლინი, პირადი კომუნიკაცია, აპრილი, 2016. ასევე, იხ. McLean & Syed, 2016).

რომლებიც გასული საუკუნის 90-იან და/ან შემდგომ წლებში ჩამოყალიბდნენ მოზრდილებად. მათ ნარატივებში მეტია უარყოფითიდან დადებითისკენ მოძრაობის, უარყოფითიდან დადებითის გამოტანის შესახებ ამბები (იხ. სუმბაძე, 2011, თაობიდან თაობაში ღირებულებების ცვლის შესახებ).

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალურ ცხოვრებაში ერთზე მეტი სახეობის მასტერნარატივის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, ვთქვათ, ბიოგრაფიულია და სტრუქტურულია. სხვა სიტყვებით, ინდივიდის მიერ აგებულ ცხოვრების ისტორიაში შეგვიძლია თვალი გავადევნოთ როგორც კულტურის მიერ ნაკარნახევი თანმიმდევრობით განვითარებულ მოვლენებს (ბიოგრაფიული), ისე – ნარატივის სტრუქტურას.

ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ მარისა და ნინოს ისტორიები მესამე თავიდან (იხ. **ქვეთავი 3.4.1.3**, ვრცელი ვერსია იხ. Khechuashvili, 2015). როგორც ამ ორი ქალის ისტორიიდან ჩანს, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულად იხსენებენ ბავშვობის წლებს და, ზოგადად, წარსულს. მარის საკუთარი ბავშვობა გაუიდეალებია და ამბობს, რომ ბავშვობაში „სამყაროს ცენტრი იყო“. ნინო გაცილებით ცოტას საუბრობს ამ წლებზე და ამბობს, რომ ბავშვობაშიც კი მუდამ დიდად ყოფნა სურდა და ცდილობდა, შესაბამისად მოქცეული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარი თავისი ისტორიების უმრავლესობას გადაფარვის ანუ კონტამინაციის თანმიმდევრობის მიხედვით ალაგებს: მის ცხოვრებაში რაღაც კარგს ყოველთვის ცვლის რაღაც ცუდი (საყვარელ ადამიანს შეხვდა, მაგრამ მან ბევრი პრობლემა შემოიტანა მის ცხოვრებაში; სრულიად ბედნიერი და იდეალური ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ეს ერთ ნამში გაქრა, როცა მისი ორი მეგობარი თბილისის ზღვაში დაიხრჩო). რაც შეეხება ნინოს, ის სრულიად საპირისპიროდ აგებს თავის ნარატივს: ცუდ მოვლენებს ყოველთვის კარგი ამბები ცვლის; როგორი მძიმე და ცუდიც უნდა იყოს მიმდინარე ვითარება, მას აუცილებლად მოსდევს რაღაც კარგი (ქმარს გაშორდა, მაგრამ ორი მშვენიერი შვილი ჰყავს; ოჯახი დაეწვრა, მაგრამ წარმატებული ექიმი გახდა).

ამ ორი ქალის ცხოვრების ისტორიაში კარგად შეგვიძლია დავინახოთ როგორც ბიოგრაფიული, ისე სტრუქტურული მასტერნარატივი. უფრო კონკრეტულად, მათში გამოკვეთილია:

(ა) ქართულ კულტურაში მიღებული, აღიარებული და მონონებული ცხოვრების გზა: სწავლა, ოჯახი, ბავშვები, სამსახური, და ყველაფერი ეს სწორედ ამ თანმიმდევრობით (ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016). მიუხედავად მრავალფეროვანი და გამოცდილებებით მდიდარი ცხოვრებისა, მარი, საბოლოოდ, ამბობს, რომ, უშვილობის გამო, მის ცხოვრებას აზრი არ აქვს. აქ ნათლად ჩანს მინიშნება დომინანტურ ბიოგრაფიულ (გენდერულ, და არა მარტო გენდერულ) მასტერნარატივზე: ქალმა აუცილებლად უნდა გააჩინოს ერთი ბავშვი მაინც, რათა მისი

ცხოვრება შემდგარად ჩაითვალოს. ცხადია, მარი ამის თქმისას არ ფიქრობდა იმაზე, რომ მისი ცხოვრება რაღაც ზოგად, პროტოტიპულ სცენარს უნდა მიყვებოდეს და, რადგან არ მიყვება რაღაც ასპექტით, იმიტომ არის უაზრო; სწორედ აქ ჩანს მასტერნარატივის არაცნობიერ დონეზე მოქმედება და უჩინარი ხასიათი. კიდევ ერთი, რაც შეიძლება აქ ითქვას: როგორც მაკლინი და საიედი მიუთითებენ (იხ. ზემოთ), როდესაც ინდივიდუალური ცხოვრება ამა თუ იმ თვალსაზრისით გადაიხრება მასტერნარატივისგან და ინდივიდი მაინც ცდილობს მის ჩარჩოში საკუთარი ცხოვრების მოთავსებას, ამას დისკომფორტისა და არაადეკვატურობის განცდები ახლავს თან. შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, სწორედ ამას აკეთებს მარი, როდესაც, უშვილობის გამო, საკუთარი ცხოვრების სიცარიელესა და უაზრობაზე საუბრობს. ის ცდილობს მიღებულ ბიოგრაფიულ ნარატივთან საკუთარი ცხოვრების მორგებას, ვერ ახერხებს ამას და არაადეკვატურობის („უაზრო, ცარიელი ცხოვრება“) და დისკომფორტის განცდა აქვს.

რაც შეეხება ნინოს, მისი ცხოვრების ისტორიაც არ ერგება ტრადიციულ ბიოგრაფიულ მასტერნარატივს, თუმცა მას არ გააჩნია დისკომფორტის იმგვარი განცდა, რომელსაც მარისთან ვხვდებით, რადგან ის განსხვავებულად წარმართავს პირადი ცხოვრების ისტორიის კონსტრუირებისას მასტერნარატივთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების პროცესს. როდესაც მან 16 წლის ასაკში თავის რჩეულთან ყოფნის გადანყვეტილება მიიღო, ერთადერთი ვარიანტი მისთვის გათხოვება აღმოჩნდა. მან ყველა ღონე იხმარა, რათა მშობლები დაერწმუნებინა ამ გადანყვეტილების სისწორეში და, ქართულ ტრადიციულ კულტურაში არსებული ყველა წესის მიხედვით, შექმნა ოჯახი. მართალია, მან დაარღვია ტრადიციული ბიოგრაფიული მასტერნარატივის მიმდევრობა (სკოლის დამთავრებამდე გათხოვდა), მაგრამ ამით შეასრულა ამავე კულტურის (ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის) მიერ მყარად დადგენილი ნორმა, რომ ქალი ჯერ უნდა გათხოვილიყო და შემდეგ დაეწყო სქესობრივი ცხოვრება (წულაძე, 2003; Surmanidze & Tsuladze, 2008). ასეთი გადანყვეტილებით ნინო, ფაქტობრივად, დაემორჩილა კულტურის მოთხოვნებს და ორ „ბოროტებას“ შორის ნაკლები ბოროტება აირჩია: ადრეული ქორწინება ქორწინების გარეშე სექსის სანაცვლოდ. საინტერესოა, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას არ აინტერესებდა საზოგადოების აზრი და ის, თუ რას ფიქრობდნენ მისი ქცევის შესახებ სხვები, თუმცა 16 წლის ასაკში თითზე ქორწინების ბეჭდის გაკეთება სწორედაც რომ ამ საზოგადოების მიერ მოწონებული და მიღებული ქცევის განხორციელებას წარმოადგენდა.

ნინოს ცხოვრებაში კიდევ ერთი გადახვევა ბიოგრაფიული მასტერნარატივიდან განქორწინებაა. თუ მარისთან პროტოტიპული სკრიპტიდან გადახვევა (უშვილობა) დისკომფორტისა და ეგზისტენციალური კრიზისის წყაროა, ნინოსთან ის პიროვნული და პროფესიული ზრდის, განვითარებისა და წინსვლის წყაროდ

იქცა. ოჯახის დანგრევის მისეული ამბის სტრუქტურა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისაა: განქორწინება მისთვის გათავისუფლების აქტი იყო (McAdams, 2013; ხეჩუაშვილი, 2016d), რომელმაც კარიერული წინსვლისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა მისცა. ამრიგად, მიუხედავად ბიოგრაფიული მასტერნარატივიდან გადახვევებისა, წინოს ცხოვრების ისტორიაში არ დარჩა ადგილი სასონარკვეთის, სიცარიელისა და დისკომფორტისთვის. ის არ ცდილობს ბიოგრაფიული მასტერნარატივის ჩარჩოში საკუთარი ცხოვრების მოთავსებას. ამის ნაცვლად, იგი თავის ინდივიდუალურ ნარატივს ქმნის, რომელიც მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურას შეესაბამება და, ამდენად, თავისუფალია ნეგატიური განცდებისგან (მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით კონსტრუირებულ ნარატივებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, პიროვნულ ზრდას შორის მიმართების შესახებ იხ. Pal & McAdams, 2004; Adler, 2012; ხეჩუაშვილი, 2015; 2016d).

(ბ) სტრუქტურა, რომელიც იმ თაობის ტიპურ მასტერნარატივს შეესაბამება (ანუ, შესაბამისად, 80-იანებსა და 90-იანებში ფორმირებული თაობა). გასული საუკუნის 80-იან და ადრეულ წლებში ჩამოყალიბებული მოზრდილების ცხოვრების ისტორიები, მეტწილად, გადაფარვის ანუ კონტამინაციის (Khechushvili, 2015) თანმიმდევრობას გულისხმობს: სტაბილურ, შედარებით მარტივ და სტრუქტურირებულ ცხოვრებას (საბჭოთა პერიოდში) 90-იანების ქაოსური, ბნელი და ცარიელი წლები მოჰყვა. რაც შეეხება 90-იანებში ფორმირებულ თაობას (წინო და მისი თაობა), მისი პროტოტიპული, განზოგადებული ისტორია სწორედ იმ ქაოსით, სიბნელითა და სიცარიელით იწყება, რომლებშიც მოუწიათ სკოლის დამთავრება და სტუდენტობა. ეს ის წლებია, რომლებიც მოზრდილად ჩამოყალიბების პერიოდს ემთხვევა. ამ თაობის ადამიანებს ცხოვრების დაწყება გაჭირვების, განუკითხაობისა და ქაოსის პირობებში მოუწიათ, რაც ნელ-ნელა შეცვალა შედარებით სტაბილურმა ეკონომიკურმა თუ სოციალურმა პირობებმა 2000-იანებიდან.

7.2.3. ეპიზოდური მასტერნარატივები (მოვლენები)

მასტერნარატივი მხოლოდ ცხოვრების გზის მატრიცის ან ისტორიების თხრობის მისაღები სტრუქტურის სახით კი არ არის მოცემული, არამედ კონკრეტული ეპიზოდების თხრობის სახითაც. ეს არის კონკრეტული, ეპიზოდური ისტორიები წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ, რომლებსაც ხშირად და შედარებით უცვლელად ყვებიან მოცემულ ჯგუფსა თუ კულტურაში. ამერიკელებისათვის ასეთი მოვლენების ჩამონათვალს მიეკუთვნება კენედის მკვლელობა (McLean, 2015) და 2001 წლის 11 სექტემბერი (McLean & Syed, 2016), ქართველებისთვის კი (უახლესი ისტორიიდან) – 9 აპრილი, საბჭოთა კავშირის დაშლა, აფხაზეთის ომი, ვარდების რევოლუცია და 2008 წლის ომი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში სწრაფად განვითარებულმა დრამატულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების ცხოვრებაზეც იმოქმედა. ეს მოვლენები ბევრი ადამიანის პირადი ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა. როგორც კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ჰყვება:

საბჭოთა კავშირის დაშლა ძირითადი გარდამტეხი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში და იცით, ფაქტობრივად... ვმუშაობდი და კარგ ფულს ვშოულობდი, კარგად ვცხოვრობდით და... როცა ეს კუპონები შემოიღეს, ჩემი ხელფასი არააობად იქცა... და მივხვდი, რომ რაღაც კომპარში მოვხვდი, აუტანელ, გაუსაძლის რეალობაში (ქალი, 69).

ეს ამონარიდი ეპიზოდური მასტერნარატივის კარგი ილუსტრაციაა, რომელსაც ამ თაობის ადამიანები ხშირად და თითქმის ერთნაირად ყვებიან (საყოველთაოობა). ასეთივე ემოციურად დატვირთული და ეპიზოდური მასტერნარატივის წყაროა 1989 წლის 9 აპრილი.

აღსანიშნავია, რომ ეპიზოდურ მასტერნარატივშიც (ბიოგრაფიულის მსგავსად) შეგვიძლია სტრუქტურული მასტერნარატივის დანახვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის მონაწილეების ნარატივები 9 აპრილის შესახებ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ მათი პირადი გამოცდილება სრულიად უნიკალური და განუმეორებელია. მათთვის ეს დღე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ერის გაერთიანების ოფიციალურ დასაწყისს წარმოადგენს. ტრაგედიის ასეთი ინტერპრეტაცია თხრობის მაკომპენსირებელ სტრუქტურაზე მიგვითითებს: საშინელი ტრაგედია დატრიალდა (ადამიანები დაიღუპნენ, ბევრი მოინამლა, ბევრი დაშავდა), მაგრამ ამას დადებითი შედეგი მოჰყვა („ადამიანები გაერთიანდნენ და ერთად დადგნენ“, „ეროვნული თვითგამორკვევა დაიწყო“, „უკეთესი მომავლის იმედი გაჩნდა“).

როგორ ფიქრობთ, მოიძებნება საქართველოში ადამიანი, რომელიც იმ დროს მოზარდი მანც იყო და 9 აპრილის მოვლენების სხვაგვარ ინტერპრეტაციას შემოგვთავაზებს? ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, მაგრამ როდესაც სხვადასხვა ასაკის ადამიანებს მათი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური თუ ისტორიული მოვლენის შესახებ ვკითხვთ, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ პიროვნებაზე ან ცხოვრებაზე, 9 აპრილი მხოლოდ 44-55 წლის წლის მონაწილეებმა დაასახელეს. რაც შეეხება 2000-იანების თაობას (ანუ 25-35 წლის მონაწილეები), ცხადია, მათ პასუხებში საერთოდ არ იყო ეს თარიღი.

როდესაც მაკლინი და საიედი (2016) მასტერნარატივის ცვლილების შესაძლებლობაზე საუბრობენ, ისინი მოდელის წარდგენისას არაფერს ამბობენ თაო-

ბებს შორის განსხვავებებზე; თუმცა გეიიდენტობის ამერიკაში წარმოებული კვლევები ეპიზოდული მასტერნარატივის ტრანსგენერაციულ ცვლილებებზე მიუთითებს (მაგალითად, იხ. Weststrate & McLean, 2010). საქართველოში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ეპიზოდური მასტერნარატივი ნამდვილად იცვლება თაობების მიხედვით (ასევე, იხ. სუმბაძე, 2011). უფრო კონკრეტულად, 80-იანების, 90-იანებისა და 2000-იანების თაობის ადამიანები სხვადასხვა მოვლენის შესახებ საუბრობენ. 80-იანების თაობისთვის ეს 9 აპრილი და მის ირგვლივ მომხდარი მოვლენებია (ეროვნული მოძრაობის დაწყება, საბჭოთა კავშირის დაშლა, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი), 90-იანების თაობისთვის – მთლიანად 90-იანი წლები, ხოლო 2000-იანების ნარატივები, უპირატესად, ვარდების რევოლუციის ირგვლივ ვითარდება.⁷⁴

უკვე ვთქვით, რომ მასტერნარატივები სხვადასხვა დონეზე შეიძლება მოქმედებდნენ. თუ ზოგიერთი ნარატივი მთლიანი კულტურისთვის არის დამახასიათებელი, სხვები მხოლოდ გარკვეული დიდი თუ მცირე ჯგუფისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. მაგალითად, 2008 წლის ომის დროს სამაჩაბლოდან ტყვეების წვიმაში გამოქცევა მხოლოდ მათთვის არის განსაკუთრებული ემოციებით დატვირთული გამოცდილება, ვინც თავად გამოიარა ეს გზა. რამდენი ადამიანისთვის არის მნიშვნელოვანი თარიღი 1981 წლის 13 მაისი? ალბათ, დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს თარიღი ბევრს არაფერს ნიშნავს (თუ დაბადების დღე ან პიროვნულად მნიშვნელოვანი სხვა მოვლენა არ უკავშირდება ამ დღეს), არც მე მეუბნება რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ფეხბურთის მხურვალე გულშემატკივარი უფროსი თაობის ქართველებისთვის ეს განსაკუთრებული დღეა, როდესაც თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

ეპიზოდური მასტერნარატივები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საზიარო გამოცდილების შექმნაში და ამით ადასტურებენ თავიანთ *სარგებლიანობას*, რაც განამტკიცებს ჯგუფის შეჭიდულობასა და იდენტობას, კულტურული მოგონებების მსგავსად (Harris, Paterson, & Kemp, 2008; Hirst & Manier, 2008; Wertsch, 2002; see also McLean, 2015). საკმარისია, ვინმემ საჭირო ინტონაციით

⁷⁴ დღეს, როდესაც 9 აპრილის ტრაგედიიდან უკვე 30 წელიწადია გასული, 90-იანებსა და 2000-იანებში დაბადებულმა ადამიანებმა ცოტა რამ თუ იციან ამ თარიღის შესახებ. გაიხსენეთ ორიოდ წლის 9 აპრილს ჩატარებული ბლიცგამოკითხვა თბილისის ქუჩებში (იხ. ბმული <https://www.youtube.com/watch?v=F-4jIR-jBAA>), როდესაც ახალგაზრდა ადამიანებმა უბრალოდ არ იცოდნენ, რა მოხდა ამ დღეს (ჰქონდათ ისეთი ვერსიები, როგორებიცაა: აღმაშენებელმა ომი მოიგო; ქართველები დაიხოცნენ ოსეთში და აფხაზეთში, იყო აჯანყება, ომი, რევოლუცია, ზოგმა კი, უბრალოდ, არ იცის).

ახსენოს 9 აპრილი (წლის დაკონკრეტების გარეშეც კი) ან აფხაზეთი, რომ ირგვლივ მყოფთ საერთო სევდიანობის, ერთიანობის და ეროვნული სულისკვეთების განცდები დაეუფლოთ ისევე, როგორც ერთად გამოვლილი ომისა თუ მინისძვრის შესახებ ამბები კარგად გამოკვეთს ისტორიულ და გეოგრაფიულ კავშირებს. ფილ ჰამაკი (2011) დეტალურად აღწერს, როგორ შექმნეს ებრაელებმა და პალესტინელებმა სრულიად განსხვავებული მასტერნარატივები კონკრეტული ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებიც მათი ინდივიდუალური იდენტობების (და, ასევე, ორი ჯგუფის ურთიერთკონფლიქტის) შენარჩუნებას უწყობს ხელს. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც ეს კონკრეტული ეპიზოდური მასტერნარატივები ჯგუფის შეჭიდულობას განამტკიცებენ, იმდენად ზღუდავენ ინდივიდუალურ იდენტობებს იმით, რომ იდენტობებს ამ კონკრეტულ მასტერნარატივებს აბამენ, ისინი კი, თავის მხრივ, მათი ინდივიდუალური იდენტობების ინტერნალიზებულ ნაწილად იქცევა (Hammack, 2011).

ეპიზოდური მასტერნარატივები განსაკუთრებით კარგად მიუთითებენ, როგორ აყალიბებენ ძალაუფლების მქონე მასტერნარატივებს. მართალია, მაკლინისა და საიედის (2016) მიხედვით, მასტერნარატივს ასეთად უმრავლესობის მხრიდან მისი უკრიტიკოდ მიღება აქცევს, ისინი იმასაც ამბობენ, რომ ეს არ არის „უნაშთო“ თამაში. ნებისმიერ კულტურაში არსებობს ძალაუფლების მქონე ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც აქვს ამგვარი ნარატივების შექმნისა და გამყარების ძალაუფლება. ეს შეიძლება იყვნენ ისინი, ვისაც თხრობის კარგი უნარ-ჩვევები ან ავტორიტეტი (მაგალითად, მშობლები, პოლიტიკოსები) აქვთ, ანდა ისინი, ვისაც ხელი მიუწვდება მასებზე (მაგალითად, მედიაზე) (Boje, 1991; Fivush, 2010). მაგალითად, ნარატივის დამარწმუნებელი ძალა (Green & Brock, 2000) განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება იყოს ისეთი ავტორიტეტული ფიგურების შემთხვევაში, როგორებიც არიან მშობლები, რომლებიც შვილებს კულტურულად ღირებული გარკვეული სახის ისტორიების თხრობისკენ უბიძგებენ. თუმცა, მეორე მხარეზე, ნარატივის მიმღებზეც არის დამოკიდებული, როგორ მოყვება სხვისგან მიღებულ მასტერნარატივს.

ამგვარად, მაკლინი და საიედი (2016) ასკვნიან, რომ მასტერნარატივები თავის ძალას ორივე, დაღმავალი (ძალაუფლების მქონეებიდან რიგით ადამიანებამდე) და აღმავალი (რიგითი ადამიანებიდან ძალაუფლების მქონეებამდე, პასიური მხარდაჭერით) პროცესებით იღებენ, რაც კულტურის შექმნის, ცვლილებისა და შენარჩუნების დინამიკას ქმნის (Hammack, 2008).

8. წინააღმდეგობის ამბები: ალტერნატიული მასტერნარატივი და ალტერნატივის ალტერნატივები

როდესაც ახალგაზრდა გრძნობს, რომ გარემო რადიკალურად ზღუდავს და უჭრის საკუთარი თავის გამოხატვისა და სასურველი მიმართულებით განვითარების ყველანაირ გზას, იგი ისეთი ძალით შეიძლება შეენინააღმდეგოს მას, როგორსაც სასონარკვეთილი ცხოველი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად თუ მოიკრებს. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალურ ჯუნგლებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, შეუძლებელია თავი ცოცხლად იგრძნო იდენტობის შეგრძნების გარეშე (Erikson, 1968, გვ. 130).

2014 წლის შემოდგომა წყნარი ოკეანის პირას მდებარე ქალაქ ბელინგემში (ვაშინგტონი შტატი, აშშ), დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტში გავატარე ქეით მაკლინთან მჭიდრო თანამშრომლობაში. ერთ-ერთ არაფორმალურ **Coffee-shop** შეხვედრაზე ქეითმა რამდენიმე ფურცელზე ამობეჭდილი სტატიის მონახაზი მომცა და აზრის გამოთქმა მთხოვა. თან ბოდიში მომიხადა არათანმიმდევრული და ფრაგმენტული ტექსტისთვის. ამ რამდენიმე ფურცელზე მასტერნარატივის ინტეგრაციული ჩარჩოს შესახებ პირველი მოსაზრებები აღმოვაჩინე, რომელიც ორ წელიწადში ვრცელ პუბლიკაციად იქცა (იხ. **თავი 7**). ქეითის მოცემული ტექსტი რამდენჯერმე გულდასმით ნავიკითხე და ძალიან ბევრი კომენტარი დავუწერე და ჩავინიშნე. მახსოვს, ერთ-ერთი დიდი კითხვის ნიშანი ალტერნატიული მასტერნარატივის ცნებასთან დავსვი და სწორედ ამ კითხვის ნიშნის გარჩევასა და მის შესახებ კამათს დავუთმეთ შემდეგი რამდენიმე საათიანი შეხვედრა. ეს კითხვები დღესაც შენახული მაქვს: (ა) გასაგებია, რომ ალტერნატიული ნარატივი მასტერნარატივის ალტერნატივაა, თუმცა ეს ალტერნატივა ხომ შეიძლება ერთზე მეტი იყოს? (ბ) რამდენად შესაძლებელია, რომ ალტერნატიული მასტერნარატივი თავად იქცეს დომინანტურ სკრიპტად (მოცემული ჯგუფისთვის) და მისი ალტერნატიული ნარატივების შექმნა დაიწყონ ადამიანებმა? (გ) რას ვამბობთ და ვაკეთებთ მაშინ, როდესაც ადამიანები რამდენიმე მასტერნარატივიდან ერთდროულად ახერხებენ გადახვევას და რამდენიმე პარალელური ალტერნატიული სკრიპტის შექმნას? და (დ) როგორ ხდება, რომ მიუხედავად ალტერნატიული ნარატივის შექმნისა, ადამიანები მაინც ახერხებენ სოციუმში ინტეგრაციასა და საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად ყოფნას.

აღმოჩნდა, რომ უნებურად, ამ კითხვებითა და ქეითთან რამდენიმე საათიანი ცხარე კამათით, ფაქტობრივად, ჩვენს ერთ-ერთ ერთობლივ ხანგრძლივ კვლევას ჩავუყარეთ საფუძველი, რომლის ანგარიშები და შედეგებიც თანდათანობით ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული მკითხველისთვის (Khechuashvili & McLean, in prep., Khechuashvili et al., 2019; McLean et al., 2019; McLean et al., 2017; McLean et al., 2016). სწორედ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შევეცდებით ამ ქვეთავში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც წლების მანძილზე სხვადასხვა ნიშნით გამორჩეული ადამიანების მონათხრობებიდან ამოვკრიფეთ მე და ჩემმა კვლევის ასისტენტებმა.

8.1. ალტერნატიული მასტერნარატივი

ადამიანები წინააღმდეგობის განევას მაშინ ვინცებთ, როდესაც სხვების მიერ ჩვენ შესახებ მოთხრობილი ამბავი არ თანხვდება ამბავს, რომელსაც თავად ვყვებით საკუთარი თავის შესახებ; იმას, ვინც ვართ, ან ვფიქრობთ, რომ ვართ. წინააღმდეგობა განსაკუთრებით მძაფრდება, როდესაც ამ ამბებს უსასრულოდ იმეორებენ, ჩვენ კი, ერიკსონის თქმისა არ იყოს, გალიაში გამომწყვდეულ მხეცს ვემსგავსებით. ამ დროს მთელი ძალით ვცდილობთ დომინანტური ნარატივის ინტერნალიზებასა და საკუთარი გამოცდილების მასზე მორგებას. თუმცა ერთ დღესაც, როდესაც ყოველგვარი რესურსი ამოგვეწურება, მოთმინების ფიალა აგვევსება და მივხვდებით, რომ ვერანაირად ვერ ვათანხმებთ საკუთარ პირად გამოცდილებას დომინანტურ სკრიპტთან, ავინყვეთ, გავარღვევთ ტრადიციად დამკვიდრებული ამბების ჩაკეტილ წრეს და საკუთარი განსხვავებული, ჩვენთვის უნიკალური ამბის დალაგებას მივყოფთ ხელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოდან მომდინარე წინააღმდეგობის მიუხედავად, გადავუხვევთ მასტერნარატივის მაგისტრალიდან და ალტერნატიული ბილიკის გაკვალვას დავინწყებთ – საკუთარ თავზე მორგებულ ალტერნატიულ ამბავს დავწერთ.

ვინაიდან მასტერნარატივი სხვადასხვა დონეზე შეიძლება არსებობდეს, მისგან გადახვევაც ინდივიდუალურ ან რომელიმე ქვეჯგუფის დონეზე ხდება⁷⁵ (Hammack & Toolis, 2014). სწორედ ამ გადახვევას უწოდებენ ალტერნატიულ მასტერნარატივს. ეს არის ინდივიდის ან ინდივიდთა კონკრეტული ჯგუფის ამბავი, რომელსაც ისინი დომინანტური სკრიპტის საპირწონედ ქმნიან. აქედან გამომდინარე, ისინი, ვინც ვერ ერგებიან მასტერნარატივს, *სტრუქტურული მარგინალიზაციის* პოზიციაში და, შესაბამისად, ერთგვარად ჩაგრულის როლში აღმოჩნდებიან (McLean, Lilgendahl, Fordham, Alpert, Marsden, Szymanowski, & McAdams,

⁷⁵ რაც ბევრის მთქმელია მოცემული კულტურის ფარგლებში სხვადასხვა სოციალური კატეგორიის შესახებ.

2017; McLean & Syed, 2016; Fivush, 2010). აქვე ვიტყვი, რომ ჯგუფები, რომლებსაც მასტერნარატივის ვარიაციების შექმნის აუცილებლობა უდგებათ, ხშირად რაღაც ნიშნით უკვე მარგინალიზებული ჯგუფები არიან (McLean & Syed, 2016). მარგინალიზაცია შეიძლება მოიცავდეს (თუმცა არ შემოიფარგლება) ეთნიკური ან სექსუალური უმცირესობის წევრად ყოფნას, ყოფილი პატიმრის ან ემიგრანტის სტატუსით ცხოვრებას.

როდესაც მასტერნარატივს ვახსენებ, ბიოგრაფიულ მასტერნარატივს ვგულისხმობ. გავიხსენოთ, რომ ეს არის გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული კონკრეტული მოვლენებისა (მაგალითად, სკოლის დამთავრება, ქორწინება, შვილის გაჩენა) და მათი მოხდენის ოპტიმალური დროის (ჯერ ქორწინება და შემდეგ შვილის გაჩენა) ერთობლიობა, რომელსაც მოცემული კულტურის ფარგლებში მოელიან ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაში. შესაბამისად, ისინი, ვისი პერსონალური ნარატივები ჰარმონიულად მიჰყვება მასტერნარატივს, კულტურაში მისაღებ და დაფასებულ იდენტობას აგებენ. ისინი კი, ვისი პერსონალური ნარატივები არ შეესაბამება კულტურულ მოლოდინებს, მარგინალიზებულნი აღმოჩნდებიან. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში დგებიან ადამიანები გარკვეული შეზღუდვების წინაშე, თუმცა ეს შეზღუდვები და წინააღმდეგობები დევიაციების შემთხვევაში უფრო ხელშესახები და შესამჩნევია. როდესაც ინდივიდის პერსონალური ნარატივი მასტერნარატივს მიჰყვება, ის დარწმუნებულია, რომ თავად აირჩია საკუთარი ცხოვრების გზა მიუხედავად იმისა, რომ გაუცნობიერებლად იმეორებს მასტერნარატივით ნაკარნახევ მიმართულებას (Fivush, 2010). ის კი, ვისაც მასტერნარატივის უარყოფა და ალტერნატიული გზის ძიება უწევს, უფრო მეტად აცნობიერებს მის არსებობასა და გარემოდან მომდინარე სოციალურ სანქციებს და მასთან ცნობიერად დაპირისპირების პირობებში, რეფლექსიური გადამუშავების მეშვეობით, უწევს ალტერნატიული ნარატივის მოძიება ან, უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარის ფორმირება.⁷⁶ ასე მაგალითად, მისთვის ვინც არ მიჰყვება ცხოვრების ჰეტეროსექსუალურ გზას, „იატაკქვემეთიდან გამოსვლის“ ამბავი იმ ჯგუფის მიერ მოთხრობილი ალტერნატიული ნარატივის ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს, რომელსაც ეს ადამიანი მიაკუთვნებს თავს.

მაკლინისა და საიედის მიერ შემოთავაზებული მასტერნარატივის მოდელი სწორედ ამ ვითარებას ასახავს (**სურათი N 7.1**). ავტორები ამტკიცებენ, რომ სოციალური სტრუქტურები ზღუდავს იდენტობის განვითარების შესაძლებლობებსა და პერსონალურ აგენტობას. ეს შეზღუდვა ყველაზე შესამჩნევი და პრობ-

⁷⁶ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ პიროვნულ და მასტერ ნარატივებს შორის ურთიერთმოლაპარაკების პროცესის გასაგებად მასტერ ნარატივისგან დევიაციები უნდა ვიკვლიოთ.

ლემურია მარგინალიზებულ პოზიციაზე მყოფი ადამიანების შემთხვევაში. შესაბამისად, საკუთარი თავის განსაზღვრა გაცილებით დიდი და სერიოზული გამოწვევაა მათთვის, ვისი ცხოვრების ამბავი არ მიჰყვება მასტერნარატივს. როგორც კვლევა აჩვენებს (McLean, et. al., 2016), ალტერნატიული ნარატივების აგება უფრო ინტენსიურად მიმდინარე იდენტობის პროცესებთან ასოცირდება.

ასეთი მარგინალიზებული პოზიციის ერთ-ერთ მაგალითად საქართველოში ლგბტქ თემი შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ყველა დაბრკოლების ანუ ტრადიციული ჰეტეროსექსუალური მასტერნარატივისა და მისი აქტიური დამცველების მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, ცდილობს ალტერნატიული ნარატივის შექმნას იმ რეალობაში, რომელშიც უწევთ ცხოვრება. ყველა დაპირისპირება, წინააღმდეგობა და პრობლემა, რომელსაც ეს ჯგუფი აწყდება ქართული კულტურის ფარგლებში, სათითაოდ და ერთობლივად ტრადიციული და ალტერნატიული მასტერნარატივების დაპირისპირების ტერმინებით შეგვიძლია განვიხილოთ. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა ამბებში ჭარბობს სტრუქტურული უთანასწორობის გამოცდილებები და, შესაბამისად, ალტერნატიული გზის გაკვალვის მცდელობაც მეტია, ვიდრე კვლევის სხვა მონაწილეებთან.

აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული ნარატივები მხოლოდ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი სამოძრაო სივრცე კი არ არის, არამედ კულტურულ ცვლილებაშიც შეაქვთ თავიანთი წვლილი. თუ საკმარისად ბევრი ადამიანი დაიწყებს მათ გამოყენებას, ისინი, შესაძლოა, მასტერნარატივის ნაწილი გახდეს და თავად იქცეს ახალი ალტერნატიული ნარატივების წყაროდ. ამის კარგი მაგალითია სექსუალობის შესახებ ნარატივი, რომელმაც ზოგიერთ ქვეყანაში სწრაფად შეცვალა როგორც ადამიანთა დამოკიდებულებები, ისე – სამართლებრივი ჩარჩო (McLean, et. al., 2017).

როდესაც ალტერნატიულ მასტერნარატივსა და მის შესწავლაზე ვსაუბრობთ, მისი, სულ მცირე, სამი ასპექტი გვინტერესებს: (ა) *ფუნქცია* ანუ რა როლს ასრულებს ის, ერთი მხრივ, მასტერნარატივის შენარჩუნებაში და, მეორე მხრივ, თავად ინდივიდის იდენტობის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში; (ბ) *სტრუქტურა* ანუ ის, თუ როგორ ახდენს ინდივიდი ნარატივის კონსტრუირებას და ალაგებს ამბავს; (გ) *შინაარსი* ანუ ის კონკრეტული ქარგა და თემები, რის შესახებაც არის ალტერნატიული ნარატივი.

ამ მიმართულებით კვლევა ახალი დაწყებულია და ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე გამოქვეყნებული ნაშრომი არსებობს, რომელიც ქვეით მაკლინსა და მის გუნდს ეკუთვნის (იხ. Khechushvili, et. al., 2019; McLean et. al., 2019; McLean et. al., 2017; McLean et. al., 2016). ქვეითის ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების სერიამ, რომელიც ქალების და ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების

ნარატივებს ეყრდნობა, აჩვენა, რომ ალტერნატიულ ნარატივებს მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები უფრო ხშირად ყვებიან და სწორედ ეს ადამიანები არიან ისინი, ვინც, ერთი მხრივ, სტრუქტურული უთანასწორობის შესახებ მოგვითხრობენ და, მეორე მხრივ, ალტერნატიული ნარატივის კონსტრუირების პროცესში ცნობიერად იაზრებენ და ამუშავებენ მასტერნარატივს.⁷⁷ ამასთან, ალტერნატიული ნარატივის კონსტრუირების საჭიროებას მჭიდროდ უკავშირდება მეტი რეფლექსია საკუთარი თავისა და იდენტობის შესახებ.

ალტერნატიული მასტერნარატივების კვლევა 2016 წელს დავიწყე, როდესაც ფულბრაიტის კვლევითი გრანტის ფარგლებში ნიუ იორკში მცხოვრები ემიგრანტების ცხოვრების ისტორიები ჩავინერე. ემიგრანტებს თანდათანობით სხვა ჯგუფებიც დაემატა (იხ. **სხრილი N 6.1**) და დაგროვდა უამრავი მასალა, თუმცა აქ მხოლოდ სამი განსხვავებული ჯგუფის (**სხრილი N 8.1** და **სხრილი N 8.2**) გამოცდილებისა და ამბების შესახებ მოგიხრობთ.

8.2. ალტერნატივა და ალტერნატივის ალტერნატივები

როდესაც მასტერ და ალტერნატიული ნარატივების კვლევა დავიწყე, ორი ძირითადი მიზანი მქონდა: მენახა, (1) როგორ და რამდენად ახერხებენ ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული ადამიანები მასტერნარატივის საკუთარი ცხოვრების თხრობაში ინტეგრირებასა და ნარატიული იდენტობის ფორმირებას და (2) დევიაციები და მასტერ და ალტერნატიული მასტერნარატივების შექმნის გზები.

სხრილი N 8.1. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები

ჯგუფები	N	გენდერი	საშუალო ასაკი (SD), დიაპაზონი
საკონტროლო ჯგუფი	30	21 ქალი	47,6 (17), 25 – 82
ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები	16	8 ქალი	33(3), 27 – 44
არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდები	16	7 ქალი	22.8 (4.6), 17 – 34
ყოფილი პატიმრები	16	7 ქალი	40,3 (42,4), 34 – 57

⁷⁷ რაც, თავის მხრივ, მასტერ ნარატივის მდგრადობის ერთ-ერთ წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს.

8.2.1. მასტერნარატივის ინტეგრაცია პერსონალურ ნარატივში

ამ შემთხვევაში მაინტერესებდა, რამდენად იყო მასტერნარატივი ინტეგრირებული კონკრეტული ადამიანების ცხოვრების ისტორიაში ანუ ნარატიულ იდენტობაში. სხვა სიტყვებით, ვნახეთ, რამდენად მიჰყვებოდა ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული ჯგუფის წარმომადგენლების თხრობა ბიოგრაფიულ მასტერნარატივს (იხ. **თაპი 7**. ასევე, ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016). ამისათვის 1000-მდე ნარატივი შევაფასეთ იმის მიხედვით, მოთხრობილი იყო თუ არა მასში ქართულ კულტურულ სკრიპტში შესული მოვლენების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ოთხი ჯგუფი (**ხსრილი N 8.1**) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან მასტერნარატივის ინტერნალიზების მიხედვით ($\chi^2(2)=8.537, p=.014$). უფრო კონკრეტულად, რაც უფრო მარგინალიზებული იყო ჯგუფი, მით ნაკლები იყო ამ ჯგუფის წარმომადგენელთა თხრობაში ნორმატიული მოვლენები, სხვა სიტყვებით, თავიანთ ნარატიულ იდენტობაში ნაკლებად ჰქონდათ ინტეგრირებული მასტერნარატივი, რაც, ლოგიკურია, რომ ალტერნატიული ნარატივის არსებობაზე მიუთითებს. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებ ნორმატიულ მოვლენას არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები ეხებიან (20%). ოდნავ მეტი ნორმატიული მოვლენაა ყოფილი პატიმრების ისტორიებში (24%). რაც შეეხება ემიგრანტებს, მათი ამბების მესამედი (33%) მიჰყვება ბიოგრაფიულ მასტერნარატივს მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფში, ფაქტობრივად, თანაბრად ნაწილდება ნორმატიული (55%) და სხვა ამბები.

ეს მონაცემები თანხვედბა მაკლინისა და კოლეგების (2017) მიგნებებს. ისინი მასტერნარატივისგან გადახვევის ორ სავარაუდო მიზეზზე – სტრუქტურულ უთანასწორობასა და ცხოვრებისეულ ტრანზიციებზე – საუბრობენ. ამასთან, ამბობენ, რომ სტრუქტურულად მარგინალიზებული ჯგუფებისგან, მაგალითად, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისგან, უფრო მეტად არის მოსალოდნელი მასტერნარატივიდან გადახვევა და მეტი რეფლექსია როგორც თავად მასტერნარატივზე, ისე – საკუთარ იდენტობაზე, ვიდრე ტრანზიციის ეტაპზე მყოფთაგან. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ (მაგალითად, ემიგრანტებს ან ყოფილ პატიმრებს), ავტორები ვარაუდობენ, რომ მათი ალტერნატიული ნარატივი, საბოლოოდ, საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და მასტერნარატივთან ამა თუ იმ გზით დაბრუნების საშუალებას წარმოადგენს (იხ. ქვემოთ).

მასტერნარატივის ინტერნალიზების ერთ-ერთ ინდიკატორს გამოცდილების სიღრმისეული გადამუშავება და საკუთარ იდენტობაში ინტეგრაცია წარმოადგენს. ნორმატიულისგან განსხვავებული (და, შესაბამისად, პოტენციურად ტრანსფორმაციული) გამოცდილება ადამიანებს მეტი რეფლექსიისკენ ანუ მასტერ-

ნარატივის უფრო მეტად გაცნობიერებისაკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, ალტერნატიული თხრობის წინაპირობას ქმნის. ეს ამონარიდი კარგად გვიჩვენებს ამას:

ალარ მწამს, რომ არსებობს ღმერთი, იმან შექმნა ადამიანი და ასე შემდეგ. ბიბლიას ალარ მივდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერზე ვარ აღზრდილი... ჩემი რასაც ესმოდა, ეს მხოლოდ ჩემი სხეული და ბუნება იყო, რაც მიგებდა და ცხოველებთან და მიწასთან და ყვავილებთან ურთიერთობა (ქალი, 19).

შესაბამისად, საკუთარ გამოცდილებაში საზრისის ძიება ის ცვლადია, რომელიც გვანტიერებს. აღმოჩნდა, რომ არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები და ემიგრანტები უფრო ინტენსიურად აანალიზებენ მასტერნარატივს, ფიქრობენ და ეძებენ საზრისს საკუთარ გამოცდილებაში, ვიდრე ყოფილი პატიმრები ($\chi^2(8)=27.806, p=.000$), რასაც ისევ მასტერ და ალტერნატიული ნარატივების თეორიულ მოდელამდე მივყავართ: მათ, ვინც ვერ ახერხებს მასტერნარატივით ნაკარნახევი გზით სიარულს, მისი გაცნობიერება, გაანალიზება და საკუთარი ნარატივის შექმნა უწევს, რაც, თავის მხრივ, უფრო ინტენსიურ იდენტობის პროცესებსა და გამოცდილების სიღრმისეულ რეფლექსიურ გადამუშავებას საჭიროებს.

ამრიგად, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების ამბები უფრო მეტად არის გაჯერებული სტრუქტურული უთანასწორობისა და მარგინალიზაციის გამოცდილებებით, ვიდრე ემიგრანტებისა და ყოფილი პატიმრების. ტრანზიციებთან დაკავშირებული დევიაციები კი გაცილებით ხშირია და ნაკლებად მარგინალიზებულ ჯგუფებს ეკუთვნით, რომლებსაც, ასევე, ნაკლებად უწევთ მასტერნარატივის ცნობიერად გააზრება და საკუთარი იდენტობის ფორმირებისთვის მეტი ძალისხმევის განწევა.

8.2.2. მასტერნარატივის ალტერნატიული მიმდევრობები

ამ შემთხვევაში ბიოგრაფიული თანამიმდევრობების მასტერნარატივთან თანხვედრას ვაფასებდით. გავიხსენოთ, რომ ცხოვრების კულტურულ სკრიპტში მოსალოდნელი მოვლენების გარდა, განერილია ამ მოვლენების მოხდენის სავარაუდო ასაკიცა და თანამიმდევრობაც. ასე მაგალითად, ქართული სკრიპტის მიხედვით, ადამიანმა ჯერ უნდა ისწავლოს, შემდეგ მუშაობა დაიწყოს და ოჯახი შექმნას და ეს ყველაფერი 30 წლამდე უნდა მოასწროს. როდესაც ჩემი კვლევის მონაწილეების ნარატივები ამ კუთხით გავანალიზეთ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვნახეთ, რომ სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული ალტერნატიული გზა ჰქონდა (**ხრილი N 8.2**), თუმცა მათ შორის იმაზე მეტი მსგავსება აღმოვაჩინეთ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

ცხრილი N 8.2. სხვადასხვა შერჩევის ბიოგრაფიული ალტერნატიული მასტერნარატივები

ძირითადი ალტერნატიული გზები
<p>ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები</p> <p>ემიგრაციაში წასვლის ამბები → გაჭირვება → ადაპტაცია/სამსახური → ოჯახი/მეგობრები → უმაღლესი განათლება → გაუმჯობესება/სოციალური აღმასვლა</p> <p>პატიმრობის გამოცდილების მქონე ინდივიდები</p> <p>დაჭერის ამბავი → ციხეში ყოფნის გამოცდილება → სასამართლო, ოჯახის/რომანტიკული პარტნიორის დაკარგვა → ვადის მოხდის შემდეგ ახალი ოჯახი → რესოციალიზაცია/გენერაციულობა</p> <p>არაპეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდები</p> <p>ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება → ქამინგაუთი → ეკლესიისა და მეგობრების დაკარგვა → ახალი ცხოვრება ახალი ვალდებულებებით</p>

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ სამივე შემთხვევაში მხოლოდ ამ ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს, რომლებსაც არ ვხვდებით ქართულ დომინირებულ კულტურულ სკრიპტში, მაგალითად, ემიგრაციაში წასვლა, ქამინგაუთი, სასამართლო და ციხეში ყოფნა, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო. ზოგიერთი რესპონდენტი ერთსა და იმავე ნორმატიული მოვლენის, განსაკუთრებით, ოჯახის შექმნის, შესახებ ორჯერ მოგვითხრობს. ეს განსაკუთრებით პატიმრობის გამოცდილების მქონე ინდივიდების ნარატივებში შეინიშნებოდა, ვინაიდან ბევრ მათგანს პატიმრობაში ყოფნის პერიოდში დაენგრა ოჯახი. ვადის მოხდის შემდეგ ახალი ურთიერთობების დანყება და ოჯახის შექმნა ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მათ ცხოვრებაში, რომელიც მასტერნარატივის მაგისტრალზე, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, „ცხოვრების ნორმალურ რიტმში“ დაბრუნების საწინდრად იქცა.

ოჯახი დამენგრა.. ანუ რომ ჩავჯექი, მალევე დამენგრა ოჯახი. გარეთ რომ ვყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა (მამაკაცი, 35).

პირველი მეუღლე ჩემი დანაკარგია... ოცდასამი წელი ვიცხოვრეთ ერთად და... ოცდასამი წელი ცოტა არ არის. სამას ორმოცდაათ ლოცვას გულში ვლაპარაკობდი შვიდი წლის განმავლობაში... ბოლოს გამოდიხარ და ოჯახი გენგრევა (მამაკაცი, 51).

მომავალი ისევ ოჯახთან ასოცირდება მაინც. მეორე ოჯახი... ბავშვი. ბავშვი გვინდა. როცა ოჯახი გაქვს, აწყობილი და რალაცაზე დაყრდნობილი ხარ (ქალი, 35).

ახალი ოჯახი შევქმენი... ან ღმერთი მომცემს ბავშვს, ან ვიშვილებ (მამაკაცი, 44).

გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში შენარჩუნებულია ნორმატიული მოვლენები (მაგალითად, ოჯახის შექმნა, უნივერსიტეტის დამთავრება, სამსახურის დანყება), თუმცა შეცვლილია თანმიმდევრობა და განსხვავებულია ასაკი. ეს განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა ემიგრანტების ნარატივებში, რომლებსაც უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ ჯერ თავის დამკვიდრება, ფინანსური და სოციალური სიმყარისა და დამოუკიდებლობის მოპოვება მოუწიათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სწავლის გაგრძელება და უმაღლესი განათლების მიღება. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა:

ზოგჯერ მგონია, რომ წლები მაქვს დაკარგული. იმის ნაცვლად, რომ მესწავლა, დღე და ღამე ვასწავრებდი მუშაობაში, რომ ელემენტარული მქონოდა. 36 წლის ასაკში ავიღე დიპლომი და ამ დროისთვის უკვე ქმარი და ორი შვილი მყავდა. რას იზამ, ემიგრაციაში ასეა: ჯერ ფინანსები და ადამიანები გვერდით, შემდეგ განათლება და კარიერა. სამაგიეროდ, დღეს უკვე მაქვს [პროფესიას ასახელებს] ლიცენზია და ჩემი საყვარელი საქმე (ქალი 39).

კიდევ ერთი საერთო ნიშანი, რაც სამი ჯგუფის ბიოგრაფიული თანამიმდევრობების ანალიზმა აჩვენა, ალტერნატიული მიმდევრობის პოზიტიური, აღმავალი განვითარებაა. თუ შევხედავთ მონაცემებს (**სხრილი N 8.2**), ვნახავთ, რომ განურჩევლად იმისა, რა ხდება მოვლენათა ჩამონათვალში, სამივე ჯგუფის მიმდევრობა უარყოფითი გამოცდილებით იწყება და დადებითით სრულდება. ჩემი კვლევის მონაწილე ემიგრანტების ამბავი უცხო ქვეყანაში წასვლითა და გაჭირვებით იწყება, ყოფილი პატიმრების – დაჭერის ამბით, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების უმრავლესობის ამბავი კი – ბავშვობაში ძალადობის გამოცდილებით. მიუხედავად შინაარსობრივი განსხვავებებისა, სამივე ჯგუფის ცხოვრების ნარატივი დაახლოებით ერთნაირად ვითარდება და გაუმჯობესებით, სოციალური აღმასვლით, რესოციალიზაციითა და ახალი ცხოვრების დანყებით სრულდება. კვლევის მონაწილეთა ინტერვიუებიდან ამონარიდები ამის კარგი ილუსტრაციაა.

ეს სამსახური დავინწყე და მინდა, ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ. ადამიანებთან ურთიერთობა ვისწავლე აქ და აღარ მეშინია სხვადასხვა რანგის ოფიციალურ პირებთან ურთიერთობის (ყოფილი პატიმარი მამაკაცი, 34).

ჩამოსვლის შემდეგ საკუთარი თავის გადაწყობა მომიწია. ჩემი პრიორიტეტებისა და ღირებულების გადაფასება და გადალაგება არ იყო ადვილი. უფრო დაკვირვებული გავხდი ადამიანებთან ურთიერთობაში და მათი მოსმენა დავინწყე. ამან ბევრი კარი გამიხსნა და კარიერული აღმასვლაც სწორედ მაშინ დავინწყე (ემიგრანტი მამაკაცი, 41).

ეს აღმავალი განვითარება ანუ, როგორც მაკადამსი (McAdams, 2019) უწოდებს, მაკომპენსირებელი სტრუქტურა, სავარაუდოდ, არის ის ერთ-ერთი ბუფერი, რაც სტრუქტურული მარგინალიზაციის პოზიციაში მყოფ ადამიანებს საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სრულყოფილებიან წევრად ფუნქციონირების საშუალებას აძლევს. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით (იხ. **ქვეთავი 8.4**).

8.2.3. მრავლობითი ალტერნატივა და ალტერნატივის ალტერნატივები

მასტერნარატივის სამკომპონენტოანი მოდელის (**სურათი N 7.1**) ერთ-ერთი კომპონენტი ალტერნატიული მასტერნარატივია. ავტორები აქ ერთ ნარატივზე საუბრობენ, თუმცა, ადამიანებისა და მათი საარსებო პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ მათ დომინირებული სკრიპტის მრავალგვარი ალტერნატივა შეიძლება შექმნან, რასაც ჩემი კვლევის მონაცემებიც მოწმობს (**ხრილი N 8.2**).

მასტერნარატივის ალტერნატივის შექმნის ორი გზა არსებობს. პირველი, ზოგი ადამიანი რამდენიმე მასტერნარატივიდან ერთდროულად უხვევს. მაგალითად, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანი, რომელსაც არ სურს შვილის ყოლა, ორი სხვადასხვა ბიოგრაფიული მასტერნარატივის ფარგლებს გარეთ გადის. ერთი სექსუალობას შეეხება, მეორე კი – შვილების აღზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სკრიპტი ერთმანეთს უკავშირდება, მაინც ორი განსხვავებული მასტერნარატივიდან გადახვევას წარმოადგენენ.

ქვემოთ მოცემული მცირე ამონარიდი ორი სხვადასხვა ბიოგრაფიული მასტერნარატივიდან ერთდროულად გადახვევის კარგი ილუსტრაციაა. მთხრობელი საუბრობს სექსუალობისა და შვილის ყოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამონარიდში შემჭიდრობულად არის ეს თემები წარმოდგენილი, ინტერვიუს სრულ ვერსიაში რესპონდენტი ვრცლად საუბრობს თითოეული მათგანის, საკუთარი რეფლექსიებისა და ალტერნატიული გზის გაკვალვის შესახებ.

ჯერ პატარა ვიყავი და ესე ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული ჩემი, ასე ვთქვათ, გენდერული იდენტობა და ორიენტაცია, მაგრამ რალაცნაირად მიმიწევდა ინსტინქტურად გული ქალების გარემოსკენ.

გამოცდილების გაზიარების სურვილი მაქვს, მოვლის, გაზრდის რალაცის, ვილაცის, მაგრამ შვილის არა, შვილის დონეზე არა. ესეთი მიჯაჭვულობა არ მინდა (მამაკაცი, 34).

მეორე, ზოგი ინდივიდი მასტერნარატივის საპირწონედ შექმნილი ალტერნატიული ნარატივიდან უხვევს ანუ ალტერნატივის ალტერნატივას ქმნის, რასაც

მაკლინი და კოლეგები (2017) ინტერსექციურ დევიაციას უწოდებენ.⁷⁸ ქვემოთ მოცემულ ამონარიდში რესპონდენტი ალტერნატიული ნარატივიდან დევიაციაზე საუბრობს, რომელიც, თავის მხრივ, უკვე დევიაციაა, მისი ემიგრანტის სტატუსიდან გამომდინარე, თუმცა ის სრულად არ მიჰყვება მისი ქვეჯგუფისთვის – ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების – ტრადიციულ გზას.

მას შემდეგ, რაც ჩამოვედი [ამერიკაში], ვერიდები ქართველებთან ურთიერთობას. მხოლოდ რამდენიმე მეგობარი მყავს და ესაა... უბრალოდ ვერ ვენდობი. ძნელია აქ ენდო ვინმეს და ცუდად არ შემოგიბრუნდეს. უკვე შვიდი წელია აქ ვარ და მხოლოდ სამი-ოთხი ქართველი თუა ჩემს გარშემო (ქალი, 34).

მძიმე ორი წელიწადი იყო. დავტოვე ოჯახი, ორი პატარა შვილი, ქმარი და სხვა შტატში წავედი სასწავლებლად. სხვა გამოსავალი არ მქონდა... ამ ასაკში მიმიღეს, სტიპენდია მომცეს, უნდა მესწავლა და იქ ოჯახის არც დრო იყო და არც ადგილი. დღე და ღამე ვმეცადინებოდი.. ბევრს არ მოსწონდა ჩემი საქციელი. მეგობრებიც მსაყვედურობდნენ, ჩემს ირგვლივ არავინ მოქცეულა ასე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, უნდა მესწავლა და მომავალი შემექმნა (ქალი, 39).

მართალია, ამ ამონარიდების ავტორები დღეს აშშ-ის მოქალაქეები არიან, მათი ცხოვრების გზა იმთავითვე განსხვავდება ამერიკელების მასტერნარატივისგან, რადგან ისინი ემიგრანტების სტატუსით ჩავიდნენ უცხო ქვეყანაში, თუმცა, როგორც ვხედავთ, ისინი არც თავიანთი ჯგუფის ალტერნატიულ ნარატივს აღიარებენ, რასაც ინტერსექციურ დევიაციამდე მივყავართ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ამონარიდების ავტორების ნარატივი იმიტომ კი არ არის დევიაცია, რომ ამ ქართველმა ემიგრანტებმა შემდგომ მიიღეს აშშ-ის მოქალაქეობა, არამედ იმიტომ, რომ მათი მონათხრობი „ამერიკელი ქართველების ცხოვრების ნარატივს“ არ შეესაბამება. ერთი ქართველების თემთან კავშირს არ ინარჩუნებს, მეორემ კი ოჯახური პასუხისმგებლობები დროებით გვერდზე გადადო და, თემის წინააღმდეგობისა და კრიტიკის მიუხედავად, სასწავლებლად წავიდა. ფაქტობრივად, ამ შემთხვევებში ალტერნატიული მასტერნარატივი იმდენად დამკვიდრებული და მიღებულია, რომ მოცემული ჯგუფისთვის მასტერნარატივად იქცევა ის, რაც მისი ალტერნატივის შექმნისკენ უბიძგებს ამ ჯგუფის ზოგიერთ წევრს.

⁷⁸ ინტერსექციურ დევიაციაში ავტორები გულისხმობენ იმას, რომ მასტერნარატივის ალტერნატიული ნარატივი ახალ განშტოებას ქმნის თხრობაში, რომელსაც, თავის მხრივ, როგორც ძირითად ნარატივს, თავისი ალტერნატივა (ანუ ალტერნატივის ალტერნატივა) შეიძლება გაუჩნდეს. თავდაპირველი ალტერნატიული ნარატივი და შემდეგ წარმოქმნილი მისი ალტერნატივა (რომელთა მიმართაც თავდაპირველ ალტერნატიულ ნარატივს მასტერნარატივის პოზიცია უკავია) ქმნიან ე. წ. ინტერსექციურ ანუ ერთზე მეტი მასტერნარატივის დევიაციას.

როგორც მაკლინი და კოლეგები (2017) აღნიშნავენ, ალტერნატივის ალტერნატივის შექმნა ბევრი გამონვევის წინაშე აყენებს ინდივიდს, ვინაიდან არ არსებობს მკაფიო ინსტრუქციები და მიმართულება, თუ როგორ აიგოს ალტერნატიული ნარატივის ალტერნატიული ნარატივი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს ფორმატი, რომლის მიხედვითაც მრავლობითი ალტერნატივის შესახებ მოვუთხრობდით ადამიანებს. მაკლინი და კოლეგები (2017) ვარაუდობენ, რომ რაც უფრო იდიოსინკრაზულია იდენტობა, მით ნაკლებად უზრუნველყოფს მისთვის კულტურული ჩარჩო თხრობის სტრუქტურასა და ფარგლებს.

8.3. ალტერნატივა, როგორც მიკუთვნებულობის არქონა და ალტერნატივის მოთხოვნილება

...შემდეგ იწყება „გამოყოფა“, ამ თავს დავარქმევ „გამოყოფას“, როდესაც გამოვეყავი ადამიანებს. ეს მოხდა დაახლოებით თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი წლის ასაკში. საერთოდ ადამიანებს გამოვეყავი. გამოვეყავი ჩემგან ადამიანები...

როდესაც ვთქვი, რომ გეი ვარ, დავკარგე ყველაფერი. დავკარგე ოჯახისგან და გარშემომყოფებისგან ის, რაც სხვებს აქვთ. თუნდაც ის, რომ ჩემს შეყვარებულს არ აღიარებენ, შენს თანამგზავრს არ აღიარებენ, არ იღებენ და არც მიიღებენ. საერთოდ არავინ მიიღებს, სტუმრად ვერ მიიყვან. ძირითადად, ეს დავკარგე რა ადამიანებისგან... ალბათ, ის ძალაუფლება დავკარგე, რასაც კულტურა განიჭებს; რასაც კაცს ანიჭებს... მტკივნეულია ხოლმე მაინც (მამაკაცი, 27).

ეს არის ტრადიციული გენდერული მასტერნარატივიდან გადახვევის ძალიან ცხადად და ლაკონიურად აღწერილი შედეგები.

რეალურად რა დაკარგა და რაზე თქვა ამ ადამიანმა უარი? მაკლინისა და საიედის მოდელის ქრილში თუ შევხედავთ, მან ტრადიციულ ჰეტეროსექსუალურ გენდერულ მასტერნარატივზე თქვა უარი და მისთვის უფრო მეტად მისაღები ალტერნატიული ნარატივის ფორმირება დაიწყო, რაც, როგორც უკვე ვთქვით, სარისკოა. აი, სწორედ ამ სარისკო ქცევის შედეგებზე საუბრობს კვლევის მონაწილე. მან დაკარგა სტატუსი, პოზიცია და სხვების მისდამი დამოკიდებულება, „ძალაუფლება“, როგორც თვითონ ამბობს, ანუ მოქმედების თავისუფლება გარკვეულ სოციალურ სიტუაციებში („არ აღიარებენ, სტუმრად ვერ მიიყვან“), რომელსაც (ქართულ) კულტურაში ჰეტეროსექსუალური მასტერნარატივი ანიჭებს მამაკაცს. მასტერნარატივიდან ერთ გადახვევას (საკუთარი თავის, როგორც გეი-იდენტობის მიღებას და აღიარებას) მოჰყვა მთელი ჯაჭური რეაქცია. ამ ქცევამ ავტომატურად წაიყოლა თან ბევრი სხვა სარგებელი, რომელსაც ტრადიციულობა, სხვებისგან არაფრით გამორჩეულობა აძლევს ადამიანებს მოცემული კულტურის ფარგლებში. იგივე რესპონდენტი განაგრძობს: „როცა ხედავენ, რომ შენ

ამ ძალაუფლებაზე შენი ნებით ამბობ უარს, ეს კიდევ ერთი აფექტია მათთვის. გიჟდებიან ამაზე, როგორ, რანაირად? ამიტომაც, რომ საერთოდ არ ესმით არაფრის.“ არადა, ამ ძალაუფლების ანუ კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე უარის თქმა ის ძნელად გასაღები ხარკია („მტკიცეულია ხოლმე მაინც“), რომელსაც მარგინალიზებულად მიჩნეული ადამიანები საკუთარი თავის პოვნისა და შენარჩუნების სანაცვლოდ უხდიან საზოგადოებას.

ჯგუფის კუთვნილებისა და, შესაბამისად, ძალაუფლების დაკარგვით სტრუქტურული მარგინალიზაცია *სოციალურ* მარგინალიზაციასთან ასოცირდება. როგორც ზემოთ მოტანილი ამონარიდის ავტორი ამბობს, მასტერნარატივთან შეუთანხმებლობა როგორც ძალაუფლების, ისე – მიკუთვნებულობის დაკარგვას გულისხმობს.

ისედაც ოპრესირებული და განდევნილი ვარ ყველა სივრციდან პრაქტიკულად, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში იქნება თუ ფართო საზოგადოებასთან (ქალი, 29).

რატომღაც ყოველთვის გარიყული ვიყავი ამ საზოგადოებისგან (მამაკაცი, 25).

უნივერსიტეტში საპირფარეოში რომ შევდიოდი, მანდ დამხვდა რამდენიმე ბიჭი და მითხრეს, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო (მამაკაცი, 19).

ბევრჯერ დამინახავს, რომ თვალი აურიდებიათ ჩემთვის და ჩაუვლიათ გვერდით. პირში არაფერს მეუბნებიან, მაგრამ ძალიან ყალბად ვთვლი მათ გაღიმებასა და მოსალმებას (ქალი, 22).

თუმცა, ადამიანის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ალტერნატიული ნარატივის კონსტრუირება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების საქმე არ არის. მასტერნარატივიდან გადახვევის პირობებში ერთ-ერთი გამოსავალი ისეთი ახალი ჯგუფის პოვნაა, რომელიც იმავე ან მსგავს ალტერნატიულ ნარატივს შეესაბამება და რომელსაც ინდივიდი მიაკუთვნებს თავს.

ყველაზე მძიმე იყო, როცა უცხო ქალაქში, უცხო ქვეყანაში 18 წლის გოგო ქუჩაში დავრჩი. არავის ვჭირდებოდი, არავის ვედარდებოდი, არსად იყო სახლი და მეგობრები... რამდენიმე წელიწადი დამჭირდა, რომ მეპოვა მართლა სანდო ადამიანები და ამ რამდენიმე მეგობრის წრეში უსაფრთხოდ მეგრძნო თავი (ემიგრანტი ქალი, 36).

ესენი მეგობრები აღარ არიან, ეს ჩემი ოჯახია, ჩემი ნაწილია და ამ ადამიანების გარეშე მე ველარ წამომიდგენია ჩემი თავი. მათ გადამატანინეს ყველაზე მძიმე დღეები. არ დამტოვეს მარტო, როცა 18 წლის ორსული ქუჩაში დავრჩი უცხო ქვეყანაში (ემიგრანტი ქალი, 36).

[ორგანიზაციის სახელი] მოსვლა შვება იყო ჩემთვის. აქ ჩემნაირი ადამიანები დამხვდნენ და დიდია მათი დამსახურება იმაში, რომ მე დღეს სწორ გზაზე ვდგავარ და მართო არ ვარ (ყოფილი პატიმარი ქალი, 34).

8.4. საზოგადოებისთვის მისაღები ალტერნატივით ცხოვრება

როგორ ახერხებენ ადამიანები მისაღები ალტერნატივის კონსტრუირებას მასტერნარატივიდან გადახვევის შემდეგ, მით უმეტეს, როცა მარგინალიზაციასა და სტრუქტურულ თუ სოციალურ უთანასწორობაზე ვსაუბრობთ? ერთ-ერთი გამოსავალი კომპენსაციის⁷⁹ სტრუქტურული მასტერნარატივის (იხ. **ქვეთაჰი 7.2.2**) გამოყენებაა, როდესაც ამბავი უარყოფითიდან დადებითისკენ ვითარდება. როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ამ გზას მიმართავენ ჩემი კვლევის მონაწილეები (**ხსრილი N 8.2**). ასეთი სტრუქტურით მოთხრობილ ამბავში უარყოფითი კომპენსირებულია და ამბავი კარგად მთავრდება (McAdams, 2006), და ეს უარყოფითი ის გარდამტეხი, ტრანსფორმაციული გამოცდილებაა, რომელიც საფუძვლიანად, დადებითისკენ ცვლის ადამიანის ცხოვრებას. კვლევები ცხადყოფს (იხ. ზემოთ; ასევე, მიმოხილვისთვის იხ. Adler, et. al., 2016), რომ ნარატივში დადებითი გადაწყვეტა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას უკავშირდება. ქვემოთ მოცემული ამონარიდები ამის კარგი ილუსტრაციაა.

...ამ გამოცდილებამ გამაძლიერა 100 პროცენტით იმიტომ, რომ ვიცი, უნდა ვიბრძოლო; ვიცი, რომ სიცოცხლეს ფასი აქვს; რომ არანაირად არ უნდა დაგკარგო ის საჩუქარი, რაც მშობლებმა მაჩუქეს, სიცოცხლე... ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია... და ეს თავს მშვიდად და კარგად მაგრძნობინებს (მამაკაცი, 25).

...[დიდი რაოდენობით ნამლის დაღვევის შემდეგ] ამასობაში მოვიდა სასწრაფო. გამიკეთეს გამორეცხვა. იმის შიშით, რომ ჰოსპიტალიზაცია არ მოეხდინათ, დავწერე განცხადება, რომ ეს იყო უბრალო ინტოქსიკაცია... მერე მივხვდი, ეს სისულელეა, არავინ და არაფერი არ ღირს იმაზე ძვირად, ვიდრე სიცოცხლე. არავინ არ უნდა გიყვარდეს შენ თავზე მეტად. დღეს ჩემი თავი ძალიან მიყვარს... ეგოისტურად ჟღერს, მაგრამ მე თუ არ მეყვარება ჩემი თავი, სხვა არავინ შემიყვარებს. მე ვცხოვრობ ჩემთვის და ვიბრძვი ჩემთვის. მე თუ კარგად ვიქნები, ჩემი მეგობრებიც კარგად იქნებიან და ჩემი ოჯახი -- მით უმეტეს (მამაკაცი, 26 წლის).

მაკომპენსირებელი სტრუქტურა ნარატივის მისაღებ ორგანიზაციას უზრუნველყოფს მაშინაც კი, როდესაც ამბის შინაარსი ნაკლებად მისაღებია საზოგადოებისათვის. სხვა სიტყვებით, თხრობის მაკომპენსირებელი სტრუქტურა ნაკლებად მისაღებ, ალტერნატიულ შინაარსს არბილებს და მისაღებად აქცევს.

⁷⁹ Redemption.

ერთი მხრივ, ნამეტანი უარყოფითი ფაქტი იყო და შეიძლება ითქვას, რომ შემაფერხებელი უნდა ყოფილიყო თუნდაც ჩემი მომავალი განვითარებისათვის. თუმცა რაღაც მომენტში, ალბათ, პირიქით, რაღაც უფრო მეტი გამონართობაც მივიღე. იქიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევეცადე თუნდაც ჩემს თავზე მუშაობას, თუნდაც განვითარებას, სამსახურის მოძიებას და სწორედაც, აი, მას შემდეგ, რაც ერთი სამსახური ვიშოვე და მეორე ვიშოვე და არ გავჩერდი (მამაკაცი, 37).

ჩართული ვარ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, განსაკუთრებით ქალების უფლების დაცვის სფეროში და პატრიარქალური კულტურის დამახასიათებელი საზოგადოებრივი პრობლემების კვლევაში, ანალიზსა და ამ პრობლემების გამოსწორებაში. რაღაცა სახით მაინც საქმეში ვარ და ესე გავაგრძელებ ქალთა უფლებების დაცვას და გენდერული თანასწორობის მიღწევას... ყველაზე ძალიან რაც მინდა, ...ლგბტ წევრები არ იყვნენ დისკრიმინირებული (ქალი, 22).

სტრუქტურული მასტერნარატივის გარდა, კვლევის ზოგიერთი მონაწილე სხვა, პარალელურ მასტერნარატივს იყენებს ალტერნატიული თხრობის საპირნონედ:

ბავშვობაში ხშირად წამოუძახებიათ, რა გოგოსავით გაცვია, ბალებზე დადიხარ. ყოველთვის იყო ეს მომენტი, რომ.. გოგოსავით იქცევი, მაგრამ იმდენად კარგი მოსწავლე ვიყავი სკოლაში, იმდენად კარგი... და ყველას ჩემგან უნდა გადაენერა ყველაფერი, ამიტომ ვერ მახუთინებდნენ ამის ნიადაგზე... ერთი-ორჯერ წამოძახება მახსოვს, ეგრე ყველას ეძახიან... „შენ ქალია“, რაღაც ესე ერთმანეთს ყველა უძახის, მაგრამ ესე რომ, აი, ამის გამო მსხვერპლი ვყოფილიყავი ვერა, იმიტომ, რომ მართლა კარგი მოსწავლე ვიყავი და ვჭირდებოდი ყველას და რაღაც ავტორიტეტიც მქონდა (მამაკაცი, 34).

კიდევ ერთი გზა, რომლითაც შინაარსობრივად ალტერნატიული ნარატივი საზოგადოებისთვის მისაღებად შეიძლება იქცეს, მასში *გენერაციულობის* (იხ. **თავი 9**) ელემენტის შემოტანაა, რაც ისევ დენ მაკადამსის შრომებთან გვაბრუნებს (მაგალითად, იხ. McAdams, 2019; McAdams, & Aubin, 1992). მაკადამსმა აღმოაჩინა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ცხოვრების ისტორიას უფრო ხშირად ალაგებენ მაკომპენსირებული თანმიმდევრობით, კონსისტენტურად მაღალი მაჩვენებლები აქვთ გენერაციულობის საზომებზე (McAdams, & Guo, 2015). მისი აზრით, მაკომპენსირებული ამბების თხრობა გენერაციული მისწრაფებებისა და ქცევების შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა. სწორედ ამას მონობს ქვემოთ მოცემული ამონარიდები.

გეგმები ისევ ოჯახთან ასოცირდება მაინც. ბავშვი გვინდა... უნდა გქონდეს რაღაც, რაზეც აენჯობი და დაეყრდნობი. ეს ოჯახი და ბავშვია ჩემთვის (ქალი, 35).

მე თვითონ აგერ უბნის უფროსი ვარ. დავდივარ უბნებში [...] ვისწავლე სხვა-
 ნაირი მიდგომები, გავერკვიე იმაში, რომ თურმე შეიძლება სახელმწიფო რაიმეში
 დაგეხმაროს, გზები ვისწავლე და იმისიც აღარ მეშინია, რომ ვენდო ამ ხელისუფ-
 ლებას. [...] ვზრუნავ სხვებისთვის... ყველას ყველანაირად ვეხმარები... ყველა-
 ფერს ვუკეთებ და ნამდვილად კმაყოფილები არიან ჩემით. იცით რა არის, ცხოვ-
 რებაში ამდენ გასაჭირს რომ გაივლი და ამდენ რაღაცას, უფრო ღმობიერი ხდები,
 უფრო კეთილი (ქალი, 57).

ამრიგად, რამდენადაც უნდა შორდებოდეს ალტერნატიული მასტერნარა-
 ტივი დომინირებულ სკრიპტს, გენერაციულობის ელემენტის შემოტანა ანორმა-
 ლურებს მას, ავტორს კი რესოციალიზაციის, საზოგადოებაში რეინტეგრაციის
 და, საბოლოოდ, მასტერნარტივის მაგისტრალზე დაბრუნებისაკენ მიდრეკს.⁸⁰
 სწორედ გენერაციულობისა და მასტერ და ალტერნატიული მასტერნარტივების
 ურთიერთმიმართებაზე ვისაუბრებთ შემდეგ თავში.

⁸⁰ თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ინდივიდი მასტერნარტივის მაგისტრალზე
 დაბრუნდეს გენერაციულობის მეშვეობით. ეს საკითხი, ფაქტობრივად, არ არის ჯერ-
 ჯერობით ნაკვლევი და სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს (გოგიჩაიშვილი და
 ხეჩუაშვილი, მზადების პროცესში).

9. მასტერ და ალტერნატიული ნარატივები და გენერაციულობა

თუ ნარატიულ იდენტობაში არეკლილ კულტურას ვეძებთ, ამ კულტურაში მცხოვრები ყველაზე გენერაციული ადამიანების მიერ მოთხრობილ ცხოვრების ისტორიებზე უკეთესს ვერაფერს ვნახავთ (McAdams, 2015, გვ. 288).

9.1. გენერაციული მოზრდილი

ერიკსონის თანახმად, გენერაციულობა ადამიანების მონიფული ცხოვრების ფსიქოსოციალური გამოწვევაა. იყო გენერაციული, იმას ნიშნავს, რომ იზრუნო სხვა ადამიანებზე და შექმნა, შეინარჩუნო და მომავალ თაობას გადასცე საზოგადოებისათვის ღირებულები მატერიალური თუ ინტელექტუალური მონაპოვარი, რომელიც შენზე დიდხანს იარსებებს ამქვეყნად. მომავალი თაობების კარგად ყოფნაზე ზრუნვა შვილების გაჩენასა და აღზრდას, სწავლებას, მენტორობას, ლიდერობასა და ბევრ სხვა ისეთ საქმიანობას გულისხმობს, რაც დადებითი მემკვიდრეობის დატოვებას ისახავს მიზნად (McAdams & de St. Aubin, 1992).

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც უაღრესად გენერაციული ადამიანების რიცხვში აღმოჩნდა მისი ინტერვიუს ტრანსკრიპტის კოდირების შემდეგ, სხვა ამბებთან ერთად, ასეთ რამეს მოგვითხრობს:

ამას შეიძლება დაარქვა ვილაცისთვის კარგის გაკეთება, სხვებზე ზრუნვა. ვცდილობ, არ დავიმახსოვრო. 2008-ში მთელი ჯგუფი გამოვიყვანე რეალურად სახიფათო ადგილიდან. მაშინ კიდე სხვა ჯგუფი გამოვიყვანე... უბრალოდ არ მიყვარს ხოლმე მაგაზე ლაპარაკი. ჯგუფს, რომელიც მტრის ზურგში იყო ჩარჩენილი, დავეხმარე და ორიენტირებით გამოვიყვანე მაშინ, როცა მათი გადარჩენის ოპერაცია აღარ იგეგმებოდა. არც კი მინახავს ის ადამიანები. მთავარია, ადამიანები იყვნენ და გადავარჩინე.

კიდევ ერთი ამბავი იმ პერიოდიდან... 9-10 აგვისტო იყო. ნელ-ნელა უკან ვიხევდით. შვიდკაციანი ჯგუფი ვიყავით, როცა [სოფლის დასახელება] ჩამოვარდა ჭურვი. იქვე ვიყავით. ხმა გავიგეთ და ვიფიქრე, დაბომბვა იწყებოდა. მაშინ შევძელი, თავი მომეყარა ყველასთვის. ნაწილი გარბოდა სადღაც სარდაფებში. თავი მოვუყარე ყველას, მანქანაში ჩავტენე და გამოვედით უკან, სამშვიდობოს. ამას ავტომატურად, ინსტინქტურად ვაკეთებდი.

პასუხისმგებლობა მქონდა იმიტომ, რომ მე ვიყავი იმათი უშუალო ხელმძღვანელი იქ და თითოეულ ადამიანზე პასუხს ვაგებდი. თავს უფლებას ვერ მივცემდი, რომ ერთი ადამიანი მაინც სადღაც დამეკარგა. ჩემი პასუხისმგებლობა იყო და არის სხვა ადამიანებზე ზრუნვა (მამაკაცი, 38).

გენერაციულობა ხშირად, მაგრამ არა – ყოველთვის, მშობლის როლით გამოიხატება. მასწავლებლობა და მენტორობა ამის კარგ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ერიკსონი (1963) წერს, კარგი მშობლის როლის მორგება ინდივიდს უკმაყოფილებს ბაზისურ „მოთხოვნილებას, რომ იყოს მოთხოვნადი“⁸¹. გენერაციულობის გამოხატვის მრავალი ალტერნატიული გზა არსებობს, თუმცა მათ შორის გამოკვეთილად აღსანიშნია პროფესიული ცხოვრება, შემოქმედებითი საქმიანობა და საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობა, როგორებიცაა ქველმოქმედება, საეკლესიო საქმეები და ა. შ. გენერაციული მოზრდილი საკუთარ თავს ისეთ აქტივობას უძღვნის, რომელიც უფრო მეტია და დიდია, ვიდრე მისი საკუთარი ცხოვრება. ის მნიშვნელოვან დროსა და ენერგიას ახმარს ისეთ ნამოწყებებს, რომლებიც „გადაეცემა თაობებს.“

თუ მოზრდილებში გენერაციულობის უნარი იმდენად გამოკვეთილია, რომ აჭარბებს სტაგნაციას, ჩნდება მოცემული სტადიის დადებითი თვისება – ზრუნვა. ზრუნვა ჩნდება იმ გრძნობიდან, რომ ვიღაცას ან რაღაცას აქვს მნიშვნელობა. ეს გულგრილობისა და აპათიის ფსიქოლოგიური ანტონიმი. ის მოზრდილები, რომლებიც ვერ ხდებიან გენერაციულები, თანდათანობით, მეტად იკეტებიან საკუთარ თავში და, საბოლოოდ, ზრუნვის ძირითადი საგანი პირადი მოთხოვნილებები და კომფორტი ხდება. ეს ადამიანები არავისა და არაფერზე ზრუნავენ, მხოლოდ საკუთარ სურვილებს ემორჩილებიან. გენერაციულობის დაკარგვასთან ერთად წყდება პიროვნების, როგორც საზოგადოების წევრის, ფუნქციონირება, ცხოვრება საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებად იქცევა, ღარიბდება პიროვნებათშორისი ურთიერთობები. ერიკსონის (1963) თანახმად, საშუალო მოზრდილობის ასაკში ძირითად ფსიქოპათოლოგიურ გამოვლინებას სხვა ადამიანებზე, საქმეებსა და იდეებზე ზრუნვის სურვილის უქონლობა წარმოადგენს.

პიროვნების განვითარების ნორმატიული გზის კულმინაცია მომავალი თაობის წინაშე პასუხისმგებლობის აღება და მისი უკეთესი ცხოვრების შექმნისკენ სწრაფვაა. განურჩევლად იმისა, ადამიანის ევოლუციის პოზიციიდან შევხედავთ, სოციალური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (McAdams, 2015), გენერაციულობა ჯგუფის სასიკეთოდ განხორციელებულ ქცევებამდე მიდის, რაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მომავალ თაობაზე ზრუნვა, რადგან მომავალი თაობის გადარჩენა და კარგად ყოფნა არსებითად იმ ჯგუფის გადარჩენასა და კარგად

⁸¹ Need to be needed.

ყოფნაზე დამოკიდებული, რომელშიც ცხოვრობს და იზრდება ეს მომავალი თაობა.

თანამედროვე ადამიანის სოციალური პირობები გაცილებით რთულია, ვიდრე ეს წარსულში იყო, თუმცა გენერაციულობა ისეთივე მორალურ იმპერატივად რჩება, როგორც ადრე. დღევანდელ საზოგადოებებში მოზრდილი ადამიანის „შუა ხნის პერიოდი“ 30 წელიწადზე დიდხანს გრძელდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ადამიანისგან მოელიან, რომ საზოგადოების სრულად ფუნქციონირებად და მონიფულ წევრად ჩამოყალიბდება და მრავალ პასუხისმგებლობას იკისრებს საზოგადოებისა და მომავალი თაობების წინაშე. თითოეულ საზოგადოებას თავისი მოთხოვნები აქვს მოზრდილი ადამიანისადმი, თუმცა გენერაციულობის ნორმატიული მოლოდინი, როგორც წესი, ყველა საზოგადოებაში ასაკთან ერთად იმატებს (de St. Aubin, McAdams, & Kim, 2004).

როგორც სოციალური აქტორები, შუა ხანს მიღწეული მოზრდილები მეტ გენერაციულ მახასიათებელს ავლენენ და მეტ გენერაციულ როლს ირგებენ. ამასთან, კვლევა აჩვენებს (Cox, Wilt, Olson, & McAdams, 2010), რომ გენერაციულობა ყველაზე მჭიდროდ პატიოსნების ფაქტორის მიღწევაზე ორიენტირებულ მახასიათებელსა და კეთილგანწყობა⁸²/ალტრუიზმის კომპონენტს უკავშირდება და დადებითად ასოცირდება ექსტრავერსიისა და გამოცდილებისადმი ღიაობის საერთო მაჩვენებელთან, ხოლო უარყოფითად – ნევროტიზმთან.

შუა ხნის მოზრდილების, როგორც მოტივირებული აგენტების, გენერაციული მიზნები პრიორიტეტული ხდება, როგორც ავტობიოგრაფიული ავტორები კი, ისინი თავიანთი ცხოვრების თხრობას შვილების იმედებისა და სხვებისათვის სამყაროს გაუმჯობესების მცდელობის ირგვლივ აგებენ.

მართალია, ასაკის მატებასთან ერთად ზოგადად იმატებს გენერაციული მისწრაფებები და ქცევები, კვლევების მთელი რიგი (იხ. McAdams, 2015) ავლენს, რომ ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გენერაციული საფეხრალის, მოტივებისა და მოქმედებების მიხედვით (ხსრილი N 9.1).

ამასთან, ბევრი კვლევა ცხადყოფს, რომ დადებითად ასოცირდება ერთმანეთთან, ერთი მხრივ, გენერაციულობა და, მეორე მხრივ, ცხოვრებით კმაყოფილების, ბედნიერების, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მონიფულობის საზომებზე მიღებული მაჩვენებლები (Keyes & Ryff, 1998), დაბალი მაჩვენებლები გენერაციულობის სკალაზე კი დეპრესიას უკავშირდება.

⁸²Agreeableness.

ხსრილი N 9.1. გენერაციული მოზრდილის მახასიათებლები

მოზრდილები, რომლებსაც მაღალი მაჩვენებელი აქვთ გენერაციულობის სკალაზე, გამოირჩევიან იმით, რომ:

- ავტორიტეტული სტილის მშობლები არიან. შვილებისგან მორალური და ინსტრუქციული სტანდარტების დაცვას მოითხოვენ და, ამავდროულად, მათდამი სითბოსა და სიყვარულს ავლენენ (Peterson et al., 1997);
- თავიანთ ცოდნას/სიბრძნესა და ღირებულებებს გადასცემენ შვილებს და მათთან ურთიერთობისას ნდობაზე სვამენ აქცენტს (Hart et. al., 2001);
- უფრო მეტად არიან თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულნი, რეგულარულად ესწრებიან მასწავლებლებთან შეხვედრებს და ზოგადად უფრო ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, თუ რა ხდება სკოლაში (Lewis & Nakagawa, 1995);
- მათ შვილებს უფრო მეტად ახასიათებთ ისეთი პოზიტიური პიროვნული ნიშნები, როგორებიცაა პატიოსნება და კეთილგანწყობა (Peterson, 2006);
- ოჯახურ ურთიერთობებში პატიებისა და ოპტიმიზმის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან (Pratt, Norris, Cressman, Lawford, & Hebblethwaite, 2008);
- მეგობრების შედარებით ფართო წრე ჰყავთ და უფრო მეტად მიუწვდებთ ხელი სოციალურ მხარდაჭერაზე (Hart et. al., 2001);
- უფრო მეტად ზრუნავენ სხვა ადამიანებზე ოჯახში, სამსახურსა და, ზოგადად, თემში (Rossi, 2001));
- ესწრებიან ღვთისმსახურებას და/ან რელიგიურ ან სპირიტუალურ ტრადიციებში მონაწილეობენ (Jones & McAdams, 2013);
- მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან (Pratt et. al., 1999);
- უფრო მეტად არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში: მონაწილეობენ არჩევნებში, წერენ წერილებს მთავრობასა და პარლამენტს და პოლიტიკურად აქტიურნი არიან (Cole & Stewart, 1996);
- ძლიერი და ეფექტიანი ლიდერები არიან (შუა ხნის მამაკაცებზე ჩატარებული კვლევის მიხედვით) (Zacher, Rosing, Henning, & Frese, 2011);
- მრავალნაირად ეტყობათ, რომ წარმატებულად ბერდებიან, ოჯახური როლით კმაყოფილებისა და დიდი ცხოვრებისეული მიზნების ჩათვლით (Peterson & Duncan, 2007);
- უფრო მეტად კმაყოფილნი არიან ცხოვრებით, ხასიათებიან უკეთესი სუბიექტური ფსიქიკური ჯანმრთელობით, დაძლევის მექანიზმებითა და ფსიქოლოგიური მონიფულობით (Keyes & Ryff, 1998);
- აქვთ ნევროტულობის დაბალი და ისეთი ნიშნების მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება სითბოს, ალტრუიზმს, დადებით ემოციებს, ასერტიულ ქცევას, მიღწევის მოტივაციას, პასუხისმგებლიანობასა და ღიაობას (Van Heil, Mervielde, & Fruyt, 2006);
- ავლენენ ძალაუფლებისა და ინტიმურობის ძლიერ მოტივაციას (Hofer, Busch, Chasiotis, Kartner, & Campos, 2008)

შენიშვნა: ცხრილი აღებულია წყაროდან McAdams, 2015.

გარდა ამისა, ჩვენი კვლევის (ჯანანაშვილი და სხვ., 2018) მიხედვით, გენერაციულობის მაჩვენებელს განასხვავებს როგორც ცალკე აღებული ავტობიოგრაფიული მსჯელობა ($F(1)=8.186$, $p = .005$), ნარატივის კოჰერენტულობა ($F(1)=6.310$, $p = .002$) და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ($F(3)=4.963$, $p = .003$), ისე – მათი ურთიერთქმედება ($F(6)=84.594$, $p = .000$). შესაბამისად, ისინი სანდოდ წინასწარმეტყველებს გენერაციული თხრობის შემცველი ნარატივების გამოჩენას ორივე ჯგუფში და ხსნის ვარიაციის 30%-ს (ხსრილი N 9.2). ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ადამიანები სიღრმისეულად იაზრებენ გამოცდილებას, მას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ, თანამიმდევრულად მოგვითხრობენ მის შესახებ და თან ამ თხრობას მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ალაგებენ, მოსალოდნელია, რომ მათ მონათხრობში გენერაციულობის ელემენტები გამოჩნდება.

ხსრილი N 9.2. ავტობიოგრაფიული მსჯელობა, კოჰერენტულობა და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც გენერაციულობის პრედიქტორები

	B	SE B	β
ნაბიჯი 1			
კონსტანტა	.177	.053	
ავტობიოგრაფიული მსჯელობა	.069	.024	.223
ნაბიჯი 2			
კონსტანტა	.115	.061	
ავტობიოგრაფიული მსჯელობა	.048	.026	.156
კოჰერენტულობა	.018	.014	.173
ნაბიჯი 3			
კონსტანტა	.115	.060	
ავტობიოგრაფიული მსჯელობა	.032	.028	.105
კოჰერენტულობა	.025	.014	.154
პოზიტიური გადაწყვეტა	.084	.057	.128

შენიშვნა: $R^2 = .050$ ნაბიჯი 1, $\Delta R^2 = .025$ ნაბიჯი 2, $\Delta R^2 = .013$ ნაბიჯი 3 ($p < .001$)

როგორც მაკადამსი (2015) ამბობს, უაღრესად გენერაციული ადამიანები კულტურის ნორმებს ირეკლავენ. ეს თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ გენერაციულობას უნდა შევხედოთ, როგორც რაღაცას, რაც პიროვნებაშიც არსებობს და მის სამყაროშიც. ის გარემოს თვისებაც ისევეა, როგორც ადამიანის. იმით, რომ პიროვნებასა და სოციალურ სამყაროს აკავშირებს ერთმანეთთან, გენერაციულობა მხოლოდ ფსიქოსოციალურ კონტექსტში შეიძლება „ხდებოდეს“, როდესაც

საც გარკვეულ პიროვნებასა და მის სამყაროში არსებული ცვლადები ერთად იყრის თავს მომავალი თაობის უზრუნველსაყოფად (Khechuashvili, 2019). სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ გენერაციულობის, როგორც სოციალური ადაპტაციისა და კულტურულ-სოციალურ გარემოში ინტეგრირებულობის, ინდიკატორსა და მის კავშირზე როგორც მასტერ და ალტერნატიულ ნარატივებთან, ისე ტრასფორმაციული გამოცდილებების თანმხლებ პოზიტიურ ცვლილებებთან.

9.1.1. როგორ ყვებიან გენერაციული მოზრდილები თავიანთ ცხოვრებას

როგორც გენერაციულობის თანამედროვე მოდელის ავტორი, დენ მაკადამსი (2015) ამბობს, გენერაციულობა „დიდი თავის ტკივილია“, რადგან ხშირად ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ მათთვის განეულ შრომას, ღვანლს, თავდადებასა და ერთგულებას, თუმცა გენერაციული მოზრდილები მაინც დაბეჯითებით ცდილობენ გენერაციულობაში აზრის პოვნასა და საკუთარი გენერაციული მისწრაფებების სხვადასხვაგვარად რეალიზებას.

გენერაციულობა მძიმე ტვირთია, ამიტომ ადამიანებს ნამდვილად კარგად დალაგებული ამბავი სჭირდებათ, რათა უაღრესად გენერაციულ მოზრდილებად ჩამოყალიბდნენ და ხანგრძლივად შეინარჩუნონ გენერაციული მისწრაფებები. ჩვენ განსაკუთრებით მაშინ გვჭირდება ამბავი საკუთარი თავის შესახებ, როდესაც ყველაფერი ცუდად არის, სასონარკვეთა გვეუფლება და იმ საყრდენს ვეძებთ, რომელიც დანებების საშუალებას არ მოგვცემს. და მაინც, როგორია ის ამბავი, რომელსაც გენერაციული ადამიანები საკუთარი იდენტობის ფორმირებისა და უწყვეტობის შესწარმუნებლად აგებენ?

მაკადამსისა და ნარატივის სხვა მკვლევრების მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში წარმოებული კვლევები ცხადყოფს (McAdams, 2015), რომ უაღრესად გენერაციული მოზრდილები კომპენსაციის ამბების⁸³ ფორმით ყვებიან თავიანთ ცხოვრებას. ასეთ ამბებში ამკარად უარყოფით სიტუაციას განსაკუთრებით დადებითი დასასრული აქვს. მთხრობელი ამბავს ამა თუ იმ სახის ტანჯვისა თუ განსაცდელის აღწერით იწყებს, რომლის მიზეზიც შეიძლება იყოს წარუმატებლობა, დანაკარგი, განშორება, დეპრივაცია, ძალადობა ანდა ნებისმიერი განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია ადამიანის ცხოვრებაში, რაც ძლიერ უარყოფით ემოციებს იწვევს. თუმცა ტანჯვასა და განსაცდელს დადებითი შედეგი მოაქვს. წარუმატებლობა, საბოლოოდ, დიდი გამარჯვებით სრულდება, დეპრივაციას სიუხვე და სიმდიდრე მოჰყვება. მნიშვნელოვანია, რომ მთხრობელი ექსპლიციტურად,

⁸³ Redemption stories – მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, კომპენსაციის ამბები.

მკაფიოდ აღწერდეს უარყოფითი მოვლენისა და მის შედეგად მიღწეული გაუმჯობესების მიზეზშედეგობრივ კავშირს. ტანჯვა კომპენსირდება და მთხრობელი იმაზე უკეთეს სიტუაციაში აღმოჩნდება, ვიდრე განსაცდელამდე იყო.

აღსანიშნავია, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის შემთხვევაში ხშირად დადებითი გამოსავალი უარყოფითი მოვლენის მოხდენიდან დიდი ხნის შემდეგ დგება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნებაში არ არსებობს კანონი, რომელიც გვეტყვის, რომ ცუდმა გამოცდილებამ კარგ შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს. ამის ნაცვლად, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით თხრობისკენ მიდრეკილი ავტორები, ავტობიოგრაფიული მსჯელობის მეშვეობით, უფრო მეტი საზრისის დანახვას ახერხებენ საკუთარ ცხოვრებაში, ვიდრე სხვები (McAdams, 2015). ნარატიული იდენტობის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას ნეგატიური ცხოვრებისეული მოვლენების ინტერპრეტაცია წარმოადგენს. წარუმატებლობა, დანაკარგი, სევდა, შიში, სირცხვილი და დანაშაულის განცდა თავგანწირვით ითხოვს ახსნა-განმარტებას ცხოვრების ისტორიაში (Pals, 2006b). მთხრობელი იძულებულია ახსნას, რატომ დაემართა ასეთი ცუდი რამ და რას ამბობს ყველაფერი ეს მის შესახებ. მაშასადამე, ის, თუ როგორ გვიყვებიან ავტობიოგრაფიული ავტორები საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ ცუდ მოვლენებს, ყველაზე კარგად გვიჩვენებს მათ ნარატიულ იდენტობას, რადგან თვალნათლივ გვიშლის მთხრობელის ცხოვრების განმეორებად თემებსა და კონფლიქტებს და ავტობიოგრაფიული მსჯელობის მისთვის დამახასიათებელ სტილსაც ავლენს.

როგორც მაკადამსი (2015) ამბობს, უარყოფითი ცხოვრებისეული მოვლენების თხრობის უამრავი გზა არსებობს, თუმცა ადამიანები, უპირატესად, ორ სტრატეგიას იყენებენ: პირველი მოვლენის ამა თუ იმ გზით გაუფასურებაა. გაუფასურების უკიდურეს ფორმას განდევნა, უარყოფა ან დისოციაცია წარმოადგენს, ნაკლებად დრამატულს კი – დადებითი ილუზიების (Taylor, 1983) შექმნა. პირველ შემთხვევაში ამბავი იმდენად ცუდია, რომ უბრალოდ შეუძლებელია მისი მოყოლა სხვებისათვის და ზოგჯერ – საკუთარი თავისათვისაც კი. ნარატივის მკვლევარი ფსიქოლოგის, მარკ ფრიმენის (2011b) მიხედვით, ზოგიერთი მატრავმირებელი და განსაკუთრებით სამარცხვინო ცხოვრებისეული გამოცდილებების ნარატიულ იდენტობაში ჩართვა არც თუ ისე ადვილია, რადგან მთხრობელს (და, სავარაუდოდ, იმ ადამიანებსაც, ვინც შეიძლება ისმენდნენ ამბავს) უბრალოდ არ გააჩნია სამყაროს შესახებ ისეთი დაშვებები, კოგნიტური კონსტრუქტები ანდა საკუთარი გამოცდილებით შექმნილი კატეგორიები, რომ მომხდარში აზრი დაინახოს. ამიტომ ამგვარი მოვლენების შესახებ მოგონებები, შესაძლოა, სამუდამოდ დაიმარხოს იქ, რასაც ფრიმენი ნარატიულ არაცნობიერს უწოდებს. მეორე, ნაკლებად დრამატულ შემთხვევაში ავტობიოგრაფიული ავტორი უბრალოდ უყურადღებოდ

ტოვებს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების უარყოფით მხარეებს და გაზვიადებულიად წარმოაჩენს დადებითს: „ავად კი ვარ, დიაბეტი მაქვს, მაგრამ კიბო მაინც არ მჭირს ჩემი თანამშრომელივით“ (75 წლის მამაკაცი).

უარყოფითი ცხოვრებისეული მოვლენების თხრობის მეორე გზა მათში საზრისის დანახვაა. ამ დროს ადამიანები ექსპლიციტური ნარატიული მნიშვნელობის პოვნას ცდილობენ გადატანილ ან მიმდინარე განსაცდელში და ცხოვრების უარყოფითად შეფერილ ეპიზოდებს დადებით მნიშვნელობებს ანიჭებენ. კვლევა აჩვენებს, რომ ავტობიოგრაფიული ავტორისათვის ეს ორეტაპიანი პროცესია (Pals, 2006). პირველ ეტაპზე მთხრობელი სიღრმისეულად აანალიზებს მომხდარ უარყოფ მოვლენას, ბევრს ფიქრობს იმის შესახებ, თუ რას განიცდის ან განიცდიდა ამ მოვლენისადმი, როგორ დაემართა ეს, საით შეიძლება მიჰყავდეს მას და რა როლს შეიძლება ასრულებდეს ეს მოვლენა მისი ცხოვრების მთლიან ისტორიაში. მეორე ეტაპზე მთხრობელი მოვლენიდან დადებით გამოსავალზე საუბრობს, მკაფიოდ აღწერს მას, დროებით ასრულებს ამ მოვლენას და მომავლისკენ იკვლავს გზას. მოვუსმინოთ ერთ-ერთ რესპონდენტს (ქალი, 38):

რესპონდენტი: ავარიაში მოვყევით. ჩემი მეუღლე საჭესთან იჯდა და მძლოლი მის გვერდზე. მძლოლს არ მისცა ნება, რომ დამჯდარიყო საჭესთან მიუხედავად იმისა, რომ ის გველოდებოდა, ჩვენთან ერთად იყო ღამის სამ საათზე. მძლოლი იჯდა წინ მარჯვენა მხარეს, ჩემი მეუღლე -- საჭესთან, მე ვიყავი უკან. ძალიან დაუდევრად იქცეოდა მთელი გზა. ვეუბნებოდი, რომ არ დამთავრდებოდა ეს კარგად და ვთხოვდი, შეეცვალა ქცევა, მაგრამ არ დამიჯერა და მძიმე ავარია მოხდა. გონება არ დამიკარგავს პრაქტიკულად... რაღაც მომენტი ვერ ვხედავდი ვერაფერს. როგორც კი დავინახე რაღაც, იმის აღქმა შევძელი და დანახვა, რაც ხდებოდა და მესმოდა მძლოლის ხმა: „[რესპონდენტის სახელი], დამელაპარაკე, ხმა ამოიღე“ და ჩემი მეუღლე არ მკითხულობდა საერთოდ, დაკავებული იყო თავისი თავის გადარჩენით. ამტვრევდა შუშას, რომ გადასულიყო მანქანიდან. არ მოუხედავს ჩემკენ, არ გავხსენებოვარ იმ მომენტში. ეს იყო პირველი ძალიან სერიოზული შოკი, როდესაც აღვიქვი, რომ მე არ ვარ მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში თავის გარდა არავინ ახსოვდა.

ინტერვიუერი: როგორი შეგრძნება იყო ამის აღქმა?

რესპონდენტი: სიცარიელის შეგრძნება იყო, აბსოლუტური სიცარიელის და ფუჭად განვლილი ცხოვრების და დიდი იმედგაცრუების, მაგრამ მოგვიანებით იმას დავაბრალებ, რომ სტრესული მომენტი იყო, როცა თვითგადარჩენის ინსტინქტი ყველაზე ძლიერია და ამასაც რაღაცა ახსნა მივეცი, მაგრამ ფაქტია, რომ გვერდით მყოფი ორი კაციდან ყველაზე ახლობელმა ადამიანმა არ მომიკითხა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. ეს იყო პირველი შოკი. ეს იყო პირველი შენჯღღრევა,

რომ მივხვდი... მანამდე ბევრი უსიამოვნება, ბევრი უთანხმოება იყო, მაგრამ ვცდილობდი, კონფლიქტი არ ყოფილიყო, მაგრამ უსიამოვნება იყო. ამას მე თვითონ ვერეოდი და ვცდილობდი, რაღაცნაირად შემენყო ჩემი საქციელი, ისე წამეყვანა ცხოვრება, რომ აღარ ყოფილიყო ასე. კონფლიქტური სიტუაციები მინიმუმამდე დამეყვანა. მანამდე ეს დიდად არ გამჭირვებია, მაგრამ იმ მომენტში, როცა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ხარ და არ გკითხულობს შენი ცხოვრების მეგობარი, უკვე დიდი კითხვის ნიშნები გაჩნდა.

ინტერვიუერი: ეს ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან, როგორ ფიქრობთ, რას ამბობს პირადად თქვენზე ან თქვენი ცხოვრების შესახებ?

რესპონდენტი: ფაქტია, რომ მე ვერ ვერკვეოდი ამ ადამიანში. არ ვიცოდი, ვის გვერდზე ვცხოვრობდი, რეალურად, ჩემს წარმოდგენებთან უფრო ვცხოვრობდი, ვიდრე იმ რეალურად ადამიანთან, ვინც იყო... თუმცა ამ შემთხვევის შემდეგ რაღაც ახალი უნარები გამიჩნდა. უფრო ლოიალური გავხდი ადამიანების მიმართ. ვიცი, რომ ყველას აქვს თავისი შესაძლებლობა. იმაზე მეტი არ უნდა მოთხოვო, ვიდრე მას შეუძლია. არ უნდა მოთხოვო უბრალოდ. ადამიანებს აქვთ შეცდომების დაშვების უფლება. უფრო ლოიალური გავხდი პრინციპში ამ ყველაფრის შემდეგ, ვიდრე აგრესიული, გულჩათხრობილი, დეპრესიული და ა. შ. და რაც მთავარია, ასე დაიწყო ჩემი ქორწინების დასასრული. ის ავარია რომ არა, კიდევ დიდხანს ვიცხოვრებდი ილუზიებში.

უარყოფითი მოვლენებისა და მძიმე ცხოვრებისეული ტრანსფორმაციული გამოცდილებების თხრობის ინტენსიური კვლევა (Lilgendahl & McAdams, 2011) მიუთითებს, რომ უარყოფითი გამოცდილების სიღრმისეულად გააზრება მეტ ფსიქოლოგიურ მონიფესტაციასა და პიროვნულ ზრდას უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, გენერაციულობასთან ასოცირდება (Khechuashvili, 2019). არსებული კვლევების მიხედვით, როდესაც ავტობიოგრაფიული ავტორები მძიმე ცხოვრებისეულ მოვლენებს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ჰყვებიან, უკეთ გრძნობენ თავს (ხეჩუაშვილი, 2016c; Khechuashvili, 2014b) და უფრო ბედნიერებიც არიან.

გენერაციულობისა და ნარატიული იდენტობის ურთიერთმიმართების მრავალწლიანი კვლევით (McAdams, 2015) მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მაკადამსი აღწერს ექვს გამორჩეულ თემას (ხეჩუაშვილი N 9.2), რომელთა ერთობლიობაც ქმნის განზოგადებულ და იდეალიზებულ სცენარს გენერაციული ადამიანების ცხოვრების ისტორიისათვის, და ამ სცენარს იგი *მაკომპენსირებელ სელფს (Self)*⁸⁴ (1993; 2013c; 2015) უწოდებს. ცხადია, ყველა ცხოვრების ისტორია ზუსტად არ ეთანადება აღწერილ სცენარს, თუმცა, როგორც კვლევა ადასტურებს

⁸⁴ Redemptive Self. დეტალური აღწერა იხ. McAdams, 2013c, 2015.

(McAdams, 2015), უფრო გენერაციული ადამიანების ამბებში ნაკლებად გენერაციულების ამბებზე ხშირად ვხვდებით ნარატივებში გამოვლენილ თემებს (იხ. **ხსრილი N 9.3**).

9.2. რუმინაციიდან გენერაციულობისაკენ: პოსტტრავმული ზრდის გამაშუალებელი ეფექტი

ადამიანი როცა მორჩება იმ სასჯელს, რაც მიუსაჯეს, პირველი რაც არის, ცხოვრება უნდა დაიწყო თავიდან და ის ყველა შენი შეცდომა უნდა დაჯდე და გაანალიზო. ბევრ ადამიანს გარეთ გამოსვლის შემდეგ ყველაფერი ავინყდება, რაც იქ გაიარა. ნამება, ჩხუბი... ის არც მე არ მახსოვს, მაგრამ ძირითადი ხომ მახსოვს არა? ანუ რატომ გავიარე, რა გავიარე და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე. ციხეში წასვლის არ მეშინია, არასდროს არ მშინებია, თორემ არც წავიდოდი, მაგრამ ისე უნდა წაიყვანო შენი თავი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში აღარ მოხვდე. ანუ, პირველ რიგში, ანალიზი უნდა გაკეთდეს შენი პრობლემების, შენი შეცდომების (მამაკაცი, 35).

მთხრობელი რეფლექსიურ გადამუშავებაზე, სხვა სიტყვებით, მიზანმიმართულ რუმინაციაზე საუბრობს, რომელსაც მძიმე, არანორმატიული გამოცდილებების შემდეგ სათანადოდ გააზრებისა და გადამუშავების შემთხვევაში პიროვნული ზრდისკენ მიჰყავს ადამიანი, და იგი სხვებზეც ზრუნავს. იმავე რესპონდენტმა გვითხრა:

უფრო იმიტომ დავთანხმდი [კვლევაში მონაწილეობას], რომ... მე კი არ მჭირდებოდა, ვთქვათ, რომ ჩემი ამომელო; იმიტომ დავთანხმდით, თუ გამოადგება, ალბათ, ვინმეს. მართლა მინდა რა, ალაღად მინდა, რომ შეიძლება ვიღაცა... ისეთი კვლევა დაიდოს, რომ ვიღაცას საერთოდ აზრი შეაცვლევინოს და საერთოდ აღარ წავიდეს იქითკენ.


ადამიანები ხშირად ჰყვებიან ამბავს იმის შესახებ, თუ სტრესული/მატრავმირებელი გამოცდილების შემდეგ როგორ გადააფასეს ბევრი რამ ცხოვრებაში, პიროვნულად გაძლიერდნენ და სხვებზე დაინყეს ზრუნვა, იქნება ეს ოჯახის შექმნა და შვილების აღზრდა, მომავალი თაობის სწავლება და მენტორობა, როგორც ზემოთ მოცემული ამონარიდის ავტორი ამბობს, საკუთარი ისტორიის სხვებისათვის, როგორც ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილისა და გაფრთხილების, გაზიარება. ასეთმა ამბებმა მაფიქრებინა, რომ გარკვეული კავშირი შეიძლება არსებობდეს სტრესული/მატრავმირებელი გამოცდილების შედეგად სამყაროს შესახებ ბაზისურ დაშვებებს, მომხდარის რეფლექსიურ გადამუშავებას, პოსტტრავმულ ზრდასა და გენერაციულ მისწრაფებებს შორის.

სხრილი N 9.3. მაკომპენსირებელი სელფის (Self) შემადგენელი ექვსი თემა: ჩვეული სცენარი უაღრესად გენერაციული მოზრდილების მიერ მოთხრობილი ცხოვრების ნარატივისათვის

თემა	აღწერა
როგორ იწყება ამბავი?	
1. ადრეული უპირატესობა „გამორჩეული, განსაკუთრებული ვარ“	პროტაგონისტს ცხოვრების ადრეულ ეტაპზე აქვს გასაკუთრებული მადლის, ნიჭის, შესაძლებლობის, საჩუქრისა თუ გამორჩეულობის გამოცდილება, რაც მას უპირატესობის სუბიექტურ განცდას უჩენს.
2. სხვების ტანჯვა „ჩემ გვერდით არსებობენ სხვები, რომლებიც იტანჯებიან“	პროტაგონისტი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე სხვების ტკივილისა და ტანჯვის მოწმე ხდება, ემპათიას ავლენს მათდამი, ანდა სოციალური წარუმატებლობისადმი, უსამართლობისადმი, ჩავვრისადმი, დიკრიმინაციისა და მსგავსი გამოცდილებისადმი სენსიტიური ხდება.
3. მორალური სიმტკიცე „მე უნდა ვემსახურო ამ დატანჯულ ადამიანებს და რაღაც უკეთესობისაკენ უნდა შევცვალო მათთვის“	გარკვეული ძიებისა და კითხვების დასმის შემდეგ, რაც ხშირად მოზარდობის პერიოდში ხდება, პროტაგონისტი პიროვნულ იდეოლოგიას იყალიბებს და მისი ერთგული ხდება. მისი ღირებულებები მთელი ისტორიის განმავლობაში მყარი, მკაფიოდ ფორმულირებული და ყოველდღიური ცხოვრებისადმი უაღრესად რელევანტური რჩება.
როგორ ვითარდება ქარგა?	
4. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა „დავეცი, მაგრამ უფრო ძლიერი წამოვდექი“	ცხოვრებაში ცუდი ამბები ხდება, მაგრამ მათ კარგი ამბები მოჰყვება. უარყოფით ცხოვრებისეულ მოვლენებს დადებითი შედეგები აკომპენსირებს, ან ამ უარყოფით გამოცდილებებში მთხრობელი დადებით მნიშვნელობას პოულობს.
5. ძალაუფლება და სიყვარული „სამსახურსა და ოჯახს შორის შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა გადავანაწილო“	პროტაგონისტი ძალაუფლებისა (საკუთარი თავის წინ ნაწევრისა და გაუმჯობესების) და სიყვარულის (სხვებთან კავშირის) ძლიერი და ურთიერთკონკურენტული მოტივაციით ხასიათდება. ზოგიერთ ამბავში ურთიერთდაპირისპირებულ იმპულსებს ინდივიდი კონფლიქტამდე და დაძაბულობამდე მიჰყავს, ზოგში კი მთხრობელი ახერხებს ამ დაძაბულობისგან თავის დაღწევასა და ძალაუფლებისა და სიყვარულის ინტეგრირებას.
როგორ მთავრდება ამბავი?	
6. პოზიტიური მომავალი „მომავალს ოპტიმიზმითა და იმედით შევყურებ“	როდესაც მომავლისკენ იყურება, მთხრობელი ოპტიმიზმსა და პროსოციალურ ერთგულებას ხედავს, რაც სამყაროს უკეთეს ადგილად გარდაქმნისკენ სწრაფვაში განსხეულდება. მისი ამბავი მომავალ ზრდასა და ნაყოფიერებას ადასტურებს.

შენიშვნა: ცხრილი ადაპტირებულია წყაროდან McAdams, 2015.

სწორედ ამ კავშირების ძიებას ეძღვნება ამ ქვეთავში აღწერილი კვლევა. უფრო კონკრეტულად, კვლევის ამ მთლიანად რაოდენობრივ ნაწილში სქემაზე წარმოდგენილი მოდელის (იხ. **სურათი N 9.1**) შემოწმება დავისაზე მიზნად. აღნიშნული მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ მომხდარი ამბის რეფლექსიური გადამუშავება, სხვა სიტყვებით, რუმინაცია მომხდარში აზრის დანახვას მოიაზრებს და ინდივიდს პროფუნული ზრდისკენ უბიძგებს, როგორც ამას პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელი გვეუბნება (Tedeschi, & Calhoun, 2004; Jayawickreme, & Blaikie, 2014). ეს, თავის მხრივ, მოზრდილებში აღვიძებს ან/და აძლიერებს გენერაციულ მისწრაფებებსა და საფიქრალს. ერთი მხრივ, პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციულმა მოდელმა (Tedeschi, & Calhoun, 2004) და რუმინაციისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართების შესახებ არსებულმა ემპირიულმა მონაცემებმა (Taku, Cann, Tedeschi & Calhoun, 2009) და, მეორე მხრივ, გენერაციულობის თეორიამ და არსებულმა კვლევებმა (McAdams, 2015; McAdams, & Aubin, 1992; McAdams, Hart, & Maruna, 1998) მაფიქრებინა, რომ მოდელში გენერაციულობა შედეგის ცვლადად შემეტანა.



სურათი N 9.1. მრავლობითი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები მოდელში

როდესაც სტრესული/ტრავმული გამოცდილება საკითხავს ხდის და საფრთხეს უქმნის ინდივიდის ბაზისურ რწმენას სამყაროს შესახებ,⁸⁵ ეს მას გამოცდილების კოგნიტური გადაშეშვებისაკენ უბიძგებს. ამ დროს ინდივიდი სიღრმისეულად იაზრებს მომხდარს და საკუთარი რწმენის რეორგანიზაციისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობას ხედავს (Connerty & Knott, 2013; Lilly & Pierce, 2013).

ნარატიული იდენტობის მოდელში ცხოვრებისეული მოვლენების სიღრმისეულად გააზრებას, მათში მნიშვნელობის დანახვასა და საკუთარ იდენტობასთან დაკავშირების კოგნიტურ პროცესს ავტობიოგრაფიულ მსჯელობას უწოდებენ. ტრანსფორმაციულ მოდელში ამ პროცესის აღსანიშნად მკვლევრებმა (Cann, Calhoun, Tedeschi, Triplett, Vishnevsky, & Lindstrom, 2011) შემოიტანეს ტერმინი *რუმინაცია*, რომელიც განმეორებით ფიქრს, „კოგნიტურ საღებავ რეზინს“ აღნიშნავს. ამგვარი განმეორებითი ფიქრი შეიძლება მოიცავდეს არასასურველ ინტრუზიურ (ცნობიერებაში უნებლიეთ შემოჭრილ) აზრებს, რომლებსაც, უპირატესად დისტრესის მანიშნებლებად მიიჩნევენ. თუმცა ამ დროს შეინიშნება შედარებით კონტროლირებადი, მომხდარში აზრისა და მნიშვნელობის დანახვაზე ორიენტირებული აზრებიც (Watkins, 2008). ამრიგად, განასხვავებენ ორგვარ რუმინაციას: (ა) ინტრუზიული რუმინაცია მოვლენის შესახებ უნებლიეთ, სპონტანურად შემოჭრილი აზრების სახით ვლინდება, (ბ) მიზანმიმართული რუმინაცია კი გამოცდილების შესახებ მიზანმიმართულ, დეტალურ ფიქრს წარმოადგენს, რომელიც ამ გამოცდილებაში აზრის დანახვასა და ინდივიდის ცხოვრებისათვის მნიშვნელობის პოვნის მიზანს ემსახურება (Calhoun, Cann, & Tedeschi, 2010; Cann et al., 2011; Zhou, Wu, & Chen, 2015). კვლევა აჩვენებს, რომ მიზანმიმართულ რუმინაციას სანდოდ წინასწარმეტყველებს ინტრუზიული აზრები (Calhoun, et al., 2010; Cann et al., 2011) და ეს მჭიდროდ ასოცირდება შემდგომ პოსტტრავმულ ზრდასთან (Cann, Calhoun, Tedeschi, & Solomon, 2010).

რაც შეეხება გენერაციულობას: გენერაციული საფიქრალი, როგორც ნე-სი, შუა ხნის მოზრდილობის პერიოდთან ასოცირდება (Erikson, 1963) და ამ პერიოდის ცენტრალურ საკითხად მიიჩნევა, და მასზე, როგორც ცხოვრების განმავლობაში გამოკვეთილ ინდივიდუალურ თავისებურებაზე, შეგვიძლია ვისაუბროთ (მაგალითად, იხ. Brady & Hapenny, 2010; Hill, Burrow, Brandenberger, Lapsley, & Quaranto, 2010). გარდა ამისა, ვინაიდან პოსტტრავმული ზრდა ზოგადად ცხოვ-

⁸⁵ ინდივიდის მოქმედებების წარმართველი რწმენისა და სამყაროს შესახებ დაშვებების ნაკრები, რომელიც მას მომხდარის მიზეზებისა და მნიშვნელობის გაგებასა და გააზრებაში ეხმარება (Linley & Joseph, 2004; Lindstrom, Cann, Calhoun, & Tedeschi, 2013; Tedeschi & Calhoun, 2004).

რების ფილოსოფიასა და სხვა ადამიანებთან მიმართების ცვლილებებს მოიაზრებს (Tedeschi & Calhoun, 2004), შესაძლოა, ეს გენერაციული მისწრაფებებისთვის, ქმედებებისა და თხრობისათვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენდეს.

დღეისათვის კარგად არის ნაკვლევითი გენერაციულობის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების მიმართება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდასთან (Rothrayff & Cooney, 2008), რელიგიურ და პოლიტიკურ აქტივობასთან (McAdams, 2011), პიროვნულ ნიშნებთან (Newton, Herr, Pollack, & McAdams, 2014), მშობლობის პატერნებთან (Newton & Baltys, 2014), იდენტობასთან (Alisat, Norris, Pratt, Matsuba, & McAdams, 2014), საზრისის ძიებასთან (de St. Aubin, 2013), ასაკში შესვლასთან (Versey & Newton, 2013), კულტურულ კონტექსტებსა და სოციალიზაციასთან (Jones & McAdams, 2013; de St. Aubin & Bach, 2015) და ცხოვრების ისტორიებთან (McAdams, 2015; McAdams & Guo, 2015), თუმცა ძალიან მწირია კვლევები გენერაციულობასა და ისეთი სტრესული, ტრანსფორმაციული გამოცდილებების შემდეგ პიროვნებაში მომხდარი დადებითი ცვლილებების ურთიერთმიმართების შესახებ, როგორებიცაა მოვლენასთან დაკავშირებული რუმინაცია და პოსტტრავმული ზრდა. როდესაც ამ მიმართულებით სტატისტიკისა და კვლევების მოძიება დავიწყებ, მხოლოდ ერთ გამოქვეყნებულ კვლევას ნახავთ (Bellizzi, 2004), რომლის მიხედვითაც, გენერაციული ზრუნვა დადებითად უკავშირდებოდა პოსტტრავმულ ზრდას მკერდის სიმსივნეს გადარჩენილ ქალებში.

ამრიგად, კვლევის ამ ნაწილში ერთმანეთთან დავაკავშირებ, ერთი მხრივ, ტრანსფორმაციული მოდელის ჭრილში დანახული რუმინაცია და პოსტტრავმული ზრდა და, მეორე მხრივ, გენერაციულობა. ვფიქრობ, რომ მატრავმირებელი გამოცდილების შემდეგ პიროვნებაში მომხდარი ისეთი დადებითი ცვლილებები, როგორებიცაა სხვებთან ურთიერთობის გაუმჯობესება, პიროვნული ზრდა, ცხოვრების მეტად დაფასება და ეგზისტენციალურ-სპირიტუალური საკითხების უფრო სიღრმისეული გააზრება, შესაძლოა, გენერაციულობის ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენდნენ; გენერაციულობა კი, თავის მხრივ, გენერაციული განზრახვებისა და ქცევების სახით იჩენს თავს. აქედან გამომდინარე, კვლევის ეს ნაწილი მიზნად ისახავდა მოვლენასთან დაკავშირებული რუმინაციის, პოსტტრავმული ზრდისა და ინდივიდის ბაზისური რწმენისათვის⁸⁶ შექმნილი საფრთხის ურთიერთმიმართებისა და ამ სამი მოვლენის გენერაციულობაზე პირდაპირი და გაშუალებული გავლენის შესწავლას.

⁸⁶ ბაზისური რწმენები ანუ დაშვებები სამყაროს შესახებ წარმოდგენების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანებს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მიმართულების განცდას ანიჭებენ. ეს არის იმ ყველაფრის გამაერთიანებელი, მონესრიგებელი სქემა, რასაც ინდივიდი, საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდნობით, სამყაროსა და საკუთარი თავის

9.2.1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის ამ სერიაში თსუ-ს სტუდენტებიდან (ონლაინ) და გენერალური პოპულაციიდან შემთხვევითი ალბათური და ხელმისაწვდომი შერჩევის პროცედურებით შერჩეული 214 მოხალისე მონაწილეობდა (საშუალო ასაკი = 23.1(6.1) წელი, დიაპაზონი 18 – 55 წელი, მედიანა = 21, მოდა = 20), რომელთაგან 176 (82.2%) ქალი იყო (შერჩევის 89.7% დასაოჯახებელი იყო, 9.3% – დაქორწინებული, 0.9% კი განქორწინებული. კვლევის მონაწილეთა ნახევარს (54.2%) ჰქონდა უმაღლესი განათლება (ხუთწლიანი საბჭოთა დიპლომი, ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა), მესამედი (36.4%) სტუდენტი იყო, 9.3%-მა კი აღნიშნა, რომ არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული.

რაც შეეხება ყველაზე ინტენსიურ ტრავმულ გამოცდილებას ბოლო ორი წლის განმავლობაში, მონაწილეთა 37.3%-მა ახლობელი ადამიანის გარდაცვალება დაასახელა, 21%-მა მეუღლესთან ან პარტნიორთან დაშორება, 12%-მა ოჯახური კონფლიქტები, 11%-მა იმედგაცრუება, ლალატი, ტყუილი ან უსამართლო მოპყრობა, 9.3%-მა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (ტრავმა ან ავადმყოფობა), 4%-მა ომი და იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება, დანარჩენი (პიროვნული წარუმატებლობა, ფინანსური მდგომარეობის ცვლილება განქორწინება, დაშორება, ოჯახის ახალი წევრის შემომატება) 21.3% კი გავეერთიანეთ კატეგორიაში „ცხოვრების პირობების ცვლილებები“.

ინტრუზიული და მიზანმიმართული რუმინაციის გასაზომად მოვლენასთან დაკავშირებული რუმინაციის კითხვარის (Cann et al., 2011) ქართული ვერსია (Khechuashvili, 2019) გამოვიყენეთ, რომელშიც კვლევის მონაწილეებს 4-ქულიანი სკალის (0 = სრულიად არა და 3 = ხშირად) გამოყენებით 20 დებულებაზე ($\alpha = .96$) მოეთხოვებოდათ პასუხის გაცემა. მათგან 10 დებულება ინტრუზიულ რუმინაციას ზომავდა (მაგალითად, „მოვლენის შესახებ ფიქრები, მოგონებები ან ხატები

შესახებ ფიქრობს. ფაქტობრივად, ეს არის დროთა განმავლობაში შექმნილი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ ჩვენს მოლოდინს აერთიანებს (Beder, 2005). ჯანოფ-ბალმენი (Janoff-Bulman, 1992) სამ ასეთ ბაზისურ დაშვებას ანუ რწმენას აღწერს: (ა) სამყარო კეთილგანწყობილია. ეს დაშვება გულისხმობს, რომ სამყარო კეთილი ადამიანებით დასახლებული კარგი ადგილია და ამ ადამიანებს კეთილი განზრახვები ამოძრავებთ, ამბები კი, როგორც წესი, კარგად მთავრდება; (ბ) სამყაროს აქვს აზრი, რაც ნიშნავს იმას, რომ, რაც ხდება, რალაც მნიშვნელობის მატარებელია, მოვლენებისა და მათი შედეგები კი მიზეზშედეგობრივად ურთიერთდაკავშირებულია. (გ) მე ღირებული ვარ, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ საკუთარ თავს კარგ, უნარიან და მორალურ ინდივიდებად აღვიქვამთ. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზისური დაშვებები ანუ რწმენა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ კარგი ადამიანები ვართ, რომლებიც კეთილგანწყობილ, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე საგნებითა და მოვლენებით სავსე სამყაროში ცხოვრობთ.

მაშინაც მომდიოდა თავში, როცა არ მსურდა ეს“), დანარჩენი 10 კი მიზანმიმართულ რუმინაციას (მაგალითად, „ვაიძულებდი საკუთარ თავს, რომ გავემკლავებოდი ამ მოვლენით გამონვეულ გრძნობებს“).

ბაზისური რწმენების კითხვარის (Cann, Calhoun, Tedeschi, Kilmer, et al., 2010) ქართული ვერსია იმ ბაზისური რწმენების გასაზომად გამოვიყენეთ, რომლებიც საყოყმანო გახადა რესპონდენტების ცხოვრებაში მომხდარმა სტრესულმა მოვლენებმა. კითხვარი ცხრა დებულებისაგან შედგება ($\alpha = .83$) და რესპონდენტებს მოეთხოვებათ, 6-ქულიან სკალაზე (სადაც 0 = არავითარი ცვლილება არ მომხდარა და 5 = ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა) შეაფასონ, რამდენად უბიძგა გადატანილმა სტრესულმა მოვლენამ საკუთარი ბაზისური რწმენების გადაფასებისაკენ.

პოსტტრავმული ზრდა *პოსტტრავმული ზრდის კითხვარის განახლებული ქართული ვერსიით (Khechuashvili, 2018)* გავზომეთ, რომელიც 25 დებულებისაგან ($\alpha = .94$) შედგება და ზუსტად იმეორებს ორიგინალური ინსტრუმენტის ხუთფაქტორიან სტრუქტურას და პიროვნული ზრდის სამ სფეროს ზომავს (Tedeschi & Calhoun, 2004).⁸⁷

გენერაციულობისათვის მოზრდილებში გენერაციულობის ინდივიდუალური განსხვავებების საზომი ორი ინსტრუმენტი (McAdams & de St. Aubin, 1992; McAdams, et. al., 1998) – ლოიოლას გენერაციულობის სკალისა და გენერაციული ქცევების სიის ქართული ვერსიები – გამოვიყენეთ (Khechuashvili, 2019). პირველი 20 დებულებისაგან ($\alpha = .84$) შედგება და რესპონდენტებს მოეთხოვებათ თითოეული დებულება საკუთარ პიროვნებასთან თანხვედრის ხარისხის მიხედვით შეაფასონ 4-ქულიან სკალაზე (სადაც 0 ნიშნავს იმას, რომ დებულება არასოდეს შეესაბამება და 3 – დებულება ძალიან ხშირად ან თითქმის ყოველთვის შეესაბამება რესპონდენტს). მეორე ინსტრუმენტი 50 დებულებას ($\alpha = .85$) შეიცავს და კონკრეტული ქცევისა თუ ქმედების (მაგალითად, „ახალგაზრდა ადამიანს მაგალითი მივეცი“) განხორციელების სიხშირეს 3-ქულიანი სკალის (სადაც 0 ნიშნავს იმას, რომ რესპონდენტს დასახელებული ქცევა საერთოდ არ განუხორციელებია ბოლო ორი თვის განმავლობაში და 3 – რესპონდენტს დასახელებული ქცევა ერთ ჯერზე მეტად განუხორციელებია ბოლო ორი თვის განმავლობაში) გამოყენებით ზომავს.

⁸⁷ ინსტრუმენტის შესახებ მეტი იხ. **ქვეთავში 6.1.2.**

9.2.2. შედეგები და ინტერპრეტაცია

გენერაციულობაზე ბაზისური რწმენების გამონვევის, ინტრუზიული და მიზანმიმართული რუმინაციისა და პოსტტრავმული ზრდის პირდაპირი და გაშუალებული გავლენების (ხსრილი N 9.4), მატრავმირებელი მოვლენის გაკონტროლების პირობებში) სანახავად ოთხი ლატენტური ცვლადის გამოყენებით აიგო ჰიპოთეზური მოდელი (სურათი N 9.1). ეს მოდელი კარგად ერგება მონაცემებს და სრულიად მისაღებია ($\chi^2(2) = 2.185, p = .335, CFI = 1.000, TLI = .998, RMSEA [90\% CI] = .021 [.000, .139], SRMR = .000$). მოდელში შემავალი ცვლადების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტის სანახავად 95%-იანი ნდობის ინტერვალის პირობებში bias-corrected bootstrap კრიტერიუმი გამოვიყენეთ (MacKinnon, Lockwood, & Williams, 2004). მოდელში (სურათი N 9.1) პირდაპირი ეფექტები უწყვეტი ისრებით არის აღნიშნული, არაპირდაპირი (გაშუალებული) ეფექტები კი – წყვეტილით. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, მიზანმიმართული რუმინაცია აშუალებს ინტრუზიული რუმინაციის დადებით ეფექტს პოსტტრავმულ ზრდაზე, რომელსაც, თავის მხრივ, უაღრესად სტრესული გამოცდილების შემდგომ ბაზისური რწმენებისადმი გამონვევა აღძრავს. ფაქტობრივად, ეს შედეგი იმეორებს არსებულ კვლევებში მიღებულ სურათს (იხ. Zhou, et. Al., 2015; Janoff-Bulman, 2006). რაც შეეხება რუმინაციიდან გენერაციულობისკენ მიმავალ გზას, პოსტტრავმული ზრდა ნაწილობრივ აშუალებდა მიზანმიმართული რუმინაციისა და გენერაციული საფიქრალის ურთიერთკავშირს.

ხსრილი N 9.5 ასახავს bias-corrected bootstrap ტესტის შედეგებს, რომლებიც საკვლევ ცვლადებს შორის პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირებს გვიჩვენებს. ტრაექტორიის ანალიზმა ცხადყო, რომ ბაზისური რწმენების რყევის საფრთხე უშუალოდ ზემოქმედებს ინტრუზიულ აზრებზე, რომლებიც, თავის მხრივ, პირდაპირ ზემოქმედებს მიზანმიმართულ რუმინაციაზე და შემდეგ პირდაპირ გავლენას ახდენს პოსტტრავმულ ზრდაზე. რაც შეეხება არაპირდაპირ (გაშუალებულ) ეფექტებს, ბაზისური რწმენის რყევის საფრთხისა და მიზანმიმართულ რუმინაციის შორის ურთიერთკავშირი ნაწილობრივ იყო გაშუალებული ინტრუზიული რუმინაციით, ხოლო მიზანმიმართული რუმინაცია სრულად აშუალებდა ინტრუზიული რუმინაციისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთკავშირს; ამ უკანასკნელით კი, ნაწილობრივ, გაშუალებული იყო მიზანმიმართული რუმინაციის ზეგავლენა გენერაციულობაზე.

ხსრილი N 9.4. საშუალო მაჩვენებლები, სტანდარტული გადახრები და კორელაციები (მატრავმირებული მოვლენის ტიპის გაკონტროლების პირობებში): ბაზისური რწმენები-სადმი გამონვევა, ინტრუზიული რუმინაცია, მიზანმიმართული რუმინაცია, პოსტტრავმული ზრდა და გენერაციულობა

ცვლადები	1	2	3	4	M (SD)
1. ბაზისური რწმენების გამონვევა					25.8 (12.2)
2. ინტრუზიული რუმინაცია	.49				18.9 (9.4)
3. მიზანმიმართული რუმინაცია	.61	.65			18.2 (8.9)
4. პოსტტრავმული ზრდა	.65	.40	.58		60.6 (29.3)
5. გენერაციულობა	.36	.35	.42	.44	49.0 (16.3)

შენიშვნა: $p = .000$

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, მიზანმიმართული რუმინაცია აშუალებს ინტრუზიული რუმინაციის დადებით ეფექტს პოსტტრავმულ ზრდაზე, რომელსაც, თავის მხრივ, უაღრესად სტრესული გამოცდილების შემდგომ ბაზისური რწმენებისადმი გამონვევა აღძრავს. ფაქტობრივად, ეს შედეგი იმეორებს არსებულ კვლევებში მიღებულ სურათს (იხ. Zhou, et. al., 2015; Janoff-Bulman, 2006). რაც შეეხება რუმინაციიდან გენერაციულობისკენ მიმავალ გზას, პოსტტრავმული ზრდა ნაწილობრივ აშუალებდა მიზანმიმართული რუმინაციისა და გენერაციული საფიქრალის ურთიერთკავშირს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად სტრესული მოვლენა ხდება, იგი უნებლიეთ, საკუთარი სურვილისგან დამოუკიდებლად, იწყებს ამ გამოცდილებაზე ფიქრს, რაც შემდგომ მიზანმიმართულად ამახვილებინებს ყურადღებას ამ მოვლენაზე – იგი შეგნებულად იწყებს ამ მოვლენის მისი პიროვნებისა და ცხოვრებისათვის მნიშვნელობისა და შედეგების გააზრებას ანუ მიზანმიმართულ რუმინაციას. ეს უკანასკნელი ინდივიდს საკუთარი თავის, სხვებთან ურთიერთობებისა და ზოგადად ცხოვრების ფილოსოფიის ხელახლა საფუძვლიანად გააზრებისა და გადაფასებისკენ, ერთი სიტყვით, პოსტტრავმული ზრდისკენ (Tedeschi & Calhoun, 2004) უბიძგებს. პოსტტრავმული ზრდის კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის ხუთივე მახასიათებელი გულისხმობს იმას, რომ ინდივიდი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იწყებს ფოკუსირებას, როგორებიცაა სხვებზე ზრუნვა, ცხოვრების დაფასება, სულიერი და პიროვნული სიძლიერე. ყველაფერი ეს კი გენერაციული საფიქრალისა და ქცევის არსებით წინაპირობებს წარმოადგენს (McAdams, 2015; McAdams & de St. Aubin, 1992; Erikson, 1963). ამრიგად, პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ხუთიდან ნებისმიერ სკალაზე მაღალ მაჩვენებლებს გენერაციულობის საზომებზე მაღალი მაჩვენებლებისაკენ მიყვავართ და სანდოდ წინასწარმეტყველებს იმას, თუ რამ-

დენად ფიგურირებს ინდივიდის ცხოვრებაში გენერაციული საფიქრალი და ქცევა. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ პოსტტრავმული ზრდა არ განხორციელდება კოგნიტური გადამუშავების ანუ რუმინაციის პროცესების გარეშე.

სხრილი N 9.5. Bias-Corrected Bootstrap მედიაციური ეფექტისათვის: ბაზისური რწმენებისადმი გამონვევა, ინტრუზიული რუმინაცია, მიზანმიმართული რუმინაცია, პოსტტრავმული ზრდა და გენერაციულობა

კავშირები	β	90 % ნდობის ინტერვალი	
		დაბალი	მაღალი
პირდაპირი კავშირები			
CBI-IR	.49**	.255	.475
CBI-DR	.38**	.180	.377
CBI-PTG	.48**	.847	1.554
IR-DR	.46**	.332	.548
IR-PTG	-.03	-.563	.409
DR-PTG	.31**	.390	1.529
PTG-GEN	.30*	.137	.278
არაპირდაპირი კავშირები			
CBI-IR-DR	.38**	.121	.231
CBI-IR-DR-PTG	.48**	.217	.703
CBI-PTG-GEN	.36**	.321	.603
IR-DR-PTG	-.03*	.187	.728
IR-DR-PTG-GEN	.35*	.113	.391
DR-PTG-GEN	.25**	.054	.367

შენიშვნა: CBI – ბაზისური რწმენებისადმი გამონვევა, PTG – პოსტტრავმული ზრდა, IR – ინტრუზიული რუმინაცია, DR – მიზანმიმართული რუმინაცია, GEN – გენერაციულობა.

* $p < .05$, ** $p < .01$

ამრიგად, სტრესული მოვლენით აღძრულ რუმინაციას მეტ გენერაციულობამდე მივყავართ, თუმცა ეს კავშირი უფრო ძლიერია და უფრო მეტი გენერაციული საფიქრალი/ქცევა გვექნება, როდესაც ეს კავშირი პოსტტრავმული ზრდით არის გაშუალებული. სხვა სიტყვებით, რამდენიც უნდა ვიფიქრო და ვიმსჯელო მომხდარ მოვლენაზე, ვერ გავხდები უფრო გენერაციული, თუ ამ რეფლექსიამ პიროვნულად არ გამზარდა.

9.3. ალტერნატიული მასტერნარატივი – გზა გენერაციულობისაკენ

როგორც მაკადამსი (2015) ამბობს, გენერაციული მოზრდილები ნებისმიერ კულტურაში ამ კულტურაში მიღებული ნორმების მატარებლები და მიმართულების მიმცემნი არიან. ისინი აყალიბებენ მომავალ თაობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ გენერაციული მოზრდილები უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ცხოვრების გზაც მაქსიმალურად მიჰყვება მოცემულ კულტურაში დომინირებულ მასტერნარატივს და მათი ცხოვრების ისტორიებიც ანუ ნარატიული იდენტობებიც უმეტესწილად, ნორმატიული მოვლენებისაგან უნდა შედგებოდეს.

...მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ არც ერთ ნორმატიულ ჯგუფში არ ვარ ანუ ჩემი ცხოვრების ისტორია არ ეთანადება, ვთქვათ, ბიოგრაფიულ მასტერნარატივს ანუ კულტურულ სკრიპტს, მეტიც, უბრალოდ ეწინააღმდეგება მას; მაგალითად მაშინ, როდესაც არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ადამიანი ვარ, ფიზიკური ტრავმის შემდეგ ეტლში მომიხდა ჩაჯდომა, ან ისე მოხდა, რომ ციხეში გავატარე გარკვეული პერიოდი. ამ შემთხვევაში სად არის გენერაციულობის ადგილი? რამდენად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სრულიად თავსებადია ერთმანეთთან, ერთი მხრივ, გენერაციულობა, რომელიც საზოგადოების ინტეგრირებულ წევრად ყოფნასა და სხვებზე ზრუნვას გულისხმობს, და, მეორე მხრივ, ალტერნატიული მასტერნარატივით ცხოვრება, რაც იმთავითვე გამორიცხავს საზოგადოებაში დადგენილი და მიღებული წესების შესრულებას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას (ასევე, იხ. **ქვეთავი 8.4**) ჩემს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შევეცდები. პირველ ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ, როგორ ახერხებენ ადამიანები ისეთი ალტერნატიული ბიოგრაფიული მასტერნარატივის კონსტრუირებას, რომელშიც გენერაციულობასაც მოეძებნება ადგილი? მე და ჩემმა კოლეგებმა (Khechuashvili et. al., 2019) ვივარაუდეთ, რომ ადამიანები, რომლებიც საკუთარი ნარატიული იდენტობის კონსტრუირებას ალტერნატიული მასტერნარატივის მეშვეობით ახდენენ და, ფაქტობრივად, არანორმატიული ცხოვრებით ცხოვრობენ, გენერაციული მისწრაფებების, განზრახვებისა და ქცევების მეშვეობით ახერხებენ საზოგადოებაში ინტეგრირებასა და მოზრდილთა სამყაროში კუთვნილი ადგილის დაკავებას.

9.3.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ ნაწილში 60 რესპონდენტის ინტერვიუ გავაანალიზეთ (**ხსრილი N 9.6**), რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ჩაინერა მაკადამსის ცხოვრე-

ბის ისტორიის ინტერვიუს მოდიფიცირებული ვარიანტის გამოყენებით. სტანდარტულ ოქმს კითხვები რესპონდენტების გამოცდილების მიხედვით ემატებოდა (იხ. **თავი 5**).

მონაცემები შერეული მეთოდოლოგიით გაანალიზდა. ანალიზის ერთეულს მოგონება წარმოადგენდა. თითოეული რესპონდენტის მიერ მოთხრობილ 14 ამბავს (შვიდი ძირითადი სცენა, ოთხი გამონვევა და მომავლის სცენარი, სულ 840 ნარატივი) ნარატივის სტრუქტურის ($k = .95$), მნიშვნელობის შექმნის ($k = .93$), სელფისა (**Self**) და მოვლენების ურთიერთკავშირის ($k = .73$), მოვლენების ნორმატიულობისა ($k = .70$) და გენერაციულობის ($k = .70$) მიხედვით მივანიჭეთ კოდები.

ხსრილი N 9.6. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები

ჯგუფები	N	გენდერი	საშუალო ასაკი (სტ. გადახრა), დიაპაზონი
არაჰეტეროსექსუალი ინდივიდები	16	7 ქალი	22.8 (4.6), 17 – 34
ყოფილი პატიმრები	14	7 ქალი	40,3 (42,4), 34 – 57
საკონტროლო ჯგუფი	30	21 ქალი	47,6 (17), 25 – 82

9.3.2. შედეგები და ინტერპრეტაცია

9.3.2.1. რაოდენობრივი ანალიზი

როგორც მოსალოდნელი იყო (მაგალითად, იხ. Khechuashvili, 2016a; Khechuashvili, et. al., 2019; გოგიჩაიშვილი და სხვ., 2016; ჯანანაშვილი და სხვ., 2018; ხეჩუაშვილი, 2016c; 2018), ნარატივების ერთი მესამედი (28.5%) მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით იყო დალაგებული, დანარჩენის უმრავლესობას კი არც მაკომპენსირებელი სტრუქტურა გააჩნდა და არც კონტამინაციის. ამასთან, ნარატივის სტრუქტურა დამოკიდებული იყო მოგონების ტიპზე: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით რესპონდენტები მოგვითხრობდნენ, უპირატესად, უარყოფითი ცხოვრებისეული გამოცდილების, გარდამტეხი მომენტებისა და გამონვევების შესახებ ($\chi^2(10) = 29.647, p = .001$) მაშინ, როდესაც კონტამინაციას მეტად ვხვდებოდით დანაკარგისა და ბავშვობისა და მოზრდილობის უარყოფით მოგონებებში ($\chi^2(10) = 82.596, p = .000$). ამასთან, არც ნარატივის სტრუქტურა და არც მოგონების ტიპი არ უკავშირდებოდა იმას, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ რესპონდენტები.

საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელთა ნარატივების ნახევარში კარგად ჩანდა სელფისა (**Self**) და მოვლენების ურთიერთკავშირი ($\chi^2(4) = 24.195, p = .000$). რაც შეეხება დანარჩენ ორ ჯგუფს, მათთან ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლები იყო, თუმცა არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდების ამბების

მესამედი (26.2%) ადასტურებდა, რომ ისინი მიზეზშედეგობრივად უკავშირებდნენ ერთმანეთს საკუთარ იდენტობასა და მათ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, ყოფილ პატიმრებთან კი ასეთი ამბები მხოლოდ 15.8%-ს შეადგენდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე ჯგუფის შემთხვევაში ამბები, რომლებშიც კარგად იკვეთებოდა წარსულში მომხდარი მოვლენისა და აწმყო იდენტობის ურთიერთკავშირი, უპირატესად, პიროვნულ ტრანსფორმაციებს შეეხებოდა.

გარდა ამისა, არაჰეტეროსექსუალი ადამიანები უფრო მეტად ახერხებდნენ მომხდარისათვის გარკვეული მნიშვნელობის მინიჭებას, ვიდრე ყოფილი პატიმრები, თუმცა ორივე ჯგუფის მაჩვენებელი ორჯერ ნაკლები იყო საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელთან შედარებით ($\chi^2(6) = 27.806, p = .000$). ამასთან, პირველ ჯგუფში ოთხჯერ მეტი (36.3%) იყო ინსაიტის მაჩვენებელი, ვიდრე ყოფილ პატიმრებთან (8.8%), თუმცა ამ უკანასკნელთ წარსული გამოცდილების მეტი კონკრეტული გაკვეთილი ჰქონდათ ათვისებული (24% და 15%, შესაბამისად).

საინტერესო სურათი მივიღეთ გენერაციულობასთან დაკავშირებით. ყოფილი პატიმრების ამბების ორი მესამედი (79%) შეეხებოდა იმას, თუ როგორ ცდილობენ მიღწეულის შენარჩუნებასა და დაცვას მომავალი თაობისათვის მაშინ, როდესაც ამგვარი ამბები არაჰეტეროსექსუალი ადამიანების მონათხრობის მხოლოდ 8%-ს შეადგენდნენ. თუმცა ამ უკანასკნელთ არაფერი ჰქონდათ შესათავაზებელი მომავალი თაობისათვის, ყოფილი პატიმრების 1/4-საგან განსხვავებით. საინტერესოა, რომ ორივე ჯგუფი თითქმის თანაბრად იყო ორიენტირებული ახლის შექმნაზე (24% და 34%, შესაბამისად).

რაც შეეხება ნორმატიული მოვლენების სიხშირეს ნარატივებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ცოტა (20%) ნორმატიული ამბავი არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ცხოვრების ისტორიებში გვხვდებოდა, ყოფილ პატიმართა ასეთი ამბები 24%-ს შეადგენდა, საკონტროლო ჯგუფში კი ამბების ნახევარზე მეტი (55%) ემთხვეოდა ბიოგრაფიულ მასტერნარატივს ($\chi^2(2) = 8.537, p = .014$).

9.3.2.2. თვისებრივი ანალიზი

ნარატივების თემატურმა ანალიზმა ორივე სამიზნე ჯგუფში ისეთი ძირითადი თემატური ხაზები გამოავლინა, როგორებიცაა სტიგმატიზაცია და ვიქტიმიზაცია, ოჯახური ურთიერთობები, მძიმე ბავშვობა, გენერაციული მისწრაფებები, რესოციალიზაცია და იდენტობის ფორმირება. არაჰეტეროსექსუალი ინდივიდები და ყოფილი პატიმრები ხშირად მოგვითხრობდნენ ამბებს როგორც ოჯახური, ისე სხვა ადამიანების მიერ მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური და/ან ფიზიკური ძალადობის შესახებ:

ვხედავ, მამას უჭირავს ჭიქა და ჭურჭელი დამტვრეულია. უცებ წარმოიდგინე, რომ ამ ჭიქის გაქანებას აპირებდა დედაჩემისკენ, მემგონი, აპირებდა კი-

დეც და ვიყვირე, არ ესროლო-მეთქი. შემომხედა და გინება გააგრძელა. „არ ესროლო, ჭიქა დადე-მეთქი“ ვუყვირე... დანა ავიღე და ვუყვირე: „მოგკლავ-მეთქი“ და უცებ სახეში გამარტყა ხელი. ეს დანა გამივარდა. მე შენ განახებ ვინ უნდა მოკლაო, ბლაოდა შემლილივით (ქალი, 22).

ორივე ჯგუფის წარმომადგენლები მოგვითხრობდნენ სტიგმატიზებისა და ჩაგვრის შესახებ მათი სექსუალური ორიენტაციის ან პატიმრობის გამოცდილების გამო. შესაბამისად, მათი ნარატივები გაჯერებული იყო სხვადასხვაგვარი სტიგმის შესახებ მოგონებებით.

სამსახური დავინყე. სამუშაო ადგილიც გამომიყვეს და ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ჩემს ოჯახს ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. მათ არ სჯეროდათ, რომ ნამდვილად შემეძლო, რალაცისთვის მიმეღნია (ქალი, 35).

როდესაც უნივერსიტეტის საპირფარეშოში შევდიოდი, იქვე მდგარმა ბიჭებმა მითხრეს, რომ იქ არ იყო ჩემი ადგილი და ზედა სართულზე გოგოების ტუალიტისაკენ მიმითითეს (მამაკაცი, 19).

გენერაციულობა ორივე ჯგუფის ნარატივების ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა. კვლევის მონაწილეები სხვებისათვის საკუთარი გამოცდილების გაზიარების ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა სხვებს, უმეტესწილად, ახალგაზრდა თაობას, ნაკლები პრობლემა და სირთულე შეხვედროდა ცხოვრების გზაზე. ისინი ხალისით კისრულობდნენ მენტორისა და გზამკვლევის როლს და ახალგაზრდების იმ მძიმე გამოცდილებისგან დაცვას ცდილობდნენ, რომლის გადატანაც თავად მოუწიათ. ყოფილმა პატიმრებმა გაგვიზიარეს ამბები იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდა დაუშვან ადამიანებმა ისეთი შეცდომები, რომლებსაც მათი თავისუფლების აღკვეთა მოსდევს.

ინტერვიუზე საკუთარი ემოციების გამოსანიავებლად კი არ დაგეთანხმეთ, არამედ იმიტომ, რომ იქნებ ვინმეს გამოადგეს ჩემი ამბავი... ნამდვილად მინდა, რომ ჩემი ამბის მოსმენის შემდეგ ერთ ადამიანს მაინც შეეცვალოს მოსაზრებები და აღარ აირჩიოს ეს გზა (მამაკაცი, 34).

ყოფილი პატიმრების ამბები ჩაკეტილ წრეში მოძრაობის შესახებ მარუნას (1997) მიერ აღწერილ მოდელს ეხმიანება, თუმცა, ვინაიდან კვლევაში სწორედ ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებმაც შეძლეს ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა და ახალი ცხოვრების დაწყება, მათ მონათხრობებში მრავლად იყო ციხის კარის ზურგს უკან ერთხელ და სამუდამოდ მიხურვის ამბები.

ციხიდან რომ გამოდიხარ, პირველი, რასაც აკეთებ, ნულიდან იწყებ ცხოვრებას. უნდა გაიაზრო დაშვებული შეცდომები. როგორც კი გარეთ აღმოჩნდები, შეიძლება დაგავინყდეს ის, რაც გადაიტანო... ყოველთვის ვფიქრობ ჩემ გამოც-

დილებაზე, ვფიქრობ, რომ აღარასოდეს გადამიცდეს ფეხი იმ გზაზე და არ მოვხვდე იმავე სიტუაციაში. როგორც უკვე ვთქვი, პირველ რიგში, მომხდარი და დაშვებული შეცდომები უნდა გააანალიზო და მხოლოდ შემდეგ გააგრძელო წინ სიარული (მამაკაცი, 35).

არაჰეტეროსექსუალი ადამიანები საკუთარ ბრძოლაზე მოგვითხრობენ და ეს ამბები საკუთარი სექსუალური იდენტობის გაცნობიერებასა და მიღებას ეხება:

ტელევიზიაში ვიყავი გადაცემის ჩანერაზე, სადაც ჰომოსექსუალი ადამიანების შესახებ მსჯელობდნენ. საშინელება იყო. თავი ვეღარ შევიკავე და მიკროფონი ვითხოვე. მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ მოვიკრიბე გამბედაობა... სხვებისთვის გავაკეთე ეს. ვფიქრობ, ადამიანებს არ უნდა უწევდეთ იმის გადატანა, რისი გადატანაც მე მომიწია. იქ ყველას სახელით ვილაპარაკე... მე რომ იმ აუდიტორიაში მჯდომი 13 წლის ბიჭი ვყოფილიყავი და მსგავსი რამ მომესმინა, რაც მე მოვეყვი, რადიკალურად შემიცვლიდა ეს ცხოვრებას, მაგრამ თავის დროზე მსგავსი არავინ გამოჩენილა ჩემს ცხოვრებაში (მამაკაცი, 27).

ნარატივები ცხოვრების იმ კულტურული სკრიპტისა და ალტერნატიული გზების ჭრილში გავაანალიზეთ, რომელთაც კვლევის მონაწილეები ირჩევდნენ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის თუ იდენტობის პოვნა/შენარჩუნების მიზნით. ინტერვიუების ტრანსკრიპტების მრავალგზის გულდასმით ნაკითხვამ დაგვანახა, რომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლები, ერთი მხრივ, ნორმატიული მოვლენების შესახებ გვიყვებოდნენ და, მეორე მხრივ, მათი ამბები კონკრეტული ჯგუფისათვის მისაღები ალტერნატიული მასტერნარატივის ელემენტებს შეიცავდა. ყოფილი პატიმრების შემთხვევაში ეს იყო ამბები იმის შესახებ, თუ სად და როგორ დაიჭირეს, როგორ გაასამართლეს და მოხდნენ ციხეში, როგორ დაენგრათ პირადი ურთიერთობა, ოჯახი, და როგორ დაიწყეს პირადი ცხოვრების თავიდან აწყობა საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ. ასევე, მრავალი ამბავი ეხებოდა თავად საპატიმროში ყოფნის გამოცდილებას. არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ნარატივებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამბები ძალადობრივი ბავშვობის, იატაქვეშეთიდან გამოსვლისა და ეკლესიიდან წამოსვლის შესახებ. ასევე, მათი მონათხრობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ამბები იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვეს მეგობრებმა და/ან ნათესავებმა ქამინგაუთის შემდეგ და როგორ დაიწყეს ახალი ცხოვრება ახალი ვალდებულებებითა და ურთიერთობებით.

9.3.2.3. ერთიანი სურათი

ამრიგად, კვლევის მონაწილეები ამბების მესამედს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით გვიყვებიან, რაც კარგად ეთანადება სხვა შერჩევებზე მიღებულ შედეგებს (Jananashvili, et. al., 2018; Gogichashvili, et. al., 2016;

Khechuashvili, 2015b). ამასთან, ამბის მაკომპენსირებელი სტრუქტურით დალაგება მოგონების ტიპთან ასოცირდება და უარყოფითი, გარდამტეხი და გამონვევებით აღსავსე გამოცდილების გაზიარებისას უფრო ხშირად გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ არაჰეტეროსექსუალი ადამიანები და ყოფილი პატიმრები ერთმანეთის მსგავსად ალაგებენ საკუთარ ამბებს, განსხვავებულად იაზრებენ მომხდარს: არაჰეტეროსექსუალი ადამიანები უფრო მეტად აკავშირებენ მომხდარს საკუთარ იდენტობასთან, ვიდრე ყოფილი პატიმრები. მათთან ინსაიტიც მეტია და ნარსულ გამოცდილებაში უფრო მეტ აზრს ხედავენ, განსაკუთრებით, ისეთ გამოცდილებაში, რომელსაც პიროვნული ან ცხოვრებისეული ცვლილებები მოჰყვა. ასეთი შედეგი კარგად ეხმიანება მასტერნარატივთან მოლაპარაკების მოდელს, ნარატიული იდენტობის თეორიულ მოდელსა და ხელთ არსებულ ემპირიულ მონაცემებს (McLean et. al., 2017; McLean & Syed, 2016, 2015). მას, ვისაც სხვადასხვა ცხოვრებისეული გარემოება აიძულებს, კარგად გააცნობიეროს მასტერნარატივის ზენოლა, უფრო ინტენსიურად და სიღრმისეულად უწევთ დომინანტური სკრიპტის გააზრება, საკუთარი თავის მისგან გამიჯვნა და საკუთარი, ალტერნატიული ნარატივის ფორმირება. ეს, თავის მხრივ, მეტად ინტენსიურ ავტობიოგრაფიულ მსჯელობას მოითხოვს, რასაც ინდივიდი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების საკუთარ ნარატიულ იდენტობაში ინტეგრაციისაკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ არაჰეტეროსექსუალი ადამიანები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და მეტ აზრს ხედავენ ამგვარ გამოცდილებაში, ვინაიდან ამგვარი რთული, ტრანსფორმაციული გამოცდილების გააზრების გზით საკუთარი თავის უკეთ გაგებამდე მიდიან. თუ ცხოვრების ისტორიებში ნორმატიული მოვლენების განაწილების დინამიკასა და თანაფარდობას შევხედავთ, ვნახავთ, რომ არაჰეტეროსექსუალების ნარატივებში ყველაზე მცირე რაოდენობით გვხვდება ამგვარი ამბები. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი სხვა ჯგუფების წარმომადგენლებზე მეტად სცილდებიან დომინირებული სკრიპტის ფარგლებს. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყოფილი პატიმრები, საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად ჰყვებიან ნორმატიული მოვლენების შესახებ.

თუ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა ცხოვრების ტრაექტორიას შევხედავთ, მათ შორის მნიშვნელოვან განსხვავებას აღმოვაჩინთ: ყოფილი პატიმრები სხვადასხვა გარემოებამ აიძულა, ცხოვრების რომელიღაც მომენტში გადაეხვიათ ჩვეულებრივი გზიდან – ციხეში მოხვედრილიყვნენ და ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი თავისუფლების აღკვეთის პირობებში გაეტარებინათ. თუმცა სასჯელის მოხდის შემდეგ მათ ყველაფერი გააკეთეს, როგორც თვითონ ამბობენ, ნორმალურ ცხოვრებაში დასაბრუნებლად და საზოგადოებაში ადგილის ხელახლა მო-

საპოვებლად. სხვა სიტყვებით, მათ იბრძოლეს ახალი ოჯახის შექმნის, ახალი სამსახურის დაწყებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მეშვეობით რესოციალიზაციისათვის.

ამ პროცესში მათ მთავარ იარაღს გენერაციულობა წარმოადგენდა. ისინი ადამიანებსა და საზოგადოებას ემსახურებიან, ზრუნავენ ოჯახებსა და ბავშვებზე, იცავენ იმას, რაც დარჩათ (საკუთარი იდენტობა, ურთიერთობები, მატერიალური თუ არამატერიალური ქონება) საპატიმროში ყოფნისა და ყველა გადატანილი უბედურების შემდეგ.

ამის საპირისპიროდ, არაჰეტეროსექსუალი ადამიანები, ერთი შეხედვით, თითქოს ვერაფერს სთავაზობენ თემსა და საზოგადოებას, თუმცა, რეალურად ისინი რაღაც ახლის შექმნისათვის (ახალგაზრდებისათვის გზის გაკვალვის, თანადგომისა და მენტორობის მეშვეობით) იღვნიან, მაგრამ ამას ყოფილი პატიმრებისაგან განსხვავებულად აკეთებენ. ისინი საერთოდ არ ცდილობენ ტრადიციულ მასტერნარატივთან დაახლოებას და ამ გზით საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას: ფაქტობრივად, უფრო რთულ გზას ირჩევენ: ცხოვრებისეული გამოცდილებისა და საკუთარი სელფის (Self) ერთმანეთთან დაკავშირებისა და ამ გამოცდილებებში აზრის პოვნის მეშვეობით, ისინი ახლებურად იაზრებენ საკუთარ თავს და ამით ალტერნატიული მასტერნარატივის შექმნამდე მიდიან.

ამრიგად, ყოფილი პატიმრების ცხოვრების გზა ისევე ნორმატიულად იწყება, როგორც საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლების, ცხოვრების რაღაც მომენტში უხვევენ ამ გზიდან პატიმრობაში ყოფნის პერიოდში (და ეს პერიოდი სწორედ ტრანსფორმაციული გამოცდილება მათთვის) და სასჯელის მოხდის შემდეგ „ნორმალურ“ ცხოვრებას უბრუნდებიან ანუ კვლავ ბიოგრაფიული მასტერნარატივის მიხედვით ცდილობენ ცხოვრების გაგრძელებას (ოჯახი, შვილები, სამსახური). მათგან განსხვავებით, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ინდივიდების ცხოვრების გზა იმის გაცნობიერებითა და გააზრებით იწყება, რომ ისინი ვერ ერგებიან ტრადიციულ ბიოგრაფიულ მასტერნარატივს და განვითარების პროცესის დასაწყისშივე თავად აგებენ საკუთარ იდენტობას იმ ალტერნატიული მასტერნარატივის კონტექსტში, რომელიც დომინირებულ კულტურულ სკრიპტთან წინააღმდეგობით იქმნება.

...და კვლავ საწყის კითხვას ვუბრუნდებით: სად არის აქ გენერაციულობის ადგილი? როგორც კვლევის მონაწილეების ნარატივებიდან ჩანს, გენერაციულობა ყოფილი მსჯავრდებულებისათვის მასტერნარატივში დაბრუნებისა და მასთან მორგების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს, თუმცა არაჰეტეროსექსუალი ადამიანების შესახებ ნამდვილად ვერ ვიტყვით ამას. კვლევის მონაწილე არაჰეტეროსექსუალი ადამიანები ნაკლებად გენერაციულები იყვნენ, ყოფილ პა-

ტიმრებთან შედარებით, თუმცა აქ შერჩევის ასაკობრივი კომპოზიციაც უნდა გავითვალისწინოთ (**ხსრილი N 9.6**). ყოფილი პატიმრების შერჩევის საშუალო ასაკი, ფაქტობრივად, ორჯერ აღემატებოდა არაჰეტეროსექსუალთა ასაკს. თუ გავიხსენებთ, რომ გენერაციული საზრუნავები შუა ხნის მოზრდილობის ასაკში უფრო აქტუალურია, ვიდრე 30 წლამდე პერიოდში, ლოგიკურიცაა, რომ კვლევის შედეგებით ახალგაზრდა მონაწილეები იდენტობის, საზოგადოებაში ადგილის პოვნისა და დამკვიდრების საკითხებით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე გენერაციული საზრუნავით. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ისინი, ვინც გენერაციულ სურვილებსა თუ ქმედებებზე საუბრობდნენ, მხოლოდ მასტერნარატივთან დისტანცირებისა და ალტერნატიული გზის კონტექსტში განიხილავდნენ საკუთარ თავს. ეს უკანასკნელი ვითარება ემთხვევა მაკლინისა და მისი კოლეგების (2017) კვლევის შედეგებს, რომლებმაც ცხადყო, რომ ადამიანები ალტერნატიული მასტერნარატივის კონსტრუირებისას, როგორც წესი, საყრდენად დომინირებულ მასტერნარატივს იყენებენ და იშვიათია შემთხვევები, როდესაც ალტერნატიული ნარატივის კონსტრუირება მასტერნარატივისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

ამრიგად, ორივე ჯგუფი, ყოფილი პატიმრები და არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდები, ცხოვრების რალაც ეტაპზე დგებიან ჯგუფზე მორგებული ალტერნატიული მასტერნარატივის შექმნის საჭიროების წინაშე, რათა საკუთარ თავსა და იდენტობასთან მოახერხონ შეთანხმება; ასევე, იმ საზოგადოებასთანაც, რომელშიც უნევთ ცხოვრება. ისინი განსხვავებულად იაზრებენ და ამუშავებენ წარსულ გამოცდილებას, თუმცა ორივე ჯგუფის წარმომადგენელთა ცხოვრების ისტორიაში ვხვდებით გენერაციული ქმედების მეშვეობით სტიგმის დაძლევისა და რესოციალიზაციის შემთხვევებს.

ეპილოგის ნახვლად

ჩვენ აქ დავიბადეთ, ამ ქვეყანაში, ამ ან სხვა ქალაქში, ზღვისპირა აჭარაში ან მთიან სვანეთში, სხვადასხვა კლიმატური გარემოსა და რესურსების პირობებში, ერთი სიტყვით, ამ ფიზიკურ სივრცეში, მატერიალურ სამყაროში, რომელიც მნიშვნელოვანწილად გვაყალიბებს ისეთებად, როგორებიც ვართ.

თუმცა ჩვენ დავიბადეთ სხვა, ნაკლებად ხილულ და ხელშესახებ სამყაროშიც, რომელიც ისევე მძლავრად და აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ფორმირებაში, როგორც ფიზიკური სამყარო. ეს ამბების სამყაროა. აქ ყველა ჩვენთვის ცნობილი ამბავია თავმოყრილი, რომლებიც ლამის დაბადებიდანვე (თუ ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში არა) ნვეთ-ნვეთ გროვდება და სამუდამოდ ილექება ჩვენს მეხსიერებაში — სამყაროს შექმნის ბიბლიური ამბით დაწყებული და იესოს ჯვარცმის ამბით დამთავრებული. აქვია ამბები, რომლებიც ყველამ კარგად ვიცით: ამბავი ვახტანგ გორგასალისა, შუშანიკისა და დავით აღმაშენებლისა; ილიას მკვლელობისა თუ გალაკტიონის თვითმკვლელობისა, ამბები ნაცარქექიასა და ნიქარაზე და კიდევ ბევრი, ყველას რა ჩამოთვლის... ეს ამბები ჩვენეულ სამყაროს ნაცნობ ელფერს აძლევს, თუმცა მთავარი ამბები, რომლებიც საკუთარი თავის შესახებ გვიქმნიან წარმოდგენებს, გვაცნობენ მას და გვიყალიბებენ კიდევ საკუთარ „მე“-ს, ჩვენს ოჯახში, ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ამბებია.

ჰო, ამ წიგნში ბევრი ამბავია. ბევრი ადამიანის ამბავი. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანების სხვადასხვა დროს, ადგილას და ასაკში მომხდარი სხვადასხვანაირი და მაინც უსაზღვროდ მსგავსი თავგადასავალი; ამბები ცვლილებების, ბრძოლის, სიყვარულისა და საკუთარი თავის პოვნის შესახებ, რომლებსაც ადამიანები საკუთარ თავსა და გარემოსთან ურთიერთობით ქმნიან და ჰყვებიან, და ასე ცდილობენ, აზრი მისცენ საკუთარ ცხოვრებას, იპოვონ ადგილი ადამიანთა სამყაროში და შექმნან ან მოიმოქმედონ რაღაც ისეთი, რაც დიდხანს ემახსოვრებათ სხვებს.

ერთი სიტყვით, ეს ამბები ჩვეულებრივ ადამიანებს ეხება, მათი ცხოვრებისა და ამ ცხოვრებაში საზრისის, მიზნისა და საკუთარი თავის ერთიანობის პოვნას; როგორ ახერხებენ ეს ადამიანები მოულოდნელი, რთული და არასტანდარტული მოვლენების ეპიცენტრში საკუთარ თავსა და გარემოსთან გამკლავებას, ახალი რეალობის მოთვინიერებასა და ქაოსში საკუთარი თავის უწყვეტობის განცდის შენარჩუნებას.

ჰოდა, თუ ამბების თხრობაა ის, რაც საკუთარი თავის განცდას გვიქმნის და გვინარჩუნებს დღევანდელ თანამედროვე რეალობაში, სადაც ყველაფერი ლამის

სოციალურად კონსტრუირებულია, რალა გასაკვირია, რომ ამბების თხრობა, ნარატივის დალაგება საკუთარი იდენტობის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით, მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენდეს?! ეს არის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) გზა საკუთარი თავის განცდის ფენომენოლოგიამდე მისაღწევად. ის, რასაც მე ვყვები საკუთარი თავის შესახებ, ვარ მე და, აქედან გამომდინარე, ჩემი ქცევაცა და დამოკიდებულებაც სხვა ადამიანებისადმი ამ მონათხრობის მიხედვით წარიმართება.

ოღონდ ერთიცაა: არც ერთი ადამიანი არ არის განცალკევებული „კუნძული“, რომ თავისი ამბავი თავადვე დაწეროს და მისი ერთადერთი ავტორი იყოს. ჩვენ, როგორც სოციალურ ცხოველებს, გვინევს თანაავტორის ყოლაზე დათანხმება, და ეს თანაავტორი ჩვენივე სოციუმია. სწორედ მასთან შეთანხმებით ვმონაწილეობთ საკუთარი ცხოვრების თხრობის უწყვეტ პროცესში. ამიტომ არის, რომ ნარატივის მკვლევრები ნარატიული ეკოლოგიის სივრცეში პერსონალური ამბების ფენაზე შორს გადაადგილდებიან და კონკრეტული ადამიანის ამბების მიღმა ოჯახების, ჯგუფებისა და კულტურის ამბების ამოცნობას ესწრაფვიან. ასე ხომ უკეთ გაიგება უკვე ნახსენები საკუთარი თავის განცდის ფენომენოლოგია!

თხრობის, საკუთარი თავის აგებისა და პერიოდულად ხელახლა აგების მთელი პროცესის არსი საკუთარ თავსა და ცხოვრებაში თანამიმდევრულობის, უწყვეტობისა და ლოგიკურობის დანახვაა. ეს არის ის, რაც სიმყარის, სტაბილურობისა და სიმშვიდის განცდას გვანიჭებს. როცა რალაც განსხვავებული, მოულოდნელი და უცნაური ხდება, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ უწყვეტობასა და თანამიმდევრულობას ექმნება საფრთხე. ასეთ მომენტებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საჭირო ხდება თხრობა, მეტიც, რეფლექსიური თხრობა. ადამიანებს ხომ ასე გვჭირდება სტაბილურობა და უცვლელობა, რათა თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ! თუ ეს გვეცლება ხელიდან, შფოთვა გვიპყრობს. ეს კი ჩვენს ნარატივზეც აისახება. ამბავი წყდება, თანამიმდევრულობა იკარგება და ლოგიკაც ქრება. ცხოვრების ნარატივში წყვეტა კი ბაზისური სიმყარის, უსაფრთხოების განცდას ემუქრება. ამიტომ განურჩევლად იმისა, ამ წყვეტის მიზეზი სახლ-კარის დაკარგვაა, სამშობლოს, გადაადგილების უნარის, ოჯახის წევრების სიყვარულისა თუ თავისუფლებისა, ადამიანები თავგანწირვით ვცდილობთ, მომხდარში აზრი დავინახოთ, იმდენი შევძლოთ, რომ მოვყვეთ ამის შესახებ და კვლავ შევაკონინოთ და გავაუმჯობესოთ კიდევ საკუთარი თავი. მეტიც: ასე გაძლიერებულებმა და გაუმჯობესებულებმა იმდენი შევძლოთ, რომ სხვებზეც ვიზრუნოთ, მათ გავუკვალოთ გზა, შეძლებისდაგვარად მოვამზადოთ ისინი თავიანთი წილი განსაცდელისთვის და (ზოგიერთმა ჩვენგანმა მაინც) ასე ვიპოვოთ ახალი მიზანი ჩვენს ცხოვრებაში.

გამოყენებელი ლიტერატურა

- Addis, D. R., & Tippett, L. J. (2008). The contributions of autobiographical memory to the content and continuity of identity: A social-cognitive neuroscience approach. In F. S. (Ed.), *Self-continuity: Individual and collective perspectives* (pp. 71-84). New York, NY: Psychology Press.
- Adler, J. &. (2009). The political is personal: Narrating 9/11 and psychological well-being. *Journal of Personality*, 74(4), 903-932.
- Adler, J. M., and McAdams, D. P. (2007). Telling stories about therapy: Ego development, well-being and the therapeutic relationship. In A. L. R. Josselson, *The meaning of others: Narrative studies of relationships* (pp. 213-236). Washington, DC: APA.
- Adler, J. M., Dunlop, W. L., Fivush, R., Lilgendahl, J. P., Lodi-Smith, J., McAdams, D. P., McLean, C. P., Pasupathi, M., Syed, M. (2017). Research Methods for Studying Narrative Identity: A Primer. *Social Psychological and Personality Science*, 8(5), 519-527.
- Adler, J., Lodi-Smith, J., Philippe, F. L., and Houle, I. (2015). The incremental validity of narrative identity in predicting well-being: A review of the field and recommendations for the future. *Personality and Social Psychology Review*, Vol. 20(2), 142-175.
- Adler, J.M. . (2012). Living into the story: Agency and coherence in a longitudinal study of narrative identity development and mental health over the course of psychotherapy. *Journal of Personality and Social Psychology*, 102(2), 367-389.
- Adler, J.M., Lodi-Smith, J., Philippe, F.L., Houle, I. (2016). The incremental validity of narrative identity in predicting well-being: A review of the field and recommendations for the future. *Personality and Social Psychology Review*, 20(2) , 142-175.
- Alisat, S., Norris, J. E., Pratt, M., Matsuba, K., & McAdams, D. P. (2014). Caring for the future of the earth: Generativity as a potential mediator for the prediction of environmental narratives from identity among Canadian activists and nonactivists. *Identity*, 14(3), 177-194, doi:10.1080/15283488.2014.921172.
- Andrews, M. . (2002). Introduction: Counter-narratives and the power to oppose. *Narrative Inquiry*, 12, 1-6.

- Arnett, J. J. (2000). Emerging adulthood: A theory of development from the late teens through the twenties. *American Psychologist, 55*(5), 469–480.
- Arnett, J. J. (2006). Emerging adulthood: Understanding the new way of coming of age . In J. J. (Eds.), *Emerging adulthood: Coming of age in the 21st century* (pp. 3-20). Washington, DC: American Psychological Association.
- Arnett, J. J. (2011). Emerging adulthood(s): The cultural psychology of a new life stage. In L. A. (Ed.), *Bridging cultural and developmental psychology: New syntheses in theory, research, and policy* (pp. 255–275). New York: Oxford University Press.
- Arnett, J. J., & Jensen, L. A. (2015). “There’s more between heaven and earth”: Danish emerging adults’ religious beliefs and values. *Journal of Adolescent Research, 30*(6), 661-682.
- Ashmore, R. D., Deaux, K., & McLaughlin-Volpe, T. (2004). An organizing framework for collective identity: articulation and significance of multidimensionality. *Psychological Bulletin, 130*, 80.
- Atkinson, P., Coffey, C., Delamont, S., Lofland, J., & Lofland, L. (Eds.). (2001). *Handbook of ethnography*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Atkinson, R. (1998). *The Life Story Interview*. Thousand Oaks, CA: Sage.
- Baerger, D. R., & McAdams, D. P. (1999). Life story coherence and its relation to psychological well-being. *Narrative Inquiry, 9*, 69-96.
- Bakan, D. (1966). *The duality of human existence*. Boston: Beacon Press.
- Baker-Ward, L. E. (2005). Young Soccer Players' Reports of a Tournament Win or Loss: Different Emotions, Different Narratives. . *Journal of Cognition and Development, 6*(4), 507-527.
- Bamberg, M. (2004). Form and functions of "slut bashing" in male identity constructions in 15-year-olds. *Human Development, 47*, 331-353.
- Banse, R., Seise, J., & Zerbes, N. (2001). Implicit attitudes towards homosexuality: Reliability, validity, and the controllability of the IAT. *Zeitschrift für Experimentelle Psychologie, 48*, 145-160.
- Baron, J. M., & Bluck, S. . (2011). That was a good story! Preliminary construction of the Perceived Story Quality Index. *Discourse Processes, 48*(2), 93-118.
- Baron, J. M., & Bluck, S. (2009). Autobiographical memory sharing in everyday life: Characteristics of a good story. *International Journal of Behavioral Development, 33*, 105-117.

- Bauer, J. J., & Bonanno, G. A. (2001). Continuity and discontinuity: Bridging one's past and present in stories of conjugal bereavement. *Narrative Inquiry, 11*, 123-158.
- Bauer, J. J., & McAdams, D. P. . (2004). Personal growth in adults' stories of life transitions. *Journal of Personality, 72*, 573-602.
- Bauer, P. J., Tasdemir-Ozdes, A., & Larkina, M. (2014). Adults' reports of their earliest memories: Consistency in events, ages, and narrative characteristics over time. *Consciousness and Cognition, 27*, 76–88.
<https://doi.org/10.1016/j.concog.2014.04.008>.
- Bavelas, J.B., Coates, L., & Johnson, T. . (2000). Listeners as co-narrators. . *Journal of Personality and Social Psychology, 79(6)*, 941-952.
- Beder, J. (2005). Loss of the Assumptive World. *Omega, 50(4)*, 255-265.
- Bellizzi, K. M., & Blank, T. O. (2006). Predicting posttraumatic growth in breast cancer survivors. *Health Psychology, 25*, 47-56.
- Bellizzi, K. M. (2004). Expressions of generativity and posttraumatic growth in adult cancer survivors. *The International Journal of Aging and Human Development, 58(4)*, 267–287. doi:10.2190/DC07-CPVW-4UVE-5GK0.
- Benish-Weisman, M. (2009). Between trauma and redemption: Story form differences in immigrant narratives of successful and unsuccessful immigration. . *Journal of Cross-Cultural Psychology, 40(6)*, 953-968.
- Bennett, L. M. (1981). *Science Corners, Mysteries Areas, Etc. ... for Elementary Science Teaching*. Paper presented at the School Science and Mathematics Convention, Des Moines, Iowa, November 3, 1978: <https://doi.org/10.1111/j.1949-8594.1981.tb15485.x>.
- Berntsen, D., & Rubin, D. C. (2004). Cultural life scripts structure recall from autobiographical memory. *Memory and Cognition, 32(3)*, 427-442.
- Bird, A. &. (2006). Emotional Reminiscing and the Development of an Autobiographical Self. *Developmental Psychology, 42(4)*, 613-626.
- Blagov, P. S., & Singer, J. A. (2004). Four Dimensions of Self-Defining Memories (Specificity, Meaning, Content, and Affect) and Their Relationships to Self-Restraint, Distress, and Repressive Defensiveness. *Journal of Personality 72(3)*, 481-512.
- Blanton, B. (1996). *Radical honesty: How to transform your life by telling the truth*. New York: Delta.

- Bliss, E. S. (2012). Personal Narratives: Assessment and Intervention. *Perspectives on language learning and education*, 19(4), 130-138.
- Block, J. (1982). Assimilation, accommodation, and the dynamics of personality development. *Child Development*, 53, 281-295.
- Boje, D. (1991). The storytelling organization: A study of story performance in an office supply firm. *Administrative Science Quarterly*, 36, 106–126.
- Booth, W. (1999). Doing research with lonely people . *British Journal of Learning Disabilities*, 26, 132-134.
- Bowlby, J. (1967/1982). *Attachment and loss, vol. 1: Attachment*. New York: Basic Books.
